Დ Ო Ნ Ი   Ფ Ა Ნ Ჩ Უ Ლ Ი Ძ Ე

# სანთლად დაღვრილი
# ც ხ ო ვ რ ე ბ ა

ქ. თბილისი

2023 წ.

დ ო ნ ი   ფ ა ნ ჩ უ ლ ი ძ ე

კომპიუტერული მომსახურება:  ნინო პეტრიაშვილი
თინათინ პეტრიაშვილი

ტექნიკური მომსახურება: მაია ბოჭორიშვილი

ტექნიკური რედაქტორი: ნათია ფანჩულიძე

ფოტო: დონი ფანჩულიძე

კონსულტანტი: დიმიტრი გოგობერიშვილი

რედაქტორი: ზაირა მიქატაძე

*წიგნის რედაქცია მადლობას უხდის ბიზნესმენს და ქველმოქმედს ბატონ დავით კერესელიძეს წიგნის გამოცემის ხელშეწყობისათვის*

დაიბეჭდა სტამბა „სარანგში“

ქ. თბილისი

2023 წ.



26.05.39 (50) 13.10.89 წ.
მერაბ კოსტავა:
"გავა დრო და ხელების
ცეცებით დავუწყებთ
ქართველები ერთმანეთს
ძებნას"

31.03.39 (54) 31.12.93 წ.
ზვიად გამსახურდია:
"ეროვნული მოძრაობის
ნიღბით და საფარით
მოდის ანტიქრისტე, მოდის
ბარაბა და მოდის შეჩვენება".

(დ.ფ) ოთხჯერ ამოთხრილი და დასაფლავებული საქართველოს პირველი პრეზიდენტი და მისი წინასწარმეტყველება, რომელიც ახდა ჩემო, - ილია ჭავჭავაძის მკვლელ ბერბიჭაშვილების შთამომავალნო!

„...ზეცად წასულს უკან მომყვა
ლოცვა ცრემლის დამდენი,
ქვეყნად ერთი ქრისტე დავრჩი
და იუდა რამდენი.

ალბათ მისთვის გაიფანტა
ღალატი და გაცემა,
ფეხზე დგომა არის ძნელი
ადვილია დაცემა.

მეც დავრწმუნდი არ გამქრალა
ქვეყნად შური და მტრობა.
მეც მომიწევს ლეონარდოს
საიდუმლო სერობა.

და წასული სიზმრად მექცა,
მომავალი ოცნებად
მეგობარი ვეღარ მიცნობს,
მნახავს და გაოცდება.“

(ზ.გ) ... ჩემი ამ პოსტიდან წასვლა, გამოიწვევს საქართველოს ადგილზე რამოდენიმე სახელმწიფოს ჩამოყალიბებას, აბსოლუტური გადაჭარბების გარეშე გეუბნებით, ფრჩხილებს არ ვხსნით, ყველანი მიხვდით, ყველამ დაძაბეთ გონება და განსაკუთრებით გთხოვთ ბატონო ოპოზიციონერებო, თქვენ, ვინაიდან ეს უახლეს ხანში გამოიწვევს საქართველოს როგორც ასეთი სრულ დეზინტეგრაციასა და დარღვევას, სრულ ანარქიას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, პირველ რიგში თბილისში და მე დაგიხატავთ თბილისს. თუ ეს ამბავი მოხდა, იმ შემთხვევაში თბილისი გადაიქცევა რამოდენიმე უბნად, დანაწევრებულ ქალაქად, სადაც იქნება ერთადერთი ხელისუფლება, შეიარაღებული ბანდებით მათი ხელმძღვანელობით. ყოველი უბანი

იქნება თითო შეიარაღებული ბანდის ხელში. მათ შროის იქნება შეიარაღებული ბრძოლა ძალაუფლებისათვის და ზეგავლენისათვის, იქნება მოსახლეობის არნახული ძარცვა, არნახული დარბევა, მოიშლება ყველაფერი, - ელექტროენერგია, გაზი, კომუნიკაციები, აღარ იარსებებს სამართალდამცავი ორგანოები, აღარ იარსებებს სურსათ-მომარაგება, აღარ იარსებებს სამედიცინო მომსახურება. თბილისი შეიძლება გადაიქცეს მკვდარ ქალაქად და საერთოდ შეწყვიტოს არსებობა.

*სამოქალაქო ომის დაწყებამდე, ერთი კვირით ადრე პოზიცია -*
*ოპოზიციასთან გამოსვლის დროს*
*ზვიად გამსახურდია.*
*დეკემბერი 1991 წ.*

*„ნუ გადააყოლებთ ვიწრო პარტიულ ჯგუფურ ინტერესებს საქართველოს. ყველა ქართველისათვის უნდა არსებობდეს ერთი პარტია „ ს ა  ქ ა რ თ ვ ე ლ ო“!!!*

*მერაბ კოსტავა*

„არა კაც კლა“

„არა კაც კლა“ – გვედრება მაცხოვარი,
„არა კაც კლა“ – გვედრება ჯვარი,
სათნოებას გვიქადაგებს წმინდა ნინო
და სიყვარულს გეფიცება მტკვარი.

საქართველო – სიყვარულის სამეფოა
და მამული – ტკივილი და ჯვარცმა!...
„არა კაც კლა“ – გვედრება უფლისციხე,
„არა კაც კლა“ – გვედრება ზარზმა.

საქართველო – ღვთისმშობლის წილხვედრია:
ჩამჩურჩულებს დიდგორიდან ქარი.
ქრისტეშობის დღე თენდება საოცარი
და ღრუბლებში იბადება დარი.

საქართველო – ცრემლიანი ზეიმია
და დაჭრილი ღონეს იკრებს ხარი!...
„არა კაც კლა“ – გვედრება მაცხოვარი
„არა კაც კლა“ – გვედრება ჯვარი!



„პოეზიის დედოფალი“, პოეტი:
თინათინ მღვდლიაშვილი
1990 წ.

# = პოლიცია =

„მრავალი კადრის სამჭედლო“




ქ. თბილისი დიდუბის (პირველი მაისის) რაიონის
შ.ს. რაიგანყოფილება მდ. დ. აღმაშენებლის
(პლეხანოვის) გამზირი №113

„ამ შენობაში ერთ დროს თადარიგის კადრს აფასებდნენ"




ქ. თბილისის დიდუბის პოლიციის სამმართველოს
მე-2 განყოფილება აკ. წერეთლის გამზირი №115 2022 წ.







<<კვირის გვირგვინოსანი>>

2009 წლის 19 ივლისს, კვირა დღით 12:00 საათზე - „ნულავოი ტოლერანტობის“ რეჟიმის დროს („არქიტექტორი მიხეილ სააკაშვილი“) ე.წ. პოლიციის უფროსი გივი „ბჟალავა“ თავისი მძიმე დანაშაულის დაფარვის მიზნით, რომელმაც საზოგადოების თავშეყრის

ადგილზე, ქალების, ბავშვების და მგზავრების თანდასწრებით ისვრის ტაბელური იარაღიდან, სცემს დაცვის თანამშრომელს, დისპეჩერს, სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებს მოლარე-კონტროლიორს. ეს ე.წ. „პოლიციის უფროსი" ადრეც ზღვარგადასული, - „პანკისის ხეობის" გმირი. „კორტებთან" ვაზაგაშვილის დაკავების სისხლიანი დაკავების სპეცოპერაციის თანამონაწილე, სასამართლო სხდომების „ქრონიკული მოწმე", „ნაციონალების ზონდერი", ოცნების მიერ ეტაპობრივად დაწინაურებული - პოლიციის თადარიგის პოლკოვნიკს (დ.ფ.) მაკავებს ექვსი საათით, მიდგენს „ტრუხა ოქმს" წვრილმან ხულიგნობაზე. (166-ე მუხლი, პოლიციის თანამშრომლის წინააღმდეგობის გაწევა, 173-ე მუხლი, პოლიციის თანამშრომლისათვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება).

ოქმი შეადგინა მისმა ხელქვეითმა, ინსპექტორებმა - ზვიად ვერულაშვილმა (ამჟამად განთავისუფლებულია თანამდებობიდან, დაკავებული პირისათვის ბრელოკი წარწერით „ზვიადი", ქურდობა - დაუფლებისათვის). ზურაბ ლობჟანიძე ინსპექტორი, (ამჟამად დაკავებულია, სასჯელს იხდის ბანკის ყაჩაღობისათვის). გადავყავარ ექვსი საათის გასვლის შემდეგ ქალაქის სასამართლოში, ორი საათის გასვლის შემდეგ მობრძანდა „მოსამართლე გამოძახებით", - გიორგი ტყავაძე და ჩემს თანამშრომელ დისპეჩერ მარლენ რეხვიაშვილთან ერთად გვაჯარიმებს 400/400 ლარით, პენსიონერ ომის ვეტერანს, თადარიგის პოლიციის ვიცე პოლკოვნიკს მიკარგავს ღირსებას და თავმოყვარეობას, რაც კი ქართველ მამაკაცს გააჩნია.

აღსანიშნავია, ასევე გიორგი ტყავაძის დელიკატური, საფირმო, ქრონიკული დადგენილება - გამორკვევა, სადაც აღნიშნავს: „დამნაშავემ ჩადენილი დანაშაული ნაწილობრივ აღიარა", დაჯარიმდეს 400 ლარით, ყოველგვარი ღირსების აყრით. თქვე ბოროტების მოციქულებო, საქართველოში წარჩინებულ ქართველებს არ უნდა ედგომებოდეთ?!

ბატონო, - გიორგი! 2012 წლიდან „ოცნების“ მმართველობის დაწყების შემდეგ, მაგ „ტრუხა-შაბლონური“ ოქმებს, ერთ ადგილზე სახმარ თაბახებად კიდევ იყენებთ?! (დ.ფ.)

მიუხედავად „ოცნების“ უწყებაში რამოდენიმეჯერ შეტანილი განცხადებებისა, პატივცემულ გიორგი ტყავაძეს მიანიჭეს „მუდმივი მოსამართლეობა“. გივი „ბჟალავა“-ს „ოცნება“ ეტაპობრვად აწინაურებს... ამის შემდეგ უშვებენ დამსახურებულ პენსიაზე.

...მოვუწოდებ და ვუსურვებ ჩემს ახალგაზრდა კოლეგებს, - პატივი სცენ თადარიგის კადრს, ეს ყველას მომავალია.

დაინტერესებულ პირებს ვთავაზობ ვრცლად გაეცნონ მომხდარ ფაქტს უფასოდ ჩემს მიერ გამოცემულ წიგნებში: „შავი ხელი“, „სამართალი ნაძირლების გარემოცვაში“ და „პოლიციელის ასავალ-დასავალი“.

„...ვირჩევ ამ საწუთროს,
მეც ვემდური დარდი
მსერავს ღონემიხდილს,
ქარს მინდორში
დიდხანს ვსდიე,
თუმცა რატომ?!
ვერც კი მივხვდი.
არ მჩვევია დანებებაც,
ჩემს ღირსებად
ვერ მივიჩნევ,
მოყვას?! - გულით ვეფერები
მტერთან ბრძოლას?!
- ხმალით ვირჩევ!“

*„სამაჩაბლოსა“ და „აფხაზეთის“ ომების მრავალჯერ მონაწილე, ომის ვეტერანი, პოლიციის თადარიგის ვიცე-პოლკოვნიკი:*

*დომენტი (დონი) ფანჩულიძე*

*10.01.2023 წ. <<70 წლის შევსრულებულვარ...>>*



9-წლის განმავლობაში 320000 ადამიანი იქნა გასამართლებული. ეს დაახლოებით ყოველ მესამე ზრდასრულ მამაკაცს უდრის. ათასობით ადამიანი იქნა მორალურად განადგურებული, პატივაყრილი. უდანაშაულო ადამიანებს საკუთარი სახლებიდან იტაცებდნენ,აუპატიურებდნენ რაღაც აბსურდული დანაშაულის აღიარების მიზნით. საქართველოს პრემიერმინისტრი ი რ ა კ ლ ი ღ ა რ ი ბ ა შ ვ ი ლ ი

გაზ. „რეზონანსი",3/IV-2014წ.



შესაბამისი ღონისძიებების გატარებისას, თითოეულ რაიონულ ოლქის პროკურატურასთან მოქალაქეებს გამოეყოფათ ღია კარის დღე, რა დროსაც შესაძლებლობა ექნებათ შეხვდნენ მათ. ასევე ვაპირებ დავაწესო კონკრეტული დღე, როცა მოქალაქეებს ექნებათ პირადად ჩემთან შეხვედრის შესაძლებლობა.

მთავარი პროკურორი ი რ ა კ ლ ი შ ო თ ა ძ ე

გაზ. „ასავალ-დასავალი",კვირის გვირგვინოსანი №49 (1101 7/XII. 2015წ.)



ყველა პირს, რომელიც თვლის, რომ უკანონო განაჩენის მსხვერპლია, შესაძლებლობა მიეცეს მიმართოს გენერალურ პროკურორს და მოხდეს მისი საქმის გადასინჯვა.

საქ. გენერალური პროკურორი ა რ ჩ ი ლ კ ბ ი ლ ა შ ვ ი ლ ი

გაზ. „რეზონანსი", 17/X-2012წ.



დონი ფანჩულიძე
წიგნზე - „სანთლად დაღვრილი ცხოვრება“ მუშაობის დროს.
აპრილი, 2023 წელი, ქ. თბილისი




ჩემი მეგობარი შემოქმედება მკითხველს.
დონი ფანჩულიძე

„სიკვდილი ის კარია, რომელშიც ყველა ადამიანი შევა...“ - აცხადებს არაბული სიბრძნე. მაგრამ განა ყველა ერთნაირად შეაღებს იმ კარს, რომლის იქით იდუმალებას დაუსადგურებია?! ერთნი მალე მიეცემიან დავიწყებას, მეორენი სამუდამოდ დარჩებიან ერის ხსოვნასა და ისტორიაში, სწორედ მათ მიეკუთვნებიან ჩემს გამოცემულ წიგნში, <<სანთლად დაღვრილი ცხოვრება>>, რომელშიც აღწერილმა ადამიანებმა, მარადისობაში წასაღები სიკეთით განვლილი ბიოგრაფია, ნაწილობრივ აქაც დაგვიტოვეს...“

- „აქაც კარგი კაცი იყო, იქ ნათელი დაადგესა“

*დონი ფანჩულიძე*



პროკოფი ხვიჩია
1/10-27 (77) 25/8-2004 წ.

ფოტო და დოკუმენტური მასალები გამოყენებული იყო საქ. შსს სამინისტროს აკადემიის კათედრის გამგის, პროფესორ პროკოფი ხვიჩიას წიგნიდან: <<საქართველოს მილიციის ისტორიის ნარკვევები>>.

პროკოფი ხვიჩია 1997 წლის 6 ნოემბერს დაჯილდოებული იქნა „ღირსების ორდენით“ საქართველოს პრეზიდენტის ე. შევარდნაძის მიერ (ბრძანებულება №632).

სამარადისო დიდება და არ დავიწყება...

## მილიციის ისტორიის ნარკვევებზე

მრავალტანჯულ მშრომელების მონაპოვრის დაცვაში დიდი როლი მიუძღვის საქართველოს პოლიციელის (მილიციელის) პირად შემადგენლობას, რომლებიც სიცოცხლის ფასად დაუშურებლად იცავდნენ განახლებულ ცხოვრებას, - ბანდიტებისაგან, ავანტიურისტებთან, უმძიმეს პირობებში ქმნიდნენ ქართული მილიციის სახელოვან ტრადიციებს.



ი. ბ. სტალინი, ფ. ე. ძერჟინსკი.



საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი საშა
(ალექსანდრე) გეგეჭკორი



გურჯაანის მილიციის თანამშრომელთა ერთი ჯგუფი (1936 წელი)



რესპუბლიკის მილიციის დანაყოფების ხელმძღვანელ მუშაკთა ერთი ჯგუფი საზაფხულო საბანაკო შეკრებაზე (1938 წ.)



საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი (1943—1952 წწ.), სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი, მეორე და მესამე მოწვევის დეპუტატი, ანტიჰიტლერული კოალიციის სამი სახელმწიფოს მეთაურთა თეირანის, იალტისა და პოტსდამის კონფერენციების საბჭოთა დელეგაციის დაცვის წამყვანი მუშაკი, გენერალ-ლეიტენანტი გრიგოლ კარანაძე (1945 წ.)



სამხრეთ ოსეთის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი მოწვევის დეპუტატი, შინაგან საქმეთა ორგანოების დამსახურებული მუშაკი, პოლკოვნიკი ალექსანდრე გალავანოვი (1945 წ.)



ბანდიტიზმთან მებრძოლი რესპუბლიკის მილიციის ოპერატიული მუშაკები შინაგანი ჯარების ნაწილებთან ერთად საგარეჯოს რაიონში ოპერაციის ჩატარების შემდეგ 1944 წლის შემოდგომაზე



რესპუბლიკის მილიციის სკოლის კურსანტები საზაფხულო შეკრებაზე (1939 წ.)





მილიციის ოპერატიული თანამშრომლები საველე ტაქტიკურ მეცადინეობაზე
(1938 წ.)



თბილისის მილიციის ველობატალიონის პირველი ასეული განწესებაზე გასვლისას (1938 წ.)



თბილისის მილიციის ქუჩაში მოძრაობის მომწესრიგებელი დივიზიონის მეთაური მაიორი შოთა კვინიკაძე, მოადგილე პოლიტდარგში ქურთი პოეტი მაიორი მორო მამედოვი მორიგი განწესების ერთ ჯგუფს აძლევენ ოპერატიულ დავალებას (1960 წ.)

მილიციის მუშაკთა უმრავლესობის თავდადება შეიძლება გაუტოლოთ იმ გმირ ადამიანთა შემართებას, რომლებიც ებრძოდნენ ნეგატიურ მოვლენებს.

მილიციას მეტად რთულ პირობებში უხდებოდათ მუშაობა, მაგრამ ნახევრად მშიერი, ნახევრად შიშველი ადამიანები უბადლო ნებისყოფისა, სიმამაცეს იჩენდნენ მათ წინაშე დასახული ამოცანების შესრულებისას.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პერიოდში იცვლებოდა მილიციის ორგანოების სტრუქტურა საშინაო და საგარეო ვითარების შეცვლასთან ერთად, მაგრამ უცვლელი რჩებოდა მისი საქმიანობის მთავარი მიმართულება, - ხალხისადმი, სამშობლოსადმი ერთგული მსახურება.

სამშობლოს ყოველი განსაცდელის ჟამს საქართველოს მილიციის პირად შემადგენლობას ნათლად ახსოვდა 1941–1945 წლებში იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის ბრძნული დარიგება იმის შესახებ, რომ“... რაკი საქმე ომზე მიდგა ყველაფერი ომის ინტერესებს უნდა დაემორჩილოს, ჩვენი ქვეყნის მთელი შინაური ცხოვრება უნდა დაემორჩილოს ომს, ამ მხვრივ ოდნავი მერყეობაც კი შეუწყნარებელია“.

საქართველოს მილიციის მუშაკებმა სწორი დასკვნები გამოიტანეს სამამულო ომის შექმნილი მდგომარეობიდან. მილიციის წარჩინებული მუშაკების გამოცდილებისამებრ საქართველოს მილიციამ საუკეთესოდ აითვისა ომის პირობების შესაბამისად მოსახლეობასთან მუშაობის ახალი ფორმები და მეთოდები, რომელთა მიზანი იყო მისი სიფხიზლისა და მორალური სულისკვეთების ამაღლება, მტერზე გამარჯვების რწმენის ჩანერგვა, ყველგან და ყველაფერში უმკაცრესი სახელმწიფო დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცება.

1942 წლის სექტემბრიდან საქართველოში და მის მომიჯნავე რესპუბლიკებში სამხედრო მდგომარეობა გამოცხადდა. რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო, მილიციის სამმართველო თავიანთი დირექტივებითა და ბრძანებებით ნათელ წარმოდგენას აძლევდნენ განყოფილებებსა და დანაყოფებს შექმნილ ვითარებაზე, სწრაფად არკვევდნენ ყველა იმ საკითხს, რომლებსაც სახავდნენ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილებები, ამიერკავკასიის ფრონტის სარდლობის დირექტივები. ომის პერიოდში სხვა დიდი ამოცანების შესრულებასთან ერთად, რესპუბლიკაში სამხედრო მდგომარეობის შესაფერისი წესრიგის დამყარებისა და დამნაშავეობასთან ბრძოლის მთელი სიმძიმე მაინც მილიციის ორგანოებს დააწვა. დამახასიათებელია ის ფაქტი, რომ ომის დაწყების პირველი ოთხი თვის მანძილზე საქართველოში აშკარად იგრძნობოდა დამნაშავეობის შემცირების ტენდენცია. მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობდნენ მილიციის სამსახურის ამ მეტად რთულ დარგს - სისხლის სამართლის სამძებრო აპარატს, გამოცდილი ოპერატიული მუშაკებით მის დაკომპლექტებას, იდეური და სამსახურეობრივი ცოდნის ამაღლებას. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ სისხლის სამართლის სამძებრო აპარატი ყოველთვის იყო საქართველოს მილიციის ორგანოების ხელმძღვანელი, ძირეული, საშუალო და მაღალ თანამდებობათა კადრების სამჭედლო, პრაქტიკული გამოცდილების შეძენის ნამდვილი სკოლა. სამამულო ომის პერიოდებში ამ აპარატიდან წინაურდებოდნენ ძირითადად ხელმძღვანელი მუშაკები, ყალიბდებოდა ოპერატიულ - სამძებრო მუშაკთა ბირთვი. საქართველოს მილიციის ომის პერიოდის ხელმძღვანელი ოპერატიული თანამშრომლების ისეთი სახელები, როგორიც იყვნენ: კ. ნაჭყებია, ი.ჟღენტი, მ. გრიგოლია, ს. მანია, გ. ჭელიძე, ი. ფოფხაძე, ვ. სიხარულიძე, თ. ლობჟანიძე, ს. მამულოვი, ი. კობეშავიძე და სხვები,

მარად დარჩება როგორც იმ ოპერატიული მუშაკების მაღალი პროფესიონალიზმის ნიმუში, რომლებიც მთელი შემართებით იბრძოდნენ მშრომელი მოსახლეობის ბედნიერებისა და კეთილდღეობისათვის.

ომის პირველ წლებში საქართველოს მილიციის სამმართველოს პრაქტიკაში დაინერგა სამთავრობო ხელმძღვანელობიდან ადგილზე პრაქტიკულ დახმარების გაწევის მიზნით ოპერატიული მუშაკების ხანგრძლივი დროით მივლინება ოპერატიული ვითარების თვალსაზრისით დაზიანებულ ქალაქებსა და რაიონებში.

1942 წლის 6 თვეში მიღწევევბით თავი გამოიჩინა ონის რაიონში სისხლის სამართლის სამძებროს ოპერწმუნებულმა  გ. ჩიკვილაძემ, რომელიც მილიციის უფროსს ვ. ჯაფარიძესთან ერთად მთელი პირადი შემადგენლობისათვის მაგალითის მაჩვენებელი იყო. ომოს პირობებში ჩიქვილაძის მიერ აღებული ვალდებულება ითვალისწინებდა დამნაშავეობის შემცირებას და მომხდარის სრულ გახსნას, სანიმუშო საზოგადოებრივ წესრიგს. ომის პერიოდში ონის რაიონს განსაკუთრებით საშიშროება ელოდა მამისონის გზით ფაშისტური გერმანიის დამპყრობლურ გეგმის „ედელვაისის" ნაწილის განხორციელებას. მაგრამ მშრომელ მოსახლეობასთან, არმიის სამხედრო ნაწილებთან ერთად ონის რაიონის მიუვალ სიმაგრედ გადაიქცა. გ. ჩიქვილაძე, გარდა იმისა, რომ თავდადებულად იბრძოდა პარაშუტისტ - დივერსანტების წინააღმდეგ, მოხერხებულად ავლენდა დამნაშავე ელემენტებს. ერთ-ერთ საეჭვო პიროვნების დაკავებით ოპერატიულმა მუშაკმა გამოავლინა სურსათის დამტაცებელთა ჯგუფი 30 კაცის შემადგენლობით, რომლებსაც დანაშაულებრივი კავშირი ჰქონდათ დამყარებული ქუთაისის პურვაჭრობის კომბინატთან, საიდანაც გატაცებულ რამდენიმე ათეულ ტონობით პურის ფქვილს გაორმაგებით ყიდნენ რაჭის მთიან სოფლებში.

ბაღდათის, ხაშურის რაიონებში ასევე გამოვლენილი იქნენ ბანდიტური ჯგუფები, რომლებიც ცეცხლსასროლი იარაღების გამოყენებით თავს ესხმოდნენ მოსახლეობას და იტაცებდნენ ძვირფასეულ საქონელს, დამთავრებული მათი მკვლელობებით.

ომის პერიოდის საქართველოს მილიციის ცხოვრებაში დიდი მოვლენა იყო პირადი შემადგენლობისათვის ახალი განმასხვავებელი ნიშნების შემოღება საკავშირო უმაღლესი საბჭოს 1943 წლის 9 თებერვლის ბრძანებით როგორც შინაგან საქმეთა, ასევე მილიციის ორგანოებში არსებული განმასხვავებელი ნიშნები შეიცვალა სამხრეებით. ამ ბრძანებულების თანახმად შემოიღეს შემდეგი სპეციალური წოდებანი: შინაგან საქმეთა ორგანოების უმაღლეს მეთაურთა შემადგენლობისათვის - სახელმწიფო უშიშროების გენერალური კომისარი, სახელმწიფო უშიშროების პირველი რანგის კომისარი, მეორე რანგის კომისარი, მესამე რანგის კომისარი, სახელმწიფო უშიშროების კომისარი. უფროს მეთაურთა შემადგენლობისათვის - სახელმწიფო უშიშროების პოლკოვნიკი, პოდპოლკოვნიკი (ვიცე პოლკოვნიკი), მაიორი. საშუალო მეთაურთა შემადგენლობისათვის - სახელმწიფო უშიშროების კაპიტანი, უფროსი ლეიტენანტი, ლეიტენანტი, უმცროსი ლეიტენანტი. უმცროსი მეთაურთა შემადგენლობისათვის - სპეციალური სამსახურის ზემდეგი, უფროსი სერჟანტი, სერჟანტი, უმცროსი სერჟანტ ი, მილიციის ეფრეიტორი.

სამხრეები, ტანსაცმლის მორთულობა - ეს უბრალო დეტალი როდი იყო. სამხრეები წარმოადგენდა მხედრული ღირსებისა და მხედრული სახელის წმინდა ემბლემას, იმის ნათელ დადასტურებას, რომ მისი მატარებელი პიროვნება ეკუთვნოდა ხელისუფლების ორგანოს, ხალხის ერთგულ შვილთა სახელოვან არმიას.. ეს ღონისძიება მიზნად ისახავდა მილიციის პირად შემადგენლობაში

სამსახურეობრივი დისციპლინის შემდგომ განმტკიცებას, ერთმმართველობის გაძლიერებას, უფროსებისა და მეთაურთა როლისა და ავტორიტეტის კიდევ უფრო ამაღლებას.

ომმა მილიციის ორგანოები ახალი დიდი ამოცანების წინაშე დააყენა, რომელთა შესრულებაში ხელმძღვანელი როლი მილიციის მეთაურთა შემადგენლობას ეკუთვნოდა. სწორედ ამიტომ სამხრეების შემოღებას განსაკუთრებით მნიშვნელობა ენიჭებოდა, იგი განასხვავებდა მილიციის მუშაკებს, უფრო ნათელს ჰფენდა მის წოდებას, მის სპეცობას, აძლევდა კადრებს სილამაზეს გარეგნულ შეხედულებაში, უბიძგებდა მათ ყოფილიყვნენ უფრო მომთხოვნი თავიანთ თანამდებობებზე. იგი ავალდებულებდა მილიციის მუშაკებს, განსაკუთრებით კი უფროსთა შემადგენლობას, ყოფილიყვნენ განვითარებულნი და მომზადებულნი თავიანთი სამსახურეობრივი მოვალეობის პირნათლად შესრულებაში.

1942–43 წლებში საქართველოს მილიციას ოპერატიული ვითარება მკვეთრად დაუმძიმდათ მოზღვავებული ევაკუირებულთა და ლტოლვილთა ნაკადის გადმოსროლამ ჩვენს ტერიტორიაზე. უნდა გატარებულიყო მთელი რიგი ოპერატიული ღონისძიებები ნორმალური ცხოვრების აღსადგენად, როგორც არსებული მონაცემებით დასტურდებოდა, ბანდჯგუფების უმრავლესობა დეზერტირები და სამამულო ომის პერიოდში სისხლის სამართლის დანაშაულისათვის ძებნილი პირები იყვნენ, რომლებმაც ფრონტის მოახლოებასთან დაკავშირებით თავი შეაფარეს საქართველოს მთიან რეგიონებს. შექმნილი მდგომარეობა მილიციის ორგანოებს მიუთითებდა მიეღოთ სასწრაფო ზომები ბანდიტური ჯგუფების ლიკვიდაციისათვის.

მილიციის რესპუბლიკურმა სამმართველომ ღრმად გაანალიზა შექმნილი მდგომარეობა, საჭიროდ ჩათვალა ოპერატიულად

დაზიანებულ რაიონებში გაეგზავნა გამოცდილი მუშაკები, კერძოდ: საგარეჯოში, თელავში, თიანეთში, დუშეთში, ბორჩალოში მიავლინეს ისეთი გამოცდილი ოპერატიული მუშაკები, როგორებიც იყვნენ: მ. გრიგოლია, კ. ნაჭყებია, მ. შავლიაშვილი, თ. გველუკაშვილი, ა. რეხვიაშვილი, ტ. დავითულიანი, მ. კვინტრაძე და სხვები.

ზემოაღნიშნულმა ოპერატიულმა ღონისძიებებმა შედეგი გამოიღო, ბანდიტები, დეზერტირებისა და ბანდიტური ჯგუფების დაკავებაში, რომლებსაც ჰქონდა ჩადენილი დანაშაულები. 1945 წლის დასაწყისში ბანდიტიზმთან მებრძოლი განყოფილებისა და ცხენოსანი ესკადრონის ღონისძიებათა შედეგად ბანდიტური ჯგუფებისაგან გაიწმინდა ბოგდანოვკისა (ნინოწმინდა) და ახალქალაქის რაიონები. ქლუხორის რაიონებში მომქმედი ბანდიტური ჯგუფები, რომელშიც 8 – 10 კაცი შედიოდა, მათ აღსაკვეთად თავი გამოიჩინეს მილიციის თანამშრომლებმა: ვ. გოგოლიშვილმა, მ. კიკნაძემ, ა. დგებუაძემ და სხვებმა, რომლებიც მილიციის სამმართელოს ხელმძღვანელობამ ფასიანი საჩუქრებით წაახალისა.

დიდი სამამულო ომის პერიოდში მილიციის უბნის ინსპექტორებმა ახლებურად, ომის ყაიდაზე გარდაქმნეს მუშაობა, ჩინებულად აითვისეს მტრისა და ბოროტმოქმედთა ტაქტიკა და გამოცნობა. უმრავლესობას კარგად ესმოდა მშრომელი მოსახლეობის ჭირი და ლხინი, მისი განწყობა, და რაც მთავარია ამა თუ იმ სოფელში, დასახლებულ პუნქტსა და ქალაქის ტერიტორიის თავისი მომსახურების უბნის ოპერატიული ვითარება. უბნის რწმუნებულთა (ინსპექტორთა) უმრავლესობა მჭიდრო კონტაქტში იყო მოსახლეობასთან, ფართოდ იყენებდა მის დახმარებას და მხარდაჭერას, ამით კი რწმუნებულთა უმრავლესობამ დიდი სიყვარული და ავტორიტეტი მოიპოვა. საჭირო იყო ომის პირობებში რწმუნებულთა საქმიანობის ახალი მოთხოვნების დონეზე აყვანა, მათი

მუშაობის გაუმჯობესება და სრულყოფას სტიმული მისცა უბნის ინსპექტორთა რესპუბლიკურმა შეკრებამ, სადაც ვალდებულება აიღეს აემაღლებინათ მომსახურეობის ტერიტორიაზე მუშაობის ორგანიზაციის დონე, შეესწავლათ მცხოვრებთა შემადგენლობა, აეცილებინათ მოსალოდნელი დანაშაული და წესრიგის დარღვევა, სანიმუშოდ დაეცვა საპასპორტო რეჟიმი და სანიტარული მდგომარეობა, აემაღლებინათ სამსახურეობრივი მომზადების დონე.

1944 წლის იანვარში მილიციის რესპუბლიკურმა სამმართველომ შეაჯამა უბნის რწმუნებულთა (ინსპექტორთა) შეკრების მიმართვის შესრულების მიმდინარეობა, რის შდეგად უბნის რწმუნებულთა უმრავლესობამ ფართოდ დანერგა მუშაობის ახალი მეთოდები და ხერხები, თავიანთ მომსახურეობის უბანში არ დაუშვა არც ერთი დანაშაული. ყველა მაჩვენებლით მოწინავე რიგებში ჩადგნენ უბნის რწმუნებულები: ა. ხუციშვილი, ზ. ჩაფიძე (ჩხარი - თერჯოლა) გ. მიქაბერიძე, ს. იოსელიანი (ქუთაისი) გ. კირვალიძე (ონი), მ. დემეტრაძე, მ. კურტანიძე (მაიაკოვსკი - ბაღდათი), ი. პაიჭაძე, თ. ლომთაძე, ჭ. ფოცხიშვილი, (თბილისი).

1944 წლის 5 ივნისის ბრძანზით გერმანელი ფაშისტების მიერ ჩამოყრილი იარაღის, საბჭოთა ფულის, რადიომიმღებების, პროკლამაციების და საწინააღმდეგო ლიტერატური დროულად ამოღებისა და შეგროვებისათვის, ოპერატიულობისა და საზრიანობის გამოჩენისათის მილიციის წარჩინებული მუშაკები და უბნის რწმუნებულები: ც. გოგიტიშვილი, დ. ვაშალომიძე, დ. დათუნაშვილი, შ. იამანიძე, ბ. ღლონტი, ფ. ბარამიძე წაახალისეს ფულადი პრემიით და ფასიანი საჩუქრებით.

დიდი სამამულო ომის მძიმე წლებში რესპუბლიკის მილიციის პირადი შემადგენლობის თავდადებული ბრძოლის სამხედრო - რევოლუციური წესრიგისა და უშიშროების უზრუნველყოფისათვის

აღინიშნა მთავრობის ორდენებითა და მედლებით. დაჯილდოებულთა შორის იყვნენ: გ. კარანაძე, კ. ბზიავა, მ. გვიშიანი, კ. ნაჭყებია, ნ. ქავთარაძე, ს. თავაძე, დ. იმედაძე და სხვები. მილიციის ორგანოებში სანიმუშო მუშაობისათვის საქართველოს რესპუბლიკის საპატიო სიგელებით დაჯილდოვდა საქართველოს მილიციის 64 წარჩინებული მუშაკი. „ომმა მილიციის ორგანოების წინაშე, - წერდა სამთვრობო გაზეთები“ - მთელი რიგი რთული ამოცანები დასახა და საქართველოს მილიცია წარმატებითართმევს თავს ამ ამოცანებს. მილიციის მუშაკები თავდადებით ებრძვიან ანტისახელმწიფოთა ელემენტებს, დაუცხრომლად ადევნებენ თვალყურს წესრიგსა და საზოგადოებრივ უშიშროებას. ამ უბანზე ბევრმა გამოიჩინა თავი, როგორც სამშობლოს ერთგულმა შვილმა, მამაცმა პატრიოტმა“ გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას,, რომ ეს მაღალი შეფასება მთლიანად საქართველოს მილიციის პირად შემადგენლობას ეკუთვნოდა.

ხელისუფლების ცვალებადობასთან ერთად ყველაზე გავრცელებული დანაშაული იყო ბანდიტიზმი, რომელსაც მილიცია მუდამ დაუნდობლად ებრძოდა, რათა მშრომელი ხალხის მონაპოვარი დაეცვათ, სიმშვიდესთან ერთად.

სისხლის სამართლის დამნაშავე ელემენტებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევების წინააღმდეგ დაუნდობელ ბრძოლასთან ერთად მხარში ედგა ახალ საქართველოს მშენებლობას, რათა დაჩქარებულიყო და გაძლიერებულიყო ეკონომიური მდგომარეობა.

საქართველოს მშრომელთა ხსოვნაში სამუდამოდ დარჩება ქართველ მილიციელთა და პოლიციელთა გმირობა, თავდადება და ვაჟკაცობა, რასაც ისინი განსაცდელს ჟამს იჩენდნენ დამნაშავე

ელემენტების წინააღმდეგ შეტაკების დროს. მილიციისა და პოლიციის თანამშრომლებმა კარგად იცოდნენ, რომ სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისათვის აუცილებელი იყო დამნაშავეობასთან ბრძოლის ყოველნაირად გაძლიერებულიყვნენ, კანონის დარვევის დროულად გამოვლინება, ჩადენილი დანაშაულის დასჯის გარდაუვალობა, საკანონმდებლო ორგანოების პრინციპების უთუო განხორციელება. საქართველოს პოლიციაში თანდათან ჩამოყალიბდა სრულიად ახალი ტიპის მუშაკი, რომელიც თავისი ცოდნით, ორგანიზატორული ნიჭით საუკეთესო თვისებებს ავლენდა. დღითიდღე უმჯობესდებოდა პოლიციის ორგანოების პირადი შემადგენლობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უზრუნველყოფა, რაც გამოიხატა, - ავტოტრანსპორტის, შეიარაღების, რადიოკავშირის და ფინანსურ უზრუნველყოფაში.

*პროკოფი ხვიჩია*

# შესავალი

*„...კაცი სანამ არ მოკვდება,*
*მისი საქმე არ გამოჩნდება“*
*(ხალხური)*


დონი ფანჩულიძე

ძვირფასო მკითხველო, წიგნში ასახული არიან ის ადამიანები, რომლებიც უშუალოდ ჩემს თვალწინ ტრიალებდნენ ან მათი დადებითი წარსულით გავიზარდეთ და აღვიზარდეთ ე.წ. „კომუნისტური წესწყობილების“ დროს, ან საქართველოს ისტორიამ შემოგვინახა მათ მიერ განვლილი კეთილშობილური წარსული, რის შემდეგ შევეცადე მომავალ თაობას გაეცნო ის კოლორიტი ხალხი, რომლებმაც ასეთი დადებითი აურა დაგვიტოვეს საზოგადოებაში, უფლება არ მქონდა ჩემ გამოსაცემ წიგნში არ ამესახა მათი ბიოგრაფია.

მეგობრებო! მიუხედავად ეკონომიკურ-პოლიტიკური და საბაზრო ღირებულებებისა, შევეცადე გამომეშვა რამოდენიმე დასახელების წიგნი, რათა მომავალ თაობებსა და „ახალ ქართველებს“ გავაცნო ის კოლორიტი ხალხი, რომლებიც რამოდენიმე წელი, - „ჩარეცხილების ნუსხაში“ იმყოფებოდნენ... ე.წ. „ვარდებით“ მოსულმა ხელისუფლებამ, რომლებმაც ცხრა წლის განმავლობაში (2003-2012 წლამდე) თავი გაგვაცნო „ნაციონალებად“, ძალოვან სისტემაში, - პროკურატურაში, პოლიციაში და სასამართლოში მომსახურე თანამშრომლებს, ახალბედა კადრს შეაძულა საქართველოს ინტელიგენცია და წარჩინებული ადამიანები პროფესორ - აკადემიკოსებთან ერთად.

...რაც უნდა სასაცილოდ მოგეჩვენოთ, როგორც აღარ დაგვიბრუნდებიან მწერლები, - ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა

ფშაველა, გალაკტიონ ტაბიძე... მსახიობები, - აკაკი ხორავა, სერგო ზაქარიაძე, ეროსი მანჯგალაძე, რამაზ ჩხიკვაძე... სპორტსმენები, - მიხეილ მესხი, ბორის პაიჭაძე, სლავა მეტრეველი, დავით ყიფიანი, გოჩა გავაშელი... ისე აღარ დაგვიბრუნდებიან ძალოვან სისტემაში, ის კოლორიტი ადამიანები, რომლებიც იყვნენ, - რომან გვენცაძე, დემურ მიქაძე, გივი კვანტალიანი, ვარლამ შადური, შოთა გორგოძე, გურამ გვეტაძე, გურამ ქარქაშაძე... მათი განვლილი ცხოვრება, ქართველი ადამიანის და ერის ფენომენია...

მეგობრებო! წიგნში აღწერილმა ადამიანებმა, ჩემში დატოვეს ნათელი კვალი, რის შემდეგ მიზანშეწონილად ჩავთვალე, მომავალი თაობისათვის გამეცნო, იმ მიზეზით, რადგან მათ განვლილმა წლებმა პირადად მე ბევრი სიკეთე დამიტოვეს, ის მაგალითი, რომელი მაგალითითაც აღვიზარდეთ მომავალი ძალოვანი სისტემის თანამშრომლები.

სამარადისო დიდება მათ!

დომენტი (დონი) ფანჩულიძე

# საქართველოს მილიცია და პოლიცია გარდამავალ პერიოდში

დღევანდელი პოლიციის მნიშვნელობა ის არის, რომ მასში ახლებურადაა დაყენებული მართლწესრიგის დარღვევის თავიდან აცილების თანამედროვე ტექნიკა, რაც გულისხმობს თუ რა წვლილი მიუძღვის ხელმძღვანელობას, რათა ეფექტურად იმუშაოს თვითოეულმა პოლიციელმა მასზე დაკისრებული მოვალეობის პირნათლად შესრულებისათვის...

ძვირფასო მკითხველო, გვერდს ვერ ავუვლით საქართველოს მილიციის აღმშენებლობის ბრძოლის საქმეში გაწეული ტიტანური შრომისათვის, თავდადებული გმირების გვარსახელები რომ არ მოვიხსენიოთ, რომლებიც გადაბრძანდნენ მარადისობაში და დღეს ჩვენს რიგებში აღარ არიან. (ხსოვნა და არ დავიწყება მათ!)... მილიციის სისტემაში მუშობდნენ ის ცნობილი პირები, რომლებმაც ლეგენდად დაგვიტოვეს მათ მიერ განვლილი ცხოვრება, ასეთი ადამიანები იშვიათად რომ იბადებიან, - გალაქტიონ რაზმაძე, (საბჭოთა კავშირის გმირი), ვარლამ შადური, მურმან ჯაფარიძე (სამგზის „დიდების ორდენის კავალერი“), სევერიან ჯუღელი, სტეფანე თამაზაშვილი, სერგო მამულოვი, ლევან გალუსტოვი, რომან გვენცაძე, ანტონ კეზევაძე, ნოდარ გურგენიძე, თენგიზ სუბელიანი, დიმიტრი და თემურ ნამიჭეიშვილები, ივანე ვარდიძე, ალექსანდრე კუნელაური, უშანგი ზურაშვილი, რობერტი ახალკაცი, ზაურ ნამგალაძე, ივანე დონდუზაშვილი, ომარ ჩახუნაშვილი, გოგი გოგოლაძე, არჩილ ზღუდაძე, ამირან კირკიტაძე, თამაზ ნაჭყებია, ვიქტორ სრესელი, გურამ მჭედლიშვილი, ომარ ჭადაშვილი, ომარ ხუბუა, კახა ხმალაძე,

მამია ცნობილაძე, ომარ სამხარაძე, ჯუმბერ ბაბუაძე, ვალიკო ადეიშვილი, მევლუდ ახალკაცი, ფელიქს ძიმისტარაშვილი, ვაჟა



საქ.შს მინისტრი
**გურამ გვეტაძე**
24/10-31 წ. (87)
22/03-2019 წ.



საქ. შს მინისტრი
**რომან გვენცაძე**
6/04-45 წ. (72)
14/08-2017 წ.



ქ. თბილისის შს მთავარი
სამმართველოს უფროსი
**დემურ მიქაძე**
15/01-42 წ. (76)
19/07-2018 წ.



საქ. შს მინისტრები
**შოთა გორგოძე**
10/09-31 (89) 3/06-2020წ.
**ვარლამ შადური**
1/01-18 წ. (74) 1992 წ.



მარცხნიდან: გურამ ალავიძე, გურამ გვეტაძე - გენერალი, საქ. შს მინისტრი 1980-85 წლებში, გენერალი გიორგი ხაზარაძე, როინ ლიპარტელიანი, აპოლონ ჩიჩხაშვილი, ელგუჯა ბერუაშვილი, დონი ფანჩულიძე, გოგი სუხიშვილი. გად. 09.05.2015წ. „ვაკის პარკში“ ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 70-წლისთავთან დაკავშირებით.



მარცხნიდან, სისხლის სამართლის სამძებროს ინსპექტორები: სოსო ბუტიკაშვილი, კაკო ინაძე, თეიმურაზ ბურდული, ლავრენტი სუხიშვილი, უფროსის მოადგილე: ომარ ახმეტელი, პოლიციის უფროსი: გოჩა სისაური, ს/ს ინსპექტორი: დონი ფანჩულიძე, კახა ცალქალამანიძე, ზურაბ ქუთათელაძე, მამუკა გვაზავა, გადაღებული 1994 წლის იანვარს. დაკავებული იქნა 12 პირი, 4 ჯგუფის შემადგენლობით. აქედან 2 ქებნილი, გახსნილი იქნა 37 ბინის ქურდობა და 6 საკომისიო მაღაზიის ყაჩაღობა. მათგან, ამოღებული იქნა ვიდეტექნიკა და საოჯახო ნივთები. ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის პოლიციის მე-2 ქვეგანყოფილება

მატარაძე, არჩილ ჩომახიძე, გულო ნაჭყებია, დათო წიქარიძე, ირაკლი საზანაძე, ჯემალ ლანჩავა, ნოდარ ქუფარაშვილი, ჯუმბერ ნადარეიშვილი, ვახტანგ ჯაფარიძე, ჯემალ ზალოშვილი, ჯემალ ბარამიძე, დემურ მიქაძე, მირიან თავხელიძე, გურამ გვეტაძე, შოთა გორგოძე, ნუგზარ გაბრიჭიძე, ვაჟა ასათიანი, ტიტე ლეფსაია, ჰამლეტ ხიზანიშვილი, ნოდარ ქუფარაშვილი, თამაზ ბარამიძე, ნუგზარ ბარაბაძე, თენგიზ ჯიაძე, გრიშა გვიშიანი, არჩილ ზღუდაძე=18/IV – 1927 წ., ხვიჩა გუგავა=21/VIII-1990 წ., მურთაზი ხურცილავა = 6/VI-1969წ., გოდერძი არევაძე=11/IX-1936 წ., კახა დევდარიანი = 14/III-1968 წ., თამაზი ბარამაშვილი 18/02-1948 წ., იური არუთინოვი 21/XII-1948 წ., ვაჟა დავითური=1/XII-1946 წ., ვალერიან დაუთაშვილი 23/X-1975 წ., ალექსანდრე ალავიძე 28/X-1950წ., დავით ხაბელაშვილი 11/ V-1955 წ., კახაბერ ხმალაძე=25 IX-1946 წ., ომარი ხუბუა=22/02-1948 წ., ფელიქსი ძიმისტარაშვილი 12/XII-1947 წ., ომარი ქემოკლიძე=5/IX-1945 წ., თეიმურაზ მშვილდაძე=7/VIII-1951 წ., ავთანდილ წიკლაური=5/IX-1962 წ., ზაზა კუთხაშვილი=25/X-1967 წ., ივანე ნაზლიდისი=15/03-1946 წ.,ვახტანგ მუხურაძე=15/03-1928 წ., ალექსანდრე კუნელაური=13/VIII-1924 წ., დავით ზიბზიბაძე=27/02-1962 წ. 5/VII-2002 წ., რამაზ ფირცხალავა, გია მაკანტალაშვილი, არევაძე გოდერძი=11/IX-36, არუთინოვი იური=21/XII-48წ., ინაძე აკაკი 21/XI-1952, ივანე დოღუზაშვილი, ამირან კირკიტაძე, თეიმურაზ მშვილდაძე 8/VII-51 წ., ვალიკო ადეიშვილი, წიკლაური ავთნდილ 9/V-62წ.

მილიციის ორგანოებში მუშაობდნენ ის ცნობილი პირები, რომლებმაც დიდ სამამულო ომში თავი გამოიჩინეს, მიღებული ჰქონდათ მთავრობის უმაღლესი ჯილდო, - „გმირის ორდენი“ და კვლავ განაგძობდნენ მუშაობას დამნაშავე პირებთან ბრძოლის საქმეში.

- თბილისის მილიციის სისხლის სამართლის სამძებროს თანამშრომელი გალაქტიონ რაზმაძე, დიდების სამივე ორდენის

კავალერი პოლკოვნიკი მურმან ჯაფარიძე, წითელი ვარსკვლავის ორდენისა და მედლების კავალერი მილიციის ლეიტენანტი ნიკოლოზ ყვავილაშვილი. გერმანელ ფაშისტებთან ბრძოლის დროს ფეხის არეში დაჭრილი მილიციის ზემდეგი სტეფანე თამაზაშვილი, რომლებმაც სამსახური გააგრძელეს კვლავ მილიციის რიგებში, რომელიც მაგალითი იყო ახალბედა თანამშრომლებისათვის და პირადად ჩემთვის ზაურ ნამგალაძე, - „წითელი ვარსკვლავის ორდენის კავალერი", იმ დამსახურებისათვის, რომელმაც დიდი ოდენობით აღურიცხავი ქალის შუბების საწყობი აღმოაჩინა ერთ-ერთ სარდაფში.

1991 წლის იანვრის თვის დასაწყისში თბილისის გარნიზონის პირადი შემადგენლობის 600 თანამშრომელი შევიდა ქალაქ ცხინვალში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და კონსტიტუციური უსაფრთხოების დაცვის მიზნით, რომელიც შეიარაღებულ შეტაკებაში გადაიზარდა.

„ფოტო მატიანე"



მარცხნიდან დგანან: ხვთისო ხიზანიშვილი, ელგუჯა ნიშნიანიძე, ომარ ჩახუნაშვილი, ჯემალ ლანჩავა, ვანო დონგუზაშვილი, კაკო ბერძული, აკაკი ინაძე, დიმიტრი (მიტო) ნამიჭეიშვილი, გურამ მჭედლიშვილი, ყაზბეგ ლოლაშვილი, შევლუდ ახალკაცი, დონი ფანჩულიძე.

მარცხნიდან სხედან: თემურ ჩიკვილაძე, სოსო მარღიშვილი, თამაზ ქაჯაია, დემურ მანჯიკაშვილი, უშანგი ზურაშვილი (შტაბის უფროსი), ზაურ ნამგალაძე, ვანო ვარდიძე, ჯუმბერ ბაბუაძე, იური მსუქნიძე. გადაღებულია 1983 წლის აპრილში, სამწყობრო დათვალიერებაზე პლეხანოვის გამზირი, "არტოს" ბაღში.

# „ფოტო მატიანე"



მარცხნიდან დგანან: ვახტანგ ბაქრაძე, ელგუჯა ნიშნიანიძე, გურამ მჭედლიშვილი, დემურ მანჯიკაშვილი, დემურ ცხვედიანი, დონი ფანჩულიძე, ჯუმბერ ბაბუაძე, დათო კაჭარავა, ჯუმბერ ნადარეიშვილი, ალიოშა ხვედელიძე, ჯემალ ბარამიძე, სოსო მარღიშვილი, ვანო დონდუხაშვილი, ყაზბეგ ლოლაშვილი.
მარცხნიდან სხედან: გივი წიქარიძე, ტარიელ მარგველანი, ზაურ ნამგალაძე, მერაბ უჭუჭიშვილი, გიგო არაბული, მევლუდ ახალკაცი, სერგო ხარაიშვილი. გადაღებულია: 1.05.1982წ. ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი, "ოპერის" წინ, საპირველმაისო პარადზე საზ. წესრიგის დასაცავად.

# „ფოტო მატიანე"



მარცხნიდან დგანან: გიმელო მაჭარაშვილი, იური მსუქნიძე, იური არუთინოვი, ოთარ ნიკოლაიშვილი, რამაზ ფირცხალავა, ხვთისო ხიზანიშვილი, დონი ფანჩულიძე, ჯემალ ლანჩავა, ელგუჯა ნიშნიანიძე. მარცხნიდან სხედან: ნოდარ ბუაძე, დათო წიქარიძე, დიმიტრი ნამიჭეიშვილი, იუსტიციის გენერალი - ვახტანგ გვარამია, პოლიციის გენერალი - ამური კვერნაძე, თენგიზ პატარიძე. გადაღებულია 1985წ. 1 მაისი. საპირველმაისო დღესასწაულთან დაკავშირებით საზ. წესრიგის დაცვა, რუსთაველის გამზირზე.

# <<ჩვენს შრომას საკ. შ/ს სამინისტროც აფასებდა>>




მარცხნიდან მეორე რიგი, მეექვსე, საქ. შს სამინისტროდან — დონი ფანჩულიძე. მეოთხე რიგი, მეოთხე, საქ. უშიშროების კომიტეტიდან - გია ცინცაძე. ქ. მოსკოვი, 1980 წელი, 10 ნოემბერი, მილიციის დღესთან დაკავშირებით საპატიო სიგელით დაჯილდოება.

## საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის „მებრძოლი ბიჭები"



მარცხნიდან დგანან: დათო ჯარაშნელი, დათო ლოხიშვილი, სოსო ბუტიკაშვილი, მალხაზ ახვლედიანი, კახა ნადირაძე. მარცხნიდან სხედან: ლევან მჭედლიძე, დათო გურგენიძე, დათო ლალიაშვილი, დონი ფანჩულიძე, ოთარ ნიჟარაძე, ვახტანგ ნარმანია. გად. 1992 წლის ივლისი, ზუგდიდი, სოფ. რუხი, ენგურის ხიდთან. აფხაზეთის ომის დასაწყისი...



მარცხ: ამირან კვარაცხელია – აფხაზეთი, მურმან ხარაბაძე – ქუთაისი, ლუდმილა ჩიბიროვა – ოსეთი, სერგო მერქონიანი – აჭარა, დონი ფანჩულიძე შსს სამინისტრო, სხ: ლევან ლორთქიპანიძე – სახანძრო ნაწილი, პაატა ქადარია – რკინიგზის მილიცია. ქ.კოსტრომა კომკავშირის მდივნების საკავშირო შეკრება სემინარი 1979წ სექტემბერი




მარჯვნიდან მეორე რიგი, მეოთხე — დონი ფანჩულიძე. შინაგან საქმეთა სამინისტროს კომკავშირის მდივნების საკავშირო შეკრება-სემინარი. კოსტრომა. ქ. "ვოლგარი". 1979 წელი, სექტემბერი.

(დ.ფ.) 1991 წლის 5 იანვარს დაბა წყალტუბო, სანატორიუმ „აიაში“ შევწყვიტე ჩემი კუთნილი შვებულება ოცი დღით ადრე და ჩავერთე საბრძოლო ოპერაციებში.

1991 წლის 16 იანვარს საღამოს $18^{00}$ საათზე ე.წ. „ძველ ხიდზე“ ტანკსაწინააღმდეგო ნაღმზე აგვიფეთქეს მილიციის თანამშრომლები, - ქირია, ჭიპაშვილი და დოლიძე...

1992 წლის 13 აგვისტოს თბილისის გარნიზონის მილიციის თანამშრომლებს კვლავ მივლინება მოგვიხდა „აფხაზეთის ტერიატორიაზე“, სტრატეგიული ობიექტების და რკინიგზის დასაცავად; რომელიც 14 აგვისტოს უკვე საბრძოლო ოპერაციებში გადაიზარდა, დაიწყო შეიარაღებული დაპირისპირება აფხაზებსა და ქართველებს შორის. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ეროვნული გვარდიას, რომელიც აფხაზეთის ტერიტორიაზე სოჭი - ინგირის სარკინიგზო მონაკვეთის დასაცავად შევიდა, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ვლადიმერ არძინბას განკარგულებით შექმნილმა ე.წ. „აფხაზეთის გვარდიამ“, ოჩამჩირის რაიონი, სოფელ ოხურეისთან ცეცხლი გახსნა. კერძოდ ოჩამჩირის რაიონი, სოფელ არადუსთან ჩემს გვერდით, „სნაიპერის“ ტყვიამ იმსხვერპლა (პირველი მსხვერპლი) შ.ს. მთავარი სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებროს უფროსი ინსპექტორი, პოლიციის მაიორი პაატა ნათენაძე, ხოლო დიდუბე-ჩუღურეთის შ.ს. პოლიციის თანამშრომელი გია გვენცაძე მკლავში დაიჭრა, ომარ ფურცელაძე მტრის სნაიპერის ტყვიამ იმსხვერპლა...

...აფხაზეთში სამხედრო დაპირისპირება 13 თვე და 13 დღე გაგრძელდა. 1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმს მთლიანად აფხაზური მხარე აკონტროლებდა. ქართული სამხედრო ძალები და პოლიცია იძულებული გახდა, აფხაზეთი დაეტოვებინათ, - „რუსეთის დიდი იმპერიის“ ჩარევის შემდეგ.




დიდუბის რაიონის მილიციის მე-2 განყოფილების თანამშრომლები. მარცხნიდან პირველ რიგში: გოგა მსხილაძე, დომენტი (დონი) ფანჩულიძე, აკაკი ინაძე, ზაზა „ბაევიკა“ ციმაკურიძე, ოთარ ნიჟარაძე, ზაზა მაღრაძე. მეორე რიგში: ზაზა დევდარიანი, ნუგზარ თვაური, პეტრე საღარეიშვილი, გია დარჩიაშვილი, მამუკა შუკაკიძე. მესამე რიგში: გოგა კენჭაძე, გია ალავერდაშვილი, ზაზა ქავთარაძე, ზაზა თეთრაძე, დათო ლალიაშვილი, სოსო ბუტიკაშვილი. აფხაზეთი, ოჩამჩირე, სოფ. ლაბრაში გამგზავრების წინ. 1992 წლის დეკემბერი. დონი ფანჩულიძის ფოტოარქივიდან.

## „ბრძოლა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის“



მარცხნიდან: გონერი დარბაიძე, ფორე მოსულიშვილი, მამია ცნობილაძე, დემური ცხვედიანი, დომენტი ფანჩულიძე, შოთა მწარიაშვილი. ფოტო გადაღებულია დიდუბის რაიონის ავღანელთა კავშირის თავმჯდომარის - გურამ ალავიძის მიერ.
ქ. ცხინვალი, 1991 წლის 16 იანვარი. საოლქო კომიტეტის წინ.

# „სამი ტანკისტი“



საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლები. მარცხნიდან: დონი ფანჩულიძე, აკაკი ინაძე, ტარიელ გვენეტაძე. აფხაზეთი, ოჩამჩირე, სოფ. ლაზრა, 1993 წ. თებერვალი. ფოტოარქივიდან



მარცხნიდან დგანან: აკაკი ინაძე, დათო გურგენიძე, უცნობი, ტარიელ გვენეტაძე, უცნობი, უცნობი...
სხედან მარცხნიდან: დომენტი ფანჩულიძე, უცნობი, უცნობი.
აფხაზეთი, ოჩამჩირე, სოფ. ლაბრა. 1992 წლის თებერვალი.



აფხაზეთი, ოჩამჩირე, სოფ. ლაბრა. 1992 წლის დეკემბერი.
დონი ფანჩულიძის ფოტოარქივიდან.

# მოხალისე „პარტიზანებთან“



მარცხნიდან მეხუთე - დონი ფანჩულიძე, დავით ზმანაშვილი, თემურ ჩიკვილაძე, „სამაჩაბლო“, სოფ. მეღვრიკისის მებრძოლ მოხალისეებთან ერთად.
1991 წლის ივნისი

## ჩვენ ვიცავდით „სამაჩაბლოს“ მოსახლეობას!



მარცხნიდან დგანან: კახა ცალქალამანიძე, ბიჭიკო აღდგომელაშვილი, აკაკი ინაძე, კოტე გიგიტაშვილი, „უცნობი-შიმშილა“, ავთო ჩაჩუა. მეორე რიგში: ქენია და გაიოზ დვალიშვილები, თეიმურაზ „კუკარაჩა“ ჩიკვილაძე, ზაზა „ბაევიკა“ ციმაკურიძე.
სხედან მარცხნიდან: დონი ფანჩულიძე, თენგიზ სუზელიანი. ცხინვალი, სოფ. ერგნეთი. 1991 წლის ივლისი.

დაუზუსტებელი მონაცემებით, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დროს 16 ათასი ადამიანი დაიღუპა, 10 000 ქართველი და 4000 აფხაზი. ომამდე რეგიონში 537 000 მოქალაქე ცხოვრობდა, დღეს აფხაზეთიდან 300 ათასამდე დევნილია. აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე სტატისტიკური მონაცემებით სულ დაღუპულია 3368 მშვიდობიანი მოქალაქე. მათ შორის არაქართველი ეროვნების - 218 ადამიანი 99 რუსი, 35 სომეხი, 23 უკრაინელი, 22 ბერძენი, 18 ებრაელი, 15 აფხაზი, 4 აზერბაიჯანელი, 1 ესტონელი და მოლდოველი ეროვნების მშვიდობიან მოქალაქე. დანარჩენი - 3150 ეროვნებით ქართველი...



იზოლდა ბარამიძე

მინდა მოვიგონო საქართველოს მილიციისა და პოლიციის თანამშრომლები, რომლებმაც სიცოცხლის ფასად ბრძოლა გამოუცხადეს სისხლის სამართლის დამნაშავე პირებს, რომლებიც მაგალითს უჩვენებდნენ ახალბედა თანამშრომლებს, როგორნიც იყვნენ თბილისის მილიციის მთავარი სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებროს მუშაკები: ანზორ ბურდული და ალიოშა რზგოევი, გამომძიებელი ქალბატონი იზოლდა ბარამიძე. ტერიტორიული მთლიანობისათვის, სეპარატისტებთან შეიარაღებული საბრძოლო მოქმედებების დროს დაიღუპნენ: პოლკოვნიკი ომარ „ჯოკია“ მეშველიანი, მაიორი პაატა ნათენაძე, ზემდეგი ამირან კირკიტაძე...

ძვირფასო მკითხველო, - ჩემს მიერ გამოცემული წიგნის საშუალებით მინდა გაგაცნოთ ასევე ის კოლორიტი (მილიციის), პოლიციის, პროკურატურისა და სასამართლოს ღვაწლმოსილი თანამშრომლები, რომლებიც გამოირჩეოდნენ კაცურკაცობით, ზრდილობით, განათლებით, ყველა ამ ერთობლიობით, რომლებიც

მაგალითი იყო ახალბედა მილიციისა და პოლიციის თანამშრომლებისათვის, - ნუგზარ გაბრიჩიძე, ტარიელ კვაშალი, მადონა გაფრინდაშვილი, უშანგი ზურაშვილი, სასამართლოს თავმჯდომარე ვალენტინ შადური...

მინდა მათ მარადისობაში გადასულ სულს დავემშვიდობო ლადო ასათიანის ლექსით, -

## „ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი "

საქართველოში იბადებოდნენ
და შემდეგ მუდამ სწუხდნენ ამაზე.
ეჰ... წუთით მაინც დაბრუნდებოდეს
ჩვენი ბავშვობა და სილამაზე.

თავს არ მოიკლავს ქართველი, არა,
ის შეიძლება ბრძოლაში მოკვდეს -
ერთი იმედით: სიცოცხლე მარად
გაგრძელდეს ქვეყნად და განმეორდეს.

საქართელოში როცა კვდებოდნენ.
უფრო და უფრო სწუხდნენ ამაზე.
ეჰ, წუთით მაინც დაბრუნდებოდეს
ჩვენი ბავშვობა და სილამაზე!

ჩვენ ვაჟკაცობა ძველთაგან მოგვდევს,
ყველამ გაიგოს, ყველამ იცოდეს!
ჩვენ, შეიძლება ბრძოლაში მოკვდეთ,
მაგრამ არც მაშინ ვტოვებთ სიცოცხლეს.

რადგან სიცოცხლე ასე ნავარდობს,
სიკვდილის ყველა კარი დარაზეთ,
და იმ ბედნიერ დღეს გაუმარჯოს,
როცა ჩვენ გავჩნდით ამ ქვეყანაზე!

რამოდენიმე წიგნის ავტორი, სსრ კავშირის სპორტის ოსტატი ჭიდაობა „სამბოში“, სსრ კავშირის ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელით დაჯილდოებული 1980 წლის 10 ნოემბერს ქ. მოსკოვში, „მილიციის დღესთან“ დაკავშირებით. გაზეთ „თაობიდან-თაობამდე“-ს რედაქტორი, ავღანეთისა და სხვა ომების მეომართა დახმარების საერთაშორისო ფონდის პრესსამსახურის ხელმძღვანელი, ფანჩულიძეების გვარის წინამძღვარი და ფონდის თავმჯდომარე, მილიციის „ფრიადოსანი“, „საპატიო მილიციელის კავალერი“, დაჯილდოებულია I-II-III-ე ხარისხის მედლით „უმწიკვლო სამსახურისთვის“ წმინდა სოფიას სამხედრო ორდენის „დიდი ჯვრის რაინდი“, კონსტანტინოპოლის ჰერაკლის გვირგვინის კეთილშობილური ორდენის დიდი ჯვრის კავალერი; „დრაკულას ორდენის" კავალერი, ორჯერ წარდგენილი „ღირსების ორდენზე“ <<ვეტო პრეზიდენტების>> მარგველაშვილის და ზურაბიშვილის მმართველობის დროს. საქართველოს სამხედრო ისტორიის საზოგადოების მრჩეველთა საბჭოს წევრი, „ქვემო ქართლის“ და 9-აპრილის მოვლენების, „სამაჩაბლოსა“ და „აფხაზეთის“ ომებში მრავალჯერ მონაწილე, შრომის, ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანი, თადარიგის პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი:

დ ო მ ე ნ ტ ი (დონი) ფ ა ნ ჩ უ ლ ი ძ ე




„სამაჩაბლოში„ და „აფხაზეთში“ დაღუპული მეომრებისათვის პარაკლისი ქაშუეთის ეკლესიაში
მარცხნიდან: ლაშა ბარათაშვილი, თომა თომაძე, დონი ფანჩულიძე, მამუკა ჭანუყვაძე, გურამ დამენია, ზაირა მიქატაძე


ომისა და შეიარაღებული ძალების
ვეტერანები,თერჯოლის მუნიციპალიტეტის
მერიის მიწვევით "ვეტერანთა დღის" აღსანიშნავად
ქ.თერჯოლა 17 ოქტომბერი 2018 წელი.

## თანამებრძოლები და ომის ვეტერანები მადლობას გიხდით ბატონო პრემიერო ჩვენზე დაწესებული, - „გაყინული შეღავათების“ გალღობისათვის!..


ირაკლი ღარიბაშვილი
საქართველოს პრემიერ-მინისტრი

2005 წელს ვეტერანებისთვის შეღავათების გაუქმების საკითხს 147 დეპუტატმა დაუჭირა მხარი, 48 დეპუტატმა თავი შეიკავა, მახსოვს, მხოლოდ პარლამენტარმა მანანა ნაჭყებიამ იყვირა ხმამაღლა, რას შვრებით, რას აკეთებთ, მაგრამ უშედეგოდ, დღეს ომის ვეტერანს არ აქვს შემოსავალი, არ იღებს ხელფასს, სოციალურ დახმარებას.

ძ ვ ი რ ფ ა ს ო მკითხველო: კენჭისყრის შედეგები გამოცხადდა 2005 წლის 23 დეკემბერს 12:17 საათზე. ზემოთ აღნიშნულმა პარლამენტის დეპუტატებმა, (იხილეთ დონი ფანჩულიძის წიგნი „სამართალი ნაძირლების გარმოცვაში გვ. 187-207) პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის ხელმძღვანელობით, საქართველოს პრეზიდენტის (ე.ა. შევარდნაძის) 1995 წლის 17 ოქტობრის კანონი შეცვალეს, 2005 წლის 23 დეკემბერს. მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებს (ინვალიდებს) მათთან გათანაბრებულ პირებს, სხვა სახელმწიფოების ომის მონაწილეებს, ძალოვან სტრუქტურების, მარჩენალდაკარგულების და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ბრძოლის მონაწილეებს მოუხსნეს ძირითადი შეღავათები, რომლებიც გათვალისწინებული იყო საქართველოს პრეზიდენტის (ე.ა. შევარდნაძის) 1995 წლის 17 ოქტომბრის #812-ის კანონით.




დონი ფანჩულიძე ცენტრში თანამებრძოლებთან და ომის ვეტერანებთან ერთად ფინანსთა სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის წინ მოთხოვნით: გაუქმებული სოციალური სუბსიდიების აღდგენისათვის ქ. თბილისი, იანვარი, 2020 წ.

აღნიშნული კანონის დამტკიცებაზე აღნიშნულია წიგნში: - „სამართალი ნაძირლების გარმოეცვაში“.

ავტორისაგან: ძვირფასო მკითხველო, ის მამულიშვილები, პაპები, ბაბუები, ბიძები, ქალბატონები, მშობლები, უახლოესი ადამიანები, რომლებმაც იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის ხელმძღვანელობით „ფაშიზმი“ უკუაქცია და გაანადგურა, ფეხით მიყვნენ გერმანიამდე, ჯანმრთელობისა და სიცოცხლის ფასად, ეს შედეგი მიიღო შთამომავლობიდან, ომის მონაწილეებს შეღავათები მოუხსნეს!!! მოტეხილი თანხით გააგრძელეთ ვოიაჟები ევროპაში და ამერიკაში. პარლამენტში ასეთი საკითხების გადაწყვეტილებისათვის დაღლილი იქნებით. 4 წლის შემდეგ, როდესაც პარლამენტიდან პენსიაში გახვალთ, მიუხედავად შრომის წიგნაკის იქ შევსებისა, მშვიდობაში მოიხმარეთ თქვენთვის დანიშნული 500 ლარი, ყოველ თვის ბოლოს მიღებული, ჩვენ ვეტერანები 22 ლარსაც დავჯერდებით...

ავტორისაგან დ.ფ.: - „სოციალური შეღავათების მონეტიზაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებაში შეტანილი ცვლილებებია 2022 წლის იანვრიდან, გაიზარდა საყოფაცხოვრებო სუბსიდიის ოდენობა და ყოველთვიურად, $22^{00}$ და $44^{00}$ ლარის ნაცვლად იქნება 100 ლარი.

ომის ვეტერანების სუბსიდია 22 ლარიდან 100 ლარამდე გაიზარდა. საქართველოს პრემიერმა, - ირაკლი ღარიბაშვილმა 2021 წლის 6 დეკემბერს განაცხადა, შესაბამისად დადგენილება კი მთავრობამ 31 დეკემბერს მიიღო და ის ძალაში 2022 წლის იანვრიდან შევიდა.

ბატონო პრემიერ - ირაკლი ღარიბაშვილს - თანამებრძოლებისა და ომის ვეტერანების სახელით დიდი მადლობა!

დონი ფანჩულიძე


ტარიელ ჩარქსელიანი

*ვუძღვნი ჩემი წიგნის გმირ თანამშრომლებს,*
*რომლებმაც ვალი მოიხადეს სამშობლოს წინაშე.*
*(დ. ფ.)*

* * *

სიცოცხლე უნდა ქარიშხალს გავდეს,
მეხის გავარდნას გავდეს სიკვდილი,
მტერიცა გყავდეს, მოყვარეც გყავდეს,
მაგრამ არც ერთთან ჭამო სირცხვილი!
სიცოცხლე უნდა სიმღერას გავდეს,
სანამ გული შეწყვეტდეს ფეთქვას,
და თუ ცხოვრებას ვერ გაუმკლავდი
მაინც უნდა თქვა, რაც უნდა გეთქვა!
სიცოცხლე უნდა მადლობა იყოს,
ღვთისადმი შენგან კრძალვით მიძღვნილი,
ისე ლამაზად უნდა იცხოვრო,
მზის ჩასვლას უნდა გავდეს სიკვდილი!
სიცოცხლე უნდა სანთელი იყოს,
სამშობლოს ხატზე შენი მიძღვნილი,
ისე ლამაზად უნდა იცხოვრო,
ღმერთსაც ეწყინოს შენი სიკვდილი,
არწივი მუდამ სიმაღლეს ეძებს,
ამაყი კაციც სიმართლით ფასობს,
ჭკვიანი ცხენი არ ირტყამს დეზებს,
მათრახს ის ირტყამ ვინც არაკაცობს!

ტარიელ ჩარქსელიანი



ვალერი ფანჩულიძე

*მ ო გ ო ნ ე ბ ა*

## ვალერი ფანჩულიძე
## (9/05/1975 წ - (49) - 14/09/2021 წ.)

...1991 წელია, სტუდენტი ვარ, ცოტა მიქრის (როგორც ყველას, ალბათ ის დრო გახსენდებათ) ნასვამი ვარ, მოკლედ დიდუბეში ისეთი ჩხუბი მომივიდა „კაცი კაცსა შემოვტყორცნე“ და ერთი ორი პოლიციის მიყოლებაც მომიწია. უცებ ბევრი შეიკრიბა, სხვები გაიქცნენ, მე დავრჩი და მდგომარეობაც გართულდა. ერთმა კაპიტანმა ისე ჩამავლო ხელი, მაჯები კინაღამ დამიმტვრია. ბევრად უფროსი და ისეთი პატივსაცემი, სიმპატიური კაცი იყო, ვერ შევკადრე წინააღმდეგობის გაწევა. უკვე აზრიც აღარ ქონდა. ნუ გამაბეს რა !!...

რა გვარი ხარო და ფანჩულიძე რომ გაიგო ცოტა მოლბა - საიდან ხარ?! თერჯოლიდან. ვისი ხარო და გულბადის-მეთქი რომ ვუთხარი კაცი გაფითრდა, აკანკალდა, ცრემლები წამოუვიდა, გულში ჩამიკრა. ბიჭო, მამაშენის ტანსაცმელებში ვარ გაზრდილიო - მითხრა. წადით, ამას მე მივხედავო, სხვებს მიაძახა და კრუხი რომ წიწილს გადაეფარება ისე, გვერდით გამიყვანა. ბევრი მეფერა, ბევრი მეჩხუბა, ბევრი ჭკუა დამარიგა, ტკიცინა 100 მანეთიანი მაჩუქა, ტაქსში ჩამაჯინა და გამომიშვა. ხშირად გამომიარე ბიძია, აქ, „დიდუბის მეტროსთან“, სადაც უნდა მიკითხო ყველა მოგასწავლისო... მომაძახა. არასოდეს მივსულვარ, ვიცოდი ფულს მაჩუქებდა და მრცხვენოდა. არადა სულ მინდოდა ამ კაცის გულში ჩახუტება, რომელმაც მაშინ გაუბედურებას გადამარჩინა. იმ წუთს მამა გამიცოცხლა, სიამაყე და ბედნიერება შემძინა, ბევრ რამეზეც დამაფიქრა.



გულბადი ვალერიანის-ძე
ფანჩულიძე
1948-1975

დონი ფანჩულიძე იყო ეს კაცი, პოლიციის პოლკოვნიკი, დამსახურებული მოღვაწე, შეუდრეკელი, ღირსეული და გამორჩეული პიროვნება. სიკეთის გულით მატარებელი, ლამაზი კაცი. მახსოვს რომ მითხარი, შვილო ეცადე კარგი კაცი გამოხვიდე, შენ სხვა უფლება არ გაქვსო! როცა რამე ისე არ იყო, სულ შენი სახე წარმომიდგებოდა, ახლაც სულ ვცდილობ და იმედია გამომივა. ძალიან მაგრად მიყვარხართ დონი ბიძია, ახლაც მეტირება. იმ კაცობისათვის კიდევ ერთხელ დიდი მადლობა, რომ პოლიციის აკადემიის დამთავრების შემდეგ, ჯერ კიდევ ახალგაზრდამ, ჩავდექი წესრიგისა და მართლწესრიგის დაცვის სამსახურში. ჯერ მილიციაში, შემდეგ პოლიციში, პოლკოვნიკის წოდებამდე.

ვალერი ფანჩულიძე 30/V – 2019 წ.

„ფეისბუქი" ინტერნეტი

ბატონო, - ვალერი (ბაბუის მოსახელე, რომელიც ჩხარის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე იყო წლების განმავლობაში, ავტორიტეტით სარგებლობდა მოსახლეობაში) წავიკითხე და ცრემლის გარეშე ვერ დავამთავრე წაკითხვა... ყველაფერმა ამ ამბავმა დამაბრუნა 1965/66 წლებში... შუა დღეა, პაპანაქება სიცხეა, ჭიშკართან გულბადი (მამათქვენი, რომელიც სამედიცინო ინსტიტუტის მე-2 კურსის სტუდენტი იყო, სწავლობდა ვლადიკავკაზში... (ორჯონიკიძეში...)

მეძახის, - დონი! დ-ო-ნ-ი!!!... გავიხედე, - ბიჭო გავიგე დიდი კამერა გქონია, მეზობელმა ამბავი მომიტანა, მდინარე ძევრულა ადიდებულია, ოთხივე „ტურბინა“ ჩართული ყოფილაო... გავიქეცით მოკლეზე, კოლმეურნეობის ვენახები გადავჭერით, დავუყევით კამერით დინებას, მივედით სოფელ ეწერში. წარმოიდგინეთ, ფეხით ბავშვები უკან დაბრუნებისას რამდენ კილომეტრს გამოვივლიდით?... კარგი, - ბებია, ბაბუა და მშობლები გყავდა, ღმერთმა გაანათლოთ მათი უმწიკვლო სულები. 2019 წლის 28 აპრილს „აღდგომას“ მე და ჩემმა დედმამიშვილებმა „ოქონის სასაფლაოზე“ ყველას სანთელი აუნთეთ...

ჩემს გამოცემულ წიგნში ყველა ჩვენი საგვარეულოდან გარდაცვლილები მოხსენიებული მეყოლება... ერთხელ კიდევ მადლობა იმ მოგონებისათვის, რომელ შემთხვევიდან თითქმის სამი ათეული წელი განვლო, - „კარგი ჰქენი, ქვას დადევი, გაივლი და წინ დაგხვდება“ – (ხალხური)

*დომენტი ფანჩულიძე*

*30/V – 2019 წელი.*

(დ.ფ.) შვილო ვალერი, ეს პოსტი ფეისბუქზე რომ განათავსეთ, რამოდენიმე დღეში თქვენი თავი ვერაგმა თავსმოხვეულმა ეპიდემიამ, - „კორონამ“ წაგვართვა, მიუხედავად ექიმების სათანადო მკურნალობისა, თქვენ მარადისობაში გადაგიყვანათ. იძინეთ მშვიდად, მსუბუქი ყოფილიყოს ქართული მიწა დაყრილი თქვენს გულზე, სანთელ-საკმეველი და არ დავიწყება ნუ მოგკლებოდეთ.

*დონი ფანჩულიძე*

# შალვა ღამბაშიძის მარადიულ ხსოვნას

*(ინტერნეტსივრცე)*



შალვა ღამბაშიძე

მეგობრებო! ძალოვანი სისტემის თადარიგის კადრს, „სამაჩაბლოსა“ და „აფხაზეთში“ ომების მონაწილე თანამებრძოლებსა და ომის ვეტერანებს! 2023 წლის 2 მარტს, - „ქაშვეთის“ ეკლესიიდან გამოსვენებული და დაკრძალული იქნა, - ქ. თბილისის პოლიციის გარნიზონის თადარიგის კადრი, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, - „სამაჩაბლოში“ და „აფხაზეთის“ ომებში მრავალჯერ მონაწილე, წარმატებული სპორტსმენი ფეხბურთში ახალგაზრდულ გუნდებში, სანიმუშო მეგობარი, - „ღიმილის და ადამიანური სიყვარულის დაუღალავი“, ერთ-ერთი ქართული გენის ნიმუში, „დიდი შალვა ღამბაშიძის“ სახელისა და გვარის გამგრძელებელი, მეუღლე, მშობელი, ბაბუა (54 წლის), - **შალვა ნუგზარის-ძე ღამბაშიძე**.

წინაპრების ბრძნული ნათქვამია, გარდაცვლილი ცუდად არ უნდა მოიხსენიონო, თქვენ ამას არ იმსახურებთ... ბატონ შალვას მუშაობიდან გამომდინარე, მიუხედავად ძალოვან-დამსჯელ სისტემაში მუშაობისა, ყოველთვის ცდილობდა დაეთესა სიყვარული, ქართველი კაცის გენი და სილაღე, ადამიანის მოფერება, პატივისცემა, მორიდება, ის, რომ ისეთ ოჯახში გაიზარდა, რომლის მშობელი მამა ათეული წლების განმავლობაში საპასუხისმგებლო თანამდებობიდან - თანამდებობაზე ინიშნებოდა და ნიშნავდნენ. მისი კარიერით არასდროს უსარგებლია, პირიქით, ცდილობდა მამა არ შეერცხვინა, მისი სახელით არ

ესარგებლა. ჩემს თავს უფლებას ვაძლევ, ამ გაბედული მოგონებით ერთხელ კიდევ მინდა დავამტკიცო მისი ადამიანობა, კაცობა, თავმდაბლობა და რაც კი ადამიანს გააჩნია და დღევანდელი გადმოსახედიდან „დეფიციტია“ და ამასთან ერთად მამაშვილური ფრთხილი ურთიერთობა... ბატონ, - შალვას, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ლეიტენანტს, მეგობარი დაუკავეს წვრილმან ხულიგნობაზე, იმ პოლიციის განყოფილებაში, სადაც მისი მამა პოლიციის უფროსის თანამდებობაზე იყო. გვთხოვა, მამას არ გააგებინოთ მე თუ გულშევმატკივრობო. ცდილობდა მის სტუდენტ მეგობარს პრობლემები არ შეხვედროდა უნივერსიტეტში, რომელიც მხოლოდ უმნიშვნელო ჯარიმით შემოიფარგლა...

ბევრი სიკეთის გამკეთებელ 54 წლის ასაკში დასანანია, რომ დავემშვიდობეთ და დაგვემშვიდობა, სიყვარულისა და ადამიანობის მაგალითის მიმცემი, რომელიც დღეის გადმოსახედიდან მოკლებული ვართ ქართველი ერი...


შალვა ღამბაშიძე

მინდა სამძიმარი გამოვთქვა, - მშობლების, მეუღლის, შვილების, შვილიშვილების, ახლობლების, ნათესავების, კოლეგების, თანამებრძოლების, ომის ვეტერანებისა და პირადად მამის, ბატონ, - ნუგზარის წინაშე, თქვენ საქართველოსა და ქართველ ერს აღუზარდეთ სამაგალითო ადამიანი, რომელმაც ჯერ კიდევ (54 წელი) ახალგაზრდამ მიაღწია და დაიმსახურა ყველას მიმართ სიყვარული, დაფასება, რომელიც ყველა ჯილდოს გაუტოლდება.

არ მოკლებოდეს მოგონება და სანთელ-საკმეველი მის ახალგაზრდა, ვაჟკაცურ სულს.

დონი ფანჩულიძე

## ლეგენდარული ფეხბურთელი სსრკ სპორტის ოსტატი

## გოჩა გავაშელი

**(18/02-47 წ. (50) 25/12-97 წ.)**



გოჩა გავაშელი

გოჩა გრიგორის-ძე გავაშელმა პროფესიონალური კარიერა დაიწყო 1966 წლიდან თბილისის „ლოკომოტივში“ 1967 წელს გადავიდა „დინამოში“, ჩაატარა 183 მატჩი, მოწინააღმდეგის კარი აიღო 48-ჯერ. საკავშირო პირველობაზე 22 გოლი გაიტანა, დაიმკვიდრა ბომბარდირის სახელი. 1976 წელს გახდა სსრკ თასის მფლობელი. 1968 წელს მიენიჭა საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატის წოდება.

კუიბიშევის, - „კრილია-სოვეტის“-თან ერთ შეხვედრაზე 5-გოლი გაუტანა, ილია დათუნაშვილის რეკორდი გაიმეორა. „დიდი სპორტი“-დან წასვლის შემდეგ 1983-1986 წლებში იწყებს მუშაობას დიდუბის (პირველი მაისის) სახ. რაიონში სოციალური საკუთრების, დატაცების წინააღმდეგ ინსპექტორის თანამდებობაზე. თბილისში, იმ დროისათვის აქტიური ყურადღება ექცეოდა სპარტაკიადის ჩატარებას სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებში, როგორც შ/ს რაიგანყოფილების ფიზმომზადების ხელმძღვანელი, აქტიურად მედგა მხარში, ჩვენი განყოფილების სახელით რამდენიმეჯერ მიიღო მონაწილეობა, რათა ესახელებინა ჩვენი დანაყოფი...




გოჩა გავაშელი

რამდენი რამის მოგონება შეიძლება მის მიმართ, ის ხომ ჩვენი ახალბედა მილიციელების „კასირი“ იყო, ყველას გვეხმარებოდა და ვალსაც არ იბრუნებდა...

1997 წლის 15 დეკემბერს ჯერ კიდევ 50 წლის ასაკში გარდაიცვალა. სამარადისო დიდება - ბატონო გოჩა!

*დონი ფანჩულიძე!*



დავით ბოჭორიშვილი

## = უდროოდ დაგვემშვიდობა =

## დავით გიორგის-ძე ბოჭორიშვილი

**10/10-51 (52) 26/12-2003**

დაიბადა 1951 წელს ლაგოდეხის რაიონში, დაამთავრა ლაგოდეხის რაიონის სოფელ ლელიანის საშუალო სკოლა,

1976 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულ-ტეტი;

1976 წელს დაინიშნა ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიპროკურატურის სტაჟიორად;

1977 წელს დაინიშნა ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიპროკურატურის გამომძიებლად;

1980 წელს დაინიშნა ქ. თბილისის პროკურატურის უფროს გამომძიებლად;

1985 წელს დაინიშნა საქართველოს სსრ პროკურორის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლად;

1987 წელს დაინიშნა ქ. თბილისის კიროვის რაიონის პროკურორად;

1991 წელს დაინიშნა. ქ. თბილისის პროკურატურის საგამოძიებო განყოფილების უფროსის მოადგილედ;

1994 წელს დაინიშნა საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის საგამოძიებო აპარატის უფროსის მოადგილედ;

1997 წელს დაინიშნა ქ. თბილისის პროკურატურის საგამოძიებო აპარატის უფროსად;

2000 წელს დაინიშნა ქ. თბილისის კრწანისის რაიონის პროკურორის მოადგილედ;

2001 წელს დაინიშნა ქ.თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პროკურორის მოადგილედ;

1986 წელს დაჯილდოვდა საპატიო ნიშნის ორდენით, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ;

1997 წელს დაჯილდოვდა ღირსების მედლით, საქართველოში კანონიერების და წესრიგის გამტკიცებაში შეტანილი დიდი წვლილისა და მაღალი პროფესიონალიზმისთვის;

1986 და 1990 წელს საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ გამოეცხადა მადლობა.

დავით ბოჭორიშვილი ტრაგიკულად დაიღუპა 2003 წლის 26 დეკემბერს.

## ჯონდო იაკობის-ძე ნემსიწვერიძე

17/03/1939=78=29/12/2017

### (დ.ფ.) <<ჩემი სიცოცხლის 30 წელი თქვენი ნაჩუქარია>>


ჯონდო ნემსიწვერიძე

ჯონდო ნემსიწვერიძე დაიბადა 1939 წლის 17 მარტს ამბროლაურის რაიონი, სოფელ ხვანჭკარაში. მისი ძირითადი საქმიანობა მეუღლესთან ლეილა ვასილის ასულ ნიკოლაიშვილთან ერთად დაუკავშირა ტრანსპორტს. ძირითადად ს/ს „დიდუბის ავტოვაგზალს“.

გარდაიცვალა 2017 წლის 29 დეკემბერს, 78 წლის ასაკში. სამარადისო დიდება, სანთელ-საკმეველი ნუ მოგკლებოდეთ ჩემო გადამრჩენელო ბატონო ჯონი!

... ჟურნალისტი: ყველაზე მძაფრი სამსახურეობრივი ეპიზოდები!

- (დ.ფ.): ერთ დღესაც დიდუბის ავტოსაგდურში სროლები ატყდა, იმ ტერიტორიას ვემსახურებოდი და შემთხვევის ადგილისაკენ გავიქეცი. ვხედავ დისპეჩერი - ჯონი ნემსიწვერიძე შუაში დგას, მის გვერდით მოლარე - მარინა სონღულაშვილი და ცნობათა ბიუროს

თანამშრომელი - ჟუჟუნა ხუციანიძე. ამ ორ ავტომატ მომარჯვებულ ფორმიან ბიჭებს აწყნარებდნენ, რომლებსაც მგზავრთა მოსაცდელ დარბაზში ჩამოკიდებული ორი დიდი ელექტრო საათი დაუცხრილავთ. დამინახეს თუ არა, ყვირილი დამიწყეს „შენ აქ რა გინდა, ახლა აფხაზეთში არ უნდა იბრძოდეო? და ერთ-ერთმა ავტომატი დამიმიზნა. მე ვუთხარი, „შვილებო, ერთი კვირის ჩამოსული ვარ-მეთქი და ავტომატში ვწვდი. ამასობაში, მეორეს, უკან მდგომს დაუმიზნებია თურმე იარაღი, რომელსაც ჯონიმ ხელი აუკრა და ტყვიები ზემოთ აფრინდა, ახლაც დარჩენილია დიდუბის ავტოვაგზლის ჭერში ჩემთვის ნასროლი სამი ტყვია.

მის სულს ვენაცვალე! მე, მაშინ ჯონი ნემსიწვერიძემ სიკვდილს გადამარჩინა...

1994 წლის იანვარია, აფხაზეთის ომი ახალი დამთავრებული იყო, როცა ქუჩაში თვითმარქვია „მხედრიონელები“ და „გვარდიელები“ დათარეშობდნენ. მეტრო „დიდუბის“ მიმდებარე ტერიტორიიდან ავტომატით შეიარაღებულმა სამმა პირმა ბუდუ ჭიჭინაძის კუთვნილი ავტომანქანა დააყაჩაღა. ჯერ კიდევ არეულობა იყო, როგორც მთელ საქართველოში, ასევე თბილისში. მიუხედავად ჩვენი გაფრთხილებისა მაინც მოგვიხდა ე.წ. „პერესტრელკა“, რომლის დროსაც ერთი ყაჩაღი გარდაიცვალა, მეორე კი ფეხში დაიჭრა, მესამე გადატენილი ავტომატით ჩემსკენ გამოიქცა. მოულოდნელად წვდი ავტომატს, ხელიდან გამოვგლიჯე, ტროტუარზე დავანარცხე და რამდენიმე წუთს გაკოჭილი მყავდა, სანამ დამატებითი ძალები არ მომეხმარნენ. ეს ხდებოდა აკაკი წერეთლის გამზირზე, გამოფენის წინ. მე მან გამიმეტა, მე კი მას სიცოცხლე შევუნარჩუნე. ამ ოპერაციაში გამოჩენილი მამაცობისათვის, რიგგარეშე მომანიჭეს „მაიორის“ წოდება.

ფოტო არქივიდან







„დიდუბის ავტოვაგზალი"
მგზავრთა მოსაცდელი დარბაზი

ზირზე, №115 საცხოვრებელი კორპუსის წინ იდგა, დავიწყეთ ტყვია-წამლის, ავტომატური იარაღისა და პროდუქტების ჩალაგება. ეს ყველაფერი მძღოლის თვალწინ ხდებოდა. მიხვდა, სადაც მიდიოდა და პანიკაში ჩავარდა, მიგვატოვა და გაგვექცა. იძულებული გავხდი, საჭესთან დათო ლალიაშვილი დამესვა.

აფხაზეთისაკენ მიმავლებმა გზაში ბრძანება მივიღეთ - უნდა გავჩერებულიყავით სენაკში, სანატორიუმ „მენჯში". იქ გავათენეთ ის ღამე და მეორე დღეს, დილის 6 საათზე აგვაყენეს. ჩვენს წინ იდგა მამაკაცი, მფრინავის ფორმით, რომელიც შემდგომში აღმოჩნდა ჯიმი მაისურაძე, ის იმდროინდელ თავდაცვის მინისტრს თენგიზ კიტოვანს და შ/ს მთავარი სამმართველოს უფროსს, დავით ზეიკიძეს რჩევა-დარიგებას აძლევდა, რომ ტრანსპორტისათვის ზემოდან დაემაგრებინათ თეთრი ზენრები ერთგვარი მინიშნება-პაროლისათვის.

...ზუგდიდში, სოფელ ცაიშთან მანქანა გაგვიფუჭდა, სხვა გზა არ გვქონდა, ადგილობრივ მაცხოვრებელს ჩავაბარეთ, გადმოვალაგეთ ცოტაოდენი პროდუქტი, ჩვენ-ჩვენი შეიარაღება და დავადექით გზას. გაგვიჩერა ავტობუსმა, რომელშიც ისხდნენ სამხედრო ფორმიანი პირტიტველა ბიჭები, ავტომატური იარაღებით მჭიდის გარეშე. რამდენიმე კილომეტრის გავლის შემდეგ დაგვეჯახა ჩვენს უკან მომავალი ტანკი, რომელმაც დააზიანა ძრავი და რადიატორი. ავტობუსი რომ გაჩერდა, რადიატორი წყლის არხში იყო გადაგდებული. ისევ დავდექით საავტომობილო გზაზე, უკვე გალის რაიონის ტერიტორიაზე ვართ. ნელ-ნელა გვიახლოვდებოდნენ და გვისწრებდნენ ტანკები. გაგვიჩერა ბათუმიდან მომავალმა მიკროავტობუსმა, შიგ იჯდა ოთხი აფხაზი, რომლებსაც ჩვენ გავაგებინეთ, რომ აფხაზეთში შედიოდა პოლიციის 600 თანამშრომელი და თავდაცვის სამინისტრო მძიმე ტექნიკით.

ერთი კილომეტრის გავლის შემდეგ საშინელ საცობში აღმოვჩნდით. დავიძარით ფეხით და მივაღწიეთ ოჩამჩირის რაიონამდე, ასი მეტრით წინ წაწევის შემდეგ ჩვენი მიმართულებით აფხაზებმა დაიწყეს ინტენსიური სროლები. ამას არ ველოდით. ასე დაიწყო ოჩამჩირის რაიონის სოფელ არადუში საბრძოლო მოქმედებები.

14 აგვისტოს ინფორმაცია მივიღეთ, რომ დჭრილი იყო რიგითი მილიციელი ომარ ფურცელაძე. მე, პაატა ნათენაძე და კიდევ რამდენიმე თანამებრძოლი ხუთ წუთში შემთხვევის ადგილზე გავჩნდით. აფხაზებმა დაგვახვედრეს ჩასაფრებული სნაიპერები. საპასუხო სროლებისას, ცარიელი მჭიდის შეცვლის დროს მეორე მჭიდი ძირს დამივარდა, ალების მომენტში დავინახე, პაატა ნათენაძე, რომელიც ჩემ გვერდით იდგა, მიწაზე წაიქცა. ასე მგონია, ჩემთვის ნასროლი ტყვია მას მოხვდა. ამიტომაც მისი სულისა და ოჯახის წინაშე მთელი ცხოვრება ვალში ვიქნები. ეს ვალი რომ შევიმსუბუქო, ყველა დაბადების დღეზე, თანამებრძოლებთან ერთად, პაატას საფლავზე გავდივარ ახალციხეში...



მარცხნიდან დგანან: აკაკი ინაძე, დათო გურგენიძე, უცნობი, ტარიელ გვენეტაძე, უცნობი, უცნობი...
სხედან მარცხნიდან: დომენტი ფანჩულიძე, უცნობი, უცნობი.
აფხაზეთი, ოჩამჩირე, სოფ. ლაბრა. 1992 წლის თებერვალი.

## ყველაზე მძაფრი სამსახურებრივი ეპიზოდები

ერთ დღესაც დიდუბის ავტოსადგურში სროლები ატყდა. იმ ტერიტორიას ვემსახურებოდი და შემთხვევის ადგილისკენ გავიქეცი. ვხედავ, დისპეტჩერი ჯონი ნემსიწვერიძე შუაში დგას და ახალგაზრდებს აწყნარებს. დამინახეს და შენ აქ რა გინდა, ახლა აფხაზეთში არ უნდა იბრძოდეო და ერთ-ერთმა ავტომატი დამიმიზნა. მე ვუთხარი, შვილებო, ერთი კვირის ჩამოსული ვარ-მეთქი და ავტომატში ვწვდი. ამასობაში, მეორესაც დაუმიზნებია თურმე იარაღი, რომელზედაც ჯონიმ აუკრა ხელი და ტყვიები ზემოთ აფრინდა, ახლაც დარჩენილია დიდუბის ავტოსადგურის ჭერში ჩემთვის ნასროლი სამი ტყვია. მის სულს ვენაცვალე, მე მაშინ ჯონი ნემსიწვერიძემ სიკვდილს გადამარჩინა.

1994 წლის იანვარია, - აფხაზეთის ომი ახალი დამთავრებული იყო, როცა ქუჩაში თვითმარქვია მხედრიონელები და თვითმარქვია გვარდიელები დათარეშობდნენ. მეტრო დიდუბის მიმდებარე ტერიტორიიდან ავტომატით შეიარაღებულმა სამმა პირმა ბუდუ ჭიჭინაძის კუთვნილი ავტომანქანა დააყაჩაღა. ჯერ კიდევ არეულობა იყო როგორც მთელ საქართველოში, ასევე, თბილისშიც. მიუხედავად ჩვენი გაფრთხილებისა, მაინც მოგვიხდა ე.წ. „პერესტრელკა", რომლის დროსაც ერთი ყაჩაღი გარდაიცვალა, მეორე კი დაიჭრა, მესამემ გადატენილი ავტომატი ჩემკენ მომართა. მოულოდნელად ვწვდი ავტომატს, – ხელიდან გამოვგლიჯე, ტროტუარზე დავანარცხე და რამდენიმე წუთს გაკოჭილი მყავდა, სანამ დამატებითი ძალები არ მომეხმარა. ეს ხდებოდა აკაკი წერეთლის გამზირზე, გამოფენის წინ, მე მან გამიმეტა, მე კი მას სიცოცხლე შევუნარჩუნე. ამ ოპერაციაში გამოჩენილი მამაცობისთვის რიგგარეშედ მომანიჭეს „მაიორის წოდება".

**- რა არის თქვენთვის ბედნიერება?**

- ბედნიერება დაკავშირებულია, პირველ რიგში, ჩემს ოჯახთან, მყავს მეუღლე და ქალიშვილი. ბედნიერებაა ის, რომ ვეხმარები ომის ვეტერანებს, ვიხსენებ ჩემი თანამებრძოლების სულებს და ვაკითხავ მათ საფლავებს. რამდენიმე წლის წინ, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული ჩემი უბნელი ბიჭის, შმაგი სოფრომაძის სახელი მივანიჭებინე ჩვენი სოფლის ერთ-ერთ ქუჩას და იმ სკოლას, სადაც იგი სწავლობდა. ბედნიერებაა ჩემთვის ის, რომ შმაგი სოფრომაძის წინაშე ვალი ნაწილობრივ მოხდილი მაქვს.

**თინა თაყაძე**
**ზაირა მიქატაძე**

# აკაკი ინაძის მარადიული ხსოვნა!

...(დ.ფ.) აფხაზეთი, ოჩამჩირე , სოფელი ლაბრა 1992 წლის დეკემბრის თვეა „სნაიპერის“ ტყვიით ტანკისტი დაგვეღუპა. იმ „ცხელ დღეს“ ტანკისტი ვერ ვიპოვეთ. კაკო ინაძეს საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ტრაქტორისტის მართვის კურსები დაუმთავრებია. ერთ საათში ისე დაეუფლა, რომ პროფესიონალ ტანკისტ საც კი შეშურდებოდა მისი ტანკის მანევრის.


აკაკი მიხეილის-ძე ინაძე
11.02.1952წ.-01.06.2016წ.

პოლიციის რიგებს გამოაკლდა ერთ-ერთი ღირსეული ადამიანი, შრომის, ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანი აკაკი „კაკო“ მიხეილის-ძე ინაძე, რომელმაც გზა განვლო რიგითი მილიციელიდან, თადარიგში პოლიციის მაიორამდე. აქტიური მონაწილეობა ჰქონდა მიღებული როგორც დამნაშავე პირებთან, ასევე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის სეპარატისტების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

მარცხნიდან პირველი – დონი ფანჩულიძე, კაკო ინაძე, ზაზა „ბავეიკა“ ციმაკურიძე, ოთარ ნიჟარაძე, 1993წ. დეკემბერი, აფხაზეთში გამგზავრების წინ.

2016 წ. 7 ივნისს ღირსეულად მიაბარეს მშობლიურ მხარეს. მსუბუქი იყოს ბოლნისის რაიონი, ხატისსოფელში თქვენს გულზე დაყრილი მიწა.

მარცხნიდან დონი ფანჩულიძე, კაკო ინაძე, ტარიელ გვენეტაძე. დეკემბერი, 1993წ. აფხაზეთი, სოფ. ლაბრა

თანამებრძოლი დონი ფანჩულიძე

# ოთარ დიომიდეს ძე ბერიშვილი
## (1/06/1930 წ. - 3/05/2010 წ.)



ოთარ ბერიშვილი

დაიბადა 1930 წლის 1 ივნისს, წალენჯიხის რაიონის სოფელ ლიაში.

1948 წელს წარჩინებით დაამთავრა ლიის საშუალო სკოლა, 1953 წელს კი თბილისის ი. სტალინის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, სამართალ-მცოდნეობის სპეციალობით.

1953-54 წლებში მუშაობდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს ცენტრალურ სალექციო ბიუროში.

1955-57 წლებში მუშაობდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროში, გალის სს რაიგანყოფილების გამომძიებლის პოზიციაზე.

1957-64 წლებში მუშაობა გააგრძელა ქ. თბილისში, რაიგანყოფილების ოპერატიული სამსახურის მომკვლელად, შემდეგ გამომძიებლად და უფროს გამომძიებლად.

1964-74 წლებში იყო საქართველოს შსს საგამოძიებო სამმართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროსი გამომძიებელი.

1974-85 წლებში იყო თბილისის შს 1 მაისის მილიციის განყოფილების უფროსის მოადგილე, პროფილაქტიკური სამსახურის უფროსი.

1986 წლიდან თადარიგში და პროფესიული მოღვაწეობა განაგრძო საქართველოს ადვოკატთა კოლეგიაში.

1995 წელს ო. ბერიშვილის ავტორობით გამოვიდა წიგნი “ადვოკატის სადაგი დღეები“, სადაც გაშუქებულია საადვოკატო პრაქტიკის მთელი რიგი აქტუალური საკითხები.

1997 წელს დაინიშნა საქართველოს ეროვნულ და სოციალური ურთიერთობათა აკადემიის აკადემიკოსად.

1988 წელს სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგად ო. ბერიშვილი შევიდა საქართველოს საუკეთესო ადვოკატთა ათეულში.

საქართველოს შს ორგანოებში ათეული წლების განმავლობაში უმწიკვლო მუშაობისათვის დაჯილდოვდა 6 მედლით.

2000 წლის 12 სექტემბრს ო. ბერიშვილი სამართალდამცავ ორგანოებში მუშაობისას გამოვლენილი მაღალი პროფესიონალიზმი-სათვის, ადვოკატთა ქართული სკოლის განვითარებისა და ადამიანთა დაცვისას ნაყოფიერი საქმიანობისათვის საქართველოს პრეზიდენტის მიერ დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

გარდაიცვალა: 2010 წლის 3 მაისს.

# ჯუმბერ პარმენის - ძე ბაბუაძე

(1/VIII – 1939 წ.  30/IX-1996 წ.)



ჯუმბერ ბაბუაძე

ჯუმბერ პარმენის - ძე ბაბუაძე დაიბადა 1939 წლის პირველ აგვისტოს ზესტაფონოს რაიონი სოფელ ზედა საქარაში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ 1957 წლიდან 1960 წლამდე მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში. 1960 წელს დაამთავრა მილიციის სკოლა, რის შემდეგ მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობებზე.

1975 წლიდან 1992 წლამდე მუშაობდა ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის (პირველი მაისის) რაიონის შს რაიგანყოფილებაში უბნის ინსპექტორის თანამდებობაზე.

პოლიციის კაპიტანი ჯუმბერ ბაბუაძე მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის "სამაჩაბლოში".

მ ა მ ა - პარმენ ბაბუაძე იბრძოდა დიდ სამამულო ომში გერმანელ ფაშისტების წინააღმდეგ, საიდანაც ცოცხალი აღარ დაბრუნებულა, განისვენებს პოლონეთში სოფელ ბალიგრუდში „ძმათა სასაფლაოზე". იმ დროინდელმა წყობილებამ და კარჩაკეტილობამ, შვილს, ენახა მამის საფლავი, რაზედაც ნებართვა არ მისცეს... 1994 წლიდან დამსახურებულ პენსიაზეა.

1960 წლიდან 1992 წლამდე მრავალი მადლობა დაიმსახურა როგორც ხელმძღვანელობისაგან, ასევე მომსახურე უბნის მაცხოვრებლებისაგან.

1996 წლის 30 სექტემბერს პოლიციის კაპიტანი ჯუმბერ ბაბუაძე გარდაიცვალა, დაკრძალულია მამაპაპისეულ საგვარეულო სასაფლაოზე ზედა საქარაში.

# ბესარიონ გრიგოლის - ძე ჭუმბურიძე

## (23/02 – 1949 წ. 15/XI – 2010 წ.)



ბესარიონ ჭუმბურიძე

ბესარიონ „ბესო“ გრიგოლის-ძე ჭუმბურიძე დაიბადა 1949 წლის 23 თებერვალს ზესტაფონის რაიონი სოფელ ბოსლევში.

ბესარიონ ჭუმბურიძემ დაამთავრა სოფელ ბოსლევის საშუალო სკოლა, წარმატებით, მსახურობდა „საბჭოთ კავშირის“ ჯარში, სამხედროდან დაბრუნების შემდეგ მან ჩააბარა მილიციის სპეც-სკოლაში, რომლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ მუშაობა განაგრძო შს სამინისტროს სისტემაში.

ბესარიონ ჭუმბურიძე პოლიციის კურსანტი იყო, როდესაც დააკავა შეიარაღებული ბანდიტები, რის გამოც კურსანტობის დროს მიიღო სამხედრო ოფიცრის წოდება, - წახალისების ძირითადი შინაარსი იყო: შეიარაღებული ბოროტმოქმედებისაგან ჩამოყალიბებული ბანდა განაიარაღა და დააკავა, რომლებიც იყვნენ საკავშირო ძებნილები...

ბ. გ. ჭუმბურიძემ წარმატებით განვლო თავისი სამსახურებრივი საქმიანობა. იგი ყოველთვის სანიმუშო თანამშრომელი იყო, მაგალითის მიმცემი როგორც თანამშრომელი, ასევე „ნამდვილი ქართველის“ იერსახე.

2004 წელს პოლიციის პოლკოვნილი ბესარიონ გრიგოლის-ძე ჭუმბურიძე თადარიგში გავიდა.

პოლიციის პოლკოვნიკმა ბესარიონ ჭუმბურიძემ აღზარდა მრავალი მილიციის და პოლიციის თანამშრომელი, გამოირჩეოდა დიდი პასუხისმგებლობით, ენთუზიაზმით და ღირსეულობით, მაგრამ სამწუხაროდ თავისი ცხოვრებისეული გზა განვლო ძალიან მოკლე დროში და წარუშლელი კვალი დატოვა იმ ხალხის გონებაში, ვინც მის გვერდით ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. პოლიციის პოლკოვნიკი, შრომის და შეიარაღებული ძალების ვეტერანი ბესარიონ ჭუმბურიძე 2010 წლის 15 ოქტომბერს გარდაიცვალა, დაკრძალულია თავის მშობლიურ საგვარეულო სასაფლაოზე სოფელ ბოსლევში.

*მოგონება*

## ამირან ალექსანდრეს - ძე შარაშენიძე

## (17/03-1933 წ. 20XII-2008 წ.)



ამირან შარაშენიძე

თადარიგის პოლიციის მაიორი ამირან „ბაბუ“ ალექსანდრეს ძე შარაშენიძე დაიბადა 1933 წლის 17 მარტს ვანის რაიონი სოფ. გადიდში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მსახურობდა სავალდებულო სამხედრო სამსახურში, 1955 წელს სწავლა განაგრძო თბილისში, შს სამინისტროს მილიციის სპეციალურ სკოლაში.

1956 წლიდან მუშაობა დაიწყო დიდუბე - ჩუღურეთის (პირველი მაისის) რაიონის შს რაიგანყოფილებაში უბნის ინსპექტორის თანამდებობაზე. ამირან შარაშენიძემ 32 წელი იმსახურა ძალოვან სისტემაში სხვადასხვა თანამდებობაზე, როგორც ახალბედა მილიციის

თანამშრომლები ვუწოდებდით, - „ბაბუს“. პენსიაზე გასვლის შემდეგ მუშაობა განაგრძო სამოქალაქო სექტორში, კვლავ ძალოვან სისტემაში სამეურნეო სამსახურში. ენერგიული და ახალგაზრდების მაგალითის მიმცემი „ბაბუ“ კვლავ შემართებით განაგრძობდა ცხოვრებასა  და მასზე დაკისრებულ მოვალეობის შესრულებას.

2008 წლის 20 დეკემბერს ხანგრძლივი ავადმყოფობის შედეგად

75 წლის ასაკში „ბაბუ“ გარდაიცვალა. ოჯახს, მეზობლებსა და ახალზედა პოლიციის თანამშრომლებს დაგვიტოვა „კაცური კაცის“ სახელი...

სანიმუშო ადამიანი, მეუღლე, ბაბუა, თანამშრომელი, მასთან მეგობრობა და ახლობლობა საინტერესო იყო. მინდა გავიხსენო რამოდენიმე კურიოზი მასთნ მეგობრობისა და თანამშრომლობისა:, რომელიც აღწერილი მაქვს ჩემს მიერ გამოცემული წიგნში

„სამსახურეობრივი კურიოზები - ძალოვნები ხუმრობენ“.

70-იანი წლებია, რიგითი მილიციელი ვარ, ახალზედა თანამშრომელი, რამოდენიმე დღეა გასული, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე ახლად აშენებულ ე.წ. „კინოსტუდიის“ თანამშრომელთა საცხოვრებელ კორპუსებში გახშირდა ქურდობა. მიმამაგრეს უბნის ინსპექტორ ამირან „ბაბუ“ შარაშენიძესთან, განსაკუთრებით ყურადღებას ვამახვილებდით დილის 10:00 საათიდან დღის 14:00 საათამდე. დილის საათებია ერთ-ერთი კორპუსის სადარბაზოდან გამოვიდნენ ორი ახალგაზრდა „ქურთის ბიჭები“ ჩემოდნებით. შევატყვე საეჭვოდ გამოიყურებოდნენ, დავუყვირე შეჩერებულიყვნენ. დავედევნე, უკან მომდევს „ბაბუ“, ჩაურბინე მეორე კორპუსთან სკვერში მჯდომ მამამკაცს, რომელმაც ნახევრად ხუმრობით დამიყვირა, - „ბიძია!“, თავს ნუ მოაკვლევინებო!, გაქცეულმა ახალგაზრდა ბიჭებმა ჩემგან დაცილებით დაყარეს ჩემოდნები და გაიქცნენ. ერთ-ერთ დაგდებულ ჩემოდნიდან გადმოვარდა დიდი

ზომის „ხრუსტალის“ ერთკილოგრამიანი ვაზა, რომელიც იმ დროისათვის მოდაში იყო, პრესტიჟულ ნივთს წარმოადგენდა, ყველა ოჯახში უნდა ჰქონოდათ, თანაც ძვირად ფასობდა. დავბრუნდი თუ არა მე და „ბაბუ“ ჩემოდნებით ხელში, მიუახლოვდით აღნიშნულ მამაკაცს, რომელიც აღმოჩნდა მსახიობი დოდო აბაშიძე, რომელსაც მეზობლისა და მეგობრის ბინა ზაფხულის სეზონთან დაკავშირებით რამოდენიმე დღით ჩაუბარებია, თვალი ედევნებინა, რათა არ გაქურდულიყო. ამის შემდეგ ბატონმა დოდო აბაშიძემ - პურმარილი გვიკისრა მე და “ბაბუ“-ს, რათა აღნიშნული კურიოზი საიდუმლოდ შეგვენახა.

*მოგონება*

## ქრისტეფორე ივანეს - ძე ნინიაშვილი

**(15/IV-1921 წ. 11/02-2014 წ.)**



ქრისტეფორე ნინიაშვილი

მოჭიდავე უხუცეს ვეტერანთა რიგებს გამოაკლდა „ქართული ჭიდაობის“ მამამთავარი და ამღორძინებელი, „სამბოსა“ და „ძიუდოს“ პირველი დამფუძნებელი საქართველოში, ს.ს.რ.კ-ის სპორტის დამსახურებული ოსტატი და მწვრთნელი, - ქრისტეფორე ივანეს - ძე ნინიაშვილი.

ქ. ი. ნინიაშვილი დაიბადა 1921 წლის15 აპრილს კასპის რაიონი, სოფელ ხოვლეში. ახალგაზრდობიდანვე ხვეწდა „ქართული ჭიდაობის“ილეთებს. 1942–45 წლებში სამ ძმასთან ერთად გაიწვიეს „დიდ დამამულო ომში“, რომლებიდანაც ერთი ცოცხალი არ დაბრუნებულა, მონაწილეობა მიიღო „დიდ სამამულო“ ომში. საბრძოლო ჭრილობების მიუხედავად,

ომის შემდგომ ვარჯიშებთან ერთად მუშაობა დაიწყო „დინამო“-ს სპორტდარბაზში და ფიზკულტურის ტექნიკუმში.

ქ. ი. ნინიაშვილი 1952 წელს ორჯერ გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, მის შემდეგ რამდენჯერმე პრიზიორი ჭიდაობა „სამბოსა“ და „ძიუდო“-ში ქ. ი. ნინიაშვილმა მრავალი მოჭიდავე აღზარდა, საქართველოს, ევროპის და ოლომპიური ჩემპიონები. აღსანიშნავია ლეგენდარული ანზორ კიკნაძე, ოლიმპიური ჩემპიონი ჭიდაობა „ძიუდოში“.

ქ. ი. ნინიაშვილი 33 წელი იყო საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი. ჭიდაობა „სამბოსა“ და „ძიუდო“-ს ფუძემდებელი და გამავრცელებელი საქართველოში. მისმა აღზრდილებმა: მ. სიმონიშვილმა, შ. დაუშვილმა და ო. სინჯიკაშვილმა 1957 წელს ქალაქ ბუდაპეშტიდან გუნდურ პირველობაში გამარჯვებულნი დაბრუნდნენ. მისი აღზრდილები იყვნენ სახელოვანი მწვრთნელები, - ბიძინა მაზიაშვილი, გურამ პაპიტაშვილი, ანზორ ქიზროწაშვილი, გმირო ხაჩიძე, ზაურ სახუაძე, რომლებიც წლების მანძილზე წარმატებებს აღწევდნენ სახელოვანი სპორტსმენების მომზადებაში.

ქ. ი. ნინიაშვილს თამამად შეიძლება ეწოდოს „ჩოხიანი ჭიდაობის“ მამამთავარი საქართველოში, რომელიც დასახელებული იქნა მე-20 საუკუნის მწვრთნელად ჭიდაობა „სამბოში„ და „ძიუდოში“.

საბჭოთა კავშირისა და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული მოღვაწე, ღირსების ორდენის კავალერი, მე-2 მსოფლიო ომის მონაწილე, მრავალი საბრძოლო მედლისა და ორდენის კავალერი, დიდუბე - ჩუღურეთის რაიონის „საპატიო მოქალაქე“, შინაგან ჯარის თადარიგის პოლკოვნიკი, - ამ



„დინამიული ბერმუხა" საქართველოში პირველი დამაარსებელი ჭიდაობა „სამბოსა და ძიუდოს" სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი. ქრისტეფორე ნინიაშვილი ალერჩილ სსრკ სპორტის ოსტატი ჭიდაობა „სამბოში" დონი ფანჩულიძესთან ერთად. გადაღებულია 15.07.12 წელი მასთან სტუმრობის დროს.

წარმატებებს ქრისტეფორე ივანეს-ძე ნინიაშვილი უხმაუროდ ატარებდა.

წავიდა ჩვენგან და დაგვიტოვა მაგალითი, თუ როგორი უნდა იყოს ნამდვილი ქართველი, ვალმოხდილი რაინდი.

გაზეთ „თაობიდან თაობამდე"-ს რედაქცია, მომქმედი და ვეტერანი სპორტსმენი, შრომის, ომის, შეიარაღებული ძალების და ძალოვანი სტრუქტურების ვეტერანები სამძიმარს უცხადებენ ოჯახის წევრებს, ახლობლებს და სრულიად საქართველოს სანიმუშო მამულიშვილის ქრისტეფორე ივანეს-ძე ნინიაშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

დონი ფანჩულიძე15/IV-2014 წ.

***ბოდიშის წერილი, დონი მეგობარო!***

ბატონ დონის და მის ოჯახის წევრებს დიდ ბოდიშს ვუხდი, რომ ჩემი ყოფილი „სამბისტი", რომელიც ახალგაზრდობის დროს ჩემთან „დინამოს" საჭიდაო დარბაზში სამბოს ითვისებდა შეიძლება არ გაამჟღავნა, რამდენი ბოროტი და ქურდი დააკავა. საეჭვო არ არის . ისევ ისეთი გულმართალი დარჩება, განათლებული, თავის საქმის მუშაობის პერიოდში და ახლაც. მე ჩემი ორი ვაჟიშვილი დიდ ბოდიშს ვიხდით დაბადების დღესთან დაკავშირებით. ჩვენ მაინც მეგობრები დავრჩებით მე ავადმყოფი ვარ და ხშირად უძილო ვარ. მრავალი მძიმე ავადმყოფობა შემეყარა. გთხოვთ მაპატიოთ დაბადების დღე რომ თავის დროზე არ მოგილოცეთ... გამრავლდი დონი, საყვარელი კაცი ბრძანდებით, ჩემი მოღვაწეობა თქვენს მეტმა ვერავინ გაიგო რა გავაკეთეთ სამშობლოსათვის, სამამულო ომიდან დაბრუნებულმა. მე ხომ მრავალი სპორტსმენი, მწვრთნელი და მსაჯი ავღზარდე დაწყებული: მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები, - ანზორ კიკნაძე, გურამ პაპიტაშვილი, ომარ მერებაშვილი, ბიძინა მაზიაშვილი, იოსებ

მაღალაშვილი, ანზორ ქიბროწაშვილი, ფარნაოზ ჩიკვილაძე, ანზორ მარტყოფლიშვილი, გოდერძი ნონიკაშვილი, დურმიშხან ბერიაშვილი, ჯემალ ნათელაშვილი, გურამ პეტრიაშვილი, გუჯა ნინიაშვილი და სხვანი...

95-წლის, მოხუცებული თქვენი „ბერმუხა"
ქრისტეფორე ნინიაშვილი

13 იანვარი 2013 წ. თბილისი.

* * *

ბატონო, დონი! თქვენ ხომ კარგად იცით, რომ მე და ჩემი ძმა აკაკი

„დინამოს" საჭიდაო დარბაზში ვმუშაობდით 50-80-წლამდე. ჩევნ განსაკუთრებით ყურადღებას ვუთმობდით გარნიზონის დივიზიონის სამმართველოს, უშიშროების და მილიციის სკოლებში აგვემაღლებინა ფიზიკური მომზადების დონე. მე მოხარული ვარ, რომ შენ ჩემთან ვარჯიშობდი და სანიმუშო ადამიანი და ჟურნალისტი გამოხვედი. დიდება შენს ვაჟკაცობას. ისიც იცი, რომ მილიციის ნაკრები გუნდები მონაწილეობას ღებულობდნენ ჩემი მონაწილეობით და ვიყავი მწვრთნელიც, როგორც „სამბოს" შემსწავლელად როგორც რიგით შემადგენლობაში ასევე ოფიცერთა უმაღლეს წოდების თანამშრომლებთან, ხოლო ჩემი ძმა აკაკი თავის თანამშრომლებთან. რაც შეეხება „ძიუდოს" ის ხომ ჩემი ინიციატივით შემოვიტანეთ როგორც ს.ს.რ. კავშირში ასევე საქართველოში 1957 წლიდან 1967

# 2017 წლის 15 აპრილს ქრისტეფორე ივანეს ძე ნინიაშვილს 96 წელი შეუსრულდებოდა

[illegible]

## კარგი სიტყვა კარგ ადამიანზე — ქრისტეფორე ივანეს ძე ნინიაშვილი



### დაბადების დღეს გილოცავთ ღმერთისგან მოვლენილო „ბერმუხა"

დავით აღმაშენებლის, თამარ მეფისა და რუსთაველის საქართველოში ვერავის გააკვირვებ უანგარო სიყვარულით და ურთიერთობით, საქმის მიმართ უდიდესი თავდადებით, მაგრამ მაინც მთელი თქვენი ცხოვრება, მოღვაწეობა, აღტაცებას და პატივისცემას იწვევს, თქვენი ნიჭის, პატიოსნების და ვაჟკაცური შემართების თაყვანისმცემელთა შორის.

**ქრისტეფორე ივანეს-ძე ნინიაშვილი** დაიბადა 1921 წლის 15 აპრილს კასპის რაიონის სოფელ ხოვლეში (დიდი მამულიშვილის, ისტორიკოსის, საზოგადო მოღვაწის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამაარსებლის) ივანე ჯავახიშვილის მშობლიურ სოფელში.

ქრისტეფორე ნინიაშვილი ძმებთან და მეგობრებთან ერთად ნახერხმოყრილ მოედანზე ჭიდაობდა და იხვეწდა „ქართული ჭიდაობის" ილეთებს.

1941 წელს სამივე ძმა სამამულო ომში გაიწვიეს. ქრისტეფორე და უმცროსი ძმა, აკაკი, დაბრუნდნენ ომიდან, ხოლო ერთი ძმა დაეღუპათ „ქერჩის ფრონტზე". 1945 წელს დაოჯახდა, შექმნა სანიმუშო ოჯახი და ვარჯიშთან ერთად მუშაობა დაიწყო „დინამოს" სპორტსაზოგადოებაში და ფიზკულტურის ტექნიკუმში.

ბატონმა ქრისტეფორემ და ა.წ. გარდაცვლილმა მისმა ძმამ აკაკიმ, ძირფესვიანად დაიწყეს „სამბოს" შესწავლა. 1952 წლამდე ორჯერ გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, რამდენჯერმე პრიზიორი.

ბატონი ქ. ნინიაშვილი 1950 წლიდან ინიშნება საქართველოს მთავარ მწვრთნელად ჭიდაობა „სამბო"-ში, პარალელურად ასწავლიდა „ქართულ ჭიდაობასაც". შედეგმა გამოიღო. აღზარდა მრავალი ფალავანი, მათ შორის გამორჩეული იყო ანზორ კიკნაძე, რომელიც ჯერ გახდა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ჭიდაობა „ძიუდო"-ში, შემდგომში კი ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი.

ბატონი ქრისტეფორე 33 წელი იყო საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი, „ძიუდოს" ფუძემდებელი საქართველოში, მისი აღზრდილები: გ. სიმონიშვილი, შ.დაუშვილი და ო. შინჯიკაშვილი 1957 წელს ქალაქ ბუდაპეშტიდან გუნდურ პირველობაში გამარჯვებულები დაბრუნდნენ.

ბატონმა ქრისტეფორემ მოამზადა მწვრთნელები, სახელოვანი ბიძინა მაზიაშვილი, გურამ პაპიტაშვილი, ზაურ სახვაძე, რომლებიც წლების მანძილზე წარმატებით აღწევდნენ სახელოვანი სპორცმენების მომზადებას. მათგან აღსანიშნავია მწვრთნელი ჭიდაობა „სამბოში" ზაურ სახვაძე, რომელიც ვეტერანებს შორის სამჯერ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი აღნიშნულ სახეობაში. ქრისტეფორე ნინიაშვილი და ზაურ სახვაძე ხელმძღვანელობდნენ საქართველოს შს სამინისტროს ნაკრების მომზადებას ჭიდაობა „სამბოში".

ბატონ ქრისტეფორე ნინიაშვილს თამამად შეიძლება ეწოდოს „ჩოხიანი ჭიდაობის მამამთავარი" საქართველოში, იგი დასახელებული იქნა მე-20 საუკუნის საუკეთესო მწვრთნელად ჭიდაობა „სამბოსა" და „ძიუდოში". საბჭოთა კავშირისა და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული მოღვაწე, ღირსების ორდენის კავალერი, მე-2 მსოფლიო ომის მონაწილე, მონაწილეობდა „სტალინგრადის დაცვისათვის", მიღებული აქვს ჭრილობები, შინაგანი ჯარის თადარიგის მაიორი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის „საპატიო მოქალაქე". ბევრი შემიძლია ვისაუბრო თქვენს მოღვაწეობასა და გამარჯვებებზე, „ივანიჩ", მაგრამ თქვენ ხომ ამ ყველაფერს მორიდებით მიაღწიეთ, ყოველგვარი „აფიშირების" გარეშე, არ გიყვარდათ და არ გიყვართ ზემდგომი ორგანოების შეწუხება, საკუთარი თავის ქება და დიდება, მაგრამ თქვენი კეთილი ადამიანობა, მიღწევები და წარმატებები თქვენმა აღზრდილებმა არ დამალეს, ვერ დავმალეთ, რომ ბრძანებით შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების თადარიგის მაიორი, სამამულო ომის მონაწილე, ღირსების ორდენის კავალერი, დაჯილდოებული სამამულო ომში მიღწევებისთვის, საბჭოთა კავშირის და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატი, სპორტის დამსახურებული მოღვაწე, ორგზის საბჭოთა კავშირის ჩემპიონი „სამბოში", აღიარებული ხართ „სამბოსა" და „ძიუდოს" პირველ ფუძემდებლად, საკავშირო და საქართველოს კატეგორიის მსაჯი „სამბოსა" და „ძიუდოში", წლების მანძილზე იყავით სპორტსაზოგადოება „დინამოს" მთავარი მწვრთნელი ჭიდაობა „სამბოსა" და „ძიუდოში". საპატიო „დინამოელი", გამოცემული აქვს სახელმძღვანელო „ქართულ ჭიდაობაში" მეთოდური ხელმძღვანელობისათვის. აღზრდილი ჰყავს მრავალი საერთაშორისო კლასის სპორტსმენი და მწვრთნელები.

ბატონმა ქრისტეფორემ მილოცვა მიიღო საქართველოს მოჭიდავეთა საზოგადოება „რაინდიდან" და ქ. თბილისის მერიის სპორტის სამმართველოდან, სადაც აღნიშნულია ის თბილი დამოკიდებულება თითოეული მათგანისგან. თქვენ ამას ნამდვილად იმსახურებთ. დღევანდელი მდგომარეობიდან თქვენ ეკონომიურად არ უნდა გიჭირდეთ, რადგან საბჭოეთის დროს შემოთავაზებები გქონდათ უცხოეთში გაგეტანათ და დაგემკვიდრებინათ ჭიდაობის ახალი ილეთები „სამბოსა" და „ძიუდოში", რომელიც „ქართული ჭიდაობიდან" ეტაპობრივად გადმოჰქონდათ. მაგრამ უმნიშვნელოვანეს საკითხად მაინც ამჯობინეთ საქართველოში გაუმჯობესებულიყო აღნიშნული სახეობა, რა მიზეზითაც წლების მანძილზე ჩვენი სპორტსმენები „უმაღლეს მწვერვალზე" იმყოფებოდნენ.

ბატონო ქრისტეფორე, არ დაგვავიწყდება თქვენს მიერ აღზრდილ სპორტსმენებს თქვენი თავმდაბლობა, პატიოსნება, კაცთმოყვარეობა, „ხმაურის გარეშე" მიღწევები, თითოეულის წარმატებები, რომელსაც მამაშვილური გრძნობით აღიქვამდით.

გაზეთ „თაობიდან თაობამდე"-ს რედაქცია მოქმედი და თადარიგში გასული პოლიციის თანამშრომლები, ვეტერანი სპორტსმენები ერთხელ კიდევ ვულოცავთ ბატონ ქრისტეფორე ნინიაშვილს საიუბილეო 90-ე წლისთავს და ვუსურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს ოჯახის წევრებთან და ახლობლებთან ერთად.



ქრისტეფორე ნინიაშვილის საოჯახო მუზეუმის ერთ-ერთი კუთხე

**ვეტერანი პოლიციელებისა და სპორტსმენების სახელით,**
**დონი ფანჩულიძე**
**სპორტის ოსტატი ჭიდაობა სამბოში.**

# 2017 წლის 15 აპრილს ქრისტეფორე ივანეს ძე ნინიაშვილს 96 წელი შეუსრულდებოდა

ვეტერან სპორტსმენებს დავიწყება არ უწერიათ

## «დინამოელი ბერმუხა»

### ქრისტეფორე ივანეს ძე ნინიაშვილი



დავით აღმაშენებლის, თამარ მეფისა და რუსთაველის საქართველოში ვერავის გააკვირვებ უანგარო სიყვარულით და ურთიერთობით, საქმის მიმართ უდიდესი თავდადებით, მაგრამ მაინც მთელი თქვენი ცხოვრება-მოღვაწეობა, აღტაცებას და პატივისცემას იწვევს. თქვენი ნიჭის, პატიოსნების და ვაჟკაცური შემართების თაყვანისმცემელთა შორის.

90- წელს გადაცილებული ჭარმაგი „ბერმუხა" ქ.ი. ნინიაშვილი დაიბადა კასპის რაიონის სოფ ხოვლეში, ივანე ჯავახიშვილის მშობლიურ სოფელში. ბავშვობიდან ძმებთან და მეგობრებთან ერთად ნახერხმოყრილ მოედანზე ჭიდაობდა და ხვეწდა „ქართული ჭიდაობის" ილეთებს. სამამულო ომიდან დაბრუნებულმა 1945 წელს მუშაობა დაიწყო „დინამოს" სპორტდარბაზში, ხოლო 1950 წლიდან ინიშნება საქართველოს მთავარ მწვრთნელად ჭიდაობა „სამბოში", შესაბამისად ასწავლიდა „ქართულ ჭიდაობას", რომელმაც საქართველოს აღუზარდა მრავალი ფალავანი, მათ შორის: გ. სიმონიშვილი, შ. დაუშვილი და მინჯიკაშვილი, რომლებმაც 1957 წელს ბუდაპეშტიდან გუნდურ პირველობაში გამარჯვებულები დაბრუნდნენ, ხოლო ანზორ კიკნაძე, რომელიც ჯერ მსოფლიო და ევროპის ჩემპიონი გახდა ჭიდაობა „ძიუდოში", შემდგომში „ოლიმპიური თამაშების" ჩემპიონი გახდა „ძიუდოში".

ქ.ი. ნინიაშვილი 33 წელი იყო საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი ჭიდაობა „სამბოსა" და „ძიუდოში", რომლის პირველი ფუძემდებელია ამ სახეობის, ხოლო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ნაკრების მომზადებას წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა პოლიციის პოლკოვნიკ ზაურ სახვაძესთან ერთად.

ბატონმა ქრისტეფორემ მოამზადა მწვრთნელები: სახელოვანი ბიძინა მაზიაშვილი, გურამ პაპიტაშვილი, გმირო ხაჩიძე, ზაურ სახვაძე, რომლებიც წლების მანძილზე წარმატებებით ახდენდნენ სახელოვანი სპორტსმენების მომზადებას.



„დინამოელი ბერმუხა", საქართველოში პირველი დამაარსებელი ჭიდაობა „სამბოსა" და „ძიუდოსი". სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი. ქრისტეფორე ნინიაშვილი აღზრდილ სსრკ სპორტის ოსტატი ჭიდაობა „სამბოში" დონი ფანჩულიძესთან ერთად. გადაღებულია 15.07.12 წელი მასთან სტუმრობის დროს.

ქ.ი. ნინიაშვილს თამამად შეიძლება ეწოდოს „ჩოხიანი ჭიდაობის მამამთავარი" საქართველოში, რომელიც დასახელებული იქნა მე-20 საუკუნის საუკეთესო მწვრთნელად ჭიდაობა „სამბოსა" და „ძიუდოში". საბჭოთა კავშირისა და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული მოღვაწე, ღირსების ორდენის კავალერი, მე-2 მსოფლიო ომის მონაწილე, – „სტალინგრადის დაცვისათვის", მიღებული აქვს ჯილდოები, რომელმაც მის სპორტულ კარიერაზე ვერ იმოქმედა ძალისხმევისა და მონდომების გამო, შინაგან სამსახურის თადარიგის მაიორი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის „საპატიო მოქალაქე", ორგზის საბჭოთა კავშირის ჩემპიონი „სამბოში"... ბევრი რამ შემიძლია ვისაუბრო თქვენს მოღვაწეობასა და გამარჯვებაზე ბატონო „ივანიჩ", მაგრამ თქვენ ხომ ეს ყველაფერი მორიდებით მიაღწიეთ, ყოველგვარი „აფიშირების" გარეშე, არ გიყვარდათ და არ გიყვართ ზემდგომი ორგანოების შეწუხება, პირად თავზე ქება და დიდება, მაგრამ თქვენი კეთილი ადამიანობა, მიღწევები და წარმატებები ჩვენმა მთავრობამ არ უნდა დაივიწყოს, რომელსაც წლების მანძილზე ელოდით „ქართული ოცნების" სახით.

ბატონმა ქრისტეფორე ივანეს ძე ნინიაშვილმა დაბადების დღესთან დაკავშირებით მილოცვა მიიღო საქართველოს მოჭიდავეთა საზოგადოება „რაინდიდან", ქ. თბილისის მერიის სპორტის სამმართველოდან. დღევანდელი მდგომარეობიდან თქვენ ეკონომიურად არ უნდა გიჭირდეთ, რადგან საბჭოეთის დროს შემოთავაზებები ჰქონდათ, უცხოეთში გაგეტანათ და დაგემკვიდრებინათ ჭიდაობის ახალი ილეთები „სამბოსა" და „ძიუდოში", რომელიც „ქართული ჭიდაობიდან" ეტაპობრივად გადმოჰქონდათ, მაგრამ უმნიშვნელოვანეს საკითხად მაინც ამჯობინეთ საქართველოში გაუმჯობესებულიყო აღნიშნული სახეობა, რა მიზეზითაც წლების მანძილზე ჩვენი სპორტსმენები „უმაღლეს მწვერვალებზე" იმყოფებოდნენ.

ბატონო ქრისტეფორე, როგორც ახალბედა სპორტსმენები გიწოდებდით, – „ივანიჩ", არ დაგვავიწყდება თქვენს მიერ აღზრდილ სპორტსმენებს თქვენი თავმდაბლობა, პატიოსნება, კაცთმოყვარეობა, – „ხმაურის გარეშე" თქვენი მიღწევები, თითოეულის ჩვენი წარმატებები, რომელსაც მამაშვილური გრძნობით აღიქვამდით.

გაზეთ „თაობიდან-თაობამდეს" რედაქცია, მომქმედი და თადარიგში გასული პოლიციის თანამშრომლები მომქმედი და ვეტერანი სპორტსმენები ერთხელ კიდევ გისურვებთ „ივანიჩ", ხანგრძლივ სიცოცხლეს ოჯახის წევრებთან და ახლობლებთან ერთად.

**დონი ფანჩულიძე**

წლამდე. სოციალისტურ ქვეყნებში ჩემი მომზადებული სპორტსმენები გამოდიოდნენ.

ჩემო პატარა მეგობარო დონი!, როგორც თქვენთვის ცნობილია ორჯერ ვიყავი ს.ს.რ. კავშირის ჩემპიონი „სამბოში“ რამდენჯერ გუნდური პირველობა მომიპოვებია „სამბოსა“ და „ძიუდოში“. ჩემი აზრით თქვენი დიდი იმედი მაქვს ჩემი წვლილი სპორტში გააცნოთ ახალგაზრდა თაობებს. ჩემი შრომა რად უნდა დაიკარგოს? მადლობელი ვიქნები სიმართლის გამომჟღავნებაში. შენი ძმაკაცი „ბერმუხა“, ველოდები თქვენს პასუხს სანამ კარგად ვარ და ცოცხალი ვარ : 93 წლის ლოგინად ჩავარდნილი მოხუცებული...

ჭიდაობა „ძიუდოს“ და „სამბოს“ ფუძემდებელი საქართველოში ს.ს.რ. კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, ს.ს.რ.კავშირის დამსახურებული სპორტის ოსტატი, შინაგან ჯარების თადარიგის მაიორი, „ჩოხიანი ჭიდაობის“ მამამთავარი დიდუბის რაიონის საპატიო მოქალაქე, - ქრისტეფორე ნინიაშვილი

25 იანვარი 2013 წელი ქ. თბილისი.

სამარადისო ხსოვნა
ნოდარ ბუაძეს და ივანე დონგუზაშვილს!



მარცხნიდან: უცნობი, ნოდარ ბუაძე, გიგო არაბული, დონი ფანჩულიძე, ვანო დონღუზაშვილი. ქ. თბილისი. ვლ. ლენინის სახელობის დინამოს სტადიონი, საჭიდაო დარბაზი, ქალაქის გარნიზონის პირველობა ჭიდაობა "სამბო"-ში, 1985 წელი, სექტემბერი.



ქ. თბილისის მილიციის გარნიზონის „სამბისტთა“ მორიგი შეკრება
ცენტრში - მწვრთნელი გარი ჩუთლაშვილი
“დინამოს საჭიდაო დარბაზში“, 1982 წ.

# 2021 წლის 15 აპრილი ქრისტეფორე ნინიაშვილს - <<100>> წელი შეუსრულდა

კაცი ალალი, გულმართალი, მუდამ სწორი, „რუსებს ფეხზე არ აყენებს, ნინიაშვილი ქრისტეფორე", ეს ლექსი მიუძღვნა ერთ-ერთ შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ქალაქ მოსკოვში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ტიტულ ექსპრომტად ოლიმპიურმა ჩემპიონმა ვახტანგ ბალავაძემ.

...„ივანიჩ" - ქრისტეფორე ნინიაშვილს <<დინამოელი ბერმუხა>> 2021 წლის 15 აპრილს. მის დაბადების დღესთან (100 წლის) იუბილესთან დაკავშირებით ჯერ, - „ვაშლიჯვრის სასაფლაოზე", შემდეგ თანაგუნდელებთან, აღზრდილებთან და ახლობლებთან ერთად აღვნიშნეთ (საწყენია, რომ სპორტკომიტეტის მესვეურებმა გულთან არ მიიტანეს დღევანდელი ღონისძიება...) საქართველოში პირველად შემომტანმა ჭიდაობის სახეობებიდან - „სამბო და ძიუდო" ამაგდარ ადამიანზე, საიუბილეო დღე გაიხსენეს მისმა აღზრდილმა სპორტსმენებმა, ხოლო თანაგუნდელებმა მის მიერ სპორტული მიღწევების შესახებ ისაუბრეს! 1. გაბრიელ ბარჯაძემ - მწერალმა, სპორტის ისტორიის მკვლევარმა. 2. გურამ პეტრიაშვილმა (სუფრის ხელმძღვანელმა) 3. გივი სარდანაძემ - ქუთაისიდან ჩამობრძანებულმა თანაგუნდელმა 4. გივი ბიწკინაშვილმა - ღონისძიების ორგანიზატორმა და ხელმძღვანელმა 5. ჯემალ წულუკიძემ - აჭარის ქართული ჭიდაობის პრეზიდენტმა, და ამ სახეობის ამღორძინებელმა, - „ბათუმისა და თბილისის" სიყვარულისა და დაძმობილების თავკაცმა. ბატონო ჯემალ, მადლობა ჩამობრძანებისათვის. 6. თემურ წამალაშვილმა - სსრ კავშირის ჩემპიონმა ახალგაზრდებს შორის.

7. ელგუჯა ნინიაშვილიმა - მას ჭიდაობის მონაცემებზე მამა მკაცრ კონტროლს უწევდა, 8. გელა ბერუაშვილი, - ქართული ჭიდაობის პრეზიდენტი საქართველოში.

დონი ფანჩულიძის წიგნებიდან:

<<სამართალი ნაძირლების გარემოცვაში>> და <<სანთლად დაღვრილი ცხოვრება>>. 2021 წლის 15 აპრილი - 100 წელი შეუსრულდა იმ პიროვნებას, რომელმაც პირველმა საქართველოში შემოიტანა ჭიდაობის სახეობებიდან, - „სამბო“ და „ძიუდო“, რის შემდეგ ეტაპობრივად ააღორძინა... მის მიერ აღზრდილმა მოჭიდავეებმა, - ანზორ კიკნაძემ, ბიძინა მაზიაშვილმა, ფარნაოზ ბერიაშვილმა... გახდნენ ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონები... დასაფასებელო „ივანიჩ!“ ჯერჯერობით ვერ დაგაფასათ ზემდგომმა მესვეურებმა, ალბათ შემდეგისათვის მოიცლიან... და ბოლოს მადლობა მინდა გადაგიხადოთ, - „ივანიჩის მეგობრებო, ვინც ორგანიზაცია გაუკეთა ამ ღონისძიებას, ვინც დააფასეთ და ჩამობრძანდით ამ კრიტიკულ პანდემიის ფონზე რაიონებიდან... თქვენ კი „ივანიჩ“! მარადიული ხსოვნა და სანთელ-სარკმეველი ნუ მოგკლებოდეთ.

დონი ფანჩულიძე




ქრისტეფორე ივანეს-ძე ნინიაშვილს <<100>> წელი შეუსრულდა
თანაგუნდელები, მეგობრები, ახლობლები და მოსწავლეები
რესტორანი „კალანდა" 15/04/2021 წ,




პირველ რიგში მარცხნიდან:

**დონი ფანჩულიძე** - სპორტის ოსტატი ჭიდაობა „სამბოში“;

**ელგუჯა ნინიაშვილი** - საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ჭიდაობა „სამბოში“ და „ძიუდოში“ - სსრკ ორგზის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის, სსრკ-ს მე-2 პრიზიორი ორჯერ, სსრკ „დინამოს“ სპარტაკიადის ჩემპიონი „ძიუდოში“, ევროპის „დინამიადის“ ჩემპიონი, საერთაშორისო ტურნირების პრიზიორი;

**ამირან აფრიამაშვილი** - საქართველოს სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა პროფკავშირების თავმჯდომარე;

**თემურ წამალაშვილი** - სსრ კავშირის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის;

**გურამ პეტრიაშვილი** - წარსულში საქართველოს და სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი, ცნობილი „სამბისტი“;

**გოგი ბიწკინაშვილი** - სპორტის დამსახურებული მოღვაწე, - ღონისძიების ხელმძღვანელი და დამფინანსებელი;

**გივი სარდანაძე** - საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, ქუთაისის ნაკრების უფროსი მწვრთნელი დამსახურებული „სამბისტი“;

**გაბრიელ ბარჯაძე** - სპორტის დამსახურებული მუშაკი, სპორტული ჟურნალისტი, მწერალი.

მეორე რიგში მარცხნიდან:

**გელა ლობჟანიძე** - ოჯახის მეგობარი, ყოფილი ფეხბურთელი; ანზორ გერლიანი - ოჯახის მეგობარი;

**ჯემალ წულუკიძე** - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის „ქართული ჭიდაობის“ პრეზიდენტი.

ავტორისაგან: (დ.ფ.) – „ივანიჩ!“, - ჩემო საყვარელო ადამიანო, თქვენი დაბადების დღის (<<100>> წლის იუბილის) აღსანიშნავად, თავსმოხვეული ე.წ. „პანდემიის“ დროს, მოკრძალებული ფორმით შევიკრიბეთ, - თქვენი მეგობრები, თანაგუნდელები, ოჯახის წევრები და მოსწავლეები რესტორან „კალანდა“-ში. გავიხსენეთ თქვენი შრომით მიღწეული წარმატებები, რომელსაც მიაღწიეთ „უხმაუროდ“, ყოველგვარი აფიშირების გარეშე... სანთელ-საკმეველი და არ დავიწყება ნუ მოგკლებოდეს „დინამოელო ბერმუხა“.

*დონი ფანჩულიძე*
*15 აპრილი 2021 წ.*



ქრისტეფორე ივანეს-ძე ნინიაშვილის
დაბადების დღეა
15/04/2019 წელი
დონი ფანჩულიძე
„ვაშლიჯვრის სასაფლაო“ - სოფელი დიღომი.

## „კარგი სიტყვა, - კარგ ადამიანებზე - **ქრისტეფორე ივანეს-ძე ნინიაშვილი დაბადების დღეს გილოცავთ**

ღმერთისაგან მოვლენილი: - „ბერმუხა”

დავით აღმაშენებლის, თამარ მეფისა და რუსთაველის საქართველოში ვერავის გააკვირვებ უანგარო სიყვარულში და ურთიერთობით, საქმის მიმართ უდიდესი თავდადებით, მაგრამ მაინც თქვენი ცხოვრება, მოღვაწეობა, აღტაცებას და პატივისცემას იწვევს, თქვენი ნიჭის, პატიოსნების და ვაჟკაცური შემართების თაყვანისცემელთა შორის.

ქრისტეფორე ივანეს - ძე ნინიაშვილი დაიბადა 1921 წლის 19 აპრილს კასპის რაიონი სოფელ ხოვლეში (დიდი მამულიშვილის, ისტორიკოსის, საზოგადო მოღვაწის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამაარსებლის ივანე ჯავახიშვილის მშობლიურ სოფელში).

ქრისტეფორე ნინიაშვილმა ძმებთან და მეგობრებთან ერთად ნახერხმოყრილ მოედანზე ჭიდაობდა და იხვეწდა „ქართული ჭიდაობის“ ილეთებს.

1941 წელს სამივე ძმები სამამულო ომში გაიწვიეს, ქრისტეფორე და უმცროსი ძმა აკაკი დაბრუნდნენ ომიდან, ხოლო ერთი ძმა დაეღუპათ „ქერჩის ფრონტზე“. 1945 წელს დაოჯახდა, შექმნა სანიმუშო ოჯახი და ვარჯიშთან ერთად მუშაობა დაიწყო „დინამო“-ს სპორტდარბაზში და ფიზკულტურის ტექნიკუმში.

ბატონმა ქრისტეფორემ და ა.წ. გარდაცვლილმა მისმა ძმამ აკაკიმ ძირფესვიანად დაიწყეს „სამბო“ - ს შესწავლა. 1952 წლამდე ორჯერ გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, რამდენჯერმე პრიზიორი.

ბატონი ქ. ნინიაშვილი 1950 წლიდან ინიშნება საქართველოს მთავარ მწვრთნელად ჭიდაობა „სამბო“-ში, შესაბამისად ასწავლიდა „ქართულ ჭიდაობას“. შედეგმა გამოიღო; აღზარდა მრავალი ფალავანი, მათ შორის გამორჩეული იყო ანზორ კიკნაძე, რომელიც ჯერ გახდა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ჭიდაობა „ძიუდო“ - ში, შემდგომში ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი. ბატონი ქრისტეფორე იყო საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი, „ძიუდოს“ ფუძემდებელი საქართველოში, მისმა აღზრდილებმა:გ. სიმონიშვილმა, ს. დაუშვილმა და ო. სინჯიკაშვილმა 1957 წელს ქალაქ ბუდაპეშტიდან გუნდურ პირველობაში გამარჯვებულები დაბრუნდნენ.

ბატონმა ქრისტეფორემ მოამზადა მწვრთნელები, გურამ პაპიტაშვილი, ზაურ სახუაძე, რომლებიც წლების მანძილზე წარმატებებით აღწევდნენ სახელოვანი სპორტსმენების მომზადებას. მათგან აღსანიშნავია მწვრთნელი ჭიდაობა „სამბო“-ში, ლეგენდარული ზაურ სახუაძე, რომელიც ვეტერანებს შორის სამჯერ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი აღნიშნულ სახეობაში. დიდი წვლილი მიუძღვის საქ. შ.ს. სამინისტროს ნაკრების მომზადებაში ჭიდაობა „სამბო“-ში, რომელსაც კურატორობას უწევდა ქ. ნინიაშვილი.

ბ-ონ ქრისტეფორე ნინიაშვილს თამამად შეიძლება ეწოდოს „ჩოხიანი ჭიდაობის მამამთავარი“ საქართველოში, რომელიც დასახელებული იქნა მე-20 საუკუნის საუკეთესო მწვრთნელად ჭიდაობა „სამბო“-სა და „ძიუდო“-ში. საბჭოთა კავშირისა და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის დამსა-ხურებული მოღვაწე, ღირსების ორდენის კავალერი, მე-2 მსოფლიო ომის მონაწილე, - მონაწილეობდა სტალინგრადის დაცვისათვის“, მიღებული აქვს ჭრილობები, შინაგან ჯარის თადარიგის მაიორი, დიდუბე - ჩუღურეთის რაიონის „საპატიო მოქალაქე“. ბევრი რამ

შემიძლია ვისაუბრო თქვენს მოღვაწეობასა და გამარჯვებებზე ბატონო „ივანიჩ“, მაგრამ თქვენ ხომ ეს ყველაფერი მორიდებით მიაღწიეთ, ყოველგვარი „აფიშირების“ გარეშე, არ გიყვარდა და არ გიყვარს ზემდგომი ორგანოების შეწუხება, პირად თავზე ქება და დიდება, მაგრამ თქვენი კეთილი ადამიანობა, მიღწევები და წარმატებები თქვენმა აღზრდილებმა არ დაგიმალეს, ვერ დავმალეთ, რომ ბრძანდებით: შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების თადარიგის მაიორი, სამამულო ომის მონაწილე, ღირსების ორდენის კავალერი, დაჯილდოებული სამამულო ომში მიღწევისათვის, საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი, სპორტის დამსახურებული მოღვაწე, ორგზის საბჭოთა კავშირის ჩემპიონი „სამბო“-ში, აღიარებული ხართ „სამბოსა“და „ძიუდოს“ პირველ ფუძემდებლად, საკავშირო და საქართველოს კატეგორიის მსაჯი „სამბოსა“ და ძიოუდოში“, წლების მანძილზე იყავით სპორტსაზოგადოება „დინამო“-ს მთავარი მწვრთნელი ჭიდაობა „სამბოსა“ და „ძიუდო“-ში, საპატიო „დინამოელი“, გამოცემული აქვს სახელმძღვანელო „ქართულ ჭიდაობაში“ მეთოდური ხელმძღვანელობისათვის. აღზრდილი ყავს მრავალი საერთაშორისო კლასის სპორტსმენი და მწვრთნელები.

ბატონმა ქრისტეფორემ მილოცვა მიიღო საქართველოს მოჭიდავეთა საზოგადოება „რაინდიდან“ და ქ. თბილისის მერიის სპორტის სამმართველოდან, სადაც აღნიშნულია ის თბილი დამოკიდებულება თითოეული მათგანისაგან, რასაც თქვენ იმსახურებთ. დღევანდელი მდგომარეობიდან თქვენ ეკონომიურად არ უნდა გიჭირდეთ, რადგან საბჭოეთის დროს შემოთავაზებები ჰქონდათ უცხოეთში გაგეტანათ და დაგემკვიდრათ ჭიდაობის ახალი ილეთები „სამბოსა“ და „ძიუდოში“, რომელიც „ქართულ ჭიდაობიდან“ ეტაპობრივად გადმოჰქონდათ, მაგრამ

უმნიშვნელოვანეს საკითხად მაინც ამჯობინეთ საქართველოში გაუმჯობესებულიყო აღნიშნული სახეობა, რა მიზეზითაც წლების მანძილზე ჩვენი სპორტსმენები „უმაღლეს მწვერვალებზე“ იმყოფებოდნენ.

ბატონო ქრისტეფორე; არ დაგვავიწყდება თქვენს მიერ აღზრდილ სპორტსმენებს თქვენი თავმდაბლობა, პატიოსნება, კაცთმოყვარეობა, „ხმაურის გარეშე“ მიღწევები, თითოეულის წარმატებები, რომელსაც მამაშვილური გრძნობით აღიქვამდით.

გაზეთ „თაობიდან - თაობამდე“-ს რედაქცია, მომქმედი და თადარიგში გასული პოლიციის თანამშრომლები, ვეტერანი სპორტსმენები ერთხელ კიდევ ვულოცავთ ბატონ ქრისტეფორე ნინიაშვილის საიუბილეო დღეს 90-თი წლისთავს და ვუსურვებთ ხანგრძივ სიცოცხლეს ოჯახის წევრებთან და ახლობლებთან ერთად.

ვეტერანი პოლიციელებისა და სპორტსმენების სახელით,
სპორტის ოსტატი ჭიდაობა სამბოში
დონი ფანჩულიძე1 მაისი 2011 წელი ქ. თბილისი
გაზეთი „თაობიდან თაობამდე“ ივნისი 2011 წელი.ჟურნალი:
„გზა“ ივნისი 2011 წელი.

# „როგორ მოხვდა „ძიუდო“- ს შემობრძანება ს.ს.რ. კავშირში და საქართველოში

„ძიუდო“ იაპონური წარმოშობის საინტერესო ჭიდაობის სახეა, რომელიც წააგავს ქართულ ჭიდაობას. მასში არის შესული ქართული ჭიდაობის ძირითადი ფანდები მდგომში. „ძიუდომ“ ძალიან მალე მოიპოვა პოპულარობა ს.ს.რ. კავშირში, განსაკუთრებით საქართველოში. ქართველმა მოჭიდავეებმა ძალიან მალე აითვისეს

„ძიუდოს“ დანარჩენი ფანდები, რომლებიც „ქართულ ჭიდაობაში აისახება. მალე შეისწავლეს ჩოქბჯენში ჭიდაობა და საერთოდ მისი წესები - ტექნოლოგია. განსაკუთრებით მათი მწვრთნელ - მასწავლებლების დამსახურება არის.

80-იან წლებში რუსეთში იყო მცდელობა „ძიუდოს“ ე.ი. (დჟიუ - ჯიცუს) დანერგვის შესახებ. ეს სახეობა ითვლებოდა, როგორც თავდაცვის საწინააღმდეგო ილეთების შესწავლა.

1929 წელს მოსკოვის სპორტ საზოგადოება „დინამო“-მ ჩაატარა პირველობა საკავშირო დახურული შეჯიბრი. შემდეგ სახელგანთქმული ჭიდაობის სახეს „ძიუდოს“ სახელით 1936 წლის 5 მარტს მოსკოვის საქალაქო სპორტკომიტეტის მიერ ლენინგრადის შოსეზე სპორტდარბაზში ჩაატარა მოსკოვის პირად შეჯიბრს იაპონურ ჭიდაობა „ძიუდოში“. მასში მონაწილეობდნენ მხოლოდ კარგად მომზადებული სპორტსმენები. ამის შემდეგ რამოდენიმე წელი ამ სახეობას მეტი აღმავლობა ს.ს.რ. კავშირში არ ჰქონია.

ქ. მოსკოვის „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს თანამშრომლების ანატოლი ხარლამპიევის მიერ მოსკოვში და ლენინგრადში იწყება

ახალი თავისუფალ სტილის ჭიდაობის პოპულარიზაცია, რომელსაც ეწოდა „სამბო“.

პირველად ს.ს. რ. კავშირის პირველობა ჩატარდა 1939 წელს ჩემპიონი გახდა კონსტანტინე კობერიძე, მეორე ადგილი დაიკავა შოთა ესებუამ.

1940 წელს მეორედ ჩატარებულ ჩემპიონატში წარმატებით გამოვიდა შალვა ნოზაძე და არსენ მეკოკიშვილი, რომლებმაც პირველობა არავის დაუთმეს.

„სამამულო ომის“ დაწყებასთან დაკავშირებით შეწყდა ჭიდაობა „სამბოს“ კულტივირება. ცნობილია, რომ ბევრმა სამბისტმა სამამულო ომში თავი ისახელეს დახვეწილი ილეთების გამოყენებით მტრის დასამარცხებლად.

1946 წელს „დინამოს“ სპორტსაბჭომ განაახლა „სამბო“-ს პოპულარობა, რის შემდეგ ამავე წელს ქ. ბაქოში ჩაატარა შეჯიბრი ყველა რესპუბლიკის სპორტსმენების მონაწილეობით.

1947 წელს ქ. მოსკოვში „კრილია სოვეტოვი“-ს სპორტდარბაზში ს.ს.რ. კავშირის ჩემპიონატი (შედეგები გაშუქებულია გ. ბარჯაძის წიგნში. გამოშვებული 2000 წელს).

„ძიუდოს“ და „სამბოს“ განვითარებას ს.ს.რ. კავშირში და საქართველოში დიდი წვლილი მიუძღვის ქართველ მწვრთნელებს. განსაკუთრებით ს.ს.რ. კავშირის „დინამოს „ცენტრალური საბჭო დაინტერესდა „ძიუდო“ - ს განვითარებით ს.ს.სრ. კავშირში, კერძოდ იმ რესპუბლიკებში, სადაც ეროვნული ჭიდაობა პოპულარული იყო, ასეთი საქართველო აღმოჩნდა.

1957 წელს მოსკოვის „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ორგანიზაციის ინიციატივით უნგრეთში შესდგა ამხანაგური შეხვედრა ბუდაპეშტის „დოჟა“-ს და „დინამო“-ს ძიუდოისტებში და სსრ კავშირის „სამბისტთა“ ნაკრების გუნდებს შორის. გუნდში იყო 8 -

წონით კატეგორიით დაკომპლექტებული. სსრ კავშირის „დინამოს“ შემადგენლობაში რვა მოჭიდავედან, ოთხი ქართველი „სამბისტი“ შედიოდა. შეხვედრა ჩატარდა რამდენიმე ქალაქში. საქართველოდან გუნდურ ნაკრებში შედიოდნენ: ბიძინა მაზიაშვილი, ოთარ შინჯიკაშვილი, გურამ სიმონიშვილი და შოთა დაუშვილი. ყველა გუნდური ამხანაგური შეხვედრები ქართველი სპორტსმენების წარმატებით დამთავრდა. ქართველი სპორტსმენების წარმატებების შემდეგ საფუძველი ჩაეყარა „ძიუდოსა“ და “სამბოს“ განვითარებას საქართველოში. მიუხედავად ინვენტარისა და სპორტული სამოსის კრიზისა, იაპონიის სპორტის ხელმძღვანელობამ შეფობა გასწიეს, ქართველ მოჭიდავეებს ქველმოქმედების სახით გამოუგზავნა რამდენიმე წყვილი „იაპონური კიმანოები“.

60-იან წლებში დაიწყო ამხანაგური შეჯიბრებების გამართვა ევროპის საოციალისტურ ქვეყნებში. გაიხსნა რამოდენიმე ჭიდაობის სექციები საქართველოს დიდ ქალაქებში, რომლის შემდეგ წარმატებული სპორტსმენები მონაწილეობას ღებულობდნენ გამოჩენილი მწვრთნელების: გ. მასლოვის, ვ. ანდრეევისა და ქრისტეფორე ნინიაშვილის მიერ მომზადებული მოჭიდავეების წინააღმდეგ.

ს.ს.რ. კავშირის „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ჭიდაობის განყოფილების უფროსის ვასილ მასლოვის, უფროსი მწვრთნელის ვლადიმერ ანდრეევის, ქ. ლენინიგრადის უფროსი მწვრთნელის ივანე ვასილევისა და საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის ქრისტეფორე ნინიაშვილის მონაწილეობით ყალიბდება სპორტული სექციები ჭიდაობა „ძიუდოსა“ და „სამბოს“ პოპულარიზაციისათვის. მიუხედავად ეკონომიური კრიზისისა მთავარ მწვრთნელს ქრისტეფორე ნინიაშვილს სახელოვანი სპორტსმენების აღზრდაში

ეხმარებოდნენ ლეგენდარული ბიძინა მაზიაშვილი და აკაკი ნინიაშვილი.

60-იან წლებში საერთაშორისო შეხვედრებში პირველად მსაჯობა წილად ხვდა ქრისტეფორე და აკაკი ნინიაშვილებს (მსაჯთა წესებიდან გამომდინარე მათი ჩაცმულობა საჭიდაო კომანოები იყო შიშველი ფეხებით, მიუხედავად სიცივისა, ჭიდაობის განვითრებისათვის ძალასა და ენერგიას არ იშურებდნენ).

60-იან წლებიდან პოპულარიზაცია მოიპოვა რა ჭიდაობამ

„ძიუდომ“ და „სამბომ“, შეიქმნა ს.ს.რ. კავშირის ჭიდაობის ნაკრები, რომელშიც ბევრი ქართველი „სამბისტ - ძიუდოისტი“ შეიყვანეს ნაკრების შემადგენლობაში, ხოლო მთავარი მწვრთნელი საქართველოდან ქრისტეფორე ნინიაშვილი იყო. იწყება საერთაშორისო შეხვედრები ევროპისა და მსოფლიოს, ბოლოს ოლიმპიური თამაშები, სადაც ქართველმა „სამბისტ- ძიუდოისტებმა“ ყველა რესპუბლიკებთან შედარების წარმატებები აჩვენეს.

1969 წელს ჩატარდა ქ. ესენში შეხვედრა, სადაც ქართველმა სპორტსმენებმა: ანზორ ქიბროწაშვილმა, ანზორ კიკნაძემ, ანზორ მარტყოფლიშვილმა და სხვებმა წარმატებით იასპარეზეს. რის შემდეგ ს.ს.რ. კავშირის ნაკრებში შეიყვანეს: ანზორ კიკნაძე, ანზორ ქიბროწაშვილი, ფარნაოზ ჩიკვილაძე, ანზორ მარტყოფლიშვილი, როინ მაღალთაძე, გივი ინაშვილი, დურმიშხან ბერუაშვილი, ჯემალ ნათელაშვილი, გოდერძი ნონიკაშვილი, გურამ პეტრიაშვილი, ელგუჯა ნინიაშვილი, ვ. ბორცაშვილი, გივი კახაბრიშვილი და სხვა...

1972–73 წლამდე „სამბო“ და „ძიუდო“ ს.ს.რ. კავშირში გაერთიანებული იყო, დადგა დრო განცალკევების და 1976 წელს გაიყო ორ ფედერაციად. საქართველოს წარმატებული მწვრთნელები ქრისტეფორ ნინიაშვილი ინიშნება „სამბისტთა“ მთავარ მწვრთნელად, ხოლო ლეგენდარული ბიძინა მაზიაშვილი და აკაკი ნინიაშვილი

წლების მანძილზე“ძიუდოს“ მთავარი მწვრთნელები იყვნენ. ასევე საქართველოს რეგიონებში მათი გაწვრთნილი სპორტსმენები, - ქ. გორში გურამ პაპიტაშვილი, ქ. ქუთაისში ომარ მერებაშვილი. რაც შეეხება მთავარ მწვრთნელს ბიძინა მაზიაშვილს წარმატებით მოამზადა ცნობილი „ძიუდოისტები“, რომელმაც მთელი ეპოქა შექმნა ამ სახეობაში.

სახელოვანი მწვრთნელების, - ქრისტეფორე ნინიაშვილის, ბიძინა მაზიაშვილის დამსახურებაა, რომ საქართველოს აღუზარდა ისეთი სახელოვანი სპორტსმენები, რომლებიც დღეის მდგომარეობით განაგრძობენ „ძიუდოსა“ და „სამბოს“ ჭიდაობის განვითარება - პოპულარიზაციას შოთა ხაბარელის სახით.

ცნობილი სპორტსმენი, დამსახურებული მწვრთნელი, ამჟამად ვეტერანი 93 წელს მიღწეული, „დინამოელ ბერმუხად“ წოდებული ქრისტეფორე ნინიაშვილი მადლობას უხდის ვინც მას

„ლეგენდარული მწვრთნელი“ უწოდა, ვინც ის პოპულარობა მიანიჭეს,

„ჭიდაობის პატრიარქი“, მოძღვარი, მწვრთნელთა მწვრთნელი, ვინც XX-ე საუკუნის პირველი საუკეთესო მწვრთნელად აღიარეს „სამბოსა“ და „ძიუდოში“, ვინც მათ სავარჯიშო ადგილს „ნინიაშვილების სკოლა“ უწოდეს. მადლიერებით იხსენებს მის აღზრდილს „ძიუდოს“ ფედერაციის გენერალურ მდივნის, ევროპის ჩემპიონის“ ძიუდოში“ ერთ - ერთ მონაწილეს საქართველოდან ანზორ მარტყოფლიშვილს, რომელიც პირადად იყო საბჭოთა კავშირის „დინამოს“ ნაკრების წევრი და მონაწილე, ყოველთვის ჩემპიონი ხდებოდა, მასთან ერთად გოდერძი ნონიკაშვილი.

საქართველოს სსრ მილიციის 60 წლის





# ალლუმი „დინამოს“ სტადიონზე

გუშინწინ თბილისელ და ერევნელ ფეხბურთელთა მატჩის შუალედში თბილისის „დინამოს“ სტადიონზე შეკრებილი 60 ათასი მაყურებელი მოწმე გახდა სახეიმო ალლუმისა, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა საქართველოს მილიციის მე-60 წლისთავს. მისი ორგანიზატორი იყო სპორტსაზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭო.

...სტადიონის სარბენ ბილიკებზე შემოდიან მედროშენი, მოტოციკლისტები, მოაქვთ დინამოელთა მიერ სხვადასხვა შეჯიბრებებში მოპოვებული თასები. მწყობრი ნაბიჯით მოაბიჯებენ ლენინის ორდენოსანი სპორტსაზოგადოების ფიზკულტურელები, მშთ-ის წარჩინებული ნიშნოსნები, სამომსახურო-გამოყენებითი სპორტისსახეობათა წარმომადგენლები.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასულე ორკესტრი, მილიციის პოდპოლკოვნიკის ალ. ქელტუხინის ხელმძღვანელობით სპორტულ მარშს ასრულებს. მოდიან სახელოვანი დინამოელი სპორტსმენები, ვეტერანები — ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოს, ევროპის, სსრ კავშირის ჩემპიონები და რეკორდსმენები, პრიზიორები,

(დასასრული მე-8 გვ).

◆

თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გამართული საქართველოს მილიციის 60 წლისთავის ზეიმის მომენტები.

ვ. გენგიურის ფოტოები.

**მარცხნიდან დონი ფანჩულიძე, მესამე ბორის პაიჭაძე, მეხუთე რაფაელ ჩიმიშკიანი, მეორე სურათზე მარცხნიდან პირველი ქრისტეფორე ნინიაშვილი, მესამე ზაურ სახვაძე, მეოთხე დავით რაფავა. გად. სტანიონი „დინამო“ მილიციის 60 წლისთავი.**

# ცოტა რამ „საბრძოლო სამბო“-ს შესახებ

50-იან წლებში „საბრძოლო სამბო“ უნდა აღორძინებულიყო საქართველოში, კერძოდ ძალოვან სტრუქტურებში, - მილიციაში, უშიშროების სისტემაში და სასაზღვრო ნაწილებში.

სპორტსაზოგადოება „დინამოს“ უფროს მწვრთნელს გ. თომაშვილს და ქრისტეფორე ნინიაშვილს მთავრობის დავალებით ინიშნებიან აკაკი ნინიაშვილთან ერთად „საბრძოლო სამბოს“ მამამთავრად ქ. მოსკოვში პედაგოგ ანატოლი ხარლამპიევის მასწავლებელი სემინარების შემდეგ საქართველოს ძალოვან სტრუქტურებში მომუშავე თანამშრომლების მომზადებაში.

„საბრძოლო სამბოს“ შესწავლის პროგრამა ძალოვან სისტემის ორგანოს თანამშრომლებისათვის 120 საათიანი პროგრამა იყო გათვალისწინებული. 40 საათიანი პროგრამა გადიოდა საქართველოს ყველა მილიციის თანამშრომლისათვის, რომლის ხელმძღვანელი ქალაქის გარნიზონში შემავალ, - სამმართველოს ავტოინსპექციის, მილიციის სკოლის, სატრანსპორტო მილიციის, უშიშროების მუშაკებს და მესაზღვრეებს უტარდებოდათ ქრისტეფორე ნინიაშვილის ხელმძღანელობით. მას დახმარებას უწევდა სამსახურის უფროსები ნიკოლოზ ლომაია, ნიკო არზიანი, ალექსანდრე პირმისაშვილი, გოგი იაქიშვილი, ვლადიმერ ნავროზაშვილი, მილიციის სკოლის რექტორი ნიკო მანჯგალაძე.

60-იას წლებში აღსანიშნავია მილიციის  ცნობილი სამბისტები: ბ. მაზიაშვილი, ა. ნინიაშვილი, რ. გაბატაშვილი, შ. მოლაშვილი, ა. ზურაბაული, ო. შინჯიკაშვილი, ბ. მუხიაშვილი. ა. კაცმაზოვი, ი. პეტრიაშვილი, ნ. ფალიანი, ს. კანდელაკი, გ. გზირიშვილი.

მთავარი მწვრთნელის ქ. ნინიაშვილის მიერ მომზადებული სპორტსმენები ყოველთვის წარმატებით გამოდიოდნენ ქ. მოსკოვში, ქ. მინსკში...

1984 წელს ამიერკავკასიის შინაგან ჯარების ნაკრების მწვრთნელ პოლკოვნიკ შალვა ბუხნიკაშვილთან ერთად აღზარდეს მრავალი ჯარისკაცი, - მათ შორის იოსებ მაღალაშვილი, ლევან თედიაშვილი მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ.

## დადგენილება

-----------------------------------------------------

ქართული ჭიდაობის სექციის დაარსების შესახებ

1946 წ. 30 აგვისტო. ქ. თბილისი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთნ არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტთან დაარსდეს „ქართული ჭიდაობის" სექცია. შემდეგი შემადგენლობით:

1. ვასილ იაკობის - ძე ეგნატაშვილი
2. ილია ონისეს - ძე მოსაშვილი
3. არკადი გიორგის - ძე ხუნდაძე
4. ილია ზაქარიას - ძე თომაშვილი
5. გიორგი დიმიტრის - ძე კახნიაშვილი
6. აკაკი ნოეს - ძე ადეიშვილი
7. ოთარი გიორგის - ძე აბუაშვილი
8. ილია იოსების - ძე მოლაშვილი
9. არსენ იოსების - ძე სისაური
10. ქრისტეფორე ივანეს - ძე ნინიაშვილი
11. მიხეილ ზურაბის - ძე ხერხეულიძე

მასალა „სპორტის ისტორიის" ნარკვევებზემოამზადა სპორტის ოსტატმა: დონი ფანჩულიძემ

„ „ თებერვალი 2013 წელი

*ბატონ: დონი ფანჩულიძეს*

**„ბოდიშის წერილი“**

-----------------------------------------------------------------

ბატონო დონი და მის ოჯახის წევრებს დიდ ბოდიშს უხდი, რომ ჩემი ყოფილი სამბისტი, რომელიც ახალგაზრდობის დროს ჩემთან „დინამოს“ საჭიდაო დარბაზში სამბოს ითვისებდა. შეიძლება არ გაამჟღავნა რამდენი ბოროტი და ქურდი დააკავა, ეს საეჭვო არ არის. სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს, დაბადების დღე კიდევ მრავალი ჩაივლის და დონი ისევ ისეთი გულმართლი დარჩება, განათლებული, თავის საქმის მუშაობის პერიოდშიც და ახლაც. მე ჩემი ორი ვაჟიშვილი დიდ ბოდიშს გიხდით დაბადების დღესთან დაკავშირებით. ჩვენ მაინც მეგობრები დავრჩებით. მე მძიმე ავადმყოფი ვარ და ხშირად ძლივს ვიღვიძებ, მრავალი ძლიერი ავადმყოფობა შემეყარა გულიდან, ტვინიდან, ფეხები ძალიან მაწუხებს, ვერ დავდივარ, გთხოვთ მაპატიოთ. გამრავლდი დონი, საყვარელი კაცი ბრძანდებით, ჩემი მოღვაწეობა თქვენთაგან მეტი გაიგო საქართველომ, რა გავაკეთე სამშობლოსათვის, სამამულო ომიდან დაბრუნებულმა. არ გეწყინოს, ის დავწერე რაც გულშიმქონდა.

*თქვენი თაყვანისმცემელი*

*ქრისტეფორე ნინიაშვილი, - „ ბერმუხა“*

*15 იანვარი 2013 წელი.*

*ბატონ: დონი ფანჩულიძეს*

თქვენ ხომ კარგად იცით, რომ მე და ჩემი ძმა აკაკი „დინამოს“ საჭიდაო დარბაზში ვმუშაობდით 50–80-იან წლამდე. ჩვენ განსაკუთრებით ყურადღებას ვუთმობდით გარნიზონის დივიზიონის სამმართველოს, უშიშროების და მილიციის სკოლებში აგვემაღლებინა ფიზიკური მომზადების დონე. მე მოხარული ვარ, რომ შენ ჩემთან ვარჯიშობდი და სანიმუშო ადამიანი და ჟურნალისტი გამოხვედი. დიდება შენს ვაჟკაცობას. ისიც იცი, რომ მილიციის ნაკრები გუნდები მონაწილეობას ღებულობდნენ ჩემი მონაწილეობით და ვიყავი მწვრთნელიც, როგორც „სამბოს“ შემსწავლელად როგორც რიგით შემადგენლობაში ასევე ოფიცერთა უმაღლეს წოდების თანამშრომლებთან, ხოლო ჩემი ძმა აკაკი ციხის თანამშრომლებთან. რაც შეეხება „ძიუდოს“ ის ხომ ჩემი ინიციატივით შემოვიტანეთ როგორც ს.ს.რ კავშირში ასევე საქართველოში 1957 წლიდან 1967 წლამდე. სოციალისტურ ქვეყნებში ჩემი მომზადებული სპორტსმენები გამოდიოდნენ.

ჩემო პატარა მეგობარო დონი! როგორც თქვენთვის ცნობილია ორჯერ ვიყავი ს.ს.სრ.კავშირის ჩემპიონი „სამბოში“, რამდენჯერ გუნდური პირველობა მომიპოვებია „სამბოსა“ და „ძიუდოში“ ჩემი აზრით თქვენი დიდი იმედი მაქვს ჩემი წვლილი სპორტში გააცნოთ ახალგაზრდა თაობებს. ჩემი შრომა რად უნდა დაიკარგოს? მადლობელი ვიქნები სიმართლის გამომჟღავნებაში. შენი ძმაკაცი

„ბერმუხა“, ველოდები თქვენს პასუხს სანამ კარგად ვარ და ცოცხალი ვარ, 93 წლის ლოგინად ჩავარდნილი მოხუცებული...

**ჭიდაობა „ძიუდოს“ და „სამბოს“ ფუძემდებელი საქართველოში და ს.ს.რ. კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ს.ს.ს. კავშირის დამსახურებული სპორტის ოსტატი, შინაგან საქმეთა თადარიგის მაიორი, „ჩოხიანი ჭიდაობის“ მამამთავარი დიდუბის რაიონის საპატიო მოქალაქე, - ქრისტეფორე ნინიაშვილი.**

**25 იანვარი 2013 წელი.**

*„რაიონის ზედამხედველი პროკურორი“*

**იუსტიციის უფროსი მრჩეველი**

**ეძღვნება**

## ტარიელ ალექსანდრეს - ძე კვაშალის მარადიულ ხსოვნას

**(15/02-1932 წ.-10/IV-2000 წ.წ.)**



ტარიელ კვაშალი

**მ ო გ ო ნ ე ბ ა**

...დიდუბე-ჩუღურეთის (პირველი მაისის) სახ. რაიონის მილიციის სამორიგეო ნაწილი, - პასუხისმგებელი მორიგე, მაიორი გოგი გოგოლაძე გისმენთ!

- ტარიელ კვაშალი ვარ პროკურატურიდან!, - სამსახურის უფროსი ინსპექტორი დონი ფანჩულიძე გამოცხადდეს ჩემთან, თავისი „დოკუმენტაციით“, იყო ოფიციალური დავალება და მოთხოვნა...

...80-იანი წლებია, „მშრალმა კანონმა“ მოიცვა როგორც საბჭოეთში შემავალი ქვეყნები, ასევე საქართველოს რეგიონები. დაუნდობელი ბრძოლა გამოცხადდა ზღვარგადასული ლხინის, ქორწილების და ქელეხების წინააღმდეგ. ქუჩებში და საზოგადოების თავშეყრის ადგილებში არ უნდა გამოჩენილიყვნენ ნასვამ მდგომარეობაში მყოფი პირები, შინ ნახადი არყის დამამზადებელ - რეალიზატორებისათვის ქალაქსა და სოფლებში უნდა გატარებულიყო ქმედითი ადმინისტრაციული ღონისძიებები. აღნიშნულ კანონებს წლების განმავლობაში თანდათან ყავლი გასდიოდა, მოთხოვნებმაც იკლო, რაც დაეტყო ჩემს მიერ გაწეული მუშაობის შედეგებს... (დ.ფ.)

...თქვენი ბრძანებით გამოვცხადდი ბატონო პროკურორო, შიშნარევი ხმით მივესალმე და თან არსებული ყველა „დოკუმენტაცია

- მეურნეობა“ დავულაგე საწერ მაგიდაზე. აქედან დაიწყო ბატონ ტარიელ კვაშალთან ჩემი სამსახურეობრივი ურთიერთობა და საქმიანობა. გადათვალიერების შემდეგ თვალებში შემომხედა, დამაკვირდა, - ნდობას გიცხადებ, ისეთი ცნობა შემიდგინე, სადაც ნაჩვენები იქნება თქვენს მიერ გაწეული მუშაობის შედეგების შესახებ!, - მესიამოვნა, რომ ჩემდამი ეჭვი არ გაუმჟღავნებია, მას ხომ თვისება ჰქონდა, სიცრუეს ვერ ეგუებოდა. ყველაფერი დეტალურად აღვწერე. მეორე დღეს გამოვცხადდი ბატონ ტარიელ კვაშალთან ჩემს მიერ შედგენილი ცნობა-ანგარიშით, სადაც ნათლად სჩანდა თუ როგორ მომისუსტებია მუშაობა - „ლოთობისა და ალკოჰოლიზმის“ წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, შემდეგი გარემოებების გამო, - გამოსაფხიზლებელში ნასვამი პირების მოთავსება, არყის სახდელი აპარატების, შინნახადი არყის დამამზადებელ - რეალიზატორების გამოვლენა, რეაგირება და მათი დაჯარიმება.

...წლების შედარების სუსტი მუშაობისათვის პროკურატურიდან მომზადდა „დასჯის პროექტი“, რომელიც რაიგანყოფილების ხელმძღვანელობამ განიხილა გაფართოებულ ოპერატიულ თათბირზე. ისევ ბატონმა ტარიელმა გამომიყვანა „კრიზისულ მდგომარეობიდან“...

...ბატონ ტარიელ კვაშალის სამუშაო ოთახში ვარ, პრაქტიკულ დახმარებას და მითითებებს მაძლევს ჩემს მიერ მონაკვლევ მასალებზე. გაისმა ელსმენის ზარის ხმა, - გისმენთ პროკურატურიდან ტარიელ კვაშალი!, შევატყვე, სახეზე გამოხედვა შეეცვალა, არ შეიმჩნია, - თქვენ სად იმყოფებით შვილო? - ამჟამად?!, იყო მისი პასუხი... შვილო არ ინერვიულო, ჩვენი პროკურატურა „დეზერტირების ბაზრისა“ და „დინამოს სტადიონთან“ კლარაცეტკინის ქუჩა N200-ს ნომერშია, მგონი მოგვაგნებ და არ დაიკარგები!!! ...ახალგაზრდა იურისტს, რომელიც ბატონ ტარიელთან „სტაჟირებას“ გადიოდა, მითითებულ

ორგანიზაციაში მისვლამდე გზაში ერთი ცარიელი მიმართვის ფურცელი დაუკარგავს... - მალე ალბათ პროკურორად დანიშნავენ, ღიმილით ჩაილაპარაკა ბატონმა ტარიელმა, რომლის დასჯა ღიმილითა და იუმორით გამოხატა...

...ბატონ ტარიელ კვაშალის ხელმძღვანელობის პერიოდში თითოეული თანამშრომელი ბედნიერად თვლიდა თავს, რადგან ის „დადებით მუხტს" გამოსცემდა თითოეული ხელქვეითების მიმართ. თქვენ ხომ „იუმორის მეფე" ბრძანდებოდით, თბილისის კოლორიტი, ცნობილი თამადა, უბოროტო ვაჟკაცური გენით, გურული იუმორით. საამაყოა, რომ თქვენი ოჯახის კარი ყოველთვის ღია იყო თქვენი საგვარეულოსა და ნათესავ-ახლობლებისათვის პურმარილით გაშლილი სუფრით, რომელიც ალაგებამდე ახლით იწყობოდა, რომელსაც აგრძელებს თქვენი ოჯახის წევრები დღემდე. უფალში გადაბრძანებულმა ნათელი კვალი დატოვეთ, რომ სახელოვანი შვილი გაზარდეთ და აღზარდეთ ცნობილი პიროვნება, - ხელოვანი ნუგზარ კვაშალის სახით.

სანთელ - საკმეველი ნუ მოგკლებოდეთ ჩვენო „იუმორის მეფევ", კაცურკაცობის მაგალითით რომ გვზრდიდით, გვეფერებოდით თითოეულ ახალბედა ხელქვეითებს.

*ვეტერანი თანამშრომლებისა და მეგობრების სახელით,*

*თადარიგში პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი:*

*/დონი ფანჩულიძე/*

*„12" ოქტომბერი 2011 წ. ქ. თბილისი.*

«რაიონის ზედამხედველი პროკურორი»

## იუსტიციის უფროსი მრჩეველი

## (ეძღვნება ტარიელ კვაშალის მარადიულ ხსოვნას)

## 15.02.1932 — 10.04.2000 წ.წ.



# „მოგონება“

... დიდუბე-ჩუღურეთის (პირველი მაისის) სახ. რაიონის მილიციის სამორიგეო ნაწილი, — პასუხისმგებელი მორიგე მაიორი გოგი გოგოლაძე გისმენთ! — ტარიელ კვაშალი ვარ პროკურატურიდან! — სამსახურის უფროსი ინსპექტორი დონი ფანჩულიძე გამოცხადდეს თავისი „დოკუმენტაციით“. იყო ოფიციალური დავალება და მოთხოვნა...

... 80-იანი წლებია, „მშრალმა კანონმა“ მოიცვა როგორც საბჭოეთში შემავალი ქვეყნები, ასევე საქართველოს რეგიონები. დაუნდობელი ბრძოლა გამოცხადდა ზღვარგადასული ლხინის, ქორწილების და ქელეხების წინააღმდეგ. ქუჩებსა და საზოგადოების თავშეყრის ადგილებში არ უნდა გამოჩენილიყვნენ ნასვამ მდგომარეობაში მყოფი პირები, შინნახადი არყის დამამზადებელ-რეალიზატორებისათვის ქალაქსა და სოფლებში უნდა გატარებულიყო ქმედითი ადმინისტრაციული ღონისძიებები. აღნიშნულ კანონებს წლების განმავლობაში თანდათან ყავლი გასდიოდა, მოთხოვნებმაც იკლო, რაც დაეტყო ჩემს მიერ გაწეული მუშაობის შედეგებს...

... თქვენი ბრძანებით გამოეცხადდი, ბატონო პროკურორო, შიშნარევი ხმით მივესალმე და თან ჩემთან არსებული ყველა „დოკუმენტაცია-მეურნეობა“ დაულაგე საწერ მაგიდაზე. აქედან დაიწყო ბატონ ტარიელ კვაშალთან ჩემი სამსახურებრივი ურთიერთობა და საქმიანობა. გადათვალიერების შემდეგ შემომხედა, დამაკვირდა, — ნდობას გიცხადებ, ისეთი ცნობა შემიდგინე, სადაც ნაჩვენები იქნება თქვენს მიერ გაწეული მუშაობის შედეგების შესახებ, მესიამოვნა, რომ ჩემდამი ეჭვი არ გაუმჟღავნებია, მას ხომ თვისება ჰქონდა, სიცრუეს ვერ ეგუებოდა. ყველაფერი დეტალურად აღვწერე. მეორე დღეს გამოვცხადდი ბატონ ტარიელ კვაშალთან ჩემს მიერ შედგენილი ცნობა-ანგარიშით, სადაც ნათლად სჩანდა თუ როგორ მომსუსტებია მუშაობა „ლოთობისა და ალკოჰოლიზმის“ წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, შემდეგი გარემოებების გამო, — გამოსაფხიზლებელში ნასვამი პირების მოთავსება არყის სახდელი აპარატების, შინნახადი არყის დამამზადებელ-რეალიზატორების გამოვლენა, რეაგირება და მათი დაჯარიმება.

... წლების შედარებით სუსტი მუშაობისთვის პროკურატურამ მოამზადა „დასჯის პროექტი“, რომელიც რაიგანყოფილების ხელმძღვანელობამ განიხილა გაფართოებულ ოპერატიულ თათბირზე. ისევ ბატონმა ტარიელმა გამომიყვანა „კრიზისული მდგომარეობიდან“...

... ბატონ ტარიელ კვაშალის სამუშაო ოთახში ვარ, პრაქტიკულ დახმარებას და მითითებებს მაძლევს ჩემს მიერ მონაკვლევ მასალებზე. გაისმა ელსმენის ზარის ხმა, — გისმენთ პროკურატურიდან ტარიელ კვაშალი! შევატყვე, სახეზე გამოხედვა შეეცვალა, არ შეიმჩნია, — თქვენ სად იმყოფებით შვილო, - ამჟამად?! იყო მის მიერ პასუხი... შვილო არ ინერვიულოთ, ჩვენი პროკურატურა „დეზერტირების ბაზრისა“ და „დინამოს სტადიონთან“ კლარა ცეტკინის ქუჩა № 200 ნომერშია, მგონი მოგვაგნებ და არ დაიკარგები!!!

... ახალგაზრდა იურისტს, რომელიც ბატონ ტარიელთან „სტაჟირებას“ გადიოდა, მითითებულ ორგანიზაციაში მისვლამდე გზაში ერთი ცარიელი მიმართვის ფურცელი დაუკარგავს... — მალე ალბათ პროკურორად დანიშნავენ, ღიმილით ჩამილაპარაკა ბატონმა ტარიელმა, რომლის დასჯა ღიმილითა და იუმორით გამოხატა...

ბატონ ტარიელ კვაშალის ხელმძღვანელობის პერიოდში თითოეული თანამშრომელი ბედნიერად თვლიდა თავს, რადგან ის „დადებით მუხტს“ გამოსცემდა თითოეული ხელქვეითის მიმართ. თქვენ ხომ „იუმორის მეფე“ ბრძანდებით, თბილისის კოლორიტი, ცნობილი თამადა, უბოროტო ქაქაცური გენით, გურული იუმორით. საამაყოა, რომ თქვენი ოჯახის კარი ყოველთვის ღია იყო თქვენი საგვარეულოსა და ნათესავ-ახლობლებისთვის პურმარილით გაშლილი სუფრით, რომელიც ალაგებამდე ახლით ივსებოდა, რომელსაც აგრძელებენ თქვენი ოჯახის წევრები დღემდე. სასუფეველში გადაბრძანებულმა ნათელი კვალი დატოვეთ, თქვენ ხომ სახელოვანი შვილი გაზარდეთ და აღზარდეთ ცნობილი პიროვნება, ხელოვანი ნუგზარ კვაშალის სახით.

სანთელ-საკმეველი არ მოგვკლებოდეთ ჩვენო „იუმორის მეფევ“, კაცურკაცობის მაგალითით რომ გვზრდიდით და გვეფერებოდით თითოეულ ახალბედა ხელქვეითს.

**ვეტერანი თანამშრომლებისა და მეგობრების სახელით, თადარიგში პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი, დონი ფანჩულიძე**

დეკემბერი 2011 წ. — თაობიდან თაობამდე — 3

...“ჟურნალი სარკე“, - ჟურნალისტი: - პროკურორმა მამამ შვილის მონათვლა როგორ გაბედა? არ შეეშინდა?

- შვილი, - ნუგზარ კვაშალი: - შეიძლება არც მოგვენათლა, რომ ვინც იმ წელს არ მოინათლებოდა, ძალიან ცუდი რამე შეემთხვევოდა. წლების შემდეგ, როცა ჩემი შვილი უნდა მომენათლა, მამამ მითხრა, მღვდელი სახლში მიიყვანე, ეკლესიაში ნუ წახვალო. მაშინ სასულიერო პირები ქუჩაში ჩვეულებრივი ტანსაცმლით დადიოდნენ. მამას დავუჯერე, მღვდელი მართლაც სახლში მოვიყვანე, მან სასულიერო პირის სამოსელი ჩაიცვა და ბავშვი მომინათლა. საღამოს მამას მეგობარი რაიკომის მდივნები უნდა მოსულიყვნენ, ამიტომ მამაჩემმა მითხრა, მოძღვარს ვერ დავტოვებო. მე მომერიდა მისი ასე გაშვება და მაინც დავსვი სუფრასთან. ზუსტად ნახევარ საათში სუფრასთან მსხდომი ხალხი მონუსხა თავისი საუბრით და სადღეგრძელოებით...

...სიკვდილის წინ მამაჩემმა ლექსი დაწერა, სადაც უფალს ბოდიში მოუხადა“.

*(ხელოვანი, მომღერალი, - ნუგზარ კვაშალი).*

6/22-IVწ. - 2014 წ.


ავთანდილ არველაძე

# ავთანდილ (აჩიკო) ივანეს-ძე არველაძე

(13.12.1948წ. - 10.01.2006 წ.)

**„გმირ პოლიციელებს დავიწყება არ უწერიათ!“**

## ა ვ ტ ო ბ ი ო გ რ ა ფ ი ა

ავთანდილ ივანეს-ძე არველაძე დაიბადა 13.12.1948 წელს. დაამთავრა ქ. თბილისის შ.ს.ს. მილიციის სკოლა იურისტის სპეციალობით, 1983 წელს დაამთავრა ქ. თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი ისტორიისა და საზოგადოებათ-მცოდნეობის სპეციალობით.

შ.ს.ს. ორგანოებში მუშაობა დაიწყო 1967 წელს. სხვადასხვა დროს მუშობდა შ.ს.ს. ორგანოების რიგით პოლიციელად. სისხლის სამართლის სამძებრო ხაზით, ინსპექტორად, უფროს ინსპექტორად, ქვეგანყოფილების უფროსად, განყოფილების უფროსად, განყოფილების უფროსის მოადგილედ, იყო შ.ს. სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველოს განყოფილების უფროსი, ქ. თბილისის, დიდუბის რაიონის შ.ს. განყოფილების უფროსი. ქ. თბილისის ოქტომბრის სახ. რაიონის შ.ს. განყოფილების სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების ინსპექტორად. 1973 წლის 1 ოქტომბრიდან ის მუშაობდა არასრულწლოვანთ ხაზით, შემდეგ კი გადაყვანილ იქნა „ქურდობასთან ბრძოლის“ ხაზით, 1976–77 წლებში მუშაობდა დიდუბის რაიონის N6 განყოფილებაში ინსპექტორად, შემდეგ უფროს ინსპექტორად, 1979 წელს გადაყვანილ იქნა თბილისის ლენინის რაიონში სამძებრო განყოფილების (უგროზისკის) უფროსად, 1982 წელს მუშაობდა შ.ს. სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველოს განყოფილების უფროსად. 1984–1985 წლებში მუშაობდა საბურთალოს რაიონის შ.ს. განყოფილების უფროსის მოადგილედ. 1986 წელს გადაყვანილი იქნა საბურთალოს რაიონის ქვე-განყოფილების უფროსად, (დოლიძეზე), 1987-88 წლებში გადაყვანილი იქნა საბურთალოს რაიონის

ქვეგანყოფილების უფროსად (ნუცუბიძეზე). მუშაობდა ქ. თბილისის შ.ს. მთავარ სამმართველოს ქალაქის (უზროზისკი) უფროსის მოადგილედ, 1993 წელს გადაყვანილი იქნა დიდუბის რაიონის ქვეგანყოფილების უფროსად. 1996 წელს მუშაობდა ქ. თბილისის სამმართველოში სამმებრო განყოფილების უფროსის მოადგილედ, შემდეგ უფროსად 2001 წელს მუშაობდა ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს სამორიგეო ნაწილის უფროსის მოადგილედ. შ.ს.ს. ორგანოებში მუშაობდა 1967 წლიდან 2002 წლამდე.

1991 წლის იანვარში გაგზავნილი იქნა ცხინვალში.

1992 წლის აგვისტოში იბრძოდა აფხაზეთში.

1993 წლის სექტემბერში მივლინებული იქნა ჯერ სოხუმში, სოფელ ლაბრაში, ხოლო შემდეგ სოფელ იაშტუხასთან, სადაც დაიჭრა. 4-ჯერ მიღებული აქვს მონაწილეობა საქართველოს მთლიანობისათვის ბრძოლაში.



აჩიკო არველაძე
„საბურთალოს სასაფლაო“

იყო ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი.

1991/01.11 მინიჭებული აქვს შ.ს.ს. დამსახურებული მუშაკის წოდება.

2003 წლის 15 იანვრის N399 პ/ზ ბრძანებით მინიჭებული ჰქონდა სახელმწიფო სპეციალური წოდება „პოლიციის პოლკოვნიკი“.

წახალისებული იყო სხვადასხვა დამსახურებისათვის, სხვადასხვა ჯილდოებით, როგორც ფულადი, ასევე მედლებით 70- ჯერ.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი: მეუღლე - რუსუდან რატიანი, შვილები: გვანცა არველაძე და ივანე არველაძე.

გარდაცვალების შემდეგ შეეძინა შვილიშვილები.

გაზეთ „თაობიდან თაობამდე“-ს რედაქცია მწუხარებით იუწყება, რომ 58 წლის ასაკში გარდაიცვალა შინაგან საქმეთა ორგანოების ღვაწლმოსილი მუშაკი, პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი

**არჩილ არველაძე**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

# შენ ყოველთვის უშიშარი იყავი...



ადამიანის სიცოცხლე სამყაროსთვის წამია, მხოლოდ უსასრულო სივრცეში მეტეორივით გაელვებული. მხოლოდ რჩეულთა ხვედრია იმქვეყნიურ სასუფეველში გადასვლის შემდეგაც ამ ქვეყნად ნათელი კვალი დატოვო. სწორედ ასეთ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნებოდა პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი არჩილ არველაძე, რომლის ლამაზი სული მარადიულ სასუფეველს ვალმოხდილი შეუერთდა. არჩილ არველაძე თავისი სიცოცხლით და კაცურ-კაცობით მუდამ სამაგალითო იყო მეგობრებისა და თანამშრომლებისთვის.

ძნელია წარსულ დროში ილაპარაკო ადამიანზე, ვისაც სიცოცხლე უყვარდა, უყვარდა მეგობრები, ოჯახი, მაგრამ მიატოვა ყველა და მუდმივ სასუფეველში დაიდო ბინა. ჩვენო მეგობარო, ვიცით, როგორ გიჭირს შენი ნათესავების, მეგობრების, შენი მეუღლის, რუსუდანის, შვილების – ვანიკოსა და გვანცას გარეშე. შენ ხომ მათთან ყოფნა საოცრად გიყვარდა და გახალისებდა.

არ ვიცით, რა დავწეროთ, მეგობარო. გვინდა საუკეთესო სიტყვები შენ მოგიძღვნათ, მაგრამ იმდენად დაბნეულნი და გულნატკენნი ვართ, რომ აზრები გვეფანტება და სიტყვები არ გვყოფნის.

შენ ნამდვილი პოლიციელი იყავი... ისევ იყავი?! 35 წელზე მეტი ხანი ერთგულად ემსახურებოდი შენს ხალხს და ქვეყანას, ემსახურებოდი შენს საყვარელ საქმეს, რომელიც აირჩიე საკუთარი ნება-სურვილით და მთელი ცხოვრება ვაჟკაცურად იდექი მოსახლეობის სიმშვიდისა და უსაფრთხოების სადარაჯოზე. არაერთხელ იყავი დაჭრილი, როგორც ბრძოლის ველზე, ასევე მშვიდობიან დროს, დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის წინა ხაზზე. შენ ყოველთვის პირველი მიდიოდი წინ, უკან დახევა, უპრინციპობა შორს იყო შენგან. ასეთი უშიშარი, ასეთი მებრძოლი მუდამ დარჩები ჩვენს გულში, იმ ადამიანების გულში, ვინც შენს გვერდით მუშაობდა და დღეს ასე განიცდის ერთგული მეგობრის დაკარგვას.

– იცით, რა არის ჩვენი სამსახურის პარადოქსი? შეიძლება ჩვენ ვიღლებით და შევბულებაზეც ვოცნებობთ, მაგრამ დიდი ხნით ვერც სახლში ვერ ვჩერდებით, – ხშირად ამბობდა არჩილი. დიახ, პოლიციელი იღლება, მაგრამ ვერც სახლში ვერ ჩერდება... მოუსვენარი, გიგანტურად შრომისუნარიანი, უბადლო ნიჭის მფლობელი – ასეთი დაგვამახსოვრდება არჩილ არველაძე.

ადამიანის ცხოვრება სიზმარია, სიზმარი, რომელიც სადღაც იწყება და... მთავრდება. მაგრამ არჩილ არველაძის ხსოვნას დავიწყება არ უწერია. მან თავისი პროფესიონალიზმით, კეთილშობილური საქმიანობით, უშიშრობით, ვაჟკაცობით ღრმა კვალი დაამჩნია ამ ქვეყნად დარჩენილთა ცხოვრებას და სიკვდილის შემდეგაც განაგრძობს სიცოცხლეს, განაგრძობს აქ დატოვებულ კეთილ საქმეთა მეშვეობით.

არჩილ, შენ ყოველთვის ცოცხალი იქნები შენი ოჯახის, მეგობრების, კოლეგების და ნათესავების გულში. შენი ვაჟკაცობის, ერთგულების მაგალითზე არაერთი ახალგაზრდა პოლიციელი აღიზრდება.

იძინე მშვიდად, ბატონო პოლკოვნიკო. ზეციდან ილოცე შენი შვილებისთვის, შენი ოჯახისთვის, შენი მეგობრებისთვის, რადგან სული შენი სპეტაკი შინა არს დამკვიდრებული.

მეგობრების სახელით,
**დონი ფანჩულიძე**

ხსოვნა გულისა

# გმირ პოლიციელებს დავიწყება არ უწერიათ

## (ეძღვნება ავთანდილ (არჩილ) არველაძის ხსოვნას)



**ავთანდილ არველაძემ საინტერესო და ხიფათიანი გზა განვლო შინაგან საქმეთა ორგანოების სისტემაში,** – 1967 წლიდან 2002 წლამდე. პედაგოგიური ინსტიტუტის, ისტორიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ ნიშნავენ არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექტორის თანამდებობაზე, რის შემდეგაც ეტაპობრივად აწინაურებდნენ, ჯერ სისხლის სამართლის სამძებროს უფროს ინსპექტორად, შემდეგ სხვადასხვა რაიონებში პოლიციის უფროსად. თადარიგში გასვლამდე თბილისის მთავარი სამმართველოს სამორიგეო ნაწილის უფროსი იყო.

ავთანდილ არველაძე (საახლობლო წრეში მას აჩიკოდ მამართავდნენ) ნამდვილი უშიშარი, უმწიკვლო პოლიციელი იყო, მან 35 წელი იმსახურა დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. სხვადასხვა სამთავრობო მედლებთან ერთად მინიჭებული ჰქონდა საკავშირო შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ, – „საპატიო ჩეკისტის“ წოდება, რომელსაც ერთეულები იმსახურებდნენ.

მან მოხალისედ რამდენჯერმე მიიღო მონაწილეობა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში, ჯერ სამაჩაბლოში, შემდეგ აფხაზეთის ტერიტორიაზე.

1993 წლის სექტემბრის თვეში, აფხაზეთის ტერიტორიაზე სოფელ იაშტუხაში პირისპირ შეტაკება მოგვიხდა ჩეჩნეთიდან დაქირავებულ მოხალისე მებრძოლებთან, რა დროსაც დაიჭრა, საჭიროება მოითხოვდა სასწრაფოდ გადმოგვეყვანა თბილისში, ზაზა „ბაევიკი“ ციმაკურიძის დახმარებით რამდენიმე საათში თბილისში ვიმყოფებოდით.

ძნელია წარსულ დროში ილაპარაკო ადამიანზე, ვისაც სიცოცხლე უყვარდა, უყვარდა მეგობრები, ოჯახი და სანათესაო. აღმზრდელი მამის გარეშე მიაღწია იმ მწვერვალების გადალახვას, რომესაც ერთეულები აღწევენ. თადარიგში გასული ყველა თანამშრომელი დამერწმუნება, რომ თქვენ იყავით „უშიშარი პოლიციელი“, დამნაშავეთა სამყაროც კი გაფასებდათ თქვენ, რადგან იყავით უმწიკვლო, წინა პლანზე აყენებდით პატიოსნებას, ანგარება თქვენთვის მიუღებელი იყო... ადამიანის ცხოვრება სიზმარია, სიზმარი, რომელიც სადღაც იწყება და... მთავრდება.

იძინეთ მშვიდად, ბატონო პოლკოვნიკო, ზეციდან ილოცე შენი შვილებისთვის, შენი მეუღლისთვის, ოჯახისთვის, მეგობრებისთვის, რადგან თქვენ ჩვენგან ყოველთვის მოსაგონარი იქნებით...

**მეგობრებისა და ვეტერან პოლიციელთა სახელით,**
**დონი ფანჩულიძე**



მიხეილ ცხვედაძე

**პოლიციის კაპიტნის**

**მიხეილ (მიშკა) რევაზის-ძე ცხვედაძის**

**ნათელ, მარადიულ ხსოვნას მეგობრებისაგან**

**(27/XII-1966 წ. -- 30/VII-1994 წ.)**

...1992 წლის 13 აგვისტოს ქ. თბილისის დიდუბე - ჩუღურეთის რაიონის პლიციის სამმართელოს მეორე განყოფილების თნამშრომლები მივლინებული ვიყავით აფხაზეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად...

....ჩვენ პერიოდულად გზადაგზა შევდიოდით გალის გავლით ოჩამჩირის ტერიტორიაზე, გადაადგილებას აფერხებდა მძიმე საბრძოლო ტექნიკა, რა მიზეზითც ხელმძღვანელობას ვრჩებოდით და ჩვენს თავს ჩვენ თვითონ ვაკონტროლებდით. 14 აგვისტოს 15:00 საათძე ოჩამჩირის რაიონის სოფელ არადუს ტერიტორიაზე წამოვეწიეთ ჩვენს თანამშრომლებს, პოლიციის უფროსს ომარ ფოფხაძეს. მისვლისთანავე რამოდენიმე წუთის გასვლის შემდეგ დაიწყო ჩვენს მიმართულებით გაუფრთხილებელი ინტენსიური სროლები როგორც ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღებიდან, ასევე სნაიპერების მიზნობრივი სროლებით დამთავრებული, რის შედეგად ადგილზე დაგვეღუპა ერთი თანამშრომელი, პოლიციის მაიორი პაატა ნათენაძე და ომარ ფურცელაძე, დაიჭრა პოლიციის უფროსი ლეიტენანტი გია გვენცაძე.

...მოულოდნელი და უთანასწორო შეტაკების დროს აქტიური მონაწილეობა მიიღო ახალბედა პოლიციის თანამშრომელმა ლეიტენენტმა მიხეილ ცხვედაძემ, რის შედეგადაც რამოდენიმე თანამშრომელი სამშვიდობო და უსაფრთხო ადგილზე გავედით და დაველოდეთ ხელმძღვანელობის შემდგომ განკარგულებას...

...მიხეილ (მიშკა) რევაზის-ძე ცხვედაძე დაიბადა 1966 წლის 27 დეკემბერს ქ. თილისში, 1983 წელს დაამთავრა თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის N112 საშუალო სკოლა, 1985 – 1987 წლებში მსახურობდა სავალდებულო სამხედრო სამსახურში, 1991 წელს დაამთავრა პოლიტექნიკური უნივერსიტეტის რადიო-ტელემექანიკის ფაკულტეტი და ამავე წლიდან მუშაობა დაიწყო თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის შ/ს სამმართველოს მე-2 განყოფილებაში სისხლის სამართლის სამძებროს ინსპექტორის თანამდებობაზე.

ძნელბედობის ჟამს მოუწია ცხოვრება და მუშაობა, ქალაქში იმ პერიოდში დათარეშობდნენ სხვადასხვა სამხედრო ფორმირებებთან მიტმასნილი დამნაშავე ელემენტები, მათი კონტროლი ძვირად უჯდებოდა პოლიციის თანამშრომლებს, რის შედეგად მ. ცხვედაძე რამდენჯერმე დაიჭრა. დამნაშავე პირებთან ბრძოლის მიუხედავად უშიშარი თანამშრომელი იყო, რაზედაც წახალისებული იყო რიგგარეშე წოდებით.

...იმ დაძაბულ სამუშაო რითმს კიდევ მწუხარებამ დაისადგურა მიხეილ ცხვედაძის ახალგაზრდა ცხოვრების გზაზე, 1991 წლის ნოემბრის თვეში ტრაგიკულად დაეღუპა ერთადერთი საფიცარი ძმა მამუკა, რასაც შეუმჩნევლად და დაუსრულებლად განიცდიდა...

...1993 წლის იანვრის თვეში კვლავ ერთად მოგვიხდა ბრძოლა აფხაზეთის ტერიტორიაზე, კერძოდ სოფელ ლაბრაში, ჩვეულებრივ გვიწევდა პატრულირება და მორიგეობა საცეცხლე წერტილებში. მეამაყება, რომ ჩემს გვერდით იბრძოდნენ ახალბედა პოლიციის თანამშრომლები. ერთ-ერთ საკონტროლო საგუშაგოზე მორიგეობა მომიხდა პოლიციის უფროს ლეიტენანტთან მიშკა ცხვედაძესთან, რომელიც ჩემთან ერთად ასრულებდა იმ მძიმე და საპასუხისმგებლო დავალებას, როგორც ჩვეულებრივი თბილისელი ბიჭი გულანთებული სამშობლოზე შეყვარებული პატრიოტი...

...რა ბედნიერი იყავი ჩემო პატარა მეგობარო მიშკა, როდესაც პირველი შვილი - ქალიშვილი „ანუკი“ შეგეძინა, სანამ გაიგებდი. დღის საათებში გადაადგილების შეზღუდვებისა მაინც მოახერხა მოსვლა სამუშაოზე არჩილ ჩომახიძემ და მოგილოცა მშობლის რთული გზა...

...იუმორის გრძნობაც მოზომილი ჰქონდა, დაზარალებული ქალბატონი, რომლის კუთვნილი ავტომანქანა ბოროტმოქმედებმა გაიტაცეს, აღელვებული და თვითმკვლელობამდე მისული, რომელსაც მეუღლის დაუკითხავად გამოყვანილი მანქანა ადგილზე აღარ დახვდა, როგორ აწყნარებდა, პირველი შეკითხვა ის იყო, თუ სად ჰქონდა საბუთები, როდესაც მან ხელჩანთიდან ამოიღო მართვის მოწმობა და ტექპასპორტი, დაარწმუნა, რომ მანქანას ქალაქგარეთ ვერ გაიყვანდნენ და დროულად აპოვნინებდა, რის შემდეგ ქალბატონი წყნარდებოდა და მშვიდდებოდა... მისი სიცოცხლე თქვენ გადაარჩინეთ, მაგრამ თქვენს სიცოცხლეს ვეღარ გაუფრთხილდით... 1994 წლის ივლისის თვეში სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს დაუნდობელი ბოროტმოქმედი შენს ნათელ ცხოვრების გზას გადაეღობა. მართალია ღმერთი და განგება მაღლიდან იყურებაო, თავის მიერ ჩადენილი ბოროტებას ვეღარ გაუძლო, ციხეში სიცოცხლე თვითმკვლელობით დაამთავრა...

„თქვენს შესახებ რამოდენიმე საგაზეთო განცხადება გაკეთდა, მაგრამ მე კიდევ ერთხელ მინდა ვაცნობო საზოგადოებას, შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლებს, ვინც თქვენ გიცნობდათ და არ გიცნობდათ, რომ შენს განვლილ გზას დავიწყება არ უწერია, მინდა კიდევ ვანუგეშო თქვენი ღრმად დამწუხრებული მშობლები, ბატონი რევაზი და ქალბატონი ნათელა, მეუღლე ქალბატონი ეკა და 17 წლის - ქალიშვილი „ანუკი“. ერთსაც ვიტყვი, რომ ვაჟკაცები გმირებად

რჩებიან და მათი დიდება სამშობლომ, კოლეგებმა და ახლობლებმა არ უნდა დაივიწყოს, თქვენ ამ ლამაზს სიტყვებს იმსახურებთ.

...მინდა დაგემშვიდობო ახალგაზრდა პოეტის, მსახიობის, უდროოდ გარდაცვლილი დიდი ქართველის ნიკო გომელაურის ლექსით:

*...“რა უცნაური დადგა დროება*
*აცდენილია ხმა და ტკივილი*
*გუგუნს როგორ ჰგავს ეს მყუდროება*
*დუმილს როგორ ჰგავს ჩემი კივილი“...*

ამონარიდი გაზეთ: „თაობიდან თაობამდე“
ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანი.
პოლიციის თადარიგის ვიცე - პოდპოლკოვნიკი:
დ ო ნ ი ფ ა ნ ჩ უ ლ ი ძ ე

მაისი 2010 წ; ქ. თბილისი

# ხსოვნა გულისა

## (ექღვნება პოლიციის კაპიტნის მიხეილ (მიშა) ცხვედაძის ხსოვნას)

## 27.12.1966წ. — 30.07.1994წ.



1992 წლის 13 აგვისტოს ქალაქ თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის სამმართველოს მეორე განყოფილების თანამშრომლები მიხეილ ცხვედაძე, იოსებ ბუტიკაშვილი და დავით ღელიაშვილი მივლინებული ვიყავით აფხაზეთის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად...

ჩვენ პერიოდულად გზადაგზა შევდიოდით გალის გავლით ოჩამჩირის ტერიტორიაზე. გადაადგილებას აფერხებდა საბრძოლო ტექნიკა, რა მიზეზითაც ხელმძღვანელობას ვრჩებოდით და ჩვენს თავს ჩვენ თვითონ ვაკონტროლებდით. 14 აგვისტოს 17:00 საათზე ოჩამჩირის რაიონის ტერიტორიაზე წამოვეწიეთ ჩვენს თანამშრომლებს, პოლიციის უფროსს ომარ ფოფხაძეს. მისვლისთანავე, რამდენიმე წუთის გავლის შემდეგ, დაიწყო ჩვენი მიმართულებით გაუფრთხილებელი ინტენსიური სროლა.. როგორც ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღებიდან, ასევე სნაიპერების მიზნობრივი სროლებით დამთავრებული, რის შემდეგად ადგილზევე დაგვეღუპა ერთი თანამშრომელი, პოლიციის მაიორი პაატა ნათენაძე და დაიჭრა პოლიციის უფროსი ლეიტენანტი გია გვენცაძე.

მოულოდნელი და უთანასწორო შეტაკების დროს აქტიური მონაწილეობა მიიღო ახალგაზრდა პოლიციის თანამშრომელმა, პოლიციის ლეიტენანტმა მიხეილ ცხვედაძემ, რის შედეგადაც რამდენიმე თანამშრომელი სამშვიდობო და უსაფრთხო ადგილზე გადაევედით და დაველოდეთ ხელმძღვანელობის შემდგომ განკარგულებას.

**მიხეილ (მიშა) რევაზის-ძე ცხვედაძე** დაიბადა 1966 წლის 27 დეკემბერს ქალაქ თბილისში. 1983 წელს დაამთავრა თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სკოლა, 1985-1987 წლებში მსახურობდა სავალდებულო–სამხედრო სამსახურში. 1991 წელს დაამთავრა პოლიტექნიკური უნივერსიტეტი რადიოტელემექანიკის ფაკულტეტი და ამავე წლიდან მუშაობა დაიწყო დიდუბე-ჩუღურეთის შს სამმართველოს მეორე განყოფილებაში სისხლის სამართლის სამძებროს ინსპექტორად.

ძნელბედობის ჟამს მოუწია ცხოვრება და მუშაობა, ქალაქში იმ პერიოდში დათარეშობდნენ სხვადასხვა სამხედრო ფორმირებებთან მიტმასნული დამნაშავე ელემენტები, მათი კონტროლი ძვირად უჯდებოდა პოლიციის თანამშრომლებს, რის შედეგად მ. ცხვედაძე რამდენჯერმე დაიჭრა. დამნაშავე პირებთან ბრძოლის მიუხედავად უშიშარი თანამშრომელი იყო, რაზედაც წახალისებული იყო რიგგარეშე წოდებით.

1991 წლის ნოემბრის თვეში ტრ[...]ლად დაეღუპა ერთადერთი საფიცარი ძმა მამუკა, რასაც შეუმჩნევლად და დაუსრულებლად განიცდიდა.

1993 წლის იანვრის თვეში კვლავ ერთად მოგვიწია ბრძოლა აფხაზეთის ტერიტორიაზე. კურძღლ, სოფელ ლაბრაში, ჩვეულებრივ გვიწევდა პატრულირება და მორიგეობა ცხელ წერტილებში. მეამაყება, რომ ჩემს გვერდით იბრძოდნენ პოლიციის ახალგაზრდა თანამშრომლები. ერთერთ საკონტროლო საგუშაგოზე მორიგეობა მომიხდა პოლიციის უფროს ლეიტენანტთან მიშკა ცხვედაძესთან, რომელიც ჩემთან ერთად ასრულებდა იმ მძიმე და საპასუხისმგებლო დავალებას, როგორც ჩვეულებრივი თბილისელი ბიჭი გულანთებული, სამშობლოზე შეყვარებული პატრიოტი.

რა ბედნიერი იყავი, ჩემო პატარა მეგობარო მიშკა, როდესაც პირველი შვილი, ანუკი, შეეძინა, სანამ გაიგებდი, დღის საათებში გადაადგილების შეზღუდვებისა მაინც მოახერხა მისვლა საგუშაგოზე არჩილ ჩომახიძემ და მოგილოცა მშობლის რთული გზა.

იუმორის გრძნობაც მოზომილი გქონდა, დაზარალებული ქალბატონი, რომლის კუთვნილი ავტომანქანა ბოროტმოქმედებმა გაიტაცეს, აღელვებული და თვითმკვლელობამდე მისული, რომელსაც მეუღლის დაუკითხავათ გამოყვანილი მანქანა ადგილზე აღარ დახვდა, როგორ აწყნარებდი, პირველი შეკითხვა ის იყო, თუ სად ჰქონდა საბუთები, როდესაც მან ხელჩანთიდან ამოიღო მართვის მოწმობა და ტექპასპორტი, დაარწმუნე, რომ მანქანას ქალაქგარეთ ვერ გაიყვანდნენ და დროულად აპოვნინებდი, რის შემდეგ ქალბატონი წყნარდებოდა და მშვიდდებოდა. მისი სიცოცხლე თქვენ გადაარჩინეთ, მაგრამ თქვენს სიცოცხლეს ვეღარ გაუფრთხილდით.

1994 წლის ივლისის თვეში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ლაუნდობელი ბოროტმოქმედი შენს ნათელ ცხოვრებას გზაზე გადაეღობა. მართალია, ღმერთი და განგება ზევიდან იყურება, მის მიერ ჩადენილ ბოროტებას ვეღარ გაუძლო, ციხეში სიცოცხლე თვითმკვლელობით დაამთავრა.

თქვენს შესახებ რამდენიმე საგაზეთო განცხადება გაკეთდა, მაგრამ მე კიდევ ერთხელ მინდა ვაცნობო საზოგადოებას, შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლებს, ვინც თქვენ გიცნობდათ და არ გიცნობდათ, რომ თქვენს გავლილ გზას დავიწყება არ უწერია. მინდა კიდევ ერთხელ ვანუგეშო თქვენი ღრმად დამწუხრებული მშობლები — ბატონი რევაზი და ქალბატონი ნათელა, მეუღლე, ქალბატონი ეკა და 17 წლის ქალიშვილი ანუკი. ერთსაც ვიტყვი, რომ ვაჟკაცები გმირებად რჩებიან და მათი დიდება სამშობლოში, კოლეგებმა და ახლობლებმა არ უნდა დაივიწყონ, თქვენ ამ ლამაზ სიტყვებს იმსახურებთ.

მინდა დავემშვიდობო ახალგაზრდა პოეტის, მსახიობის, უდროოდ გარდაცვლილის დიდი ქართველის ნიკო გომელაურის ლექსით.

**„ ... რა უცნაური დადგა დროება,**
**აცდენილია ხმა და ტკივილი**
**ზეგუნს როგორ ჰგავს**
**ეს მყუდროება,**
**დუმილს როგორ ჰგავს**
**ჩემი კივილი“.**

**ლონი ფანჩულიძე, ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანი, პოლიციის თადარიგის ვიცე-პოლკოვნიკი**



ივანე ვარდიძე

„მეგობრის მარადიულ ხსოვნას“
ივანე (ვანო) პავლეს - ძე ვარდიძე
(6/02-1945წ. - 14/05-2013წ.).

მეგობარზე და თანამებრძოლზე სა-მგლოვიარო გამოთხოვების ნეკროლოგს რომ ვწერ, მითუმეტეს 68-წლის ასაკის, მარადისობაში გადაბრძანებულ, ვალ-მოხდილ პიროვნებაზე, მეტი პასუხის-მგებლობა მეუფლება.

პოლიციის ვიცე პოლკოვნიკი ვანო ვარდიძე ძალოვან სისტემის მაღალჩინოსანთა კატეგორიას ეკუთვნოდა, რომელმაც საინტერესო გზა განვლო რიგით მილიციელიდან, თადარიგში პოლიციის ვიცე პოლკოვნიკობამდე დამთავრებული.

ვანო ვარდიძემ მილიციის სპეციალური სკოლის დამთავრების შემდეგ, ყოველთვის ოპერატიულად რთულ უბნებზე და თანამდებობებზე ნიშნავდნენ. მის წარმატებებზე იმდროინდელ „საქინფორმიდან“ შედგენილ ტექსტური შეტყობინება ფოტოსურათთან ერთად, განვლილი ბიოგრაფია გამოკრული იყო თვალსაჩინო ადგილებზე, საქართველოს ტერიტორიაზე ყველა მილიციის განყოფილებებსა და დანაყოფებში, რომლის მხედრული მიღწევები სამაგალითო იყო მილიციისა და პოლიციის ახალზედა თანამშრომლებზე, რომელმაც დადებით კვალი დატოვა როგორც პირადად ჩემზე, ასევე მის დაქვემდებარებაში გავლილ პირებზე, რომლებიც ამჟამად საპასუხისმგებლო თანამდებობებზე აგრძელებენ მუშაობას.

ჩემო უფროსო მეგობარო და კოლეგა, - რამდენჯერ მოგვიხდა ბრძოლა დამნაშავე პირებთან შეიარაღებული შეტაკებისას,



მარცხ: დონი ფანჩულიძე, სერგო მაკაროვი, ვანო ვარდიძე, ნუგზარ თვაური
ბოლნისი, სოფ. ხატისოფელი, შიდა ქართლში ეთნიკურ ნიადაგზე არეულობის დროს
საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად
აგვისტო 1988 წელი.

## ხსოვნა გულისა

# ექღვნება ივანე (ვანო) პავლეს ძე ვარდიძის ხსოვნას
# 6.02.1945 — 14.05.2013 წ.წ.



მეგობარზე და თანამებრძოლზე სამგლოვიარო გამოთხოვების ნეკროლოგს რომ ვწერ, მითუმეტეს, 68 წლის ასაკის, მარადისობაში გადაბრძანებულ, ვალმოხდილ პიროვნებაზე, მეტი პასუხისმგებლობა მეუფლება.

**პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი ვანო ვარდიძე ძალოვანი სისტემის მაღალჩინოსანთა კატეგორიას ეკუთვნოდა, რომელმაც საინტერესო გზა განვლო რიგითი მილიციელიდან, თადარიგში პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკობამდე.**

ვანო ვარდიძეს მილიციის სპეციალური სკოლის დამთავრების შემდეგ, ყოველთვის ოპერატიულად რთულ უბნებზე და თანამდებობებზე ნიშნავდნენ. მის წარმატებაზე იმდროინდელ „საქინფორმიდან“ შედგენილ ტექსტური შეტყობინება ფოტოსურათთან ერთად, განვლილი ბიოგრაფია გამოკრული იყო თვალსაჩინო ადგილებზე, საქართველოს ტერიტორიაზე ყველა მილიციის განყოფილებებსა და დანაყოფებში, რომლის მხედრული მიღწევები სამაგალითო იყო მილიციის და პოლიციის ახალბედა თანამშრომლებზე, რომლებმაც დღებითი კვალი დატოვა როგორც პირადად ჩემზე, ასევე მის დაქვემდებარებაში გავლილ პირებზე, რომლებიც ამჟამად საპასუხისმგებლო თანამდებობებზე აგრძელებენ მუშაობას.

ჩემო უფროსო მეგობარო და კოლეგა, — რამდენჯერ მოგვიხდა ბრძოლა დამნაშავე პირებთან შეიარაღებული შეტაკებისას, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, — ჯერ დაწყებული 9 აპრილის მოვლენების, სამეგრელოს რეგიონებში შემოღებულ „საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებით, ქვემო ქართლის ტერიტორიაზე წესრიგის დამყარება, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის, — „სამაჩაბლოში“ და „აფხაზეთის“ საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობა, მიუხედავად უფროსი ასაკისა, ყოველთვის პირველი მიდიოდით ცხელ წერტილებში, მაგალითი იყავით ახალბედა ხელქვეითების მიმართ. თქვენთან მეგობრობა და თანამშრომლობა ყოველთვის სახუმარო კურიოზებით მთავრდებოდა, რომელიც ასახულია ჩემს მიერ გამოცემულ წიგნში: — „პროფესიული კურიოზები — ძალოვნები ხუმრობენ“, სადაც თქვენი ალალი გულით და უნებლიე მოქმედებებით სამახსოვროდ დაგვიტოვეთ.

საყვარელი მეუღლის, დიდებული ქალბატონის, სტუმრის მოყვარულის, — ნუნუ ბიბილეიშვილის 2000 წელს უდროოდ დაკარგვამ, მიუხედავად თქვენი ძალისხმევისა, დაღი დაასვა თქვენს ჯანმრთელობას, რომელიც წლების მანძილზე მოგვყვებოდათ.

ყოველი სიტყვის დაწერისას ვეცადე ყველაფერი თქვენი წარსული აღმენიშნა, განგებამ გადმოგვეხედა, თქვენი სამარადისო გამოსათხოვარი, — „პოლიციის პროფესიონალურ დღეს“ დაემთხვა, დაე ყოველთვის პოლიციის დღის აღნიშვნა და თქვენი სულის მარადისობაში გადაბრძანება ერთად აგვეღნიშნოს კოლეგებსა და ახლობლებს.

იძინეთ მშვიდად, მსუბუქი ყოფილიყოს თქვენს გულზე დაყრილი საქართველოს მიწა, — ცხოვრებაში და ძალოვან სისტემაში გამობრძმედილო, — „უმწიკვლო ადამიანო“.

**მეგობრებისა და კოლეგების სახელით,**
**დონი ზანჩულიძე**




„ვაშლიჯვრის სასაფლაო“
=სოფელი დიღომი=

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, - ჯერ დაწყებული 9-აპრილის მოვლენების, სამეგრელოს რეგიონებში შემოღებულ „საგანგებო მდგომარეობასთან“დაკავშირებით, ქვემო ქართლის ტერიტორიაზე წესრიგის დამყარება, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის-ათვის, - „სამაჩაბლოში“ და „აფხაზეთის“ საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობა, მიუხედავად უფროსი ასაკისა, ყოველთვის პირველი მიდიოდით ცხელ წერტილებში, მაგალითი იყავით ახალბედა ხელქვეითების მიმართ. თქვენთან მეგობრობა და თანამშრომლობა ყოველთის სახუმარო კურიოზებით მთავრდებოდა, რომელიც ასახულია ჩემს მიერ გამოცემულ წიგნში: - „პროფესიული კურიოზები - ძალოვნები ხუმრობენ“, სადაც თქვენი ალალი გულით და უნებლიე მოქმედებებით სამახსოვროდ დაგვიტოვეთ.

საყვარელი მეუღლის, დიდებული ქალბატონის, სტუმრის მოყვარულის, - ნუნუ ბიბილეიშვილის 2000 წელს უდროოდ დაკარგვამ, მიუხედავად თქვენი ძალისხმევისა, დაღი დასვა თქვენს ჯანმრთელობას, რომელიც წლების მანძილზე მოგყვებოდათ.

ყოველი სიტყვის დაწერისას ვეცადე ყველაფერი თქვენი წარსული აღმენიშნა, განგებამ გადმოგვხედა, თქვენი სამარადისო გამოსათხოვარი, - „პოლიციის პროფესიონალურ დღეს“ დაემთხვა, დაე ყოველთვის პოლიცის დღის აღნიშვნა და თქვენი სულის მარადისობაში გადაბრძანება ერთდ აგღვენიშნოს კოლეგებსა და ახლობლებს.

იძინეთ მშვიდად, მსუბუქი ყოფილიყვეს თქვენს გულზე დაყრილი საქართველოს მიწა, - ცხოვრებაში და ძალოვან სისტემაში გამობრძმენდილო, - „უმწიკვლო ადამიანო“.

*მეგობრებისა და კოლეგების სახელით:*
*დონი ფანჩულიძე*
*„19“ მაისი 2013 ქ. თბილისი.*

## ერთეულები იბადებიან: თამაზ ამირანის - ძე ნაჭყებია

(10/VI-1950 წ. - 3/01-2004წ.)

ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის შ/ს რაი-განყოფილების პასუხისმგებელი მორიგის თანაშემწე, უმწიკვლო ადამიანი, ჭირსა და ლხინში თანამდგომი იყო ყველა მეგობრისადმი.

თამაზ ამირანის - ძე ნაჭყებია დაიბადა 1950 წლის 10 ივნისს, ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭითაწყალში.



თამაზ ნაჭყებია

1967 წელს საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში. მობილიზაციის შემდეგ ჯერ მუშაობა განაგრძო სოფ. ჭითაწყაროს კოლმეურნეობაში, შემდეგ კომკავშირული საგზურით მუშაობას იწყებს ქ. თბილისის დიდუბე - ჩუღურეთის (პირველი მაისის) რაიონის შს რაიგანყოფილებაში, საპატრულო - საგუშაგო სამსახურში, შემდეგ გადაყვანილი იქნა პასუხისმგებელი მორიგის თანაშემწედ.

თამაზ ნაჭყებიამ მუშაობის პერიოდში თავი გამოიჩინა როგორც პროფესიულმა და თავის საქმეზე უზომოდ შეყვარებულმა თანამშრომელმა, რომელმაც რამდენიმე თვეში ხელმძღვანელობის ნდობა დაიმსახურა. მონაწილეობა მიიღო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ჯერ „სამაჩაბლოში“, შემდეგ „აფხაზეთის“ ტერიტორიაზე. იყო, - შრომისა - ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანი.



დონი ფანჩულიძე თანამებრძოლ
თამაზ ნაჭყებიას საგვარეულო სასაფლაოზე
დაბა ზაჰესი



ამირან კირკიტაძე
დაიღუპა აფხაზეთში 1993 წელს



მარცხნიდან: თამაზ ნაჭყებია, ამირან კირკიტაძე, დონი ფანჩულიძე
გადაღებულია: ქ. თბილისის, დიდუბის (პირველი მაისის)
შ/ს რაი. განყოფილების წინ - **1985** წელი.
დავით აღმაშენებლის გამზ. N113



მარცხნიდან: თამაზ ნაჭყებია, დონი ფანჩულიძე,
მაია ბოჭორიშვილი, სოფო ბოჭორიშვილი
ქორწინების სასახლე. ქ. თბილისი

2001 წლიდან თადარიგშია, წელთა ნამსახურების მიხედვით, დანიშნული ჰქონდა პენსია.

მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ორმოცდათოთხმეტი წლის ასაკში 2004 წლის 3 იანვარს გარდაიცვალა, დაკრძალულია „ზაჰესის დასახლების" სასაფლაოზე.

მეუღლე: მარინე ზანცაძე, შვილი, - ნინო ნაჭყებია - იურისტი, სპეციალობით, საქალაქო სასამართლოს მოსამართლე.

## უშანგი რაჟდენის - ძე ზურაშვილი

**(მარადიულ ხსოვნას)**

**(4/XII-1934 წ. - 10/X-1988 წელი)**



უშანგი ზურაშვილი

საწერ მაგიდაზე მიდევს პოლიციის ფორმით, მაიორის წოდებით გადაღებული ფოტოსურათი, დავსცქერი და ვიგონებ ჩემს გვერდით წლების მანძილზე მომუშავე ხელმძღვანელ პიროვნებას, კერძოდ უშანგი რაჟდენის - ძე ზურაშვილის უმწიკვლო ბიოგრაფიას. წერილობით გადამაქვს თაბახზე.

უშანგი ზურაშვილი დაიბადა 1934 წლის 4 დეკემბერს ქ. თბილისში, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, მისაღები გამოცდები ჩააბარა პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში რუსული ენისა და ლიტერატურის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1958 წელს. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ დაოჯახდა პედაგოგ ნანული ჯოხაძეზე. 1960 წელს კომკავშირული საგზურით მუშაობა დაიწყო შინაგან საქმეთა ორგანოებში, რის შემდეგ მუშაობა განაგრძო სხვადასხვა პასუხისმგებელ თანამდებობებზე.



# უშანგი რაჟდენის-ძე ზურაშვილის ხსოვნა

## 4.12.1934 — 10.09.1988 წ.წ

საწერ მაგიდაზე დევს პოლიციის ფორმით, მაიორის წოდებით გადაღებული სურათი, დავსცქერი და ვიხსენებ ჩემს გვერდით წლების მანძილზე მომუშავე ხელმძღვანელ პიროვნებას. კერძოდ — უშანგი რაჟდენის ძე ზურაშვილის უშწიკვლო ბიოგრაფიას.

**უშანგი ზურაშვილი დაიბადა** 1934 წლის 4 დეკემბერს ქ. თბილისში, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მისაღები გამოცდები ჩააბარა პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში რუსული ენისა და ლიტერატურის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1958 წელს. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ დაოჯახდა პედაგოგ ნანული ჯოსაძეზე. 1960 წელს კომკავშირული საგზურით მუშაობა დაიწყო შინაგან საქმეთა ორგანოებში, რის შემდეგაც მუშაობა განაგრძო სხვადასხვა პასუხისმგებელ თანამდებობებზე.

ნათქვამია, გარდაცვლილზე ან კარგი უნდა სთქვა, ან საერთოდ არ არის მიღებული აუგად მოიხსენიო, — „რაჟდენიჩ“, თქვენ ხომ ამ სიტყვებს არ იმსახურებთ? წლების მანძილზე ერთად მუშაობის პერიოდში როგორც ზემდგომი და მაკონტროლებელი, თქვენზე აუგად ვერაფერს ვიტყვი. „კახელ-თბილისელი“ კაცი, მომზომილი იუმორით, კარგი განათლებული მოსაუბრე, ნიჭისა და ზრდილობის ეტალონი, თქვენს ხელში გამოვლილი ახალბედა მილიციისა და პოლიციის თანამშრომლები ყოველთვის დადებით განწყობით მოგიხსენიებენ. ქართველი კაცის ტრადიციების გამგრძელებელს ყოველთვის „დადებითი მუხტი“ გქონდათ ძალოვან სისტემაში მუშაობის პერიოდში, რომელიც იმპულსურად გადაგქონდათ როგორც სამსახურებრივი საქმიანობის შესრულების დროს, ასევე „ქართულ სუფრასთან“. თქვენთან ხომ ყოველთვის აზრი ჰქონდა ახლობლობასა და მეგობრობას, გარნიზონში და შინაგან საქმეთა ორგანოების სისტემაში „შტაბის უფროსს“, მაკონტროლებელი და მომკვლევი ფუნქცია გევალებოდათ და ეკისრებოდათ, მითუმეტეს იმ პერიოდში, როდესაც რუსთაველ მეტალურგთა თაოსნობას: — „არც ერთი ჩამორჩენილი და უდისციპლინო ჩვენს გვერდით!“, მაშინდელი პირველი მაისის რაიონის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილება სხვა დანაყოფებს შორის. პირველი გამოეხმაურა ახალბედა მილიციის თანამშრომლები, რა დროსაც მხარი დაგვიჭირე და „ახალგაზრდულ აზროვნებას“ ყოველთვის გზას უკვალავდით, ერთ-ერთი ინიციატორიც თქვენ იყავით. თანამშრომლის განწყობა რომ არ შეგეცვალათ, იუმორით აგრძნობინებდით დაშვებული ნაკლოვანებების აღმოფხვრა-გამოსწორებას.

„რაჟდენიჩ“ მინდა ახალბედა პოლიციის თანამშრომლებს ვაუწყო, რომ შინაგან საქმეთა გარნიზონის სისტემაში მუშაობდა თქვენი სახით პიროვნება, რომელიც წინა რიგებში აყენებდა უმწიკვლობასა და პატიოსნებას. მკრეხელობაში თუ არ ჩამითვლიან და „ახალი თაობა“ ნაწყენი არ დამრჩება, — როგორც იბადებოდნენ „ილია“, „აკაკი“, „ვაჟა“, „გალაქტიონი“, — ისე მინდა ახალი ცნობილი სახეები და კოლორიტები მოგვევლინონ და შენახონ როგორც მწერლობაში, ხელოვნებაში, ასევე ძალოვან სისტემებში, რომლებიც დაიმსახურებენ მშრომელი ხალხის სითბოსა და სიყვარულს.

„რაჟდენიჩ“, ყოველ დილით ახალი ანეკდოტით უნდა შეხვედროდი პირად კოლექტივს, მხიარულება და სიკეთე უნდა დაგვეთესათ, რომელსაც ცდილობდით ჩვენი „იუმორის მეფევ“. ახლობლები, ნათესავები და ახლადგაცნობილი მეგობრები მოსვენებას არ გაძლევდნენ, ყოველთვის გეპატიჟებოდნენ „ქართულ სუფრასთან“, ზოგს მორიდებით ემალებოდით, რათა სამსახური და ოცდაოთხსაათიანი დაძაბული მუშაობის გრაფიკი, თავისუფალ დროს არ გაძლევდა. ყველაფერს მოწონებით აკეთებდი და დადებითად გამოგდიოდათ. ოპერატიულ მორიგეობის შემდეგ კვლავ სამორიგეო ნაწილში იყავით და სკამზე ჩამომჯდარი ისვენებდით, თუმცა შეგეძლოთ სამუშაო ოთახში საწოლზე კომფორტულად დაგესვენათ, მაგრამ განუყრელი იყავით ბუნებით, ხალხთან ურთიერთობა გიყვარდათ, ჩაკეტილ სივრცეს ვერ ეგუებოდით.

მინდა გაეიხსენო რამდენიმე კურიოზი. რაც კი „რაჟდენიჩის“ ირგვლივ ხდებოდა: — ორი ქალიშვილის მამა, მესამე შვილის დაბადებას ელოდება სამშობიაროში, მორიგეობიდან დაღლილს მოსაცდელში სკამზე ჩათვლიმა და უცებ ესმის მახარობელი ექთნის განწირული ხმა: — ზურაშვილი! ზურაშვილი! — ქალიშვილი შეგეძინათ!!! ნახევრად მძინარემ უპასუხა ექთანს: — ნუ ნერვიულობთ, ქალბატონო, მე უკვე ვიცოდი, კაცი, რომელიც ხეზე მუშაობს, ის რკინაზე ვერ იმუშავებდაო. სარვამარტოდ რომ დაპატიჟებდნენ, არსად მიდიოდა, პასუხობდა: სახლში სამი ქალიშვილი, მეუღლე და სიდედრი მელოდებაო. ქალიშვილის ქორწილზე სადღეგრძელოს ამბობს და ბუღნიერი ხმით ამაყად იძახის: კიდევ კარგი სიძე მაინც ბიჭი შემხვდაო!

მინდა შევეხო სამსახურებრივ კურიოზებს, რომელიც რამდენიმე წამში მთელ პირად შემადგენლობას ელვისსისწრაფით მოიცავდა. სამორიგეო ნაწილში კავშირგაბმულობის უმცროსი ინსპექტორი სატელეფონო ხაზებს ამოწმებს, გადმოვარდნილი ხის კიბიდან მის ფეხებთან დავარდა, ნახევრად გაღვიძებულმა სისხლმა ხელახლა გადმოვარდნილიყო, კარგად ვერ დაგინახეო, შემისგან ენაჩავარდნილი ხუმრობის შემდეგ ხმა ამოიღო და ტკივილებს ველარ გრძნობდა.

„დინამოს“ სტადიონზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისას, თანამშრომლებთან ერთად ვაფრთხილებ, სიტყვიერ მონაცემებზე ხელის მოწერით, — „რაჟდენიჩი“ ნახევრად გაბრაზებული და იუმორით მპასუხობს: ბიძია ფეხბურთს ველარ ვთამაშობ, „ბაკავის სუდიას“ მაგიერ ვერ ვიმსახურებ და მატჩის კომისრად მე ვერ გამოგადგებით“. სტადიონზე რაღად გინდივართ...

... „კომუნისტური რეჟიმის“ ეტაპობრივად გადალოცვის შემდეგ იწყება არეულობა ქალაქში, რის გამოც საჭირო იყო მილიციის თანამშრომლების მოულოდნელი გამოძახება საცხოვრებელი ადგილებიდან „საგანგაშოდ“. „საწვრთნელი განგაშისათვის“, რადგან საჭიროებდა მონაცემების გადახალისებას, ექსტრემალურად ვართმევდი და ვიწერდი საცხოვრებელი ბინების მისამართებსა და ტელეფონის ნომრებს. სამორიგეო ნაწილში მორიგეობის შემდეგ სკამზე ჩასძინებულ შტაბის უფროსს — „რაჟდენიჩს“, ნახევრად გამოღვიძებულს გამოვკითხე მონაცემები, რომელმაც თავისი იუმორული ქვენაგრძნობით დაიწყო: „ვარაზისხევი“ (ე.ი. კეკელიძის ქუჩა) — „აჩკო“ (ე.ი. ოცდამეერთე კორპუსი), ხოლო როდესაც სადარბაზო და სართული შევეკითხე, როგორც „თბილისელმა კახელმა“ კაცმა გაბრაზებით შემომიყვირა: „მე ვერანა!“ ამოიხედე მაღლივ კორპუსთან, აივანზე რომ დაინახავ ქალების „ხუთ საცვალსა და ერთი კაცის „ტრუსიკს“ სარეცხ თოკზე გაფენილს, ჩემი ბინა იქნებაო, — გვიან მივხვდი, რომ „რაჟდენიჩს“ სამი ქალიშვილი ჰყავდა, სამივე გაუთხოვარი, სიდედრი და მეუღლე, რაზედაც დაჩაგრულად გრძნობდა თავს და ნახევრად ხუმრობით მოიხსენიებდა, როგორც სამსახურში, ასევე სამეგობრო წრეში.

... „რაჟდენიჩს“ მეგობარმა დაურეკა ქუჩიდან, ესაუბრა უკვე შენს კორპუსიდან ვარ და როგორ მიგაგნოო. „რაჟდენიჩმა“ მოუფიქრებლად უპასუხა, ამოიხედე, სარეცხ თოკს დააკვირდი, სადაც „ხუთი ქალის საცვალი“ და „ერთი კაცის ტრუსიკი“ იქნება გამოკიდებული, იმ სართულზე ამოდით,ამ განწყობით და ხუმრობით ხვდებოდა სტუმარს და მეგობრებს.

ჩემო „რაჟდენიჩ“, სამივე ქალიშვილი უკვე დაოჯახებულია, სანიმუშო ოჯახები შექმნეს, შეგეძინათ ხუთი შვილიშვილი და ორი შვილიშვილი, მათ შორის ოთხი ვაჟიშვილი, რაზედაც თქვენ ოცნებობდით, ყოველ წამს თქვენზე მოგონებებით ადამებენ და ათენებენ, სასიყვარულსაკუთრელს არ გაკლებენ თქვენი ნათელი სულის მოსახსენიებლად. მშვიდად იძინე „იუმორისა და ღიმილის მეფევ“, ჩვენთვის ყოველთვის კეთილად მოსაგონარო „რაჟდენიჩ“.

**ძალოვანი ვეტერანებისა და მეგობრების სახელით, თადარიგში პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი,**
**დონი ფანჩულიძე**

ნათქვამია გარდაცვლილზე კარგი უნდა სთქვა არ არის მიღებული აუგად მოიხსენიო, - „რაჟდენიჩ“ თქვენ ხომ ამ სიტყვებს არ იმსახურებთ, წლების მანძილზე ერთად მუშაობის პერიოდში როგორც ზემდგომი და მაკონტროლებელი წარმომადგენელი თქვენზე აუგად ვერაფერს ვიტყვი. „კახელი - თბილისელი“ კაცი, მოზომილი იუმორით, კარგი განათლებული მოსაუბრე, ნიჭისა და ზრდილობის ეტალონი, თქვენს ხელში გამოვლილი ახალბედა მილიციისა და პოლიციის თანამშრომლები ყოველთვის დადებითი განწყობით მოგიხსენიებთ. ქართველი კაცის ტრადიციების გამგრძელებელს ყოველთვის „დადებითი მუხტი“ ჰქონდათ ძალოვან სისტემაში მუშაობის პერიოდში, რომელიც იმპულსურად გადაჰქონდათ როგორც სამსახურეობრივი საქმიანობის დროს, ასევე „ქართულ სუფრასთან“. თქვენთან ხომ ყოველთვის აზრი ჰქონდა ახლობლობასა და მეგობრობას, გარნიზონში და შინაგან საქმეთა ორგანოების სისტემაში „შტაბის უფროსს“, მაკონტროლებელი და მომკვლევი ფუნქცია გევალებოდა და გეკისრებოდა, მითუმეტეს იმ პერიოდში, როდესაც რუსთაველ მეტალურგთა თაოსნობას:- „არც ერთი ჩამორჩენილი და უდისციპლინო ჩვენს გვერდით!“, მაშინდელი პირველი მაისის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილება სხვა დანაყოფებს შორის პირველი გამოეხმაურა ახალბედა მილიციის თანამშრომელი, რა დროსაც მხარი დაგვიჭირე და „ახალგაზრდულ აზროვნებას“ ყოველთვის გზას უკვალავდი, ერთ-ერთი ინიციატორიც თქვენ იყავით. თანამშრომლების განწყობა რომ არ შეგეცვალათ, იუმორით აგრძნობინებდით დაშვებული ნაკლოვანებების აღმოფხვრა

- გამოსწორებას. „რაჟდენიჩ“ მინდა ახალბედა პოლიციის თანამშრომლებს ვაუწყო, რომ შ.ს. გარნიზონის სისტემაში მუშაობდა თქვენი სახით პიროვნება, რომელიც წინა რიგებში აყენებდა უმწიკვლობასა და პატიოსნებას. მკრეხელობაში თუ არ ჩათვლიან და



მარცხნიდან: დემურ ცხვედიანი, უშანგი „რაჟდენიჩი“ ზურაშვილი (ჩვენი უცვლელი თამადა)
დოდო ზიბლიცკაია-ხურცილავა, ნოდარ გურგენიძე, ბორია თვალავაძე, გოდერძი გენგაშვილი,
თემურ მღებრიშვილიგდაღებულია, სოფელი დიღომი „იმერლების პურმარილი“ ოქტომბერი, 1979 წელი
დიდუბის (პირველი მაისის) რაიონის შ/ს რაიგანყოფილების თანამშრომლები
ფოტო: დონი ფანჩულიძის

„ახალი თაობა“ თუ ნაწყენი არ დამრჩა, - როგორც იბადებოდნენ: „ილია“, „აკაკი“, ვაჟა“, „გალაქტიონი“, ისე მინდა ახალი სახეები და კოლორიტები მოგვევლინოს და მენახოს როგორც მწერლობაში, ხელოვნებაში, ასევე ძალოვან სისტემებში, რომლებიც დაიმსახურებენ მშრომელი ხალხის და საქართველოს სიყვარულს. „რაჟდენიჩ ყოველ დილით ახალი ანეგდოტებით უნდა შეხვედროდით პირად კოლექტივს, მხიარულება და სიკეთე უნდა დაგეთესათ, რომელსაც ცდილობდით ჩვენო „იუმორის მეფევ“. ახლობლები, ნათესავები და ახლად გაცნობილი სამეგობრო მოსვენებას არ გაძლევდნენ, ყოველთვის გეპატიჟებოდნენ „ქართულ სუფრასთან“, ზოგს მორიდებით ემალებოდით, რათა სამსახური და ოცდაოთხსაათიანი დაძაბული მუშაობის გრაფიკი თავისუფალ დროს არ გაძლევდა, ყველაფერს მოზომილად აკეთებდი და დადებითად გამოგდიოდათ. ოპერატიულ მორიგეობის შემდეგ კვლავ სამორიგეო ნაწილში იყავით და სკამზე ჩამომჯდარი ისვენებდით, თუმცა შეგეძლოთ სამუშაო ოთახში დივანზე კომფორტულად დაგესვენათ, მაგრამ განურჩეველი იყავით ბუნებით, ხალხთან ურთიერთობა გიყვარდათ, ჩაკეტილ სივრცეს ვერ ეგუებოდით.

მინდა მოვიხსენიო იუმორული კურიოზები, რაც კი „რაჟდენიჩის“ ირგვლივ ხდებოდა.

## „რაჟდენიჩი“ ქალების გარემოცვაში

„კომუნისტური რეჟიმის“ გადალოცვის შემდეგ იწყება არეულობა ქალაქში, რის გამოც საჭირო იყო მილიციის თანამშრომლების მოულოდნელი გამოძახება საცხოვრებელი ბინებიდან „სასწავლო განგაშისათვის“, რადგან საჭიროებდა მონაცემების განახლებას.

ექსტრემალურად ვართმევდი და ვიწერდი საცხოვრებელი ბინების მისამართსა და ელსმენის ნომრებს, ვის სად შეხვდებოდა შტაბის უფროსს „რაჟდენიჩს“ სამორიგეო ნაწილში მივაგენი, მორიგეობის შემდეგ სკამზე ჩასძინებოდა, ნახევრად გამოღვიძებულს გამოვკითხე მონაცემები, რომელმაც თავისი იუმორული ქვენაგრძნობით დაიწყო „ვარაზისხევი“ (ე.ი. კეკელიძის ქუჩა), „აჩკო“ (ე.ი. ოცდამეერთე კორპუსი), ხოლო როდესაც სადარბაზო და სართული შევეკითხე, როგორც კახელმა კაცმა გაბრაზებით შემომყვირა „შე ვერანა!“ ამოიხედე მაღლივ კორპუსთან და აივანზე დაინახავ ქალების „ხუთ ნიფხავსა“ და ერთი კაცის „ტრუსიკს“ სარეცხის თოკზე გაკიდებულს, ჩემი ბინა იქნება, გვიან მივხვდი, რომ „რაჟდენიჩს“ სამი ქალიშვილი, ჰყავდა, სამივე გაუთხოვარი, მეუღლე, სიდედრი, რაზედაც დაჩაგრულად გრძნობდა თავს და ნახევრად ხუმრობით მოიხსენიებდა...

## სამორიგეო ნაწილში

თანამშრომლებთან და მეგობრებთან ერთად გასულია ბუნებაში, ქეიფობს სანიმლაოდ სთხოვეს ყველა თანამშრომლის მამის სახელი დაესახელებინა, რომელსაც არ ეშლებოდა, მხოლოდ ასორმოცდაათ თანამშრომლიდან ჩემი მამის სახელი - ყაფლანი - ვერ მოიგონა ,,ნიძლავი წააგო, რის გამოც რამოდენიმე დღე ხმას არ მცემდა... ორი ქალიშვილის მამა მესამე შვილის დაბადებას ელოდება სამშობიაროში, მორიგეობიდან დაღლილს მოსაცდელში სკამზე ჩათვლიმა და უცებ ესმის მახარობელი ექთნის განწირული ხმა: - ზურაშვილი! ზურაშვილი!, - ქალიშვილი შეგეძინათ!!!, ნახევრადმძინარემ უპასუხა ექთანს: - ნუ ნერვიულობთ ქალბატონო მე უკვე ვიცოდი, კაცი რომელიც ხეზე მუშაობს, ის რკინაზე ვერ იმუშავებდაო.

სარვამარტოდ რომ დაპატიჟებდნენ არსად არ მიდიოდა, პასუხობდა: სახლში სამი ქალიშვილი, მეუღლე და სიდედრი მელოდებაო. ქალიშვილის ქორწილზე სადღეგრძელოს ამბობს და ბედნიერი ხმით ამაყად იძახის: კიდევ კარგი სიძე მაინც ბიჭი შემხვდაო!. მინდა შევეხო სამსახურეობრივ კურიოზებს: რომელიც რამოდენიმე წამში მთელ პირად შემადგენლობას ელვის სისწრაფით მოივლიდა სამორიგეო ნაწილში კავშირგაბმულობის უმცროსი ინსპექტორი „ალექსი“ სატელეფონო ხაზებს ამოწმებს, გადმოვარდნილი ხის კიბიდან მის წინ იატაკზე დავარდა, ნახევრად გაღვიძებულმა სთხოვა ხელახლა გადმომხტარიყო, კარგად ვერ დაგინახეო, შიშისაგან ენაჩავარდნილი ხუმრობის შემდეგ ხმა ამოიღო და ტკივილებს ვეღარ გრძნობდა.

„დინამოს“ სტადიონზე საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად თანამშრომლებთან ერთად ვაფრთხილებ, სიობრივ მონაცემებზე ხელის მოწერით, - „რაჟდენიჩი“ ნახევრად გაბრაზებული იუმორით მპასუხობს“ ბიძია ფეხბურთს ვეღარ ვთამაშობ! „ბაკავოი სუდიას“ ადგილზე ვერ ვიმსაჯებ და „მატჩის კომისრად“ მე ვერ გამოგადგები, სტადიონზე რაღად გინდივარო!...

ჩემო „რაჟდენიჩ“ სამი ქალიშვილი უკვე დაოჯახებული არიან, სანიმუშო ოჯახები შექმნეს, შეგეძინათ ხუთი შვილიშვილი და ორი შვილთაშვილი, მათ შორის ოთხი ვაჟიშვილი, რაზედაც თქვენ ოცნებობდით, ყოველ წამს თქვენს მოგონებებით აღამებენ და ათენებენ, სანთელ-საკმეველს არ გაკლებენ თქვენი ნათელი სულის მოსახსენიებლად. მშვიდად იძინე „იუმორის და ღიმილის მეფევ“, ჩვენთვის ყოველთვის კეთილად მოსაგონარო „რაჟდენიჩ“.

უშანგი ზურაშვილი დაიბადა 1934 წლის, 4 დეკემბერს, ქ. თბილისში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, მან ჩააბარა პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის, რუსული ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1958 წელს.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ დაოჯახდა პედაგოგ ნანული ჯოხაძეზე, ამჟამად მათ ყავთ სამი ქალიშვილი, ხუთი შვილიშვილი და ორი შვილთაშვილი.

1960 წელს კომკავშირული საგზურით მუშაობა დაიწყო ქ. ტყიბულის, რაიონული მილიციის განყოფილებაში, ბავშვთა ოთახის ინსპექტორის თანამდებებობაზე. ერთი წლის შემდეგ გადაიყვანეს გურჯაანის რაიონული მილიციის განყოფილებაში. 2 წლიანი წარჩინებული მუშაობის შემდეგ, დაინიშნა ქ. თბილისის კიროვის რაიონის მილიციის, საპასპორტო განყოფილების უფროსად.

ამის შემდეგ სხვადასხვა წლებში მუშაობდა ქალაქის მილიციის სამმართველოში, სხვადასხვა თანამდებობებზე. სიცოცხლის ბოლო წლებში მუშაობდა პირველი მაისის რაიონულ განყოფილებაში და ჰქონდა მინიჭებული მაიორის წოდება.

იგი ყოველთვის გამოირჩეოდა საქმის მიმართ დიდი პასუხისმგებლობით, იყო უაღრესად განათლებული, დისციპლინი-რებული, რამაც განაპირობა მისი კარიერული წინსვლა და კოლეგების პატივისცემა მის მიმართ.

უშანგი ზურაშვილი თავისი იუმორის გრძნობითა და ადამიანებთან თბილი ურთიერთობით იმდროინდელ თბილისში ითვლებოდა, ერთ-ერთ კოლორიტულ სახედ.

1988 წლის სექტემბერში, 53 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა, იგი ძალიან დააკლდა ოჯახს, მეგობრებს და ქალაქს.

მეუღლე: ნანული ჯოხაძე

შვილები: დინარა, მანანა, ნინო

შვილიშვილები: თაკო, გიორგი, ლევანი, მარიამი, ბექა შვილთაშვილები: საბა, ნინია.

ძალოვანი ვეტერანებისა და მეგობრების სახელით,
თადარიგის პოლიციის ვიცე პოლკოვნიკი: დონი ფანჩულიძე
გაზეთ „თაობიდან-თაობამდე“, „19“ ივლისი 2011 წელი, ქ. თბილისი



ნუგზარ გაბრიჩიძე

# ნიკოლოზ (ნუგზარ) გაბრიჩიძის მარადიულ ხსოვნას

## (26/IV-1949 წ. - 17/VII-20211 წ.)

...პროკურორთა ორატორული ხელოვნება, პროკურატურის, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს წარმოშობის დღიდან, მეფეთა და სახელმწიფოს სათავეში მდგომთა ყურადღებას იმსახურებდა.

პროკურატურის სამშობლო საფრანგეთია. ამ ორგანოს არსებობა XIV საუკუნიდან იწყება. საფრანგეთის მეფემ, „ფილიპე ლამაზმა“ 1302 წლის 25 მარტს გამოსცა ორდონანსი და ამ საკანონმდებლო აქტით პროკურორების ანუ „მეფის კაცების“ თანამდებობები დააწესა. საფრანგეთის პარლამენტის მუშაობის დაწყების წინ, გენერალ - პროკურორი, იურისპრუდენციის სფეროდან, რომელიმე თეორიული საკითხის ირგვლივ, სიტყვით გამოდიოდა. როდესაც პარლამენტის დახურული სხდომა დაიწყებოდა, სიტყვით კვლავ გენერალ - პროკურორი გამოდიოდა და პარლამენტს მართლსაჯულებაში არსებული ნაკლოვანებების შესახებ მოახსენებდა. საფრანგეთის მეფის ხელისუფლებისათვის, სწორედ პროკურატურის მოღვაწეობისა მხარეს ჰქონდა მნიშვნელობა, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანო, ყველა სახელმწიფომ სხვადასხვა დროს განსხვავებული ფუნქციით ჩამოაყალიბა.

პროკურორთა, კანონის ამ სპეციალურ და ძირითად ზედამხედველთა, დამცველთა და სწორად გამტარებელთა გამოსვლას საჯაროდ, მართლშეგნების თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. რაკი პროკურორის, საჯაროდ თქმულ საბრალდებო სიტყვა, მიზნად ისახავს ადამიანთა აღზრდას, მოსალოდნელი დანაშაულის

აცილებას, მასებში კანონიერების, სამართლიანობის პროპაგანდას, აღნიშნული მისიის პირნათლად შესრულების საკითხებში აქტიური მუშაობა განახორციელა საქართველოს რესპუბლიკის გენერალურმა პროკურორმა ნუგზარ გაბრიჩიძემ.

ნიკოლოზ (ნუგზარ) გაბრიჩიძე დაიბადა 1949 წლის 26 აპრილს თერჯოლის რაიონი, სოფ. გოგნში, პედაგოგის ოჯახში.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მსახურობდა სავალდებულო სამხედრო სამსახურში. რის შემდეგ ჯერ კიდევ ახალგაზრდა „სოფლელმა ჭაბუკმა" 1974 წელს მუშაობა დაიწყო ქ. თბილისის დიდუბე - ჩუღურეთის (ყოფილი პირველი მაისის რაიონის შ/ს რაიგანყოფილებაში ა/ს წლოვანთა საქმეების ინსპექციის ინსპექტორის თანამდებობაზედ, საქმიანობასთან ერთად სწავლობდა საქ. ი.ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელმაც წლების განმავლობაში ზედამხედველობას უწევდა სამოქმედო ტერიტორიაზე მცხოვრებ იმ მოზარდებს, რომლებიდანაც მოსალოდნელი იყო სხვადასხვა დანაშაული და მართლწესრიგის დარღვევები. უბნის ინსპექტორებთან ერთად აღმზდელობით საუბრებს ატარებდა საშუალო სკოლებსა და სკოლიდან განთესილ მოზარდებზე. მე მეამაყება და საამაყოა, რომ ნუგზარ გაბრიჩიძესთან ერთად მომიხდა მუშაობა ჯერ კიდევ ახალგაზრდა მილიციის თანამშრომელს, რამდენი სიკეთე მაკავშირებს როგორც მე, ასევე მასთან ერთად მომუშავე კოლეგებს. (დ.ფ.)

1978 წლიდან ნუგზარ გაბრიჩიძემ მუშაობა დაიწყო პროკურატურის სისტემაში ჯერ გამომძიებლად, საქართველოს პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლად, საგამოძიებო სამმართველოს პროკურორად, დიდუბე

- ჩუღურეთის პროკურორად, ქ. თბილისის პროკურორად, საქ. გენერალური პროკურორია. 2004 წლის იანვრიდან საქართველოს

პარლამენტის მიერ არჩეული იქნა საქ. უზენაესი სასამართლოს წევრად. გარდაცვალებამდე მუშაობდა საქ. ტექნიკურ უნივერსიტეტში. იუსტიციის უფროსი მრჩეველი (გენერალი) სამართლის დოქტორი, სრული პროფესორი, საჯარო სამართლის მიმართულების ხელმძღვანელი, ავტორი ოცდაათამდე სამეცნიერო შრომისა, მათ შორის სამი მონოგრაფის. გამოქვეყნებული აქვს პუბლიკაცია სამართლებრივ საკითხებზე, რამოდენიმე ლექსთა კრებულის ავტორი.

ბ-ონ ნუგზარ გაბრიჩიძის პირველი დაწყებით განათლებაზე ტიტანური შრომითი წვლილი მიუძღვის დედამის ქ-ონ: თინათინ აბულაძეს, რომელიც უშუალოდ მისი დაწყებითი კლასის მასწავლებელი და დამრიგებელი იყო. მიუხედავად დედა - შვილური სიყვარულისა, შვილის მიმართ გამოიჩინა ობიექტურობა, რის გამოც ნუგზარს ერთ-ერთი კლასის პროგრამის გავლა ორჯერ მოუწია რომ არ დედის დროული ჩარევისა, ზემოთ აღნიშნულ წარმატებებსა და შედეგებს ვერ მიაღწევდა. ასეთი სპეტაკი, უმწიკვლო ადამიანები იშვიათი მოვლენა იყო იმ დროისათვის განათლების და საშუალო სკოლებში.

ბ-ონ: ნუგზარ გაბრიჩიძე სიცოცხლეში და გარდაცვალებისშემდეგ მის მიმართთ ყოველთვის დადებითი განწყობა იყო და იქნება, რომელიც ნათლად გამოიხატა მის გარდაცვალების დროს და სამგლოვიარო გამოთხოვების დღეებში, როგორ მიაგეს სანიმუშო პატივი ბოლო გაცილების მომენტში უკანასკნელ სასუფეველში გადაბრძანებამდე მისმა კოლეგებმა, მეგობრებმა და მთლიანად საქართველომ. ერთხელ კიდევ ნათლად დაგვარწმუნეს და დავრწმუნდი თუ როგორი პატივი ერგო საკათედრო ტაძარ „სიონში“ ილია II-ის ლოცვა-კურთხევით „პარაკლისის“ გადახდა





ნუგზარ გაბრიჩიძე მეუღლესთან
ლელა გამყრელიძესთან ერთად

# „სახალხო გენერალური პროკურორი“

## ნიკოლოზ (ნუგზარ) გაბრიჩიძის მარადიულ ხსოვნას (26.04.1949 - 17.07.2011 წწ.)



პროკურორთა ორატორული ხელოვნება, პროკურატურის, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს წარმოშობის დღიდან, მეფეთა და სახელმწიფოს სათავეში მდგომთა ყურადღებას იმსახურებდა.

პროკურატურის სამშობლო საფრანგეთია. ამ ორგანოს არსებობა XIV საუკუნიდან იწყება. საფრანგეთის მეფემ „ფილიპე ლამაზმა“ 1302 წლის 25 მარტს გამოსცა ორდონანსი და ამ საკანონმდებლო აქტით პროკურორების ანუ მეფის კაცების თანამდებობები დააწესა. საფრანგეთის პარლამენტის მუშაობის დაწყების წინ, გენერალ-პროკურორი, იურისპრუდენციის სფეროდან, რომელიმე თეორიული საკითხის ირგვლივ, სიტყვით გამოდიოდა. როდესაც პარლამენტის დახურული სხდომა დაიწყებოდა, სიტყვით კვლავ გენერალური პროკურორი გამოდიოდა და პარლამენტს მართლმსაჯულებაში არსებული ნაკლოვანებების შესახებ მოახსენებდა. საფრანგეთის მეფის ხელისუფლებისათვის, სწორედ პროკურატურის მოღვაწეობის ამ მხარეს ჰქონდა მნიშვნელობა, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანო, ყველა სახელმწიფომ სხვადასხვა დროს განსხვავებული ფუნქციით ჩამოაყალიბა.

პროკურორთა, კანონის ამ სპეციალურ და ძირითად ზედამხედველთა, დამცველთა და სწორად გამტარებელთა გამოსვლას, საჯაროდ, მართლმეცნების თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. რაკი პროკურორის, საჯაროდ თქმული საბრალდებო სიტყვა, მიზნად ისახავს ადამიანთა აღზრდას, მოსალოდნელი დანაშაულის აცილებას, მასებში კანონიერების, სამართლიანობის პროპაგანდას. აღნიშნული მისიის პირნათლად შესრულების საკითხებში აქტიური მუშაობა განახორციელა საქართველოს რესპუბლიკის გენერალურმა პროკურორმა ნუგზარ გაბრიჩიძემ.

**ნიკოლოზ (ნუგზარ) გაბრიჩიძე დაიბადა 1949 წლის 26 აპრილს თერჯოლის რაიონის სოფელ გოგნში, პედაგოგების ოჯახში.**

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მსახურობდა საველდებულო სამხედრო-სამსახურში, რის შემდეგ ჯერ კიდევ ახალგაზრდა „სოფლელმა ჭაბუკმა“ 1974 წელს მუშაობა დაიწყო ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის (ყოფილი პირველი მაისის) რაიონის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებაში არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციის ინსპექტორის თანამდებობაზე. საქმიანობასთან ერთად სწავლობდა საქ. ივ. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. იგი წლების განმავლობაში ზედამხედველობას უწევდა სამოქმედო ტერიტორიაზე მცხოვრებ იმ მოზარდებს, რომლებიდანაც მოსალოდნელი იყო სხვადასხვა დანაშაული და მართლწესრიგის დარღვევები. უბნის ინსპექტორებთან ერთად აღმზრდელობით საუბრებს ატარებდა საშუალო სკოლებში და სკოლიდან განთესილ მოზარდებში. მეამაყება და საამაყოა, რომ ნუგზარ გაბრიჩიძესთან ერთად მომიხდა მუშაობა ჯერ კიდევ ახალგაზრდა მილიციის თანამშრომელს. რამდენი სიკეთე მაკავშირებს როგორც მე, ასევე მასთან ერთად მომუშავე კოლეგებს.

1978 წლიდან ნუგზარ გაბრიჩიძემ მუშაობა დაიწყო პროკურატურის სისტემაში, ჯერ გამომძიებლად, შემდეგ პროკურორის თანაშემწედ, პროკურორის მოადგილედ, საქართველოს პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლად, საგამოძიებო სამმართველოს პროკურორად, დიდუბე-ჩუღურეთის პროკურორად, ქ. თბილისის პროკურორად, საქ. გენერალური პროკურორის მოადგილედ. 2001 წლიდან 2004 წლამდე საქართველოს გენერალური პროკურორია. 2004 წლის იანვრიდან საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეული იქნა საქ. უზენაესი სასამართლოს წევრად. გარდაცვალებამდე მუშაობდა საქ. ტექნიკურ უნივერსიტეტში. იუსტიციის უფროსი მრჩეველი (გენერალი) სამართლის დოქტორი, სრული პროფესორი, საჯარო სამართლის მიმართულების ხელმძღვანელი. ავტორი ოცდაათამდე სამეცნიერო შრომისა, მათ შორის სამი მონოგრაფის. გამოქვეყნებული აქვს მრავალი პუბლიკაცია სამართლებრივ საკითხებზე, ლექსების რამდენიმე კრებულის ავტორი.

ბატონი ნუგზარ გაბრიჩიძის პირველ დაწყებით განათლებაზე ტიტანური შრომითი წვლილი მიუძღვის დედამისს, ქალბატონ თინათინ აბულაძეს, რომელიც უშუალოდ მისი დაწყებითი კლასების მასწავლებელი და დამრიგებელი იყო, მიუხედავად დედა-შვილური სიყვარულისა, შვილის მიმართ გამოიჩინა ობიექტურობა, რის გამოც ნუგზარს ერთ-ერთი კლასის პროგრამის გავლა ორჯერ მოუწია. რომ არა დედის დროული ჩარევა, ზემოთ აღნიშნულ წარმატებებსა და შედეგებს ვერ მიაღწევდა. ასეთი სპეტაკი, უმწიკვლო ადამიანები იშვიათი მოვლენა იყო იმ დროისათვის განათლების სისტემაში, სკოლებში.

ბატონ ნუგზარ გაბრიჩიძეზე სიცოცხლეში და გარდაცვალების შემდეგ მის მიმართ ყოველთვის დაღებითი განწყობა იყო და იქნება, რომელიც ნათლად გამოიხატა მისი გარდაცვალების დროს და სამგლოვიარო გამოთხოვების დღეებში, როგორ მიაცეს სანიმუშო პატივი ბოლო გაცილების მომენტში უკანასკნელ სასუფეველში გადაბრძანებამდე მისმა კოლეგებმა, მეგობრებმა და მთლიანად საქართველომ. ერთხელ კიდევ ნათლად დაგვარწმუნეს და დავრწმუნდით თუ როგორი პატივი ერგო საკათედრო ტაძარ „სიონში“ ილია II-ის ლოცვა-კურთხევით „პარაკლისის“ გადახდა მეგობრებთან ერთად, ეს ხომ ისტორიული მოვლენაა „ძალოვან სისტემაში“ მომსახურე პიროვნებებისთვის ასეთი პატივი მიეგოთ? ეს ხომ თქვენი დამსახურებით მოხდა? ადამიანმა, რომელმაც დროის მცირე მონაკვეთში მრავალი ხალხის სითბო და სიყვარული დაიმსახურა. თქვენ ხომ კეთილ კაცად იყავით მოვლენილი და .დაბადებული? თქვენ ნიჭი და ალღო გქონდათ ხალხთან ურთიერთობის და დაახლოების. მიუხედავად „იმერული ვენისა“, – აუჩქარებელი, დინჯი, მოზომილი სიტყვა-პასუხი, თავმდაბლობა, მოყვასის სიყვარული, აი ასეთი იყო ჩვენი უფროსი მეგობარი ნუგზარ გაბრიჩიძე, რომლის მიერ განვლილი გზით უნდა იამაყოს მისმა ოჯახმა, ნათესავებმა, საგვარეულომ და მეგობრებმა. კეთილი კაცი, კეთილი ადამიანი, – ასე იცნობდნენ ბატონ ნუგზარს. ბუნებამაც ცრემლით და ტირილით გააცილა, მოწმენდილ ცაზე, მიწას მიბარებამდე რამდენიმე წუთში სასწაული მოხდა, ცა მთლიანად ღრუბლებით შეიკრა, მიუხედავად 45 გრადუსიანი სიცხისა, ტროპიკული წვიმა წამოვიდა, ეს იმის მაუწყებელია, რომ თქვენ იყავით „ადამიანი მოვლენა“. მე მინდა მოვუწოდო „ახალგაზრდა თაობას“, ასეთი სითბო და სიყვარული დაეტოვებინოთ ძალოვან სისტემაში მომუშავე პერსონალს, ხალხი ხომ ბრძენია, სიკეთე არ იკარგება და არ დაკარგულა ჩვენი უფროსი მეგობარი და ხელმძღვანელი, – ნუგზარ. იძინე მშვიდად, მსუბუქი ყოფილიყოს თქვენს გულზე დაყრილი ქართული მიწა, არ მოკლებოდეს მართლმადიდებლური სანთელ-საკმეველი თქვენი ოჯახიდან და სრულიად საქართველოდან.

მინდა დაგემშვიდობოთ საქართველოს პროკურატურისა და უმაღლესი სასამართლოს ღვაწლმოსილი თანამშრომლის, აწ გარდაცვლილი ოლია ზანგურის ლექსით:

### „საქმე ის არის“

უნდა ითვალო ნაბიჯი შენი,
სხვისთვის რა შეჰქმენ, ვისთვის რის მარგი,
სხვაზე რომ ხარობ, — ეგ არაფერი,
სხვას რომახარებ, ის არის კარგი.
თანდაყოლილი მშვენება ცვდება,
კარგი ის არის, შრომით რომ გვენის,
რაც მოგიმკია, — ის არაფერი,
რაც დაგითესავს, ის არის შენი.
საქმე ის არის, მოხვდეს მიზანში,
და არა ისე სტყორცნო ისარი,
შენ რომ სხვა გიყვარს, — ეგ არაფერი,
სხვას თუ უყვარხარ, — საქმე ის არის.

ვახტანგ გვარამია, რომან გვენცაძე, ანზორ ბალუაშვილი, თამაზ ტუღუში, ვალერი გრიგალაშვილი, ნოდარ მაკალათია, დემურ მიქაძე, შოთა გორგოძე, თემურ მურღულია, ავთანდილ სანაძე, გოდერძი ვენტაშვილი, ვაჟა ასათიანი, თემურ მღებრიშვილი, გოდერძი გუგეშაშვილი, ვანო ვარდიძე, იური ირემაძე, თამაზ ქობელაშვილი, ნორა დოლიძე, ლია ბათიაშვილი, ქეთევან მელაძე, ფუქუნა ძუკაევა, ელგუჯა ნიშნიანიძე, ხვთისო ხიზანიშვილი, ნუგზარ ლამბაშიძე, დემურ ცხვედიანი, ავთანდილ ცხვედიანი, გოჩა სისაური, ომარ ახმეტელი, დოდო ზიბლიცკაია, გიგო არაბული, გოგიტა ბერიძე, აკაკი ინაძე, ყაზბეგ ლოლაშვილი, ჟორა მერცვალაძე, ნუგზარ ლაზარაშვილი, მეთოდე მერკვილაძე, ვაჟა ბულაძე, ჯემალ ლანჩავა, ჯემალ ბარამიძე.

**ვეტერან თანამშრომელთა და მეგობრების სახელით,**
**თადარიგის ვიცე-პოლკოვნიკი**
**დონი ზანჩულიძე**




საბურთალოს პანთეონი

მგალობლებთან ერთად, ეს ხომ ისტორიული მოვლენაა „ძალოვან სისტემაში“ მომსახურე პიროვნებისათვის ასეთი პატივი მიეგოთ? ეს ხომ თქვენი დამსახურებით მოხდა? ადამიანმა, რომელმაც დროის მცირე მონაკვეთში მრავალი ხალხის სითბო და სიყვარული დაიმსახურეთ. თქვენ ხომ კეთილ კაცად იყავით მოვლენილი და დაბადებული? თქვენი ნიჭი და ალღოდან ერთ-ერთი ხალხთან ურთიერთობა და დაახლოება იყო. მიუხედავად „იმერული გენისა“, - აუჩქარებელი, დინჯი, მოზომილი სიტყვა-პასუხი, თავმდაბლობა, მოყვასის სიყვარული, აი ასეთი იყო ჩვენი უფროსი მეგობარი ნუგზარ გაბრიჩიძე, რომლის მიერ განვლილი გზით უნდა იამაყოს მისმა ოჯახმა, ნათესავებმა, საგვარეულომ და მეგობრებმა. „კეთილი ადამიანი“, - ასე იცნობდნენ ბატონ ნუგზარს. ბუნებამაც ცრემლით და ტირილით გააცილა, მოწმენდილ ცაზე, მიწას მიბარებამდე რამდენიმე წუთში სასწაული მოხდა, ცა მთლიანად ღრუბლებით შეიკრა, მიუხედავად 45 გრადუსიანი სიცხისა, ტროპიკული წვიმა წამოვიდა, ის იმის მაუწყებელია, რომ თქვენ იყავით „ადამიანი მოვლენა“. მე მინდა მოუწოდონ „ახალგაზრდა თაობას“, ასეთი სითბო და სიყვარული დაეტოვებინოთ ძალოვან სისტემაში მომუშავე პერსონალს, ხალხი ხომ ბრძენია, სიკეთე არ იკარგება და არ დაკარგულა ჩემო უფროსო მეგობარო და ხელმძღვანელო, - ნუგზარ. იძინე მშვიდად, მსუბუქი ყოფილიყოს თქვენს გულზე დაყრილი ქართული მიწა, არ მოგკლებოდეს მართმადიდებული სანთელ-საკმეველი თქვენი ოჯახიდან და სრულიად საქართველოდან.

მინდა დაგემშვიდობოთ, - საქ. პროკურატურისა და უმაღლესი სასამართლოს ღვაწლმოსილი თანამშრომლის, აწ გარდაცვლილი ოლია ზანგურის ლექსით: -

## „საქმე ის არის“

უნდა ითვალო ნაბიჯი შენი,
სხვისთვის რა შეჰქმენ, ვისთვის რის მარგი,
სხვაზე რომ ხარობ, - ეგ არაფერი,
სხვას რომ ახარებ, ის არის კარგი.

თანდაყოლილი მშვენება ცვდება,
კარგი ის არის, შრომით რომ გშვენის,
რაც მოგიმკია, - ის არაფერია,
რაც დაგითესავს, ის არის შენი.

საქმე ის არის, მოხდეს მიზანში,
და არა ისე სტყორცნო ისარი,
შენ რომ სხვა გიყვარს, - ეგ არაფერი,
სხვას თუ უყვარხარ, - საქმე ის არის.

ვახტანგ გვარამია, რომან გვენცაძე, ირაკლი წერეთელი, ზურა ჩხაიძე, თამაზ ტუღუში, ნოდარ მაკალათია, ვალერი გრიგალაშვილი, დემურ მიქაძე, შოთა გორგოძე, ავთანდილ სანაძე, გოდერძი გენგაშვილი, ვაჟა ასათიანი, თემურ მღებრიშვილი, ანზორ მღებრიშვილი, გოდერძი გუგეშაშვილი, ვანო ვარდიძე, იური ირემაძე, რამაზ ქობელაშვილი, ნორა დოლიძე, ლია ბატიაშვილი, ქეთევან მელაძე, ჟუჟუნა ძუკაევა, ელგუჯა ნიშნიანიძე, ხვთისო ხიზანიშვილი, ნუგზარ ღამბაშიძე, დემურ ცხვედიანი, გოჩა სისაური, ომარ ახმეტელი, დოდო ზიბლიცკაია, გიგო არაბული, გოგიტა ბერიძე, აკაკი ინაძე, ჟორა მურცვალაძე, ნუგზარ ლაზარაშვილი, მეთოდე მერკვილაძე, ვაჟა ბუღაძე, ყაზბეგ ლოლაშვილი, ჯემალ ლანჩავა, ჯემალ ბარამიძე, თამაზ ბარამიძე, ტარიელ გვენეტაძე, თემურ ჩიკვილაძე, დიტო გოგობერიშვილი...

გაზეთ, - „თაობიდან თაობამდე“

ვეტერან თანამშრომლებისა და მეგობრების სახელით თადარიგის პოლიციის ვიცე პოლკოვნიკი: დ ო ნ ი ფ ა ნ ჩ უ ლ ი ძ ე

„10 „ აგვისტო 2011 წელი.


მევლუდი ახალკაცი

## მევლუდი ლევანის - ძე ახალკაცი
## (7/VIII-1947 წ. - 20/X-2008 წ.)

მევლუდ ლევანის ძე ახალკაცი დაიბადა 1947 წლის 7 აგვისტოს ქარელის რაიონი სოფელ დვანში. სკოლის დამთავრების შემდეგ 1965 – 1969 წლებში. მსახურობდა სავალდებული სამხედრო სამსახურში, - გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

1971-1974 წლებში სწავლობდა მილიციის სპეციალურ სკოლაში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა.

1972 წელს დაოჯახდა, დაქორწინდა ნათელა ახალკაცზე. თანაცხოვრებიდან შეეძინათ ორი ქალიშვილი, - ნანა და ნონა ახალკაცები.

სწავლის პარალელურად 1971 წლიდან მევლუდ ახალკაცი მუშაობდა ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის (პირველი მაისის) რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებაში, - სამსახურის უფროსი ინსპქტორის თანამდებობაზედ, - კურატორობდა სანებართვო სისტემას.

1982-88 წლებში მუშაობის პერიოდში დაამთავრა სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილება.

1989–1995 წლებში მუშაობა გააგრძელა ქარელის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებაში საგამოძიებო სამსახურის უფროსად.

1995–1998 წლებში მუშაობა გააგრძელება საქ. შ.ს. სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო პოლიციის სამმართველოს ორგანიზებული დანაშაულთან და კორუფციასთან ბრძოლის სამმართველოში.

პოლიციის მაიორი მევლუდ ახალკაცი მონაწილეობდა „სამაჩაბლოსა“ და „აფხაზეთის“ ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებებში, შრომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანი მევლუდ ლევანის - ძე ახალკაცი ავადმყოფობის შემდეგ 2008 წლის 20 ოქტომბერს გარდაიცვალა, დაკრძალულია ქარელის რაიონი, ს. დვანში.


ნოდარ მაკალათია

საქართველოს ერთი კიდევ ღირსეული მამულიშვილი დააკლდა

**ნოდარ მაკალათია**
**(1939 წ. - 2015 წ.)**

ნოდარ მაკალათია იმ თაობის წარმომადგენელია, რომელმაც საქართველოსა და ქართველი კაცის გენი და ღირსება ჩაკეტილი სივრციდან გაიტანა. საქართველოს სპორტის სამყაროს და შინაგან საქმეთა სამინისტროს 76-წლის კოჰორტამ დიდი ბიოგრაფია დაუტოვა. ტანვარჯიშის რაინდად ცნობილმა ათლეტმა და პიროვნებამ 17 წლის განმავლობაში არა ერთი წარმატება მოუტანა დიდ სპორტს. ათი წლის მანძილზე გამოდიოდა მსოფლიოს უძლიერეს სპორტული ქვეყნის - საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში (1958-1968 წ.წ.)

ნოდარ მაკალათია „იაპონური სტილის“ მიმდევრად ჩამოყალიბდა. ურთულეს ილეთებს ასრულებდა, იარაღებზე ყველა მისი მოძრაობა სიმსუბუქით, სილაღით გამოირჩეოდა.

# საქართველოს კიდევ ერთი ღირსეული მამულიშვილი დააკლდა

ნოდარ ალექსანდრეს-ძე მაკალათია იმ თაობის წარმომადგენელია, რომელმაც საქართველოს სახელი და ქართველი კაცის გენი და ღირსება ჩაკეტილი სივრციდან გარეთ გაიტანა. საქართველოს სპორტის სამყაროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს, 76 წლის კოჰორტამ, დიდი ბიოგრაფია დაუტოვა. ტანვარჯიშის რაინდად ცნობილმა ათლეტმა 17 წლის განმავლობაში არა ერთი წარმატება მოუტანა დიდ სპორტს. ათი წლის განმავლობაში გამოდიოდა მსოფლიოს უძლიერესი სპორტული ქვეყნის - საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში (1958-1968წწ).



ნოდარ მაკალათია „იაპონური სტილის" მიმდევრად ჩამოყალიბდა. ურთულეს ილეთებს ასრულებდა, იარაღებზე მისი ყველა მოძრაობა სიმსუბუქითა და სილაღით გამოირჩეოდა. საბჭოთა კავშირის ნაკრებში მიწვევამდე მან პირველ წარმატებებს ადრეულ ასაკში მიაღწია საქართველოს ჩემპიონატებში, ჯერ ახალგაზრდულ პირველობებში, შემდეგ კი უფროსებს შორის ორჯერ გახდა სსრკ-ის ჩემპიონი. პირველი-მეორე ადგილი დაიკავა საკავშირო პროფკავშირებისა და სტუდენტთა თამაშებზე. სოციალისტური ქვეყნების დინამიადებში რვაჯერ იასპარეზა და რვაჯერვე ოქროსა და ვერცხლის მედლებით მკერდდამშვენებული დაბრუნდა სამშობლოში.

1966 წელს ტაშკენტში გამართულ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში მეორე ადგილზე გავიდა. სსრკ-ის ნაკრებში ნოდარ მაკალათიამ 11 ქვეყნის სპორტულ სარბიელზე მოსინჯა ძალები. მოიპოვა 11 ოქროს, 10 ვერცხლისა და 8 ბრინჯაოს მედალი. 28 წლის ასაკში ვალმოხდილი დაემშვიდობა დიდ სპორტს, რის შემდეგაც იურიდიული განათლების მქონე (სამართალმცოდნე) შინაგან საქმეთა ორგანოებში მაღალ თანამდებობებზე დაინიშნა. პოლიციის პოლკოვნიკი ნოდარ მაკალათია უშუალო თავმდაბლობით გამოირჩეოდა ხელქვეითებისა და მოქალაქეების მიმართ. თავისი დახვეწილი მანერით, ზრდილობითა და განათლებით მან სიყვარული დაიმკვიდრა იმ გარემოცვაში, სადაც მოღვაწეობა უხდებოდა.

დიდი სარბიელიდან რომ აცილებდნენ, სახელოვანმა სპორტსმენმა ერთი ოქროს მედალი ბავშვთა ტანვარჯიშის ცენტრალურ სასპორტო სკოლას უსახსოვრა ნიშნად იმისა, რომ ამ სკოლას სამომავლოდ მხოლოდ ოქროს მედალოსნები აღეზარდა.

ტიტულოვან სპორტსმენს, შინაგან საქმეთა ორგანოებში მომუშავე ღვაწლმოსილ პიროვნებას, დიდ მამულიშვილს დიდი გულისტკივილით დაემშვიდობა სპორტული სამყარო და შინაგან საქმეთა სამინისტროს ვეტერანი თანამშრომლები.

**სპორტის, შრომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანების სახელით:**
**ამბროსი ლეჟავა და დონი ფანჩულიძე**

საბჭოთა კავშირის ნაკრებში მიწვევამდე ნოდარ მაკალათიამ პირველ წარმატებებს ადრეულად მიაღწია საქართველოს ჩემპიონატებში ჯერ ახალგაზრდულ პირველობებში, შემდეგ უფროსებს შორის ორჯერ გახდა სსრკ - ის ჩემპიონი, პირველი - მეორე ადგილი დაიკავა საკავშირო პროფკავშირებისა და სტუდენტთა თამაშებზე. სოციალისტური ქვეყნების დინამიადებში რვაჯერ იასპარეზა და რვაჯერვე ოქროსა და ვერცხლის მედლებით მკერდამშვენებული დაბრუნდა სამშობლოში.

1966 წელს ტაშკენტში, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში, მეორე ადგილზე გავიდა, სსრკ ნაკრებში ნოდარ მაკალათიამ 11 ქვეყნის სპორტულ სარბიელზე მოსინჯა ძალები, მოიპოვა 11 ოქროს, 10 ვერცხლის და 8 ბრინჯაოს მედალი. 27 წლის ვალმოხდილი დაემშვიდობა დიდ სპორტს, რის შემდეგ იურიდიული განათლების მქონეს, სამართალმცოდნეს, შინაგან საქმეთა ორგანოებში მაღალ თანამდებობებზე ნიშნავენ.

პოლიციის პოლკოვნილი ნოდარ მაკალათია უშუალოდ თავდაბლობით გამოირჩეოდა ხელქვეითებისა და მოქალაქეების მიმართ. მისმა დახვეწილმა მანერამ, ზრდილობამ და განათლებამ სიყვარული დაიმკვიდრა იმ გარემოცვაში, სადაც უშუალოდ შეხება უხდებოდა, დაწყებული სპორტიდან, შინაგან საქმეთა ორგანოებამდე დამთავრებული.

დიდი სარბიელიდან რომ აცილებდნენ, სახელოვანმა სპორტსმენმა ერთი ოქროს მედალი ბავშვთა ტანვარჯიშის ცენტრალურ სასპორტო სკოლას უსახსოვრა, ნიშნად იმისა, რომ ამ სკოლას ტანვარჯიშში სამომავლოდ, მხოლოდ ოქროს მედალოსნები აღეზარდა.

ტიტულოვან სპორტსმენს, შინაგან საქმეთა ორგანოებში მომუშავე ღვაწლმოსილ პიროვნებას, სახელოვან მამულიშვილს,

დაემშვიდობა სპორტული სამყარო და შინაგან საქმეთა სამინისტროს ვეტერანი თანამშრომლები.

*სპორტის, შრომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანების სახელით: დონი ფანჩულიძე.*



ავთანდილ აზირაშვილი

## ავთანდილი ალექსანდრეს-ძე აზირაშვილი

### ავტობიოგრაფია

### 24/8-41 (66) 8/01-2007 წწ.

ავთანდილ ალექსანდრეს ძე აზირაშვილი დაიბადა 1941 წლის 24 აგვისტოს - ადიგენისრ-ნის სოფ. უდე. 1958 წელს დაამთავრასაშუალო სკოლა. 1958–59 წლებში მუშაობდა ქ. ახალციხის სამონტაჟო უბანზე „საქართველოს შახტიორთა სამონტაჟო“. 1961 წელს გაწვეული იქნა სავალდებულო სამხედრო სამსახურში 1964 წლამდე. 1960 წელს ჩააბარა თბილისის პოლიტექნიკურ სასწავლებელში, დაამთავრა 1966 წელს სპეციალობით „საქალაქო სატელეფონო ქსელები“. 1968–69 წლებში მუშაობდა „ატს“-ში უფროს ტექნიკად. 1970 წლიდან - 1991 წლის ჩათლით მუშაობდა შინაგან საქმეთა ორგანოებში. არის ომის ვეტერანი მონაწილეობდა „სამაჩაბლოში“. 1992 წლიდან არის პენსიონერი. გარდაიცვალა 2007 წლის 8 იანვარს.



მარცხნიდან ავთანდილ აზირაშვილი და დონი ფანჩულიძე დიდუბის (პირველი მაისის) რაიონის ბინებისა და ობიექტების დაცვის სამორიგეო ნაწილი
თბილისი, წერეთლის გამზ. N56, 1982 წლის აგვისტო


ანზორ ალაშვილი

ეძღვნება პოლიციის პოლკოვნიკ
ანზორ დავითის-ძე ალაშვილის
ნათელ ხსოვნას
(20/VIII-36 წ. - 19/02-93 წ.)

...1991 წლის იანვრის თვეა,მონაწილეობას ვღებულობთ ქ. ცხინვალსა და ჯავის რაიონში ტერიტორიული მთლიანობისა და საზოგადოებრივი წესრიგის აღდგენის მიზნით. მინდა ავღნიშნო თუ რა სულისკვეთებით მონაწილეობა მიიღო შეიარაღებული ბანდ-ფორმირებების წინააღმდეგ ქ. თბილისის დიდუბის პოლიციის თანამშრომლებმა, - მილიციის უფროსს, პოლიციის პოლკოვნიკ ანზორ დავითის - ძე ალაშვილის ხელმძღვანელობით...

...ამავე წლის 18 იანვარს საღამოს საათებში, როდესაც ახალი შებინდებული იყო ე.წ. „ძველ ხიდთან“ ტანკსაწინააღმდეგო ნაღმზე აფეთქებისას დაღუპულ პოლიციის თანამშრომლების: ჭიპაშვილის და ქირიას სიკვდილისა და დოლიძის სხეულის მძიმე დაზიანების გამო, თუ როგორ აღშფოთებული იყო. ჯგუფის ხელმძღვანელმა ანზორ ალაშვილმა რადიოკავშირით დაგვიკავშირდა იქვე ახლოს განთავსებულ საგუშაგოსთან, რათა დაუყოვნებლივ გამო-ვცხადებულიყავით შემთხვევის ადგილზე. მიუხედავად სიბნელისა და ინტენსიური სროლებისა, რამოდენიმე თანამშრომელი ადგილზე გამოვცხადდით, გადავლახეთ ლიახვის ხეობა და დავიწყეთ საეჭვო პირების ძებნა, მაგრამ უშედეგოდ...

...მიღებული ოპერატიული ინფორმაციის შედეგად ანზორ ალაშვილის უშუალო ხელმძღვანელობით შემოწმებული იქნა საცეცხლე წერტილები, საიდანაც ხდებოდა ე.წ. „სნაიპერების“ მიერ მიზნობრივი სროლა, ერთ-ერთი ბინიდან, კერძოდ მობინადრის ძაღლის სამბულიდან ამოღებული იქნა თანხის დიდი ნაწილი სიობრივი მონაცემებით, რომლებიც აგროვებდნენ იარაღისა და

საბრძოლო ტექნიკის შეძენას კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ. ეზოდან ამოღებული იქნა გატაცებული მსუბუქი ავტომობილები სხვადასხვა პირებიდან დაყაჩაღებით დაუფლებული...

...რამდენი რამე შემიძლია მისი სულის მოსახსენებლად გავიხსენო მისი ვაჟკაცური თვისებები, ასეთი ხომ მხოლოდ ერთეულები იბადებოდნენ. რაც შეეხება მის სპეტაკ, უშიშარ შემართებას ნათლად გამოიხატა „ეროვნულ მოძრაობას“ მიტმასნილ ბანდფორმირებების წინააღმდეგ ვაჟკაცურ დადგომას.

...რაიგანყოფილების სამორიგეო ნაწილი გამაგრებული იქნა, რათა „ბანდფორმირებებს“ არ გაეტაცათ ცეცხლსასროლი იარაღების და საბრძოლო მასალის შესანახი საცავი. მიუხედავად წინააღმდეგობისა, შეეცადნენ მძიმე ტექნიკით კარების შემომტვრევა, „ანზორ დავიდოვიჩმა“, „ჭაღარათმიანმა ბერმუხამ“ გააღო ჩარაზული კარები და წინ გადაეფარა მომხვდურებს, უბრძანა ესროლათ მისთვის და შემდეგ შესულიყვნენ სამორიგეო ნაწილში, მათ ვაჟკაცობა აღარ ეყოთ და გაეცალნენ პოლიციის შენობას, ხოლო რამოდენიმე წუთის გასვლის შემდეგ რადიოკავშირით მიღებული ინფორმაციით დავადგინეთ, რომ აღნიშნულმა ბანდფორმირებებმა გაიტაცეს მომიჯნავე პოლიციის განყოფილებიდან, - იარაღები და საბრძოლო მასალა...

...რამდენი რამე მინდა გავიხსენო მისი წარსულიდან...დრომ, დაძაბულობამ, დაუღალავმა შრომამ, უძილო ღამეებმა თვისი კვალი დატოვა... 1993 წლის 19 თებერვალს 57 წლის ასაკში სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს ავტო-კატასტროფაში დაიღუპა...

...მე მინდა ერთხელ კიდევ ვანუგეშო ანზორ დავითის-ძე ალაშვილის უმწიკვლო, უანგარო ოჯახი, რომლებმაც უნდა იამაყონ დიდი ქართველის, მეუღლის, მამის, ბაბუის მიერ ვაჟაცურად განვლილი  ცხოვრების გზა...

ომისა და შეიარაღებული ძლების ვეტერანი,თადარიგის,
პოლიციის ვიცე პოლკოვნიკი: დონი ფანჩულიძე
*გამოქვეყნებული იყო გაზეთ „ თაობიდან-თაობამდე“-ში*
*მაისის 2010  წლის*

გახსენება

# ექლვნება პოლიციის პოლკოვნიკ ანზორ ალაშვილის ხსოვნას 20.08.1936—19.02.1993



1991 წლის იანვრის თვეა, მონაწილეობას ვღებულობთ ქ. ცხინვალსა და ჯავის რაიონში ტერიტორიული მთლიანობისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით. მინდა აღვნიშნო, თუ რა სულისკვეთებით მიიღო მონაწილეობა შეიარაღებული ბანდფორმირების წინააღმდეგ შეტაკებისას ქ. თბილისის დიდუბის რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა მილიციის უფროსის, პოლიციის პოლკოვნიკის ანზორ ალაშვილის უშუალო ხელმძღვანელობით...

ამავე წლის 18 იანვარს საღამოს საათებში, როდესაც ახალი შებინდებული იყო, ე.წ. „ძველ ხიდთან" ტანკსაწინააღმდეგო ნაღმზე აფეთქებისას დაღუპული პოლიციის თანამშრომლების: ჭიპაშვილის, ქირიას და დოლიძის სიკვდილის გამო თუ როგორ აღშფოთებული იყო ჯგუფის ხელმძღვანელი ანზორ ალაშვილი. იგი რადიოკავშირით დაგვიკავშირდა იქვე ახლოს განთავსებულ საგუშაგოსთან, რათა დაუყონებლივ გამოვცხადებულიყავით შემთხვევის ადგილზე. მიუხედავად სიბნელისა და ინტენსიური სროლებისა, რამდენიმე თანამშრომელი ადგილზე გამოვცხადდით, გადავლახეთ ლიახვის ხეობა და დავიწყეთ საეჭვო პირების ძებნა, მაგრამ უშედეგოდ... მიღებული ოპერატიული ინფორმაციის შედეგად ანზორ ალაშვილის უშუალო ხელმძღვანელობით შემოწმებულ იქნა საცეცხლე წერტილები, საიდანაც ხდებოდა ე.წ. "სნაიპერების" მიერ მიზნობრივი სროლა, ერთ-ერთი ბინიდან, კერძოდ, მობინადრის ძაღლის საძმბულიდან ამოღებული იქნა გადამალული თანხის დიდი ნაწილი სიობრივი მონაცემებით, რომლებიც აგროვებდნენ იარაღისა და საბრძოლო ტექნიკის შეძენას კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ. ეზოდან ამოღებულ იქნა გატაცებული მსუბუქი ავტომობილები სხვადასხვა პირებიდან დაყაჩაღებული...

რამდენი რამე შემიძლია გავიხსენო, მისი ვაჟკაცური თვისებები, ასეთი ხომ მხოლოდ ერთეულები იბადებოდნენ. რაც შეეფერება მის სპეტაკ, უშიშარ შემართებას, ნათლად გამოიხატა „ეროვნულ მოძრაობას" მიტმასნილ ბანდფორმირებების წინააღმდეგ ვაჟკაცურ დადგომაში.

მიღებული ინფორმაციის საფუძველზე რაიგანყოფილების სამორიგეო ნაწილი გამაგრებული იქნა, რათა "ბანდფორმირებებს" არ გაეტაცათ ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა. მიუხედავად წინააღმდეგობისა, შეეცადნენ მძიმე ტექნიკით კარების შემომტვრევა, "ანზორ დავიდოვიჩმა, ჭალარათმიანმა ბერმუხამ" გააღო ჩარაზული კარები და წინ გადაეფარა მომხდურებს, უბრძანა ესროლათ მისთვის და შემდეგ შესულიყვნენ სამორიგეო ნაწილში, მათ გამბედაობა აღარ ეყოთ და გაეცალნენ პოლიციას, ხოლო რამდენიმე წუთის შემდეგ რადიოკავშირით მიღებული ინფორმაციით დავადგინეთ, რომ აღნიშნულმა ბანდფორმირებებმა იარაღი გაიტაცეს მომიჯნავე პოლიციის განყოფილებიდან...

რამდენი რამე მინდა გავიხსენო მისი წარსულიდან, დრომ, დაძაბულობამ, დაუღალავმა შრომამ, უძილო ღამეებმა თავისი კვალი დატოვა... 1998 წლის 19 თებერვალს 57 წლის ასაკში სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს ავტოკატასტროფაში დაიღუპა...

მე მინდა ერთხელ კიდევ ვანუგეშო ანზორ დავითის-ძე ალაშვილის უმწიკვლო, უანგარო ოჯახი, რომლებმაც უნდა იამაყონ დიდი ქართველის, მეუღლის, მამის, ბაბუის მიერ ვაჟკაცურად გავლილი ცხოვრებით...

**დონი ფანჩულიძე,**
**ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანი, გადამდგარი პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი.**

**P.S.** ჩემი მასალა მინდა დიდი გალაქტიონის სიტყვებით დავამთავრო:

დღეს ვინ აფასებს
შენებურ გენებს,
შთამომავლობა მოგიხსენიებს.

ხსოვნა გულისა



არჩილ ჩომახიძე

# არჩილ ილარიონის-ძე ჩომახიძე

**(22/03/1955 წ. - 17/06/1996 წ.)**

პოლიციის მაიორი, სისხლის სამართლის სამძებროს უფროსი ინსპექტორი არჩილ ილარიონის ძე ჩომახიძე დაიბადა1955 წლის 22 მარტს ქ. თბილისში მოსამსახურის ოჯახში. წარმატებით დაამთავრა 24 საშუალო სკოლა. ასევე იყო წარმატებული სპორტსმენი, ხელბურთელი, საქართველოს ნაკრების წევრი.

1971 წელს ჩააბარა მაშინდელ ქ. ორჯონიკიძის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში, რაც მოგვიანებით გადაიფიქრა და ჩააბარა საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში. 1977 წლიდან მუშაობდა საქართველოს შსს სამინისტროში სამძებრო განყოფილებაში, პარალელურად დაამთავრა მაშინდელი მილიციის უმაღლესი სკოლა (მოსკოვის ფილიალი). იყო აქტიური, უანგარო მუშაკი, რისთვისაც ეტაპობრივად ემატებოდა წოდება. მიღებული აქვს არაერთი მადლობა, ჯილდო და თანამდებობა.

ერთი პირველთაგანი წავიდა ჯერ ცხინვალის, შემდეგ აფხაზეთის ომში. სოფ. ლაბრაში მიმდინარე დაპირისპირებაში ერთვიანი მონაწილეობის შემდეგ დროებით სახლში დაბრუნებული ნერვიული აშლილობისა და გადაღლის შედეგად 17 ივნისს, მოულოდნელად 41 წლის ასაკში გულის მწვავე შეტევით გარდაიცვალა. იგი იყო ყურადღებიანი, ერთგული, კარგი მეუღლე, მამა და მეგობარი.



1984 წლის ივნისის თვე. ქ. თბილისის-ჩუღურეთის (პირველი მაისის) რაიონის შს განყოფილების თანამშრომლები, მილიციის გარნიზონის სპარტაკიადა "მინი ფეხბურთში". მარცხნიდან: ნუგზარ ბარაბაძე, დათო ჭელიძე, ბიჭი ალავიძე პოლიციის კურსანტი, პოლიციის გენერალი თამაზ თამაზაშვილი, პოლიციის კურსანტი, გუნდის ხელმძღვანელი დონი ფანჩულიძე, ჩოქბჯენში: აჩიკო ჩომახიძე, ვაჟა თათრიშვილი.



მარცხნიდან: მალხაზ ჭულუხაძე, დონი ფანჩულიძე, გიგო არაბული, გოგი კობახიძე, არჩილ ჩომახიძე, ვაჟა ბლიაძე, დათო ძმანაშვილი. გად. 1991 წლის აგვისტო, საქ. პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას საცხოვრებელი ბინის „კოლხური კოშკი"-ს დაცვისას.

# 2017 წლის 14 ივლისი
# თენგიზ ცქიტიშვილის დაბადების დღეა



თენგიზ ცქიტიშვილი

თენგიზ ცქიტიშვილი დაიბადა 1930 წლის 14 ივლისს ქ. ხაშურში.

ხაშურის N1 საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ჩააბარა ფიზკულტურის ინსტიტუტში, თამაშობდა კალათბურთს.

ამის შემდეგ დაამთავრა უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი. ეკავა მაღალი თანამდებობები. დანიშნული იყო ვაკის (ორჯონიკიძის) სახელობის რაიონის მილიციის უფროსად.

1983 – 1986 წლებში ხელმძღვანელობდა თბილისის მილიციის გარნიზონის ფიზმომზადებას.

1986 წლის 3 იანვარს დაიღუპა ტრაგიკულად.

*დონი ფანჩულიძე*



მარცხნიდან: მეხუთე თბილისის გარნიზონის შ.ს მთავარი სამმართველოს სპორტული ღონისძიებების ხელმძღვანელი მილიციის პოლკოვნიკი თენგიზ ცქიტიშვილი, მერვე დონი ფანჩულიძე დიდ სამამულო ომში, ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 40-ე წლის თავთან დაკავშირებით ესტაფეტის მონაწილეები გადაღებულია - 9.05.1985 წ. დინამოს ჩოგბურთის კორტებთან (ამჟამინდელი იუსტიციის სახლის/საჯარო რეესტრის ტერიტორია)

## განცხადება
## <<ინტერნეტიდან>>



პეტრე საღარეიშვილი

# პეტრე საღარეიშვილი

(24/06-1961 - (61) – 7/11-2022 წწ.)

ქ. თბილისის დიდუბის რაიონის შს სამმართველოს მე-2 განყოფილების ძალოვანი სისტემის თადარიგის კადრს გამოაკლდა პოლიციის მაიორი, პეტრე ჯემალის ძე საღარეიშვილი. „სამაჩაბლოსა“ და „აფხაზეთის“ ომების მრავალჯერ მონაწილე, ომის ვეტერანი, მეუღლე, მამა, ბაბუა, მეგობარი, კოლეგა.

პ.ჯ. საღარეიშვილის სახელი და დიდება მარად დარჩება კოლეგებისა და თანამშრომლების ხსოვნაში.

...ძმაო პეტრე!, ერთობლივი მუშაობის დროს, მობინადრეებს, რომლებსაც ემსახურებოდი სამოქმედო უბანში, რომ უყვარდით და გაფასებდნენ ვხვდებოდი, მაგრამ თქვენს გარდაცვალების შემდეგ როგორი მწუხარებით მიკავშირდებოდნენ მობილურზე, შემოდიოდნენ ინტერნეტ სივრცეში და მწუხარების კომენტარებს ტოვებდნენ, ამის შემდეგ უფრო დავრწმუნდი, თქვენ ისეთი სითბო და ულევი სიყვარული დაგითესიათ, სასუფეველში წასაღებ, - „კაცობის სიმდიდრე“, აქაც დატოვებული გეყოფათ თქვენს მოსაგონებლად. სანთელ-საკმეველი ნუ მოგკლებოდეს რჩეულთა-რჩეულო.



ნინო სამხარაძე-ფანჩულიძე
პეტრე საღარეიშვილი

ფოტო და თქვენი მოსაგონარი, რომელიც მორიგ გამოსაშვებ წიგნში რამოდენიმე გვერდი დაეთმობა, იმ დროს გადაგიღეთ, როდესაც მეგობრებთან ერთად ჩემს სოფელში (თერჯოლის რაიონი, სოფელი ძევრი) გამოვიარეთ, 85 წლის აწ გარდაცვლილმა დედაჩემმა, - „იმერული პურმარილით“ დაგვხვდა და მეგობრებს გაგვიმასპინძლდა. ორთავეს ნათელი და სანთელი თქვენს მარადისობაში გადაბრძანებულ სულებს.

დონი ფანჩულიძე



მარცხნიდან: კობა კალმახელიძე, ნუგზარი კეჟერაშვილი, ზვიადი სილაგავა, დათო კერესელიძე, დონი ფანჩულიძე, დათო ბატკუაშვილი, პეტრე საღარეიშვილი.

გაზეთ „თაობიდან-თაობამდე“-ს რედაქცია
ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 61 წლის ასაკში გარდაიცვალა
შინაგან საქმეთა ორგანოების ღვაწლმოსილი
მუშაკი, პოლიციის გადამდგარი ვიცე-პოლკოვნიკი

## მამია ცნობილაძე

15/06-1949 (61) 23/07/2010 წწ.
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.



მამია ცნობილაძე

რაოდენ ძნელია მეგობარზე, კოლეგაზე, კეთილ ადამიანზე წარსულში წერილის დაწერა, გახსენება იმისა, როგორი იყო და არა როგორი არის.

პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი, რკინიგზის სატრანსპორტო პოლიციის ქვეგანყოფილების უფროსი მამია ცნობილაძე ჩინებული პოლიციელი, შესანიშნავი მეოჯახე, ერთგული მეგობარი იყო, ალალმართალი, უსაზღვროდ კეთილი, ვაჟკაცური ბუნებით დაჯილდოებული - სწორედ ასეთი დარჩება იგი ოჯახის, მეგობრებისა და ახლობლების გულში. მას არც საქმის კეთება ეშლებოდა, არც თანამშრომლებთან და არც მოსახლეობასთან ურთიერთობა, ამიტომაც დაიმსახურა ხელმძღვანელობის ნდობა, თანამშრომლების სიყვარული და მოსახლეობის პატივისცემა.

მამია ცნობილაძეს ოც წელზე მეტი ხანია ვიცნობდი, მაგრამ ყოველი შეხვედრისას უფრო და უფრო ვრწმუნდებოდი, რომ არც დრომ და არც პოლიციური მუშაობის დაძაბულობამ არ იმოქმედა მის ბუნებაზე, არ შეაცვლევინა ხასიათი და დამოკიდებულება

ადამიანების მიმართ. შინაგან საქმეთა ორგანოებში ფორმის სიყვარულმა მიიყვანა და ამ ფორმას შეუბღალავად ატარებდა პენსიაზე გასვლამდე. ყოველთვის ერთგული იყო მინდობილი საქმისადმი და მხოლოდ სიკეთე და სიყვარული ამოძრავებდა.

ორმოცი დღის წინ მის სიხარულს, მის გაკეთებულ საქმეებს წერტილი დაესვა და მუდმივ სასუფეველში გადაინაცვლა. სიკვდილთან ყველა უძლურია, მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც ამ ქვეყნად განგების მიერ ნაჩუქარი სიცოცხლის ღირსეულად გატარების შემდეგ, საბედისწერო მოსახვევში ჩასაფრებულ სიკვდილს აფერმკრთალებენ, რადგან ამ ქვეყნად დატოვებული სახელი და სიკეთე უკვდავია და მარად ცოცხლობს. სიკეთეს არც დასასრული აქვს და არც დასაწყისი. მამიამ კი ისეთი სიკეთე და სიყვარული დათესა, რომ მის სახელს დავიწყება არ უწერია.

იძინე მშვიდად, ვალმოხდილი ვეტერანო! შენ მუდამემახსოვრები შენს ოჯახს, მეგობრებს, კოლეგებს და ახლობლებს.

გაზეთ, „თაობიდან-თაობამდე“-ს
მთავარი რედაქტორი: ანჟელა საკაძე

გთვაზობთ მამია ცნობილაძის ყოფილი თანამშრომლის, სისხლის სამართლის სამძებროს ინსპექტორის, პოლიციის მაიორის, ბატონი ვალერი კვატაშიძის წერილს (დღეს ბატონი ვალერი ქ, თბილისის საპატრულო სამსახურის ინსპექტორი გახლავთ - ა. ს.)

ქალბატონო ანჟელა!

როცა მე თქვენი რესპოდენტი ვიყავი, მაშინ პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკ მამია ცნობილაძეს მადლობა გადავუხადე, როგორც დამრიგებელს და ვუსურვე დაწინაურება თავისი

პროფესიონალიზმითა და პირადი თვისებებიდან გამომდინარე, სწორედ ასეთი პიროვნების მეშვეობით შს ორგანოებს რეფორმების გატარების პერიოდში ესაჭიროება სრული მხარდაჭერა. ბატონი მამია ნამდვილად ღირსეულად, დამსახურებულად ფლობდა დაკავებულ თანამდებობას. მთელი ჩვენი კოლექტივი მიესალმებოდა ამ მოვლენას და გულითად მადლობას უხდიდა ზემდგომ ხელმძღვანელობას ასეთი გადაწყვეტის მიღებისათვის.

ბედნიერი ვარ, რომ ბატონი მამიას ხელმძღვანელობით ვმუშაობდი, მისი რჩევა-დარიგებები ჩემთვის უძვირფასესი იყო.

ვალერი კვატაშიძე



ჯემალ ლანჩავა

## ჯემალ ვლადიმერის ძე ლანჩავა

(01.07.1941-15.03.2018)

2018 წლის 15 მარტს 77 წლის ასაკში გარდაიცვალა პოლიციის „ზემდეგი“, - ჯემალ ვლადიმერის ძე ლანჩავა. ჯ.ვ. ლანჩავა დაიბადა 1941 წლის 1 ივლისს თერჯოლის (ჩხარის) რაიონი სოფელ ნახშირღელეში. სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოვალეობისდამთავრების შემდეგ სწავლას აგრძელებს მილიციის სკოლაში. 1970 წლიდან დიდუბის (პირველი მაისის რაიონის ს.ს. რაიგანყოფილების თანამშრომელია).

ჯ.ვ. ლანჩავა იმ თაობას ეკუთვნოდა, რომელმაც რუსთაველ მეტალურგთა მოწოდებას, - არც ერთი ჩამორჩენილი და უდისციპლინო ჩვენს გვერდით! პირველი გამოეხმაურა იმ განყოფილებიდან, სადაც მან მუშაობა დაუკავშირა.

ჩემო „ჯიმიკია“ უმცროსი თაობა მოფერებით ასევე მოგმართავდით, ყოველი თვის 21 რიცხვი ე.წ. ხელფასების გაცემის დღე იყო... თანხის გაცემა - დარიგების დროს მაგიდაზე რამოდენიმე სიობრივი მონაცემები გქონდა. თქვენი ინიციატივით ზოგს ლხინში ეხმარებოდით, ზოგს მწუხარების დროს... თავი როგორ ვიმართლო, რომ ყველა ჭირის გამზიარებელი იყავით და თქვენი გარდაცვალების შესახებ მოგვიანებით გახდა ცნობილი, ჩემო უფროსო მეგობარო, კოლექტივთან თავი როგორ ვიმართლო? მე ხომ ყველას ვკითხულობდი და მოვიკითხავდი?... როგორ ვიმართლო თავი? თქვენს, - ალალ, უბოროტო, ვაჟკაცურ სულთან? რომ დროულად ჩვენს სამეგობროს ვერ გავაგებინე?...თქვენ ხომ ყველას ბედს იზიარებდით და გულთან მიგქონდათ. ახალბედა, სოფლელი ბიჭი, ყოველივე თქვენს მიერ გაკეთებულ სიკეთეს თვალყურს ვადევნებდი. მაგალითი იყავი ყველა „ახალბედა მილიციელის“ თვალში, თუ როგორი პატივი უნდა ეცათ უმცროს კოლეგებს, უფროსებისადმი - როდესაც ჩვენს გარდაცვლილ თანამშრომელზე, რობერტ ახალკაცზე ხსოვნის მოგონებას ვწერდი ჩემს გამოცემულ გაზეთ, - „თაობიდან თაობამდე“ - ში, შემდეგი სტრიქონებით იყო მოხსენიებული - გარდაცვალების შემდეგ ბატონი რობერტ ახალკაცის სურათი და მის მიერ ნატარები სამხრეებიანი მილიციის ფორმა წლების მანძილზე ინახებოდა თვალსაჩინო ადგილზე, კედელზე ჩამოკიდებული „ვეშოლკაზე“ ჯემალ ლანჩავას სამუშაო ოთახში. როდესაც ახლად მიღებული ახალბედა მილიციის თანამშრომლები კითხულობდნენ, მისი უახლოესი მეგობარი ჯემალ ლანჩავა მოუთხრობდა, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ნამდვილი მილიციის თანამშრომელი. მოუწოდებდა მათაც მასსავით კაცურად და ადამიანურად ეცხოვრა და ემსახურა ხალხისათვის, ის ხომ განუმეორებელი მოვლენა იყო, - მე ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე აღვნიშნავ ამას...



დავით წიქარიძე – მილიციის უფროსის მოადგილე პოლიტ აღმზრდელობით დარგში, ზანგურ გოშაძე, ჯემალ ლანჩავა, ელგუჯა ნიშნიანიძე, ნორა დოლიძე
თემურ მღებრიშვილი, დონი ფანჩულიძე, გია ცერცვაძე
გად: „ლენინის ოთახში„ 1981 წელი ქ.თბილისი აღმაშენებლის გამზ. №113

ჩემო იუმორისა და კაცობის ადამიანო, - ჯიმიკო!, ჩემო სტუმრის პატივმცემელო, როგორ გეამაყებოდა სოფელ ნახშირღელეში გამვლელ -გამომვლელი მეგობრები, რესტორან „ჭიშურაში“, როგორ იმერული პურმარილით ხვდებოდი. თქვენი ქალიშვილის ქორწილში 80-იან წლებში, როგორი ბედნიერი იყავით, განსაკუთრებით მეორე დღეს „არღანზე“ ერთად მოვილხინეთ. და მის შემდეგ ჩემს ქორწილში „ანდრეევიჩთან“ (დათო ლოლაძესთან) ერთად. მეორე დღეს ჩემი სახლიდან სოფელ ძევრიდან დაწყებული ქეიფი, რესტორან „ყირამალაში“ გავაგრძელეთ და იქიდან გაგაცილეთ თბილისში... როგორი „იმერული“ პურმარილი მოვამზადეთ თბილისში, სოფელ დიღომში, დამკვრელები შენს მეგობარს თამაზ ნიკოლაძის ხელმძღვანელობით ქუთაისიდან ჩამოვიყვანეთ „იმერული სტუმარ-მასპინძლობის“ მაგალითი ვუჩვენეთ დიმიტრი ნამიჭეიშვილმა, მე და თქვენ სხვა კუთხის მეგობრებსა და მილიციის თანამშრომლებს.

ჩემო, - ჯემალ! მინდა დაგემშვიდობო ლექსით; -

*„ წუთი სოფელი რა ყოფილა, - არც არაფერი,*
*ნელ-ნელა ვიწვი, ვიღვენთები, როგორც სანთელი.*
*ქარო, მადროვე არ შეწუხდე, ჩემით ჩავქრები,*
*ჯერ ყოვლად წმინდას სადღეგრძელო დამრჩა სათქმელი“.*

*უკანასკნელი მოფერება თქვენი მეგობრებიდან*
*დონი ფანჩულიძე*
*24/03–2018 წელი*
*ქ. თბილისი.*

## *„სამშობლო საფრთხეშია!“*

*წიგნიდან*
*„პოლიციელის ასავალ-დასავალი“*

## „სამაჩაბლოში“ ომი დაიწყო!!!

## იანვარი 1991 წელი

(დ.ფ) დაბა წყალტუბო, სანატორიუმ „აია“-ში ვარ მეუღლესთან ერთად, უკვე ხუთი იანვარია, ჩვენი მილიცია შევიდა ქალაქ ცხინვალში, მე დერეფანში, განთავსებულ ტელევიზორს ყოველ საღამოს ვუსმენ, დაჭრილების და გარდაცვალების შესახებ, ვერ ვუძლებ, უნდა შევწყვიტო შვებულება, ცხრა იანვარს უკვე თბილსიში ვარ, მეორე დღეს, ათში ჩემი დაბადების დღე არის, გამოვცხადდი დავით აღმაშენებლის გამზირი #113-ში, სამორიგეო ნაწილში პასუხისმგებელი მორიგე „ანზორ გიორგევიჩი“ მღებრიშვილი ნერვიულობს, მილიციის უფროსის ანზორ ალაშვილის დავალებით დროულად ვერ კრიბავს, ოცი უკვე პირველი ნაკადი ქ. ცხინვალშია, შეიკრიბა 20 თანამშრომელი, ჩამსვეს მანქანებში, ორ საათში უკვე ცხინვალის საოლქო კომიტეტის ძველ შენობაში ვარ, გიგო არაბულმა გადმომაბარა პირადი შემადგენლობის რაციები, ტყვია-წამალი, ერთ-ერთ ოთახში მოვძებნე საბეჭდი მანქანა, ბიჭები იცინიან, ომის დროსაც ბეჭდვას არ იშლისო, მე იმ ღამით საგუშაგოებზე გამსვლელი მილიციელების გვარსახელი და დრო დავბეჭდე. ვინ ვის შეცვლის, რაციები დამჯდარია, იქვე გვერდით შტაბში გადავიტანე, კაკო ბოჭორიშვილი ვინახულე, რომელიც პოლიციის სკოლაში მასწავლიდა, შემაქო, მოწესრიგებული დარჩიო...



გადაღებულია 1991 წლის 4 იანვარს წყალტუბო, სანატორიუმი „აია“ მარცხ. ეთერ ხუბაშვილი, მაია ბოჭორიშვილი-ფანჩულიძე, დონი ფანჩულიძე ამირან ქამხაძე. 6 იანვარს შევწყვიტე შვებულება, 10 იანვარს ჩავერთე საბრძოლო მოქმედებებში „სამაჩაბლოში“ ქ. ცხინვალში

## „ბრძოლა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის“



მარცხნიდან: გონერი დარბაიძე, ფორე მოსულიშვილი, მამია ცნობილაძე, დემური ცხვედიანი, დომენტი ფანჩულიძე, შოთა მწარიაშვილი. ფოტო გადაღებულია დიდუბის რაიონის ავღანელთა კავშირის თავმჯდომარის - გურამ ალავიძის მიერ. ქ. ცხინვალი, 1991 წლის 16 იანვარი. საოლქო კომიტეტის წინ.

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო**

თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველო

მისამართი: 380059 თბილისი დიღმის მასივი II კვარტალი
ტელ: 52-85-02; 52-83-63

№ 57/3/14-579 02. 11. 2004 წ.

# ც ნ ო ბ ა

ეძლევა ***დომენტი ყაჭლანის ძე ფანჩულიძეს*** მასზედ, რომ იგი საქ. შსს 1991 წლის 25 იანვრის №60 პ/შ ბრძანების დაჯილდოებულ იყო 100 (ასი) მანეთის ოდენობით ქ. ცხინვალში და ჯავის რაიონში საგანგებო მდგომარეობის შემოღებისას სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს გამოჩენილი სიმამაცისა და საზრიანობისათვის და ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 03 ივლისის №2/1423 გადაწყვეტილების თანახმად 1991 წელს 10 იანვრიდან — 20 იანვრამდე ცხინვალსა და ჯავის რაიონში, და 1993 წლის თებერვლის თვეში ოჩამჩირის რაიონის სოფელ ლაბრაში ღებულობდა მონაწილეობას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის წარმოებულ ბრძოლებში.

ცნობა შედგენილია ***დ. ფანჩულიძის*** საარქივო პირად საქმეზე დართული ბრძანების და სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც ინახება ქ. თბილისის შს მს კადრებისა და პირად შემადგენლობასთან მუშაობის სამსახურის არქივში.

ცნობა ეძლევა ვეტერანთა საბჭოში წარსადგენად.

ქ. თბილისის შს მთავარი სამმართველოს კადრებისა და პირად შემადგენლობასთან მუშაობის სამსახურის დაკომპლექტებისა და ზონალური მუშაობის განყოფილების უფროსი, პოლიციის კაპიტანი

**ზ. ზუბადალაშვილი**

ყოველთვის მაქებდა. უკვე ერთი კვირაა არ გამიპარსია წვერი, არ დამიბანია, 16 იანვარია, საერთო ხელმძღვანელი გენერალი გივი კვანტალიანია, მისი თანაშემწე პოლკოვნიკი ჯიმი სხირტლაძე და ანზორ ალაშვილი... ღამის 18:00 საათი, ზამთრის სეზონი, მშრალად თოვს, ე.წ. „ძველ ხიდთან“ 50 მეტრის დაცილებით საგუშაგოზე ვდგევართ, გვენეტაძე, თვაური, ჩიკვილაძე, ზაბუაძე. ლეჟავა, ჩომახიძე, ჩობანიანი, თემურ ჯღამაძე. ისმის გამაყრუებელი აფეთქების ხმა, რაციაზე მეგრულ-ქართულად ისმის განკარგულება, შტაბში იხმობენ ხელმძღვანელებს. დგინდება ტანკსაწინააღმდეგო ნაღმზე აფეთქებულების ვინაობა, თბილისის მილიციის თანამშრომლები: ჭიპაშვილი, ქირია, დოლიძე. გვავალებენ მიმდებარე ტერიტორია დავათვალიეროთ, ბნელა ერთ-ერთ ჩემს მეწყვილეს „ღამის ხედვის“ აპარატი აქვს, ლიახვის პირას ყინულის უბე, რომელიც ვერ შევამჩნიე სიბნელის გამო, ჩამიტყდა, წელამდე ყინულიან წყალში ჩავარდი, გამოვბრუნდი უკან, ერთ-ერთ შენობაში, ფარულად შუა ცეცხლი აქვთ დანთებული ჩუღურეთის (ოქტომბრის) რაიონის მილიციას, ვშრები მილიციელ ჰამლეტ ტოტოშვილის დახმარებით, რომელიც „დინამო“-ში ჩემი თანაგუნდელი იყო.

ძველ „ობკომის“ შენობაში მოვიდა ჯიმი სხირტლაძე, მასთან ერთად ანზორ ალაშვილი, საგუშაგოებზე სხვები გააგზავნა, მე, ჩომახიძე, გვენეტაძე, ლეჟავა, მწარიაშვილი შოთა, მე ახალი შეცვლილი ვარ საგუშაგოზე, გავყევი მათ. ხელმძღვანელები დანიშნულების ადგილამდე არაფერს გვეუბნებიან. ჩვენ ცნობისმოყვარეობით შევცქერით. ჩერდებიან ერთ-ერთ კერძო საცხოვრებელ სახლთან, ეზოში კავკასიური ნაგაზი ყეფს, ერთ-ერთი თანამშრომელი ძაღლს ლიკვიდაციას უკეთებს, მისი სამბული დიდი ზომისაა, ცელოფანში, ტომრებში ჩაწყობილია ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღები და ტყვია წამალი. ანზორ ალაშვილმა ღრმად თავი შესწია სამბულში, ჭერზე დამაგრებული ცელოფანის პატარა ზომის პარკია, შიგ რუსული

რუბლი და მობინადრეების სიობრივი მონაცემები, დახმარება ტყვია წამლის შესაძენად, ეზოში უნომრო ორი მსუბუქი მანქანაა, ახალ მდგომარეობაში, ოჯახის უფროსი ოსი ეროვნებისაა, სამწუხაროდ დედა ქართველი, ქართული მუძუთი აღზრდილი, ჩოხელი აღმოჩნდა...

**„ვაშლიჯვრის ძმათა სასაფლაო“.**






1991 წლის 16 იანვარს საღამოს 18:00 საათზე „სამაჩაბლო“ ქ. ცხინვალი
„ძველ ხიდზე“, ტანკსაწინააღმდეგო ნაღმზე აფეთქდა - დოლიძე, ჭიპაშვილი და ქირია.
ჭიპაშვილი და ქირია გარდაიცვალა.

„გახსენება“

მილიციის მაიორი

# რობერტ ახალკაცი

(15/02-1932წ. (43) 19/IX-1975 წ.)

=ერთეულები იბადებიან=



რობერტი ახალკაცი

...დ ა დ ე ბ ი თ ი მუხტით მოზღვავებულმა მოგონებებმა რამოდენიმე წუთს დამაფიქრა... არ მინდოდა ბატონ რობერტ ახალკაცზე ე.წ. „ტრაფარეტული სიტყვებით“ მესაუბრა, რობერტის ხომ ის დადებითი თვისებები ახასიათებდა, რაც ქართველი კაცის ტრადიციებიდან და გენებიდან იყო გამომდინარე, რომელიც ვრცელდებოდა შთამომავლობიდან - შთამომავლობაზე, ის განუმეორებელი მოვლენა იყო შინაგან საქმეთა ორგანოებში. გამოირჩეოდა კაცურ - კაცობით, მოზომილი იუმორით, რაც მიზეზითაც შეიყვარა როგორც მილიციის პირადმა შემადგენლობამ, ასევე მის ირგვლივ მყოფმა ახლობლებმა. ახალბედა თანამშრომლების მიმართ იყო უსაზღვროთ ყურადღებიანი, მისი ძირითადი აზრი და თვისება იყო დამრიგებლობა: „...შვილო! კაცობაში არ ჩაიჭრა!“, რასაც დიდ ყურადღებას უთმობდნენ. მის ირგვლივ ყოველთვის ჯანსაღი ატმოსფერო და აურა სუფევდა, მისი კოლეგები უფროსის დონეზე ღებულობდნენ გადაწყვეტილებას, რათა რობერტი ახალკაცის მორიგეობის დროს მიეღოთ მონაწილეობა ოპერატიულ ჯგუფში, რადგან მისგან გამოდიოდა ის დადებითი მუხტი, რასაც

უმსუბუქებდათ თითოეული თანამშრომლის დატვირთვას მუშაობის პერიოდში. ნათქვამია „დრო ყველაფრის მკურნალიაო“, მაგრამ რამოდენიმე დღის წინ გარდაცვლილ თანამშრომლების მოსაგონარ ხსოვნის სუფრაზე რობერტ ახალკაცი განსაკუთრებულად მოიგონეს, რადგან არ გვეგულება ვინმე, რომ მისგან ნაწყენი დარჩენილიყო. გარდაცვალების შემდეგ ბატონ რობერტის სურათი და მის მიერ ნატარები სამხრებიანი მილიციის ფორმა წლების მანძილზე ინახებოდა თვალსაჩინო ადგილზე. როდესაც ახლად მიღებული ახალბედა თანამშრომლები კითხულობდნენ, მისი უახლოესი მეგობარი ჯემალ ლანჩავა მოუთხრობდა, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ნამდვილი მილიციელი, მოუწოდებდა მათაც მასავით კაცურად და ადამიანურად ეცხოვრათ და გაეგრძელებინათ მუშაობა, ის ხომ განუმეორებელი მოვლენა იყო შინაგან საქმეთა ორგანოების სისტემაში, - მე ყოველგვარი გადაჭარბებით ავღნიშნავ ამას...

...რობერტ ალექსანდრეს - ძე ახალკაცი დაიბადა 1932 წლის 19 სექტემბერს ქ. თბილისში, ძირძველ უბანში „ნაძალადევის რაიონში“. დაამთავრა პედაგოგიური ინსტიტუტი და მილიციის უმაღლესი სკოლა. დადებითი წარსული ბუნებამაც ვერ გათვალა, სამი ვაჟიშვილიდან ორი ნაადრევად დაეღუპა: 34 წლის ზურაბი და 42 წლის ალეკო, მესამე ვლადიმერ ახალკაცი მამის კვალს გაჰყვა როგორც კაცობაში, ასევე პროფესიის არჩევაში, წლების მანძილზე მუშაობდა პროკურატურისა და შინაგან საქმეთა ორგანოების სისტემაში, თადარიგის გენერალ-მაიორია. ამჟამად მუშაობს კრივის ეროვნულ ფედერაციაში გენერალურ მდივნად, მის ოჯახურ ტრადიციებს აგრძელებს სამი შვილიშვილი...

# ერთგულები იხსენებიან...

## (ეძღვნება პოლიციის მაიორ რობერტ ახალკაცის ხსოვნას)

## 15.02.1932–19.09.1975 წ.წ.



... დადებითი მუხტით მომდევნო მოგონებებმა რამდენიმე წუთს დამაფიქრა... არ მინდოდა ბატონ რობერტ ახალკაცზე ე.წ. „ტრაფარეტული სიტყვებით" მესაუბრა; რობერტის ხომ ის დადებითი თვისებები ახასიათებდა, რაც ქართველი კაცის ტრადიციებიდან და გენებიდან იყო გამომდინარე, რომელიც გადაეცემოდა მთამომავლობიდან მთამომავლობას, ის განუმეორებელი მოვლენა იყო შინაგან საქმეთა ორგანოებში. გამოირჩეოდა კაცურ-კაცობით, მომხიბლავი იუმორით, რა მიზეზითაც შეიყვარა, როგორც მილიციის პირადმა შემადგენლობამ, ასევე მის ირგვლივ მყოფმა ახლობლებმა. ახალბედა თანამშრომლების მიმართ იყო უსაზღვროდ ყურადღებიანი, მისი ძირითადი აზრი და თვისება იყო დამრიგებლობა: — შვილო! „კაცობაში არ ჩაიჭრა!", რასაც დიდ ყურადღებას უთმობდნენ. მის ირგვლივ ყოველთვის ჯანსაღი ატმოსფერო და აურა სუფევდა, მისი კოლეგები უფროსის დონეზე იღებდნენ გადაწყვეტილებას, რათა რობერტ ახალკაცის მორიგეობის დროს მიეღოთ მონაწილეობა ოპერატიულ ჯგუფში, რადგან მისგან გამოდიოდა ის დადებითი მუხტი, რაც უმხუბუქებდათ თითოეულ თანამშრომელს დატვირთვას მუშაობის პერიოდში. ნათქვამია, დრო ყველაფრის მკურნალიაო, მაგრამ რამდენიმე დღის წინ გარდაცვლილი თანამშრომლების მოსაგონარ ხსოვნის სუფრაზე რობერტ ახალკაცი განსაკუთრებულად მოვიგონეთ, რადგან არ გვეგულებოდა ვინმე, ვინც მისგან ნაწყენი დარჩენილიყო. გარდაცვალების შემდეგ ბატონი რობერტის სურათი და მის მიერ ნატარები სამხრეებიანი მილიციის ფორმა წლების მანძილზე ინახებოდა თვალსაჩინო ადგილზე. როდესაც ახლად მიღებული ახალბედა თანამშრომლები კითხულობდნენ, მისი უახლოესი მეგობარი ჯემალ ლანჩავა მოუთხრობდა თუ როგორი უნდა ყოფილიყო ნამდვილი მილიციის თანამშრომელი, მოუწოდებდა მათაც მასსავით კაცურად და ადამიანურად ეცხოვრათ, ის ხომ განუმეორებელი მოვლენა იყო, — მე ყოველგვარი გადაჭარბებით აღვნიშნავ ამას...

... **მილიციის მაიორი რობერტ ალექსანდრეს-ძე ახალკაცი** დაიბადა 1932 წლის 19 სექტემბერს თბილისში, „ნაძალადევის" ძირძველ უბანში. დაამთავრა პედაგოგიური ინსტიტუტი და მილიციის უმაღლესი სკოლა. რის შემდეგაც მუშაობა დაიწყო თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის (იმდროინდელი პირველი მაისის) რაიონის შს რაიგანყოფილებაში. მისი დადებითი წარსული ბუნებამაც ვერ გაითვალა, სამი ვაჟიდან ორი ნაადრევად დაელუპა; 34 წლის ზურაბი და 42 წლის ალეკო. მესამე შვილი ვლადიმერ ახალკაცი მამის კვალს გაჰყვა როგორც კაცობაში, ასევე პროფესიის არჩევაში, წლების მანძილზე მუშაობდა პროკურატურისა და შინაგან საქმეთა ორგანოების სისტემაში სხვადასხვა პასუხისმგებელ თანამდებობებზე, თადარიგის გენერალ-მაიორია. ამჟამად მუშაობს კრივის ეროვნულ ფედერაციაში გენერალურ მდივნად. რობერტ ახალკაცის ოჯახურ ტრადიციებს აგრძელებს მისი სამი შვილიშვილი...

... მილიციის მაიორ რობერტ ახალკაცის ძირითადი ფუნქცია და მოვალეობა პასუხისმგებელი მორიგის თანამდებობა, ეს ხომ რაიგანყოფილების სახე და სარკე იყო, აქედან იწყებოდა მოქალაქეთა შეხვედრები და წარმოდგენა მთლიანად სისტემაზე და მილიციაზე.

... სამორიგეო ნაწილში ერთ-ერთი რესტორნიდან მოიყვანეს მოჩხუბარითა რამდენიმე პირი, მათ შორის მაყურებლებიც! „ახალბედა ფეხბურთელი ვოვა ბუტაევი, რომელიც სხვა დროებით დაკავებულებთან ერთად თავს იმართლებდა გაუგებრობაში მოვხვდით. ბატონ რობერტის დაძაბული სიტუაცია რომ განემუხტა, თავისი იუმორით მიმართა ვოვას: — მოატყუა ერთი ფეხბურთელი! მოატყუა მეორე! მოატყუა მესამე!!! მე ვერ მომატყუებ ბიძია, გაუვერკვევი და გაგიშვებთო, — ამის შემდეგ ყველა იქ მიყვანილი ახალგაზრდა ბიჭი დროულად გაათავისუფლა, ხოლო ბატონ რობერტის მეორე დღეს რესტორანში ეპატიჟებოდნენ მისი პიროვნებიდან გამომდინარე...

— ჩვეულებრივი გრაფიკით მორიგეობდა, ღამის საათებში რაიონის სამოქმედო ტერიტორიაზე ერთდროულად მოხდა რამდენიმე შემთხვევა, ხელმძღვანელობიდან ყველა საქმის კურსში ჩააყენა მილიციის უფროსის გარდა, — რობერტი ძალიან ნერვიულობდა, უფროსს გული აწუხებს, ჩემი მოხსენებით სავალალო შედეგი არ გამოიღოსო. როდესაც უფროსი დილით ადრიანად განყოფილებაში შემოვიდა, მას მხედრული სალმით შეხვდა, სანამ მოახსენებდა, უფროსმა დაასწრო — ხომ არაფერი მომხდარაო? — არაფერი, უფროსო, უმნიშვნელო შემთხვევები მოხდაო, ჯერ ადგილზე მკვლელობის ფაქტი მოახსენა, კიბეებზე ასვლისას მამის სახელით მიმართა და შემოაბრუნა, — ორი ყაჩაღობა მოხდაო, როდესაც უფროსი სამუშაო ოთახში დაიგულა, მიდა ტელეფონით მოახსენა ერთი ავტომანქანის გატაცება გვაქვსო. გაჯავრებულმა აწ განსვენებულმა, მილიციის უფროსმა, პოლკოვნიკმა ალექსანდრე კუნელაურმა სასტიკი საყვედურით მიმართა: — დაქცეულა რაიონი და მეტი რა მშვიდობა უნდა ყოფილიყოო!, თანაც დაუმატა, ერთდროულად რატომ არ მომახსენეო. რობერტმა თავი იმართლა, თქვენს გულს მოვერიდეო. რობერტ ახალკაცი სხვის გულსა და ჯანმრთელობას უფრთხილდებოდა, თავის გულს ვეღარ გაუფრთხილდა, — 1975 წლის 19 სექტემბერს თავის დაბადების დღეს გარდაიცვალა. დაგვიტოვა კაცურ-კაცობით განვლილი გზის მოგონებები, რასაც თითოეული თანამშრომელი სამაგალითოდ გადაეცემოდით ახალბედა თანამშრომლებს.

**მეგობრებისა და კოლეგების სახელით, შინაგან საქმეთა ორგანოების ვეტერანები, პოლიციის თადარიგის ვიცე-პოლკოვნიკი, დონი ზანჩულიძე**

• • • • • • • • • •

ჩვენ არყოფნიდან მოვედით,
ნახეთ, აქ ყოფნა რაც არის,
არსია ამ ჩვენი ცხოვრების,
თითქოს არი და არც არი.
წინ წყალი, უკან მეწყერი,
მერე ცეცხლი და ნაცარი.
ბედნიერებას ვეძებდით,
მაგრამ ვერ ვპოვეთ მარცვალი.
სიკვდილი დედა ყოფილა,
სიცოცხლე — დედინაცვალი.

**ვახუშტი კოტეტიშვილი,**
**სახალხო პოეტი**

...რობერტ ახალკაცის ძირითადი ფუნქცია და მოვალეობა პასუხისმგებელი მორიგის თანამდებობა, ეს ხომ განყოფილების სახე და სარკე იყო, აქედან იწყებოდა მოქალაქეთა შეხედულება და წარმოდგენა მთლიანად სისტემაზე და მილიციაზე.

...სამორიგეო ნაწილში ერთ-ერთი რესტორნიდან წარმოადგინეს მოჩხუბართა რამოდენიმე პირი, მათ შორის მაყურებლებიც

„ახალზედა დინამოელი“ ფეხბურთელი ვოვა გუცაევი, რომელიც სხვა დროებით დაკავებულებთან ერთად თავს იმართლებდა გაუგებრობაში მოვხვდიო. ბატონ რობერტის რომ დაძაბული სიტუაცია განემუხტა, თავისი იუმორით მიმართა ვოვას:, მოატყუა ერთი!!!, მოატყუა ორი!!!, მოატყუა სამი!!! - მე ვერაფერს მომატყუებ ბიძია, რობერტი ვარ ახალკაცი!, გავერკვევი და გაგიშვებთო,... ამის შემდეგ ყველა იქ მოყვანილი ახალგაზრდა ბიჭი დროულად გაანთავისუფლეს, ხოლო ბატონ რობერტის მეორე დღისათვის იწვევდნენ და ეპატიჟებოდნენ რესტორანში, რათა მასთან ახლობლობა და მეგობრობა გაეგრძელებინათ...

....ჩვეულებრივი გრაფიკით მორიგეობდა, ღამის საათებში რაიონის სამოქმედო ტერიტორიაზე ერთდროულად მოხდა რამოდენიმე შემთხვევა, ხელმძღვანელობიდან ყველა საქმის კურსში ჩააყენა მილიციის უფროსის გარდა, - რობერტი ძალზე ნერვიულობდა უფროსს გული აწუხებს, სავალალო შედეგი არ გამოიღოს ჩემი მოხსენებითო, როდესაც უფროსი დილით ადრიანად განყოფილებაში შემოვიდა, მას მხედრული სალმით შეხვდა, სანამ მოახსენებდა უფროსმა დაასწრო ხომ არაფერი მომხდარაო, - არა უფროსო უმნიშვნელო შემთხვევები მოხდაო. ჯერ ადგილზე მკვლელობის ფაქტი მოახსენა, კიბებზე რომ ადიოდა მაშინ სახელით მოაბრუნა, - ორი ყაჩაღობა მოხდაო, როდესაც უფროსი სამუშაო ოთახში დაიგულა, შიგა ტელეფონით მოახსენა ერთი ავტომანქანის გატაცებაც გვაქვსო.

გაჯავრებულმა მილიციის უფროსმა პოლკოვნიკმა ალექსანდრე კუნელაურმა საყვედურით მიმართა, დაქცეულა რაიონი და მეტი რა მშვიდობა უნდა ყოფილიყოო?!. თანაც ერთდროულად რატომ არ მომახსენეო, რობერტიმ თავი იმართლა თქვენს გულს მოვერიდეო. რობერტი ახალკაცი სხვის გულსა და ჯანმრთელობას უფრთხილდებოდა, თავის გულს ვეღარ გაუფრთხილდა, - 1975 წლის 19 სექტემბერს თავის დაბადების დღეს გარდაიცვალა. დაგვიტოვა კაცურ - კაცობით განვლილი გზის მოგონებები, რასაც თითეული თანამშრომელი სამაგალითოდ გადავცემდით ახალბედა თანამშრომლებს.

მეგობრებისა და კოლეგების სახელით შინაგან საქმეთა
ორგანოების ვეტერანი პოლიციის თადარიგის ვიცე პოლკოვნიკი:
დონი ფანჩულიძე
„12“ ოქტომბერი 2001 წელი
გაზეთი - „თაობიდან-თაობამდე“
ქ. თბილისი

„სპორტის მოყვარული პოლიციელი“

## რამაზ ალექსანდრეს-ძე შუშანაშვილი

## (16/06-1956წ. 10/V-2010 წ.)



რამაზ შუშანაშვილი

პოლიციის მაიორი რამაზ ალექსანდრეს-ძე შუშანაშვილი დაიბადა ცნობილ ქართველ იურისტის, პროფესორ (იუსტიციის მინისტრი 1980-88 წ.წ.) ალექსანდრე შუშანაშვილის ოჯახში.

თბილისის სახ. უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, ჯერ სტაჟიორად,ხოლო შემდეგ ს.ს სამძებროს ინსპექტორად (პირველი მაისის) დიდუბე - ჩუღურეთის შ.ს. რაი-განყოფილებაში, შემდეგ გამომძიებლად, სახ. ავტოინსპექციის ინსპექტორად.

რ. ა. შუშანაშვილი სწავლასთან ერთად უთავსებდა სპორტის სხვადასხვა სახეობებს, დაწყებული ჭიდაობიდან, ათლეტიდან, დამთავრებული ჭადრაკამდე. ყველაზე წარმატებამ რამაზ შუშანაშვილს ათლეტიზმში მიაღწია. 2001 წლის შედეგების მიხედვით საქ. შ/ს სამინისტროს საგზაო პოლიციის მთავარი სამმართელოს მე-3 განყოფილების უფროსსმა ინსპექტორმა რ.შუშანაშვილმა წლის საუკეთესო ზემწონის ათლეტად აღიარეს. ამ წელს მან ძალისმიერ სამჭიდში საქართველოში გამართულ თითქმის ყველა პრესტიჟულ შეჯიბრში გაიმარჯვა.

რამაზ შუშანაშვილმა ჯერ კიდევ ჯანღონით სავსე პიროვნებამ, საყვარელი ვაჟის დაღუპვას, მისმა ძლიერმა გულმა ვეღარ გაუძლო და „ლომივით აღნაგობის“, ვალმოხდილმა უბოროტო ნამდვილმა ქართველმა სამუდამოდ დაგვტოვა ოჯახის წევრები, ახლობლები და კოლეგები. მსუბუქი ყოფილიყვეს „მთის ვაჟკაცო“ თქვენს ნაიარებ გულზე დაყრილი საქართველოს მადლიანი მიწა.

## ავტობიოგრაფია

მე, რამაზ ალექსანდრეს ძე შუშანაშვილი, დავიბადე 1956 წლის 16 ივნისს ქალაქ თბილისში.

1973 წელს დავამთავრე თიანეთის საშუალო სკოლა.

1976 წლიდან 1974 წლამდე ვსწავლობდი ქ. თბილისის 26-ე პროფტექნიკურ სასწავლებელში.

1974 წლიდან 1976 წლამდე ვმსახურობდი საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებში.

1977 წლიდან 1983 წლამდე ვსწავლობდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე.

1983 წლიდან 2004 წლამდე ვმუშაობდი შინაგან საქმეთა სამინისტროში სხვადასხვა ადგილებზე.

2004 წლის 11 ივლისს გავედი დამსახურებულად პენსიაზე პოლიციის მაიორის წოდებით.

2004 წლის 11 ივლისიდან ვითვლები პენსიონერად. მიხდება პენსიაზე გასვლის შემდეგ სხვადასხვა სამშენებლო ობიექტებზე მუშაობა ფიზიკურად.

ოჯახის წევრების შემადგენლობა:

დედა-ნათელა იოსების ასული ზედელაშვილი, დაბადებული 1937 წლის 1 მარტს.

შვილები - ალიკო რამაზის ძე შუშანაშვილი, დაბადებული 1986 წლის 23 ივნისს.

ნათია რამაზის ასული შუშანაშვილი, დაბადებული 1987 წლის 2 დეკემბერს.

გარდაიცვალა 2014 წლის 16 აპრილს.

(დ.ფ.) რამაზ შუშანაშვილს მამის სახელით, თანამდებობით, დაგროვებული ქონებით არ უსარგებლია, თადარიგში გასვლის შემდეგ ფიზიკურად მუშაობდა მშენებლობებზე.

## ომარ მეშველიანი
## (10/02-50წ. 3/III-93 წ.)

### თვალებში ჩასახლებული სევდა...



ომარ (ჯოკია) მეშველიანი

ომი ყველასგან ერთნაირად ითხოვს მამულიშვილური ვალის აღსრულებას ქართველი სამართალდამცავები აფხაზეთში ომის დაწყებისთანავე დადგნენ საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლთა რიგებში, მათ გმირობისა და მამაცობის უკვდავი მაგალითი დაუტოვეს მომავალ თაობას, ბევრი დაეცა ვაჟკაცურად მტერთან უთანასწორო ბრძოლაში. ერთ-ერთი მათგანია თბილისის ვაკის რაიონის შინაგან საქმეთა პირველი ქვეგანაყოფის უფროსი, პოლიციის მაიორი, ომარ მეშველიანი. განათლებით იურისტი, კომპეტენტური პროფესიონალი, საოცრად გაბედული პიროვნება.

„ძალიან ჰუმანური კაცი იყო, ამავე დროს ძალიან ვაჟკაცურიც. მახსოვს ერთი ჯგუფი უნდა აგვეყვანა და ვიცოდით, სადაც იყვნენ - სამედიცინო ინსტიტუტის ერთ-ერთ კორპუსში. პირველი შევარდა შენობაში, მიუხედავად დიდი საშიშროებისა, ის ოპერაცია წარმატებით დაგვირგვინდა, მან არაერთხელ მოახერხა ურთულესი ღონისძიების ჩატარება...“, იგონებს დათო ყვარელაშვილი ვაკის შს რაიგანყოფილების უფროსის მოადგილე - ოპერატიულ დარგში.

„ჯოკია“ - ასე ეძახდნენ მას, საოცრად უყვარდა შვილები, ხარობდა მათი წარმატებებით, გიორგის და თამუნას მამის გახსენებაზე ცრემლებით ევსებათ თვალები, დრო ვერ განაქარვებს მათ თვალებში ჩასახლებულ სევდას.

სამაჩაბლოს კონფლიქტიდან დაწყებული ომარ მეშველიანი ყველა ბრძოლაში იღებდა მონაწილეობას და საღსალამათი უბრუნდებოდა ოჯახს, სოფელ ლაბრასთან უმუხთლა ბედმა. ვაკის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების უფროსი, პოლიციის პოლკოვნიკი თემურ ანჯაფარიძე იხსენებს: „ქალაქის გარნიზონის 140 თანამშრომელი ლაბრას იცავდა, გარდაუვალი იყო პოზიციების შენარჩუნება, როცა ჯგუფმა უკან დაიხია, ჯოკიამ როგორც უფროსმა, ორი თანამშრომელი ვერ ნახა, ყველა მიხვდა ისინი იქ დარჩენილიყვნენ, მაშინვე მათ მოსაძებნად დაბრუნდა, მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა იქ დაბრუნება...

ადამიანის ქვეცნობიერებაში არსებული ფარული ხმა თითქოს წინასწარ გვაფრთხილებს ხოლმე მოსალოდნელი უბედურების შესახებ, მაგრამ ჩვენს ცნობიერებამდე ვერ აღწევს, თუმცა ბოლოს, როცა ჩვენს ქცევას აანალიზებენ ხოლმე ახლობლები, საოცარ დასკვნებამდე მიდიან. დიდუბე - ჩუღურეთის შს სამმართველოს კადრების და პ.შ. მუშაობის ჯგუფის უფროსი ინსპექტორი, პოლიციის მაიორი დარეჯან მაისურაძე იხსენებს პოლიციის მუშაკთა ლაბრაში გამგზავრების დღეს: „ყველას დაემშვიდობა ის იყო უნდა წასულიყო, შემობრუნდა, შენობის შესასვლელში დადგა და რამდენიმე წუთი გარინდებული ათვალიერებდა მოფუსფუსე ხალხს. მე ვუყურე და ვკითხე: - რა იყო ჯოკია, ვერ ელევი იმ დანგრეულ, ჩაბნელებულ შენობას მეთქი - მან ამოიოხრა და მითხრა - რა ვიცი დარეჯან, მექნება თუ არა კიდევ მის ნახვის ბედნიერებაო“ - თითქოს გული უგრძნობდა. რომგავიგეთ ლაბრაში მომხდარი ბრძოლის ამბავი და ისიც, რომ ვაკიდან ერთი კაცი არ ჩანდა, მაშინვე ამოვიტირე - ჯოკია მეშველიანი იქნება-თქო. ყველას უკვირდა, საიდან მიხვდაო, მათ არ იცოდნენ ის, რაც მევიცოდი მათ არ უნახავთ წასვლის წინ ჯოკიას ნაღვლიანი,გარინდებული თვალები“...




„ვაშლიჯვრის ძმათა სასაფლაო“...
აქ განისვენებენ „სამაჩაბლოსა“ და „აფხაზეთში“ მებრძოლი ბიჭები
ფოტო: დონი ფანჩულიძის

სამსახურეობრივი შემოწმების შედეგად გაცემულ დასკვნაში აღნიშნულია: „ქალაქ თბილისის ვაკის რაიონის შინაგან საქმეთა პირველი ქვეგანყოფილების უფროსი, პოლიციის მაიორი ომარ ვლადიმერის ძე მეშველიანი, 1993 წლის 24 თებერვალს. სხვა პოლიციის თანამშრომლებთან ერთად გაგზავნილი იქნენ აფხაზეთში კერძოდ ქ. ოჩამჩირეში. 1993 წლის 3 მარტს ომარ მეშველიანმა სხვა პოლიციის თანამშრომლებთან ერთად მონაწილეობა მიიღო საომარ მოქმედებებში სოფელ ლაბრასთან, სადაც ბრძოლის დროს მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაიცვალა“.

მანამდე? მანამდე კი იყო ღრმად და შინაარსიანად განვლილი ცხოვრების წლები. ომარ (ჯოკია) ვლადიმერის-ძე მეშველიანი დაიბადა 1950 წლის 10 თებერვალს ლენტეხის რაიონში, სოფელ ნაღომარში. 1964 წელს დაამთავრა რცხმელურის რვაწლიანი სკოლა და სწავლა გააგრძელა ცაგერის საშუალო სკოლაში, რომლის სრული კურსი დაამთავრა 1966 წელს. 1967-1970 წლებში მსახურობდა სამხედრო სავალდებულო სამსახურში, დემობილიზაციის შემდეგ მუშაობა დაიწყო თბილ - გვირაბმშენში, პარალელურად 1973 წლიდან სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საღამოს განყოფილებაზე, რომელიც დაამთავრა 1974 წელს.

1975 წლიდან მუშაობდა მაშინდელი პირველი მაისის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებაში რიგით პოლიციელად. წლებთან ერთად მოდიოდა სიბრძნე, პროფესიონალიზმი და დამსახურებული აღიარება. ომარ მეშველიანი სხვადასხვა დროს მუშაობდა საბურთალოს რაიონის შს განყოფილების უფროსის მოადგილედ, სამგორის რ.გ. უფროსად, ვაკის რ.გ. პირველი ქვეგანყოფილების უფროსად, ჰქონდა მაიორის წოდება, დაჯილდოებული იყო მედლებით შს ორგანოებში უმწიკვლო სამსახურისთვის.

ომარ მეშველიანი დაკრძალულია საბურთალოს ძმათა სასაფლაოზე. დარჩა ოჯახი: მეუღლე მარინა გაფრინდაშვილი, შვილები თამარი და გიორგი. თამარი თსუ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტია, გიორგი სკოლის მოსწავლე. მშობლები: თამარ ტვილდიანი, მამა ვლადიმერ მეშველიანი და ერთი ძმა ოთარი ვლადიმერის ძე მეშველიანი, რომელიც მუშაობს ქუთაისის

„კოპიტნარის“ აეროპორტის პოლიციის უფროსად.

სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი გმირობისა და ვაჟკცობისათვის საქართველოს სახელმწიფო მეთაურის განკარგულებით, ომარ ვლადიმერის ძე მეშველიანი დაჯილდოებულია მედლით „მხედრული მამაცობისათვის“.

ომარ მეშველიანის ნათელი სიცოცხლე გრძელდება მისი შვილების სახით, ისინი იმ გორისანი არიან მამის სახელს არ შეარცხვენენ. არ უწერია მეშველიანთა ამაყ გენს გადაშენება.

მახსენდება ლადო ასათიანის ლექსის სტრიქონები:

*„ თავს არ მოიკლავს ქართველი არა,*
*ის შეიძლება ბრძოლაში მოკვდეს!*
*ერთი იმედით სიცოცხლე მარად,*
*გაგრძელდეს ქვეყნად და განმეორდეს.“*

*მოამზადა - დონი ფანჩულიძემ*

# თამაზ სულაბერიძე

(27/12-1967 (24) 19/08-1991)

ცრემლიანი ღიმილი სახეზე



თამაზ სულაბერიძე

ძნელია გაიხსენო ადამიანი, რომელიც არაფრით დაგამახსოვრებს თავს - წერს თამაზის მეგობარი სოფიკო ღაღანიძე - მაგრამ არაფრის მთქმელია ეს სიტყვები მის გარეშე... ის ყველაფერ ამასთან ერთად ცხოვრობდა და ცდილობდა თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე ყველას მოსიყვარულება მოესწრო, თითქოს გრძნობდა, რომ დიდხანს არ იქნებოდა ამ წუთისოფელში და სულ ჩქარობდა, ყველგან ახერხებდა ყოფნას, სადაც საჭირო იყო.

არასოდეს დამავიწყდება ჩვენი პირველი გაცნობა. ეს ის პერიოდი იყო, როცა თბილისში ცნობილი მოვლენები ხდებოდა. ტელევიზიის შენობასთან მიტინგი მიმდინარეობდა, შენობას პოლიციელები იცავდნენ. სამსახურიდან გამოვდიოდი, რომ უცებ რაღაც ჩოჩქოლი ატყდა, შეშინებულმა უკან დავიხიე და ამ დროს დავინახე დიდთვალება, ლამაზი ბიჭი პოლიციის ფორმით, რომელიც ჩემსკენ მოდიოდა...

- ზევით აზრძანდით გოგონა - მითხრა მან სასიამოვნო ხმით.

- რა ხდება?

- არაფერი, ასე სჯობია - დამამშვიდა ღიმილით.

თითქოსდა არაფერი მომხდარა, მაგრამ ამ სიტყვებში სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების გარდა, იგრძნობოდა

ყურადღებიანი, თავაზიანი ადამიანის გაფრთხილება, რომლისთვისაც ყოველი ადამიანის უსაფრთხოება მნიშვნელოვანი და პირადული.

აქედან დაიწყო ჩვენი ნაცნობობა, რომელიც თანდათან წმინდა გრძნობაში გადაიზარდა. მაგრამ როგორც ხდება ხოლმე, უამრავი ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო, ამ გრძნობას მარადიულობა არ ეწერა, ყოველთვის როცა თამაზი მახსენდება, ცრემლიანი ღიმილი მიჩნდება სახეზე. ძალიან მენატრები თამაზ და...“ რა უსამართლოა ზოგჯერ ბედისწერა, ოცდაოთხი წლის ასაკში გამოუტანა თამაზს მკაცრი განაჩენი და არ აცალა ბედნიერებით სიხარულით დამტკბარიყო, ვინ იცის რამდენი ცრემლიანი და სევდიანი სახე დასტოვა ამ ქვეყნად, იგი ხომ საოცრად თბილი დასაყვარელი ადამინი იყო.

თამაზ ჯემალის-ძე სულაბერიძე დაიბადა 1967 წლის 27 დეკემბერს, ქალაქ თბილისში, 1974 წელს სწავლა დაიწყო ქალაქ თბილისის N19 საშუალო სკოლაში. 8 კლასის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა N26 ტექნიკურ სასწავლებელში, რომელიც დაამთავრა 1985 წელს. 1985-1987 წლებში მოიხადა სამხედრო სავალდებულო სამსახური, რომელიც გაიარა ჩრდილოეთის საზღვაო ფლოტის რიგებში, სადაც თავი გამოიჩინა დაკისრებული მოვალეობის პირნათლად შესრულებით, ოჯახს სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელობიდან, მიღებული აქვთ ქების სიგელები და მადლობის წერილები, რომელსაც სათუთად ეფერებიან და ცრემლიანი თვალებით დაჰყურებენ. დემობილიზაციის შემდეგ მუშაობა დაიწყო შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა ქვედანაყოფებში. 1990 წლის დეკემბრიდან კი დიდუბის შს განყოფილებაში კავშირგაბმულობის ჯგუფის უმცროს ინსპექტორად.

„მუშაობის პერიოდში თამაზმა თავი გამოიჩინა, როგორც ენერგიულმა, საქმისადმი ერთგულმა, დაუზარებელმა თანაშრომელმა,

აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა განყოფილების მიერ განხორციელებულ ყველა ოპერატიულ ღონისძიებაში, გამოვლენილი ჰყავს და დაკავებული არაერთი საშიში დამნაშავე, მონაწილეობა მიიღო ბინის ქურდების ჯგუფის დაკავებაში, 1991 წლის 7 აპრილიდან 28 აპრილამდე იბრძოდა სამაჩაბლოში სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად. სისტემატიურად იმაღლებს იდეურ - პოლიტიკურ დონეს. კარგი ავტორიტეტით სარგებლობს თანამშრომლებს და მოსახლეობას შორის:, ნათქვამია ქ. თბილისის დიდუბის რაიონის შს განყოფილების მიერ გაცემულ დახასიათებაში, რომელიც თამაზს მისცეს პოლიციის სკოლაში ექსთვიანი კურსების გასავლელად.

განუყრელი მეგობრები იყვნენ თამაზ სულაბერიძე, ზაზა სულაბერიძე და ბადრი სპანდერაშვილი, მათი მჭიდრო ურთიერთობა მილიციის სკოლიდან დაიწყო. სამეულის გვარის მიხედვით ყველანი ს.ს.ს.- სახელით იცნობდნენ, პოლიციის სკოლის დამთავრების შემდეგ დაიწყებს მუშაობას დიდუბის შს რაიონულ განყოფილებაში, სსს განყოფილებაში. მათ მეგობრობას კიდევ უფრო ადუღაბებდა სისხლიანი ცხრა აპრილის დილას დაღვრილი ცრემლი, ისინი 1 აპრილიდან ერთად იდგნენ მთავრობის სახლის დაცვის სამსახურში, მეგობრები იგონებენ: „არ ვიცი დამთხვევა იყო თუ წინასწარი ჩანაფიქრი, 8-ში საღამოს ყველა თბილისელი მსმენელი სახლში გაგვიშვეს. იმ ღამით რაც მოხდა კარგად მოგეხსენებათ. დილით, 9 აპრილს ვიდექით ჩვენი სამეული და ვტიროდით, ცრემლის არ გვრცხვენოდა და არც ვმალავდით. ამ დიდმა ტკივილმა მთელი საქართველო და რა თქმა უნდა ჩვენც ერთ მუშტად შეგვკრა, ამის მერე საერთოდ აღარ დავცილებივართ ერთმანეთს, ერთად ვიყავით ბოლნისში და დმანისში, ერთად გადავიტანეთ ომის ქარცეცხლი, თბილისში ჩამოსვლის შემდეგ იყო სიხარულით და სიცოცხლით სავსე

რამოდენიმე თვე. ერთად ვასრულებდით ჩვენს ფათერაკიან, მაგრამ საპასუხისმგებლო სამუშაოს, ფხიზლად ვიდექით საზოგადოებრივი წესრიგის სადარაჯოზე, მომავალ ბედნიერებაზე ვოცნებობდით, თამაზის შეყვარებულიც ჰყავდა, მომავალი ნათელ ფერებში ეხატებოდა, მაგრამ სხვაგვარად სჯიდა თურმე ბედისწერა...“

თამაზ სულაბერიძე დაიღუპა 1991 წლის 19 აგვისტოს სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს. დაკრძალულია საბურთალოს სასაფლაოზე. დარჩა მშობლები: მამა ჯემალი, დედა ვალენტინა, ძნელია ანუგეშო ერთადერთი ვაჟიშვილის დაკარგვით გამწარებული ოჯახი, სიტყვები უძლურია მათი მწუხარების გამოსახატავად, თვალცრემლიანები და გაოგნებულები შეჰყურებენ ულამაზესი ვაჟკაცის სურათს. ,ათი მხურვალე ლოცვა და ანთებული სანთლების ალი უწყვეტ ნაკადად მიემართება მყუდრო სავანისაკენ, იმ იმედით, რომ თამაზი იმქვეყნად მაინც იყოს ბედნიერი.

ღმერთო ნათელში ამყოფე სულაბერიძის უმწიკვლო სული.

დონი ფანჩულიძე

## <<უფროსი მეგობარი>>

*„მოგონება“*

## ანზორ მღებრიშვილი
## (5/08-1937 (85) 9/04-2022 წწ.)


ანზორ მღებრიშვილი

2022 წლის 12 აპრილი. უკანასკნელ გზაზე გავაცილეთ თადარიგის პოლიციის პოლკოვნიკი, - ანზორ გიორგის ძე მღებრიშვილი.

ა.გ. მღებრიშვილი იმ თაობას ეკუთვნოდა, როდესაც ახალგაზრდები: - „დიდი სამამულო ომიდან“ მიღებულ უბედურებას და ჭრილობებს ნელ-ნელა იშუშებდა. ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე იყო, როდესაც სპეციალობით ექიმი, მშობელი დედა ტრაგიკულად დაეღუპა, შემდეგ გზადაგზა ლაბირინთიანი ცხოვრებისეული წინააღმდეგობების გადალახვა, სტუდენტობა, უბინაობა, მაგრამ ყოველივე ეს მის განწყობაზე და ხასიათზე არ მოქმედებდა, მუდამ ხალისიანი, იუმორის გრძნობით აღსავსე, სუფრასთან მომღხენი, სტუმრიანი, მეგობრების მოყვარული, ხელქვეითების დამრიგებელი, მოხდენილი ჩაცმულობით, მუდამ მოწესრიგებული.

თადარიგში გასვლამდე, ბოლო წლებში მისი ფუნქცია-მოვალეობა: - პოლიციის რაიგანყოფილების პასუხისმგებელი მორიგის თანამდებობა იყო, რომლის მორიგეობის დროს სულ სხვა აურა იყო,

ოპერატიული ჯგუფი ვცდილობდით, - გიორგევიჩის „გრაფიკში“ ჩავმჯდარიყავით...

„გიორგევიჩ“! ამ პოსტს როცა ვაქვეყნებდი, - ინტერნეტსივრცეში, ჯერ კიდევ ახალი გამოსვენებული იყავით, - „ქაშვეთის“ ეკლესიიდან და როგორც დანაბარების თანახმად, დაგკრძალეს ბორჯომის რაიონი, სოფ. წაღვერში, საგვარეულო სასაფლაოზე.

„გიორგევიჩ“! - ჩემო უფროსო ხელმძღვანელო, დამრიგებელო და მაგალითის მიმცემო, რამოდენიმე საათს ვიდექი გამოსვენებამდე ქაშვეთის ეკლესიის ეზოში და ამ ორ საათში გაირბინა სამმა ათეულმა წელმა ერთობლივი მეგობრობისა და თანამშრომლობის...

„გიორგევიჩ“! იმ დღეს უკანასკვნელ გზაზე ძალოვანი სისტემის თადარიგის კადრმა, უმეტესობამ ვერ გაგაცილათ ობიექტური მიზეზების (პანდემია) გამო. მინდა აქედან ვაუწყო, რომ ჩვენს რიგებს კიდევ ერთი კაცური ადამიანი გამოგვაკლდი. იძინე მშვიდად, მსუბუქი იყოს თქვენ გულზე დაყრილი მშობლიური მიწა, სანთელ-სარკმეველი და არდავიწყება ნუ მოგკლებოდეთ, -„გიორგევიჩ“.

...P.S., -„გიორგევიჩ”! ჩემს მობილურზე ზარები არ წყდებოდა, ბიჭები მსაყვედურობდნენ, რატომ არ გახდა ჩემგან ცნობილი თქვენი გარდაცვალება... დარწმუნებული ვიყავი და დავრწმუნდი, თქვენ კოლექტივს ყვარებიხართ...

დონი ფანჩულიძე

13/IV - 2022 წ.

## <<გაუთვალისწინებელი შეცდომა>>



გია გულუა

### გია გულუა
(20/02-1955 (38) 20/04-1994 წწ.)

**სიკვდილით სიკვდილისა დამთრგუნველი!!**

1994 წლის 20 აპრილს დილის 10 საათზე თავისი საცხოვრებელი სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე, მრავალი ადამიანის თვალწინ ყოველგვარი შენიბღვის გარეშე, სამსახურეობრივ ავტომანქანაში ვერაგულად ჩაცხრილეს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, სატრანსპორტო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსი, გენერალ - მაიორი გია გულუა. განხორციელებული ტერორისტული აქტის შედეგად მასთან ერთად დაიღუპნენ მძღოლი ემზარ ტაბატაძე და დაცვის თანამშრომელი ზურაბ კვიცინაძე.

მკვლელობიდან წელიწადნახევრის შემდეგ გამოძიებამ ნიღაბი მოხსნა ამ ტერორისტულ აქტის ხელისშემწყობთ და შემსრულებლებს, სამართალდამცავი ორგანოებისათვის ცნობილია მკვლელობის ყოველი ნიუანსი, როგორ იგეგმებოდა და მზადდებოდა იგი.

გია გულუას მეუღლე ნუცა გულუა იგონებს: „წინათგრძნობა აწუხებდა, შფოთავდა, მთელი ღამე არ დაუძინია. სამინისტროს მეტად მნიშვნელოვანი ოპერაცია ჰქონდა დაგეგმილი რაჭაში და იქ მიდიოდა. დილით ადრე წამოდგა. გამოგვემშვიდობა, ბავშვებს აკოცა, კარებში გასვლისას ერთხელ კიდევ მოიხედა და წავიდა... სამზარეულოში ვიყავით ძლიერი გუგუნი რომ შემოგვესმა, ხალხი გარბოდა, ჩვენც გავიქეცით... ავტომანქანის წინა და უკანა სავარძლებს შორის პირქვე იყო დამხობილი... ბედისწერის ძალიან სჯეროდა. როცა ვაფრთხილებდით, ყოველთვის გვპასუხობდა: „თუ განწირული ვარ,

სიფრთხილე ვერაფერს მიშველისო“... სიკვდილის წინა დღეებში უთხრეს, რომ მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა, მაგრამ რატომღაც დაცვის გაძლიერების მაგივრად, მასთან ერთად სიარული ყველას აუკრძალა. თავისი მტრებისათვის უნდოდა ეჩვენებინა, რომ არავისი ეშინოდა...“

„...მე ის კაცი არ ვარ, რომ რაღაცას გულში ვიდებდე და მერე სამაგიეროს ვუხდიდე, არა, ამ პრინციპით არ მიცხოვრია და არც ვიცხოვრებ, მაგრამ როცა საქმე საქართველოს ინტერესებს ეხება, არავის არაფერს არ ვაპატიებ. იმიტომ,რომ მე მინდა ჩემმა შვილებმა, ნორმალურ, ბედნიერ ქვეყანაში იცხოვრონ სხვის შვილებთან ერთად“

- წერდა სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე გია გულუა. ცხადია ამ სიტყვების პატრონს არ შეეძლო გულდამშვიდებით ეცქირა იმ განუკითხაობისათვის, რაც იმ პერიოდისათვის არსებობდა საქართველოში. გია გულუა გაბედულად წინ აღუდგა უშიშროების სამსახურის მაშინდელ თანამშრომელთა და „მხედრიონის“ მაფიური კლანების თავაშვებულ თარეშს, მან პირველმა განაცხადა, რომ სამართლდამრღვევი ორგანოები უნდა ემორჩილებოდნენ არა რომელიმე პარტიას, არამედ მხოლოდ კანონსო. სიცოცხლეში გია გულუა აცხადებდა, რომ ასეთ საქართველოს, შვილებს არ დაუტოვებდა, მან სიცოცხლის ფასად შეასრულა თავისი პირობა.

გია გულუას პიროვნული პორტრეტის ბრწყინვალე დახასიათებას წრმოადგენს სატრანსპორტო პოლიციის რკინიგზის ობიექტების დაცვის სამმართველოს უფროსის მოადგილის (ახლა უფროსის) რევაზ გაგუას მოგონება. გთავაზობთ ნაწყვეტს რევაზ გაგუას წიგნიდან: „ჩვენ გია გულუას ბიჭებს გვეძახიან“.

„არ ვიცი, ვის როგორ დაამახსოვრდება გენერალი, მაგრამ ჩემს მეხსიერებაში იგი დარჩა, როგორც ვაჟკაცური სულის ადამიანი, პიროვნება, რომელიც ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, შემკული იყო ყველა დადებითი თვისებებით. 38 წლის გენერალი - ამაყი და

ბავშვივით გულკეთილი, სათნო და გულმართალი, ბრძოლის დროს უშიშარი, ყოველთვის პირველი მიდიოდა ტყვიის შესახვედრად და ამით მეომრებს პირად მაგალითს აჩვენებდა.

წუთისოფლის აზობოქრებულ მდინარეს ადარებენ ხოლმე, რომლის ნაპირზე ქვეყნის ჭირ-ვარამი ირიყება, ცხოვრებას ადამიანები ავსებენ. ზოგჯერ კაცზე იტყვიან „შფოთიანი სიცოცხლე განვლოო“... ასეთ აზორგებულ მდინარეს, რომელსაც დავიწყების მორევთან შერევა არ უწერია, გია გულუას ცხოვრება ჰქვია. შავი ღრუბლები მოეჯარა მშობლიურ ზეცას, ქართული სულის დათრგუნვა სურდა ბოროტებას, ხანდახან იმძლავრებდა ნათელი, მომძლავრება სურდა ბოროტებას, ხანდახან იმძლავრებდა ნათელი, მომძლავრება ეწადა, ბნელს გაფანტავდა და აციალებდა სიკეთის სხივი თითქოს შორეთში დაირხა ხმა, უცხო მღაღადებლისა: „ცოდვამ გაგწირათ!“ არ აპატია ადამის ძემ გაუტანლობა, შური, ურთიერთ მტრობა. გია გულუა იყო ის ერთ-ერთი, რომელიც ცდილობდა სამზეოზე გამოეტანა სისხლ-ხორცში გამჯდარი გაუტანლობა, საქმით თუ სიტყვით კარგი გაეკეთებინა და თავისი მაგალითით სხვაც წაეხალისებინა.

მისი ცხოვრება არ ყოფილა ია-ვარდებით მოფენილი, საკმაოდ რთული გზის გავლა მოუხდა ლეიტენანტობიდან გენერლობამდე. თუ ბევრმა ეს წოდება დაუმსახურებლად მიიღო (ბოდიშს ვიხდი ზოგიერთებთან), გია გულუამ ამ ვაჟკაცობითა და კაიკაცობით, საკუთარი სიცოცხლის სამსხვერპლოს მიტანით მოიპოვა ის.

მისი ცხოვრების ბოლო პერიოდის საქმიანობა სცილდებოდა პოლიციის უფლება-მოვალეობებს და პოლიტიკურ ასპარეზს უახლოვდებოდა. გენერლის ყოველდღიური ზრუნვა არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ კრიმინოგენული ფონის გაუმჯობესებით უფრო პოლიტიკური სტაბილურობისაკენ მიემართებოდა...



ცხინვალი სოფ თამარაშენი 1991 წლის მარტის თვე.მარცხნიდან ზურგით:გიგო არაბული, პოლიციის გენერალი გია გულუა, ცენტრში,თემურ რუხაძე ატარებს საველე თათბირს.გადაღებულია დონი ფანჩულიძის მიერ

საერთოდ ადამიანს ესა თუ ის ისტორიული მომენტი, დრო აყალიბებს როგორც მოღვაწეს, შემოქმედსა და პიროვნებას. გია გულუა ის ადამიანი იყო, რომელიც საქართველოში მიმდებარე იმდროინდელ მოვლენებს შეეწირა. მისი პორტრეტი ასეთად დარჩა ჩემს მეხსიერებაში: მიუკერძოებელი დემოკრატიული ნატურა, მაქსიმალისტი, გამოუსწორებელი ოპტიმისტი, პირდაპირი, ერთგულებისადმი თავდადებული, მტერთან დაუნდობელი, ყოველგვარი კუთხურობის და პროვინციალიზმის სასტიკი მოწინააღმდეგე. იგი იყო განუზომელი ენერგიის მქონე, ჰქონდა საოცარი კომუნიკაბელურობა და საჭიროების შემთხვევაში კომპრომისზე წასვლის უნარი და რაც მთავარია, უტყუარი ალღო ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტისას.

როცა სხვა თავისი პერსონის წარმოსაჩენად ათასგვარ ხრიკს მიმართვდა, გია გულუა მაშინ ომის ქარცეცხლში ტრიალებდა და საქართველოს ერთიანობას სწირავდა თავს, როცა ზოგმა თავის მებრძოლებს ჩამოასწრო თბილისში, ცოცხლად გადარჩენას ზეიმობდა და ნაცარქექიასავით სიცრუის კორიანტელს აყენებდა, იგი თავისი მებრძოლების უკან მოდიოდა.

ჯერ კიდევ მთაწმინდის რაიონში შს განყოფილების უფროსად მუშაობის დროს პირდაპირობის და პრინციპულობის გამო დაისაჯა. ერთ-ერთ მაღალჩინოსანზე წარადგინა მამხილებელი საბუთები და მოითხოვა, გაეცათ დაპატიმრების სანქცია, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ის პიროვნება ექსპრეზიდენტის ახლობელი იყო. მეორე დღესვე გია გულუა და მისი ორი თანამოაზროვნე თანამდებობიდან გაათავისუფლეს. მათი ცოლშვილი კი სახლიდან გამოყარეს. გია გულუა დადგა, იქ სადაც იდგნენ უდანაშაულოდ დასჯილნი. მისი ასეთი პრინციპოლობის გამო დაიწყო უთანხმოება ექს-

პრეზიდენტთან. სწორედ ამის გამო გასწირეს ის, ქობალიამ მუხანათურად დაუპირა ანგარიშის გასწორება და ციხეში ჩასვა...

ჯერ კიდევ თბილისის მოვლენების დროს დაიწყო გია გულუას პოლიტიკური პორტრეტის დახვეწა-ჩამოყალიბება. შემდეგ იყო აფხაზეთი, სადაც ომი სამარცხვინოთ წავაგეთ. გია გულუა სამეგრელოს არასტაბილურობაში ხედავდა ომში დამარცხების მიზეზებს. ამიტომ ითხოვდა მიეცათ უფლებაგონივრულად, მშვიდობიანად აღმოეფხვრა ეს პროვინციალიზმი, ირწმუნებოდა, რომ ამით აფხაზეთის დაბრუნება გარანტირებული იქნებოდა, მაგრამ მის ნაცვლად დამსჯელი ექსპედიციები იქნა გაგზავნილი სამეგრელოში.

პრეზიდენტყოფილის გაქცევის შემდეგ, როცა სამეგრელოს ზონაში შევიდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფი გია გულუას ხელმძღვანელობით, მოსახლეობამ დაინახა განსხვავება მძარცველებსა და მილიციელებს შორის. ხალხმა როცა იგრძნო შერიგებისა და წესრიგისათვის გამოწვდილი ხელი, უმალ წავიდა კომპრომისზე. სამეგრელომ ამოისუნთქა ჭრილობაზე მალამოდ დაეფინა მოქნილი და საღი დამოკიდებულება, მაგრამ ეს სიამოვნება მხოლოდ ორ თვეს გაგრძელდა. ვიღაცას რაღაც არ მოეწონა და გია გულუა თბილისში დააბრუნეს.

როცა საჯავახოდან „გრადები“ ბომბავდნენ მარანს (აბაშის რაიონი), ან აბაშიდან სამტრედია იბომბებოდა, როცა გაღმაც და გამოღმაც ყველა დაჭრილი და მომკვდავი ერთ მშობლიურ ქართულ ენაზე უხმობდა დედას საშველად, გია გულუა იყო ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც საკმაოდ ხმამაღლა განაცხადა უარი მონაწილეობა მიეღო ძმათამკვლელ ომში. უკვე ნათლად გამოიხატა გია გულუას მეომრული ბრძოლიდან პოლიტიკურ ბრძოლაზე გადასვლის საფრთხე. იგი უკვე აშკარად და დაუფარავად აცხადებდა, რომ წინააღმდეგობას გაუწევდა ყველას, ვინც შეეცდებოდა უკან დაეწია ქვეყნის განვითარების ბერკეტები. გია გულუა უკვე მოქმედებდა და

გაემგზავრა ფოთში, სადაც საკმაოდ დიდი მაფიოზური კლანების სამოქმედო ასპარეზი გახლდათ. იქიდან დაბრუნებულმა ამის შესახებ ინფორმაცია გაავრცელა მთავრობის ხელმძღვანელებთან და ითხოვა უფლება ებრძოლა მათ წინააღმდეგ, მეორე დღის 9 საათსა და 19 წუთზე გია გულუას კლავენ. დემონსტრაციულად, თავხედურად, საკუთარი სახლის წინ მცველებთან და მძღოლთან ერთად. რატომ? - საქართველოს პოლიტიკური ცის კაბადონზე ახალი ვარსკვლავი უნდა გამოჩენილიყო. ვიღაცას არ აწყობდა მისი თავგამოდება ხალხისა და ერისადმი. ვიღაცას არ მოეწონა გია გულუა პოლიტიკური აქტიურობის გამო და ამას საბედისწერო ფაქტი დაერთო თან - იმდღეს გია გულუას პირადი იარაღი სახლში დარჩა... თითქოს საკუთარი ფეხით ეახლა სიკვდილს უიარაღო, უშიშარი და მართალი გენერალი.

ჩვენ გია გულუას ბიჭებს გვეძახდნენ და მისი სიკვდილის შემდეგ თავზარდაცემულები დავდივართ, მხოლოდ გენერალს ხელეწიფებოდა ჩვენი წინამძღოლობა. მოკლეს გია გულუა, რადგან იცოდნენ, რომ მას ჰყავდა ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი, მობილური დანაყოფი და ნებისმიერ დროს შეეძლო გადამწყვეტი სიტყვა ეთქვა ერის სასიკეთოდ, მერე კი ეს შენაერთი უნდა დაშლილიყო და წასულიყვნენ ბიჭები, რომლებიც დღემდე გულში იმეორებენ, იქ, გომისმთასთან უთქმელ ფიცს, რომელიც დენთის სუნისა და სიკვდილის ბუმერანგის ტრიალის ქვეშ დაიბადა ყველა ჩვენთაგანში: - ჩვენ დამარცხებას არ შევეგუებით, ჩვენ ხომ გია გულუას ბიჭები ვართ!“

გია გულუას სახელი უკვდავია, მის განუხორციელებელ სურვილებს დრო ვერ გაახვევს დავიწყების საბურველში, რადგან იზრდება ლომის ორი ბოკვერი, გიორგი და ალექსანდრე, რომლებიც გმირი მამის კვალს მიჰყვებიან. ბიჭებს გენერლობა სურთ!

რევაზ გაგუას წიგნიდან: „ჩვენ გია გულუას ბიჭებს გვეძახიან“.

## ომარ შალვას-ძე სამხარაძე
## (1936 წ. – 6/03-2011 წ.)



ომარ სამხარაძე

ომარ შალვას-ძე სამხარაძე დაიბადა 1936 წელს ბაღდადის რაიონი სოფელ მე-2 ობჩაში. მამა - შალვა დარისპანის - ძე სამხარაძე ამავე სოფლის რევიზორ - ბუღალტერი იყო, ხოლო დედა - სონია ლეჟავა სკოლის პედაგოგი იყო. ძმა - კუკური სამხარაძე კი სოფლის მეურნეობის სამინისტროს კვალიფიცირებული სპეციალისტი იყო.

ომარ სამახარაძემ 1967 წელს დაამთავრა თბილისის სპეციალური იურიდიული სასწავლებელი, რომლის შემდეგ მუშაობა დაიწყო შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში ლეიტენანტის წოდებით.

ომარ სამხარაძე 1971 წლიდან ჯერ ხობის რაიონში, შემდეგ ქ. ტყიბულში მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე. ამის შემდეგ გადაყავთ ქ. თბილისის შს სამმართველოს სისტემაში.

1975 წლიდან ქ. თბილისის დიდუბე - ჩუღურეთის (პირველი მაისის) რაიონის პოლიციის პასუხისმგებელი მორიგის თანამდებებობაზე.

დაჯილდოებული იყო მედლებით და სიგელებით.

1988 წლიდან გავიდა დამსახურებულ პენსიაზე. პოლ. მაიორი ომარ სამხარაძე 2011 წლის 6 მარტს მძიმე ავადმყოფობით გარდაიცვალა.



თემურ ნამიჭეიშვილი

# თეიმურაზ ნამიჭეიშვილი
## (4/03-1950 (50) 30/10-2000)

იუსტიციის უმაღლესი მრჩეველი. 1972 წ. დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი სამართლმცოდნის სპეციალობით და მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია.

1974–1980 წ.წ. საქარხნო რაიონის ტექნიკური სასწავლებლის კომკავშირის კომიტეტის მდივანი, ამავე რაიონის კომკავშირის კომიტეტის მდივანი, საქარხნო რაიონის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების ინსტრუქტორი.

1980–1981 წ. გათავისუფლებულ იქნა დაკავებული თანამდებობიდან თბილისის საქარხნო რაიონის სახალხო მოსამართლედ გამწესების გამო.

1982–1989 წ. თბილისის საქარხნო რაიონის სასამართოს თავმჯდომარე.

1989–2000 წ. ქალაქ თბილისის პროკურატურა, ოქტომბრის, მთაწმინდის, ვაკის, თბილისის ტრანსპორტისა და დიდუბის რაიონის პროკურორი.

სასამართლოში გაწეული მუშაობის საუკეთესო შედეგებისთვის დაჯილდოვდა ილია ჭავჭავაძის სახელობის საპატიო სიგელით.

## მოგონებები... მოგონებები...

დრო გიჟურად გარბის მარათონულ რიტმში. რჩება მხოლოდ მოგონებები წარსულისა და იმედი მომავლისა. 11 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა თბილისის დიდუბის რაიონის პროკურორი, ბატონი თემურ ნამიჭეიშვილი, მე კარგად ვიცნობდი ბატონი თემურის მამას, პოლიციის პოლკოვნიკს, ბატონ დიმიტრი ნამიჭეიშვილს. მე ვამაყობდი ამ ბრწყინვალე ადამიანის მეგობრობით. მისი გულისხმიერებით, მისი კაცურ - კაცობით, სწორედ ასეთი იყო მისი შვილიც, ბატონი თემური. ალალ-მართალი, სხვისი ჭირის გამზიარებელი, გულისხმიერი, ასეთი დაამახსოვრდათ იგი მეგობრებს და ახლობლებს გულში. მის სახელს დავიწყება არ უწერია.

2000 წლის ნოემბერში გადავწყვიტე დამეწერა ბატონი თემურის ინტერვიუ „მოგონებები მამაზე", მაგრამ, როცა მასალა მზად იყო დასაბეჭდად, შევიტყვეთ, რომ ბატონი თემურ ნამიჭეიშვილი გარდაიცვალა. სამწუხაროდ, ეს ინტერვიუ მისთვის უკანასკნელი აღმოჩნდა.

ძნელი წარმოსადგენია, რომ სულ რაღაც ერთი კვირის წინ, მამის მოგონებებით გულანთებული ახალგაზრდა ვაჟკაცი ადამიანი, დღეს თვითონ გახდა მოსაგონარი.

დარწმუნებული ვარ, მისი შთამომავლებიც ისეთივე დიდი სიყვარულით და სიამაყით მოიგონებენ მის სულს და ნათელ ხსოვნას, როგორც თავად იგი იგონებდა მამას.

გთავაზობთ, თემურ ნამიჭეიშვილის უკანასკნელ მოგონებას, -

„მამაჩემი, დიმიტრი ნამიჭეიშვილი სიკეთესა და სიყვარულს თესავდა", რომელიც 2000 წლის ნოემბერში დაიბეჭდა გაზეთ -

„თაობიდან თაობამდე"-ში. (დ.ფ.)




(თ.ნ): „მამაჩემი სიკეთესა და სიყვარულს თესავდა“

(1/01-1926 (64) 1/01-1990 წწ.

ყველა პროფესია საინტერესოა, განსაკუთრებით კი ჟურნალისტის. მათი საქმიანობა მოულოდნელობითა და სიურპრიზებითაა აღსავსე...

მათგან ზოგიერთი შეხვედრა იმდენად უმნიშვნელოა, რომ წარსულის ბურუსში ქრება, ზოგი კი წარუშლელ კვალს ტოვებს ჩვენს მეხსიერებაში. ამჯერადაც ასე მოხდა. პოლიციის პოლკოვნიკ დიმიტრი ნამიჭეიშვილს, ისევ ჩემმა პროფესიამ შემახვედრა, როცა 20 წლის წინ, ახალბედა ჟურნალისტი მასთან ინტერვიუზე მივედი. მაშინ პოლიციის მაიორი ბატონი დიმიტრი ნამიჭეიშვილი თბილისის დიდუბის (ყოფილი პირველი მაისის) რაიონის პოლიციის გამომძიებელი გახლდათ. მან ჩემი ახალგაზრდული ასაკი, არც კომპეტენტურობა არ მაგრძნობინა, მესაუბრა, როგორც თავის თანატოლს, თავის კოლეგას. ის ჩემი პირველი ინტერვიუ არასოდეს დამავიწყდება შემდგომში “პროფესიული დაოსტატების“ ასამაღლებლად მოვუხშირე მასთან შეხვედრებს, მიხაროდა საუბარი, ურთიერთობა, მამა-შვილური რჩევა-დარიგებები. ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ათეული წლების შემდეგ გავიცნობდი მის ვაჟს, ვერც კი წარმოვიდგენდი ათეული წლების შემდეგ მომიწევდა მასზე საუბარი წარსულ დროში. მტკივნეულია მისი გახსენება ოჯახისთვის, ახლობლებისთვის, მეგობრებისთვის, მაგრამ ეს აუცილებელია, რათა კიდევ ერთხელ დავრწმუნდეთ, რომ ცხოვრებაში უკვალოდ არაფერი ქრება. დავრწმუნდეთ იმაში, რომ

შვილების კარგი აღზრდა მშობლების დამსახურებაა. შვილები მოვალენი არიან არ შეურაცხონ მამის სახელი და ვაჟკაცურად იარონ მოულოდნელობებით აღსავსე ცხოვრებისეულ გზაზე.

ჩემი პატარა წერილი კი მინდა მივუძღვნა იმ კეთილი და მოსიყვარულე ადამიანის ხსოვნას, ვინც წლების მანძილზე უანგაროდ ემსახურებოდა თავის სამშობლოს, თავის ხალხს, თავის ერს. აი, უკვე 4 წელია, რაც ბატონი დიმიტრი არა არის ჩვენს გვერდით, მაგრამ ისეთი სიკეთე და სიყვარული დათესა, რომ დღესაც სიკეთით და სიყვარულით იხსენებს ყველა, ვინც მას იცნობდა.

მეოთხე პოლიციის დღესასწაულს ხვდებიან თქვენს გარეშე თქვენი მეგობრები, ბატონო დიმიტრი, დრო წარმოუდგენლად სწრაფად გარბის. ბევრი რამ იცვლება ქვეყნად, მაგრამ ხელუხლებელი რჩება შვილების, მეგობრებისა და ახლობლების გულებში მისი სახე და სიყვარული. ბატონო დიმიტრი, თქვენს პირად მაგალითზე აღიზარდნენ არა მარტო თქვენი შვილები, არამედ გამომძიებელთა არაერთი თაობა, არაერთი გამომძიებელი თავის დამრიგებლად და მასწავლებლად სწორედ დიმიტრი ნამიჭეიშვილს თვლის.

დღეს ჩვენი ნომრის სტუმარია ბატონი დიმიტრი ნამიჭეიშვილის შვილი - ბატონი თემურ ნამიჭეიშვილი - თბილისის დიდუბის რაიონის პროკურორი, იუსტიციის უფროსი მრჩეველი.

თემურ ნამიჭეიშვილი 47 წლისაა. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი: სხვადასხვა დროს მუშაობდა თბილისის სამგორის რაიონის სასამართლოს თავმჯდომარედ, თბილისის ვაკის, მთაწმინდის რაიონების პროკურორად. 5 თვეა - თბილისის დიდუბის რაიონის პროკურორია. ჰყავს მეუღლე და ორი ქალიშვილი - 11 წლის მეა და 10 წლის ლიკა.

- ბატონო თემურ, რა გრძნობა დაგეუფლათ, როცა დიდუბის რაიონის პროკურორად დაგნიშნეს. ცოტა უცნაურია მამათქვენმა ხომ

18 წელი შეალი ამ რაიონს დიდუბის პოლიციას, თქვენ კი სწორედ ამ პოლიციის ზედამხედველი გახდით?

- უპირველეს ყოვლისა, გამეხარდა, მამაჩემის საყვარელ რაიონში მუშაობის საშუალება რომ მომეცა. (ბატონი დიმიტრი ნამიჭეიშვილი საგამომძიებო ქვეგანყოფილების უფროსი გახლდათ - ა.ს.) მამაჩემთან სამსახურში ხშირად დავდიოდი, მაგრამ ახლა ძველი თანამშრომლებიდან ქვემორიგის გარდა, არავინ დარჩა. პირადი შემადგენლობა მთლიანად შეიცვალა. ბევრი ახალგაზრდა მოვიდა პოლიციაში. ეს ხომ ბუნებრივია, კიდევ ერთი თაობა, მოდის მეორე, და ასე უსასრულოდ.

- როგორი ურთიოერთობა გაქვთ პოლიციასთან? შეგიძლიათ თუ არა პოლიციელების მხრიდან წვრილმან „დარღვევებზე თვალის დახუჭვა“?

- მეტნაკლებად ლოიალური ვარ, ვცდილობ ისე მოვიქცე, რომ საზიანო არ იყოს არც ერთი მხარისთვის, მაგრამ ჩემთვის მთავარია კანონის უზენაესობა და კანონის ნებისმიერ დარღვევაზე, როგორც პროკურორს, არ შემეფერება თვალის „დახუჭვა“

- ე.ი. არასდროს არ შეგცოდებიათ დამნაშავე?

- კაცობიდან, ადამიანობიდან გამომდინარე შეიძლება შემეცოდოს, გავუგო, მაგრამ ის, რომ უნდა დაისაჯოს, ორი აზრი არ არსებობს.

- ბატონო თემურ, მამათქვენი წლების მანძილზე მუშაობდა შინაგან საქმეთა ორგანოების სისტემაში, ერთ-ერთი უძლიერესი გამომძიებელი იყო. თქვენ რატომ აირჩიეთ პროკურატურის სისტემა?

- იცით, ბავშვობიდან მიზიდავდა მილიცია, თაყვანს ვცემდი პოლიციელების ვაჟკაცობას, გამბედაობას, გამტანიანობას, მაგრამ ჩემი ცხოვრება ისე წარიმართა, რომ მუშაობა მოსამართლედ დავიწყე, ამირჩიეს სამგორის რაიონის სასამართლოს თავმჯდომარედ.

# მოგონებები... მოგონებები...

დრო გიჟურად გარბის მარათონულ რიტმში. რჩება მხოლოდ მოგონებები წარსულისა და იმედი მომავლისა. 11 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა თბილისის დიდუბის რაიონის პროკურორი, ბატონი თემურ ნამიჭეიშვილი. მე კარგად ვიცნობდი ბატონი თემურის მამას, პოლიციის პოლკოვნიკს, ბატონ დიმიტრი ნამიჭეიშვილს. მე ვამაყობდი ამ ბრწყინვალე ადამიანის მეგობრობით, მისი გულისხმიერებით, მისი კაცურ-კაცობით. სწორედ ასეთი იყო მისი შვილიც, ბატონი თემური. ალალ-მართალი, სხვისი ჭირის გამზიარებელი, გულისხმიერი, ასეთი დაამახსოვრდათ იგი მეგობრებს და ახლობლებს გულში. მის სახელს დავიწყება არ უწერია.

2000 წლის ნოემბერში გადავწყვიტე დამეწერა ბატონი თემურის ინტერვიუ „მოგონებები მამაზე", მაგრამ, როცა მასალა მზად იყო დასაბეჭდად, შევიტყვეთ, რომ ბატონი თემურ ნამიჭეიშვილი გარდაიცვალა. სამწუხაროდ, ეს ინტერვიუ მისთვის უკანასკნელი აღმოჩნდა.

ძნელი წარმოსადგენია, რომ სულ რაღაც ერთი კვირის წინ, მამის მოგონებებით გულანთებული ახალგაზრდა ვაჟკაცი ადამიანი, დღეს თვითონ გახდა მოსაგონარი.

დარწმუნებული ვარ, მისი მთამომავლებიც ისეთივე დიდი სიყვარულით და სიამაყით მოიგონებენ მის სულს და ნათელ ხსოვნას, როგორც თავად იგი იგონებდა მამას.

გთავაზობთ, თემურ ნამიჭეიშვილის უკანასკნელ ინტერვიუს „მამაჩემი სიკეთესა და სიყვარულს თესავდა", რომელიც 2000 წლის ნოემბერში დაიბეჭდა გაზეთში „თაობიდან თაობამდე".

## „მამაჩემი სიკეთესა და სიყვარულს თესავდა"



დიმიტრი ნამიჭეიშვილი

ყველა პროფესია საინტერესოა, განსაკუთრებით კი ჟურნალისტის. მათი საქმიანობა მოულოდნელობებითა და სიურპრიზებითაა აღსავსე. შეხვედრები უამ[illegible]ბის, ტემპერამენტის, აზროვნების. მათგან ზოგიერთი შეხვედრა იმდენად უმნიშვნელოა, რომ წარსულის ბურუსში ქრება, ზოგი კი წარუშლელ კვალს ტოვებს ჩვენს მეხსიერებაში. ასეც მოხდა. პოლიციის პოლკოვნიკ დიმიტრი ნამიჭეიშვილს, ისევ ჩემმა პროფესიამ შემახვედრა. როცა 20 წლის წინ, ახალბედა ჟურნალისტი მასთან ინტერვიუზე მივედი. მაშინ პოლიციის მაიორი ბატონი დიმიტრი ნამიჭეიშვილი თბილისის დიდუბის (ყოფილი პირველი მაისის) რაიონის პოლიციის გამომძიებელი გახლდათ. მან არც ჩემი ახალგაზრდული ასაკი, არც არაკომპეტენტურობა არ მაგრძნობინა, მესაუბრა, როგორც თავის თანატოლს, თავის კოლეგას. ის ჩემი პირველი ინტერვიუ არასდროს დამავიწყდება. შემდგომში „პროფესიული დაოსტატების" ასამაღლებლად მივუხშირე მასთან შეხვედრებს, მიხაროდა საუბარი, ურთიერთობა, მამა-შვილური რჩევა-დარიგებები. ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ათეული წლების შემდეგ გავიცნობდი მის ვაჟს, ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ათეული წლების შემდეგ მომიწევდა მასზე საუბარი წარსულ დროში. მტკივნეულია მისი გახსენება ოჯახისთვის, ახლობლებისთვის, მეგობრებისთვის, მაგრამ ეს აუცილებელია, რათა კიდევ ერთხელ დავრწმუნდეთ, რომ ცხოვრებაში უკვალოდ არაფერი ქრება. დავრწმუნდეთ იმაში, რომ შვილების კარგი აღზრდა მშობლების დამსახურებაა. შვილები მოვალენი არიან არ შეურაცხყონ მამის სახელი და [illegible] იარონ მოულოდნელობებით აღსავსე ცხოვრებისეულ გზაზე.

ჩემი პატარა წერილი კი მინდა მივუძღვნა იმ კეთილი და მოსიყვარულე ადამიანის ხსოვნას, ვინც წლების მანძილზე უანგაროდ ემსახურებოდა თავის სამშობლოს, თავის ხალხს, თავის ერს. აი, უკვე 4 წელია, რაც ბატონი დიმიტრი არ არის ჩვენს გვერდით, მაგრამ ისეთი სიკეთე და საყვარული დათესა, რომ დღესაც სიკეთითა და სიყვარულით იხსენებს ყველა, ვინც მას იცნობდა.

მეოთხე პოლიციის დღესასწაულს ხვდებიან თქვენს გარეშე თქვენი მეგობრები, ბატონო დიმიტრი. დრო წარმოუდგენლად სწრაფად გარბის. ბევრი რამ იცვლება ქვეყნად, მაგრამ ხელუხლებელი რჩება შვილების, მეგობრებისა და ახლობლების გულებში მისი სახე და სიყვარული. ბატონო დიმიტრი, თქვენს პირად მაგალითზე აღიზარდნენ არა მარტო თქვენი შვილები, არამედ გამომძიებელთა არაერთი თაობა. არაერთი გამომძიებელი თავის დამრიგებლად და მასწავლებლად სწორედ დიმიტრი ნამიჭეიშვილს თვლის.

დღეს ჩვენი ნომრის სტუმარია ბატონი დიმიტრი ნამიჭეიშვილის შვილი — ბატონი თემურ ნამიჭეიშვილი — თბილისის დიდუბის რაიონის პროკურორი, იუსტიციის უფროსი მრჩეველი.

ᲗᲔᲛᲣᲠ ᲜᲐᲛᲘᲭᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ 47 წლისაა. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. სხვადასხვა დროს მუშაობდა თბილისის სამგორის რაიონის სასამართლოს თავმჯდომარედ, თბილისის ვაკის. მთაწმინდის რაიონების პროკურორად. 5 თვეა — თბილისის დიდუბის რაიონის პროკურორია. ჰყავს მეუღლე და ორი ქალიშვილი — 11 წლის მეა და 10 წლის ლიკა.

***— ბატონო თემურ, რა გრძნობა დაგეუფლათ, როცა დიდუბის რაიონის პროკურორად დაგნიშნეს. ცოტა არ იყოს უცნაურია, მამათქვენმა ხომ 18 წელი შეალია ამ რაიონს და დიდუბის პოლიციას, თქვენ კი სწორედ ამ პოლიციის ზედამხედველი გახდით?***

— უპირველეს ყოვლისა, გამეხარდა, მამაჩემის საყვარელ რაიონში მუშაობის საშუალება რომ მომეცა. (ბატონი დიმიტრი ნამიჭეიშვილი სიცოცხლეში ქვეგანყოფილების უფროსი გახლდათ — ა.ს.). მამაჩემთან სამსახურში ხშირად დავდიოდი, მაგრამ ახლა ძველი თანამშრომლებიდან, ერთი [illegible] გარდა, არავინ დარჩა. პირადი შემადგენლობა მთლიანად შეიცვალა. ბევრი ახალგაზრდა მოვიდა პოლიციაში სამუშაოდ. ეს ხომ ბუნებრივია, მოდის ერთი თაობა, მოდის მეორე, და ასე უსასრულოდ.

***— როგორი ურთიერთობა გაქვთ პოლიციასთან? შეგიძლიათ თუ არა პოლიციელების მხრიდან წვრილმან დარღვევებზე თვალის „დახუჭვა"?***

— [illegible] ლოიალური ვარ. ვცდილობ ისე მოვიქცე, რომ საზიანო არ იყოს არც ერთი მხარისთვის. მაგრამ ჩემთვის მთავარია კანონის უზენაესობა და კანონის ნებისმიერ დარღვევაზე, როგორც პროკურორს, არ შემეფერება თვალის „დახუჭვა".

***— ეს იგი არასდროს არ შეგეცოდებათ დამნაშავე?***

— კაცობრივად, ადამიანობიდან გამომდინარე შეიძლება შემეცოდოს, გავუგო. მაგრამ ის, რომ უნდა დაისაჯოს, ორი აზრი არ არსებობს.

***— ბატონო თემურ, მამათქვენი წლების მანძილზე მუშაობდა შინაგან საქმეთა ორგანოების სისტემაში, ერთ-ერთი უძლიერესი გამომძიებელი იყო. თქვენ რატომ აირჩიეთ პროკურატურის სისტემა?***

— იცით. ბავშვობიდან მიზიდავდა მილიცია. თავიანთ [illegible] პოლიციელების პატიოსნობამ, გამბედაობამ, გამჭრიახობამ. მაგრამ ჩემი ცხოვრება ისე წარიმართა, რომ მუშაობა მოსამართლედ დავიწყე, ამირჩიეს სამგორის რაიონის სასამართლოს თავმჯდომარედ. სხვათაშორის, ყველაზე ახალგაზრდა სასამართლოს თავმჯდომარე ვიყავი. შემდეგ — პროკურატურის სისტემა. უნდა გითხრათ, რომ ჩემი ოცნება მაინც ამისრულდა — ფორმა მაცვია და ვდგავარ ქვეყნის კანონიერების სადარაჯოზე.

***— ბატონო თემურ, მამათქვენს ყველა პატივს სცემდა — დიდი თუ პატარა. როგორ ფიქრობთ, რა ჰქონდა მას ასეთი განსაკუთრებული?***

— კაცთმოყვარეობა, ადამიანების სიმართლე მიდგომა, გულისხმიერება. მუდამ სხვისი ჭირისა და ლხინის გამზიარებელი იყო. ვფიქრობ, ამ თვისებებით მხოლოდ ძლიერი ადამიანები არიან დაჯილდოებულნი. ვისაც კი მამაჩემს ერთხელ მაინც შეხვედრია, უყოყმანოდ დამეთანხმება, რომ იგი საკვირველი და სიყვარულით აღსავსე პიროვნება იყო. თქვენ ხომ მეთანხმებით?

***— როგორი იყო ბატონი დიმიტრი ოჯახში?***

— თბილი, ფაქიზი, დაკვირვებული, გაწონასწორებული ადამიანი იყო. სამწუხაროდ, თუ ჩემდა საბედნიეროდ, მამაჩემის სახელს სადმე თუ გაიგებენ, ჩემი სახელი „ჩრდილში" რჩებოდა. იმ წუთებში ვგრძნობ, რომ მამაჩემმა შორს გაიყოლა სახელი და მის მწვერვალამდე საკმაოდ დიდი გზა მაქვს გასავლელი.

***— თქვენ თუ გამოგყვებათ მამათქვენის ეს თვისებები?***

— არა, მე უფრო მკაცრი ვარ.

***— ალბათ, თქვენმა სამსახურმა და სამსახურებრივმა მდგომარეობამ თავისი კვალი დატოვა თქვენს ბუნებაზე?***

— ალბათ. ერთადერთი, გარეგნულად ვგავარ მამაჩემს. ეს დიდი ბედნიერებაა ჩემთვის.

***— დიდი მადლობა გულახდილი საუბრისთვის.***

— თქვენც დიდი მადლობა.



თემურ ნამიჭეიშვილი

მოგონებები... მოგონებები... რამდენი რამ შეიძლება გაიხსენოს შვილმა მამაზე. მითუმეტეს, პიროვნებაზე, ვინც კარგად იცნობდა მამას. მაგრამ ჩემი სტუმრობა პროკურორთან გაგრძელდა, თანაც ჩემი რესპონდენტიც [illegible] არაჩვეულებრივ ამპლუაში ყოფილა. ვტოვებ ბატონ თემურ ნამიჭეიშვილს და ვფიქრობ ადამიანის უკვდავებაზე, იმ ადამიანის, ვისი ცხოვრების გზაც სამაგალითო, საამაყო და ქვეყნის სასწავლებელია მომავალი თაობებისთვის.

მოვუხმობ კიდევ ერთხელ ბატონ დიმიტრი ნამიჭეიშვილის სულს — მსუბუქი ყოფილიყოს თქვენთვის მშობლიური მიწა. არ გვინდა გვჯეროდეს თქვენი არყოფნა, ბატონო დიმიტრი, როგორც ამას არ იჯერებს თქვენი ოჯახი, მაგრამ „სიკვდილი თავად უფლისა გაჩენილა ღმრთისადა".

ᲐᲜᲟᲔᲚᲐ ᲡᲐᲐᲙᲐᲫᲔ
ᲓᲝᲜᲘ ᲨᲐᲜᲨᲣᲚᲘᲫᲔ

სხვათაშორის, ყველახე ახალგაზრდა სასამართლოს თავმჯდომარე ვიყავი. შემდეგ - პროკურატურის სისტემა. უნდა გითხრათ, რომ ჩემი ოცნება მაინც ამისრულდა - ფორმა მაცვია და ვდგავარ ქვეყნის კანონიერ სადარაჯოზე.

- ბატონო თემურ, მამათქვენს ყველა პატივს სცემდა - დიდი თუ პატარა. როგორ ფიქრობთ. რა ჰქონდა მას ასეთი განსაკუთრებული?

- კაცთმოყვარეობა, ადამიანების მიმართ მიდგომა, გულისხმიერება, მუდამ სხვისი ჭირისა და ლხინის გამზიარებელი იყო. ვფიქრობ, ამ თვისებებით მხოლოდ ძლიერი ადამიანები არიან დაჯილდოებულნი. ვინც კი მამაჩემს ერთხელ მაინც შეხვედრია, უთუოდ დამეთანხმება, რომ იგი სიკეთითა და სიყვარულით აღსავსე პიროვნება იყო. თქვენ ხომ მეთანხმებით?

- როგორი იყო ბატონი დიმიტრი ოჯახში?

- თბილი, დინჯი, დაკვირვებული, გაწონასწორებული ადამიანი იყო. საბედნიეროდ, თუ ჩემდა საუბედუროდ, მამაჩემის სახელს სადმე თუ გაიგებდნენ, ჩემი სახელი „ჩრდილში“ რჩებოდა. იმ წუთებში ვგრძნობ, რომ მამაჩემმა შორს გაითქვა სახელი და მის მწვერვალამდე საკმაოდ დიდი გზა მაქვს გასავლელი.

- ალბათ, თქვენმა სამსახურმა და სამსახურეობრივმა მდგომარობამ თავისი კვალი დატოვა თქვენს ბუნებაზე?

- ალბათ ერთადერთი გარეგნულად ვგავარ მამაჩემს. ესეც დიდი ბედნიერებაა ჩემთვის.

- დიდი მადლობა გულახდილი საუბრისათვის

- თქვენც დიდი მადლობა.

მოგონებები... მოგონებები... რამდენი რამ შეიძლება გაიხსენოს შვილმა მამაზე, მითუმეტეს, პიროვნებასთან, ვინც კარგად იცნობდა მამას. მაგრამ ჩემი სტუმრობა პროკურორთან გაგრძელდა, თანაც ჩემი რესპონდეტიც დაიღალა არაჩვეულებრივ ამპლუაში ყოფნით. ვტოვებ ბატონ თემურ ნამიჭიშვილს და ვფიქრობ ადამიანის უკვდავებაზე, იმ ადამიანის, ვისი ცხოვრების გზაც სამაგალითო, საამაყო და ჭკუის სასწავლებელია მომავალი თაობებისათვის.

- მოვუხმობ კიდევ ერთხელ ბატონ დიმიტრი ნამიჭიშვილის სულს - მსუბუქი ყოფილიყოს თქვენთვის მშობლიური მიწა. არ გვინდა გვჯეროდეს თქვენი არყოფნა, ბატონო დიმიტრი, როგორც ამას არ იჯერებს თქვენი ოჯახი, მაგრამ „სიკვდილი თავად, უფლისა გაუჩენია ღმრთისადა“.

*გაზეთ: „თაობიდან-თაობამდე“*
*მთავარი რედაქტორი: ანჟელა სააკაძე.*
*რედაქტორი: დონი ფანჩულიძე*

= მ ო გ ო ნ ე ბ ა =

# ფრიდონ გაბრიელის-ძე კაციტაძის მარადიულ ხსოვნას

(1/VI-24 წ. - 25/01-2004 წ.)



ფრიდონ კაციტაძე

პოლიციის ვიცე პოლკოვნიკი ფრიდონ გაბრიელის-ძე კაციტაძე დაიბადა 1924 წლის 1 ივნისს ამბროლაურის რაიონი სოფელ თლუღში. საშუალო სკოლა დაამთავრა 1941 წელს, ხოლო ახალგაზრდა იყო, როდესაც ჩაერთო საბრძოლო ოპერაციებში დიდ სამამულო ომში. გამოჩენილი ვაჟკაცობისათვის მიღებული ჰქონდა 10 მთავრობის ჯილდო, მედლები.

1952 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტი. შემდეგ ორი წელი მუშაობდა თბილისის ისნის (26 კომისრის სახ. პარტკომის ინსტრუქტორად) ხოლო ერთი წელი ერთ- ერთ სამხედრო სკოლის სოცეკონომიკური დისციპლინის კაბინეტის გამგედ. ამის შემდეგ თითქმის 28 წელი იმუშავა შინაგან საქმეთა სამინისტროს კადრების განყოფილებაში, პოლიტ-განყოფილებაში და სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, სადაც შვიდი წლის განმავლობაში ეკავა ს.ს.რ.კ-ის სოცსაკუთრების დაცვის კვლევით ინსტიტუტის საქართველოს განყოფილების უფროსის თანამდებობა. ამ პერიოდში დაამთავრა სახ. უნივერსიტეტის ასპირანტურა, დაიცვა დისერტაცია და 1973 წლიდან იყო ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდი. 1987 წლიდან მუშაობდადოცენტის თანამდებობაზე. ხოლო დოცენტის წოდება მიანიჭეს 1994 წელს. ჰქონდა პედაგოგიური

მუშაობის 26 წლის სტაჟი, მათ შორის ტექნიკურ უნივერსიტეტში 13 წელი. გამოქვეყნებული ჰქონდა 25 სამეცნიერო შრომა.

ავტორისაგან: - პოლიციის (მილიციის) ვიცე პოლკოვნიკი ფრიდონ გაბრიელის - ძე კაციტაძე მუშაობდა დიდუბე - ჩუღურეთის (პირველი მაისის) რაიონის შს რაიგანყოფილების უფროსის მოადგილე პოლიტაღმზრდელობით დარგში. იყო უმწიკვლო, ზრდილობით აღსავსე ადამიანი. ახალბედა თანამშრომლების მიმართ მაგალითის მიმცემი, მისი ინიციატივით და ხელმძღვანელობით ვაწყობდით ექსკურსიებს ქალაქისა და რაიონის ტერიტორიაზე ღირშესანიშნავ ადგილებში. ცდილობდა ახალგაზრდებში შეეტანა კულტურა და განათლება. მისი მოღვაწეობა ჩვენს ხელქვეითებთან (1975-77 წ.წ.) ხანმოკლე აღმოჩნდა, შ.ს. სამინისტროს ხელმძღვანელობის მიერ გადაყვანილ იქნა ზემდგომ ინსტანციებში სამეცნიერო ხაზით.

პოლიციის ვიცე პოლკოვნიკი ფრიდონ გაბრიელის-ძე კაციტაძე გარდაიცვალა 2004 წლის 25 იანვარს, - მეუღლის დაბადების დღეს 80 წლის ასაკში, ნათელში იყოს მარადისობაში გადასული უმწიკვლო ადამიანის ფრიდონ კაციტაძის სული.

*დონი ფანჩულიძე*

*2005 წლის 1-ლი ივნისი.*

# ზაურ ნიკოლოზის-ძე ნამგალაძე
## (30/VII-1937 წ. - 17/02-2003 წ.)



ზაურ ნამგალაძე

ზაურ ნიკოლოზის ძე ნამგალაძე დაიბადა ხარაგაულის რაიონი სოფელ თეთრიწყაროში 1937 წლის 30 ივლისს. ოჯახი მალევე გადავიდა ქ. სოხუმში, სადაც დაამთავრა საშუალო სკოლა 1958 წელს.1959 წელს სწავლა განაგრძო ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე.

მუშაობა დაიწყო შს ორგანოებში ჯერ 1959 წელს გლდანი-ნაძალადევის (იმდროინდელ ლენინის სახ. რაიონში) რიგით მილიციელად. იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის (პირველი მაისის) შს რაი-განყოფილებაში მორიგე ინსპექტორის თანამდებობაზე, შემდეგ უბნის ინსპექტორის თანამდებობაზე.

ზაურ ნიკილოზის-ძე ნამგალაძე შს ორგანოებში ხანგრძლივი და ოპერატიული მუშაობისათვის დაჯილდოებული იყო მრავალი მედლებით და სიგელებით.

1963 წელს წახალისებული იქნა დამნაშავე პირებთან შეიარაღებული შეტაკების დროს, გამოჩენილი ოპერატიულობისა-თვის.

1975 წელს საცხოვრებელი ბინის ქურდობის ფაქტზე დააკავა ორგანიზებული ჯგუფი, წახალისებული იქნა მთავრობის ჯილდოთი.

1976 წელს წახალისდა პროფესიონალური ორგანიზებულობისა-თვის და ოპერატიული მოქმედებისათვის საშიშ დამნაშავე პირებთან გამოჩენილი საზრიანობისათვის.



ზაურ ნამგალაძის ქალიშვილი მაია,
დონი ფანჩულიძესთან სტუმრობის დროს

სამსახურეობრივი მოვალეობის სამაგალითოდ შესრულებისათვის და დამსახურებული საქმიანობისათვის 1976 წელს დაჯილდოებული იქნა მთავრობის ჯილდო - „წითელი ვარსკვლავის“ ორდენითა და „შრომის ვეტერანის“ მედლით. აღნიშნული მედლით იმ დროისათვის მილიციისა და პოლიციის სისტემაში ერთეულები იმსახურებდნენ. ზაურ ნამგალაძემ უბნის ინსპექტორის მუშაობის პერიოდში ზრუნავდა მოსახლეობის სიმშვიდეზე, მას ახასიათებდნენ როგორც წესიერ, ინტელიგენტ, პატიოსან და თავის საქმის სპეციალისტს. 1988 წელს დაჯილდოებული იქნა „საპატიო სიგელით“.

1989 წლის 25 აგვისტოს ჯერ კიდევ ახალგაზრდა, რომელსაც შეეძლო სამოც წლამდე გაეგრძელებინა მუშაობა, მაშინდელმა „ბიუროკრატიულმა წყობილებამ“, - სანიმუშო ოპერატიული მუშაკი, ახალბედა მილიციისა და პოლიციის თანამშრომლების დამრიგებელი და მაგალითის მიმცემი, მაიორის წოდებით, კვალიფიცირებული კადრი ზაურ ნამგალაძე 1989 წლის 25 აგვისტოს თადარიგში, პენსიაზე გაუშვეს... (დ.ფ.)

2003 წლის 17 თებერვალს გარდაიცვალა გულის ავადმყოფობით, რომელსაც რთული ოპერაციის შედეგად, საოპერაციო ბლოკიდან ცოცხალი ვეღარ გამოიყვანეს. ზაურ ნიკოლოზის-ძე ნამგალაძემ ახალბედა პოლიციის თანამშრომლებს დაგვიტოვა“ უმწიკვლოდ განვლილი გზა“, თუ როგორი უნდა ყოფილიყო „საქართველოს მილიციის - პოლიციის“ თანამშრომელი. მას დარჩა მეუღლე - მაყვალა ფარსადანის ასული ახალკაცი, ლეგენდარული ფეხბურთელისა და დამსახურებული მწვრთნელის, - ნოდარ ახალკაცის და. ორი შვილი მაია და დავით ნამგალაძეები.

ნათელში იყვეს უფროსო მასწავლებელო ბატონ ზაურ!. - მარადისობაში გადასული თქვენი სული, სანთელ-საკმეველი არ მოგკლებოდეს...

*„ ინტერნეტ სივრცე“, - მაია ნამგალაძე.*
*17.02.22. წ.*

## დღეს ჩემი მამიკოს გარდაცვალების დღეა, ძალიან მიყვარხარ და მენატრები...

ქალბატონო, - მაია!, როდესაც ძალოვან სისტემაში ე.წ. „კომკავშირულ საგზურით“ სამსახური დავიწყე 70-იან წლებში დიდუბის (პირველი მაისი) სახელობის მილიციის რაიგანყოფილებაში, ბატონ ზაურის თანამდებობა უბნის უფროსი ინსპექტორი იყო, ქალაქის გარნიზონში კი არა და საქართველოში მხოლოდ მას ჰქონდა მინიჭებული მთავრობის ჯილდო - „წითელი ვარსკვლავი“, 20 წლის პროვინციელმა ბიჭმა ბევრი რამ შევიძინე მამათქვენიდან, დამთავრებული ადამიანობამდე და კაცობამდე, მეტად განათლებული, პატიოსნების ეტალონი და რაც მთავარი იყო, თავისთავისადმი მომთხოვნი, დაკისრებული მოვალეობის შესრულებისათვის მისი და მეწყვილე, ასევე უბნის უფროსი ინსპექტორ ივანე ვარდიძის ფოტო და მოკლე ავტობიოგრაფია, ფერადი გაფორმებით საქართველოს ყველა რაიონისა და ქალაქის მილიციის დანაყოფებში, თვალსაჩინო ადგილებში იყო გამოკრული. მეამაყებოდა, რომ ასეთ ძალოვანი სისტემის კორიფეების გვერდში მომიხდა ის რთული მისიის შესრულება, რაც დასახული იყო ზემდგომი, სამთავრობო სტრუქტურების მიერ. მან და ჩემმა რამოდენიმე კოლეგებმა, ჩემი ბედნიერების დღე გულთან მიიტანა, 250 კილომეტრის დაშორებით მობრძანდნენ ჩემს ქორწილში მილიციის უფროსის მოადგილის, - დავით ლოლაძესთან ერთად პირადად იქ მომილოცეს... რა ბედნიერები ვიყავით იმ დროს?! ყველას რომ გვილხინდა... ბევრი და მრავალი საუბარი შემიძლია მის მოსაგონებლად, რომელიც აღწერილი მექნება ჩემს მიერ გამოსაშვებ ერთ-ერთ წიგნში. სანთელ-საკმეველი და არდავიწყება ნუ მოგკლებოდეთ ჩემო უფროსო მეგობარო და მასწავლებელო („ნასტავნიკო“) ბატონო, - ზაურ!

დონი ფანჩულიძე

# <<მეორე სამშობლო საქართველო>>
# ვიქტორია არკადის ასული კირვალიძე
## (5/IV-1935 წ. - 24/VII-2011 წ.)



ვიქტორია კირვალიძე

პოლიციის მაიორი ვიქტორია არკადის - ასული კირვალიძე დაიბადა 1935 წლის 5 აპრილს ქ. ვლადივოსტოკში. 1961 წელს დაამთავრა ვლადივოსტოკის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, რის შემდეგ მუშაობა დაიწყო ქალაქ ვლადივოსტოკის შს სამმართველოში, არასრულწლოვანთა საქმეების ინპექტორის თანამდებებობაზე.

1973 წლიდან გადმოდის საქართელოში და მუშაობას იწყებს თბილისის შსს მთვარ სამმართველოში ბავშვთა და არასრულწლოვანთა საქმეების ზედამხედველის თანამდებობაზე. 1983 წლიდან თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის (პირველი მაისი) რაიონის შს რაიგანყოფილების არასრულწლოვანთა საქმეების უბნის ინსპექტორის თანამდებობაზეა.

1991 წლიდან პოლიციის მაიორი ვიქტორია კირვალიძე თადარიგშია. მიღებული ჰქონდა მედლები „უმწიკვლო სამსახურისათვის“, „პოლიციის ფრიადოსანი“, მრავალი მედლები და სიგელები.

2011 წლის 24 ივლისს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა.


ნანა მჭედლიძე

# დასაფასებელი რეჟისორი „მოკრძალებულ სასაფლაოზე“ ნანა ბიძინას ასული მჭედლიძე

(20.03.1926-29.03.2016 წწ.)

ნანა ბიძინას ასული მჭედლიძე 1926 წლის 20 მარტს დაიბადა ხონის რაიონში. ქართველი კინორეჟისორი, სცენარისტი და მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი 1983 წელი. ღირსების ორდენის კავალერი.

დედა, - ბარბარე ფარცხალაძე, პეტერბურგის ბესტეჟევის უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებული, რუსულ ენას ასწავლიდა სკოლაში, მამა, - ავტოსაგზაო ინჟინერი, რომლის დაპროექტებული და აშენებულია არაერთი მნიშვნელოვანი ობიექტი საქართელოში. ნანა მჭდლიძის პაპა, მამის მხრიდან არის ახალმოწამე მღვდელი სიმონ მჭედლიძე, წმინდანად შერაცხული საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ. იმის გამო, რომ 1937 წელს პოლიტიკური რეპრესიების შედეგად დედა გადაასახლეს ციმბირში, ნანა და მისი უმცროსი ძმა, ბიძინა, მამამ საცხოვრებლად თბილისში გადმოიყვანა.

1956 წელს დაამთავრა თბილისის თეატრალური ინსტიტუტი, სამსახიობო, ხოლო 1960 წელს სარეჟისორო ფაკულტეტი.

ნანა მჭდლიძის მოთხრობები წლების განმავლობაში იბეჭდებოდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. იგი არის მის მიერ გადაღებული რამდენიმე ფილმის სცენარის ავტორიც. 1971 წელს გამომცემლობა „მერანმა“ გამოსცა კრებული, - „მხიარული მოთრობები“. 2016 წელს მისი მოთხრობების კიდევ ორი წიგნი „იმერული ესკიზები“ და „შემოქმედებითი დავიდარაბა“.

ფილმები: „ჩქარი მატარებელი“ – 1960 წ.







დასაფასებელი ადამიანის
მოკრძალებული სასაფლაო.

*დაბა ხონი*

„აღმაფრენა“ – 1964 წ.

„გზაში“ - 1964წ.

„ვიღაცას ავტობუსზე აგვიანდება - 1967

„დიდედები და შვილიშვილები“ - 1969 წ.

„გელა“ - 1971 წ.

„პირველი მერცხალი“ - 1975 წ.

„გასეირნება თბილისში“ - 1976 წ.

„იმერული ესკიზები“ - 1979 წ.

„უკვდავების თეთრი ვარდი“ - 1984 წ.

„პლაჟის ავაზაკები“ - 1987 წ.

„დანაშაული მოხდა“.

**ჯილდოები, პრემიები, პრიზები:**

- 1983 წ. საქართველოს სახალხო არტისტი
- თეირანის IV - მსოფლიო კინოფესტივალი 2 „ოქროს ვერძის“- ს მფლობელი
- ფრუნზის საკავშირო კინოფესტივალის მთავარი პრიზი.
- სოხუმის კინოფესტივალი გრან პრი.
- ბათუმის კინოფესტივალი გრან-პრი
- მინსკის საკავშირო კინოფესტივალი გარნ-პრი
- ობერჰაუზის მსოფლიო კინოფესტივალი გრან-პრი
- ფლორენციის საერთაშორისო კინოფესტივალი გრან-პრი
- ღირსების ორდენი.

ავტორისაგან: (დ. ფ.) ქალბატონო, - ნანა!

თქვენი საფლავის წესრიგში მოსაყვანად ჯერ არ გვცალია... ქართველები ტოლერანტი ხალხი ვართ, ჯერ სხვის საფლავებს, ძეგლებსა და ქუჩებს ვაწესრიგებთ. იძინე მშვიდად, მსუბუქი ყოფილიყოს მშობლიური მიწა თქვენს გულზე დაყრილ საგვარეულო სასაფლაოზე ხონის მუნიციპალიტეტში.

*დონი ფანჩულიძე*

# გმირები

## შინმოუსვლელი სტუდენტები სამედიცინო ინსტიტუტიდან

„მრცხვენია თბილისის ქუჩებში ხეტიალი“, - თქვა გიორგი გლუნჩიძემ და აფხაზეთის ომში წავიდა. მის მსგავსად თბილისის ქუჩებში ხეტიალი ბევრ ახალგაზრდასაც რცხვენოდა. ზოგმა ახალშერთული ცოლი დატოვა, ზოგმაც - სასწავლებლის კედლები, ზოგი დედისერთა იყო და აცრემლებულ დედას საყვედურობდა -მე არ წავიდე, ის არ წავიდეს, მაშინ ვინღამ დაიცვას ქართული მიწაო?! ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაცვა სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტებმაც საკუთარ მოვალეობად ჩათვალეს. სტუდენტობა და სწავლა ვერ აღმოჩნდა ის მიზეზი, რაც ახალგაზრდებს ომში წასვლაზე უარს ათქმევინებდა. რამდენიმე მათგანმა გადაწყვიტა, რომ იმ ცოდნითაც შეიძლებოდა, სამშობლოსა და ხალხს გამოსდგომოდნენ, რომელიც მათ სასწავლო კურსის დაუსრულებლად მიიღეს. დაემშვიდობნენ თანაკურსელებს, ლექტორებს და წავიდნენ. მათგან ხუთნი: **გიორგი მიროტაძე, ვასილ კილაძე, ილია მელაძე, ნიკოლოზ ღიბრაძე** და **რევაზ მუმლაძე** უკან აღარ დაბრუნებულან. დღეს სამედიცინო უნივერსიტეტის ეზოში გმირთა მემორიალი დგას. ქვა, რომელსაც დიდი მისია აკისრია - ომში დაღუპული სტუდენტების უკვდავყოფა. მათი სახელის შთამომავლობისთვის გადაცემაზე, 22 წელია, სასწავლებლის ხელმძღვანელობა და მათი თანამებრძოლები მუდმივად ზრუნავენ. წელს მათ ძალისხმევას ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურიც შეუერთდა. სწორედ მათი ორგანიზებით გაიმართა ომში დაღუპული ხუთი სტუდენტის ხსოვნის საღამო, რომლის მოწყობა მათმა მეგობარმა და თანამებრძოლმა, ექიმმა და მწერალმა ზურაბ ლეშკაშელმა ითავა.



გიორგი მიროტაძე | ვასილ კილაძე | ილია მელაძე | ნიკოლოზ (ნიკუშა) ღიბრაძე | რევაზ მუმლაძე



მარც: ზურაბ ლეშკაშელი, დონი ფანჩულიძე, გურამ ალავიძე, ავთანდილ ღირბაძე, გოგი თამლიანი, ლევან მიროტაძე, – აფხაზეთში დაღუპულ სტუდენტების: გიორგი მიროტაძის ნიკოლოზ ღიბრაძის ვასილ კილაძის რევაზ მუმლაძის ილია მელაძის მემორიალთან სამედიცინო უნივერსიტეტის ეზოში 27.09.15წ. „სოხუმის დაცემის დღე“.

# <<გმირები სამედიცინო ინსტიტუტიდან>>


გიორგი მიროტაძე
16/11-1970 (22) 29/12-1992
საბურთალოს საზ.
მოღვაწეთა პანთეონი


ვასილ კილაძე
25/10-1969 (24) 2/08-1993
უგზო-უკვლოდ დაკარგული


რევაზ მუმლაძე
26/11-1972 (21) 11/06-1993
უგზო-უკვლოდ - ტამიში


ილია მელაძე
26/06-1970 (22) 11/10-1992
მცხეთა, სოფ. ჩარდახი


ნიკოლოზ (ნიკუშა) ღიბრაძე
24/06-1974 (19) 1/08/1993
საბურთალოს საზ.
მოღვაწეთა პანთეონი

„მრცხვენია თბილისის ქუჩებში ხეტიალი“ - თქვა გიორგი გლუნჩიძემ და აფხაზეთის ომში წავიდა. მის მსგავსად თბილისის ქუჩებში ხეტიალი ბევრი ახალგაზრდასაც რცხვენოდა. ზოგმა ახალშერთული ცოლი დატოვა, ზოგმაც – სასწავლებლების კედლები, ზოგი დედისერთა იყო და აცრემლებული დედას საყვედურობდა – მე არ წავიდე, ის არ წავიდეს, მაშინ ვინღამ დაიცვას ქართული მიწაო!? ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაცვა სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტებმაც საკუთარ მოვალეობად ჩათვალეს. სტუდენტობა და სწავლა ვერ აღმოჩნდა ის მიზეზი, რაც ახალგაზრდებს ომში წასვლაზე უარს ათქმევინებდა. რამდენიმე მათგანმა გადაწყვიტა, რომ იმ ცოდნითაც შეიძლებოდა, სამშობლოსა და ხალხს გამოსდგომოდნენ, რომელიც მათ სასწავლო კურსის დაუსრულებლად მიიღეს. დაემშვიდობნენ თანაკურსელებს, ლექტორებს და წავიდნენ. მათგან ხუთნი: გიორგი მიროტაძე, ვასილ კილაძე, ილია მელაძე, ნიკოლოზ ღიბრაძე და რევაზ მუმლაძე უკან აღარ დაბრუნებულან. დღეს სამედიცინო უნივერსიტეტის ეზოში გმირთა მემორიალი დგას. ქვა, რომელსაც დიდი მისია აკისრია – ომში დაღუპული სტუდენტების უკვდავყოფა, მათი სახელის შთამომავლობისათვის გადაცემა, 22 წელია, სასწავლებლის ხელმძღვანელობა და მათი თანამებრძოლები მუდმივად ზრუნავდნენ. წელს მათ ძალისხმევით ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურიც შეუერთდა. სწორედ მათი ორგანიზებით გაიმართა ომში დაღუპული ხუთი სტუდენტის ხსოვნის საღამო, რომლის მოწყობა მათმა მეგობრებმა და თანამებრძოლებმა, ექიმმა და მწერალმა ზურაბ ლეშკაშელმა ითავა.

მოამზადა: დონი ფანჩულიძემ

## უშიშარი

## <<გვერდში თანამდგომი>>

*მოგონება*

# თენგიზ სუბელიანის მარადიული ხსოვნა

(20/04/1952 წ. - 10/11/2013 წ.)



თენგიზ სუბელიანი

პოლიციის პოლკოვნიკი თენგიზ სუბელიანი იმ ძალოვან სისტემას ეკუთვნოდა, რომელმაც მთელი სიცოცხლე ახალგაზრდობიდანვე დაუთმო. 10 წლის ასაკში, მე-4 კლასის მოსწავლე იყო, როდესაც დაობლდა, ხოლო მამა და ძმა ხანმოკლე დროის გასვლის შემდეგ მთის მდინარის გადასვლისას ტრაგიკულად დაიღუპა. კოდორში დაბადებულმა და სოხუმში აღზრდილმა მილიციის უმაღლესი სასწავლებლის წითელ დიპლომზე დამთავრებისთანავე ბრძოლა გამოუცხადა დამნაშავე პირებს. საინტერესო და შთამბეჭდავი იყო მასთან მუშაობა და მეგობრობა...

სიამაყით აღსანიშნავია, რომ საქართველოს აღუზარდა სახელოვანი შვილები: კობა, გიორგი და მაკა....

თენგიზ სუბელიანმა რთული და ტრაგიკული ცხოვრების გზა განვლო დაწყებული ბავშვობიდან, დამთავრებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ჯერ 1991 წელს „სამაჩაბლოში“, შემდეგ 1992-93 წლებში „აფხაზეთის“ ტერიტორიაზე. საბრძოლო ოპერაციებში დაჭრილმა, რომელსაც გონება ეზღუდებოდა, სამედიცინო სამსახურის მიერ ცხელი წერტილიდან გამოყვანისას,

# ჩვენ ვიცავდით „სამაჩაბლოს“ მოსახლეობას!



მარცხნიდან დგანან: კახა ცალქალამანიძე, ბიჭიკო აღდგომელაშვილი, აკაკი ინაძე, კოტე გიგიტაშვილი,
„უცნობი-შიმშილა“, ავთო ჩაჩუა. მეორე რიგში: ქენია და გაიოზ დვალიშვილები,
თეიმურაზ „კუკარაჩა“ ჩიკვილაძე, ზაზა „ზაევიკა“ ციმაკურიძე.
სხედან მარცხნიდან: დონი ფანჩულიძე, თენგიზ სუბელიანი. ცხინვალი, სოფ. ერგნეთი. 1991 წლის ივლისი.




დონი ფანჩულიძე თანამებრძოლ
თენგიზ სუბელიანის საფლავთან

*„მუხათგვერდის ძმათა სასაფლაო“*

სინანულით გვიხსნიდა, რომ სოხუმში დარჩენილი ნათესავები და ახლობლები ბოლომდე ვერ დაიცვა...

თენგიზ სუბელიანს საბრძოლო ოპერაციებში წარმატებები დაუფასდა, დაჯილდოვებული იყო მედლით: - „მხედრული მამაცობისთვის“. მასთან გამოსათხოვარ დღეს მეგობრები და თანამებრძოლები თვალცრემლიანი და ოდნავ ღიმილით ვიხსენებდით თავს გადამხდარ შემხვედრ კურიოზებს, თქვენ ხომ - „იუმორის მეფე“ იყავით.

ჩემო მეგობარო თენგო, შეიარაღებული ძალების და მილიციის დღეს 7-10 ნოემბერს ყოველთვის მოწესრიგებული ხვდებოდით, დღესაც თქვენი მარადისობაში გადასული სულიც ამ დღეს დაემთხვა, მშვიდად იძინე ძმაო თენგო, მსუბუქი ყოფილიყვეს „ძმათა სასაფლაოზე“ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის განსვენებული ვაჟკაცების გვერდით, თქვენს საფლავზე დაყრილი საქართველოს მადლიანი მიწა.

ომისა და შეიარაღებული ძალების
ვეტერანების სახელით
დ ო ნ ი ფ ა ნ ჩ უ ლ ი ძ ე

# ბერძული კაკო პოლიკარპეს-ძე

**მუდამ გვემახსოვრებით**

**17/07-1928 (54) 11/01/1982 წწ.**



აკაკი ბერძული

წარმოუდგენელია, რომ ჩვენს გვერდით აღარ არის პოლიციის მაიორი აკაკი პოლიკარპეს-ძე ბერძული, სისხლის სამართლის სამძებროს ქვეგანყოფილების უფროსი ინსპექტორი, თანამებრძოლი, ჭირსა და ლხინში თანამდგომი, თავმდაბალი, აღმზრდელი და ჩვენი თაობის მასწავლებელი, როგორც მას შინაურულად უწოდებდნენ „პოლიკარპოვიჩს“, ვაგლახ, რომ ასე ცოტა დრო გარგუნათ ღმერთმა ხალხის სამსახურისათვის, ყველა ჩვენგანის აღმზრდელი და დამრიგებელი იყავით, ბატონო აკაკი, თავისებურად, უხმაუროდ, შეფარვით გვასწავლიდით. ასე აღიზარდნენ თქვენ ფრთებს ქვეშ თბილისის დიდუბის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების თანამშრომლები.

რამდენი რამის გახსენება შეიძლება, ყველაფერს ეს პატარა მოგონება აბა როგორ დაიტევს, მაგრამ ერთის უთქმელობა არ იქნება: აკაკი ბერძულმა სიცოცხლის ბოლომდე წმინდად ატარა ქართველი კაცისა და პოლიციელის სინდისი და პატიოსნება.

არ მოჰკლებოდეს შენს მიერ გავლილი გზის მადლი შენს სანუკვარ ოჯახს, შენს მეგობრებს, შენს მცნობთ, შენს დამფასებლებს.

მეგობრების სახელით,პოლიციის ვიცე - პოლკოვნიკი ნორა დოლიძე პოლიციის მაიორი დონი ფანჩულიძე

# მუდამ გვემახსოვრებით



წარმოუდგენელია, რომ ჩვენს გვერდით აღარ არის პოლიციის მაიორი **აკაკი პოლიკარპეს ძე ბერძული**, სისხლის სამართლის სამძებროს ქვეგანყოფილების უფროსი ინსპექტორი, თანამებრძოლი, ჭირსა და ლხინში თანამდგომი, თავმდაბალი, აღმზრდელი და ჩვენი თაობის მასწავლებელი, როგორც მას შინაურულად უწოდებდნენ „პოლიკარპოვიჩს", ვაგლახ, რომ ასე ცოტა დრო გარგუნათ ღმერთმა ხალხის სამსახურისათვის. ყველა ჩვენგანის აღმზრდელი და დამრიგებელი იყავით, ბატონო აკაკი, თავისებურად, უხმაუროდ, მეფარვით გვასწავლიდით. ასე აღიზარდნენ თქვენ ფრთებს ქვეშ თბილისის დიდუბის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების თანამშრომლები.

რამდენი რამის გახსენება შეიძლება, ყველაფერს ეს პატარა მოგონება აბა როგორ დაიტევს, მაგრამ ერთის უთქმელობა არ იქნება: აკაკი ბერძულმა სიცოცხლის ბოლომდე წმინდად ატარა ქართველი კაცისა და პოლიციელის სინდისი და პატიოსნება.

არ მოაკლებოდეს შენს მიერ გავლილი გზის მადლი შენს სანუკვარ ოჯახს, შენს მეგობრებს, შენს მცნობთ, შენს დამფასებლებს.

მეგობრების სახელით,
პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი **ნორა დოლიძე**,
პოლიციის მაიორი **დონი ფანჩულიძე**.

აპრილი 2001 წ.


დავით წიქარიძე

## დავით ვასილის-ძე წიქარიძე

(15/XII-1949 წ. - 05/I-1997 წ.)

დავით ვასილის-ძე წიქარიძე დაბ. 15.12.1949 წ. ქ. თბილისში, მოსამსახურის ოჯახში.

დედა - ხაზიური თინათინ სპირიდონის ასული; მამა - წიქარიძე ვასილ ალექსანდრეს ძე;

სოციალური მდგომარეობა - დაოჯახებული;

მეუღლე - გულნარა ივანეს ასული პაპიაშვილი; შვილი - ვასილ დავითის-ძე წიქარიძე; განათლება - უმაღლესი.

სამსახურეობრივი მონაცემები:

1972–1975 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისროს შრომა - გასწორების სამმართველო. 1975 წ. დამტკიცებულია საქ. სსრ ქ. თბილისის შალვა ელიავას სახელობის რკინიგზის ტექნიკუმის კომკავშირის კომიტეტის მდივნად. იმავე წელს არჩეული იქნა ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის კომკავშირის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების უფროსად.

1976 წელს გადაყვანილია საქართველოს კომპარტიის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების უფროსად.

1977 წელს დაინიშნა საქ. სსრ ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის კომიტეტის კომკავშირის კომიტეტის პირველ მდივნად.

1982 პირველი მაისის რაიონის მილიციის სამმართველოს უფროსის მოადგილედ პოლიტიკის დარგში. საქ. შინაგან საქმეთა სამინისტროს უფროსი ინსპექტორი, მიენიჭა წოდება: ვიცე-პოლკოვნიკი ვაკე-საბურთალოს რაიონის შსს სამმართველოს აპარატის უფროსი.

1989.06.11. დიდუბის მიკრო საბჭოს თავმჯდომარე;

1991 წელს მოხალისედ იმყოფებოდა ქ. ცხინვალში საბრძოლო მოქმედებების დროს.საქ. სსრ შინაგან საქმეთა სამინისტორ სისტემაში მუშაობის პერიოდში წახალისებაზე წარდგენილია სამჯერ, მათ შორის დაჯილდოებულია სამკერდე ნიშნით შსს ორგანოებში სანიმუშო სამსახურისთვის.

1991.10.15. განთავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

გარდაიცვალა 1997 წ. ვიცე პოლკოვნიკის რანგში.


გურამ ქარქაშაძე

## გურამ ქარქაშაძე
## 6/07-1946 (58) 25/11-2004 წ.

პოლიციის გენერალ - მაიორის, საქართველოს შ/ს სამინისტროს მინისტრის მოადგილე (1997-2000) საქ. შ.ს.ს. აკადემიის რექტრორი, მეცნიერებათა კანდიდატი, თერჯოლის რაიონის გამგებელი, 2004 წლის 25 ნოემბრის, დილით თბილისში, საკუთარ სახლში, ტაბელური იარაღიდან გასროლით თავი მოიკლა...?! დაკრძალულია თბილისში, ვერის სასაფლაოზე.

გურამ ვალერიანის ძე ქარქაშაძემ მეტად საინტერესო გზა განვლო, დაიბადა 1946 წელს თერჯოლის რ-ნ სოფ. ღვანკითში. ძალოვან სისტემაში მუშაობის პერიოდში დაჯილდოებულია 2 ორდენით და 12 მედლით.

მეუღლე - მარიამ ქარქაშაძე-პედაგოგი.

შვილები - ნინო და დავით ქარქაშაძეები.

ეს ლექსი ღირსეულ ქართველს ეძღვნება, ცხოვრებიდან ნაადრევად წასულს, კაცობაშიც გენერალს ბატონ; გურამ ქარქაშაძეს დღეს მისი დაბადების დღეა!

### ამას ქართველი თუ გეტყვის

მხოლოდ ქართველი თუ გეტყვის შენ გენაცვალეო
ჩემი სიცოცხლეს შემოგავლებ, შენ არ მომიკვდეო,
შენი ტკივილი დამითმე, შენი კვნესა მეო,
მთლად, საფენად დაგედები, შენი ჭირიმეო.

გზად მიმავალი დაღლილხარ, ვატყობ აჭერს მზეო,
ჭიშკარს ტაბლას მოგვაგებებს, ხილი გასინჯეო,

სახლის კუთხე შენი იყოს, გთხოვ დაისვენეო,
ამ ცოტაზე ნუღრ განმსჯი, მე ძმად მიმიღეო.

ჭურის ღვინო გამისინჯე, შენთვის მოვხადეო,
ფუძე-კარი დამილოცე, ფესვის სიმრავლეო,
ხაჭაპური მიაყოლე, კეცზე დავაცხვეო,
ცოტა ყველი გაპარვია, არ გამიბრაზდეო.

„კელამიდების“ მჭადია, უკვე ავრეკეო,
პიტნიანი ყველი ნახე, დღეს გადავზილეო,
ეს ახალი ვარიკაა, კეცზე შევბრაწეო,
გოჭ-ციკან მოგვეწევა, თონეს ჩავკიდეო

სტუმარს ვერსად ვერ გაგიშვებ, თავს ნუ მომჭრი მეო,
ძმას, მეზობელს გადავძახებ, სუფრა გავაწყვეო,
ჩავსხდეთ, პაწა ვიჭუკჭუკოთ, აღრ დამიფრთხეო,
საქართველოს დავულოცოთ ხვალინდელი დღეო.

დღეს რატომღაც გამქრალია ძმობის სიწმინდეო,
მოდური სიტყვა გახშირდა: „გთხოვ დამიკიდეო“,
სინდის - ნამუსი, მორალი რად გადააგდეო,
უფროს - უმცროსი, ზრდილობა რად დაივიწყეო.

მჯერა ისევ დაბრუნდება ბედნიერი  დღეო,
სიყვარული აენთება, ჩაუმქრალი მზეო
ძმობისა და სიყვარულის შეიკვრება წრეო,
ქართველი ისევ იქნება მამაცი და მხნეო.

უფალსა ვთხოვ, ერთი ნატვრა მეც ამისრულეო,
ყოველ დილას ვილოცები, ხატთან მდგომარეო,
რად გაგრძელდა ჩვენი ტანჯვა, ღმერთო გვიშველეო,
ჩემო ერო გამოფხიზლდი, დროა აყვავდეო.

მხოლოდ ქართველი თუ გეტყვის: შენ გენაცვალეო,
ჩემ სიცოცხლეს შემოგავლებ, შენ არ მომიკვდეო,

შენი ტკივილი დამითმე, შენი კვნესა მეო,
მთლად, საფენად დაგედები, შენი ჭირიმეო.

*„დროის კარნახის თანამედროვე პოეტი, თადარიგის პოლიციის პოლკოვნიკი, - **თ ე ნ გ ო   ფ ა ნ ც უ ლ ა ი ა** 6/VII_2020 წ*




ქსნის ხეობა, ახალგორის მისადგომები (თ.ფ. სასაზღვრო ზოლზე მოსული მუზა)...

პ.ს. რატომღაც მომინდა ეს ლექსი უფროს მეგობარს, ამ ცხოვრებიდან ნაადრევად და ტრაგიკულად წასულ ძლიერ პროფესიონალს, სამაგალითო ხელმძღვანელსა და კაი ქართველს, - გურამ ქარქაშაძეს მივუძღვენი.

(დ.ფ.) 2022 წლის 24 სექტემბერს წარდგენილი იქნა საქ. შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, გენერალ-მაიორი გურამ ქარქაშაძე (გარდაცვალების შემდეგ) ნომინაციაზე, რომელიც დაჯილდოვებული იქნება 2023 წელს „პატიოსნებისა და კანონმორჩილების" საპატიო-აღმატებულობის სიგელით...

*ინტერნეტ სივრცის კომენტარები:*

- არჩილ ფოლადაშვილი: ბატონი გურამისნაირი კაცები იშვიათად იბადებიან.
- აკაკი შავერდაშვილი: ბედნიერი კაცი ვარ, რომ პირადად ვიცნობდი ამ პატიოსან და ერუდირებულ ქართველს, თბილ და სამართლიან პიროვნებას, ნათელი და სანთელი მის ხსოვნას.
- დავით კაპანაძე: ბატონი გურამი იყო მეგობრობის ეტალონი, გაანათლოს უფალმა.
- გურამ ჯანიაშვილი: ადამიანური სიკეთითა და ცხოვრების წესით შემკული ადამიანი, ნათელი მის ხსოვნას.

- თენგიზ პატარიძე: ბატონი გურამი საუკეთესო პიროვნება და მაღალი კლასის პროფესიონალი იყო. ნათელში ამყოფოს უფლმა.


თამარ დახუნდარიძე

# მასწავლებლების მასწავლებელი
# ლეგენდარული ქალბატონი
# **თამარ დახუნდარიძე**
# 1911 (75) 1986 წ.

ქალაქ ქუთაისში 60-70-იან წლებში ლეგენდარული ქალი დადიოდა, ეს თამარ დახუნდარიძე იყო.

კინორეჟისორ რევაზ ჩხეიძის მოგონებიდან: „37“-ში მამაჩემი ღამით წაიყვანეს ჩეკისტებმა. დავრჩით სტუდენტი დედაჩემი და სამი შვილი. გათენდა, დედამ სკოლაში წადით, არავის ეგონოს დავგლახავდითო, ახლა გამკიცხავენ, კრებას მოაწყობენ, როგორც ხალხის მტრის შვილს, ვზივარ  გატრუნული, შეშინებული პატარა ბიჭი, შემოდის დირექტორის მდივანი, რეზო ჩხეიძე არის?! დირექტორი იბარებს!, წავყევი და შიში მიპყრობს, შევედი თუ არა კაბინეტში, ჩემი დირექტორი წამოდგა ადგილიდან, გამოიქცა, გულში ჩამიკრა და მეუბნება: რეზო! შენ როგორც სწავლობდი, ისე გააგრძელებ სწავლას, ნურაფრის გეშინია, შენ ვერავინ გაწყენინებს და დაგჩაგრავს, სანამ მე აქ ვარ... ოღონდ კარგად ისწავლე! ისე გავიმართე წელში და გამოვედი კაბინეტიდან, ეს ქალი თამარ დახუნდარიძე იყო, მესამე სკოლის დირექტორი.

სამი წლის წინ ვიყავი ქუთაისში, მის საფლავზე წარწერას რომ დავაკვირდი, მივხვდი რომ მაშინ, - „37“-ში ჩემი დირექტორი 26 წლის იყო.

(დ.ფ.) ბატონო რეზო! ღმერთმა გაგანათლოთ, თქვენს შემდეგ მე ვიყავი რამოდენიმეჯერ, ბოლოს ყვავილები რომ მივიტანე და სანთელი დავუნთე, ვიღაც ვიგინდარას საფლავის ბიუსტის ქვა მოუპარავს და დღემდე (06.02.22 წ.) საფლავი მიტოვებულია...

(დ.ფ.) 1971 წლის, იანვრის თვე, ქ. ქუთაისში ტექნიკუმში ვსწავლობ, უსინათლო მამის შვილი, ბინით მამიდის ქმრის, მანუელ ბარბაქაძის ოჯახში ვარ. იყო დრო მის ბინაში 3-4 სტუდენტი ვცხოვრობდით. ერთდროულად ტყიბული სოფელი მუხურიდან, სკოლის დამთავრების შემდეგ, - ბარბაქაძეების, ჯიხვაშვილებისა, ქურციკიძეების და გაბრიჩიძეების ოჯახიდან, თერჯოლის რაიონი, სოფელი ძევრიდან და ალისუბნიდან, ფანჩულიძეების, ბერძულებისა და ზარნაძეების ოჯახებიდან თუ ვინმე მოინდომებდა ჩაებარებინა ინსტიტუტში ან ტექნიკუმში მათ ბინაში უსასყიდლოდ ცხოვრობდა.

ზამთარი მოახლოებული იყო, თბილი ფეხსაცმლის ყიდვა დავაპირე, მანუელ ბიძიამ შემომთავაზა, რომელიც №3-ე საშუალოში სკოლაში ფიზიკა-მათემატიკის საგნებს ასწავლიდა, სკოლის ერთ-ერთი დამლაგებელი ხელზე ყიდდა მოსკოვიდან ჩამოტანილ ბატინკა - „ტრაქტორებს". რომ დავაპირე ბატინკების დაბრუნება უკან, რადგან იმ დროს 30 მანეთი ხელზე არ აღმომაჩნდა, თამარმა შეფობა გამიწია...

აკაკი წერეთლის ქუჩაზე რომ გამოვედი, თოვლს უკვე ტრანსპორტის სავალი გზა თეთრი საფარით დაეფარა...

ასე დამამახსოვრა ქალბატონმა თამარ დახუნდარიძემ, უსინათლო მამის შვილს თანადგომა.

## *კომენტარები ინტერნეტ სივრციდან*

- უცნობი ქუთაისი (ფეისბუქ - ინტერნეტი) რა სამწუხაროა, რომ ამ დიდებული ქალბატონის შესახებ ინტერნეტში არანაირი ინფორმაცია არ დევს. არც რაიმე ბიოგრაფიული ცნობები, არც ფოტოებია, ამიტომ გთხოვთ დაწერეთ თქვენი მოგონებები, თუ ვინმეს გაქვთ, გამომიგზავნეთ ფოტოები, რომ ამ დიდებული ქალბატონის ხსოვნა დიდხანს გაჰყვეს.

„მოსწავლე ჭურჭელი როდია, რომ აავსო?!
იგი ჩირაღდანია, რომელიც უნდა აანთო!!!“

*თამარ დახუნდარიძე*

საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი თამარ დახუნდარიძე ის ბედნიერი გამონაკლისია, ვისაც სიცოცხლეშივე ერგო ჯეროვანი დაფასება, პატივისცემა და სიყვარული. იგი ყოველთვის ულამაზეს მოგონებად დარჩება თავისი კოლეგებისა და აღსაზრდელებისათვის.

„უპირველეს ყოვლისა ქალბატონი თამარი დაბადებული იყო მასწავლებლად. იგი გეოგრაფიას მასწავლიდა IX-X კლასებში. ეს მარტო საგნის სწავლება არ იყო, იგი გვასწავლიდა მთელ ცხოვრებას, გვინათებდა გონებას, გაკვეთილზე სულგანაბული ვუსმენდით მის მომხიბლავ თხრობას. მახსოვს ჩვენი სკოლის სიამაყეს, დაწყებითი კლასის მასწავლებლებს ლიზა ნიკოლავას სმენა დაუქვეითდა. როგორ განიცდიდა ქალბატონი თამარი ამას. ერთ დღეს ლიზა მასწავლებელს სმენის აპარატი ჩამოუტანეს გერმანიიდან. იმ დღეს ზეიმი იყო სკოლაში. თამარი სიხარულისგან ტიროდა - ჩვენი ლიზა დაგვიბრუნდაო, ვხარობდით ყველა. ასაკმა თავისი მოიტანა, ლიზა მასწავლებელი პენსიაზე გავიდა. მისი გაცილების საღამოს მოწყობა თამარმა მე დამავალა. ღამეები არ მეძინა, ისე განვიცდიდი. საქმე ხუმრობა არ იყო, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის, საქვეყნოდ ცნობილი ლიზა ნიკოლავას გაცილების საღამოს მოწყობა, ეს დიდი ნდობა იყო და ამიტომაც განვიცდიდი, საღამო ჩინებული გამოვიდა. მე ველოდი „განაჩენს“, ჩემი ჯერიც დადგა, პატივცემულმა თამარმა გულში ჩამიკრა, მომეფერა. ორივე ვტიროდით სიხარულითა და სინანულით. ასეთი ბედნიერი დღეები ბევრი მახსოვს. ასე გვზრდიდა, გვაახლოვებდა და გვაყვარებდა ერთმანეთს.

ლედი გოგიშვილი
ინგლისური ენის მასწავლებელი,
სახალხო განათლების წარჩინებული

(დ.ფ.) წიგნის ავტორი: ასეთი კოლორიტი ქალბატონი, რომელიც ქუთათურების ინტელიგენციის სამჭედლოს ხელმძღვანელობდა, დღემდე მის საფლავზე ბიუსტის ქვა აღდგენას ელოდება...

- მარინა კაპანაძე (ფეისბუქიდან) სავიზიტო ბარათი, რომ მესამე სკოლელი ვართ ამ დიდებული  ქალბატონის დამსახურებაა. მან დაუმკვიდრა მესამე სკოლას თავისი საპატიო ადგილი. ბრწყინვალე ადამიანი და პედაგოგი. საოცარი უნარი ჰქონდა გაკვეთილის ჩატარების დროს, მთელ ჯგუფს ჩართავდა ამა თუ იმ თემაზე სასაუბროდ. მის გაკვეთილზე ყველანი ხუთოსნები ვიყავით, ნათელი და სანთელი მის ხსოვნას.
- სოფო არველაძე (ფეისბუქიდან) თამარ დახუნდარიძის დროს ქუხდა მესამე სკოლა თუ ქუხდა, როცა გარდაიცვალა მე-5 კლასში ვიყავი, მთელი ცხოვრება პედაგოგის მოღვაწეობას მიუძღვნა და სკოლაში დალია სული, თავის კაბინეტში... ყველაზე მაგარი დირექტორი იყო ქალბატონი თამარი.
- ლია ჯაფარიძე (ფეიბუქიდან)  სანამ ცოცხალი იყო ქალბატონი თამარი, ბატონი რეზო ჩხეიძე ხშირად სტუმრობდა ჩვენს სკოლას. მერე კი ქუთისში ყოველ ჩამოსვლისას მის საფლავზე მიაგებდა პატივს. ასეთი იყვნენ ნამდვილი პედაგოგები. ასევე თამარის გვერდით ასევე შესანიშნავი პედაგოგო, - ქეთევან ნადირაძე იყო.
- ლონდა ჯანელიძე (ფეისბუქიდან) მე მგონი ბოლო ჯგუფი ვიყავით, ვისაც გვასწავლიდა ქალბატონი თამარ დახუნდარიძე, ქალბატონი, - ქეთევან გიორგაძე, ბატონი, - მანუელ ბარბაქაძე, ჩემთვის აკადემიურობის უმაღლესი დონის მე-3 სკოლა.

# ვანდალიზმის მსხვერპლი

თამარ დახუნდარიძის საფლავის ქვა ბიუსტით
„საფიჩხიის“ საგვარეულო სასაფლაოზე



დამსახურებული პედაგოგის
დაუმსახურებელი პატივისცემა




ვანდალიზმის შემდეგ

## <<სახალხო პედაგოგი>>

*მოგონება*

## მანუელ ლავრენტის ძე ბარბაქაძე
## 1904 (73) 1974


მანუელ ბარბაქაძე

მანუელ ლავრენტის ძე ბარბაქაძე დაიბადა 1904 წელს ქ. ქუთაისში მამა - ლავრენტი ბარბაქაძე და დედა მატრონა ჯიხვაშვილი. წარმოშობით ტყიბულის რაიონი, სოფელი მუხურიდან იყვნენ. მანუელის ძმა შალვა ბარბაქაძე სამედიცინო სამსახურის პოლკოვნიკი, სამხედრო ექიმი იყო. ძმისშვილი გურამ ბარბაქაძე, პროფესორი, „პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის“ პრორექტორი იყო წლების განმავლობაში.

1970 წელს როდესაც ქუთაისის რადიოტექნიკუმში თბილისის საავიაციო სასწავლებლიდან გავაგრძელე სწავლა, მათ ბინაში 45-ე ბინადარი ვიყავი, რომელსაც არც ბინის და არც საკვების ღირებულება არ გადამიხდია 1973 წლამდე.


შალვა ბარბაქაძე
სამხედრო ექიმი - შ/ს პოლკოვნიკი

იყო დრო, როდესაც მათთან 3-4 ბავშვი ერთდროულად ვცხოვრობდით, - სოფელ მუხურიდან, - ბარბაქაძეები, ჯიხვაშვილები, გაბრიჩიძეები, თერჯოლა, სოფელ ძევრიდან ფანჩულიძეები, ბერძულები, ალისუბნიდან ზარნაძეები... ჩვეულებრივი ბელეტაჟზე აშენებული რამოდენიმე ოთახიანი, კერძო ბინა „მიკრო სტუდქალაქი“ და სასტუმრო იყო მისი ნათესავებისთვის.

ბატონი, - მანუელ ბარბაქაძე №3-ე საშუალო სკოლის ფიზიკა - მათემატიკის მასწავლებელი იყო, ხოლო მისი მეუღლე, ჩემი მამიდა ნადია ფანჩულიძე განათლების განყოფილების მთავარი ბუღალტერი.

ბატონი მანუელ ბარბაქაძე უაღრესად პატიოსანი, კეთილშობილი ადამიანი იყო, მათ შვილი არ ჰყოლიათ, მაგრამ შვილებად თვლიდა თითოეულ სკოლის მოსწავლეს და ნათესავებიდან ჩასულ სტუდენტებს. №3-ე საშუალო სკოლაში დამამთავრებელი კლასების მშობლები ცდილობდნენ წაემატებინათ თითო ნიშანი, არ იშურებდნენ თანხას. შემოთავაზებულ თანხაზე სასტიკ უარს პასუხობდა ბიძაჩემი - მანუელ ბარბაქაძე... მათ ბიძაჩემი უსასყიდლოდ ამზადებდა, თუ შემოაღამდებოდა, ნეკრასოვის ქუჩიდან, ძერჟინსკის ქუჩაზე ხუთასი მეტრით დაცილებით ტროლეიბუსის გაჩერებაზე მიაცილებდა, თუ წვიმიანი ამინდი დაემთხვევოდა თავისი კუთვნილი ქოლგით...

ავტორისაგან: (დ.ფ.) წიგნიდან, - „პოლიციელის ასავალ-დასავალი“, ივნისი 1965 წ. მეხუთე კლასიდან მეექვსე კლასში გადასაყვანი გამოცდები მაქვს, მათემატიკას დალიდა ბუბაშვილი გვასწავლიდა, ბილეთში რთული საკითხები შემხვდა (არც ისე ძლიერი ვიყავი...) საშემოდგომო გამოცდა გამომაყოლეს... უნდა მოვემზადო, სად?!... დედამ ჩემი მომზადება ქალაქ ქუთაისში, მამიდის მეუღლის, ფიზიკა - მათემატიკის მასწავლებელ, - მანუელ ბარბაქაძესთან გადაწყვიტა.



ა. პუშკინის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის
რექტორი - ნათელა ვასაძე
პრორექტორი - გურამ ბარბაქაძე

...სექტემბერში ბრწყინვალედ ჩავაბარე, ნიშანი „ოთხიანი“ დამიწერეს. ამის შემდეგ კარგად ვისწავლი, თავს არ შევირცხვენ მშობლებთან და მასწავლებლებთან.

მანუელ ბიძია გარდაიცვალა 1974 წელს, როდესაც სავალდებულო სამხედრო სამსახურში, ქალაქ ვლადივასტოკში ვიყავი. მეუღლე, - ნადია ფანჩულიძესთან და მშობლების გვერდით დაკრძალულნი არიან ქ. ქუთაისში, - „საფიჩხიის სასაფლაოზე“.

სანთელ-საკმეველი და სამარადისო დიდება არ მოკლებოდეთ ასეთ პატიოსან, სამაგალითო ადამიანებს.

*დონი ფანჩულიძე*



მანუელ ბარბაქაძის საგვარეულო სასაფლაო, ქუთაისი „საფიჩხია“


მადონა გაფრინდაშვილი

# პოლიციის მაიორ მადონა გაფრინდაშვილის მარადიულ ხსოვნას

**(21/VI-1933წ. - 23/X-2010 წ.)**

...ბრძენს უთქვამს გარდაცვლილზე ან კარგს საუბრობენ ან საერთოდ არაფერსო... მადონა გაფრინდაშვილზე ხომ ყოველთვის კარგს და დადებითად საუბრობდნენ, სამარადისო სასუფეველში გადაბრძანების შემდეგაც მოიგონებენ მის მიერ აღზრდილები და გაზრდილები. ის ხომ ყველას მიმართ ყურადღებიანი, მშვიდი და გაწონასწორებული პიროვნება იყო.

მადონა გაფრინდაშვილი დაიბადა 1933 წლის 21 ივნისს ქ. ჭიათურაში, სამხედრო ოფიცრის ოჯახში. მამა ქრისტეფორე გაფრინდაშვილი სამამულო ომის შემდეგ სახელოვანი „ქართული დივიზიის“ არტილერიის სარდალი იყო. მადონა გაფრინდაშვილმა 1952 წელს დაამთავრა ქ. ბათუმის საშუალო სკოლა და იმავე წელს მისაღები გამოცდები ჩააბარა საქ. ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე, დაამთავრა 1957 წელს. 1959 წელს მუშაობა დაიწყო არასრულწლოვანთა ინსპექციის ინსპექტორად. შინაგან საქმეთა ორგანოებში მუშაობის პერიოდში გაიცნო და ოჯახი შექმნა ლეგენდარულ „ოპერმუშაკ უშანგი ჭიჭინაძეზე“, რომელიც უცვლელად ხელმძღვანელობდა ქ. თბილისის შ/ს მთავარი სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილებას. რომელიც გამოირჩეოდა მაღალი პროფესიით, საქმისადმი ერთგულებით, უშიშრობით, საოცარი ინტუიციით,

რომელიც კოლეგებში გაოცებას იწვევდა უმწიკვლო პატიოსნებით (მის ლეგენდებზე მოხსენიებულია წიგნებში... “საბედისწერო გასროლა“... რომან გვენცაძის ქართული დეტექტივები).

მადონა გაფრინდაშვილი მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობებზე, ჯერ სისხლის სამართლის სამძებროს ინსპექტორის თანამდებობაზე, შემდგომ თბილისის შ/ს მთავარი სამმართლოს კადრების უფროს ინსპექტორად. მუშაობის პერიოდში განკუთვნილ ყურადღებას უთმობდა ახალბედა თანამშრომლების შერჩევა- მიღების საკითხებს, უანგაროთ და უმწიკვლოდ ემსახურებოდა იმ, რთულ და პასუხსაგებ მოთხოვნებს, რაც სამთავრობო ბრძანებებიდან და დირექტიული წერილებიდან იყო გამომდინარე. მადონა ხომ დედობრივი სიყვარული და ყურადღებით ეპყრობოდა ყველა იმ ახალგაზრდა თანამშრომლებს, ვინც მის მუშაობის პერიოდში მიღებული იქნა იმ რთულ საპატიო მისიის შესასრულებლად, რომლებიც გარკვეული დროის შემდეგ პასუხისმგებელ თანამდებობებზე ინიშნებოდნენ მაღალი რანგის ჩინით წარსდგებოდნენ საზოგადოების წინაშე. მათ სათანადო შერჩევა და კვალიფიკაცია კადრების დამსახურება იყო.

მადონა გაფრინდაშვილის მიმართ რამდენი რამ შეიძლება გავისხენოთ მისი სპეტაკი სულის მოსახსენიებლად. 70-იან წლებში ერთ-ერთმა ახალგაზრდა ახლად მიღებულმა თანამშრომელმა პატივსაცემად ძვირადღირებიული „ფრანგული სუნამო“ უსაჩუქრა, უხერხულობაში რომ არ აღმოჩენილიყო თავისებური ჟესტით ჯერ ხელჩანთაში ჩადო, შემდეგ ეამბორა, ეს საჩუქარი უკან დაუბრუნა, დედათქვენს ჩემს სახელზე მიართვითო...

(დ.ფ.) ეს ახალბედა თანამშრომელი მე ვიყავი... გავიდა წლები, ქალბატონი მადონა, თადარიგში მყოფი, შტატგარეშე ინსპექტორი თვის ბოლომდე თანხას შემახსენებდა, მე კი ვახსენებდი მის „უმწიკვლო“ იმდროინდელ სამსახურს...

## გახსენება



# (ეძღვნება პოლიციის მაიორ მადონა გაფრინდაშვილის ხსოვნას)

## 21.06.1933-23.10.2010 წ.წ.

... ბრძენს უთქვამს, გარდაცვლილზე ან კარგს საუბრობენ ან საერთოდ არაფერსო... მადონა გაფრინდაშვილზე ხომ ყოველთვის კარგს და დადებითად საუბრობდნენ, სამარადისო სასუფეველში გადაბრძანების შემდეგაც მოიგონებენ მის მიერ აღზრდილები და გაზრდილები. ის ხომ ყველას მიმართ ყურადღებიანი, მშვიდი და გაწონასწორებული პიროვნება იყო.

**მადონა გაფრინდაშვილი** დაიბადა 1933 წლის 21 ივნისს ქ. ჭიათურაში, სამხედრო ოფიცრის ოჯახში. მამა ქრისტეფორე გაფრინდაშვილი სამამულო ომის შემდეგ სახელოვანი „ქართული დივიზიის" არტილერიის სარდალი იყო. მადონა გაფრინდაშვილმა 1952 წელს დაამთავრა ქ. ბათუმის საშუალო სკოლა და იმავე წელს მისაღები გამოცდები ჩააბარა საქართველოს ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე, დაამთავრა 1957 წელს.

1959 წელს მუშაობა დაიწყო არასრულწლოვანთა ინსპექციის ინსპექტორად. შინაგან საქმეთა ორგანოებში მუშაობის პერიოდში გაიცნო და ლამაზი ოჯახიც შექმნა ლეგენდარულ ოპერმუშაკთან უშანგი ჭიჭინაძესთან, რომელიც უცვლელად ხელმძღვანელობდა ქ. თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილებას და რომელიც გამოირჩეოდა მაღალი პროფესიონალიზმით, საქმისადმი ერთგულებით, უშიშრობით, უმწიკვლო პატიოსნებით, საოცარი ინტუიციით, რაც კოლეგებში დიდ გაოცებას იწვევდა.

მადონა გაფრინდაშვილი მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობებზე ჯერ სისხლის სამართლის სამძებროს ინსპექტორის თანამდებობაზე, შემდგომ თბილისის შს მთავარი სამმართველოს კადრების უფროს ინსპექტორად. მუშაობის პერიოდში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ახალბედა თანამშრომლების შერჩევამილების საკითხებს, უანგაროდ და უმწიკვლოდ ემსახურებოდა იმ რთულ და პასუხსაგებ მოთხოვნებს, რაც სამთავრობო ბრძანებებიდან და დირექტიული წერილებიდან იყო გამომდინარე. მადონა ხომ დედობრივი სიყვარულით და ყურადღებით ეპყრობოდა ყველა იმ ახალგაზრდა თანამშრომელს, ვინც მისი მუშაობის პერიოდში მიღებული იქნა იმ რთული და საპატიო მისიის შესასრულებლად, რომლებიც გარკვეული დროის შემდეგ პასუხისმგებელ თანამდებობებზე ინიშნებოდნენ, მაღალი რანგის ჩინით, წარსდგებოდნენ საზოგადოების წინაშე. მათი სათანადო შერჩევა და კვალიფიკაცია კადრების დამსახურება იყო.

მადონა გაფრინდაშვილის მიმართ რამდენი რამ შეიძლება გავიხსენოთ მისი სპეტაკი სულის მოსახსენიებლად. 70-იან წლებში ერთ-ერთმა ახალგაზრდამ ახლად მიღებულმა თანამშრომელმა პატივსაცემად ძვირადღირებული „ფრანგული სუნამო" უსაჩუქრა, უხერხულ მდგომარეობაში რომ არ აღმოჩენილიყო, თავისებური ჟესტით ჩანთაში ჩადო, შემდეგ ეამბორა მას და საჩუქარი უკან დაუბრუნა, დედათქვენს ჩემს სახელზე მიართვითო, თადარიგში რომ გაეალ, პენსიონერი, დაველოდები თქვენს პატივისცემასო.

მადონა გაფრინდაშვილი დაჯილდოებული იყო: „წარჩინებული მილიციელის", „საბჭოთა მილიციის 50 წლის", „უმწიკვლო სამსახურის" – I, II, III ხარისხის „შრომის ვეტერანის" მედლებით. 31 წლის მუშაობის პერიოდში მიღებული აქვს მრავალი ფულადი ჯილდო, 32 მადლობა, პირად საქმეში შეტანით.

1990 წლიდან თადარიგში გასვლის შემდეგ კვლავ განაგრძობდა დახმარებას შ.ს. ორგანოებში ახალბედა თანამშრომლებისათვის გაეზიარებინა მისი მდიდრული გამოცდილება.

ქალბატონო მადონა, – თქვენს ხელში განვლილმა ახალბედა თანამშრომლებმა დიდი თანამდებობები გამოვიარეთ, საპენსიო ასაკიც შეგვისრულდა, მაგრამ თქვენი თხოვნა ბოლომდე ვერ შეგისრულეთ, მხოლოდ ხსოვნის ნეკროლოგით შემოვიფარგლეთ. მსუბუქი ყოფილიყოს თქვენს მიმართ ქართული მიწა, სანთელსაკმეველი ნუ მოჰკლებოდეს ნათელ სულს, თქვენი წარსული არ დაევიწყებინოს თქვენს მიერ გაზრდილ ახალგაზრდობას.

**მეგობრების და კოლეგების სახელით, თადარიგის ვიცე-პოლკოვნიკი დონი ფანჩულიძე**

მინდა დაგემშვიდობოთ იოსებ ნონეშვილის ლექსით

### მასწავლებელი

მასწავლებელი — მშობლის ალერსით
ამოქარგული ტკბილი ანბანი,
მასწავლებელი — ნორჩი თვალებში
ჩაშუქებული ცოდნის ლამპარი.

მასწავლებელი — ჩვენს სიყვარულში
განათებული, როგორც ოცნება,
მასწავლებელი — სინდის-ნამუსი,
მხოლოდ ხალასი პატიოსნება.

... მასწავლებელი —
ცოდნის ნათელით
უსწავლელობის დამმარცხებელი...
აი, რას ნიშნავს მასწავლებელი,
აი რად გვიყვარს მასწავლებელი,

მასწავლებელი — ღამე უძილო,
ნორჩებზე ფიქრი დაუშრომელი,
მასწავლებელი — ზოგჯერ უშვილო,
მაგრამ ათასი ბავშვის მშობელი.

* * *

**დიდი გულისტკივილით,**

**პოლიციის გენერლები: რომან გვენცაძე, დავით ზეიკიძე, დემურ მიქაძე, შაქრო წინწკალაძე.**

**პოლიციის პოლკოვნიკები: გოდერძი გენგაშვილი, ვაჟა ასათიანი, ნუგზარ ლამბაშიძე, თენგიზ ჯიაძე, გიჩა სისაური, მირზა გოლეთიანი, დიტო გოგობერიშვილი, ავთანდილ სანაძე, ნორა დოლიძე, ქეთევან ერისთავი, ვიკა კირვალიძე.**

**ტექნიკური პერსონალი: ირინა რუხაძე, თამრიკო რაზმაძე, დალი თებიძე.**

მადონა გაფრინდაშვილი დაჯილდოებული იყო მედლით:

„წარჩინებული მილიციელი“, „საბჭოთა მილიციის 50 წლის“, „უმწიკლო სამსახურის - I, II, III-ე ხარისხის“ და ასევე „შრომისვეტერანის“ მედლებით. 31 წლის მუშაობის პერიოდში მიღებული ჰქონდა მრავალი მადლობა და ფულადი ჯილდო. 32 მადლობით პირადი საქმეში შეტანით.

1990 წლიდან თადარიგში გასვლის შემდეგ კვლავ განაგრძობდა დახმარებას შ/ს ორგანოებში ახალბედა თანამშრომლებისათვის გაეზიარებინა მისი მდიდრული გამოცდილება.

(დ.ფ.) ქალბატონო მადონა, - თქვენს ხელში განვლილმა ახალბედა თანამშრომლებმა დიდი თანამდებობები გამოვიარეთ, საპენსიო ასაკიც შეგვისრულდა, მაგრამ თქვენი თხოვნა ბოლომდე ვერ შეგისრულეთ, მხოლოდ ხსოვნის ნეკროლოგით შემოვიფარგლეთ. მსუბუქი ყოფილიყვეს თქვენს გულზე დაყრილი ქართული მიწა, სანთელ - საკმეველი ნუ მოგკლებოდეს თქვენ ნათელ სულს, თქვენი წარსული არ დაევიწყებინოს თქვენს მიერ გაზრდილ ახალგაზრდობას. მინდა დაგემშვიდობოთ იოსებ ნონეშვილის ლექსით, მასწავლებელი:

## „მასწავლებელი“

მასწავლებელი - მშობლის ალერსით
ამოქარგული ტკბილი ანბანი,
მასწავლებელი - ნორჩი თვალებში
ჩაშუქებული ცოდნის ლამპარი.

მასწავლებელი - ჩვენს სიყვარულში
განათებული, როგორც ოცნება,
მასწავლებელი - სინდის - ნამუსი,
მხოლოდ ხალასი პატიოსნება

...მასწავლებელი - ცოდნის ნათელით
უსწავლელობის დამმარცხებელი...
აი, რას ნიშნავს მასწავლებელი,
აი რად გვიყვარს მასწავლებელი,

მასწავლებელი - ღამე უძილო,
ნორჩებზე ფიქრი დაუშრობელი,
მასწავლებელი - ზოგჯერ უშვილო,
მაგრამ ათასი ბავშვის მშობელი.

პოლიციის გენერლები: რომან გვენცაძე, დავით ზეიკიძე, დემურ მიქაძე, შაქრო წინწკალაძე, თამაზ თამაზაშვილი, თემურ მურღულია, ზურა ჩხაიძე, შოთა გორგოძე, ვარლამ შადური. . .

პოლიციის პოლკოვნიკები: გოდერძი გენგაშვილი, ვაჟა ასათიანი, ნუგზარ ღამბაშიძე, თენგიზ ჯიაძე, გოჩა სისაური, მირზა გოლეთიანი, დიტო გოგობერიშვილი, ავთანდილ სანაძე, ნორა დოლიძე, ქეთევან ერისთავი, ლიკა კირვალიძე ანჟელა სააკაძე, ირინა რუხაძე, თამრიკო რაზმაძე, დალი თებიძე.

*კოლეგებისა და თანამშრომლების სახელით,*
*თადარიგის ვ/პოლკოვნიკი: დონი ფანჩულიძე.*

*გამოქვეყნებული იყო გაზეთ*
*„თაობიდან - თაობამდე“-ში*
*დეკემბერი 2010 წ.*

## თეიმურაზ ჩუბინიძე
## (27/XI-1970წ. 28/02-1994წ.)

### ტკივილი გაზაფხულის ჟამს



თემურ ჩუბინიძე

გულისმომკვლელია თემურ ჩუბინიძის ოჯახის წევრებისათვის ყოველი გაზაფხული, რადგან გულქვა ადამიანის ხელით ნასროლმა ტყვიამ სწორედ გაზაფხულის ჟამს, 23 წლის ასაკში მოუსწრაფა სიცოცხლე მამაც და შეუპოვარ ვაჟკაცს, რომელიც თავისი საყვარელი ქალიშვილის ნინოს და ანას ბედნიერებაზე, ნათელ მომავალზე ოცნებობდა, მაგრამ არ დასცალდა...

...1994 წლის 28 თებერვალს ქ. თბილისში, აგლაძის ქუჩაზე მდებარე სადღეღამისო ავტოსადგომის ტერიტორიაზე, რომელიც

„მაშველთა კორპუსს“ უნდა გადასცემოდა, მოქალაქე ავთანდილ ჟღენტი ავტოფარეხიდან საკუთარ შიფერს ხსნიდა, ამ დროს იქ მისულმა „მაშველთა კორპუსის“ წევრმა ნიკოლოზ გედევანიშვილმა უხეშად შეურაცხყოფელი სიტყვებით მიმართა ა. ჟღენტს ტაბელური „ჩზ“ სისტემის პისტოლეტიდან რამდენიმეჯერ გაისროლა ჰაერში და ა. ჟღენტი იძულებული გახადა შეეწყვიტა შიფერის მოხსნა. შეშინებულმა ა. ჟღენტმა დატოვა ავტოსადგომის ტერიტორია, სროლის ხმაზე ავტოსადგომთან მივიდნენ ქ. თბილისის დიდუბის რაიონის პოლიციის თანამშრომლები თემურ ჩუბინიძე და ზურაბ ფერაძე, რომლებიც სამსახურეობრივ მოვალეობას ასრულებდნენ, მათ თან ჰქონდათ ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი. თ. ჩუბინიძემ და ზ. ფერაძემ წარუდგინეს პოლიციელის პირადობის

დამადასტურებელი დოკუმენტი და გედევანიშვილს წესრიგისაკენ მიუწოდეს, რის საპასუხოდაც ამ უკანასკნელმა გააგრძელა ხულიგნური მოქმედება, რომელიც თავისი შინაარსით გამოირჩეოდა უაღრესად დიდი ცინიზმით და თავხედობით. მან მიუგო პოლიციელებს, რომ „მხედრიონელი“ იყო, იმყოფებოდა თავის ტერიტორიაზე და რასაც სურდა, იმას იმოქმედებდა.

თ. ჩუბინიძე და ზ. ფერაძე კვლავ მოუწოდებდნენ წესრიგისა და სთხოვდნენ პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს, საპასუხოდ ნ. გედევანიშვილმა, რომელიც აგრძელებდა ხულიგნურ მოქმედებას, ამოიღო „ჩმ“-ს ტიპის პისტოლეტი და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისას, მათ სამსახურეობრივ მოვალეობასთან დაკავშირებით, ორი განზრახ მკვლელობის მიზნით, რამდენჯერმე ისროლა პოლიციელების მიმართულებით. ძირს დაცემულ თ. ჩუბინიძეს ნ. გედევანიშვილმა აართვა ავტომატური იარაღი და შეეცადა კვლავ ესროლა პოლიციელების მიმართულებით, მაგრამ იარაღში ვაზნები არ აღმოჩნდა, რის შემდეგა დატოვა შემთხვევის ადგილი, ხოლო ავტომატური იარაღი, თავისი საქციელის გამართლების მიზნით „მხედრიონის“ საიარაღო განყოფილებას ჩააბარა.

სროლის შედეგად თ. ჩუბინიძემ მიიღო სიცოცხლისათვის სახიფათო, მძიმე ხარისხის დაზიანება და საავადმყოფოში გარდაიცვალა (ამონაწერი უზენაესი სასამართლოს 1998 წლის 10 ნოემბრის განაჩენიდან, რომელმაც მკვლელს თორმეტი წლის თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა).

თეიმურაზ მურმანის-ძე ჩუბინიძე დაიბადა 1970 წლის 27 ნოემბერს, ქალაქ ტყიბულში. 1987 წელს დაამთავრა ქ. ტყიბულის N2 საშუალო სკოლა.

1988-1990 წლებში მსახურობდა სამხედრო-სავალდებულო სამსახურში, რომელიც გაიარა ქ. ხაბაროვსკში, სადაც თავი გამოიჩინა

მინდობილი საქმის კეთილსინდისიერი, პირნათლად შესრულებით. დემობილიზაციის შემდეგ მშობლიურ რაიონს ზემდეგის წოდებით დაუბრუნდა.

1991 წლის თებერვლის თვიდან მუშაობა დაიწყო ქ. თბილისის დიდუბის რაიონის შს რაიონულ განყოფილებაში სისხლის სამართლის სამძებროს ინსპექტორად. 1993 წლიდან სწავლობდა ქ. თბილისის სამართლის ინსტიტუტთან არსებულ ჰუმანიტარულ - ეკონომიკური ინსტიტუტის იურიდიული ფაკულტეტის პირველ კურსზე, დაიღუპა 1994 წლის 28 თებერვალს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, დაკრძალულია ქ. ტყიბულში, დედა ელგა გოჩიაშვილი, და - ნანა ჩუბინიძე, მეუღლე - მირანდა ამყოლაძე და ორი შვილი, ნინო და ანა, რომლებიც ამჟამად VI და III კლასის მოსწავლეები არიან.

დიდუბის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების თანამშრომლებმა მძიმედ განიცადეს თანამშრომლის დაღუპვა, მათი გამოსათხოვარი - თემურ ჩუბინიძის პიროვნების ნათელი დახასიათებაა: „მხოლოდ ოცდაოთხი სიცოცხლე თემურ! სამუდამოდ გემშვიდობებით შენი მეგობრები, ახლობლები, შენი პატარა საყვარელი ოჯახი, მეუღლე და ორი პატარა გოგო. რა ჰქნას შენმა მეუღლემ, რითი ანუგეშოს შვილები, მათ ხომ არ იციან, რას ნიშნავს კაცის სამუდამო სასუფეველში ყოფნა. მათ ხომ მამა უნდოდათ.

არასოდეს არ გჭირდებოდა საკუთარი მოვალეობის შეხსენება ოჯახის, სამშობლოს, მეგობრების და ახლობლების წინაშე, როდესაც მშობლიურ მიწას შემოგედავენ გადამთიელები, ქვეყნის მთლიანობის შესანარჩუნებლად პირველი ჩაეწერე მოხალისეთა რიგებში აფხაზეთისა და სამაჩაბლოში საბრძოლველად. იქ გადაურჩი ტყვიას და აქ კი ვერაგულად გაგიმეტა კაცის ხელმა. უშიშარი და შეუდრეკელი კაცი იყავი, ყველასაგან სიკეთეს, ერთგულებით და

თავაზიანობით გამოირჩეოდა, მუდამ საქართველოს წმინდა საფიცრად, სამი წელია, რაც ჩვენს გვერდით მუშაობდი, ჯარგამოვლილი ვაჟკაცი ქვეყნის და ხალხის სამსახურისათვის იღწვოდი ერთგულად, შენთვის უცხო იყო უკან დახევა, ახლაც, როცა ბოროტებას შეხვდი პირისპირ, უკან არ დაიხიე და თავი ვაჟკაცურად გასწირე თბილისელთა სიმშვიდისათვის.

თავს ვუხრით ნათელი ხსოვნის წინაშე და ღმერთს ვევედრებით, სასუფეველი დაგიმკვიდროს ზეციურ საქართველოში“.

ყოველ გაზაფხულის ჟამს, 28 თებერვალს ცრემლები ლივლივებს ნინოს და ანას უმანკო თვალებში. მათ იციან უკვე რასაც ნიშნავს ადამიანის ზეციერ სასუფეველში ყოფნა, ენატრებათ მამიკო, მისი სითბო და ალერსი, სანთლებს ანთებენ და პირჯვრის წერით უფალს ევედრებიან ნათელში ამყოფოს მათი მონატრებული მამიკოს ლამაზი სული.


დავით მუხიგული

# დავით მუხიგული

## მეგობრებო! თანამებრძოლებო!
## ომის ვეტერანებო!
## 2/01-1962 (58) 21/12-2020 წ.

2020 წლის 24 დეკემბერს, - „მუხათგვერდის“ საგვარეულო საფლავს მივაბარეთ ომის ვეტერანებმა ჩვენი ერთ-ერთი ღირსეული თანამებრძოლი, სამედიცინო სამსახურის თადარიგის მაიორი - დავით „მუხა“ მუხიგული.

ჩემო თანამებრძოლებო, - „მუხა“-ს შესახებ სოციალურ ქსელში მესამედ ვაქვეყნებ მის გარდაცვალების განცხადებას და კომენტარს.

ბატონო, - დავით!, თქვენ ვეტერანებთა რიგები დაგვტოვეთ უხმაუროდ, ყოველგვარი აფიშირების გარეშე, რითაც გამოხატეთ თქვენი კაცურკაცობა... რომელი ერთი სიკეთე გავიხსენო თქვენი ცხოვრებიდან?! ვინც არ გიცნობდათ, ეხლა მინდა წარმოვადგინო თქვენი პიროვნება, (თუ წიგნსაც გამოვცემ, მკითველსაც გაგაგებინებთ...) თქვენ იყავით ადამიანი, რომელმაც დაუვიწყარი შთბეჭდილება დატოვეთ არა ამარტო მეგობრებში, არამედ მტრებში, რომლებიც მეორე მხარიდან ავტომატებს და საარტილერიო დანადგარებიდან გვესროდა...

1992-93 წლებში, - „აფხაზეთის ომის“ დროს, ორ ქარცეცხლში იდექით „ძმათა მკვლელ ომში“, - «სამედიცინო კეისით», თუ აფხაზი დაიჭრებოდა, ცალ ხელში სამედიცინო დანიშნულების ხელსაწყო გეკავათ, მეორეში კი ერთი ცალი ხელყუმბარა („ლიმონკა“) იმ მიზნით, თუ ვინმე ვერ გაიგებდა თქვენ კეთილ მისიას, თავს აიფეთქებდით, ასეთ საბრძოლო - სამუშაო რეჟიმში გაატარეთ 13 თვე და 13 დღე...



პარაკლისის გადახდა დავით მუხიგულის
საფლავზე <<მუხათგვერდში>>
მამაო იოანე გაბიძაშვილი, მეუღლე - ნინო ჯაფარიძე

აფხაზეთში დაწყებული კეთილი საქმე, თბილისში გააგრძელეთ, სამედიცინო დაწესებულება, - „ვივა მედის“ საავადმყოფოში, სადაც თანამებრძოლ, - ალექსანდრე („ალიბაბა“) ჩადუნელთან ერთად მრავალი აფხაზი ჩამოიყვანეთ საოპერაციოდ და სამკურნალოდ, რომლებიც ომის დროს ტყვიებს გვიშენდა... ასევე მრავალი უგზოუკვლოდ დაკარგული მებრძოლი მოაძებნინე მათ მშობლებს და გადმოასვენებინე და დააკრძალინე საგვარეულო სასაფლაოზე. აღსანიშნავია, რომ თქვენთან ერთდ აქტიურად მონაწილეობდნენ თანამებრძოლები, - მამუკა ჭანუყვაძე და ზაირა მიქატაძე (ჟურნალ „მეციხოვნის“ მთავარი რედაქტორი).

ძმაო, - „მუხა“! რამდენი თანამებრძოლისთვის უანგაროდ გაგიწევია სამედიცინო დახმარება, თქვენ კეთილშობილებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მელიქიშვილის ქუჩისა და ვარაზისხევის გადაკვეთაზე ნაპოვნი საფულე ჩააბარეთ, - „საპატრულო ეკიპაჟს“, რომელშიც საბუთებთნ ერთდ 2000 ამერიკული დოლარი იდო...

ძმაო, - „მუხა“, თქვენი სიცოცხლის ხანგრძლივობა შეამცირა იმანაც, რომ 70 000 ათასი ომის ვეტერანის სასაცილო კომპენსაციის 22-00 ლარი საკითხის მოგვარების თავყრილობაზე, - „გმირთა მოედანზე“, <<საქართველოს მთლიანობისათვის დაღუპული მებრძოლების მემორიალთან, როგორც მათ შორის საჯარო მოსამსახურე, სიტყვიერი საყვედური მიიღეთ... თქვენმა ალალმა, და ალალმართალმა გულმა ვეღარ აიტანა ვეღარ გაუძლო და....

სამწუხაროა, რომ იმ პერიოდში თანამებრძოლები თავის დროზე გვერდით ვერ დაგიდექით.

დღეს თქვენს წინაშე ბოლო ვალი მოვიხადეთ თქვენმა ახლო თანამებრძოლებმა, - „საპატიო ყარაულში ერთმანეთს ვენაცვლებოდით „ჩოხოსნები“ და ფორმიანი მებრძოლები. თქვენს საფლავთან საქართველოს დროშის სიმბოლური აღმართვა „სალიუტით“

აღვნიშნეთ, ამ ჟესტით ერთხელ კიდევ მოვიხადეთ, - „მხედრული ვალი“.

ძმაო, - დათო!, იძინე მშვიდად, მსუბუქი ყოფილიყოს თქვენს გულზე დაყრილი საქართველოს მიწა «მუხათგვერდის სასაფლაოზე».

*დონი ფანჩულიძე*
*2020 წლის 24 დეკემბერი ქ. თბილისი*

დავით „მუხა“ მუხიგული
აფხაზეთის ომის გმირს,
დიდებულ ექიმს!

## soxumelebisagan

**kacurad ganvlili cxovreba,**
**kvali datove naTeli,**
**msaxuri iyav sikeTis,**
**madlieri gyavs ramdeni.**

**sicocxlis sadarajoze,**
**mudam uSiSrad ideqi,**
**mZime wuTebSic arasdros,**
**ar dagikargavs imedi.**

**eqimma gamoiara**
**dReebi rTuli da mZime,**
**vin icis ramdeni mebrZolis**
**sicocxle gadaarCina.**

**arasdros dagviwyebia**

**am qveynad risTvis moxvedi,**
**mteri iyo Tu moyvare**
**WirSi arasdros tovebdi.**

**omSi daWrili afxazis**

**Svela mogando gamCenma,**
**Tumc mteri iyo,**
**magram ra mainc waxvedi**
**saSvelad.**

**damTavrda omi da dRemde**

**iyavi qveynis msaxuri,**
**da aqtiur saqmeSi**
**mudam iyavi CarTuli.**

**Sen Cvens gulebSi enTebi,**
**maradJams, rogorc sanTeli,**
**zeciur saqarTveloSi**
**geqneba uflis sanTeli...**

# ომის ვეტერანების „დასტაქარი“



დავით მუხიგული და დონი ფანჩულიძე
სამედიცინო ცენტრი „ვივამედი“



ზაირა მიქატაძე და დავით მუხიგული
სამედიცინო ცენტრი „ვივამედი“






მარცხნიდან: გიორგი ბეჟიტაშვილი
ავღანეთი (კოდ. სახ. "მუსა"),
სამაჩაბლოსა და აფხაზეთში ბრძოლების მონაწილეები
თადარიგის მაიორი - დავით "მუხა" მუხიგული და
ვიცე-პოლკოვნიკი - დონი ფანჩულიძე
ვაშლიჯვრის ძმათა სასაფლაოზე (17.10.2018 წ.)

** * **

***Se dalocvilo saaTo,***
***saiT miiltvi iCqari,***
***ukan moxedvas ver vaswreb***
***ise trialebs isari...***

***dasaWerad ar mogdeven***
***sadamde unda irbino -***
***SeCerdi! vyviri, geZaxi,***
***rodemde unda giyviro...***

***Sen ki ra mogdis gugulo!***
***mkiTavo, niskart - jibgiro,***
***dReebs rad miTvli winaswar***
***veRar gewevi sirbilo...***

***macade cota oxero***
***rom sakaceTsa vilxino,***
***davtkbe, visunTqo samyaro,***
***kacurad dardi vitiro...***

*ზაზა უკა ნეფარიძე*
*(ლექსად ნაფიქრალი)*

„მუხას" მარადიულ ხსოვნას




მარცხნიდან: დავით „მუხა" მუხიგული, მერაბ სეფაშვილი, დონი ფანჩულიძე, ლევან მამალაძე და ზაზა ნეფარიძე

## „ისევ, ისევ, ბრძოლა გველის“!

### ჩვენი ომი ჯერ არ დამთავრებულა ბიჭებო!!!

მიდიან ბიჭები, იმ ასაკის ბიჭები, როდესაც იბრძოდნენ, მუხა, ჩემო მუხიკო, დავით მუხიგულიც წავიდა. თავის ცხოვრების აზრს მეომრების ხელის შეშველებაში ხედავდა, გმირების შეშველებაში ხედავდა, გმირების უკვდავყოფაში ხედავდა. ამ გზით იარა იარა, სანამ იარა“. ამ გზამ საზღვრისპირა სოფელში, ერგნეთშიც მიიყვანა. იმ თექსვმეტი ერგნეთელი გმირის მემორიალი აღმოაჩინა, სკოლის ეზოში აღმართული მემორიალი... იმ სკოლის, რომელიც რუს ოკუპანტებს რუსეთ-საქართველოს ომის დროს, 2008 წლის აგვისტოს თვეში, ბუნაგად ჰქონდათ გადაქცეული, რომლის კედლებში რუსის ბარბაროსობის „ნიმუშები“ ინახება, ტყვიებით დაცხრილული შოთა რუსთაველის პორტრეტი. დალეწილი მერხები და დაფები... ჩაგვიყვანა და იქაურობა აგვახმაურებინა. იქაურ ბავშვებს აჩვენა, თავიანთი სოფლის ...გმირის გარდა სხვაგანაც რომ არიან გმირები და მომავალ თაობას სწორება ამ გმირებზე რომ უნდა ჰქონდეს... ვეტერანების გზამკვლევი იყო, ხელჩაკიდებული დაჰყავდა, ან მათ მაგივრად დადიოდა ან აკითხავდა... დადიოდა და აკითხავდა, მაგრამ როგორ და რითი, არავინ კითხულობდა, არავინ ინტერესდებოდა, არადა სტაბილური შემოსავალი რომ ჰქონოდა, ნაომარ ადამიანს უფრო მეტს გაუკეთებდა,მაგრამ ამას რომ ჩაწვდე, ან ტვინი გინდა, ან გული, აბა, ორივე ერთად ჩვენში ხომ კარგა ხანია, დეფიციტია...

ათასი გეგმა ჰქონდა, ათასი ჩანაფიქრი, და ყველაფერი ვეტერანების გარშემო ტრიალებდა, მათ უკავშირდებოდა, სად უნდა ყოფილიყო, რომელ საზოგადოებაში, როგორ სუფრასთან, ჩვენი ჰიმნი - „ისევ ისე ბრძოლა გველის“ - ტელეფონში ხმამაღლა არ ჩაერთო. უბიდან ტყვიის მასრა არ ამოეღო და ღვინიან ჭიქაში არ ჩაეგდო. ეს

ტრადიცია თავის ძმებთან მუდმივ კავშირში ამყოფებდა, და სხვებსაც აიძულებდა", არამეომრებს და არავეტერანებს, გმირების უკვდავყოფის სადღეგრძელო ასე დაელიათ.

წავიდა მუხა, მოტყუებული, გულნატკენი და გულმოკლული, არადა რამდენი რამის გაკეთება უნდოდა, უნდოდა და შეეძლო კიდეც, პატარა ხელშეწყობა რომ ჰქონოდა, მაგრამ არადა არა... არ გაეხსნა ტვინი მავანს...

წავიდა მუხა და თან წაიღო ჩვენი ჰიმნი - „ისევ ისევ ბრძოლა გველის!" წავიდა მუხა და დაგვაბრუნა იმ წარსულში, როდესაც დღეში ორ-სამ თანამებრძოლს ვმარხავდით.

ასე, რომ, ჩვენი ომი ჯერ არ დამთავრებულა, ბიჭებო !!!

ზაირა მიქატაძე

მამუკა ჭანუყვაძე

დონი ფანჩულიძე

ზურიკო სამხარაძე

თინა თაყაძე

**ავტორისაგან: (დ.ფ.) ჩემო „მუხა" თქვენი ნატვრა ნაწილობრივ, საქართველოს პრემიერ მინისტრმა - ირაკლი ღრიბაშვილმა აგვისრულა, ე.წ. „გაყინული" 22.00 ლარი მეომარ ბიჭების კომპენსაციის 100.00 ლარამდე გაზარდა... თქვენ კი... ესღა დაგვრჩენია, თითო სანთელი აგინთოთ თქვენს გულზე „მუხათგვერდის საგვარეულო სასაფლაოზე".**

*დონი ფანჩულიძე*


ჯონი ბელაშვილი

# ჯონი ბელაშვილი

**მშვიდობით, ჩვენო ჯონი!**

4/03-52 (64) 27/02-2016 წ.

ჯონი ბელაშვილი, კაცი, რომელიც რაჭის მაღალმთიანი სოფლის გლოლას მიწაზე დაიბადა, გაიზარდა და თავის ტყუპისცალთან ერთდ ახოვანებითა და იშვიათი მამაკაცური სილამაზით უხდებოდა იქაურობას. მათ ტოლს არც მესამე ძმა, უფროსი, ჯემალი უდებდა. სამივე ბიჭები ცამდე აზიდულ კავკასიონის მთებს სიმაღლეში ეპაექრებოდნენ, ნეტა თქვენს დედასო, არაერთს აღმოხდომია ბაგეთაგან, როდესაც ქალბატონ პაშას შვილებთან ერთად იხილავდნენ. ოჯახის მამა, ბატონი თედო ხარობდა შვილების ბედნიერებით. სამივე ძმები ოჯახებთან ერთად ზაფხულობით რომ მშობლიურ კერას ეწვეოდნენ, ირგვლივ ყველა და ყველაფერი ხარობდა, სახლის ფუძე სიყვარულით თბებოდა, ბედნიერ მშობლებს ეამაყებოდათ თავიანთი „მონაგარი“ და სოფელში თავს იწონებდნენ, ჩვენი რძლების ფასი ქალები იშვიათად თუ სადმე დაიბადებიანო.

გავიდა დრო, წუთისოფელი ხომ ხანგრძივად არავის გაახარებს და თაფლში ურევს მწარე ნაღველს. ტყუპისცალი გივი ცალად დარჩა. ამას წინ დიდი კატასტროფა უძღვოდა. მზექაბუკივით ლამაზი და მოხდენილი ჯონი სავარძელში აღმოჩნდა. სულ ახლახანს კი სამუდამო სასუფეველში დაიმკვიდრა საცხოვრისი, დატოვა აცრემლებული მეუღლე ნანა გუგუშვილი, რომელიც დიდი სიყვარულით უმსუბუქებდა არსებულ მდგომარეობას, თვალებში შეჰყურებდა მეუღლეს და დღენიადაგ მის ჯანმრთელობაზე ზრუნავდა. შვილები: ნინიკო და კოტიკო, პატარა შვილიშვილები, რომელთა დაფრთიანებასაც ვეღარ მოესწრო, უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ძმები გივი და ჯემალი საყვარელი ძმის დაკარგვის გამო, ახლობლები, ნათესავები, მეგობრები, მეზობლები, ჯონი ყველასათვის საყვარელი, სიკეთით და სითბოთი აღსავსე ადამიანი იყო.

ეს იყო კაცი, რომელიც ერთნაირად უხდებოდა სოფელს თუ ქალაქს, ოჯახს თუ ირგვლივ მყოფთ.

მსუბუქი იყოს შენთვის თბილისის მიწა. სანთელ-საკმეველი გინათებდეს გზას მარადიულობისაკენ.

*ნინო რეხვიაშვილი*

# რაულ (გოგა) ჩხენკელი

(27/08/1985 წ. – 29/09/2012 წ.)



გოგა ჩხენკელი

დაიბადა 1985 წლის 27 აგვისტოს. დაამთავრა ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი. შინაგან საქმეთა ორგანოებში იმუშავა 8 წელზე მეტი ხანი. მუშაობდა თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს მეორე გამყოფილებაში პოლიციის უფროსად. პოლიციის უფროსი ლეიტენანტი რ. ჩხენკელი 2012 წლის 29 სექტემბერს, 27 წლის ასაკში დაიღუპა სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს.

გოგა (რაულ) ჩხენკელი - დაიბადა 1985 წლის 27 აგვისტოს და გაიზარდა პოლიციელის ოჯახში, და ბავშვობიდან ოცნებობდა პოლიციელობაზე და სურდა მამის კვალს გაჰყოლოდა. პოლიციის აკადემიის დამთავრების შემდეგ დაიწყო მუშაობა უბნის ინსპექტორად თბილისის ისანი-სამგორის რაიონის პოლიციის სამმართველოს მეოთხე განყოფილებაში. სხვადასხვა დროს მუშაობდა ხაშურის რაიონის პოლიციაში უბნის ინსპექტორთა ქვეგანყოფილების უფროსად, ქ. თბილისის შინაგან საქმეთა მათვარი სამმართველოს დეტექტივ - გამომძიებლად, თბილისის დიდუბე - ჩუღურეთის რაიონის პოლიციის სამმართველოს დეტექტივების განყოფილების უფროსად. ერთი წელი იმუშავა თბილისის დიდუბე - ჩუღურეთის რაიონის პოლიციის სამმართველოს მეორე განყოფილების უფროსად. 2012 წლის აპრილში, 26 წლის ასაკში ტრაგიკულად დაიღუპა სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს.

157



გაზეთ „თაობიდან თაობამდეს“ რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 26 წლის ასაკში ტრაგიკულად დაიღუპა თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პოლიციის სამმართველოს მეორე განყოფილების უფროსი, „ვახტანგ გორგასლის“ ორდენის კავალერი, პოლიციის უფროსი ლეიტენანტი –

**რაულ (გოგა) ჩხენკელი**

და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

---

თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პოლიციის სამმართველოს მეორე განყოფილების თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 26 წლის ასაკში ტრაგიკულად დაიღუპა ამავე განყოფილების უფროსი, პოლიციის უფროსი ლეიტენანტი

**რაულ (გოგა) ჩხენკელი**

და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

---

ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანთა საბჭო და ვეტერანი პოლიციელები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ტრაგიკულად დაიღუპა თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პოლიციის სამმართველოს მეორე განყოფილების უფროსი, პოლიციის უფროსი ლეიტენანტი, „ვახტანგ გორგასლის“ ორდენის კავალერი –

**რაულ (გოგა) ჩხენკელი**

და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანთა საბჭოს და ვეტერან პოლიციელთა სახელით,
დონი ფანჩულიძე

---

26 გაზაფხული არგუნა ღმერთმა ამ ეშხიან მამაკაცს, ბრწყინვალე შვილს, პატარა გიორგის მამას, დედის საყრდენ ძალას. მაგრამ ტრაგიკულმა შემთხვევამ იმსხვერპლა ძალ-ღონით სავსე, სიცოცხლეზე, ოჯახზე და მეგობრებზე შეყვარებული ახალგაზრდა პოლიციელი.

რაულის მამაც, გია ჩხენკელი, პოლიციელი იყო. 2000 წლის 29 სექტემბერს 36 წლის ასაკში პოლიციის უფროსი ლეიტენანტი ტრაგიკულად დაიღუპა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს. როგორც მამამისმა, რაულმაც მამის გზა აირჩია და გახდა იმ მრავალრიცხოვანი პოლიციელთა არმიის რიგითი, რომელიც ხალხისა და ქვეყნის სადარაჯოზე დგას.

22 წლის პოლიციის ლეიტენანტმა რაულ ჩხენკელმა მუშაობა დაიწყო თბილისის ისანი-სამგორის რაიონის პოლიციის სამმართველოს მეოთხე განყოფილებაში, შემდეგ იგი გადაიყვანეს ხაშურის პოლიციაში. მუშაობდა თბილისის შინაგან საქმეთა მთავარ სამმართველოში დეტექტივ-გამომძიებლად. შრომისმოყვარე და პასუხისმგებლობის დიდი გრძნობის მქონე ახალგაზრდა დააწინაურეს ჯერ თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პოლიციის სამმართველოს დეტექტივების განყოფილების უფროსად, შემდეგ ამავე სამმართველოს მეორე განყოფილების უფროსად. როგორც მამას, რაულსაც უყვარდა თავისი საქმე, თავისი კოლექტივი, თავისი სამშობლო, ბევრი სიკეთე დათესა ამ ქვეყნად.

– მე ბედნიერებასა და სიხარულს ვერ ვმალავდი, – ხშირად ამბობდა რაულ ჩხენკელის ბებია, ქალბატონი ლეილა ჭედიშვილი, – როდესაც რაულმა გადაწყვიტა პოლიციელობა. ჩემი შვილის დაწყებულ სასიკეთო საქმეს ჩემი შვილიშვილი გააგრძელებს და ჩხენკელების გვარი კვლავ საამაყო და სამაგალითო იქნება – როცა რაულს ფორმაში გამოწყობილს ვხედავდი, მეგონა, რომ გია ისევ ცოცხალი იყო. დანამდვილებით ვიცი, რომ ჩემი შვილის ვარსკვლავი არასდროს არ ჩაქრება...

ნამდვილად ასეა, ქალბატონო ლეილა, არც თქვენი შვილის და არც შვილიშვილის ვარსკვლავი არასოდეს არ ჩაქრება.

მაგრამ... გიასი და რაულის უდროოდ შეწყვეტილმა სიცოცხლემ მხოლოდ დარდი და ტკივილი დაგვიტოვა... დედას, მეუღლეს, დას, შვილს, ნათესავებს, მეგობრებს, კოლეგებს... რამდენი რამ დარჩა გასაკეთებელი, მაგრამ... არ დასცალდა. სიკვდილთან ყველა უძლურია, მაგრამ არიან ადამიანები, რომლებმაც იმქვეყნიურ სასუფეველში გადასვლის შემდეგაც ამ ქვეყნად ნათელი კვალი დატოვეს.

სწორედ ასეთ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება რაულ (გოგა) ჩხენკელი, რომლის ლამაზი სული მარადიულ სასუფეველს ვალმოხდილი შეუერთდა.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული, ბატონო პოლიციელო!

**ანი სარიშვილი**

დარჩა - დედა - ია ესიავა, და - ოლიკო ჩხენკელი, მეუღლე - სოფო ილურიძე. თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამართველოს თანამშრომელი და 4 წლის შვილი გიორგი.

გაზეთ „თაობიდან-თაობამდე“-ს რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 26 წლის ასაკში ტრაგიკულად დაიღუპა თბილისის დიდუბე - ჩუღურეთის რაიონის პოლიციის სამართველოს მეორე განყოფილების უფროსი, „ვახტანგ გორგასლის“ - ორდენის კავალერი, პოლიციის უფროსი ლეიტენანტი - რაულ (გოგა) ჩხენკელი.
სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

*ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანთა საბჭოსა*
*და ვეტერან პოლიციელთა სახელით*
*დონი ფანჩულიძე*

26 გაზაფხული ღმერთმა ამ ეშხიან მამაკაცს, ბრწყინვალე შვილს, პატარა გიორგის მამას, დედის საყრდენ ძალას. მაგრამ ტრაგიკულმა შემთხვევამ იმსხვერპლა ძალ-ღონით სავსე, სიცოცხლეზე, ოჯახზე და მეგობრებზე შეყვარებული ახალგაზრდა პოლიციელი. (დ.ფ.)


გია ჩხენკელი

რაულის მამაც, გია ჩხენკელი, პოლიციელი იყო 2000 წლის 29 სექტემბერს, 36 წლის პოლიციის უფროსი ლეიტენენტი ტრაგიკულად დაიღუპა სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს. როგორც მამამისმა, რაულმაც მამის გზა აირჩია და გახდა იმ მრავალრიცხოვანი პოლიციელთა არმიის რიგითი, რომელიც ხალხისა და ქვეყნის სადარაჯოზე დგას.

- მე ბედნიერებასა და სიხარულს ვერ ვმალავდი, - ხშირად ამბობდა რაულ ჩხენკელის ბებია, ქალბატონი ლეილა ჭედიშვილი, - როდესაც რაულმა გადაწყვიტა პოლიციელობა, ჩემი შვილის დაწყებულ სასიკეთო საქმეს ჩემი შვილიშვილი გააგრძელებს და ჩხენკელების გვარი კვლავ საამაყო და სამაგალითო იქნება - როცა რაულს ფორმაში გამოწყობილს ვხედავდი, მეგონა, რომ გია ისევ ცოცხალი იყო. დანამდვილებით ვიცი, რომ ჩემი შვილის ვარსკვლავი არასოდეს ჩაქრება. მაგრამ... გიას და რაულის უდროოდ შეწყვეტილმა სიცოცხლემ მხოლოდ დარდი და ტკივილი დაგვიტოვა... დედას, მეუღლეს, დას, შვილს, ნათესავებს, მეგობრებს, კოლეგებს... რამდენი რამ დაგვრჩა გასაკეთებელი, მაგრამ... არ დასცალდა, სიკვდილთან ყველა უძლურია, მაგრამ არიან ადამიანები რომლებმაც იმქვეყნიურ სასუფეველში გადასვლის შემდეგაც ამ ქვეყნად ნათელი კვალი დატოვეს. სწორედ ასეთ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება მამა-შვილი გია და რაულ (გოგა) ჩხენკელები, რომელთა ლამაზი სული მარადიულ სასუფეველს ვალმოხდილი შეუერთდება.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული, ბატონო პოლიციელო!

*ანჟელა სააკაძე; დონი ფანჩულიძე*



ჯიმი მაისურაძე

# ჯიმშერ „ჯიმი“ დიმიტრის - ძე მაისურაძე

3/02-1949 (43) 26/12-1992 წწ.

**ლეგენდარული პილოტი - მფრინავი, იბრძოდა ვიეტნამში, ლაოსში, ავღანეთში, სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ტერიტორიაზე**

*(დ.ფ.) წიგნიდან: დაზვერვის ოფიცერი - „გიურზა“ „გმირებს დავიწყება არ უწერია“*

...თანამებრძოლი დონი - ფანჩულიძე იხსენებს: 1992 წლის 13-14 აგვისტოა, აფხაზეთის ომის დასაწყისი. თბილისიდან ქ. სენაკში, სანატორიუმ, „მენჯში“ მოგვათავსეს თბილისის შინაგან საქმეთა სამინისტროს გარნიზონის პოლიციის პირადი შემადგენლობა, დაახლოებით 300 კაცი, სადაც შეძლებისდაგვარად ღამე გავათენეთ და ნამგზავრი ვისვენებდით ჩვენზე გამოყოფილ ტრანსპორტთან და მძიმე ტექნიკასთან ერთად.

14 აგვისტოს დილის 6:00 საათზე თბილისის შს მთავარი სამმართველოს უფროსის, გენერალ დავით ზეიკიძისა და თავდაცვის მინისტრ თენგიზ კიტოვანის ბრძანებით წამოვდექით და მოვემზადეთ გზის გასაგრძელებლად, რკინიგზისა და სტრატეგიული ობიექტების დასაცავად აფხაზეთის ტერიტორიაზე. მასთან ერთად იმყოფებოდა ახალგაზრდა მამაკაცი, რომელიც მითითებებსა და რჩევებს იძლეოდა, რათა ჩვენი ტრანსპორტისათვის ზემოდან დაგვემაგრებინა თეთრი ზეწრები. „ერთგვარი მინიშნება პაროლისათვის“. ეს ახალგაზრდა მამაკაცი, ლეგენდარული პილოტი, მფრინავი, პოლკოვნიკი ჯიმშერ „ჯიმი“ მაისურაძე იყო, ქალაქ სენაკის სამხედრო ავიაციიდან, რომელთან ერთად 1991 წლის იანვრის თვეში ჯავის რაიონში მომიხდა საბრძოლო დავალებების შესრულება...

30 მაისი, - „ჯიმშერობის“ დღეა!
ლაგოდეხი, სოფ. გიორგეთში




დონი ფანჩულიძე და ავთანდილ მამნიაშვილი
ჯიმი მაისურაძის საგვარეულო საფლავზე
30 მაისი 2019 წ.

...1992 წლის დეკემბრის დასაწყისია, განმეორებით მომიხდა მიმეღო მონაწილეობა აფხაზეთის ტერიტორიაზე, ოჩამჩირის რაიონი სოფელ ლაბრაში უკვე საბრძოლო ოპერაციებში. დილის საათებია, ბრძანება გაიცა ტყვია-წამლის, საბრძოლო მასალისა და პროდუქტების მომარაგებისათვის, რისთვისაც გამოყოფილი იქნა რამოდენიმე მებრძოლი. კინდღის დასახლება, ე.წ. „ცხელი წყლები“, მიხეილ ცხვედაძესთან და კაკო ინაძესთან ერთად შევასრულეთ აღნიშნული დავალება. რამოდენიმე წუთს მომიხდა მიმდებარე ტერიტორიაზე, მოშორებით გასვლა, რათა მომეხადა „მხედრული ვალი“ ჩემი ახლობლის - გოგა ვაწაძის საფლავზე მისვლით, რომელიც აფხაზი სეპარატისტების მიერ დახვრეტილი იქნა თავისივე ბინაში, რის შემდეგ მეზობლების მიერ დასაფლავებული იქნა თავისივე ეზოში.

ჯიმი მაისურაძემ - „ავღანელმა“, რომელსაც სიყვარულით თანამებრძოლნი მოიხსენიებდნენ, გვიხელმძღვანელა, რათა დროულად შეგვესრულებინა დავალებები, შემდეგ დავტოვეთ ტერიტორია. რამდენიმე წუთის გასვლის შემდეგ ე.წ. „ცხელ წყლებთან“ რუსებმა საზღვაო დესანტი გადმოსხეს...

- ვლადიმერ მამფორია: გულრიფშის რაიონი, სოფელ ფშაფის მკვიდრი, (ამჟამად ლტოლვილია თბილისში). 1992 წლის 26 დეკემბერია, დაახლოებით 10:00 საათი, ვიმყოფებოდი აღნიშნული სოფლის ტერიტორიაზე, მიმდინარეობს საომარი მოქმედებები. ძირითადად მეომრები ადგილობრივი მაცხოვრებლები და სხადასხვა შენაერთების მებრძოლები იყვნენ. მდინარე კოდორის ხეობაში, საბრძოლო ვერტმფრენი, რომელიც მოძრაობდა საშუალო სიმაღლეზე.

გაისმა საარტილერიო ქვემეხების ხმა აფხაზეთის კონტროლირებად ტერიტორიიდან. ჩვენ ყურადღება გადავიტანეთ ხმის მიმართულებით. ლესელიძისა და ვლადიმირის ტერიტორიაზე

# ჯიმშერ (ჯიმი) მაისურაძეს
# <<70 წელი>> შეუსრულდებოდა




ვეტერანები ჯიმი მაისურაძის
საგვარეულო სასაფლაოზე
3 თებერვალი 2019 წ.

განთავსებულ სასაფლაოსთან ჩამოვარდა ვერტმფრენი, საიდანაც მეომრებმა გადმოიყვანეს მფრინავი - პილოტი, რომლის გადარჩენის შანსი არ არსებობდა. მეომრებმა აღმოაჩინეს ჩამოვარნილი მფრინავი. ის აღმოჩნდა ლეგენდარული „ავღანელი“ - ჯიმი მაისურაძე და მერაბ გელაშვილი.

ჯიმშერ „ჯიმი“ დიმიტრის - ძე მაისურაძე დაიბადა 1949 წლის 3 თებერვალს ლაგოდეხის რაიონი, სოფელ გიორგეთში. მომავალ მფრინავს მე-7 კლასში მისი კუმირის ოთარ ჩეჩელაშვილის წიგნი წაუკითხავს, რის შემდეგ უფრო განუმტკიცებია საკუთარი აზრი. მისი მამა ბატონი დიმიტრი შვილზე ამგვარ ამბავს იხსენებს: სახლში ზეწრები გაქრა, მე და ჩემი მეუღლე ვფიქრობდით რა ხდებოდა, საწოლზე ზეწრები აღარ არის, თურმე აუტანია სახლის სახურავზე და საკერავი მანქანით მისგან პარაშუტები შეუკერია. ჩვენი სახლში არყოფნის პერიოდში აივნიდან ხტებოდა. ეს ყველაფერი მეზობლებს დაუნახავს, მათ შემდეგ მშობლებს გაგვიმხილეს, რომ თავიდან თურმე ცდის სახით კატა გადაუფრენია და კატას კუსტარული პარაშუტები სულ ბრჭყალებით დაუხევია. სახლში რომ მივდიოდით, ფეხებს იტკიებდა, გვიან მივხვდით თუ რა იყო მისი ტკივილის მიზეზი. მერე და მერე მართლაც გავიგეთ და ვირწმუნეთ მისი შესაძლებლობები.

ავღანეთის, სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ომების ვეტერანს არ გასჭირვებია მოყვარეთა გულის მოგება და მტრის გულის გახეთქვა, მისი ვერტმფრენის ჩამოგდებისათვის აფხაზ სეპარატისტებს ათასობით მანეთი დაუწესებიათ და ეს ყველაფერი მათ 1992 წლის მიწურულს მოახერხეს. როგორც მას შეარქვეს - „ვოზდუშნი ხულიგანი“ აფხაზ სეპარატისტებმა... 26 დეკემბერს მათი სურვილი ასრულდა, დილის საათებში ჩამოგდებული იქნა მტრის კონტროლირებად ტერიტორიულ სივრციდან.

ჯიმი მაისურაძის მეუღლე - ნათელა მაისურაძე იხსენებს, რომ მთელი დღის მანძილზე უმალავდნენ მეუღლის დაღუპვის ამბავს. ნათესავმა დამირეკა წყალტუბოდან და ცუდი ამბავი გავიგეო, მითხრა, მე ლაპარაკი ვეღარ გავაგრძელე და არც მან თქვა სათქმელი ბოლომდე. მეზობელთან გავედი და რამდენჯერმე დავაკაკუნე, მაგრამ მან კარები არ გამიღო, რაღაცას მივხვდი, ვკითხე კიდევაც ხომ არ დაიღუპა მეთქი? მაგრამ მომატყუეს დაჭრილიაო. წასვლა გადავწყვიტე, ვიფიქრე ჩემი შველა სჭირდება, ახლა მის გვერდზე უნდა ვიყო მეთქი. თურმე სულ ტყუილად, ის უკვე აღარ იყო. ეს კოშმარული ტკივილიანი დღეები არასოდეს დამავიწყდება. მასთან 18 წლის მანძილზე თანაცხოვრებიდან ბევრი კეთილი მოგონებები დამიგროვდა, საქართველოს ბიჭების დაღუპვის შესახებ ზოგჯერ იმასაც ვფიქრობ, მე რა მიჭირს, ჯიმშერი 43 წლის მაინც იყო და ქვეყანას სამი ვაჟიშვილი დაუტოვა, რა ჰქნას იმათმა მშობლებმა, რომლებმაც უწვერულვაშო შვილებს ოჯახის სითბოც არ განუცდიათო, ჩემი მეუღლის გვერდით 11 ახალგაზრდა ქართველი მფრინავი დაიღუპა, რომელთა ცხედრები ვერ იპოვეს.

ჯიმი მაისურაძე სიკვდილის შემდეგ ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს და ეროვნულ გმირად აღიარეს. მისი ორი ვაჟი მამის კვალს გაჰყვა და დღეს უკვე პროფესიონალი მფრინავები არიან.

...რაც უფრო მეტი დრო მაშორებს მოვლენებიდან, რომლებიც როგორც ქარბუქი შემოიჭრა ჩემს ცხოვრებაში და შეცვალა მისი ზოგიერთი მიმდინარეობა, მით მეტად და სრულად მსურს მოგითხროთ ამ მოვლენების შესახებ. ჩვენი გზა ვარდებით მოფენილი არ ყოფილა, როგორც სხვები ფიქრობდნენ, ეკლებს მოჰქონდა აუტანელი ტკივილი და ტანჯვა, მაგრამ ჩვენ კბილებშეკრულები ვაგრძელებდით წინსვლას ტრიუმფისაკენ. (დ.ფ.)

დავუბრუნდეთ აფხაზეთის მოვლენებს. ჩვენი არტილერისტები ატარებდნენ მეთოდურად ქვემეხების სროლას მოწინააღმდეგის წინა მხარეზე პროვოცირებას უწევდნენ, რათა მათ საპასუხო გასროლა მოეხდინათ და მინდა ავღნიშნო, რომ ეს მეთოდი კარგად გამოგვივიდა.

ჩვენი არტილერია მუშაობდა საკმაოდ ეფექტურად, მაგრამ მოხდა ისე, რომ გადაიყვანეს ქალაქ ფოთში და დაგვტოვეს პირისპირ ქვეითი ჯარი კბილებამდე შეიარაღებულ მოწინააღმდეგესთან, ხოლო როგორც ცნობილია, ქვეითი ჯარი არტილერიის მხარდაჭერის გარეშე ცარიელი „ფუფლოს ხმაა“.

ეს მოხდა ასე: სოხუმის სანატორიუმის ტერიტორიაზე რუსეთის შეიარაღებული ძალებს ჰქონდათ თათბირი, მზადდებოდა საერთო განცხადება კონფლიქტური ძალების დაშორებაზე. მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა, მხარეებმა ვერ მოძებნეს ოქროს შუალედი  და ვერ მოილაპარაკეს. სწორედ ამ კრიზისულ მომენტში თათბირზე მივიდა ჯაბა იოსელიანი. თათბირს ესწრებოდა საქართველოს, აფხაზეთის და რუსეთის მხარეების ხელმძღვანელი პირების შემადგენლობა. შეთანხმების შესრულების გარანტად გამოდიოდა რუსეთის მხარე. მოისმინა რა მხარეების უსარგებლო კამათი, ჯაბა იოსაელიანმა შესთავაზა  მათ შექმნილიყო ოცდაათკილომეტრიანი უსაფრთხოების ზონა და ამ ზონიდან გაეყვანათ ჯარები და მძიმე არტილერია. დამსწრეებმა აღტაცებით მიიღეს ეს იდეა და თათბირზე გადაწყდა გაეყვანათ აფხაზური ფორმირებები ახალ ათონში, ხოლო ქართული შეიარაღებული ფორმირებები და მძიმე შეიარაღება - სოფელ მაჭარასთან, გულრიფშის შესასვლელ ტერიტორიაზე, მაგრამ ყველაფერი კარგად და სწორად კეთდებოდა მხოლოდ ზღაპარში. გამოიძებნა ვიღაც ჭკუის კოლოფი ჩვენს ხელმძღვანელობაში, მოელაპარაკა  რუს სამხედროებს და მათ კარგი მძიმე საზიდი რკინიგზის ვაგონებით გადაიტანეს ტანკები და არტილერია ფოთში

(შეგიძლიათ დაიჯეროთ ეს აბსურდი? ვინ და თუ არ მაშინდელ მხედარმთავრებს შეეძლო გაეცა ეს ბრძანება? ვინ თუ არ უმაღლესი საქალაქო კომიტეტი წყვეტდა ასეთ საკითებს?)

ჯაბა იოსელიანმა მოღალატეობრივი აქტის შესახებ გაიგო თბილისში ყოფნის დროს, საშინლად გამძვინვარდა, მაგრამ უკვე გვიან იყო. მოწინააღმდეგემ ისარგებლა ჩვენი ხელმძღვანელობის დანაშაულებრივი დაუდევრობით და უცნაურობით შექმნა უძლიერესი არტილერიულ - ნაღმსატყორცნი მუხტი, ჭკვიანურად გამოიყენა და ჩვენი სამხედრო ქვედანაყოფები ჩააყენა ძალიან მძიმე მდგომარეობაში. აი, ასე დარჩა ჩვენი პოზიცია არტილერიის მხარდაჭერის გარეშე. შეიქმნა მძიმე მდგომარეობა. (ადრე, მეჩვენებოდა, რომ ეს აქცია ჩატარდა სპონტანურად ყოველგვარი გეგმის გარეშე, მაგრამ მოგვიანებით ინფორმირებული წყაროებიდან მე გავიგე, რომ ძალიან ვცდებოდი ჩემს მსჯელობაში). (დ.ფ.)

მიღებული ინფორმაციით ასე გამოდიოდა: მთავრობამ ჩაატარა ტექნიკის გადაადგილება შეგნებულად და საქმის დიდი ცოდნით, უფრო სწორად: ამ აქციით მმართველმა ხელმძღვანელობამ შეძლო მაქსიმალურად დაესუსტებინა და სისხლისგან დაეცალა ყველაზე ძლიერი დაჯგუფება, რომელსაც წარმოადგენდა იმ პერიოდში „მხედრიონი“. ყოჩაღ ბატონებო, თქვენ ეს მშვენივრად გამოგივიდათ, მაგრამ ფრონტი ფრონტია და ყველაზე ახლოს მოწინააღმდეგესთან იყო „მხედრიონი“, გელაშვილის ხელმძღვანელობით, რომელიც ბორჯომელი იყო და კასპის ბატალიონი, ტარიელ შარიფაშვილის ხელმძღვანელობით.

ყველაფერი დაიწყო გვიანღამით. გელაშვილის და შარიფაშვილის ხალხმა ორივე მხრიდან შემოარტყეს მოწინააღმდეგის პოზიციას, სოფელ ლაბრაში და შეუმჩნევლად შეაღწიეს მოწინააღმდეგის ზურგში.

# "ღიმილის ბიჭები"

# „გმირებს დავიწყება არ უწერიათ“

### ვინ იყო ქართველი სამხედრო პილოტი, რომლის საფლავზე საბრძოლო ვერტმფრენი დგას



ჯიმშერ "ჯიმი" მაისურაძე

ლაგოდეხის სიახლოვეს, სოფელ გიორგეთის სასაფლაოზე, უკვე მრავალი წელია, რაც ერთ-ერთ საფლავს საბრძოლო ვერტმფრენი „დარაჯობს“... აქ ქართველი სამხედრო პილოტი – ჯიმშერ (ჯიმი) მაისურაძე განისვენებს, რომელიც სიკვდილის შემდეგ ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს და ეროვნულ გმირად აღიარეს. მას რუსები მეტსახელად „ჩორნი პალკოვნიკს“ (შავი პოლკოვნიკი), ხოლო აფხაზი სეპარატისტები „ვოზდუშნი ხულიგანს“ ეძახდნენ. ჯიმი მაისურაძე ავღანეთში, სამაჩაბლოსა და აფხაზეთში იბრძოდა. 1992 წლის 26 დეკემბერს, მისი – „МИ-24“ მოწინააღმდეგის დესანტებმა რაკეტით აფხაზეთში ჩამოაგდეს. პილოტის მეგობარმა, ხელისუფლების მიმართ პროტესტის ნიშნად, მის საფლავზე ერთ-ერთი საბრძოლო ვერტმფრენი დასვა, რადგან ხელისუფლება ყურადღებას არ აქცევდა ჯიმი მაისურაძის ოჯახს და არც მისი ხსოვნის პატივსაცემად ზრუნავდა. ვერტმფრენი დღესაც იქ დგას...

ჯიმი მაისურაძე 1949 წლის 3 თებერვალს, ლაგოდეხის რაიონში, სოფელ გიორგეთში დაიბადა. მომავალ მფრინავს მე-7 კლასში მისი კუმირის, ოთარ ჩეჩელაშვილის წიგნი წაუკითხავს და გადაუწყვეტია, მფრინავი გამოსულიყო. მამამისი, დიმიტრი მაისურაძე იხსენებს: „სახლში ზეწრები გაქრა. მე და ჩემი მეუღლე ვფიქრობდით, რა მოხდა. საწოლზე ზეწრები აღარ იყო. თურმე ჯიმის აუტანია სახლის სახურავზე და პარაშუტები შეუკერავს. ჩვენი სახლში არყოფნის პერიოდში აივნიდან ხტებოდა. ეს ყველაფერი მეზობლებს დაუნახავთ და ამბავი მოგვიტანეს. მაშინღა მივხვდით, თუ რატომ იტკიებდა ფეხებს“.



დონი ფანჩულიძე და ავთო მამნიაშვილი

1992 წლის 26 დეკემბერს, მდინარე კოდორის ხეობაში საბრძოლო ვერტმფრენი პატრულირებდა. აფხაზეთის კონტროლირებად ტერიტორიიდან საარტილერიო ქვემეხის ხმა გაისმა. ლესელიძესა და ვლადიმირის ტერიტორიაზე განთავსებულ სასაფლაოსთან ვერტმფრენი ჩამოვარდა, საიდანაც მეომრებმა მფრინავი-პილოტი გადმოიყვანეს. მისი გადარჩენის შანსი არ არსებობდა. ის ჯიმი მაისურაძე გახლდათ...

ჯიმი მაისურაძის ვერტმფრენის ჩამოგდებისთვის აფხაზ სეპარატისტებს ჯილდოდ ათასობით მანეთი დაუწესებიათ. მისი თანამებრძოლი დონი ფანჩულიძე იხსენებს: „1992 წლის 13 აგვისტოა, აფხაზეთის ომის დასაწყისი. თბილისის შინაგან საქმეთა სამინისტროს გარნიზონის პოლიციის პირადი შემადგენლობა თბილისიდან ქ. სენაკში, სანატორიუმ „მენჯში“ მოგვათავსეს. დაახლოებით 300 კაცი ვიყავით. დილის 6:00 საათზე თბილისის შს მთავარი სამმართველოს უფროსის, გენერალ დავით ზეიკიძისა და თავდაცვის მინისტრ თენგიზ კიტოვანის ბრძანებით გზის გასაგრძელებლად მოვემზადეთ. აფხაზეთის ტერიტორიაზე რკინიგზისა და სტრატეგიული ობიექტების დასაცავად უნდა გავსულიყავით. ხელმძღვანელობასთან ერთად ახალგაზრდა მამაკაცი იმყოფებოდა, რომელიც მითითებებს და რჩევებს გვაძლევდა, რომ ჩვენი ტრანსპორტისთვის ზემოდან თეთრი ზეწრები დაგვემაგრებინა. ეს იყო ერთგვარი მინიშნება პაროლისთვის. ეს ახალგაზრდა მამაკაცი გახლდათ ლეგენდარული პილოტი, მფრინავი, პოლკოვნიკი ჯიმი მაისურაძე, ქალაქ სენაკის სამხედრო ავიაციიდან.



ვეტერანები ჯიმი მაისურაძის საგვარეულო სასაფლაოზე

...ჯიმი მაისურაძემ, იგივე „ავღანელმა“, რომელსაც სიყვარულით მოიხსენიებდნენ თანამებრძოლები, დავალებების შესრულებაზე გვიხელმძღვანელა. ე.წ. „ცხელ წყლებთან“ რუსებმა საზღვაო დესანტი გადმოსხეს... გვიან ღამით, ჩვენმა დაზვერვის ჯგუფმა მოწინააღმდეგის შტაბის გუშაგები უხმაუროდ გაანეიტრალეს და საგუშაგოს შენობაში ყუმბარები ჩააგდეს. მზვერავების მოულოდნელმა გამოჩენამ მოწინააღმდეგე პანიკაში ჩააგდო. შეცბუნებული შტაბის წევრები ყოველგვარი გასროლის გარეშე ჩაბარდნენ. ტყვედ ჩავარდნილებს შორის იყო რამდენიმე რუსი ოფიცერი, აფხაზეთის ფორმირებების მრჩევლები და ცნობილი აფხაზი მწერალი – ახუბა. ჯაბა იოსელიანმა გვთხოვა, რომ მწერალი აფხაზეთის ფორმირებების ადგილამდე გაგვეცილებინა. მწერალს მისცეს წერილი, აფხაზეთის ხალხისადმი მოწოდება და მშვიდობიანად გაუშვეს.

...„დესანტები“ ტამიშის მაღლობზე გადმოვიდნენ. მათ მოახერხეს სტრატეგიულად მნიშვნელოვან სიმაღლეზე დაბანაკებულიყვნენ, ხელში ჩაეგდოთ სკოლის შენობა და იქიდან დაუსჯელად დაეცხრილათ გზატკეცილი ყუმბარმტყორცნებითა და ჭურვმტყორცნებით. თავხედურად, ხელში იგდებდნენ დაცვის გარეშე მიმავალ სატვირთო მანქანებს. იმისთვის, რომ მოწინააღმდეგის ნეიტრალიზაცია მოგვეხდინა, ჩვენს ზურგში გადაყვანილ იქნა „მხედრიონის“ გაერთიანება გიგა გელაშვილის ხელმძღვანელობით. 'გელაშვილის ხალხი' წარუმატებლად ცდილობდა დაემარცხებინა მოწინააღმდეგე გაბატონებულ სიმაღლეზე. შეიქმნა



ვეტერანები, - გურამ ალავიძე, ავთო მამნიაშვილი, დონი ფანჩულიძე, მურთაზ გაბიტაშვილი ჯიმი მაისურაძის ობილისკთან. ლაგოდეხის რაიონი.

კრიტიკული მდგომარეობა. ჩვენს მეომრებს ტყვია-წამალი უთავდებოდათ. უფროსობამ მიიღო გადაწყვეტილება, მოწინააღმდეგე პრევენციული დარტყმით, ჰაერიდან გაენადგურებინათ. რისთვისაც გადაწყვიტეს დასაბომბად გამოცდილი ვერტმფრენის პილოტი – „ავღანელი“ ჯიმი მაისურაძე გამოეძახათ.

უშიშარი მებრძოლი, ვერტმფრენით, შეიარაღებული „ნურსის“ ბომბებით გამოფრინდა სოხუმიდან. პილოტმა კურსი ზღვის მიმართულებით აიღო. მიუახლოვდა თუ არა მიზანს, მკვეთრი მოხვევა გააკეთა და ტამიშის სიმაღლის მიმართულებით გაექანა. სანგარში მყოფმა მეომრებმა მათ დასახმარებლად მოსული ვერტმფრენი შენიშნეს და სულიერად განმტკიცდნენ. მოწინააღმდეგეს მიზნული ცეცხლი გაუხსნეს და ვერტმფრენს საშუალება მისცეს მიზანთან შეუმჩნევლად მიფრენილიყო. უცებ, ჰაერში რაკეტა აიჭრა და ცეცხლოვანი კვამლით გაექანა ვერტმფრენის მიმართულებით. პილოტმა თერმული რაკეტის საწინააღმდეგო ხაფანგის ღილაკს დააჭირა და ვერტმფრენის ირგვლივ სივრცე ცეცხლის ფოიერვერკით შეიფერა. რაკეტამ მიზანი დაკარგა და გვერდზე გადაიხარა. ჩაირთო თვითლიკვიდატორი და ყრუ დარტყმით განადგურდა. ვერტმფრენმა საბრძოლო ბრუნი შეასრულა, რათა გამანადგურებელი დარტყმა მოეხდინა. მოწინააღმდეგის დესანტები მთელი ძალით ცდილობდნენ ჩამოეგდოთ მათთვის ასე შემაწუხებელი ვერტმფრენი. ჯიმიმ ისევ აიცილა



=სხოვრება გრძელდება=
მარცხნიდან : პატარა ჯიმი მაისურაძე. დონი ფანჩულიძე. საბა მაისურაძე. გად. 2015 წლის 22 თებერვალს ქ. თბილისი

მტრის რაკეტა და გაქცეულ მოწინააღმდეგებს კვალში ჩაუდგა, მაგრამ ქვემოდან ვერტმფრენს „ტრაგიური“ ჯერი მოარტყეს. მარჯვენა ტყვიამფრქვევიდან ცეცხლის ქარიშხალი ამოვარდა... მოწინააღმდეგე დამარცხდა.“

*ამონარიდი დონი ფანჩულიძის წიგნიდან, -*
*<<და ზღურბლის იქიდან „გიური“>>*

დაზვერვის ჯგუფი გავიდა მოწინააღმდეგის შტაბის განლაგებაში, უჩუმრად გაანეიტრალეს გუშაგები, საგუშაგოს შენობაში ჩააგდეს ყუმბარები. მზვერავების მოულოდნელმა გამოჩენამ მოწინააღმდეგე პანიკაში ჩაგდო.

შეცბუნებული შტაბის წევრები ჩაბარდნენ ყოველგვარი გასროლის გარეშე, ჯგუფმა ხელში ჩაიგდო დიდი რაოდენობის იარაღი, ტყვია-წამალი, ასევე თოთხმეტი ტყვე. ტყვედ ჩავარდნილებს შორის იყვნენ რამოდენიმე რუსი ოფიცერი, აფხაზეთის ფორმირებების მრჩევლები და ცნობილი აფხაზი მწერალი - ახუბა. ჯაბა იოსელიანმა ბრძანა, რომ კოლეგა მიეყვანათ მასთან. როგორც კეთილი ნების ჟესტი - იოსელიანმა გვთხოვა გაგვეცილებინა მწერალი აფხაზეთის ფორმირების ადგილას. მწერალს ჩააბარეს წერილი, - აფხაზეთის ხალხისადმი მოწოდება და გაუშვეს მშვიდობიანად.

გიგა გელაშვილი დაბრუნდა ფრონტიდან მოკლევადიანი შვებულებით, არ უნდოდა თავისი ამხანაგების მიტოვება, რადგან დაუმეგობრდა, გადაეჯაჭვა ჯარისკაცების გულებს და ეხლა არ უნდოდა მათი დატოვება მტრების საჯიჯგნად, მაგრამ მიზეზი იყო სერიოზული - მეუღლე დღედღეზე მშობიარობდა და ელოდა პირველი ბავშვის დაბადებას. ყველაფერი სხვაგვარად დაეწყო, თავისი პირმშო გიგამ მოგვიანებით ნახა, მანამდე კი მას ეძებდა გულამოვარდნილი „პასილნოი“.

- გიგა, ჯაბა კონსტანტინეს ძეს სასწრაფოდ სურს შენი ნახვა, - ბრძანება იყო ლაკონური და გარკვეული.

ტამიშის მაღლობზე გადმოვიდნენ „დესანტები“. მათ მოახერხეს გამაგრებულიყვნენ სტრატეგიულად მნიშვნელოვან სიმაღლეზე, ხელში ჩაეგდოთ სკოლის შენობა და იქედან დაუსჯელად დაეცხრილათ გზატკეცილი ყუმბარმტყორცნებით და ჭურვ-მტყორცნებით, ახდენდნენ თავხედურ გამოსვლას, ხელში იგდებდნენ

დაცვის გარეშე მომავალ სატვირთო მანქანებს, იმისათვის რომ მოწინააღმდეგის ნეიტრალიზაცია მოეხდინათ. ჩვენს ზურგში გადაყვანილი იქნა „მხედრიონის“ გაერთიანება გიგა გელაშვილის ხელმძღვანელობით. გელაშვილის ხალხი წარუმატებლად ცდილობდა დაემარცხებინა მოწინააღმდეგე გაბატონებულ სიმაღლეზე და ამავე დროს ჰქონდათ დიდი დანაკლისი.

გამოიყენა რა ადგილობრივი რელიეფი და თავდაცვითი გამაგრებები, არ დაუტოვეს მოწინააღმდეგეს წარმატების არც ერთი შანსი. შეიქმნა კრიტიკული მდგომარეობა, მოწინააღმდეგეს ნებისმიერ მომენტში შეეძლო მიეღო დახმარება, ხოლო ჩვენს მეგობრებს ტყვია - წამალი უკვე უთავდებოდათ. კარგი იყო დახმარებაც ყოფილიყო, მაშინ ჩვენმა უფროსობამ მიიღი გადაწყვეტილება გაენადგურებინათ მოწინააღმდეგე პრევენციული დარტყმით ჰაერიდან. ავიაციით დავბომბოთ? - ეს ვარიანტი თავიდანვე უარყოფილი იყო, რადგან ვერაფერს სარგებელს ვერ იძლეოდა. ამ ადგილას განლაგებული საწყობები არ იძლეოდა საშუალებას ჩატარებულიყო ჩვენი მხრიდან, იქნებოდა დანაკარგი.

- როგორ მოვიქცეთ? - ფიქრობდა გიგა გელაშვილი და ათვალიერებდა სამხედრო რუქას. - მოვარტყათ შუბლში? - დიდი მსხვერპლი იქნება. გადაწყვიტეს დაბომბვისათვის გამოეძახებინათ გამოცდილი ვერტმფრენის პილოტი, - „ავღანელი ჯიმი მაისურაძე“.

უშიშარი მებრძოლი, რომელმაც არაერთხელ დაამტკიცა ავღანეთში, რომ ყოველთვის იყო საბრძოლო მოქმედების შუაგულში. ამ შემთხვევაში შეცდომა მოხდა, მან სამწუხაროდ არ იცოდა ის ადგილი და რელიეფი, რომელზეც უნდა ჩაეტარებინა მიზნობრივი დაბომბვა. დაიწყეს ფიქრი, - მარჩიელობა, თუ ვინ გაეშვათ მასთან ერთად. ვინ იცის ეს ადგილი? და ამ დროს ვიღაცას გაახსენდა გიგა გელაშვილი. ამ ადამიანმა სიგრძე - სიგანეზე იცოდა ეს ადგილები,

მშვენივრად ორიენტირებდა, კარგად იცოდა მოწინააღმდეგის პოზიციების განლაგება. რუქაზე გიგამ პილოტს მიანიშნა მოწინააღმდეგის საცეცხლე წერტილები, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. მაშინ გიგამ გადაწყვიტა გაერისკა და გაფრენილიყო. ადრე, ასეთ საჰაერო ესკადრილიაში გიგა მონაწილეობას არ იღებდა, ამიტომ აზარტში შესულმა ვერ გაარკვია თუ რამდენად ახლოს იყო მასთან სიკვდილი და მხოლოდ ჯიმი მაისურაძის პროფესიონალიზმა გადაარჩინა. საბრძოლო გამოცდილების, მოხერხების და გამჭრიახი თვალის საშუალებით დამარცხებული იქნა მოწინააღმდეგე, ის იძულებული იყო პანიკურად გაქცეულიყო. აი, ასე მოხდა ეს ამბავი, ვერტმფრენი შეიარაღებული „ნურსის“ ბომბებით გამოფრინდა სოხუმიდან, პილოტმა კურსი აიღო ზღვის მიმართულებით, მანქანა დაბლა დაწია, ისე რომ არ ეხებოდა ზღვას ბორბლებით, მიფრინავდა ნაპირის გაყოლებაზე. დაბლა ფრენის სიჩქარე ჩანდა ძალიან დიდი. მიუახლოვდა რა ახლოს მიზანს, პილოტმა გააკეთა მკვეთრი მოხვევა და მანქანა გაქანდა ტამიშის სიმაღლის მიმართულებით.


მერაბ გელაშვილი
(8.06.1966 - (26) 26.12.1992 წწ.)
ჯიმი მაისურაძის მეწყვილე

გელაშვილს სუნთქვა შეეკრა, სანგარში მყოფმა მეომრებმა შენიშნეს მათ დასახმარებლად მოსული ვერტმფრენი, სულიერად განმტკიცდნენ და მოწინააღმდეგეს გაუხსნეს მიზმული ცეცხლი, ამით ვერტმფრენს მისცეს საშუალება მიფრენილიყო შეუმჩნევლად მიზანთან და დაეცხრილა მოწინააღმდეგე. ჰაერში აიჭრა. რაკეტამ გახაზა ცეცხლიანი კვამლი და გაემართა დაუცველ ვერტმფრენის მიმართულებით. ქვემოთ ყველას სუნთქვა შეეკრა. ჩანდა, რომ ვერტმფრენის ბედი გადაწყვეტილი იყო. ცოტაც და მიწიდან გაშვებული რაკეტა გაანადგურებდა ვერტმფრენს მტკიცე მოძრაობით პილოტმა ხელი დააჭირა თერმულ რაკეტის საწინააღმდეგო ხაფანგის

ღილაკს და ვერტმფრენის ირგვლივ სივრცე შეიფერა ცეცხლის ფეიერვერკით. რაკეტამ დაკარგა მიზანი და გვერდზე გადაიხარა, ჩაირთო თვითლიკვიდატორი და ყრუ დარტყმამ დაანახა, რომ ის განადგურდა, პილოტის გვერდით მჯდომ გელაშვილს სუნთქვა შეეკრა, ჰაერში გაჩნდა მწვანე ღრუბელი, აზილა ტოტები და ფოთლები, ვერტმფრენმა გაჭიმვით ააზმუილა ძრავა და გასწორდა. ათობით ადამიანმა შვებით ამოისუნთქა. მანქანა აფრინდა მაღლა. გამჭოლმა „ნურსის სახეობის რაკეტამ ხანჯლისებურმა დარტყმამ გამოიწვია ცეცხლის ქარიშხალი, შედეგად ჰაერში დაფრინავდა ტანსაცმელი, ადამიანთა სხეულის ნაწილები, დამტვრეული იარაღი. მოწინააღმდეგის პოზიცია განადგურებული იქნა. გიგა გელაშვილი თვალს ვერ აცილებდა ვერტმფრენს, რომელიც ეშვებოდა, რამოდენიმე კილომეტრში იმ ადგილილსგან, სადაც ისინი იმყოფებოდნენ. აი, ვერტმფრენი გამოჩნდა ხეობიდან და მაღლა გაემართა, ვერტმფრენმა შეასრულა საბრძოლო ბრუნი, რათა ბოლო გამანადგურებელი დარტყმა მოეხდინა.

მარჯვნიდან ჰაერში გაემართა რაკეტა. მოწინააღმდეგის დესანტები ცდილობდნენ ჩამოეგდოთ მათთვის ასე შემაწუხებელი ვერტმფრენი. ისე ჩანდა, რომ ვერტმფრენის დასასრული დადგა, საშველი არ იყო თვითმართველი რაკეტისაგან. ის გავდა „კობრას“, რომელიც აპირებდა თავისი სასიკვდილო მკბენარი ჩაესო ვერტმფრენის კორპუსში. ჯიმი მაისურაძემ ისევ დააჭირა ხელი ღილაკს. მანქანის ორივე ბორტიდან სხვადასხვა მიმართულებით, გამოვარდა სითბური რაკეტა, შემცდარი რაკეტა გაემართა ცაში ანთებულ გუნდისკენ და ჩაასო მას სასიკვდილო კბილი. პილოტმა გადაიტანა მანქანა მკვეთრი მოხვევით, გელაშვილმა მიანიშნა პილოტს მიწაზე მორბენალი მოწინააღმდეგე მხრის ჯარისკაცებზე, მანქანამ




ჯიმი მაისურაძის სახელობის მუზეუმი
ლაგოდეხის, სოფ. გიორგეთის საჯარო სკოლა




ჯიმი მაისურაძის განახლებული მუზეუმის გახსნა
ლაგოდეხი, სოფ. გიორგეთი




მარცხნიდან: გენერალი კობა კობალაძე, - საქართველოს ვეტერანთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორი, დონი ფანჩულიძე - ომის ვეტერანი, თამარ მაისურაძე - ლაგოდეხის რაიონის სოფელ გიორგეთის ჯიმი მაისურაძის სახელობის სკოლის დირექტორი.
სკოლის განახლებული მუზეუმის გახსნაზე



მარცხ: ჯუმბერ მაისურაძე, დონი ფანჩულიძე, გურამ ალავიძე, მურთაზ გაბიტაშვილი. სახლ-მუზეუმი ჯიმი მაისურაძის ძმის ჯუმბერ მაისურაძის ოჯახში.
ლაგოდეხი, სოფ. გიორგეთი 30 მაისი 2018

გააკეთა საბრძოლო ბრუნი და გაქცეულ მოწინააღმდეგებს კვალში ჩაუდგა. ქვემოდან ვერტმფრენს მოარტყეს „ტრასიური“ ჯერი, მაგრამ ამან მანქანას ვერავითარი ზიანი ვერ მიაყენა. მარჯვენა ტყვიამფრქვევიდან ამოვარდა ცეცხლის ქარიშხალი, „ნურსებმა“ დაუნდობლად გაანადგურეს ყველაფერი, რაც კი გზაზე ხვდებოდათ. მოწინააღმდეგე დამარცხდა, ქვეითმა ჯარმა გაქცეულებს საბოლოოდ მოუღო ბოლო.

დონი ფანჩულიძის წიგნიდან: დაზვერვის ოფიცერი „გიურზა“

## <<კიდევაც დაიზრდებიან>>



=ცხოვრება გრძელდება=
მარცხნიდან : პატარა ჯიმი მაისურაძე, დონი ფანჩულიძე, საბა მაისურაძე. გად. 2015 წლის 22 თებერვალს ქ. თბილისი

ჯიმი მაისურაძის მეუღლე - ნათელა კობერიძე-მაისურაძე იხსენებს, რომ მთელი დღის მანძილზე უმალავდნენ მეუღლის დაღუპვის ამბავს.

„...ნათესავმა დამირეკა წყალტუბოდან და ცუდი ამბავი გავიგეო, მითხრა. მე ლაპარაკი ვეღარ გავაგრძელე და არც მან თქვა სათქმელი ბოლომდე. მეზობელთან გავედი და რამდენჯერმე დავაკაკუნე, მაგრამ მან კარები არ გამიღო. რაღაცას მივხვდი, ვკითხე კიდევაც ხომ არ დაიღუპა მეთქი? მაგრამ მომატყუეს დაჭრილიაო. წასვლა გადავწყვიტე, ვიფიქრე ჩემი შველა სჭირდება, ახლა მის გვერდზე უნდა ვიყო-მეთქი. თურმე სულ ტყუილად, ის უკვე აღარ იყო. ეს კოშმარული ტკივილიანი დღეები არასოდეს დამავიწყდება. მასთან 18 წლის მანძილზე თანაცხოვრებიდან ბევრი კეთილი მოგონებები დამიგროვდა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის საბრძოლო ოპერაციებში, 22-28 წლის ბიჭების დაღუპვის შესახებ ზოგჯერ იმასაც ვფიქრობ, მე რა მიჭირს, ჯიმშერი 43 წლის მაინც იყო და ქვეყანას სამი ვაჟიშვილი დაუტოვა, რა ჰქნას იმათმა მშობლებმა, რომლებმაც უწვერულვაშო შვილებს ოჯახის სითბოც არ განუცდიათო, ჩემი მეუღლის გვერდით 11 ახალგაზრდა ქართველი მფრინავი დაიღუპა, რომელთა ცხედრები ვერ იპოვეს.

ჯიმი მაისურაზე სიკვდილის შემდეგ ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს და ეროვნულ გმირად აღიარეს. მისი ორი ვაჟი მამის კვალს გაჰყვა და დღეს უკვე პროფესიონალი მფრინავები არიან.

(დონი ფანჩულიძის წიგნიდან, - დაზვერვის ოფიცერი „გიურზა“.)

## „ინტერნეტ სივრციდან“




ნათელა კობერიძე-მაისურაძე
1/05/1956 (68) 25/04-2023 წწ.

ქალბატონო, - ნათელა! (კობერიძე-მაისურაძე) იმიერში გილოცავთ დაბადების დღეს 1/V-1955 წ. (68) 25/IV-2023 წ, პირველ მაისს, 30 აპრილი თქვენი დაკრძალვის დღე დაემთხვა. (მეორე დღეს თქვენი დაბადების დღეა პირველი მაისი, საბოლოო სასუფეველს, ჩემს თანამებრძოლ, - ჯიმი მაისურაძესთან ერთად გააგრძელებ ცხოვრებას. სანთელ-საკმეველი და არდავიწყება -„საქართველოს ეროვნული გმირის“ - ჯიმი მაისურაძის მეცხედრე, მსუბუქი იყოს, ლაგოდეხში, სოფელ გიორგეთის საგვარეულო სასაფლაოზე, თქვენს გულზე დაყრილი მიწა.

ჯიმი მაისურაძის თანამებრძოლების სახელით: დონი ფანჩულიძე

1/V-2023 წ.




დაკრძალვის პროცესი

<<კიდევაც დაიზარდნენ>>




=ცხოვრება გრძელდება=
მარცხნიდან: ჯიმი მაისურაძე უმცროსი, დონი ფანჩულიძე და საბა მაისურაძე
გადაღებულია 2022 წლის 12 აგვისტო, ლაგოდეხი სოფ. გიორგეთი




მარცნიდან: დონი ფანჩულიძე, ნინო ბატიაშვილი, მურთაზ გაბიტაშვილი, კახა ჯამბურია, გურამ ალავიძე და ჯუმბერ მაისურაძე შვილებთან ერთად ლაგოდეხი, სოფ. გიორგეთი 30.05.2023 წ.



ჯიმშერ (ჯიმი) მაისურაძის საგვარეულო სასაფლაო
ლაგოდეხის რაიონი, სოფ. გიორგეთი, 30,05,2023 წ.

## <<ჯიმშერობა>>

30.05.2023 წ.

2023 წლის 30 მაისს, ლაგოდეხის რაიონი, სოფელ გიორგეთში, მშობლიურ სოფელში ლეგენდარულ მფრინავ-პილოტ ჯიმშერ (ჯიმი) მაისურაძის ტრადიციული დღესასწაული „ჯიმშერობა" გაიმართა. მთელი დღის განმავლობაში სხვადასხვა სპორტული და კულტურული ღონისძიებები ადგილობრივებთან და თბილისიდან ჩასულ სტუმრებთან ერთად მიმდინარეობდა.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, - ნინო ბატიაშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარემ კახა ჯამბურიამ, საქართველოს ომის ვეტერანთა სახელმწიფო სამსახურის სპეციალისტმა, ომის ვეტერანმა, - მურთაზ გაბიტაშვილმა, ავღანეთისა და სხვა ომების მეომართა დახმარების საერთაშორისო ფონდის პრეზიდენტმა,- გურამ ალავიძემ, ამავე ორგანიზაციის პრესსამსახურის ხელმძღვანელმა ომის ვეტერანმა, - დომენტი (დონი) ფანჩულიძემ გვირგვინებით შეამკეს როგორც ქალაქში მის სახელობის სკვერში მდგარი ობელისკი, ასევე საგვარეულო სასაფლაო. თანამებრძოლების, - მურთაზ გაბიტაშვილის, გურამ ალავიძის და დომენტი ფანჩულიძის ინიციატივით საფლავზე აღიმართა, - „ეროვნული დროშა".

ჯიმი მაისურაძე, - ვიეტნამის, ლაოსის, ავღანეთის, სამაჩაბლოს ომების მრავალჯერ მონაწილე 1992 წლის 26 დეკემბერს „აფხაზეთის" ტერიტორიაზე ვერტმფრენით საბრძოლო დავალების შესრულებისას, მეწყვილე მერაბ გელაშვილთან ერთად რუსეთის დესანტმა რაკეტით ჩამოაგდო...

სიკვდილის შემდეგ ჯიმი მაისურაძეს „ეროვნული გმირის" წოდება და „ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენი" მიენიჭა. მის ღირსეულ სახელს აგრძელებს ძმა ჯუმბერ მაისურაძე, შვილები:

იმედა, თორნიკე და არჩილი. აქედან თორნიკემ და იმედამ მამის პროფესია აირჩიეს.

*„გმირებს დავიწყება არ უწერიათ!“*

დონი ფანჩულიძე
ლაგოდეხი, სოფელი გიორგეთი
30.05.2023 წ.



მარცხნიდან: მურთაზ გაბიტაშვილი, დონი ფანჩულიძე, ჯუმბერ მაისურაძე, გურამ ალავიძე.
ჯიმშერ (ჯიმი) მაისურაძის საგვარეულო სასაფლაო
ლაგოდეხი, სოფ გიორგეთი, 30,05,2023 წ.




ომის ვეტერანები ჯიმშერ (ჯიმი) მაისურაძის ობელისკთან
ქ. ლაგოდეხი 30.05.2023 წ.




ჯიმშერ (ჯიმი) მაისურაძის საგვარეულო სასაფლაოზე
ეროვნული დროშის აღმართვა თანამებრძოლ დონი ფანჩულიძის მიერ
ქ. ლაგოდეხი 30.05.2023 წ.



აბაქარ მაგამედოვი

## <<ქართველი დედის აღზრდილი>>

## **აბაქარ მაგამედოვი**

(1944 (49) 15.01.1993 წწ.)

აბაქარ (ბუქო) ზელიმხანის ძე მაგამედოვი ეროვნებით ლეკი დაიბადა თელავში 1944 წელს. აქვე დაამთავრა სკოლა, დედით ქართველი - ვარა ჭაბაშვილი, მუშაობდა პოლიკლინიკაში.

კიდევ ერთი ბურჯი გამოეცალა ქართულ სამხედრო ავიაციას. აფხაზეთის ცაში ჩაიფერფლა ჭეშმარიტი რაინდის, ეროვნული გვარდიის საავიაციო ნაწილის ესკადრილიის მეთაურის აბაქარ მაგომედოვის სიცოცხლე.

წარმოშობით ლეკი, საქართველოში დაბადებული და გაზრდილი, ქართულ ადათ-წესებს შესისხორცებული, გაჭირვების ჟამს დაუყოვნებლივ ჩადგა საქართელოს ერთიანობისათვის მებრძოლთა რიგებში.

აღარ გვყავს აბაქარი - კეთილი და უდრეკი ხასიათის, მოკრძალებული პიროვნება, სულით ხორცამდე საქართველოს შვილი, უკანასკვნელი მოჰიკანი ქართულ სამხედრო მფრინავთა უფროსი თაობისა, რომელიც უშურველად გადასცემდა თავის მდიდარ გამოცდილებას და მაღალ პროფესიულ თვისებებს ახალგაზრდა მფრინავებს.

საბჭოთა კავშირის დაშლამდე აბაქარი მუშაობდა სამოქალაქო ავიაციაში, შემდგომში სამხედრო ავიაცია, ვერტფრენზე, მონაწილეობას იღებდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში აფხაზეთის ომში. 1993 წლის 15 იანვარს სეპარატისტებმა ჩამოაგდეს აბაქარ მაგამედოვის МИ-24 ტიპის ვერტფრენი, პილოტი ადგილზე

გარდაიცვალა, დაიღუპა მეგობარ - კოლეგა - ჯიმი მაისურაძის დაღუპვიდან, (26 დეკემბრის 1992 წელი) ოც დღის შემდეგ აფხაზეთში, ოჩამჩირე, სოფელ კინდღის მიმდებარე ტერიტორიაზე მეწყვილე, - გოდერძი გვრიტიშვილთან ერთად. „მიგ-24“ ტიპის საბრძოლო ვერტმფრენი ჩამოგდებისას, რომელიც ადგილზე გარდაიცვალა. მიენიჭა საქართველოს გმირის წოდება, ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენის კავალერი.


აბაქარ მაგამედოვის მეწყვილე
გოდერძი გვრიტიშვილი
19.04.1964 (29) 14.01.1993

ავტორისაგან: საქართველოს გამყიდველებმა და აფხაზეთის ჩამბარებლებმა აბაქარი შეიყვანეს შეცდომაში, დაასმევინეს ვერტმფრენი იმ ადგილზე, სადაც მტერი აკონტროლებდა, ვერტმფრენის დასმიდან რამოდენიმე წამში პილოტი გადმოუსვლელად ჩაცხრილეს...

- ძმაო ბექო! ჯავრი გაიყოლე „არავის გავახსენდებიო“, თქვენ და თქვენს მეწყვილეს - გოდერძი გვრიტიშვილს ჩემს გამოცემულ წიგნში რამოდენიმე გვერდი დავუთმე... თქვენი მომგონი და გამხსენებელია ქართველი თანამებრძოლები და ომის ვეტერანები, რომლებიც თქვენს სახელს არ დაივიწყებენ...

ძნელი გზა განვლო ცხოვრებაში, საკუთრი ოჯახი არ შეუქმნია. ხანდახან წამოსცდებოდა, რომ დავიღუპო, თუ ვინმეს გავახსენდებიო?!

მშვიდად იძინე ძმაო! შენი ნათელი ხსოვნა მარად დარჩება შენი ახლობლებისა და თანამებრძოლების გულში.

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს სწრაფი რეაგირების კორპუსი (გვარდია);

დაკრძალულია თელავში. სადაც ცხოვრობდა ქუჩას მიენიჭა აბაქარ მაგამედოვის სახელი. შთამომავლობა არ დარჩენია.

# <<ქართველი დედის აღზრდილი>>

(ვარა ჭაბაშვილი)

## აბაქარ მაგომედოვი



კიდევ ერთი ბურჯი გამოეცალა ქართულ სამხედრო ავიაციას. აფხაზეთის ცაში დაიფერფლა ჭეშმარიტი რაინდის, ეროვნული გვარდიის საავიაციო ნაწილის ესკადრილიის მეთაურის აბაქარ მაგომედოვის სიცოცხლე.

წარმოშობით ლეკი, საქართველოში დაბადებული და გაზრდილი, ქართულ ადათ-წესებს შესისხლხორცებული, გაჭირვების ჟამს დაუყოვნებლივ ჩადგა საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლთა რიგებში.

აღარ გვყავს აბაქარი — კეთილშობილი და უდრეკი ხასიათის, მოკრძალებული პიროვნება, სულით ხორცამდე საქართველოს შვილი, უკანასკნელი მოჰიკანი ქართველ სამხედრო მფრინავთა უფროსი თაობისა, რომელიც უშურველად გადასცემდა თავის მდიდარ გამოცდილებას და მაღალ პროფესიულ თვისებებს ახალგაზრდა მფრინავებს.

ძნელი გზა განვლო ცხოვრებაში, საკუთარი ოჯახი არ შეუქმნია. ხანდახან წამოსცდებოდა, რომ დავიღუპო, თუ ვინმეს გავახსენდებით?!

მშვიდად იძინე, ძმაო! შენი ნათელი ხსოვნა მარად დარჩება შენი ახლობლებისა და თანამებრძოლების გულებში.

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს სწრაფი რეაგირების კორპუსი (გვარდია), საქართველოს ეროვნული გვარდიის საავიაციო ნაწილი.




# "გმირებს დავიწყება არ უწერიათ!!!"

## -გვახსოვდეს აფხაზეთი-

### 14 აგვისტო 1992წ.

... 14 აგვისტოს დილის 6 საათზე თბილისის შს მთავარი სამმართველოს უფროსის, გენერალ დავით ზეიკიძისა და თავდაცვის მინისტრ თენგიზ კიტოვანის ბრძანებით წამოვედით და მოვემზადეთ გზის გასაგრძელებლად, რკინიგზისა და სტრატეგიული ობიექტების დასაცავად აფხაზეთის ტერიტორიაზე. მასთან ერთად იმყოფებოდა ახალგაზრდა მამაკაცი, რომელიც მითითებებს და რჩევებს იძლეოდა, რათა ჩვენი ტრანსპორტისათვის ზემოდან დაგვემაგრებინა თეთრი ზეწრები, „ერთდაგვარი მინიშნება პაროლისათვის". ეს ახალგაზრდა მამაკაცი როგორც შემდგომში ჩემთვის გახდა ცნობილი, ლეგენდარული პილოტი, მფრინავი პოლკოვნიკი ჯიმშერ "ჯიმი" მაისურაძე აღმოჩნდა, ქალაქ სენაკის სამხედრო ავიაციიდან...

... დღის 5 საათია, ოჩამჩირის რ-ნი სოფ. არადუ, ჩასაფრებულმა სნაიპერებმა მოულოდნელად ცეცხლი გაგვიხსნა. ხელჩართულ ბრძოლაში დაგვეღუპა,- პოლიციის მაიორი პაატა ნათენაძე, ხოლო მკლავში დაიჭრა პოლიციის კაპიტანი გია გვენცაძე...

არდავიწყება იმ გმირ ბიჭებს რომლებმაც თავი გაწირეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, ბრძოლის საქმეში!...

დონი ფანჩულიძე

14 აგვისტო 2016 წელი










ნოდარ გურგენიძე

## ნოდარ ნიკოლოზის ძე გურგენიძე

(07/03.1933 (55) 1988 წწ.)

ნოდარ ნიკოლოზის ძე გურგენიძე დაიბადა 1933 წლის 7 მარტს გორის რ-ნი სოფ. მეჯვრისხევში, (მასწავლებლის) პედაგოგის ოჯახში, 1951 წელს დაამთვრა სოფ. მეჯვრისხევის საშუალო სკოლა ვერცხლის მედალზე. იმავე წელს შევიდა და 1956 წელს დაამთვრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიის ფაკულტეტი. 1957 წელს ჩაბარა საქ-ოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტო საინჟინრო ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ, 1962 წელს მუშობა დაიწყო შინაგან საქმეთა ორგანოებში, ქ. გორის ავტოინსპექციაში, 1964 წლიდან სამუშოდ გადავიდა ქ. თბილისში დიდუბის (პირველი მაისის) რაიონის მილიციის განყოფილებაში სოც. საკუთრების დაცვის წინააღმდეგ მებრძოლ განყოფილებაში. 1966 წელს გადაიყვანეს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსად, 1974 წლიდან განყოფილების უფროსის მოადგილედ, ხოლო 1974 წლიდან განყოფილების უფროსად. 1974-1979 წლებში დაუსწრებლად დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის

სახელობის უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი. 1981 წელს გადაყვანილი იქნა ამავე მილიციის 1-ლ განყოფილების უფროსად. 1985 წლამდე, 1985 წლიდან გადაიყვანეს იმდროინდელი დიდუბის რაიონის დაცვის უფროსად. 1988 წელს გარდაიცვალა.

ავტორისაგან (დ.ფ.):... 1975 წელს თერჯოლის რაიონის კომკავშირის რაიკომმა ე.წ. „კომკავშირული საგზურით“ გამგზავნა ქ. თბილისის შინაგან საქმეთა მთავარ სამმართველოში მუშაობის დასაწყებად რიგით თანამდებობაზე, როდესაც (ე.წ. „ბებელის მოედანზე“) სამმართველოში ერთ-ერთ ხელმძღვანელთან წარმადგინეს, სამუშაო ოთახში შიგა ტელეფონით გამოიძახა კადრების განყოფილებიდან ქალბატონი, კაპიტნის წოდებით, რომელიც შემდგომში გვარად აღმოჩნდა მადონა გაფრინდაშვილი, მასთან ერთად თავი მოიყარეს რამოდენიმე ფორმიანმა თანამშრომლებმა, ჩემი ინტუიციით დილის თათბირისათვის ემზადებოდნენ (სამწუხაროდ რომელიმეს გვარი ვერ დავიმახსოვრე) მათგან ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა რომელიც სავარძელში იჯდა, კითხვა დამისვა 20 წლის პროვინციელ ბიჭს, რომელ განყოფილებაში, ე.ი. რომელ რაიონში ვისურვებდი სამსახურს, გულუბრყვილოდ წამოვიძახე: - სადაც მოწინავე და მეგობრული კოლექტივი იქნება-თქო. ერთად

ყველამ ხმამაღლა გაიცინა, ჩემი გადასახედიდან როცა წამოვიზარდე, სულ არ იყო სასაცილო. ერთ-ერთმა მათგანმა, ასეთი რაიონი და კოლექტივი ჩემი განყოფილებააო, თამამად უპასუხა, მომღიმარი სახით, ეს მამაკაცი, იმ დროს მილიციის კაპიტანი, - ნოდარ ნიკოლოზის ძე გურგენიძე ბრძანდებოდა. თათბირის შემდეგ მობრძანდა კადრების ინსპექტორი მადონა გაფრინდაშვილი სამუშო ოთახში, მანიშნა გავყოლოდი მას. ჩამსვა პირად ავტომანქანა „ვოლგა-21“-ში და მიმიყვანა დავით აღმაშენებლის, იმდროინდელიილ პლეხანოვის გამზირი №113-ში განთვსებულ მილიციის განყოფილებაში... სადაც რიგითი თანამდებობიდან, წოდება „სერჟანტი“, მილიციის უფროსის მოადგილის თანამდებობა, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკის წოდებით გავედი თადარიგში.

P.S. მინდა ერთხელ კიდევ მოვიგონო „ნოდარ ნიკალაევიჩი“ როგორც, ადამიანი და „კაცობის ეტალონი“.

დონი ფანჩულიძე

## << აფხაზეთში ომის დაწყების პირველი მსხვერპლი>>

### ეძღვნება პაატა ნათენაძის მარადიულ ხსოვნას 9/7-1959 (33) 14/08-1992 წწ.



დონი ფანჩულიძე და ელენიკო შაშვიაშვილი პაატა ნათენაძის საგვარეულო სასაფლაოზე
ახალციხე, სოფ. წნისი

1992 წლის 12 აგვისტო, დილის $12^{00}$ საათი. რაციით მესმის ხმა პასუხისმგებელ მორიგე ვალიკო ადეიშვილისგან პოლიციის უფროსი გიბარებთ! შევდივარ უფროს თენგიზ ჯიაძესთან. გისმენთ „ემელიანოვიჩ!“, - მიხვალ გუდაუთის ქუჩა #2-ში „საქმიან ეზოში“, სთხოვე ხვალისთვის გამზადებული მიკროავტობუსი „რაფი“ გამოგზავნონ პოლიციაში მივლინებისათვის...

...1992 წლის 13 აგვისტოს დილის 6-00 საათია, ტრანსპორტი და მძღოლი აკაკი წერეთლის გამზირი N113-ტ კორპუსის წინ დგას. დავიწყეთ ჯერ პროდუქტების დატვირთვა, შემდეგ საბრძოლო მასალის, ავტომატების, ჩავიცვით და გამოვჩნდით მანქანასთან სამხედრო სპეცფორმით. როგორც ჯგუფის ხელმძღვანელმა, მძღოლს ვთხოვე საჭესთან დამჯდარიყო, ვატყობ ფეხს ითრევს, სახეზე დაბნეულია, მომიგდო გასაღები, „არა ძმებო!“ - მე ცოლშვილი და ოჯახი მელოდება და სწრაფად გამეცალა... რადგან დათო ლალიაშვილს კუთვნილი მანქანა „ჟიგული“ ჰყავდა ვთხოვე საჭესთან დამჯდარიყო, რადგან უკვე ვაგვიანებდი. დავსხედით მე, დათო ლალიაშვილი, ზაზა „ბაევიკა“ ციმაკურიძე, სოსო ბუტიკაშვილი, მიშკა ცხვედაძე. დილის 7-00 საათზე უკვე თბილისის შ/ს მთავარი სამმართველოს უფროსს დავით ზეიკიძის განკარგულებაში გადავედით.

დღის 12-00 საათზე როდესაც დაუახლოვდით ქარელს, ავტობუსების სპეც. გაჩერებასთან ხალხმრავლობა შევნიშნეთ, გავაჩერეთ თუ არა მანქანა, დავინახეთ ხალხის უმეტესობა სეირის მაყურებელი იყო, ორ ახალგაზრდა ბიჭს ხელი ისე ჰქონდათ ჩაჭიდებული, ხალხი ვერ აშველებდა, ერთ - ერთი მათგანი ყვიროდა ამ ნაძირალამ „სამაჩაბლოში“ ძმა მომიკლაო!!!, როდესაც ჩვენ ჩავერიეთ და ხელი გავაშვებინეთ, დრო იხელთა და ჭალებისკენ გაიქცა, დაედევნა მიშკა ცხვედაძე, რომელმაც ბუნებრივად შექმნილ „ბალოტაში“ დაიჭირა, მაგრამ წელს ქვემოთ სველი და ტალახიანი იყო. უკვე პოლიციაც მოვიდა და ორთავე მათ ჩავაბარეთ. განვაგრძეთ გზა, ნელნელა ვეწეოდით ჩვენს დანაყოფებს, საბრძოლო ტანკებს გადასწრება აღარ ჭირდებოდათ. ბუქსირით გადაბმულები ერთმანეთს მიათრევდნენ. შორი  მანძილის გავლის შემდეგ, -  „გზის ტყვეობაში“ აღმოჩნდა, რომლებიც გამოყვანილი იყო ახალციხის რუსული ბაზებიდან... საღამოს დაგვაბინავეს ქალაქ სენაკი, სანატორიუმ „მენჯი“-ს ეზოში, ხოლო დილის $06^{00}$ საათზე საერთო ბრძანებით მოვეწყვით ეზოში, ჩვენს წინ იდგა სამართველოს უფროსი, გენერალ დავით ზეიკიძე. თავდაცვის მინისტრი თენგიზ კიტოვანი და მფრინავი - პილოტი ჯიმი მაისურაძე სენაკის საავიაცო პოლკიდან, რომელიც რჩევებსა და დარიგებებს გვაძლევდა ჩვენ ჩვენი ტრანსპორტებისათვის ზემოდან დაგვემაგრებინა თეთრი ზეწრები ერთგვარი - <პაროლი - მინიშნებისათვის>... გავაგრძელეთ გზა ზუგდიდის მიმართულებით, დავუახლოვდით თუ არა სოფელ ცაიშსს ძრავა „გაიჭედა“, შევაგორეთ გზის პირას მობინადრესთან. დავდექით ტრანსპორტის სავალ გზაზე, უკვე ქალაქ გალის დასახლება დაიწყო,  გავაჩერეთ სამგზავრო

ავტობუსი „იკარუსი“, ნახევრად შევსებული, სადაც დამხვდნენ პირტიტველი წვევამდელები, რომლებსაც მხოლოდ ახლად მიღებული სამხედრო ფორმა ეცვათ, ავტომატები „მჭიდის“ გარეშე. რამდენიმე



თანამებრძოლები პაატა ნათენაძის <<60 წლის>> შესრულებასთან დაკავშირებით მარცხნიდან: ელენიკო შაშვიაშვილი, დონი ფანჩულიძე, მურთაზ გაბიტაშვილი, გურამი ალავიძე, დავით ფეიქრიშვილი, ნინო ნათენაძე
09.07.2019 წელი, ახალციხე, სოფელი წნისი.

წუთის შემდეგ ჩამძინებია, გამაღვიძა უკანა მხრიდან დაჯახების ბიძგმა და ხმამ, გამისროლა წინ ორ მეტრამდე, დამაკავა ხარიხარ გადაკიდებულმა ავტომატმა და სავარძლებმა, რომ გავიხედე მარცხენა მხარეს, ჩაგვიქროლა ტანკმა, რომლის ზემოთ შემომსხდარი წვერიანი, ფორმიანები იყვნენ, ერთ საზღვაო მაიკით, ცალ ხელში შამპანურის ბოთლს ატრიალებდა, გააგრძელეთ ბიჭებო გზა!!! გააგრძელეთო!! გვიყვიროდნენ. რამოდენიმე მეტრში თვითსვლით მიმავალმა გააჩერა, მე უკანა კარებიდან ჩავხტი, რომ გავიხედე „რადიატორი“ გზის პირას სარწყავ არხში იყო ჩავარდნილი...

გავაჩერე მიკროავტობუსი, შიგ დამხვდა მგზავრები, „აფხაზები“ აღმოჩნდნენ, რომლებიც ცნობისმოყვარეობით მეკითხებოდნენ, სად მივდიოდით და რა მიზეზით, რომლებიც ბათუმიდან მოდიოდნენ.

წინ ჩაიხერგა მოძრაობა, ტრანსპორტი ვეღარ მოძრაობდა, უკვე, ოჩამჩირის ტერიტორია იყო, სოფელი არადუს დასაწყისში ვიყავით მისული, რადგან ჯგუფის ხელმძღვანელი ვიყავი, მიშკა ცხვედაძე აღარ ჩანდა. ასევე საერთო ხელმძღვანელი ომარ ფოფხაძისათვის უნდა მომეხსენებია ჩვენი ბიჭების ადგილმდებარეობა, წავიწიე, ჩემს წინ სწრაფად გაჩერდა მსუბუქი ავტომანქანა „ჟიგული“, გვიხმეს დასახმარებლად მოსახვევს, რომ გავცდი, დაიწყო ე.წ. „პერესტრელკა“, „სნაიპერს“ რიგითი ომარ ფურცელაძე მოუკლავს, როდესაც ერთი მჭიდი დავცალე და მეორეს ვუნაცვლებდი, ძირს გადამივარდა, დავიხარე თუ არა გვერდით შევნიშნე წაქცეული თანამებრძოლი, რომელიც პოლიციის მაიორი პაატა ნათენაძე აღმოჩნდა. ჩვენი საერთო ხელმძღვანელი ომარ ფოფხაძე, ვლადიმერ დგებუაძე და კავთელიშვილი, მსუბუქ მანქანას ამოეფარნენ. უკვე შეტევის მაგივრად დაცვაზე გადავედით... ეს იყო 1992 წლის 14 აგვისტო $16^{00}$ საათი, აფხაზეთი, ოჩამჩირე, სოფ. არადუ. 30 წუთში ორი კოლეგა და თანამებრძოლი, - პაატა ნათენაძე და ომარ ფურცელაძე დავკარგეთ... ხოლო მკლავში დაჭრილი გია გვენცაძე დამარებას გვთხოვდა.

9/07–2019 წელს, პაატა ნათენაძეს <<60 წელი>> შეუსრულდა.

*დონი ფანჩულიძე.*



ომარ ფურცელაძე

## ომარ ფურცელაძე
## 25/04-1971 (21) 14/08-1992 წწ.

ომარ ფურცელაძე დაიბადა 1971 წლის 25 აპრილს თბილისში, დაამთავრა 124-ე საშუალო სკოლა. სამხედრო სავალდებულო სამსახური მოიხადა გერმანიაში, ქალაქ პოზდამში. 1991 წლის სექტემბრის თვიდან მუშაობდა პოლიციის სამმართველოს სსს ინსპექტორად. მისაღები გამოცდები ჩააბარა პოლიციის აკადემიაში. გურჯაანი, სოფელ ვეჯინის მკვიდრი, ჯერ კიდევ 21 წლის ჩადგა საზოგადოებრივი წესრიგის რიგებში.

1992 წლის 14 აგვისტოს, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის „აფხაზეთში" მივლინებულ ომარ ფურცელაძეს გვერდში მჯდომი მამუკა ლომიძე ფეხში დაუჭრეს. ომარი მანქანას ამოეფარა, წამსვე პაატა ნათენაძე სნაიპერის ტყვიამ მოცელა, მის დასახმარებლად ომარი გაიქცა, ესეც სნაიპერის ტყვიამ იმსხვერპლა...

პაატას ერთი გოგო დარჩა. ომარის ცოლ-შვილის არ ჰყავდა. მან ისიც ვერ გაიგო რომ აკადემიის სტუდენტი გახდა და ჩარიცხულთა სიაში იმყოფებოდა... რამოდენიმე წუთში ორი თანამშრომელი - პაატა ნათენაძე და ომარ ფურცელაძე დაგვეღუპა. მამუკა ლომიძე ფეხში, ხოლო გია გვენცაძე მკლავში დაიჭრა.

ასე გადაიზარდა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, დაპირისპირებულ ომში.

*მოამზადა: დონი ფანჩულიძემ*

<<გმირების მშობლები>>







გმირი მეომარ პაატა ნათენაძისა და ჯიმი მაისურაძის აღმზრდელი მშობლები



პაატა ნათენაძის ოჯახის წევრები, ახლობლები და თანამებრძოლები
<<60 წლის>> უბილესთან დაკავშირებით. ქ. ახალციხე, 09/07/2019 წ.



# ეძღვნება პოლიციის მაიორის პაატა ნათენაძის ხსოვნას 1959–1992

„სიკვდილი მაინც ვერ იმაისებს,
დედო ზარს მკერდზე კორქნის ბზარები,
ერის ხსოვნაში ანთებული მზე,
იწვის წარსულის ნახანძრალებით"...

პაატა ნათენაძეს <<50 წელი>> შეუსრულდა
გაზეთი – „თაობიდან თაობამდე“, 09.07.2009 წელი

<<გმირის მშობლის წერილი>>






ეროვნული დროშის აღმართვა
პაატა ნათენაძის საგვარეულო სასაფლაოზე
ახალციხე, სოფელი წნისი, 2022 წლის 9 ივლისი



**ავტორისაგან (დ.ფ):** ბატონ ზელიმხანს თავისი თხოვნა ნაწილობრივ შევუსრულე, მისი შვილის, პაატა ნათენაძის საგვარეულო სასაფლაოზე, - <<ეროვნული დროშა აღვმართე>>.

## პაატა ნათენაძე
## << მოგონება >>

„დიდუბის პანთეონში უნდოდათ დაკრძალვა, მაგრამ მისი სურვილი და თხოვნა იყო, რომ მშობლიურ სოფელში დაეკრძალათ. თითქოს წინასწარ გრძნობდა, ამბობდა თუ რამე მომივა, სუფთა ჰაერზე მინდა მშვიდად ვიყოო“, - გვიყვება მარინა ჟუჟუნაძე.

პაატა ნათენაძე 1959 წელს ქალაქ ვალეში დაიბადა. 1987 წელს შსს-ს პოლიციის აკადემია დაამთავრა და გამომძიებლად იმ წელსვე დაიწყო მუშაობა. როცა აფხაზეთში მიდიოდა, 33 წლის პოლიციის მაიორმა სახლში ცოლი და ცხრა წლის შვილი დატოვა. ოჯახმა მისი გარდაცვალების შესახებ, დილის შვიდ საათზე შეიტყო.

„ფიზიკურად და სულიერად უძლიერესი ადამიანი იყო, რომელსაც თუ რამე მოერეოდა ვერ წარმოვიდგენდი. უცებ დავდექი ფაქტის წინაშე, რომ აღარ არის. ნინოსთვის (შვილი) ძალიან დიდი ტრაგედია იყო. ერთი წელი არ ლაპარაკობდა, არავისთან კონტაქტობდა. ძალიან გაუჭირდა იმის მონელება, რომ მამა აღარ ჰყავდა“, - 27 წლის წინანდელ მოვლენები მარინა ჟუჟუნაძემ „მეცხრე არხთან“ გაიხსენა.

აფხაზეთის ომის პირველ მსხვერპლს დღეს, ცხრა ივლისს 60 წელი შეუსრულდებოდა. მის დაბადების დღეზე ოჯახის წევრები და თანამებრძოლები ჯერ საფლავზე, შემდეგ კი ახალციხის ცენტრალურ პარკში, სამშობლოს ერთიანობისთვის დაღუპულ მებრძოლთა მემორიალთან იკრიბებიან.

ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის სამცხე-ჯავახეთის სამმართველოს უფროსი დავით ფეიქრიშვილი:

- პაატა ნათენაძე პოლიციის პოლკოვნიკის წოდებაზე იყო წარდგენილი, რომელიც სიკვდილის შემდეგ მიენიჭა. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებით დაჯილდოვდა მედლით „მხედრული მამაცობისთვის“. მესხ მეომარს ერთი შვილი და სამი შვილიშვილი ჰყავს.

„მეგონა რომ არ დამტოვებდა. ალბათ იფიქრა, რომ მე აქ უფრო მეტი პატრონი მყავდა, ვიდრე იქ თავის ბიჭებს. აფხაზეთში წასვლა იყო მისი შეგნებული გადაწყვეტილება“, - ამბობს პაატას და ია ნათენაძე.

1992 წელსვე, ახალციხის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ დედა ენის ქუჩისთვის სახელი შეეცვალათ. ქალაქის ერთ-ერთი ცენტრალური ქუჩა 27 წელია აფხაზეთის გმირის სახელს ატარებს.

ნათენაძის ქუჩის მოსახლეობას და აქ განთავსებული ობიექტების თანამშრომლებს ვკითხეთ, ვინ იყო პაატა ნათენაძე. 16 ადგილობრივიდან აფხაზეთის ომის პირველი მსხვერპლის შესახებ მხოლოდ სამმა პირმა იცოდა.




დონი ფანჩულიძე პაატა ნათენაძის სახელობის ქუჩაზე
ქ. ახალციხე



შმაგი სოფრომაძე
5/08-1985 (23) 8/08-2008 წწ.

ძვირფასო მეგობრებო!
რაიონის წარმომადგენლებო!
მოწვეულო სტუმრებო!

დღეს ჩვენი გმირის უშანგი „შმაგი“ სოფრომაძის მნიშვნელოვანი დღე არის. მიუხედავად სევდანარევი ღონისძიებისა, რომელიც ძირითადად აქ შევიკრიბეთ სოფელ ძევრის საჯარო სკოლის კურსდამთავრებულის, რომლის სახელი დღეიდან უკვე საზეიმო ვითარებაში აღვნიშნავთ უშანგი „შმაგი“ სოფრომაძის სახელობის იქნება, ხოლო იმ საავტომობილო გზას, რომელი გზითაც ჩვენ აქ მოვედით, ასევე მისი სახელი აქვს მინიჭებული.

<<გმირებს დავიწყება არ უწერიათ!>>
უშანგი „შმაგი“ სოფრომაძე




სოფო სოფრომაძე და დონი ფანჩულიძე
შმაგი სოფრომაძის საფლავთან „მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე"

2008 წლის 4 ივნისს N2934 ბრძანებით, უფროსი სერჟანტი უშანგი ომარის-ძე სოფრომაძე დაინიშნა შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის სახმელეთო ჯარების I ქვეითი ბრიგადის ჯავშანსატანკო ბატალიონის მე-2 სატანკო ასეულის მე-3 სატანკო ოცეულის ტანკის მეთაურად.

I ქვეითი ბრიგადის მეთაურის N171 ბრძანებით სახმელეთო ჯარების I ქვეითი ბრიგადის ჯავშანსატანკო ბატალიონის სამხედრო მოსამსახურეები 2008 წლის 7 აგვისტოს მივლინებული იქნენ ქართულ ოსური კონფლიქტის ზონაში, საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის მისაღებად.

2008 წლის 8 აგვისტოს I ქვეითი ბრიგადის ჯავშანსატანკო ბატალიონი საბრძოლო დავალების შესასრულებლად განთავსებული იქნა ქარელის რაიონის სოფელ ავნევში, საიდანაც იმავე დღეს გადაადგილდნენ ცხინვალის მიმართულებით.

ცხინვალის შესასვლელში სოფელ ტბეთთან მოწინააღმდეგე მხარის მიერ განხორციელებულ საავიაციო დაბომბვის შედეგად I ქვეითი ბრიგადის ჯავშანსატანკო ბატალიონის II სატანკო ასულის III სატანკო ოცეულის ტანკის მეთაური, უფროსი სერჟანტი უშანგი სოფრომაძის ტანკი „ტ-72“ საბორტო ნომრით N125, შევიდა ცხინვალში დაჭრილების დასახმარებლად, რა დროსაც განხორციელდა საავიაციო დაბომბვა და ვეღარ შეძლო უკან დაბრუნება, რის შემდგომაც იგი ჩავარდა ტყვედ, რომელიც შემდგომ დახვრეტილი იქნა.

თ ა ნ ა მ ე ბ რ ძ ო ლ ი: - დავით ნოდარის ძე მალაჩინი - 2008 წლის 8 აგვისტოს ბრძანება მივიღეთ ქ. ცხინვალიდან დაჭრილებისა და გარდაცვგლილი თანამებრძოლების გამოსაყვანად. მოვყევით საჰაერო დაბომბვისა და ინტენსიური სროლების ქვეშ, სადაც ტყვედ აგვიყვანეს. ოსი სეპარატისტებისა და დაქირავებული მებრძოლებისაგან იყო დამამცირებელი მოპყრობა თითოეული ქართველი მებრძოლის მიმართ. ჩემს თანამებრძოლს უშანგი სოფრომაძეს წინ დაუფინეს „საქართველოს ეროვნული დროშა“ უბრძანეს ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის მუქარის ქვეშ ფეხით შემდგარიყო და ეცეკვა.

მათი ბრძანება არ შეასრულა. მის თვალწინ აყურებინიეს მისი კუთვნილი საფლავის გაჭრა. ყოველივე ამას უშანგი სოფრომაძეზე რეაგირება არ მოუხდენია, იგი დახვრეტილი იქნა მუხანათურად. უშანგი ომარის ძე სოფრომაძე დაკრძალულია „მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე“.

ქალბატონმა მარინე გზირიშვილმა <<33 ვარდი>> მიიტანა უშანგი „შმაგი“ სოფრომაძის საფლავთან მის საიუბილეო წელთან დაკავშირებით



გმირის მშობლები: ქეთევან გოგიაშვილი და მარინა გზირიშვილი დონი ფანჩულიძესთან ერთად „მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე" 2018 წლის 5 აგვისტო.




## 2016წ. 25 ნოემბერს საზეიმოდ გაიხსნა 2008 წლის 8 აგვისტოს „სამაჩაბლოში“ საომარ მოქმედებების დროს გმირულად დაღუპულ უშანგი „შმაგი“ სოფრომაძის სახელობის ქუჩა და საჯარო სკოლა

2016 წლის 25 ნოემბერს „სამაჩაბლოში“ 2008 წლის აგვისტოს ომში, გმირულად დაღუპულ, ტანკის მეთაურ უშანგი „შმაგი“ სოფრომაძის სახელი მიენიჭა თერჯოლის რაიონი, სოფელ ძევრის საჯარო სკოლასა და ქუჩას.

2016 წლის 25 ნოემბერს ჩატარებულ ღონისძიებას ესწრებოდნენ, - თერჯოლის რაიონის საკრებულოს თავმჯდომარე ავთანდილ ჩუბინიძე, საკრებულოს წევრი მალხაზ გურგენიძე, გურამ თურქაძე. რაიონის დეპუტატი, თადარიგში ავიაციის  პოლკოვნიკი, - ვეტერანი გიორგი ლილუაშვილი, ვეტერანთა საქმეების სამსახურის წარმომადგენელი იმერეთის რეგიონში ვალერი ვაშაკიძე. თერჯოლის რაიონის საგანმანათლებლო რესურცენტრის უფროსი ქეთევან შეყრილაძე. უშანგი „შმაგი“ სოფრომაძის სახელობის თერჯოლის რაიონის, სოფელ ძევრის საჯარო სკოლის დირექტორი, ღონისძიების ხელმძღვანელი და ორგანიზატორი მანუჩარ ფანჩულიძე, სოფელ ძევრის რწმუნებული ფრიდონ კუტალაძე. პედაგოგმასწავლებლები, - იმედა მეფარიძე, ნანა ისაკაძე, ლუიზა ხუჯაძე, მანანა შურღაია, ავთანდილ ჯიბლაძე... მშობლები - ომარ და ქეთო სოფრომაძეები, მეუღლე თეა ტაბატაძე, მცირეწლოვანი შვილები გიგი და ზაზა, და სოფო სოფრომაძე - შეიარაღებული ძალების სამედიცინო სამსახურის თანამშომელი, სოფ. ჩხარის საკრებულოს რწმუნებული ვასილ ფანჩულიძე.

მოწვეული სტუმრები, - საქართველოს ვეტერანთა საქმეების სამსახურის უფროსის მ/შ, შეიარაღებული ძალების გენერალი - ვეტერანი მირონ ჩიგოგიძე, თანამშრომლები სოლომონ ბრეგაძე, მალხაზ თოფურია, სულხან აბესაძე, ჟურნალ „ვეტერანი“-ს მთავარი რედაქტორი ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანი ზაირა მიქატაძე, ალა უჩავა, დავით ჭანტურია, გურამ ალავიძე, დონი ფანჩულიძე, არჩილ ერთისთავი, დავით ჩახმახაშვილი, ავთანდილ მალაციძე, ავთანდილ მამნიაშვილი, შალვა არჯევანიძე, ვანო ოჩიგავა.



უშანგი „შმაგი" სოფრომაძის სახელობის თერჯოლის რაიონის სოფელ ძევრის საშუალო სკოლის დირექტორი, ღონისძიების ორგანიზატორი და ხელმძღვანელი მანუჩარ ფანჩულიძე-25/XI-2016წ.



დონი ფანჩულიძე, ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანი, თადარიგში პოლიციის ვიცე პოლკოვნიკი, თერჯოლის რაიონი, სოფ. ძევრის საჯარო სკოლისათვის უშანგი „შმაგი“ სოფრომაძის სახელის მინიჭების ღონისძიების დროს. 25/XI-2016წ.



უშანგი „შმაგი“ სოფრომაძის სახელობის სკვერში გვირგვინით, - ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანები, არჩილ ერისთავი და დავით ჩახმახაშვილი. გად. 25/XI-2016წ. თერჯოლის რაიონი, სოფელი ძევრი



მარჯვნიდან: ავთანდილ ჩუბინიძე - თერჯოლის რაიონის საკრებულოს თავმჯდომარე, დონი ფანჩულიძე, დავით ჭანტურია, - ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანები, თადარიგის პოლკოვნიკები. გადაღებულია თერჯოლის რაიონი, სოფელ ძევრის საჯარო სკოლისათვის უშანგი „შმაგი" სოფრომაძის სახელის მინიჭების სხდომის ღონისძიების დროს 25/XI-2016 წელი.



უშანგი „შმაგი" სოფრომაძის ქუჩისა და თერჯოლის რაიონი, სოფელ ძევრის საჯარო სკოლისათვის მისი სახელის მინიჭების ღონისძიება - 25/XI-2016 წელი.




მარცხნიდან: ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანები - ავთანდილ მალაციძე, არჩილ ერისთავი, დავით ჭანტურია, დონი ფანჩულიძე, ავთანდილ მამნიაშვილი, შალვა არჯევანიძე, ვანო ოჩიგავა, დავით ჩახმახაშვილი. უშანგი „შმაგი“ სოფრომაძის ქუჩისა და თერჯოლის რაიონი, სოფელ ძევრის საჯარო სკოლისათვის მისი სახელის მინიჭების ღონისძიება - 25/XI-2016 წელი.



მარცხნიდან: ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანები - დონი ფანჩულიძე, სულხან აზესაძე, გიორგი ლილუაშვილი, გურამ ალავიძე, დავით ჭანტურია, ვეტერანთა დეპარტამენტის უფროსის მ/შ, გენერალი მირონ ჩიგოგიძე, დავით ჩახმახაშვილი, მალხაზ თოფურია, ჟურნალ „ვეტერანი“-ს მთავარი რედაქტორი ზაირა მიქატაძე. უშანგი „შმაგი“ სოფრომაძის ქუჩისა და სკოლის მინიჭებაზე საზეიმო სხდომის დროს - 25/XI-2016 წელი.

ქართულ დროშაზე ფეხით არ შედგა, ის ვერ დააჩოქეს, ამის შემდეგ მოკლეს. სიკვდილამდე საკუთარი ხელით გაათხრევინეს საფლავი, სადაც ის უნდა დაეკრძალათ - ეს შმაგი სოფრომაძეა, ის 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომს შეწირული კიდევ ერთი გმირია.

უშანგი (შმაგი) სოფორმაძე ტანკის მეთური იყო და ტყიდან დაჭრილი ჯარისკაცები გამოჰყავდა. სწორედ ამ დროს ის ტყვედ აიყვანეს, შემდეგ კი წამებით მოკლეს.

შმაგის და, სოფო სოფრომაძე: - 8 აგვისტოს ჩემი ძმა რამდენიმე ჯარისკაცთან ერთდ ტყვედ აიყვანეს. ის ტანკის მეთაური იყო. ერგნეთის მისადგომებთან ტანკი დაუზიანდა, რის გამოც ცხინვალიდან დაჭრილები თავის მხრებით გამოჰყავდა. ბოლოს დაჭრილი ასმეთური გამოიყვანა, რომელმაც შმაგის უთხრა გაჰყოლოდა იმ მანქანას, სადაც დაჭრილი ჯარისკაცები ისხდნენ, თუმცა, შმაგი მათ არ გაჰყვა. ისევ უკან შებრუნდა, ტყეში დაჭრილი ბიჭები ისევ  იქნებიანო - უთქვამს. სწორედ, უკან შებრუნებული აიყვანეს ჩემი ძმაც. მას სხვა ბიჭებთან ერთდ აწამებდნენ, შმაგი ქართულ დროშაზე ფეხით არ შედგა, ის ვერ დააჩოქეს, ამის შემდეგ მოკლეს. სიკვდილამდე საკუთარი ხელით გაათხრევინეს საფლავი, სადაც უნდა დაემარხათ. შმაგის როგორც დაკარგულს, 9 აგვისტოს დილიდან ვეძებდით. მისი ცხედარი დნმ-ის საშუალებით ვიპოვეთ, როცა 45 ბიჭი მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე გადმოასვენეს. ის პირველი  ქვეით ბრიგადის ჯავშან-სატანკო ბატალიონში უფროსი სერჟანტი იყო. შმაგის ორი მცირეწლოვანი ვაჟი დარჩა. როცა ის მოკლეს, ერთი შვილი 9 თვის იყო, მეორე ორწლინახევრის.

(დ.ფ.): შმაგი!, ის ოცნება, რაც შენს  გმირობის შემდეგ დამჩემდა, 50%-ით ავისრულე, იმ სკოლას, სადაც სწავლობდი შენი სახელობისაა, ის მთავარი საავტომობილო გზა, რომელზეც ბავშვობიდან, სიკვდილამდე მოძრაობდი, თქვენი სახელია მინიჭებული.

თანამებრძოლების დევიზია: -„გმირებს დავიწყება არ უწერიათ!!!

*დონი ფანჩულიძე*



დავით გოგეშვილი

**დავით შალვას - ძე გოგეშვილი**

(8/02-1941 წ. - 13/VI-1992 წ.)

დავით შალვას-ძე გოგეშვილი დაიბადა 1941 წლის 8 თებერვალს. თბილისის ერთ-ერთ კოლორიტულ უბანში, - „ვერაზე“.

მამა - შალვა გოგეშვილი დიდ სამამულო ომში დაეღუპა, რომელსაც მამა არ უნახავს...

1958 წელს დაამთავრა ქ. თბილისის ვაჟთა მე-18 საშუალო სკოლა, რის შემდეგ გაიწვიეს სამხედრო სამსახურში. მსახურობდა ციმბირში, საჰაერო-სადესანტო ნაწილში.

სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოხდის შემდეგ მუშაობა დაიწყო შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში სხვადასხვა თანამდებობაზე.

1971–74 წლებში დანიშნული იყო ყაზბეგის რაიონის მილიციის უფროსის მოადგილედ. შემდგომ წლებში ბოლნისის რაიონი დაბა კაზრეთის მილიციის უფროსად.

1977-78 წლებში მუშაობდა ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის (პირველი მაისის) რაიონის შს რაიგანყოფილებაში სისხლის სამართლის სამძებროს უფროს ინსპექტორად თანამდებობაზე, კურატორობდა პროსტიტუციას და ნარკომანიის განყოფილებას.



დ. შ. გოგეშვილმა 1983 წელს დაამთავრა როსტოვის მილიციის აკადემია დაუსწრებელი განხრით, სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი. მუშაობას ჯერ აგრძელებს სანებართვო სისტემაში (ცეცხლსასროლი იარაღების აღრიცხვა და კონტროლი). შემდეგ 1986–90 წლებში ქსნის კოლონიაში ოპერატიული ნაწილის უფროსად. რის შემდეგ გადის თადარიგში. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი. დ.შ. გოგეშვილი გარდაიცვალა 1992 წლის 13 ივნისს.

## 8 თებერვალს დავით გოგეშვილის დაბადების დღეა

# „ახალბედა პოლიციელების დამრიგებელი“

პოლიციის პოლკოვნიკი დავით შალვას ძე გოგეშვილი დაიბადა 1941 წლის 8 თებერვალს თბილისში, ერთ-ერთ კოლორიტ უბანში, „ვერაზე“. მამა – შალვა გოგეშვილი დიდი სამამულო ომიდან ცოცხალი აღარ დაბრუნებულა. ახალგაზრდას ჯერ კიდევ ჭაბუკობის წლებში თითქმის მარტო მოუხდა ბრძოლა, ჯერ წინსვლისათვის, წარმატებების მისაღწევად, შემდეგ დამნაშავე სამყაროსა და მართლწესრიგის დამრღვევ პირებთან. 1958 წელს თბილისის ვაკეთა მე-18 საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ გაიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში, სახაერო-სადესანტო ნაწილში ციმბირის მხარეს.

როსტოვის მილიციის აკადემიის დამთავრების შემდეგ ეტაპობრივად აწინაურებენ სხვადასხვა თანამდებობებზე, – ჯერ ყაზბეგის მილიციის უფროსად, შემდეგ ბოლნისის რაიონი, დაბა კაზრეთის მილიციის უფროსად...

1977 წელს მუშაობას იწყებს თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის (პირველი მაისის) რაიონის სისხლის სამართლის სამძებრო უფროს ინსპექტორად.

1986-90 წლებში ინიშნება ქსნის კოლონიაში ოპერატიული ნაწილის უფროსად.

... ადამიანის სიცოცხლე სამყაროსათვის წამია უსასრულო სივრცეში, მეტეორივით გაელვებული, მხოლოდ რჩეულთა ხვედრია იმქვეყნიერ სასუფეველში გადასვლის შემდეგაც, ამ ქვეყანაში ნათელი კვალი დატოვო. სწორედ ასეთ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნებოდით ბატონო პოლკოვნიკო, – „შალვოვიჩ“, როგორც ახალბედა პოლიციის თანამშრომლები მოგმართავდით, რა დროსაც უფროს-უმცროსობა ნორმალურად იყო დაყენებული შინაგან საქმეთა ორგანოების სისტემაში... რამდე-



ნ ი

რამ მახსენდება თქვენთან და გარდაცვლილ თანამშრომლებთან ურთიერთობის დროს მუშაობის პერიოდში. მოზომილი იუმორის გრძნობა ყოველთვის თქვენიდან მოდიოდა. მეამაყება, რომ თქვენი პლეადის ხალხთან მომიწია მუშაობა ახალბედა პოლიციის თანამშრომელს. ის ადამიანები, რომლებიც თქვენთან ერთად მიტოვებდა იმ გამოცდილებას, რაც უნდა გაეტარებინათ ახალბედა პოლიციის თანამშრომლებს. ძირითადი სიმდიდრე, რაც იმ პერიოდში იყო, – ადამიანობა და კაცობა იყო...

„შალვოვიჩ“, ბოლო „მხედრული ვალი: ვერ მოვიხადე თქვენს წინაშე, იმ პერიოდში დასავლეთ საქართველოში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით ვიმყოფებოდი, სადაც ქართველი ქართველს აღარ ინდობდა...

როგორც ჩვენმა მეგობარმა არჩილ არველაძემ, ასევე თქვენც, ახალგაზრდამ, უდროოდ დაგვტოვეთ, როგორც მეგობრები და კოლეგები, ასევე ოჯახი და ცოლშვილი. იძინეთ მშვიდად ბატონო პოლკოვნიკო, ზეციდან ილოცეთ თქვენი ცოლ-შვილისთვის, შვილიშვილებისთვის და მეგობრებისთვის.

**დონი ზანჩულიძე**


შოთა გოგოლაძე

# შოთა გოგოლაძე
**(21/12/1927 წ. - 14/03/2001 წ.)**

## ავტობიოგრაფია

გოგოლაძე შოთა მიხეილის ძე დაიბადა 1927 წლის 21 დეკემბერს. ლაგოდეხის რ-ნი სოფ, ბოლოკიანი.

მეუღლე - გოგოლაძე ლუბა გიორგის - ასული (გარდ.).

შვილები - გოგოლაძე ზურაბი შოთას - ძე, გოგოლაძე ირმა შოთას ასული. ორივე დაოჯახებული.

ქ. თბილისის შინაგან საქმეთა სამინისტროში შოთა გოგოლაძის, მუშაობის საერთო სტაჟი შეადგენს - ოცდათერთმეტ წელს. ექვს თვესა და თვრამეტ დღეს. (31 წ. 18 დღე და 6 თვე).

ამ წლების განმავლობაში მიღებული აქვს ჯილდოები და მედლები შ.ს.ს - დან.

მისი სამსახურეობრივი საქმიანობა აღწერილია იმდროინდელ პრესაში.

პარტიის წევრი გახლდათ 1953 წლის მარტიდან, საქ. კ.პ.ქ. თბილისის პირველი მაისის რაიკომიდან.

გარდაიცვალა 2001 წლის 14 მარტს.

## დატოვე ტკივილი და მოუშუშებელი იარა

## (ეძღვნება ჯუმბერ ჭაღიაშვილის ხსოვნას)

8/10-1959 (50) 4/06/2009 წწ.



ჯუმბერ ჭაღიაშვილი

ჩვენი ხალხი ოდითგანვე ინახავდა იმ ადამიანთა ხსოვნას, ვინც თავიანთი ლამაზი ცხოვრებით წარუშლელი კვალი დატოვეს.

პოლიციელთა რიგებს ბევრი კეთილშობილი მუშაკი გამოაკლდა. მათ არამარტო თავიანთ ოჯახებს, არამედ, ჩვენ, მეგობრებს, დიდი ტკივილი დაგვიტოვეს. ეს ის წარსულია, რომელიც ყოველ წუთში შორდება ხსოვნას, მაგრამ დავიწყებით არ იბინდება.

...ოხ, რა მალე გარბის დრო, თითქოს ეს გუშინ იყო... მაგრამ მალე ერთი წელი გახდება, რაც აღარ არის ჩვენს გვერდით პოლიციის მაიორი, თბილისის დიდუბე - ჩუღურეთის რაიონის პოლიციის სამმართველოს მეორე განყოფილების დეტექტივის თანაშემწე - გამომძიებელი ჯუმბერ ჭაღიაშვილი, ჩინებული პოლიციელი, ბრწყინვალე მამა, შესანიშნავი მეოჯახე, ერთგული მეგობარი და უსაზღვროდ კეთილი და გულისხმიერი ადამიანი.

49 გაზაფხული... სწორედ ამდენი დრო არგუნა ამ ჭაღარა, ეშხიან მამაკაცს, ლელას საყვარელ მეუღლეს. ოჯახის საყრდენ ძალას. მშვიდად და ტკბილად მიდიოდა შენი ცხოვრება, სიკვდილს რომ არ შეშურდებოდა. შენ, ჩემო მეგობარო, შვილების დაფრთიანებაზე ოცნებობდი, შენი ოჯახისა და ახლობლების კეთილდღეობაზე ზრუნავდი, მაგრამ ...არ დაგცალდა. ტრაგიკულმა შემთხვევამ იმსხვერპა ჯან-ღონით სავსე, სიცოცხლეზე შეყვარებული ახალგაზრდა

პოლიციელი. წელს კი შენ ორმოცდამეათე ანგელოზის დღეს აღნიშნავდი...

რა ულმობელი და სასტიკია წუთისოფელი, წუთია ჩვენი ცხოვრება, მხოლოდ ერთი გაელვება, ცაზე ვარსკვლავივით გაიელვებს და ჩაქრება. თუმცა ... რა ჩააქრობს. შენს ვარსკვლავს, ჩემო ჯუმბერ, შენი გახსენება დღესაც სიკეთე და სიყვარულთან ასოცირდება. სხვაგვარად შეუძლებელია. შენ უშურველად გასცემდი შენი გულის სითბოს, შეგეძლო სხვისი სიხარულით გაბედნიერება. სიკვდილთან ყველა უძლურია, მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც იმქვეყნიურ სასუფეველში გადასვლის შემდეგაც ამქვეყნად ნათელი კვალი დატოვეს. სწორედ ასეთ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება ჩემი მეგობარი ჯუმბერ ჭაღიაშვილი, რომლის ლამაზი სული მარადიულ სასუფეველს ვალმოხდილი შეუერთდა.

იძინე მშვიდად, ბატონო მაიორო, ზეციდან ილოცე შენი ოჯახისათვის, შვილებისათვის, შენი ახლობლებისათვის და მეგობრებისათვის, რადგან სული შენი სპეტაკი შინა არს დამკვიდრებული.

დონი ფანჩულიძე



ვასილ მჟავანაძე

# ვასილ მჟავანაძე
## (7/IX-1902 წ. - 31/VII-1988წ.)
### მოგონება ლეგენდებზე

ამ ორმა ადამიანმა გადაარჩინა ქართველი ერი გადასახლებას „ყაზახეთის მიწაზე”, ვასილ მჟავანაძემ და ალექსი ინაურმა, რაზედაც მინდა მოგითხროთ ძვირფასო მკითხველო.

ცნობილი მონადირე ტარიელ კაპანაძე 1954 წლიდან 1972 წლამდე ვასილ მჟავანაძის ერთ-ერთი ერთგული მეგობარი და დიდი ნადირობის ჟამს მაღალი რანგის სტუმრების მასპინძელი გახლდათ. ის წლების განმავლობაში საქართველოს ულამაზეს ნაკრძალებს პატრონობდა. თუ დავესესხებით ნინო მჟავანაძის წიგნიდან, - ”ასეთი იყო ჩემი საქართველო, რომლებზეც ვფიქრობ“ მკითხველი ყურადღებას უმალ მიაპყრობს. (დ.ფ.)

ტარიელ კაპანაძე: - ვასილ მჟავანაძე გავიცანი 1954 წელს, როცა მეურნეობაში ტახზე სანადიროდ იყო ჩამოსული, ნადირობის შემდეგ „ცეკას” წევრები სულხან-საბას სახელობის მონკავშირში ბილიარდს თამაშობდნენ. მჟავანაძემ შემნიშნა და თვითონ მიხმო. ამის შემდეგ დაუახლოვდით. არაჩვეულებრივი კაცი იყო, მისი მსგავსი პიროვნება აღარ შემხვედრია. პირველ ნადირობას სხვები მოჰყვა. მიუხედავად ახალგაზრდა ასაკისა, ნადირობის ორგანიზებას მე მანდობდნენ. წარმოიდგინეთ, რამხელა პასუხისმგებლობაა, როცა საბჭოთა კავშირის პირველი პირებისათვის ნადირობის მოწყობა გევალება. ერთი თითქოსდა უმნიშვნელო შეცდომა და... შეიძლება, ტრაგიკულად დამთავრდეს ყველაფერი.

საქართველოს მაშინდელი მთავრობიდან ვასილ მჟავანაძესთან ერთად გივი ჯავახიშვილი, ალექსი ინაური, დევი სტურუა, გიორგი გეგეშიძე, შოთა ჭანუყვაძე და აუცილებლად ირაკლი აბაშიძე. ყველა

შესანიშნავი მონადირე იყო, გარდა ირაკლი აბაშიძისა. ის უფრო ბუნებით ტკბებოდა, ჭალის ტყის ცქერით, ვერ ვძღებიო იტყოდა.

ყველაზე მეტად ტახზე ნადირობა ვასილ მჟავანაძეს ჰყვარებია, შემდეგ ფრინველთაგან ხოხობზე, ირემს არ კლავდა, ის ხარბი მონადირე არ ყოფილა, ზომა და წონა იცოდა, მაგრამ ხელცარიელი დაბრუნებაც არ უყვარდა, თუმცა “მარცხს” ხუმრობით უმკლავდებოდა. ნადირობის წინ დილით ხაში მივირთვით. პირველი სარეკი ცარიელი გამოდგა, მეორეც, მესამეც… მომიახლოვდა და მეუბნება:

*დილით ხაში გემრიელი,*
*სარეკელი ცარიელი,*
*რას აკეთებს დირექტორი*
*კაპანაძე ტარიელი?!*

იქვე მყოფმა ირაკლი აბაშიძე აღტაცება ვერ დამალა: რა შესანიშნავი აწყობილი რითმაა, კარგი იქნება თუ გააგრძელებთო. რატომაც არა, მაგრამ გაგრძელებას მოფიქრება უნდა, ეს კი ექსპრონტად ვთქვი, ღიმილით უპასუხა მჟავანაძემ.

ვასილ მჟავანაძეზე ამბობდნენ ქართული ცუდად იცოდაო, იმასაც ამბობდნენ ზოგიერთები, პატრიოტი არ იყოო, არადა, სამშობლო და ქართველი ხალხი უზომოდ უყვარდა. ერთხელ 1967 წლის სეზონზე გარდაბანში ჩამოვიდა, მჟავანაძე ვიღაცას ესაუბრა, სახე მოეღუშა და დევი სტურუას მიმართა: „დევი, სოხუმში მომიწევს წასვლა!” ბიჭვინთაში სუსლოვი და პონომარიოვი ჩამოდიან, ხვალ აფხაზებს უნდა შეხვდნენ... რაღაც სისულელეები რომ არ ილაპარაკონ, ერთი ნაბიჯით არ მოსცილდე მათ”. მუდამ ყურადღებით იყო, რაიმე რომ არ გამოპარვოდა და საერთოდ, ქართველები ახლა აკმოლინსკში, კუსტანაიში და ცელინოგრადში რომ არ ვართ გადასახლებული, ვასილ

მჟავანაძის სტუმარ-მასპინძლობით გადარჩენილი ქართველები



ნიკიტა ხრუშჩოვი სტუმრად საქართველოში

მჟავანაძის დამსახურებაა. ამბობდნენ ნიკიტას ნადირობა უყვარდა და საქართველოში უნადირიაო, მაგრამ მას ქართველებისადმი ბოღმა და შური ახრჩობდა. ვერ იტანდა ქართველებს და რომ დალევდა იმუქრებოდა - გაგაციმბირებთო. მჟავანაძე რომ არა, ვინ იცის, ყირიმელი თათრებივით გვიხეტიალია წერილებით და განცხადებებით ხელში მაღალჩინოსნების კაბინეტების კარდაკარ - სამშობლოში დაგვაბრუნეთო!

საქართველოში სანადიროდ ჩამოსვლა კი უყვარდა, მაგრამ ქართველები ვერ შეიყვარა.

1959 წლის თებერვალში, ჩამოვიდა საქართველოში, მისი ვიზიტი არავის გახარებია, რადგან 1956 წელს ახალგაზრდები დაგვიხოცა, და ამ დანაშაულის ჩამდენი და ინიციატორი სანადიროდ ჩამოდის!... ყველაზე აუტანელი კი ის არის, რომ უნდა იცინო, პატივი სცე, იმ ტრაგედიის ჭრილობას ჯერ კიდევ არ ჰქონდა შემცვლელის სისხლი და, გვეშინოდა ვინმე „კამიკაძეს" ნიკიტასათვის არ ესროლა... ნადირობის ორგანიზაცია მთლიანად მე დამავალეს. უშიშროების კომიტეტში ამ ნადირობაში მონაწილეთა სია მივიტანე. ხრუშჩოვის ჩამოსვლამდე ორი დღით ადრე სანადირო მეურნეობის ტერიტორიას სპეცდანიშნულების სამხედრო ნაწილმა ალყა შემოარტყა. გარდაბნის ტყე "კაგებეშნიკებით" გაივსო. ნიკიტა „ცეკას" პრეზიდიუმის წევრებთან ერთად გადმოვიდა, პირადი ექიმი და მზარეულიც ახლდა. იმ ნადირობის დროს ხრუშჩოვმა გარეულ ღორს ესროლა და დაჭრა. მისი ლეში სამი დღის შემდეგ ვიპოვეთ. მახსოვს, ნადირობის შემდეგ სტუმრები უკვე კარავში ქეიფობდნენ, რომ ერთმა ჩვენიანმა ულამაზესი ირემი მოკლა და ხრუშჩოვს მიართვა - „ქართველებში „პადხალიმებს" რა დალევს! სხვათა შორის ამის გამო შავი დღე აყარა ხრუშჩოვმა: „ზაჩემ ტაკუიუ კრასოტკუ პოგუბილ? ბეგალ ბი სებე ვ

ლესუ!” ამ სიტყვების შემდეგ გულის სიღრმეში მის მიმართ სიმპათიის ნაპერწკალი გამიკრთა.

1964 წლის გაზაფხულია, ერთ დღეს, როგორც ყოველთვის, გარდაბანში ვარ, ნაკრძალში, საღამო ხანს სახლში შევედი (ნაკრძალში პატარა სახლი იდგა) ოთახში ორი ტელეფონი მქონდა - სამთავრობო და “ვეჩე”, ნებისმიერ დროს მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში დარეკავდი, მას სანადიროდ ჩამოსულნი იყენებდნენ. პირადად მე არასდროს მისარგებლია. ვასილ პავლოვიჩი მირეკავდა, თუ დავჭირდებოდი, ტყეში სირენა მქონდა. „ვეჩე” თუ დარეკავდა კისრისტეხით გავრბოდი. როდესაც მჟავანაძე ჩამოსვლას დააპირებდა, ყოველთვის რეკავდა, მაგრამ იმ საღამოს ტელეფონის ზარი არ ყოფილა. მჟავანაძე მოსკოვიდან თბილისში ჩამოფრინდა, მძღოლი ანდრო დახვდა. არც სახლში წავიდა, არც „ცეკაში”, პირდაპირ გარდაბნისკენ გამოეშურნენ. საკმაოდ გვიან ჩამოვიდნენ. გავოცდი, ეტყობოდა, ძალიან ცუდ გუნებაზე იყო, მეუბნება: „ტარიელ, მოდი, ვივახშმოთ”. არაფერი ისეთი არ მქონდა და შევწუხდი - ლობიო მაქვს, მჭადი გაცივდა, ახლაც გამოვაცხობ-მეთქი. „არა, არ გინდა, გააფიცხე, უბრალოდ ვივახშმოთ”. დავტრიალდი, პატარა ტაბლაზე ლობიო, გაფიცხებული მჭადი, ყველი და ცოტა მწვანილი დავდე. ვივახშმეთ, მერე ბევრი ვიარეთ მწუხრის ტყეში. ჩემი თანამშრომელი ილიკო გვახლდა, უბრალო გლეხი, დიდი განათლება იმას არ ჰქონდა, მაგრამ რაც უნდა ეკეთებინა, შესანიშნავად იცოდა. ვასილ პავლოვიჩს ძალიან უყვარდა. დავდივართ ტყეში, მჟავანაძე რაღაცას აყოლებს, უსმენს, თავადაც საუბრობს ტყეზე, ცხოველებზე… თავისი ბავშვობა გაიხსენა, დედულეთი, სოფელი, ობლობა, მერე ხონის ტყავის ქარხანაში გატარებული სიყმაწვილის მძიმე წლები… ძალიან ნაღვლიანი იყო, ვატყობდი, რომ რაღაც ხდებოდა, მაგრამ არ ვიცოდი რა. მე ვერაფერს ვუბედავდი რადგან ჩემი რანგი ვიცოდი. ჩვენი საუბარი, ტყე,



ალექსი ინაური

ნადირობა, თევზაობას ეხებოდა. გვიან დავბრუნდით სახლში, ვასილ პავლოვიჩმა მითხრა, დარეკე, ხვალ დილით ჩამოვიდნენ, - გივი ჯავახიშვილი და ალექსი ინაურიო. მათ იცოდნენ მჟავანაძე აქ რომ იყო, მაგრამ, მოსკოვში რა საქმე ჰქონდა, არ იცოდნენ. ძალიან გვიანობამდე ვისაუბრეთ, არ ეძინებოდა, მერე თავის ოთახში წავიდა მოსასვენებლად. მთელი ღამე არ მეძინა. მართალია თავისი ოთახიდან აღარ გამოსულა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, არც მას უძინია. მეორე დილით 10 საათზე, ინაური და ჯავახიშვილი ჩამოვიდნენ. მე საუზმეს ვამზადებდი - ჩაი, ყველი, კარაქი. კარი არ მიმიხურავს და მათი საუბარი მესმოდა. მჟავანაძე ამბობს: „ხრუშჩოვმა მითხრა, ყველაფერი მომზადებულია - კუსტანაი, აკმოლინსკი, ცელინოგრადი ქართველები იქ უნდა გაგასახლოთო"... ეს რომ გავიგონე, კინაღამ ტვინში სისხლი ჩამექცა. ვუსმენ, ვერც კარს ვხურავ და ვერც საუზმის გასაშლელად შევდივარ. მერე იერიშზე გადმოვიდა - განაგრძო მჟავანაძემ, - მე ვუთხარი: ახლავე რომ გავასახლოთ, სისხლი დაიღვრება, მომეცი ექვსი თვის ვადა ხალხს შევამზადებ-მეთქი. ექვსი თვე გეყოფაო? - მკითხა ხრუშჩოვმა. სავსებით-მეთქი და, აი, ჩამოვედი თქვენთან. ძალიან ცუდ გუნებაზე ვარ. ახლა გაოცება არაფერს უშველის, მარჯვედ უნდა ვიყოთ, პანიკა საჭირო არ არის. ამ ინფორმაციამ ხალხში არ უნდა გაჟონოს.

თურმე როდესაც მჟავანაძე ხრუშჩოვთან იყო, აფხაზეთის დელეგაცია ჩასულა, პავლოვიჩმა იცოდა, რომ აფხაზები მოსკოვში აპირებდნენ წასვლას, მაგრამ, რა საკითხზე - არ იცოდა. მჟავანაძეც მის კაბინეტში იყო, როცა ხრუშჩოვს დაურეკეს და უთხრეს - აფხაზეთის

დელეგაციას შემოსვლა უნდაო. მჟავანაძეს უთქვამს: წავალ, უხერხულია, რომანოვთან შევალო. არაო, - არ გაუშვა ნიკიტამ. შემოვიდნენ აფხაზები და ნიკიტა მიეგება - ვიცი, რატო ჩამოხვედითო. აფხაზებს გაეხარდათ, ჩვენ ყველაფერი მზად გვაქვს, - იგივე გაიმეორა ნიკიტამ, რაც მჟავანაძემ უთხრა, - წადით შუა აზიაში, ყაზახეთში, ცელინოგრადში. აფხაზები ისეთი ხალხი ხართ, იქაც მოიყვანთ ციტრუსსო - დაუცინია ნიკიტას, იცხოვრეთ ისე როგორც ავტონომიას შეეფერებაო, არაფერი შეიცვლება"... თურმე აფხაზები კარისკენ უხმოდ, უკან-უკან წავიდნენ. ეს ყველაფერი იმ დილით მოვისმინე. ხრუშჩოვი სიმთვრალეში მუდამ ქართველების გასახლებით იმუქრებოდა, მაშინაც მთვრალი იყო, ალბათ ვასილ პავლოვიჩი სულ ამ ჭირვეული ლოთის მორჯულებაში იყო. როდესაც ამის შესახებ უამბო ინაურს და ჯავახიშვილს, მალე წავიდნენ. დავრჩი მარტო, დარდით გულგასიებული. დღეში სამი კოლოფი სიგარეტი არ მყოფნიდა, ღამეები არ მეძინა, ვერც ვერაფერს ვეკითხებოდი, არც არავინ რეკავდა. ასეთ საშინელ განცდებში ველოდებოდი იმ ექვსი თვის გასვლას. ოქტომბერი დადგა. ისევ ტყეში ვარ და სირენის ხმა მესმის - ესე იგი „ვეჩე" რეკავს, თურმე ნიკიტა ხრუშჩოვი გადაუყენებიათ. ვერ აგიღწერთ, ეს რა სიხარული იყო. მაშინ მივხვდი, და რატომ უთხრა მჟავანაძემ, ექვსი თვე მაცალეო - ამ ექვს თვეში ბოლო მოუღო. გული ამოვარდნაზე მქონდა. იმწამსვე გავვარდი გარდაბნის რაიკომის პირველ მდივანთან. არასდროს გაუფრთხილებლად არ შევსულვარ, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი მეგობარი და ახლობელი იყო, მაგრამ, ახლა პირდაპირ შევიჭერი მის კაბინეტში და ყველაფერი ვუთხარი, მანამდე ამის შესახებ არავინ იცოდა. აი, მაშინ კი აღვნიშნეთ, მაგრამ, რა აღვნიშნეთ. მოგვიანებით, მოსკოვიდან ფოტოსურათი ჩამოიტანეს - ხრუშჩოვი ტიროდა. ისევ ქართველებმა მოუგრიხეს კისერი. გავიდა დრო, ერთხელაც - გავბედე და ინაურს ვკითხე: მართლა

## „ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲐᲢᲘᲣᲠᲘ ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲗ-ᲛᲐᲡᲞᲘᲜᲫᲚᲝᲑᲐ“

„ითამაშე პავლოვიჩო,
დაუარე დავლურიო,
ყველა სიკეთით გიხსენებს,
კაცი იყავ კაცურიო.“ – (დ.ფ.)



ვასილ მჟავანაძის სტუმარ-მასპინძლობით შეჩერებული ქართველების გადასახლება ციმბირში

გაგვასახლებდა ხრუშჩოვი? როგორ გაბედავდა-მეთქი, გაეცინა და მითხრა: აბა, რა გგონია, მზითებსაც გაგვატანდნენო. ხრუშჩოვის მოშორებაში ინაურმაც უდიდესი როლი ითამაშა და ეს ყველაფერი იმ ექვს თვეში მოხდა, მჟავანაძემ მოსამზადებლად რომ ითხოვა ხრუშჩოვისაგან.

## *მოგონება*

ერთხელ მოსკოვიდან მაღალი რანგის სტუმრები ჩამოვიდნენ. ვიზიტის ოფიციალური ნაწილის შემდეგ გამართულ სადილზე, ქართული სუფრის წესისამებრ, თამადამ სადღეგრძელოების თქმა დაიწყო, გამორჩეულად აღნიშნა როინ მეტრეველი, როგორც ახალგაზრდა პერსპექტიული ახალგაზრდა, ენერგიული პიროვნება და მისი სადღეგრძელოს შესმა დააპირა. ამ დროს ვასილ მჟვანაძემ სიტყვა გააწყვეტინა და საზოგადოებას სულ სხვა სადღეგრძელო შესთავაზა. მაშინ ახალგაზრდა ვიყავი და გულზე მომხვდა, რომ ვასილ პავლოვიჩმა საზოგადოების წინაშე ასე უცერემონოდ შეაჩერა ჩემი სადღეგრძელო და სულ სხვა პიროვნების დამსახურებაზე დაიწყო საუბარი, რომელიც გაცილებით ჩემზე უფროსი იყო და ჩემზე მაღალი თანამდებობა ჰქონდა. რა თქმა უნდა ვიფიქრე, რომ უსამართლოდ მომექცა, ახლგაზრდა რომ ვიყავი, ამიტომ დავიჩაგრე და სხვა. სუფრა ისე დამთავრდა, ჩემი სადღეგრძელო აღარ თქმულა. ცხადია, ხმა აღარ ამომიღია, არც შემიმჩნევია. გულში კი მწარედ ჩამრჩა. მესამე დღეს ვასილ პავლოვიჩი მიბარებს და მეუბნება: - როინ შვილო (ასე მომმართავდა ხოლმე), ვიცი გეწყინებოდა, შენი სადღეგრძელო რომ არ ვათქმევინე თამადას, მაგრამ ეს შეგნებულად გავაკეთე. საჯაროდ ასეთი ქება-დიდება სიკეთეს არ მოგიტანდა, პირიქით უამრავ მტერს

შეგძენდაო მაშინ მისი სიტყვების ბოლომდე გაცნობიერება გამიჭირდა, დღეს კი ვხვდები, რაოდენ ფრთხილი და ბრძენი კაცი იყო ვასილ პავლოვიჩი და რა კარგად იცნობდა ადამიანებს.

მეორე ეპიზოდი ისტორიული მნიშვნელობისაა და „ხახულის კარედს“ ეხება. ხრუშჩოვის გადაწყვეტილებით ეს სიწმინდე ერთ ამერიკელს მიჰყიდეს და იგი „ნავაჭრის“ მისაღებად თბილისს ეწვია კულტურის საკავშირო წარმომადგენელთან ერთად. შეშფოთებული შალვა ამირანაშვილი (მუზეუმის დირექტორი) ტელეფონით დაუკავშირდა პირადად ვასილ მჟავანაძეს და შველას სთხოვა. დაადე ბოქლომი მუზეუმს და ერთი კვირით სადმე დაიკარგეო, - დაარიგა ცეკას პირველმა მდივანმა. შალვა ამირანაშვილი ასეც მოიქცა. ერთი კვირის განმავლობაში ვასილ მჟავანაძემ ხრუშჩოვის გადარწმუნება შეძლო. „ხახულის კარედი“ გადარჩა.

როინ მეტრეველი



მარჯვნიდან დგანან: ტარიელ კაპანაძე, საშა მაჟავანაძე,
ტარიელ ვარდანაშვილი



ვასილ მჟავანაძე, ჯუმბერ პატიაშვილი, როინ მეტრეველი...

## „ასეთი იყო ჩემი საქართველო“

არასდროს მოვრიდებივარ ამის თქმას და არც ამჯერად მოვერიდები: ვასილ მჟავანაძისნაირი ხელმძღვანელი არც საბჭოთა საქართველოს ჰყოლია 70 წლის განმავლობაში და არც დამოუკიდებელ საქართველოს ჰყავს დღემდე. ეს იყო კაცი, რომელიც ყველგან სიკეთესა და სიყვარულს თესავდა; განსაკუთრებით ზრუნავდა მშრომელებზე, მათ კეთილდღეობაზე და მიუხედავად იმისა, რომ პარტიული ფუნქციონერი გახდათ, გულწრფელი, უბრალო და უშუალო ფორმით საკუთარ ხალხთან ურთიერთობაში ბადალი არ ჰყავდა. მშრომელ ადამიანს კი რა უნდა და იმის გარდა, რომ ხელისუფლებას წაეხალისებინა, ხალხს ჰყვარებოდა და დაეფასებინა... ამას ვასილ მჟავანაძე არა მხოლოდ პიროვნული თვისებებით, როგორც რესპუბლიკის ხელმძღვანელი, იდეოლოგიურად ახერხებდა.

ვასილ პავლოვიჩი პირადად 1969 წელს, მას შემდეგ გავიცანი, რაც მოსკოვიდან დაბრუნებული საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნად ამირჩიეს. მახსოვს პირველი და წარუშლელი შთაბეჭდილებაც... ვასილ მჟავანაძემ ეს შეხვედრა იმდენად გულთბილ და მამაშვილურ ატმოსფეროში წარმართა, ძნელი დასაჯერებელი იყო, ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის პირისპირ რომ ვიჯექი. არ მოჰყოლია ჩინოვნიკურ დიდაქტიკასა და პარტიული დირექტივების გაცემას. საუბარი მამაჩემის მოგონებებით დაიწყო, გაიხსენა, როგორც პატიოსანი და უწესიერესი ადამიანი და ყოველ კეთილ საქმეში მისგან მხარდაჭერის იმედი უნდა მქონოდა. მითხრა და შეასრულა კიდეც... როდესაც ვასილ პავლოვიჩი 1972 წელს პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით თანამდებობიდან გადადგა, იგი საცხოვრებლად მოსკოვში გადავიდა. თბილისში მხოლოდ მეუღლის დაკრძალვაზე ჩამოვიდა. უფრო სწორად, მოსკოვში გარდაცვლილი

მეუღლე საქართველოში ჩამოასვენა და ამით გასაგები გახდა, სადაც არ უნდა წასულიყო ვასილ პავლოვიჩიო, სადაც არ უნდა გაეტარებინა სიცოცხლის დარჩენილი წლები, სამუდამო განსასვენებლის ალაგად მას მაინც საქართველო და ქართული მიწა მიაჩნდა.

1985 წელს ცენტრალურ კომიტეტში გვესტუმრა და მოკრძალებით მითხრა: - მომენატრა აქაურობა, მინდა ვიდრე ცოცხალი ვარ, კიდევ ერთელ დავისვენო ლიკანში, საირმესა და ქობულეთში.

- ვასილ პავლოვიჩ, სამივე კურორტზე სამთავრობო აგარაკები თქვენს განკარგულებაშია, ისარგებლეთ, როგორც გნებავთ და რამდენი ხნითაც მოისურვებთ, - ვუპასუხე მე. მადლობა გადამიხადა და ვიდრე ჩემს კაბინეტს დატოვებდა და ჩვეულებრისამებრ მამაშვილურად გადამეხვეოდა, მითხრა:

- ჯუმბერ, შენ ხომ იცი, რომ მე საქართველო ყოველთვის მიყვარდა და თუ რამ შემეძლო, ყველაფერი გავაკეთე ჩემი სამშობლოსათვის, მაგრამ დღეს უფრო მეტი სიკეთე მინდა მისთვის. შენი იმედი მაქვს, მხოლოდ ერთს გთხოვ: გაითვალისწინე ჩემი გამოცდილება და ყველას ნუ ენდობი, რადგან ვისაც ყველაზე მეტად ვენდობოდი, სწორედ მათ მიღალატეს. ეს დარიგება, რომელიც ერთგვარად ანდერძსაც ჰგავდა, ბევრჯერ  გამახსენდა ვინ იცის, იქნებ ვასილი პავლოვიჩი, როცა ამ სიტყვებს მეუბნეოდა, მთელი სიცხადით ხედავდა კიდეც იმ სიძნელეებს, რომელთა წინაშე მართლაც აღმოვჩნდი სამი - ოთხი წლის შემდეგ.

ვასილ მჟავანაძეს უკანასკვნელად ქობულეთში შევხვდი. ერთად მოდიოდნენ ის და ირაკლი აბაშიძე. ორი ბუმბერაზი პიროვნება ორივე ასაკში იყო შესული... ორივეს მოვეფერე, ორივემ მამაშვილურად ჩამიხუტნენ გულში...გულწრფელად მწყდება გული, რომ ეს საოცარი კადრები ჩემს ფოტო არქივში აღარ შემორჩა.

როდესაც ვასილ მჟავანაძე გარდაიცვალა, მას ღირსეული სამოქალაქო პანაშვიდი გავუმართეთ, რუსთაველის პროსპექტზე მდებარე ოფიცერთა სახლიდან  გამოვასვენეთ და საბურთალოს პანთეონში, მეუღლის გვერდით დავკრძალეთ. მოშურნეებს და გამქილაკებლებს რა გამოლევს ამ ქვეყნად. მოსკოვის პრესაში მალევე გამოჩნდა საგაზეთო წერილი, სადაც ავტორი წერს, რომ საქართველოს ცენტრალური კომიტეტის ყოფილ მდივანს, ვასილ მჟავანაძეს ასეთი პატივით დაკრძალვა არ ეკუთვნოდა. ბუნებრივია „მოსკოვსკიე ნოვოსტის“ რედაქციას საკადრისი პასუხი გავეცით. მე კი მაშინაც ასე ვფიქრობდი და დღესაც ვფიქრობ, რომ ვასილ მჟავანაძე გაცილებით მეტ პატივს იმსახურებდა და ამ დიდი პიროვნების ღვაწლი დღემდე ჯეროვნად შეფასებული არ არის

ჯუმბერ პატიაშვილი


ვასილ მჟავანაძე: „ღმერთო დამილოცე ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო!“

(დ.ფ) ...სვანეთის უბანში ქურთი ჯალილა ცხოვრობდა. 45 წელი უსრულდებოდა ჯალილას და გადაწყვიტა, დიდი დაბადების დღე გადაეხადა... ვიცოდით რომ ცეკა-ს პირველი მდივანი ვასილ მჟავანაძე  ხალხში დადიოდა, ესაუბრებოდა და ეხმარებოდა მათ.

ჯალილამ მეზობლებს უთხრა - ყველა რაღაცას სთხოვს ვასილ პავლოვიჩს, მე კი დაბადების დღეზე დავპატიჟებ, აბა ვნახოთ, თუ მიკადრებს და მოვაო. ადგა ჯალილა და ცეკაში დეპეშა გაგზავნა ვასილ მჟავანაძის სახელზე: ძალიან გთხოვთ დაბადების დღეზე მეწვიოთო. მეზობლებმა

დასცინეს, ეგღა აკლია ცეკა-ს პირველ მდივანს, შენთან სტუმრად მოვიდესო. არც ჯალილას სჯეროდა, რომ მჟავანაძე მის დაბადების დღეზე მოვიდოდა, მაგრამ მაინც გაბედა. ეზოში სუფრაა გაშლილი, ჯალილა დაბადების დღეს იხდის, - ნათესავები, მეზობლები, მეგობრები სხედან, ქეიფობენ. ამ დროს შავი „ზიმი" გაჩერდა და ...გაოცებული სუფრის წევრები თვალებს არ ვუჯერებთ - თვით ვასილ მჟავანაძე ორ თანხმლებ პირთან ერთად ჩვენსკენ მოდის, ყველანი გამშრალი და დამუნჯებული შევცქერით, ყველაზე მეტად კი ჯალილა დაიბნა, ხმას ვეღრ იღებს.

უხერხულობა თავად ვასილ პავლოვიჩმა დაარღვია, ძალიან უშუალოდ, უბრალოდ მოგვესალმა ყველას და სუფრასთან დასხდნენ. მჟავანაძემ სამი სადღეგრძელო დალია...

პირველად სუფრის ყველა წევრი გვადღეგრძელა, შემდეგ ჯალილა დალოცა, ბოლოს კი ყველა ეროვნება - ქურთები, სომხები, ქართველები და სხვათა ძმური ცხოვრება ადღეგრძელა ვასილ მჟავანაძე, - 1953-1978 წლებში საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.

უბრალოებას არაფერი არ ჯობია. უბრალოებაში სუფთა სულია.

*ჯუმბერ გიგაური.*
*ქ. თბილისი „ სვანეთის უბანი"*

...1964 წლის ოქტომბერს „ბიჭვინთაში" ალექსანდრე ინაურმა პირადად დაადო ხელბორკილები საბჭოთა კავშირის დამანგრეველ ქართველთა მოძულეს, არასახსენებელ ნიკიტა ხრუშჩოვს, წესით მისი აყვანა ევალებოდა, - სიროვს (უშიშროება) და რუდენკოს (პროკურატურას), მაგრამ მჟავანაძის დაჟინებული თხოვნით, ეს ალექსი ინაურმა განახორციელა და ანასტასია მიქოიანთან (სტალინის მოძულე) ერთად, ორივე ბორკილებით ჩაათრია მოსკოვში. ამით

საქართველოს ორივე ღირსეულმა შვილმა, თავისი ვალი მოიხადეს ი.ბ. სტალინის წინაშე!!! მარადიული ხსოვნა მათ.

(დ.ფ.) ანასტას მიქოიანმა „თხასავით“ გაყიდა ი.ბ. სტალინი, გივი ჯავახიშვილთან ერთად მონაწილეობა მიიღო მისი ნეშტის მავზოლეუმიდან გამოტანასა და კრემლის კედელთან დაკრძალვაში.

მიქოიანს სტალინისგან სოლიდური თანამდებობა ჰქონდა ნაბოძები...

(დ.ფ.): აღნიშნული წიგნის ე.წ. „ჩერნავიკს“ ვასწორებ, თვალზე ცრემლი მომადგა..., ამ შესანიშნავი ადამიანის მიერ კეთილშობილურ განვლილ ცხოვრებაზე... ნუთუ ასე დავუფასეთ ქართველებმა?!... მშვიდობაში მოიხმარეთ მაიაკოვსკის ოთხი ძეგლი, ალიევის, რეიგანის, კაჩინსკის, - „პირველი ღამის სიძის? - გრიბოედოვის, ცოცხალი ბუშის ქუჩა, პუშკინის, „კამოს ველოსიპედის“... „რაც კარგები ვართ ქართველები ვართ!“...

ავტორისაგან: (დ. ფ) ასე „ჯიგარდამწვარი“ როგორ გავხდით ქართველები, რომ ამ პატრიოტი კაცის სულს ასე ვეპყრობით, 100 მეტრიანი ქუჩა და 0,50 სანტიმეტრიანი ბიუსტი არ არსებობს საქართველოში. სამაგიეროდ გვაქვს, - ალიევის, რეიგანის, კაჩინსკის, მაიაკოვსკის, გრიბოედოვის, პუშკინის, ლერმონტოვის, შევჩენკოს და ცოცხალი ბუშის ქუჩა....

მოამზადა: დონი ფანჩულიძემ



ედვარდ (გიორგი) შევარდნაძე

# ედვარდ ამბროსის - ძე შევარდნაძე
## 25/01-1928 (86) 7/07/2014 წწ.

ბედმა მარგუნა, მასთან ერთად ბევრი ისტორიული მოვლენის მოწმე ვყოფილიყავი, ზოგჯერ ქარტეხილებსაც კი. ამ გამოცდილებიდან ჩვემთვის ერთი რამ არის ნათელი - მისი პრიორიტეტი ყოველთვის იყო მისი იდეალები და საქართველო.

ამბობენ, რომ იგი იყო წინააღმდეგობრივი პიროვნება და ესეც იყო, რადგან ისეთი მასშტაბის ადამიანი, როგორც ედუარდ შევარდნაძე იყო, სხვანაირი ვერ იქნებოდა. მას მართლა არ ჰყავდა ბევრი მეგობარი და მტერი. ამ წამს, უკლებლივ ყველა მათგანს მინდა გადავუხადო მადლობა  იმისათვის, რომ არ ტოვებდნენ მას ცხოვრების ბოლომდე - არც მტრები და არც მეგობრები. მხოლოდ ამ თანაარსებობამ გახადა შესაძლებელი, მას გაევლო გასაოცარი ცხოვრებისეული გზა, რომელიც გაიარა. მე დღეს ვემშვიდობები ჩემ ბაბუას, ადამიანს, რომელიც გაჩენის პირველი წუთიდან ეკუთვნოდა თავის ხალხს. ასე რომ „მშვიდობით ბატონო, პრეზიდენტო“. წარმოთქმული მის დაკრძალვაზე „სამების“ საკათედრო ტაძარში.

*(ედვარდ შევარდნაძის შვილიშვილი „ჟურნალისტი“*

*სოფო შევარდნაძე*

...2014 წლის 7 ივლისს 86 წლის ასაკში საქართველოს მეორე პრეზიდენტ ედვარდ შევარდნაძის გარდაცვალებას, - „ბი-ბი-სი“-ს რუსულენოვანმა ბიურომ ედვარდ შევარდნაძის გარდაცვალებას ვრცელი წერილი მიუძღვნა:

„ედვარდ შევარდნაძემ სამი ცხოვრებით იცხოვრა: პირველი - საბჭოთა ფუნქციონერის, მეორე - გარდაქმნისა და ახალ აზროვნების შემომქმედის, მესამე - დამოუკიდებელი საქართველოს ლიდერის“. საქართველოს უახლოეს ისტორიაში შევარდნაძე წინააღმდეგობრივი ფიგურა იყო.

ავტორისაგან: 2014 წლის 13 ივლისის კვირა დღე, დღის 13:00 საათი, რამდენჯერმე დავუსვი ჩემს თავს, ბოლო პატივი, მივსულიყავი თუ არა საქართველოს პრეზიდენტ ედვარდ შევარდნაძის გამოსათხოვარ ცერემონიალზე? ...დაიწყო პირდაპირი ტრანსლაცია პირველ არხზე, ნაჩვენები იქნა რუსებთან დაპირისპირება პარლამენტის სხდომათა დარბაზში, - „დიქტატურუ ნე პობედით!“ ცრემლ-მომდგარმა სწრაფად გამოვრთე ტელევიზორი, სულ რაღაც რამდენიმე წუთში მის სასთუმალთან აღმოვჩნდი, ორი შეზღუდული ბარიერი გავიკაფე და გადავლახე, აღარ მახსოვს როგორ აღმოვჩნდი სამთავრობო წარმომადგენლების გვერდით, დღესაც მაკვირვებს...

*(დონი ფანჩულიძე) 2014 წლის*
*13 ივლისი, დღის 17:00 საათი)*



ანტონ კეზევაძე

## <<ერთეულები იბადებიან>>

## ანტონ კეზევაძე გახსენება

**(17/VII-1927 წ. - 11/VII – 1995 წ.)**

ჩემს მობილურ ტელეფონზე ზარი გაისმა...

- გისმენთ,

- ქალბატონი ნატო ბრძანდებით?

- დიახ,

- ანტონ კირილოვიჩი თქვენი რა იყო?

- (მოულოდნელობისაგან გამცრა), ბიძა, ბატონო!

- მე დონი ფანჩულიძე გახლავართ, თბილისიდან გაწუხებთ, უნდა გითხრათ, რომ იბეჭდება გაზეთი, რომელიც დამსახურებულ გარდაცვლილ პოლიციელ მუშაკებს ეძღვნებათ. თუ შეიძლება მოგვაწოდეთ ბატონი ანტონის სურათი, აუცილებლად ისეთი, სადაც ფორმა აცვია.

- მესაუბრება მამაკაცი მეტად თავაზიანი ტონით. მესიამოვნა ასეთი გულისხმიერება გარდაცვლილ ადამიანებზე, ისინი მართლაც რომ იმსახურებენ მოგონებას და პატივისცემას, ამიტომაც, ჩემი მხრიდან მადლობა გადავუხადე და დავლოცე ამ კეთილი საქმის მესვეურნი. გადავწყვიტე, სურათთან ერთად რედაქციისათვის გამეგზავნა მოკრძალებვული მოგონება, ჩემთვის ძვირფას ადამიანზე და ბიძაზე, რომელიც დედის ერთადერთი ძმა იყო. ვიფიქრე, შეიძლება გამოიჩინონ კეთილი ნება და დაბეჭდონ კიდეც - მეთქი.

ანტონ კეზევაძეზე ბევრია სათქმელი და მოსაგონარი, მისი მდიდარი ბიოგრაფია იძლევა ამის საშუალებას, მაგრამ მე მხოლოდ მცირედი შემიძლია გიამბოთ მის პიროვნულ და პროფესიულ ღირსებებზე.

# ხსოვნა გულისა



# გახსენება

## (ეძღვნება ანტონ კეზევაძის ხსოვნას)

ჩემს მობილურზე ზარი გაისმა.
— გისმენთ.
— ქალბატონი ნატო ბრძანდებით?
— დიახ.
— ანტონ კირილოვიჩი თქვენი რა იყო?
— (მოულოდნელობისგან გამცრა), ბიძა, ბატონო!

— მე ლონი ფანჩულიძე გახლავართ, თბილისიდან გაწუხებთ, უნდა გითხრათ, რომ იბეჭდება გაზეთი, რომელიც დამსახურებულ გარდაცვლილ პოლიციის მუშაკებს ეძღვნებათ. თუ შეიძლება მოგვაწოდეთ ბატონი ანტონის სურათი, სასურველია ფორმაში.

— მესაუბრება მამაკაცი მეტად თავაზიანი ტონით. მესიამოვნა ასეთი გულისხმიერება გარდაცვლილ ადამიანებზე, ისინი, მართლაც, რომ იმსახურებენ მოგონებას და პატივისცემას, ამიტომაც, ჩემი მხრიდან მადლობა გადავუხადე და დავლოცე ამ კეთილი საქმის მესვეურნი. გადავწყვიტე, სურათთან ერთად რედაქციისათვის გამეგზავნა მოკრძალებული მოგონება ჩემთვის ძვირფას ადამიანზე და ბიძაზე, რომელიც დედის ერთადერთი ძმა იყო. ვიფიქრე, შეიძლება გამოიჩინონ კეთილი ნება და დაბეჭდონ კიდეც-მეთქი.

ანტონ კეზევაძეზე ბევრია სათქმელი და მოსაგონარი, მისი მდიდარი ბიოგრაფია გქლევა ამის საშუალებას, მაგრამ მე მხოლოდ მცირედი შემიძლია გიამბოთ მის პიროვნულ და პროფესიულ ღირსებებზე.

ის გახლდათ თავის საქმეზე უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანი, მამაცი, თავდაუზოგავი მუშაკი. სულ პირველად, ამ სფეროში მხოლოდ იმიტომ მოხვდა, რომ პირველი კურსის სტუდენტი (სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, ღვინის ტექნოლოგიის ფაკულტეტი) მამამ დასაჯავშნად მიიყვანა, მაგრამ შემდეგ ისე დაინტერესდა, ისეთი ახლობელი აღმოჩნდა მისთვის ეს საქმე, რომ მთელი მისი შეგნებული ცხოვრება ამ პროფესიას მიუძღვნა. გამოუვიდა კიდეც! ნაბიჯ-ნაბიჯ, მიზანმიმართულად მიიწევდა წინ. უშიშარი ბუნება, სამართლიანობის განცდა და დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა — აი თვისებები, რომლითაც ის გამოირჩეოდა. დაინახეს, დაუფასეს და წარმატებებმაც არ დააყოვნა, რასაც საბოლოოდ მოჰყვა პოლიციის მაღალი ჩინი — ვიცე-პოლკოვნიკის წოდება.

**ანტონ კეზევაძე** წლების განმავლობაში მუშაობდა თბილისის პირველი მაისის რაიონის მილიციის უფროსის მოადგილედ. იგი დაიბადა 1927 წლის 17 ივლისს იმერეთის მხარეში, სოფელ სიმონეთში, შეძლებულ ოჯახში. სწორედ მშობლებისგან გამოყვა ადამიანების დახმარებისა და სიკეთის ქმნის სურვილი. ამ წესით იცხოვრა, როგორც კაცმა და როგორც პროფესიონალმა, მისი სახლის კარი მუდამ ღია იყო ახლო თუ შორეული ნათესავებისათვის. ვის აღარ წვდებოდა მისი კეთილი გული. მით უფრო, რომ გვერდით ჰყავდა ღირსეული მეუღლე. სიკეთით აღსავსე, მშვენიერი ქალბატონი როზა. მათ წარბი არასოდეს შეუხრიათ ადამიანის დასახმარებლად, რა თქმა უნდა როგორც შეეძლოთ, თავად მრავალრიცხოვანი ოჯახის პატრონთ. ახსოვთ ეს იმ ადამიანებს, რომლებმაც მათ გვერდით იცხოვრეს... თავს უფლებას მივცემ და გავიხსენებ მისი მეუღლის, ქალბატონი როზას ერთ-ერთ მონათხრობს, დიდი ოჯახის დიასახლისი დღე და ღამ უეხზე იდგა და შრომობდა, მაგრამ ვიდრე მეუღლე შინ არ დაბრუნდებოდა, არ დაიძინებდა: „— ერთხელ სადარბაზოს კართან უჩვეულო ხმა შემომესმა, — ჰყვებოდა ქ-ნი როზა, უმალ კარისკენ გავეშურე, ფრთხილად გავიხედე სათვალთვალო მინაში, დავინახე ანტონს უკანხელებშეკრული ახალგაზრდა კიბეზე ჩამოჰყავს, მივხედი საქმე რაშიც იყო, ავღელდი, მაგრამ კარის გაღება ვერ გავბედე, ანტონს ეწყინებოდა. მოგვიანებით გაირკვა, რომ ეზოში შემოსულ ანტონს საეჭვო ახალგაზრდა შეუმჩნევია, ცოტახანს აცალა თურმე და შემდეგ უკან დაედევნებია, სადარბაზოში შესულს, სხვენისთვის შეუფარებია თავი. ანტონიც აჰყოლია სხვენზე და ერთმანეთის პირისპირ აღმოჩენილან. უთქვამს: — არ იხმაურო, სირცხვილია, მეზობლებს გავაღვიძებთო. ასე დამორჩილებული წაუყვანია განყოფილებაში. ბევრად უფრო რთული და მძიმე ოპერაციები ჩაუტარებია მარტოს, იცოდა თქმა: — რა გაეწყობა, ასეთია ჩვენი სამსახური, თუ საკუთარ თავს ძალიან გაუფრთხილდი, საქმეს ვერ გააკეთებ. ჩვენი ყოველი სამუშაო დღე შეიძლება ფატალური შედეგით დასრულდეს“.

მართლაც, რომ თავდაუზოგავად ემსახურა რთულ პროფესიას. მის ამ საუკეთესო თვისებებს კიდევ უფრო ამშვენებდა ფიზიკური გარეგნობა, რომელიც გულგრილს არავის ტოვებდა, ნამდვილი ბუნების შვილი იყო. იგი 15 წლის წინ, 1995 წლის 11 ივნისს გარდაიცვალა. სოფელ სიმონეთში ახლო ნათესავებმა და სოფლის მცხოვრებლებმა ოჯახს თხოვნით მიმართეს, რათა მისი ნეშტი მშობლიურ მიწაში დაემარხათ ლელ-მამის გვერდით.

მახსოვს, ჩვეულებრივი მართლმადიდებლური რიტუალის შემდეგ, როდესაც კუბო ღია საფლავთან დადგეს, სოფლის დიდი ხნის მესაფლავემ, ცრემლიანმა და დამწუხრებულმა ერთი განსაკუთრებული ქვეტი დაგვამახსოვრა, ერთადერთი ვარდი სამარეში გადააგდო — „კირილიჩ, იმქვეყნად სულ ვარდებით მოფენილი იარე...“

**ნატალია ნოსელიძე,**
**ლონი ფანჩულიძე, პოლიციის გადამდგარი ვიცე-პოლკოვნიკი**

ის გახლდათ საქმეზე უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანი, მამაცი, თვდაუზოგავი მუშაკი. სულ პირველად, ამ სფეროში მხოლოდ იმიტომ მოხვდა, რომ პირველი კურსის სტუდენტი (სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტი, ღვინის ტექნოლიგიის ფაკულტეტი) მამამ დასაჯავშნად მიიყვანა, მაგრამ შემდეგ ის დაინტერესდა, ისეთი ახლობელი აღმოჩნდა მისთვის ის საქმე, რომ მთელი მისი შეგნებული ცხოვრება, ამ პროფესიას მიუძღვნა. გამოუვიდა კიდეც! ნაბიჯ - ნაბიჯ, მიზანმიმართულად მიიწევდა წინ. უშიშარი ბუნება, სამართლიანობის განცდა და დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა, აი თვისებები, რომლითაც ის გამოირჩეოდა. დაინახეს, დაუფასეს და წარმატებებმაც არ დააყოვნა, რასაც საბოლოოდ მოჰყვა პოლიციის მაღალი ჩინი, ვიცე პოლკოვნიკის წოდება. ანტონ კეზევაძე წლების განმავლობაში მუშაობდა თბილისის პირველი მაისის რაიონის მილიციის უფროსის მოადგილედ. იგი დაიბადა 1927 წლის 17 ივლისს იმერეთის მხარეში, სოფელ სიმონეთში. შემლებულ ოჯახში, სწორედ მშობლებისაგან გამოყვა ადამიანების დახმარებისა და სიკეთის ქმნის სურვილი. ამ წესით იცხოვრა, როგორც კაცმა და როგორც პროფესიონალმა, მისი სახლის კარი მუდამ ღია იყო ახლო თუ შორეული ნათესავისათვის. ვის აღარ წვდებოდა მისი კეთილი გული. მით უფრო, რომ გვერდით ჰყავდა ღირსეული მეუღლე. სიკეთით აღსავსე, მშვენიერი ქალბატონი როზა. მათ წარბი არასოდეს შეუხრიათ ადამიანის დასახმარებლად, რა თქმა უნდა როგორც შეეძლოთ, თავად მრავალრიცხოვანი ოჯახის პატრონთ. ახსოვთ ეს იმ ადამიანებს, რომლებმაც მათ გვერდით იცხოვრეს... თავს უფლებას მივცემ და გავიხსენებ მისი მეუღლის, ქალბატონ როზას ერთ-ერთ მონათხრობს, დიდი ოჯახის დიასახლისი დღედაღამ ფეხზე იდგა და შრომობდა, მაგრამ ვიდრე მეუღლე შინ არ დაბრუნდებოდა, არ დაიძინებდა: - „ერთხელ სადარბაზოს კართან უჩვეულო ხმა შემომესმა - ყვებოდა ქ-ნი როზა, უმალ კარისკენ გავეშურე, ფრთხილად გავიხედე სათვალთვალო მინაში, დავინახე

ანტონს უკან ხელებშეკრული ახალგაზრდა კიბეზე ჩამოყავს, მივხვდი საქმე რაშიც იყო, ავღელდი, მაგრამ კარის გაღება ვერ გავბედე, ანტონს ეწყინებოდა, მოგვიანებით გაირკვა, რომ ეზოში შემოსულ ანტონს საეჭვო ახალგაზრდა შეუმჩნევია, ცოტა ხანს აცალა, თურმე და შემდეგ უკან დადევნებია, სადარბაზოში შესულ სხვენისთვის შეუფარია თავი. ანტონიც აჰყოლია სხვენზე და ერთმანეთის პირისპირ აღმოჩენილან. უთქვამს: - არ იხმაურო, სირცხვილია, მეზობლებს გავაღვიძებთო. ასე დამორჩილებული წაუყვანია განყოფილებაში. ბევრად უფრო რთული და მძიმე ოპერაციები ჩაუტარებია მარტოს, იცოდა თქმა: - რა გაეწყობა, ასეთია ჩვენი სამსახური, თუ საკუთარ თავს ძალიან გაუფრთხილდი, საქმეს ვერ გააკეთებ. ჩვენი ყოველი სამუშაო დღე შეიძლება ფატალური შედეგით დასრულდეს.“

მართლაც, რომ თავდაუზოგავად ემსახურა რთულ პროფესიას. მის ამ საუკეთესო თვისებებს კიდევ უფრო ამშვენებდა ფიზიკური გარეგნობა, რომელიც გულგრილს არავის ტოვებდა, ნამდვილი ბუნების შვილი იყო. იგი 15 წლის წინ, 1995 წლის 11 ივნისს გარდაიცვალა. სოფელ სიმონეთში ახლო ნათესევაბმა და სოფლის მცხოვრებლებმა ოჯახს თხოვნით მიმართეს, რათა მისი ნეშტი მშობლიუირ მიწაში დაემარხათ დედ - მამის გვერდით. მახსოვს, ჩვეულებრივი მართლმადიდებლური რიტუალის შემდეგ, როდესაც კუბო ღია საფლავთან დადგეს, სოფლის დიდი ხნის მესაფლავემ, ცრემლიანმა და დამწუხრებულმა ერთი განსაკუთრებული ჟესტი დაგვამახსოვრა, ერთადერთი ვარდი სამარეში გადააგდო - „კირილიჩ, ამქვეყნად სულ ვარდებით მოფენილი იარე“.

*ქ. ქუთაისიდან, ნატალია ნოსელიძე*

*2010 წელი ივლისი.*



ალიოშა რზგოევი

## << საბედისწერო დღე>>
## (1978 წლის 23 მარტი - 19:00 სთ)

### სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა აღსრულებულია!
### 20/02-1945 (33) 23/03-1978 წწ.

გასული საუკუნის 70-იან წლებში „კანონიერი ქურდები“ თავიანთ სამყარო საზღვრებში იყვნენ ჩაკეტილნი, ქურდი იმ დროს ქურდობდა, ყაჩაღი ყაჩაღობდა...

ერთ-ერთი ცნობილი ბოროტმოქმედი იმ პერიოდში იყო ვინმე ომარ ხაჩატუროვი, მეტსახელად, - „ბოიოვა“, რომელიც თბილისში ელიას უბანში ცხოვრობდა. იყო რეციდივისტი, მრავალჯერ ნასამართლევმა „ბოიოვამ“ მორიგი სასჯელი ის იყო მოიხადა და გააგრძელა მშვიდობიანი თანამოქალაქეების დაწიოკება, მარცვა და ყაჩაღობა. ამის შესახებ ოპერატიული ინფორმაცია მოეპოვებოდა დავით ზეიკიძეს, რომელსაც ახლად დაწყებული ჰქონდა ქალაქის სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილებაში მუშაობა. „ბოიოვას“ მსხვერპლი ისე ჰყავდა დაშინებული, მილიციის ორგანოებს არ მიმართავდნენ. რამოდენიმე დღე გრძელდებოდა ამ ნაძირალაზე თვალთვალი. ის გრძნობდა მის გარშემო შექმნილ სიტუაციას, ფრთხილობდა. ომარ ხაჩატუროვი ბოლო დროს სახლიდან აღარ გამოდიოდა. ერთ -ერთმა პირმა „ცრუ შეტყობინებით თითქოსდა მისი დისშვილი ცუდად იმყოფებოდა N1-ლ საავადმყოფოში, და მასთან სასწრაფოდ მისვლა სთხოვეს. მის ასაყვანად შეიქმნა რამოდენიმე ოპერატიული ჯგუფი. ერთ-ერთ ჯგუფში შედიოდნენ, - დავით გოცირიძე, დავით ზეიკიძე, ვაჟა ასათიანი, (ჩემი პოლიციის უფროსი) ალიოშა რზგოევი, ნოდარ მაისაია, ალიკ ალხაზოვი, დგებუაძე, ამირან ხურცია ოპერმუშაკები.

მოხდა ისე, რომ ბოლო მომენტში ხურცია, ანზორ ბურდულმა შეცვალა ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით.

1978 წლის 23 მარტს საღამოს 19:00 საათზე დაიწყო ოპერაცია, პრიმიტიული შეიარაღებით. ერთი ჯგუფი „წყაროს უბნისკენ“ გაემართნენ, - ვაჟა ასათიანი, ალიოშა რზგოევი, და ანზორ ბურდულის ჯგუფი. წყაროსთან უბნელები შამპანიურს სვამენ, „ბოიოვაც“ სახლიდან გამოდის და წყაროს უახლოვდებოდა. ერთ-ერთმა მათგანმა ამოიცნო ოპერმუშაკი ანზორ ბურდული. „ბოიოვა“-ს ლაბადის ჯიბიდან იარაღი არ ამოუღია, ისე ისროლა დამიზნებით, მძიმედ დაიჭრნენ რზგოევი და ბურდული. ვაჟა ასათიანი არ დაიბნა, დაუყოვნებლივ გაუხსნა ცეცხლი. ომარ ხაჩატუროვი ფეხში დაიჭრა, ბარძაყის ძვალი დაუზიანდა, რის შემდეგ ვაჟა ასათიანი დაახტა ზემოდან და განაიარაღა. იქვე მაღაზიიდან გამოვარდა კიდევ ერთი მისი მეგობარი - უბნელი, სროლა ატეხა. ვაჟა ასათიანმა, რომელსაც მსხვერპლი ქვეშ ჰყავდა მოქცეული, წამოუდგომლად ესროლა თავდამსხმელს და მკლავში დაჭრა, რომელიც გაიქცა, მას გამოედევნა დავით ზეიკიძე, მაგრამ მჭიდრო ეზოების გამო ველარ მიაგნო. დაჭრილები სასწრაფოდ წინამძღვრიშვილის (კამოს) ქუჩაზე N2-ე საავადმყოფოში გადაიყვანეს. ანზორ ბურდული და ალიოშა რზგოევი საავადმყოფოში გარდაიცვალენ. (დ.ფ.) ქ. თბილისში დიდუბის (პირველი მაისის) რაიონის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების ხელმძღვანელობამ შეგვარჩია ახალგაზრდა მილიციის თანა-მშრომლები, რომლებსაც დაგვევალა N2-ე საავადმყოფოს მთლიანი დაცვა, დაწყებული ეზოდან, დამთავრებული პალატებამდე.

<<გმირის მშობლები>>



ალიოშა რზგოევის მშობლები





ალიოშა რზგოევის დაკრძალვის კადრები



დავით ზეიკიძე

ავტორისაგან: 1978 წლის 23 მარტს მომხდარი რეზონანსული დანაშაული იყო იმ პერიოდისათვის მეტად გახმაურებული ფაქტი, დაპირისპირება ძალოვანი სტრუქტურების თანამშრომლებსა და „ქურდულ სამყაროს“ შორის. მათ გმირულ საქციელზე იზრდებოდნენ და აღიზარდნენ მრავალი მილიციის თანამშრომლები.

თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებროს თანამშრომლების, - ანზორ ბურდულისა და ალიოშა რზგოევი ფერადი ფოტოსურათები მოკლე ბიოგრაფიით ყველა ძალოვან სისტემის ადმინისტრაციულ შენობებში, თვალსაჩინო ადგილზე იყო გამოკრული.

ხსოვნა და არ დავიწყება მეომარ მილიციელებსა და პოლიციელებს! ხოლო ბატონ გენერალ დავით ზეიკიძეს ვუსურვებ ჯანმრთელობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს.

დონი ფანჩულიძე

## „რეზონანსული ოპერაცია“

## (22/02-1940 (38) 23/03-1978 წწ)



ანზორ ბურდული

1978 წლის 23 მარტია, საღამოვდება, 19:00 საათი ხდება, დაიწყო ოპერაცია, ყველა ჯგუფი თავისი მარშრუტით დაიძრა, ერთმანეთთან კავშირი რაციითაა, იმ დროს ტექნიკური აღჭურვილობა, როგორც დღეს აქვს პოლიციასა და ოპერატიულ თანამშრომლებს, არ მოიპოვებოდა, მხოლოდ ტაბელური იარაღი „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტი იყო.

სამი ჯგუფი „ელიასკენ“ გაემართა, „წყაროს უბნისკენ“, მეწინავე ვაჟა ასათიანი, ალიოშა რზგოევი და ანზორ ბურდულის ჯგუფი, ორი დანარჩენი მოშორებით მიყვებოდა. დაინახეს, წყაროსთან ოთხი უბნელი დგას, შამპანიურს სვამენ, „ბოიოვაც“ სახლიდან გამოდის და უბნელებს უერთდება. მიაწოდებენ შამპანიურს, დაინახავენ მათ უცხო პირები უახლოვდებიან, ერთმა მათგანმა ანზორ ბურდული იცნო, რომელიც კოლონიაში სასჯელს იხდიდა და ანზორ ბურდული იქ მუშაობდა, ამოცნობის შემდეგ დაიყვირა - „ძაღლები მოდიან“! „ბოიოვას“ იარაღი არ ამოუღია, ლაბადის ჯიბიდან, ისე ისვრის იარაღს მათ მიმართულებით. დაიჭრნენ, - ბურდული და რზგოევი, ვაჟა ასათიანი არ დაიბნა და გახსნა საპასუხო ცეცხლი, რის შემდეგ ხაჩატუროვი ფეხში დაჭრა, ბარძაყის ძვალი დაუზიანა, წააქცია და ზემოდან დაახტა ვაჟა ასათიანი, რომელმაც განაიარაღა. ამ დროს მაღაზიიდან გამოვიდა კიდევ ერთი ადგილობრივი და სროლა ატეხა. ვაჟამ, რომელსაც მხვერპლი ქვეშ ჰყავდა მოქცეული, ისევ დაწოლილმა ესროლა ამ თავდამსხმელს და

მკლავში დაჭრა. სროლის ხმაზე მივარდა დავით ზეიკიძე თავისი ჯგუფით, ვაჟამ ანიშნა საითაც გაიქცა მის მიერ დაჭრილი, დათო ზეიკიძე დაუყოვნებლივ დაედევნა, მაგრამ დასახლებაში, ვიწრო ქუჩებში ვეღარ მიაგნო. რადიოკავშირით ცნობილი გახდა მილიციის გარნიზონისათვის, რის შემდეგ დამატებითი ჯგუფები მივიდა შემთხვევის ადგილზე, დაჭრილები სასწრაფოდ უზნაძის (კამოს) ქუჩაზე განთავსებულ N2 საავადმყოფოში გადაიყვანეს. ანზორ ბურდულს ექიმებმა ვეღარ უშველეს სასიკვდილო ჭრილობის გამო. რამოდენიმე დღის შემდეგ ალიოშა რზგოევიც გარდაიცვალა. როდესაც ე.წ. „კომუნისტურ რეჟიმს“ უწოდებდნენ, 2 თანამშრომელი გარდაეცვალათ. რომ ვაჟა ასათიანის პროფესიონალიზმი არა, ბანდიტები რამოდენიმე კაცს კიდევ შეიწირავდნენ.


დამიანე ალანია

ზემდგომმა ბიუროკრატიულმა მმართველობამ, თავის გამოჩენის მიზნით, ყალბი პრინციპულობით, საკუთარი ავტორიტეტის ამაღლება - განმტკიცება მოინდომეს. სწორედ აქ გამოჩნდა თბილისის სამმართველოს უფროსის ჯემალ მიქელაძის და სისხლის სამართლის ხაზით მისი მოადგილის დამიანე ალანიას პრინციპულობა, სამართლიანობა და ჰუმანურობით დაიწყეს თავიანთი თანამშრომლების დაცვა, რომლებმაც უაღრესად საშიში დამნაშავე დააკავეს. დრო გადიოდა, თანამშრომლების საკითხი იწელებოდა, პროკურატურამ ობიექტური გადაწყვეტილება მიიღო, სერიოზულად არავინ დასჯილა, მაგრამ ყველაზე სერიოზული და საქმის მცოდნე, დამსახურებული ადამიანი, უშანგი ჭიჭინაძე, როგორც კურატორი ქ. თბილისის შინაგან


ჯემალ მიქელაძე

საქმეთა მთავარი სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსი პენსიაზე გაუშვეს...

რაც შეეხება გაქცეულ, მკლავში დაჭრილს, დააკავეს რამოდენიმე დღის შემდეგ, გვარად აგაჯანოვი აღმოჩნდა, რომელიც წინასწარი დაკავების იზოლატორში საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალა.

... ერთ-ერთი ვერსიით, მას უნდა აეღო თავის თავზე ორი თანამშრომლის მკვლელობა, რათა „ქურდულ სამყაროს" ომარ ხაჩატუროვი გადაერჩინათ.

ომარ ხაჩატუროვი, - „ბოიოვას" ვერ გაასამართლებდნენ, სანამ არ განიკურნებოდა, რადგან იმ დროის კანონმდებლობით, დაჭრილი, ავადმყოფი ეჭვმიტანილის გასამართლება დაუშვებელი იყო, ჯერ უნდა მოერჩინათ. ორი წელი უმკურნალეს, აუცილებელი გახდა ფეხის ამპუტაცია. გადააფრინეს პეტერბურგში (ლენინგრადში) გაუკეთეს ურთულესი ოპერაცია... ომარ („ბოიოვა") ხაჩატუროვს მიესაჯა უმაღლესი ზომა, - „დ ა ხ ვ რ ე ტ ა"...

დონი ფანჩულიძე

## ლეჩხუმელი „შერლოკ ჰოლმსი“

მას ტრამვაის ბილეთითაც კი გაუხსნია ერთი საქმე (!)

(1/08-1938 (81) 25/02-2019 წწ.)



ვაჟა ასათიანი

ბოლო წლებში ის და მისი ყოფილი პატიმარი საავადმყოფოს ერთ პალატაში მოხვდნენ სამკურნალოდ, ყოფილი ტუსაღი მზრუნველობდა ყოფილ დამჭერს (!?)

პოლიციის პოლკოვნიკი ვაჟა ასათიანი, ლეჩხუმის რაიონის სოფელ მახაშიდან იყო, მისი უფროსი ძმა - სერგო სამხედრო პიროვნება, მუშაობდა კომისარიატების სისტემაში, მათ შორის ცაგერის კომისარიატშიც.

ვაჟა ასათიანმაც ცაგერიდან დაიწყო კარიერული სვლა, მუშაობდა ცაგერის მილიციის უფროსის მოადგილედ, მან მალევე გაითქვა სახელი თავისი პრინციპულობით და შეუპოვრობით, აქედან დაიწყო მისი მაღალი პროფესიონალ გამომძიებლად ჩამოყალიბება.

...ერთმა ლეჩხუმელმა ბიჭმა სკოლის დამთავრების შემდეგ ქუთაისში გააგრძელა სწავლა, თან ძველბიჭობა დაიწყო, მისი დედა ნათესაობდა ვაჟასთან, მივიდა ერთხელ და ლეჩხუმურად შეატირა, „მიშველე ვაჟა, რაცხა, ბოვში თლა გამეცა ხელიდან ბეჩა“, ვაჟამ პატარა პროფესიული „კომბინაცია“ ჩაუტარა ბიჭს, დაასაქმა ქარხანაში და გამოუწერა, - „ზავოდი და კრავოტის“ ფორმატი, ანუ ძველბიჭობის მაგივრად მაშინდელი ქუთაისური „ბრენდის“ „მორდოსტ გრუზიი, სლიოზ რასიი, კოლხიდა“ მარკის ავტომობილებს აკეთებდა, სწორ გზაზე დააყენა.

ვაჟა მალე გადაიყვანეს ცაგერიდან თბილისში, გლდანი-ნაძალადევის პოლიციის უფროსად. მონაწილეობის მიღება მოუხდა ცხინვალისა და ჯავის რაიონში, საგანგებო მდგომარეობის შემოღების

<<ყველგან დაფასებული>>




საპატიო დაფაზე მარცხნიდან პირველი: ვაჟა ასათიანი
ლეჩხუმის მუნიციპალიტეტში

დროს... აქვს უამრავი რთული საქმე გახსნილი. მის გახსნილ საქმეებზე ახლაც იბეჭდება სტატიები გაზეთებში, მათ შორისაა ტრამვაის ბილეთით გახსნილი საქმე.

ვაჟა ასათიანი „დუბინკის“ ცემით კი არ აწერინებდა სასურველ ჩვენებას პატიმრებს, არამედ მაღალი პროფესიონალიზმით, კანონის სრული დაცვით უყენებდა ბრალს. სათაურში მოყვანილი ფაქტი მართლაც იყო. ის და მისი ყოფილი პატიმარი მართლაც მკურნალობდნენ ერთ პალატაში. არის თვითმხილველი, თუ როგორ მზრუნველობდა ყოფილი პატიმარი, ყოფილ გამომძიებელს, ბათალბი საღინაძის ანალოგიის არ იყოს, დამნაშავეთა სამყაროც აფასებს მაღალპროფესიულ მუშაკებს.

ბოლოს ორი მძიმე ავადმყოფობა შეეყარა ვაჟას, ლეჩხუმელმა პროფესორმა - მერაბ ხვადაგიანმა ურთულესი ოპერაცია ჩაუტარა, მას შემდეგ მისი მეუღლე - მანანა გოგიაშვილის მზრუნველობით, თითქმის 12 წელი იცოცხლა, 2019 წელს ვაჟა ასათიანი გარდაიცვალა.

პოლიციის ორგანოებში დიდი დამსახურებისათვის ვაჟა ასათიანს მიღებული აქვს უამრავი ჯილდო, მის გარდაცვალებას მთავრობამ დიდი პატივი მიაგო, 40 ულამაზესი ჩოხოსანი ალამაზებდა სამგლოვიარო ცერემონიას.

ღმერთმა უმრავლოს ასეთი ადამიანები ლეჩხუმს.

გ უ ჯ ა  მ უ ს ე ლ ი ა ნ ი



გულიკო ნაჭყებია

## გულიკო გიორგის-ძე ნაჭყებია

### ავტობიოგრაფია

### (20/05-1928 წ.)

გულიკო გიორგის-ძე ნაჭყებია დაიბადა 1928 წლის 20 მაისს, ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ზუმში. საშუალო განათლების მიღების შემდეგ ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლ-მცოდნეობის ფაკულტეტზე. პარალელურად დაიწყო მუშაობა გამომძიებლის თანაშემწედ რესპუბლიკის პროკურატურაში. უნივერსიტეტის წარმატებით დამთავრების შემდეგ გაგზავნილი იქნა სამუშაოდ ქ. თბილისის შინაგან საქმეთა სამინისტრო სისტემაში, ემსახურებოდა დედაქალაქში საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისა და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეს, ყოფილი კალინინის, პირველი მაისის, და კიროვის რაიონებში, სადაც ხელმძღვანელობდა რაიონული შინაგან საქმეთა განყოფილებების საგამოძიებო დანაყოფებს. 1971 – 1973 წლებში მსახურობდა ქ. თბილისის შინაგან საქმეთა ორჯონიკიძის რაიონული განყოფილების უფროსის მოადგილედ, გამოძიების ხაზით, ხოლო 1973 – 1978 წლებში დაწინაურებული იქნა გურჯაანის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების უფროსად. ამ პოსტზე მუშაობის პერიოდში გამოვლენილი მაღალი კომპეტენციისა და პროფესიონალიზმის ხარჯზე, უბრალოებითა და ადამიანური ღირებულებებით გამორჩეულმა, დიდი თანადგომა და დამსახურებული პატივისცემა დაიმსახურა რაიონის მოსახლეობას შორის. 1979 წელს გადმოყვანილი იქნა ქ. თბილისის პირველი მაისის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსად, სადაც იმსახურა 1984 წლამდე. მისი ხელმძღვანელობით, რაიონული დანაყოფის თანამშრომლების მიერ გახსნილი იქნა არაერთი დედაქალაქში

მომხდარი გახმაურებული დანაშაული და დაკავებული იქნა მრავალი კრიმინალური „ავტორიტეტი“. თბილისის „დინამოს“ სტადიონზე, იმ პერიოდისათვის ჩატარებული ფეხბურთის ისტორიული მატჩების დროს, როცა დედაქალაქს სტუმრობდნენ საერთაშორისო კლასის გუნდები, ფეხბურთის ფედერაცია და მრავალათასიანი მაყურებელი ყოველთვის აღნიშნავდა არენის მიმდებარე ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უმაღლეს, სანიმუშო დონეს, რაც უპირველეს ყოვლისა პირველი მაისის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების თანამშრომელთა პროფესიონალური დონისა და დაუღალავი შრომის შედეგად იყო მიღწეული. 1984 წელს წელთა ნამსახურობით, ზღვრული ასაკის მიღწევით, დათხოვნილი იქნა თადარიგში. დამსახურებულ პენსიაზე გასვლის შემდგომაც ერთგულად ემსახურებოდა დედაქალაქის მოსახლეობას. ათი წლის განმავლობაში მუშაობდა ქ. თბილისის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსის მოადგილედ, სადაც სარგებლობდა მის დაქვემდებარებაში მყოფი კოლექტივის დიდი სიყვარულითა და ავტორიტეტით.

პოლკოვნიკი გულიკო ნაჭყებია თავის მეუღლესთან - პროკურატურის ორგანოების ღვაწლმოსილ მუშაკთან ოფელია დავითაშვილთან ერთად ათეული წლების განმავლობაში ღირსეულად ემსახურებოდა მართწესრიგის დაცვისა და განმტკიცების საქმეს, რაც მთავრობის ორდენით, მრავალი მედლებით და სიგელებით არის აღნიშნული.

გულიკო ნაჭყებიას ყავს ორი შვილი: ნუგზარ ნაჭყებია - ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, ინჟინერ - მშენებელი და უმცროსი შვილი, მამის ტრადიციის გამგრძელებელი - პოლიციის პოლკოვნიკი გელა ნაჭყებია, რომელიც წლების განმავლობაში მსახურობს სისხლის სამართლის სამძებრო და კრიმინალური პოლიციის დანაყოფებში სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობებზე.

... „რამდენად წარმატებული იყო კარიერაში, იმდენად უიღბლო იყო პირად ცხოვრებაში“.

„უჭირდა, მაგრამ არ უყვარდა ვინმეს შეწუხება“

## ზაურ დიომიდეს ძე სახუაძე

**(10/III-35 წ. [86 წელი] 10/VI-21 წ.)**



ზაურ სახუაძე
საჭიდაო არენაზე გასვლის წინ

ზაურ სახუაძე დაიბადა 1935 წლის 10 მარტს, ბორჯომის რაიონი, დაბა წაღვერში. ახალგაზრდობიდანვე დაუკავშირა ცხოვრება სპორტს, რომელმაც თავისი შეგნებული ცხოვრება ჯანსაღი მიმართულებით წარმართა საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სავალდებულო სამხედრო სამსახური მოიხადა თბილისში, - „არმიის სპორტკლუბში“, სადაც სამი წელი მათი სახელით გამოდიოდა. 1962 წელს, 27 წლის ასაკში ოთხივე სახეობაში - „ძიუდო“ – „სამბო“, - „კლასიკური“ და „თავისუფალ ჭიდაობაში“ სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭეს. 1965 წლიდან მუშაობა დაიწყო შინაგან საქმეთა ორგანოების სისტემაში, რომელმაც გზა განვლო რიგითი მილიციელიდან, პოლიციის პოლკოვნიკობამდე, იყო ქალაქის კომენდანტი.

ზ.დ. სახუაძეს სპორტში წარმატებების მიღწევაში ლომის წვლილი მიუძღვის საქართველოში პირველად შემომტანს ჭიდაობის სახეობა - „სამბო“ და „ძიუდოს“ სპორტის დამსახურებულ მუშაკს ქრისტეფორე ნინიაშვილს. ამის შემდეგ წლების მანძილზე თვითონ იყო მწვრთნელი „დინამოს“ „საჭიდაო დარბაზში“, რომელმაც მრავალი სპორტსმენი აღზარდა ჭიდაობა „სამბოსა“ და „ძიუდოში“. პერიოდულად ასევე



თბილისის მილიციის გარნიზონის
თანამშრომელთა მომზადება
„საბრძოლო სამბოში“ - მწვრთნელი ზაურ სახუაძე
(1980 წ. „დინამოს საჭიდაო დარბაზი“)

ᲡᲐᲛᲐᲠᲐᲓᲘᲡᲝ ᲓᲘᲓᲔᲑᲐ ᲩᲔᲛᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲡ



მარცხნიდან: დონი ფანჩულიძე, ზაურ სახუაძე, რაჟდენ ჭანტურია (1980 წელს ფეხით ჩავიდა თბილისიდან მოსკოვში, რომელმაც მსვლელობა მიუძღვნა გამართულ ოლიმპიადას) და ტარიელ ნადირაძე. გადაღებულია „დინამოს საჭიდაო დარბაზში“ 1981 წელს

ავარჯიშებდა თბილისის გარნიზონის მილიციას, მუშაობის დროს დაუსწრებლად დაამთავრა ქ. როსტოვის შ/ს სამინისტროს მილიციის აკადემია.

ზ.დ. სახუაძე რამოდენიმეჯერ იყო „საქართველოს ნაკრების“ წევრი ჭიდაობის ოთხივე სახეობაში. წლების მომატებას მის ფიზიკურ მონაცემებზე ხელს არ უშლიდა, რადგან სისტემატურად ვარჯიშობის რეჟიმში იმყოფებოდა. რამდენჯერ გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, - „სამბოსა“ და „ძიუდოში“.

1962 წლიდან საკავშირო კატეგორიის მსაჯია. 1976 წლიდან მრავალი მედალით და სიგელით დაჯილდოებული იყო აღნიშნულ სახეობაში პირველი ადგილის დაკავების დროს.

ზ.დ. სახუაძეს ამ რთულ - შეჯიბრებების დროს ბევრჯერ განუმუხტია დაძაბულობა მსაჯებსა და გულშემატკივრებს შორის ერთ-ერთ შეჯიბრების დროს „სპორტის სასახლეში“ საჭიდაო ტატამზე გადამხტარ გულშემატკივარს წინ აღუდგა და არ მისცა საშუალება მსაჯისათვის მიეყენებინა ფიზიკური შეურაცხყოფა. გულშემატკივარი პოლიციას კი არ ჩააბარა, მიუჯდა გვერდით და ამშვიდებდა... (დ.ფ.)

2000 წლიდან თადარიგის პოლიციის პოლკოვნიკი ზაურ სახუაძე ვეტერანებს შორის მსოფლიო ჩემპიონატზე ჭიდაობა, - „სამბოში“ იღებს მონაწილეობას, რაოდენობა წლიდან წლამდე იზრდებოდა და შესაბამისად ტურნირის სიძლიერეზე აისახებოდა... ერთ-ერთ შეჯიბრებაზე ამჯერად 24 ქვეყნის 250 სპორტსმენი შეიკრიბა, შეჯიბრებას ექვს ასაკოვან - 45-დან - 49 წლამდე ვეტერანით შედგებოდა.

მოჭიდავეთა გარდა ქართულ დელეგაციაში მსაჯი ოთარ ყურაშვილი შედიოდა, რომელიც ორგანიზატორებმა ტურნირის საუკეთესო მსაჯად დაასახელეს ზაურ სახუაძესთან ერთად.



ზაურ სახუამე და გიორგი ბიჭაშვილი
გადაღებულია „დინამო“ სტადიონზე
საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის დროს




...აი, როგორ დაუფასეს
სპორტში მიღწევები

დელეგაციის ხელმძღვანელი კი დავით ბერძენიშვილი იყო. საქართველოდან ზაურ სახუაძე მსოფლიოს ჩემპიონი მე-8-დ გახდა, ხოლო ოთარ ყურაშვილი მე-9-დ, ვეტერანთა მსოფლიო ჩემპიონატზე 70 წლის სპორტსმენებიც კი გამოდიოდნენ.

ზაურ სახუაძემ მაროკოში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე პირველი ადგილი დაიკავა.

ვეტერან ძიუდოისტთა ევროპის წლევანდელ 2020 წლის ჩემპიონატს პრაღამ უმასპინძლა, - გერმანიის, იტალიის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, ბელგიის, ჩეხოსლოვაკიის, შვეციის, თურქეთის, რუსეთის ქვეყნების ვეტერან ფალავანდთა შორის ჩეხეთის დედაქალაქში სამი ქართველი მონაწილეობდა, ჩვენებიდან კვლავ ისახელა თავი ვეტერან მოჭიდავეთა შორის ევროპისა და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონმა და პრიზიორმა, პოლიციის პოლკოვნიკმა ზაურ სახუაძემ, რომელიც მესამე საპრიზო ადგილზე გავიდა უძლიერესთა შორის.

...2021 წლის 12 თებერვალს პოლიციის თადარიგის პოლკოვნიკი ზაურ დიომიდეს-ძე სახუაძე (არა ქრთამისთვის.)... დაკავებული იქნა 151-ე მუხლის ბრალდებით (მუქარა) 86 წლის ასაკში, რომელიც 5000 ლარის გირაოს გადახდის შემდეგ ციხიდან გაანთავისუფლეს. რამოდენიმე თვეში ვაჟკაცურმა სულმა, მაგრამ ბავშვივით მიამიტმა გულმა ვეღარ გაუძლო და 2021 წლის 10 ივლისს, <<86 წლის>> ასაკში გარდაიცვალა.

პატივცემულ და ღირსეულ, ამჟამად თადარიდის პოლიციის პოლკოვნიკს განვლილი, მეტად ღირსეული ცხოვრება ასე გადაუხადეთ <<გული გავუხეთქეთ>>!!!

**ავტორისაგან**: (დ.ფ.) 1976 წელია, ჯერ კიდევ დილაა, დიდუბის (პირველი მაისი) სახელობის რაიონის საპატრულო - საგუშაგო სამსახურის რიგითი მილიციელი ვარ, სამსახურს ვასრულებ დავით

აღმაშენებლის (პლეხანოვის) გამზირი N93-ე ნომერთან კინო - თეატრ „კომკავშირელის“ წინ, მოდის ჩემთან დაახლოებით 40 წლის ახალგაზრდა მამაკაცი, რომელიც შემდგომისათვის გვარად აღმოჩნდა ზაურ სახუაძე, დაინტერესდა ჩემი ბიოგრაფიით და პირადი ცხოვრებით, დამშვიდობებისას დამიბარა, დღეს საღამოს 18:00 საათზე „დინამოს საჭიდაო დარბაზში“ გელოდები დამემშვიდობა და წავიდა. 16:00 საათზე სამორიგეო ნაწილს ტაბელურ ცეცხლსასროლი იარაღი ჩავაბარე, შინ მივედი, არა ვილაში, მილიციის საერთო საცხოვრებელში, ფორმა გავიხადე, მოვწესრიგდი და გავემართე დანიშნულ ადგილზე, სადაც „დინამო სტადიონი“ - ს რეკონსტრუქცია დასასრულ ფაზაში იყო, ხოლო საჭიდაო დარბაზი საგურამოს ქუჩის მხრიდან პრიმიტიულად მოწყობილ ფარდულს წარმოადგენდა. მისვლისთანავე მან გააცნო ჩემი თავი იქ ვარჯიშზე შეკრებილი ყველა ასაკის მოჭიდავეს დაწყებული 10 წლიდან, დამთავრებული 50 წლამდე, სადაც ვარჯიშობდნენ და ჭიდაობის ილეთებს ეუფლებოდნენ სხვადასხვა სახეობის მოჭიდავეები: ვაჟა ჟამუტაშვილი, ჩალმაზ ქუცნიაშვილი, ტარიელ ტუჩაშვილი, ტოტოშვილი, შოთა ჟივიძე, კენჭიაშვილი, სოფელ დიღმიდან ერთდროულად 10/15 სპორტსმენი ირიცხებოდა, მიუხედავად სიშორისა ოქროყანისა და ტაბახმელას დასახლებიდან ჩამოდიოდნენ სპორტსმენები და სისტემატიურად, ინტენსიურად ვარჯიშობდნენ...

ბატონმა ზაურ სახუაძემ გამაცნო თავისი მწვრთნელი ქრისტეფორე ნინიაშვილი, რომელსაც სპორტსმენების აღზრდაში გარკვეული წვლილი მიუძღვის სპორტ-საზოგადოება „განთიადის“ მწვრთნელ ელგუჯა თვალჭრელიძესთან ერთად...

მიუხედავად ასაკისა, ბატონმა ზაურ სახუაძემ მიმიღო ოჯახის წევრად, შეისწავლა ჩემი ოჯახური პირობები, ეკონომიური მდგომარეობა, დასამშვიდებლად მიმიყვანა შინ მიხეილ

თუმანიშვილის (ანანურის) ქუჩა N8-ში „ვერაზე“, სადაც მაჩვენა დამსახურებული ადამიანი როგორ პირობებში ცხოვრობდა ე.წ. „იტალიურ ეზოში“, სადაც 10 კვადრატული ფართი ოთახი ჰქონდა სარკმლის გარეშე, საერთო კალიდორი, საერთო ეზო და საერთო საპირფარეშო რამოდენიმე მობინადრესთან და სველ წერტილთან ერთად, რომელი სასმელი წყალიც ეზოშივე იყო განთავსებული...

ბატონმა ზაურ სახუაძემ აღნიშნულ პირობებში თითქმის ნახევარ საუკუნეს გაუძლო ფიზიკურად, მაგრამ ზოგიერთმა მეზობელმა ვეღარ გაუგეს სამთავრობო სტრუქტურებთან ერთად, 86 წლის ასაკის დამსახურებული ადამიანი ჯერ ციხეში გამოკეტეს, შემდეგ 5 000 ლარით გირაოთი თავისუფლება მიანიჭეს.

ჩემო უფროსო მეგობარო ზაურ! მსუბუქი ყოფილიყვეს ბორჯომის რაიონის სოფელ წაღვერში საგვარეულო სასაფლაოზე თქვენს გულზე დაყრილი მიწა.

დონი ფანჩულიძე


რაფაელ ჩიმიშკიანი

<<ქართველი დედის აღზრდილი>>

## რაფაელ ჩიმიშკიანი

(23/03/29 - (93) - 25/09/2022)

93 წლის ასაკში გარდაიცვალა თბილისის საპატიო მოქალაქე, საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი მძლეოსნობაში, 1952 წლის ჰელსინკის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, ორგზის მეორე პრიზიორი, ევროპის ექვსგზის ჩემპიონი... საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი, საპატიო ნიშნის ორდენოსანი, ღირსების ორდენოსანი, ვახტანგ გორგასლის მე-2 ხარისხის ორდენის კავალერი.

2012 წლსი 23 მარტს მას საქართველოს სპორტის რაინდის წოდება მიენიჭა. დედით ქართველი (ნინო ბერიძე) ნამდვილი თბილისელი იყო, რომელსაც შეთავაზებები ჰქონდა საბჭოეთის ქვეყნებში, ყველა პირობის შექმნით. მან საქართველო, თბილისი არჩია, როგორც პატრიოტმა.

**ინტერნეტ სივრციდან:**

თამაზ მეფარიძე: დონი რაფაელ ჩიმიშკიანი ჩემი მეგობარი იყო, ჩვენ რომ გახსენეთ, ჩემი  მეგობარიაო მითხრა, მას ვაფასებ კარგი ადამიანიაო..

მ.ხ.: ეთნიკურად სომეხს ქართულად იხსენებ?! ისე კი გაანათლოს უფალმა, სომხების საწინააღმდეგო არ მაქვს არაფერი.

დ.ფ.=მ.ხ.: შემოდი ჩემს გვერდზე და ნახეთ ვიდეო, სადაც მოისმენ როგორ თხოვდნენ სხვადასხვა ქვეყნები, - სასომხეთი, უკრაინა, რუსეთი და ... ყველა პირობებს შეუქმნიდნენ, მათი სახელით რომ გამოსულიყო... რაც შეეხება დედით ქართველს, მას არასოდეს

საჯაროდ არ განუცხადებია და არ უსარგებლია... მას უყვარდა საქართველო, ქართველი ერი და დედაქალაქი თბილისი. ღმერთმა გაანათლოს.

ოთარ ჭითანავა: უფალმა გაანათლოს მისი სული, ნაღდი თბილისელი იყო, ახლოს ვიცნობდი, ვუსამძიმრებ ჩვენს ოლიმპიელებს, მსოფლიოში ჰელსინკის ჩემპიონებიდან მხოლოდ რაფაელი იყო ცოცხალი.

როლანდი ვარაზაშვილი: 80-იანი წლებიდან ვიცნობდი, უაღრესად კეთილშობილი პიროვნება იყო, ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

ელგუჯა ნინიაშვილი: ნათელში იყოს ბატონი რაფაელი, ის საქართველოს შვილი იყო და საქართველო ძალიან უყვარდა.




მარცხნიდან: დონი ფანჩულიძე - სსრკ-ს სპორტის ოსტატი ჭიდაობა „სამბოში“, რაფაელ ჩიმისკიანი - სპორტის დამსახურებული ოსტატი, ოლიმპიური ჩემპიონი ძალოსნობაში („შტანგა“), ზაური სახუაძე - მსოფლიოს რვაგზის ჩემპიონი ჭიდაობა „სამბოში“ 1978 წელი, ქ. თბილისი

## 60 წლის იუბილეს გილოცავთ
## ბატონო პოლკოვნიკო, - დონი

დომენტი (დონი) ფანჩულიძე იმ ვეტერან თანამშრომელთა და სპორტსმენთა თაობას ეკუთვნის, რომელმაც მთელი მისი ახალგაზრდული ცხოვრება დაუთმო სისხლის სამართლის დამნაშავე პირებთან წინააღმდეგ ბრძოლას, იცავდა საზოგადოებრივ წესრიგს მიმაგრებულ სამოქმედო ტერიტორიაზე, ამასთანავე ყურადღებას უთმობს ვეტერან სპორტსმენებს და ძალოვანი სისტემიდან თადარიგში გასულ პენსიონერებს.

დაბადების დღეს და 60 წლის იუბილეს გილოცავთ ბატონო დონი.

ოლიმპიური ჩემპიონი ძალოსნობაში,
სსრკ-ს სპორტის დამსახურებული
ოსტატი რაფაელ ჩიმიშკიანი

10.01.2013 წ.
ქ. თბილისი

(დ.ფ.) „არკადიჩ“! ჩემი იუბილეს შემდეგ პასტერის ქუჩაზე შემხვდი, 70 წლის იუბილე როდის მოგილოცოო... რამოდენიმე თვეა დარჩენილითქო... თქვენ ხმას მობილურზე ვეღარ გავიგონებ... სამარადისო დიდება თქვენ!



ვასილ ვერულაშვილი

# ვასილ (ვასო) ვერულაშვილი

(1924-2007)

გარდაიცვალა პროფილაქტიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეან-გინეკოლოგი, ვასილ ვერულაშვილი.

ვასო ვერულაშვილი 1924 წელს დაიბადა, თერჯოლის (ჩხარი) რაიონი, სოფელ სიქთარვაში, დაამთავრა ქუთაისის მე-8 საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე, 1947 წელს განაწილებით მუშაობა დაიწყო ამბროლაურის რაიონში, საექიმო პუნქტის გამგედ, ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში გაიარა მეანეობა-გინეკოლოგიის სპეციალობის კურსი და სამუშაოდ გადავიდა ქუთაისის №1 სამშობიარო სახლში, სადაც დაეუფლა სამეანო-გინეკოლოგიურ ოპერაციებს და 1948 წელს დაინიშნა ჩხარის რაიონის სამშობიარო სახლის მთავარ ექიმად. 1952 წელს ქუთაისის ოლქის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, იგი გადაიყვანეს ოლქის დედათა და ბავშვთა სამკურნალო პროფილაქტიკური სექტორის გამგედ, შემდეგ კი ქალაქის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგედ. 1955 წელს დაინიშნა მეან-გინეკოლოგად. 1959 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ჟანგვა-აღდგენითი პროცესების დინამიკა ფუნქციური სისხლდენების დროს“. იმავე წელს მივლინებულ იქნა საკავშირო მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, სადაც დაიწყო მუშაობა სადოქტორო დისერტაციაზე. 1960 წლიდან შეთავსებით მუშაობდა ქუთაისის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიოლოგიის კათედრაზე, 1963 წელს



დონი ფანჩულიძე ნათლიის ვასილ ვერულაშვილის საფლავზე
19 იანვარი 2018 წელი, "ნათლისღების დღე"
სოფელი ტაბახმელა

კი, მოსკოვში მე-II სამეცნიერო ინსტიტუტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია - „ტოქსოპლაზმოზი მეანობაში; კლინიკურ-ექსპერიმენტული გამოკვლევები“. 1966 წელს კონკურსით დაინიშნა ჟორდანიას სახელობის გინეკოლოგიური ფუნქციის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში ოპერაციული გინეკოლოგიის ხელ-მძღვანელის თანამდებობაზე. 1966-1984 წლებში შეთავსებით მუშაობდა თბილისის სახ. სამედიცინო ინსტიტუტისა და სამედიცინო ინსტიტუტ „საქართველოს“ გინეკოლოგიის კათედრაზე, პროფესორის თანამდებობაზე. 1971 წელს დაინიშნა თბილისის №5 სამშობიარო სახლის მთავარ ექიმად და 1974 წლიდან შეთავსებით, ქალაქის მთავარ მეან-გინეკოლოგად. 1981-2004 წლებში იყო საქართველოს საპატრიარქოს წმ. იოაკიმეს და ანას სახელობის სახლში ოპერაციული გინეკოლოგიის განყოფილების გამგედ. გამოქვეყნებული აქვს 91 სამეცნიერო შრომა, მათ შორის 3 მონოგრაფია. ოპონირება გაუწია 37 საკვალიფიკაციო ნაშრომს, ორჯერ არჩეული იყო ქუთაისის ქალაქის საბჭოს დეპუტატად და აღმასკომის პრეზიდიუმის წევრად. დაჯილდოებული იყო მთავრობისა და არასამთავრობო ორგანიზაციის სიგელებით.

ვასო ვერულაშვილი ნათელი კაცი იყო, თავდადებული, მომხმარე, უანგარო, სოფელზე, რაიონზე, საქართველოზე უზომოდ შეყვარებული.

დანაკლისია მისი ამ ქვეყნიდან წასვლა, ვასო ვერულაშვილის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება იმათ გულში, ვინც იცნობდა, ვისთანაც რაიმე ურთიერთობა ჰქონია.

ნათელი და სანთელი ვასო ვერულაშვილის საფლავს. ემსუბუქოს მშობლიური მიწა.

(დ.ფ.) ჩემი ერთადერთი ნათლია, იმ დროს (1953 წელი) მისთვის პირველი ნათლული „კომუნისტური რეჟიმის“ დროს...

**2017 წლის 8 ივნისს ჯემალ ფიცხელაურის დაბადების დღეა**



ჯემალ ფიცხელაური

## ჯემალ ფიცხელაური

**(8/VI-1943 წ. - 7/I -1998 წ.)**

ჯემალ ფიცხელაური დაიბადა 1943 წლის 8 ივნისს დუშეთის რაიონი, სოფელ მგლიანში, ჯერ კიდევ ახალგაზრდამ 1958 წელს ქ. თბილისში, შრომის რეზერვებში, დინამოში და შემდეგ ქ. მინსკში არმიის სპორტკლუბში ეუფლებოდა ჭიდაობის სხვადასხვა სახეობებს, - მწვრთნელების: უშანგი ბარნაბიშვილის, ძმებ ქრისტეფორე და აკაკი ნინიაშვილების უშუალო ხელმძღვანელობით.

1964; 1965; 1966; 1967 წლებში მონაწილეობა აქვს მიღებული საბჭოთა კავშირის პირველობაზე „თავისუფალ ჭიდაობაში". 1995-96 წლებში ევროპისა და მსოფლიოს პირველობაზე „თავისუფალ ჭიდაობაში". მისი მეტოქეები იყვნენ სახელოვანი მოჭიდავეები: მიშენკო ქ. მოსკოვიდან, გივი კახაბრიშვილი ქ. თბილისიდან, მიროვი ქ. ბაქოდან, ნოვიკოვი ქ. მინსკიდან, სტოიკოვი ქ. სოფიადან...

ჯემალ ფიცხელაურმა სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოვალეობის შესრულების დროს 1965 წელს მონაწილეობა მიიღო საბჭოთა კავშირის პირველობაზე „თავისუფალ ჭიდაობაში" ქ. ბელარუსიაში, სადაც მეორე ადგილი დაიკავა. მისი მეტოქე იყო ცნობილი ფალავანი ალექსანდრე მედვედევი ქ. მოსკოვიდან.

1970 წლიდან მუშაობას იწყებს საქართველოს შს ორგანოებში სხვადასხვა თანამდებობებზე. პერიოდულად მონაწილეობდა

საბჭოთა კავშირის, საქართველოს შს სამინისტროს გარნიზონის პირველობებზე სხვადასხვა სახეობებში. ძალოვან სისტემაში, მუშაობის პერიოდში ადვილად დაეუფლა ერთ-ერთ სახეობას

„სამბოს“, რომელმაც რამოდენიმეჯერ მიიღო მონაწილეობა როგორც საბჭოთა კავშირის მასშტაბით, ასევე საქართველოს შს სამინისტროს გარნიზონის პირველობაზე აღნიშნულ სახეობაში.

მიღწევები: სსრკ-ს სპორტის ოსტატი ჭიდაობა - კლასიკური და თავისუფალი, ჭიდაობა „სამბოში“. მიღებული აქვს მრავალი მედლები და სიგელები. 1996 წელს მიენიჭა ექსტრა კლასის მსაჯის წოდება ჭიდაობა „სამბოში“ საფრანგეთში ქ. გოშში.

სწავლა და შრომითი საქმიანობა: 1964 წელს დაამთავრა ინდუსტრიულ-პედაგოგიური ტექნიკუმი. 1973 წელს მილიციის სპეც. სკოლა, 1980 წელს თბილისში საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი.

ჯემალ თედოს ძე ფიცხელაური 1995–96 წლებში ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი ვეტერანთა შორის.

მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა-თვის საბრძოლო ოპერაციებში „სამაჩაბლოში“ და „აფხაზეთის“ ტერიტორიაზე, სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს ბოროტმოქმედებთან შეტაკების დროს მიღებული ჭრილობით გულის არეში, რომელმაც დაუჩქარა მის სიცოცხლეს არსებობა...

პოლიციის პოლკოვნიკი ჯემალ თედოს ძე ფიცხელაური ჯერ კიდევ ახალგაზრდა 55 წლის ასაკში 1988 წლის 7 იანვარს გარდაიცვალა, რომელმაც ვალმოხდილმა დაგვტოვა ახლობლები, მეგობრები და სპორტული სამყარო.

მეგობრების, სპორტსმენების, ომისა და შეიარაღებული ძალების,
ძალოვანი სტრუქტურების ვეტერანების სახელით:
დ ო ნ ი  ფ ა ნ ჩ უ ლ ი ძ ე.

ბატონ: ჯემალ ფიცხელაურს!

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ჭიდაობა სპორტის ერთ-ერთი წამყვანი, დიდი ტრადიციების მქონე სახეობაა, ჩვენს ფალავნებსა და მწვრთნელებზე, ფართო საზოგადოებას სრულყოფილი ინფორმაცია არ გააჩნია.

ჭიდაობის შესახებ ლიტერატურის სიმცირის, მათში არსებული ხარვეზების გამო, გადავწყვიტეთ, უშუალოდ პირველ წყაროეზე დაყრდნობით შევქმნათ დოკუმენტური წიგნი საქართველოს მოჭიდავეებსა და მწვრთნელებზე, მხატვრულ-დოკუმენტური წიგნი ცნობილ ფალავნებზე, საფუძველი ჩავუყაროთ ჭიდაობის ენციკლოპედიის შექმნას. ამ საქმეში დიდად დაგვეხმარება თქვენი პასუხები, ჩვენს კითხვებზე, ამავე პასუხებს გამოვიყენებთ საგაზეთო წერილების და სოციოლოგიური გამოკითხვებისათვის. შედგება საინფორმაციო - და ფოტოარქივი.

გთხოვთ, მოცემულ კითხვებზე პასუხები გასცეთ (კითხვებს ნუღარ გაიმეორებთ, პასუხებს დაუსვით შესაბამისი ნომერი - დაადასტურეთ ხელისმოწერით).

წინასწარ გიხდით მადლობას!
პატივისცემით, ზვიად შევარდენიძე

ჯემალ ფიცხელაური, პოლიციის ვიცე პოლკოვნიკი დაიბადა 1943 წლის 8 ივნისს დუშეთის რ - ნი სოფელ მგლიანში.

1. დაბადების თარიღი, ადგილი?
2. როდის, რომელ საჭიდაო დარბაზში დაიწყეთ ვარჯიში?
3. თქვენი მწვრნელები?

4. რომელი ქალაქების, რომელ სპორტულ საზოგადოებებს მიეკუთვნებოდით?
5. რომელ წონით კატეგორიებში მიაღწიეთ უმაღლეს შედეგს?
6. თქვენი სიმაღლე?
7. როდის და მსაჯის რომელი კატეგორია გაქვთ მონიჭებული?
8. რომელ წელს დაანებეთ თავი დიდ სპორტს?
9. როდის, რა სპეციალური პრიზებით - ჯილდოებით ხართ დაჯილდოებული როგორც სპორტსმენი და მოქალაქე?
10. მშობლების ვინაობა, მათი პროფესია?
11. პირველი დაშემდგომი საცხოვრებელი ადგილები?
12. რომელ წლებში და რა განათლება გაქვთ მიღებული? (თანმიმდევრულად)
13. სად და როდის მუშაობდით? (თანმიმდევრულად)
14. როდის იქორწინეთ, მეუღლის ვინაობა, პროფესია?
15. შვილების სახელები, დაბადების თარიღები, პროფესია?
16. ვინ აღმოაჩინა თქვენში პირველად ჭიდაობის ნიჭი?
17. როდის მიაღწიეთ პირველ წარმატებას?
18. როდის მოხვდით საქართველოს ნაკრებში (ჭაბუკებში, დიდებში)?
19. როდის მოხვდით სსრკ-ს ნაკრებში (ჭაბუკებში, დიდებში)?
20. რა წარმატებას მიაღწიეთ ქართულ ჭიდაობაში?
21. რა როლი შეასრულა ქართული ჭიდაობის ტრადიციამ თქვენს წარმატებაში?
22. თქვენი საყვარელი ფანდები?
23. ჭიდაობის დროს რით უფრო გამოირჩეოდით:
    ა) ფიზიკური ძალით; ბ) გამძლეობით; გ) სისწრაფით;
    დ) ბრძოლისუნარიანობით; ე) ტექნიკით; ვ) ტაქტიკით.
24. თქვენი ძირითადი მეტოქეები (სახელი, გვარი, ქვეყანა?)

25. ხშირად იყვნენ თუ არა მსაჯები არაობიექტურნი თქვენს მიმართ (კონკრეტული შემთხვევები)?
26. რა მოგცათ სსრკ-ის ნაკრებში გატარებულმა წლებმა?
27. ყველაზე კარგი და ცუდი დღე თქვენი სპორტული ცხოვრებიდან?
28. როცა სპორტს დაშორდით მოგიწყვეს თუ არა გაცილება; გაიხსენეთ თქვენი ბოლო ორთაბრძოლა.

**თვისებების მოკლე დახასიათება**

29. რატომ აირჩიეთ სამბო?
30. ჭიდაობის ისტროიაში რომელ ცნობილ ფალავანთან გინატრიათ ძალების მოსინჯვა?
31. ყველაზე კარგი და ცუდი დღე თქვენი პირადი ცხოვრებიდან?
32. დაასახელეთ ჭიდაობის სფეროში ღვაწლმოსილი მუშაკები, რომელნიც როგორც სპორტსმენები და მწვრთნელები არ გამოირჩეოდნენ?
33. ჭიდაობას რა უნდა?
34. ჭიდაობის გარდა, სპორტის რომელი სახეობა გიტაცებთ?
35. სპორტის გარდა რა გიტაცებთ?
36. თქვენი აზრი ქალთა ჭიდაობაზე?
37. მატერიალურად რა მოგცათ სპორტმა?
38. თქვენი თილისმა?
39. თქვენი ცხოვრების იდეალი?
40. კმაყოფილი ხართ თუ არა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ყურადღებით, როგორც ქართული, აგრეთვე ჭიდაობის სხვა სახეობების მიმართ?
41. კმაყოფილი ხართ თუ არა მასობრივი ინფორმაციის საშუალების ყურადღებით დღეს და როდესაც აქტიური სპორტსმენი იყავით?

42. როგორ გესახებათ ჭიდაობის განვითარებამ პოპულარიზაცია მომავალში?
43. რას ფიქრობთ სიყვარულზე?
44. თქვენი აზრი მანდილოსნების შესახებ და რა თვისებებს აფასებთ ქალში?
45. გჯერათ თუ არა ბედისწერის?
46. თქვენი საყვარელი კინოფილმი, ტელეგადაცემა, სიმღერა?
47. თქვენი საყვარელი კერძი, სასმელი, საყვარელი სადღეგრძელო?

ჩვენი ჩანაფიქრის განხორციელებისას უპირველესად გავითვალისწინებთ თქვენს მოსაზრებებს, შენიშვნებს, რჩევებს.

1. 1943 წელი, 8 ივნისი - დუშეთის რაიონი, სოფელი მგლიანი
2. 1938 წელს ყოფილი ორჯონიკიძის ქ. ინდუსტრიული ტექნიკუმის დარბაზი
3. უშანგი ბარნაბიშვილი, ვიტალი სერგო, ძმები ნინიაშვილები
4. ქ.თბილისის შრომითი რეზერვების დინამოს და ქ. მინსკის არმიის სპორტულ კლუბს
5. 83კგ., 93კგ., 100კგ. და მძიმე წონაში
6. 172სმ.
7. 1996წ მომანიჭეს ექსტრა კლასის მსაჯის წოდება ჭიდაობა სამბოში საფრანგეთში ქალაქ გოშში
8. ჯერ არ დამინებებია
9. 1964, 1965, 1966, 1967 წლებში სიგელებით, დიპლომებით, თასებით, მედლებით და სხვადასხვა ფასიანი საჩუქრებით. 1995-1996 წწ. ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი დაჯილდოებული ოქროს მედლებით.

10. დედა - ნინა ბეწუშვილი, მამა-თედო ფიცხელაური. მუშ. მოსამსახურეები
11. დუშეთის რ/ნ სოფ. ჟინვალი, ქ. თბილისი
12. 1964წ. ინდუსტრიულ პედაგოგიური ტექნიკუმი, 1973წ. მილიციის სპეც. სკოლა, 1980 წ. თბილისის ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი
13. 1969-1970 წლებში № 1 რკინა ბეტონის ქარხანაში ცვლის ინჟინრად. 1970-1973 წლებში მილიციის სკოლაში კომენდანტად. 1974 წლიდან შინაგან საქმეთა სამინისტროში დღემდე
14. 1971 წ. 3 ივლისი. მეუღლე მზია ნიკოლოზის ასული ბაკურაძე, პროფესიით კონდიტერი.
15. ნინო, ბადრი და ნატო ფიცხელაურები დაიბადნენ 1972, 1974 და 1980 წ. სტუდენტები.
16. 1958 ჯ. თავისუფალი ჭიდაობა
17. დედამ
18. არ ვყოფილვარ
19. საქართველოს ჩემპიონი
20. შემდგომში ადვილად დავეუფლე ჭიდაობას, სამბოს ილეთებს.
21. ბრუნი, გარე ფეხი, ფეხში შესვლა, სუფლექსი, წისქვილგდება და მოგვერდი
22. ა); გ); დ); ვ);
23. მიშენკო ქ.მოსკოვი. გივი კახაბრიშვილი-თბილისი, დამიროვი ქ. ბაქო, ნივიკი ქ, მინსკი, სტოიკოვი ქ.სოფია
24. 1971წ. ქ. ომსკი საბჭოთა კავშირის „ემვედეს“ პირველობაზე ფინალურ შეხვედრაში წამაგებინეს
25. 0.

შემდეგში: თამაზ თამაზაშვილი, - თადარიგში პოლიციის გენერალი, მიტო ოქრიაშვილი, - ცნობილი მოჭიდავის, მძიმე წონა (ძიუდოში) ტიტულოვან ფალავნის ედემის მამა. ჯემალ ფიცხელაური "ძიუდოში და სამბოში" ტიტულოვანი მოჭიდავე (მათგან გარდაცვლილებს სამარადისო დიდება).



მარცხნიდან მეხუთე: თამაზ თამაზაშვილი, მეშვიდე: დონი ფანჩულიძე
მერვე: მიტო ოქრიაშვილი, მეჩვიდმეტე ჯემალ ფიცხელაური. გად. 1983წ.
შ.ს.ს. გარნიზონის „სამბისტთა" ნაკრების შეკრება „დინამო"-ს საჭიდაო დარბაზში

26. ყველაზე კარგი ჯარში ყოფნის დროს 1965წ-ში ჩემთვის განსხვავებულ კლასიკურ ჭიდაობაში გავხდი ბელორუსიის მე-II ადგილის პრიზიორი, ხოლო ცუდი კი 1972 წ. გავხდი საქართველოს ჩემპიონი და შეკრებაზე არ წამიყვანეს
27. ჯერ არ დავშორებულვარ
28. ზემოთ ჩამოთვლილი მწვრთველები გამოირჩეოდნენ ჩემ მიმართ კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით, ობიექტურობით.
29. როინ ოდიშელიძე არის შესანიშნავი სპორტსმენი და სპორტისადმი მოყვარული, მეგობრებისათვის თავდადებული
30. იმიტომ რომ მამაცური სპორტია და ნიშნავს თავდაცვას უიარაღოდ.
31. ალექსანდრე მედვედთან
32. ყველაზე კარგი დღე, როდესაც დავქორწინდი. ცუდი კი, როდესაც სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას სასიკვდილოდ დამჭრეს და გული გამიკერეს
33. ტყვიით სროლა, შტანგა, ცურვა, კალათბურთი და ბოქსი
34. ხელოვნება
35. ჩემთვის სრულიად მიუღებელია
36. არაფერი
37. გველი
38. გიორგი სააკაძე
39. არა
40. არა
41. ცუდად
42. მოვიხმარიებ ვასო გოძაშვილის სიტყვებს „ რად მიყვარხარ? ზემურაზი ვიყო თუ ვიცოდე“

43. ჩემი აზრი მანდილოსნების შესახებ ასეთია, ქალი უნდა იყოს ნაზი, სულიერად ძლიერი და შვილების კარგი გამზრდელი
44. მჯერა
45. „გლახის ნაამბობი“, „მსოფლიოს გარშემო“, „შატილის ასული“.
46. „ჩაქაფული“, „მანავის მწვანე“, „ურთიერთგაგებისა და სალოცავების“ სადღეგრძელო.

1995-1996წწ. ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი
ვეტერანთა შორის „გაკერილი გულით“
ჯემალ ფიცხელაური.

*მ ო გ ო ნ ე ბ ა*


ჯიმი სხირტლაძე

„იუმორის მეფის“

## ჯიმი ვასილის - ძე სხირტლაძის მარადიულ ხსოვნას
(13/07-1936 (79) 2015 წწ.)

ვახტანგ გორგასლის ორდენის კავალერი ჯიმი სხირტლაძე 1936 წლის 13 ივლისს დაიბადა ონის რაიონო სოფელ მრავალძალში. როგორც თვითონ მოიგონებდა მუნჯი დაბადებულა, ბებიას გამხმარი ბალახის ღერო (გოგშეთი) ჩაუბერია და ერთიც კარგად შემოუცხია, ხმა რომ ამოვიღე მის შემდეგ დღემდე ვერც გამაჩუმესო, ხუმრობით იტყოდა თბილისის გარნიზონის პოლიციის კოლოროტი და „იუმორის მეფედ“ წოდებული.

1954 წელს ვერცხლის მედალზე დაამთავრა თბილისის მეოცე საშუალო სკოლა და საქართველოს ტექნიკური ინსტიტუტის გეოლოგიურ ფაკულტეტზე ჩაირიცხა, რომელიც შემდეგში დაუსწრებლად დაამთავრა, რადგან მეორე კურსიდან გამოვიდა და სწავლა თბილისის საარტილერიო სასწავლებელში გააგრძელა. აღნიშნული სასწავლებელი იმდენად წარჩინებით დაამთავრა, რომ თბილისის კინოქრონიკამ მისი გამოსაშვები საღამოც კი გადაიღო.

1960 წელს ბატონი ჯიმი ავტოსაგზაო შემთხვევის გამო ჯარიდან დემობილიზებული იქნა და მან  სწავლა ისევ პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიური და კვების ტექნოლოგიის ფაკულტეტზე განაგრძო. სტუდენტობის პერიოდში აირჩიეს ინსტიტუტის კომკავშირული ორგანიზაციის ხელმძღვანელად, შემდეგ კომკავშირის თბილისის კომიტეტში, ხოლო შემდეგ საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში გადაიყვანეს. 1968 წელს ინიშნება თბილისის ვაკე - საბურთალოს (ორჯონიკიძის) რაიონის შს განყოფილების უფროსად. 1971 წელს ახლად შექმნილ საგზაო მოძრაობის ზედახედველობის პოლკის მეთაურად. ხოლო სამი წლის შემდეგ ქალაქ თბილისის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უფროსის თანამდებობაზე. 1978 წელს აწინაურებენ და თბილისის ისან - სამგორის (26 კომისრების) სახელობის რაიონის მილიციის უფროსად დანიშნეს, სადაც მან აღნიშნულ თანამდებობაზე შვიდი წელი იმსახურა და ბევრი რამ სიკეთე გააკეთა ამ რთულ რაიონში საზოგადოებრივი წესრიგის დასამყარებლად.

1990 წელს ჯიმი სხირტლაძე თბილისის სახელმწიფო ავტოინსპექციას ჩაუდგა სათავეში, შემდეგ ოთხი წლის მანძილზე ქ. თბილისის შს მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილის საპატიო თანამდებობა ეკავა. მუშაობის პერიოდში დაუსწრებლად დაამთავრა სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

ჯიმი სხირტაძეს ნიშნავენ სხვადასხვა თანამდებობებზე - შინაგანი ჯარების სარდლის მოადგილის, მილიციის უმაღლესი სკოლის პრორექტორის მოადგილედ, საგანგებო სიტუაციების დეპარტამენტის სამმართველოს უფროსის თანამდებობაზეა. საქართველოში მიმდინარე სამოქალაქო ომის დროს ინიშნება ქ. ფოთის სამხედრო კომენდანტად. არჩეული იყო ჟენევის ანსამბლეის მიერ საგზაო მოძრაობის საერთაშორისო ორგანიზაციის რესპუბლიკური მისიის ხელმძღვანელად. მონაწილეობა აქვს მიღებული, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის „სამაჩაბლოსა“ და „აფხაზეთში“.

ჯიმი სხირტლაძის განვლილი პერიოდი სათანადოდ იქნა დაფასებული, ხელისუფლების მიერ დაჯილდოებულია „წითელი ვარსკვლავის“, „საპატიო სიგელით, ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენით და სხვადასხვა სამთავრობო მედლებით.

ბატონი ჯიმი სხირტლაძე თბილისისა და რაჭის კოლორიტული პიროვნება იყო. მისი ენამახვილური გამოთქმები და იუმორი გავრცელებულია საზოგადოებაში. ცნობილი მიწისძვრის შემდეგ დაურეკა ბიძამისს რაჭაში, იგონებდა ბატონი ჯიმი - და ეკითხება, რა უბედურება დაგემართათ რაჭველებსო?, რა ჰქენით, მიწისძვრის დროს, თავი როგორ გადაირჩინეთო? - რავა რა ვქენით, ძლივს შევასწარით სახლებშიო - უპასუხნია ბიძამისს. მიწისძვრის შემდეგ, ბატონმა ჯიმიმ რეზინის ორი გასაბერი სალაზარეთო ოთახი ჩაიტანა რაჭაში ზომით 5×20 მეტრზე, რომელიც ერთი ამბროლაურის, ხოლო მეორე ონის პოლიციას გადასცა. როგორც ბატონი ჯიმი მოიგონებდა, ერთი კვირის შემდეგ მასთან ჩამოსულა ონის პოლიციის თანამშრომელი და უთქვამს, პოლიციის უფროსმა დაგვხოცა პირადი შემადგენლობა ამ ოთახის ბერვით და მაინც ვერ გავბერეთო. თურმე კომპრესორით გასაბერ ოთახს პირით აბერინებდა პოლიციის უფროსი თანამშრომლებს.

ბატონი ჯიმი ამზადებდა წიგნს გამოსაშვებად, სახელწოდებით „სიცილ - ხარხარით საქართველოს ყველა კუთხეში“, სადაც შესული იქნებოდა მის მიერ შექმნილი ანდაზები და ანეკდოტები. ... მძიმე ავადმყოფობის გამო წიგნის გამოცემას ვეღარ მოესწრო, - „იუმორის მეფედ“ წოდებული.

ჯიმი სხირტლაძე იმ თაობას ეკუთვნოდა, რომლებმაც დიდი სამამულო ომიდან დატოვებულ ჭრილობებს იშუშებდა. „დიდუბეში“ აღზრდილმა და გაზრდილმა ახლგაზრდამ იცოდა მოყვრისა და მტრის გარჩევა, რომელსაც იუმორისა და ხალისის გრძნობა თან სდევდა. ქვეშევრდომებს არ ჩაგრავდა და სხვასაც არ დააჩაგვრინებდა და თუ ვინმე მის კოლექტივში გამოერეოდა „კაცობის ინსტიტუტის“ შემარცხვენელი, მას პოლიციის გარნიზონის დაქვემდებარებულ დანაყოფებში აღარ ღებულობდნენ. პასუხი მარტივი იყო: „თქვენ ჯიმი სხირტლაძესთან ვერ იმსახურეთ!, - გირჩევთ სხვა სისტემაში გააგრძელოთ სამსახური!“, ამ არჩევნის წინაშე ბევრი დამდგარა... რომ უფიქრდები და ვიხსენებ მის მიერ განვლილ ხიფათიან გზას, დაწყებული თბილისში ძმათა მკლელი სამოქალაქო ომით, გაგრძელებული სამეგრელოს რეგიონში, სადაც მრავალჯერ მიიღო მონაწილეობა ბატონმა ჯიმი სხირტლაძემ, რომელსაც მას შინაურულად მივმართვდით, დამთავრებული „სამაჩაბლოსა“ და „აფხაზეთის“ ტერიტორიაზე, მრავალი გაბედული ოპერატიული ღონისძიებების გახსენება შეიძლება. (დ. ფ.)

1991 წლის იანვრის თვეა, სადაც ექვსასამდე პოლიციის თანამშრომელთან ერთად მონაწილეობას ვღებულობდი ქალაქ ცხინვალსა და ჯავის რაიონის ტერიტორიაზე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და საზოგადოებრივი წესრიგის აღდგენის მიზნით. თუ რა სულისკვეთებით მონაწილეობა მიიღო

შეიარაღებული ბანდფორმირებების წინააღმდეგ პოლიციის პოლკოვნიკმა ჯიმი სხირტლაძემ და ანზორ ალაშვილმა.

18 იანვრის საღამოს საათებში, როდესაც აფეთქებისას დაიღუპნენ პოლიციის თნამშრომლები, - ჭიპაშვილი და ქირია, ხოლო დოლიძე მძიმედ დაიჭრა. უბედური შემთხვევის გამო აღშფოთებულმა ჯგუფის ხელმძღვანელებმა, გენერალ გივი კვანტალიანმა, ჯიმი სხირტლაძემ და ანზორ ალაშვილმა მეგრულ ენაზე თარჯიმნის დახმარებით შტაბში იხმო საგუშაგო პიკეტის ხელმძღვანელები. მიუხედავად სიბნელისა, თოვისა, სიცივისა და ინტენსიური სროლებისა რამოდენიმე თანამშრომლები, - ამბროსი ლეჟავა, აჩიკო ჩომახიძე ადგილზე გამოვცხადდით, მათი ბრძანების შემდეგ გადავლახეთ ლიახვის ხეობა და დავიწყეთ საეჭვო პირების ძებნა, მაგრამ უშედეგოდ... გამთენიისას მიღებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჯიმი სხირტლაძისა და ანზორ აღაშვილის უშუალო ხელმძღვანელობით შემოწმებული იქნა იმ ღამით სეპარატისტების მიერ მიტოვებული საცეცხლე წერტილები, საიდანაც ხდებოდა ე.წ. „ღამის ხედვიდან“ სნაიპერების მიერ მიზნობრივი სროლები. მომიჯნავედ განთავსებულ მობინადრის საცხოვრებელი ეზოს დათვალერების შედეგად კავკასიური ნაგაზის თავშესაფარ ჯიხურიდან ამოღებული იქნა ტანკსაწინააღმდეგო ნაღმები, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა, ჭერზე შიგნიდან დამაგრებული იყო დიდი რაოდენობით თანხა თანდართული სიობრივი მონაცემებით, რომლებიც აგროვებდნენ იარაღისა და საბრძოლო ტექნიკის შეძენისათვის, კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ. ამავე ეზოში ამოღებული იქნა მსუბუქი ავტომანქანები, სხვადასხვა პირებიდან დაყაჩაღებით დაუფლებული.

...თუ წაგიკითხავთ გაბრიელ გარსია მარკესის უკვდავი ნაწარმოები - „ პოლკოვნიკს არავინ სწერს“, დარწმუნდებით ჯიმშერ

„ჯიმი“ სხირტლაძის თბილისის პოლიციის გარნიზონის კოლორიტ, უმწიკვლო, იუმორის გრძნობის ადამიანზე, რამდენი უკანონობა, დამცირება და უსიამოვნებამ გადაიარა. ვალმოხდილ პიროვნებას მიზერული რაოდენობის პენსიის ამარა დატოვეს, რომელსაც თანამებრძოლებთან ერთად სამთავრობო სტრუქტურებში კარდაკარ სიარული უხდებოდა, რომელსაც გარდაცვალებამდე ნორმალური საარსებო საშუალება და დახმარება არ აღირსეს უგონო მდგომარეობაში, საწოლზე მიჯაჭვულ „იუმორის მეფეს“.

ძვირფასო მკითხველო მინდა გაგაცნოთ თუ რა გულის-ტკივილით იხსენებდა „დამსახურებული ჩეკისტი“ მასმედიის წარმომადგენლებთან საუბრისას მის მიერ უმწიკვლო გავლილი გზის შესახებ.

ჯიმი სხირტლაძე: - თადარიგის პოლიციის პოლკოვნიკი, - მე ვარ თადარიგის პოლკოვნიკი, თბილისის შს მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე: ყველა ტყვიამ, რომელიც საქართველოში გავარდნილა, ჩემს თავზე გაიარა. ჩვენ 1989 წლის 9 - აპრილს რუსთაველზე ჩვენი გოგო - ბიჭები დავიცავით რუსების ტანკებისაგან, არ ყოფილა არცერთი ომი, რომელშიც მონაწილეობა არ მიმეღოს, ეს იყო საომარი მოქმედებები სამაჩაბლოში, სადაც თბილისის გარნიზონიდან წაყვანილი მყავდა 600 თანამშრომელი, საომარი მოქმედებები ოჩამჩირეში, ლაბრაში, ბესლახუბაში, ტამიშში. საუბედუროდ, ჩემს თავზე ცვიოდა ტყვიები სენაკში, ზუგდიდში, ფოთში... დღეს მე ვარ ვაი - ვეტერანი.

- რატომ ხართ ვაი ვეტერანი? ბატონო ჯიმი?

- დღევანდელი ხელისუფალნი (იგულისხმება წინა ხელისუფლება 2003–2012 წ.წ.) სიტყვა „პენსიონერის“ გაგონებაზე თავიანთი წრეში ზიზღით ამბობენ, ესენი კიდევ ცოცხლები არიანო? კიდევ უფრო ეკალივით ესობათ გულზე სიტყვა „ვეტერანი“. მათ ჩვენ

ყველანი ვეზიზღებით მარტო პენსიონერები და ვეტერანები კი არა, ვინც „ნაციონალურ მოძრაობაში“ არ ვართ ყველანი ვეზიზღებით. მე პოლიციის პოლკოვნიკი, ვამბობ, რომ ჩვენ ვცხოვრობთ პოლიციურ რეჟიმში. დაუშვებელია, ქვეყნის ხერხემლად გამოაცხადო პოლიცია. ქვეყნის ხერხემალი უნდა იყოს განათლება.

ამას წინათ ჩემს საბუთს დახედა ერთმა პოლიციელმა და უკან გადმომიგდო, ამას ძალა არა აქვსო. ვინ გაგზარდა, ბიჭო, შენ რძე არ შეგშრობია, ჩემს წოდებას მაინც ჩახედე, უფროსს პატივი რომ უნდა სცე, არ გასწავლეს - მეთქი“?, შენ ჩემი უფროსი არ ხარო!. ჩვენ კი სხვანაირად ვზრდიდით მომავალ თაობას, უფროსის პატივისცემას ვასწავლიდით, კოლეგიალობას ვასწავლიდით. ექიმი - ექიმთან, პოლიციელი - პოლიციელთან რომ მისულიყო, სულ სხვა დამოკიდებულება დახვდებოდა. დღეს პოლიციელებს ერთმანეთი ეზიზღებათ, ვინ ვინ დააბეზღოს და ვინ რაში გამოიჭირონ, ამაზე არიან გადასულები. ჩემს დროში ვეტერანები თავიანთ ცხოვრების მაგალითებზე ზრდიდნენ ახალგაზრდობას, ხალხის სიყვარულს და პატივისცემას უნერგავდნენ. ორივე მხარე სულიერ საზრდოს იღებდნენ. ვეტერანები თავიანთ თავს თვლიდნენ სახელმწიფოსათვის საჭიროდ და მხნეობა ემატებოდათ. ჰარმონია იყო თაობათა ცვლაში. საეჭვოა, დღეს ახალგაზრდებმა, რომელთა ოცნების კოშკებს უგებდნენ და ყველა ამქვეყნიურ სიკეთეს ჰპირდებოდნენ, ჩვენი მდგომარეობა არ გაითვალისწინეს და დაფიქრდნენ იმაზე, თუ რა მოელით ჩვენს ასაკში. ჩვენ, სულში ჩაფურთხებული ვეტერანები ვართ ამის კარგი მაგალითი. ბატონო ჯიმი, პრეზიდენტმა სააკაშვილმა თქვა, რომ თქვენ ვეტერანებისათვის და ომში მონაწილეობისათვის შეღავათებს არ უნდა ითხოვდეთ ეს ყველას მოვალეობააო...




ჯიმი სხირტლაძის ქალიშვილი - ხათუნა სხირტლაძე და დონი ფანჩულიძე
სამახსოვრო წიგნის გადაცემის დროს

- დიახ, - მიშამ თქვა, სამშობლოს დაცვა ყველას ვალდებულებაა და ვეტერანობა არც უნდა არსებობდესო. მერე, თავად რატომ არ თვლის თავს ვალდებულად, დაიცვას სამშობლო, რატომ არ თვლის თავს ვალდებულად, იზრუნოს საკუთარ ხალხზე? თუ მათ საკუთარ თავებს დაუნიშნეს უზარმაზარი პრემიები იმისათვის, რომ ხელისუფლებაში არიან, ჩვენ არაფერი გვეკუთნის. კორუმპირებულიო, რომ ამბობენ, კორუმპირებუილი რომ ვყოფილიყავით და მათსავით საშვილიშვილოდ მოგვეწყო ცხოვრება, დღეს სასამართლოდან - სასამართლოში კუთვნილ პენსიის სამათხოვროდ კი არ ვივლიდით. მოსამართლეები მხრებს იჩეჩდნენ მართალი ხართ, მაგრამ ვერაფერს ვიზამთ, პენსია გეკუთვნის, მაგრამ ვერ მოგცემთო... ამას წინათ ერთმა მოსამართლემ მითხრა, ამას რას მოვესწარი, ჯიმი სხირტლაძე მოვიყვანეთ პროცესზეო! წესიერებასა და სიწმინდეზე ლაპარაკობს უნამუსო. ჩამხედონ თვალებში და მითხრან ჯიმი სხირტლაძე ვარ კორუმპირებული? გადაშალონ უცხო სიტყვათა ლექსიკონი და ნახონ, რას ნიშნავს კორუმპირებული? ეს არის მოსყიდვა, საქმის გაყიდვა სახელმწიფო მმართველობის ორგანოებში მყოფ პირების მიერ. ეგენი არიან კორუმპირებულიც და მძარცველებიც. ადრე საგზაო იმსპექტორი მძღოლს ლარს თუ ართმევდა, ახლა ჯერ 150 ლარს გამოუწერენ, თუ ვერ გადაიხადა დროულად 300 ლარს. აქედან 30%-ს პოლიციელების ჯიბეში მიდის, ვინც ჯარიმას გამოწერს, პრემიას აძლევენ და ქრთამი  არ ჰქვია ამას, რა ჯანდაბა?. ოპერატიული მუშაობის არცოდნის და კორუმპირებულობის ბრწყინვალე მაგალითს გეტყვით. სად გაგონილა, საქვეყნოდ რომ აცხადებენ, ესა და ეს გამოძიებასთან თანამშრომლობსო. ყველამ იცის, რომ აგენტის გარეშე პოლიცია არ არსებობს. იმდენი აგენტი მყავდა, რომელიმე ერთი რომ გაეშიფრათ, თავს მოვიკლავდი. ერთი ამბავი ატყდებოდა ან ეს საპროცესო გარიგება რა ქრთამი არ არის? შევარდნაძის დროს

დამნაშავე ფულს იხდიდა ჩუმად, გამოდიოდა გარეთ. დღეს ფულს ღიად და ისე გამოდის გარეთ. ახლა პირდაპირ აცხადებენ, ჩვენთან ითანამშრომლეთ, ფული შემოიტანეთ და ვინც გინდა მოკალით. ციხიდან მკვლელებს ათავისუფლებენ ფულის გამო.

- დღევანდელ პოლიციას (იგულისხმებოდა ნაც. მოძრ. დროს) როგორ შეაფასებთ?

- დღეს არის გათავხედებული და გათამამებული პოლიცია. არაფრის შიში და მორიდება არ აქვთ, რაც უნდა დააშაონ, იციან, რომ ყველაფერი ეპატიებათ. ჩვენთვის ძვირფასი იყო თითოეული ადამიანის სიცოცხლე, მათ შორის, დამნაშავის სიცოცხლე. რომან გვენცაძემ კანონიერი ქურდი პაატა ჩლაიძე რომ დაჭრა, მერე ზურგზე აიკიდა, საავადმყოფოში მიიყვანა და თავისი სისხლი გადაუსხა, რომ გადაერჩინა. ამას ვინ გააკეთებს დღეს? არადა, სწორედ ეს არის გმირობა. გმირობა ყოველთვის სამაგალითო იყო. დღეს ნაძირალობაა სამაგალითო!. ახლა პოლიციელებს (იგულისხმება 2003 - 2012 წ.წ.) უმღერიან ჰიმნს, თანაც ბავშვებს ამღერებენ. ბავშვმა თვითონ უნდა აირჩიოს, პოლიციელობა უნდა თუ ექიმობა. რატომ უნდა იყოს პოლიციელი უფრო საყვარელი ვიდრე ექიმი? რატომ უნდა უმღეროდეს ბავშვი პოლიციელს და რატომ არ უნდა უმღეროდეს დღეს მასწავლებელს? ან გამაგებინეთ ახლა ჰიბრიდული ჯიშის სიმინდი რომ შემოიტანეს, რაღაც ისეთი საერთოდ, მანდატურებს ძველად ბოქაულებს ეძახდნენ. რად გვინდა ეს ბოქაულები სკოლაში? საბჭოთა კავშირის დროს იყო ბავშვთა ოთახები, სადაც იყვნენ ბავშვთა ოთახის ინსპექტორები. დედასავით მზრუნველი ქალები იყვნენ. თითოეული ბავშვის სახლი იცოდნენ, ოჯახური მდგომარეობა იცოდნენ, აღრიცხვაზე ჰყავდათ, მაგრამ სკოლაში შეიარაღებული პირები კომუნისტებსაც არ შეუშვიათ. რად უნდათ ეს მოზვერივით ბიჭები რომ შეჰყავთ სკოლებში და თან იარაღი უნდა დაარიგონ? ან ამ მოზვერივით

ბიჭებს არ რცხვენიათ პატარა ბავშვებთნ მუშტებს რომ ათამაშებენ და იარაღს აჟღარუნებენ? სკოლებში 35 %-ით შემცირდა დანაშაულიო. კარგი რა, რა დანაშაული იყო ამისთანა ჩვენს სკოლებში?

- ბატონო ჯიმი, ხომ არ ფიქრობთ, რომ საბჭოთა სისტემა უფრო სამართლიანი იყო?

- ესენი ასე აბუჩად რომ იგდებენ საბჭოთა კავშირს, ეგრე არ არის. საბჭოთა კავშირს უამრავი უდიდესი მიღწევა ჰქონდა. ამერიკასაც კი გაასწრო. იყო ასეთი თანამგზავრების გამყვანი რაკეტა, რომელსაც ამზადებდა დიმიტრი კუზნეცოვი. მის მოტორებს ერქვა „დეკა“. 22 ცალი იყიდა ამერიკამ საბჭოთა კავშირისაგან და თქვეს, 22 წლით გაგვასწრო რუსეთმა ამ საქმეშიო. სად გაიზარდნენ ჩვენი ცნობილი სპორტსმენები, ექიმები, მეცნიერები? - საბჭოთა კავშირში. დღეს შეგვიძლია გავზარდოთ იმ დონის ექიმები? მათემატიკოსები, ფიზიკოსები? ეს უწიგნურები კი აკრიტიკებენ იმათ. რაზეა ლაპარაკი, სტალინს რომ შეეხებიან. მიჰუაუნზენს აქვს ნათქვამი, პლანეტებს შორის რომ ყრილობა ჩატარდეს, ალბათ დედამიწამ სტალინი უნდა გააგზავნოს დელეგატადო! გამოდიან ცხვირმოუწმენდავი გოგო - ბიჭები და სტალინს ლამძღავენ. სტალინს მსოფლიომ დაუჩოქა. უაზრო კაცი რომ სტალინის კრიტიკას დაიწყებს, შეიძლება? ამაში დიდი დანაშაული მიუძღვის ჩვენს ინტელიგენციას. მსოფლიო გაგიჟებულია, სტალინის ძეგლი როგორ ჩამოაგდეთო.

(დ. ფ.) ბატონო ჯიმი, - თქვენს დაკრძალვაზე ერთხელ კიდევ დავრწმუნდით, თუ რა სიტკბო, სიყვარული და კაცობა დაგითესიათ.


ჯიმის
რაც შენ სიკეთე დაგითესია
რად არ მიმხელდი ნეტავ?!
უცხო მირეკავს,
მადლობას გიხდის
სიხარული და სევდავ!
ცისო
ჯიმშერ
სხირტლაძე
1936 – 2015

ხალხის ნაკადი არ წყდებოდა ყველას უნდოდა თქვენს სასთუმალთან ბოლო მხედრული ვალი მოეხადათ, დაწყებული ვეტერანი პოლიციელით, დამთავრებული ცნობილი ხელოვანი ადამიანებით.

იძინეთ მშვიდად, მსუბუქი ყოფილიყვეს ქართული მიწა თქვენს საფლავზე. მრავალი სასახელო პოლიციელი აღზრდილიყვეს სამშობლოს სადარაჯოზე. რასაც თქვენ ნატრულობდით და ოცნებობდით.

გაზეთ „თაობიდან-თაობამდე" რედაქტორი

დონი ფანჩულიძე

# ვახტანგ ჯაფარიძე

(„ლეგენდარული ჩეკისტი“)

(21/09-1921 (91) 2013 წწ.)



ვახტანგ ჯაფარიძე

... ევგენი აფრასიძე პირველად საბჭოთა კავშირის დროს გახდა ძებნილი, როცა მსგავსი „მოუხელთებლობა“ „აბრაგად“ ითვლებოდა და საგამოძიებო ორგანოებს ამის გამო „შავ დღეში“ აგდებდნენ და თუ საქმე უფრო გაჭიანურდებოდა სასჯელი „სასტიკ საყვედურს“ გასცდებოდა და მარტო წოდებრივი და თანამდებობრივი დაქვეითება კი არა სამსახურიდან დათხოვნაც არ იყო გამორიცხული. აფრასიძის საქმეს უწვრილესი დეტალების ჩათვლით აცნობიერებდნენ, სამართალდამცავები თავს არ ზოგავდნენ „ძებნილის“ ასაყვანად. მაგრამ არც „აგენტურის“ მუშაობამ გაჭრა და არც ცალკეული მილიციელის თავდადებამ. ძებნილობის 16 წლის განმავლობაში აფრასიძემ თავი აჩვენა, როგორც ჭკვიანმა, მოქნილმა და ასევე გულკეთილმა კრიმინალმა, რომელსაც ადგილობრივები უფრთხილდებოდნენ და უყვარდათ.

ამის წყალობით ძებნილობაში ოჯახიც შექმნა და სამი შვილიც ეყოლა. რაც მთავარია, სხვა არანაირი დანაშაული არ ჩაუდენია. სისხლის სამართლის საქმე კავშირის მაშტაბით კონტროლზე იყო აყვანილი და საკავშირო მაშტაბით ითხოვდნენ საქართველოს მთავრობასა და შინაგან საქმეთა სამინისტროდან

ანგარიშს, რა კეთდებოდა ძებნილი აფრასიძის დასაკავებლად. მოსკოვიდან არც თუ იშვიათად ჩამოსული კომისია საქმის გაუხსნელობის გამო ხან ერთ განყოფილებას ადანაშაულებდა და აკრიტიკებდა, ხან – მეორეს. რამდენიმეჯერ შემუშავდა „აყვანის“ ოპერატიული გეგმა და ათობით შეიარაღებული თანამშრომელი გაიგზავნა ადგილზე, მაგრამ ყოველთვის აღმოჩნდა, რომ აფრასიძე ოპერაციის შესახებ ინფორმირებული იყო და მიიმალა. ასე რომ „გრუპა ზახვატა“ რამდენჯერაც შევიდა, იმდენჯერ ხელმოცარული დაბრუნდნენ. მოგვიანებით, ევგენი აფრასიძემ შემოთვალა, აქ ამოსვლა არ გაბედოთ, თორემ ყველას დაგხოცავთო. კრიმინალის წინაშე მილიციელების უძლურება თანდათან სამარცხვინო ხდებოდა.

აფხაზეთის მილიციის წარმომადგენლობა გამოიძახეს მაშინ შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებროს უფროსთან მამია თარგამაძესთან, სადაც დახვდათ სანდრო კავსაძე – იმჟამინდელი მინისტრის მოადგილე. სამარცხვინო „ლაქის“ მოსაშორებლად და აფრასიძის ასაყვანად რამდენიმე ვარიანტი განიხილებოდა: პირველი ვარიანტით, ეცერში ოპერატიული თანამშრომლებისაგან შემდგარ ბრიგადას თავადების, დადეშქელიანების სასახლის აღსადგენად სამუშაოები უნდა დაეწყო, თან თვალთვალი დაეწესებინათ ოჯახზე და ხელსაყრელი მომენტის დადგომისთანავე „აეყვანათ“ ევგენი აფრასიძე. მაგრამ ეს ვარიანტი დაიწუნეს იმ მოტივით, რომ ძალიან

დიდი დრო დასჭირდებოდა, თან ბევრი ოპერატიული თანამშრომელი უნდა ჩაეყენებინათ საქმის კურსში, ამიტომ საიდუმლო დაცვა გაჭირდებოდა.

საქმის განხილვისას მილიციის პოლკოვნიკმა ვახტანგ ჯაფარიძემ ერთ-ერთ ვარიანტად ევგენი აფრასიძის მიერ ახალი სახლის მშენებლობისათვის საჭირო საშენი მასალებისა და დიდი რაოდენობით ცემენტის საჭიროების გამოყენება წამოაყენა. გადაწყდა, მასთან ნდობაში შესასვლელად და დასაახლოებლად, შემდეგ უდანაკარგოდ და მარტივად „ასაყვანად“ ერთ-ერთ ოპერატიულ მუშაკს ეცერში ცემენტი აეტანა და „ოპერაცია“ დაეწყო, რაც ადვილი არ იყო, რადგან აფრასიძემ „ძებნილობის“ განმავლობაში „მიმალვის“ გამოცდილება და საკმაოდ კარგი იარაღი შეიძინა, გონივრულობა და მოხერხებულობა კი არასდროს აკლდა. გასათვალისწინებელი იყო ისიც, რომ „გაშიფრვის“ შემთხვევაში მსხვერპლი გარდაუვალი იქნებოდა. ვახტანგ ჯაფარიძემ უყოყმანოდ აიღო საკუთარ თავზე ეს მძიმე „მისია“, ყოფილიყო „ცემენტისა და სხვა საშენი მასალების რეალიზატორი“. ცნობილია, რომ საკითხისადმი ასეთი მიდგომის გამო მამია თარგამაძეს ვახტანგ ჯაფარიძე გადაუკოცნია და განკარგულება გაუცია, ყველანაირად შეეწყოთ მისთვის ხელი. დაიგეგმა მოკლე დროში შესასრულებელი „აფრასიძის აყვანა“ და არა „ლიკვიდაცია“ მეტად სერიოზული ოპერაცია იმის გათვალისწინებით, რომ ხელმოცარვის შემთხვევაში საკავშირო მკაცრი

სასჯელი არ ასცდებოდათ. არავინ იცოდა, რას მოიტანდა მისი ეს „ვოიაჟი“, ან როგორ დამთავრდებოდა.



სამამულო ომის მონაწილე „ლეგენდარული ჩეკისტი“, პოლიციის პოლკოვნიკი, ორგზის საპატიო „ჩეკისტი“ - ვახტანგ ჯაფარიძე, დონი ფანჩულიძე. გად. 09.05.2015წ. „ვაკის პარკში“ ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 70-წლისთავთან დაკავშირებით.

გურამ გვეტაძემ იმჟამინდელმა შს მინისტრმა გეგმა მოიწონა და გადაწყდა, რომ მის დასრულებამდე სულ რამდენიმე ადამიანის გარდა, არავის არაფერი არ უნდა სცოდნოდა და რაც მთავარია, ღონისძიება უსისხლოდ უნდა ჩატარებულიყო და ტყვია არ გავარდნილიყო, გარდა იმ უკიდურესი შემთხვევისა, თუ „აბრაგი“ თავზე ხელს აიღებდა, შეტევაზე გადმოვიდოდა და ოპერატიულ მუშაკებს, „ლიკვიდაციის“ გარდა, სხვა გამოსავალს არ დაუტოვებდა, მაგრამ რადგან ოპერაციის მიზანი „იოლი გამოსავალი“ – მოკვლა არ იყო, ამ დროს ამ „წარუმატებლობის“ გამომწვევი არასწორი ნაბიჯის გამო ოპერატიული მუშაკები, რომლებსაც კანონმდებლობა იარაღის გამოყენებას უკრძალავდა, „წოდებებს“ გამოეთხოვებოდნენ. მოკლედ, ყველა სხვა გზა ამოჭრილი იყო, გარდა ერთისა, ძებნილი აუცილებლად უსისხლოდ აეყვანათ.

ევგენი აფრასიძეს შეეძლო ვახტანგ ჯაფარიძის ცნობა, მაგრამ იერის შესაცვლელად წვერის მოშვების გეგმა უარყოფილ იქნა, რადგან დრო არ ითმენდა. ამასთანავე, წვერმოშვებული სიარული საბჭოთა კავშირში მიღებული არ იყო და შეიძლებოდა, დაეჭვება გამოეწვია. ამიტომ პარიკის გაკეთება ამჯობინეს, რაც პროფესიონალმა გრიმიორმა წარმატებით გადაწყვიტა და „მივლინებაში მყოფი“ ვახტანგ ჯაფარიძე საკუთარმა ახლობლებმაც ვერ იცნეს და ზაფხულის ცხელ დღეებში ცემენტით დატვირთული „საკუთარი“ დახურულ ძარიანი სატვირთო მანქანით ეწერში „სავაჭროდ“ წავიდა.

პოლკოვნიკმა ვახტანგ ჯაფარიძემ ცემენტით დატვირთული მანქანა პირდაპირ აფრასიძეების სახლს მიაყენა. ცალკე პარიკისაგან და ცალკე მოსალოდნელი ხიფათით ოფლში გაღვრილმა „მოხუცმა მძღოლმა" ქალებს წყალი დამალევინეთო, სთხოვა. ცივი წყლით სავსე ჭიქით ხელში ახალგაზრდა ქალი რომ აფრასიძის ცოლი იყო, მაშინვე მიხვდა. არც ის გამოჰპარვია მხედველობის არიდან, რომ წინკარიდან ვიღაც უთვალთვალებდა. ცოტა ხანში, სახლის უკანა მხრიდან მართლაც გამოვიდა მაღალი, თხელი აღნაგობის მამაკაცი და მისკენ გამოემართა "გარეგნული აღწერილობის" მიხედვით, ეს ევგენი აფრასიძე უნდა ყოფილიყო და მოხუცის ტლანქი მიხრა-მოხრით მშვიდად შებრუნდა მისკენ. მოსახდენი უნდა მომხდარიყო, მაგრამ მხოლოდ დანებებას არ აპირებდა, ყოველი შემთხვევისათვის, იარაღი საიმედოდ ჰქონდა დამალული.

- ვინ გამოგზავნა აქ?- ჰკითხა კაცმა და მანქანას ერთხელ შემოუარა ირგვლივ და მეორეჯერაც აპირებდა... ოპერატიული მუშაკებისათვის მეტად დაძაბული ეს რამოდენიმე წუთი "საუკუნე" გაგრძელდა. მკვლელობაში ეჭვმიტანილი ძებნილის წინაშე იდგა და ფსიქოლოგიურ "ტესტს" გადიოდა. ზუსტად იმავე ხმაზე უყვირა თავადაც:

-რას მიტრიალებ, თუ იცი. გასაყიდად ცემენტი მაქვს მოტანილი და ამ ეზოში წყლის დასალევად შემოვედი. ყოჩაღ, თუ მოხუცებს ასე ექცევით სხვანეთში. –ოდნავ დაუწია ხმას, რადგან შეხედა, რომ მამაკაცი

იქვე ხის ძირში ჩამოჯდა, “გაშიფრის” შიში უკან დარჩა, აშკარა იყო, “საკენკი აიკენკა”, პირველი გამარჯვება შეეძლო, “ეზეიმა”... მოურიდებლად შეიწმინდა სახეზე ოფლი და თავადაც გვერდზე მოუჯდა... საუბარი გააბეს.

-ბიჭო, რა გაგიკვირდა, მშენებარე სახლი ვნახე და შემოვედი,- შესამჩნევად მეგრულკილონარევად მაღალი არტისტული ოსტატობით უთხრა ოჯახის უფროსს და მანქანაში ცემენტი დაათვალიერებინა.

-ამხელა კაცი ხარ და ცემენტი კი არა, ტალახი მოგიტანია. ამას ვინ იყიდის. მე მაღალმარკიანი მინდა. - განუცხადა მანქანის ძარასთან მისულმა აფრასიძემ საქმიანად და დაამატა, -სახურავის საღებავიც ჩამომიტანე და ფასზე არ გაწყენინებ. აფრასიძეს ფიცრისა და შეშის დამუშავების ბიზნესი ჰქონდა, და, ცხადია, შინ მიტანილი სამშენებლო მასალის საფასურს სიამოვნებით გადაიხდიდა.

“გია ბიგვავა” ეცერში ცემენტით ვაჭრობას კიდევ რამდენიმე დღე მშვიდად განაგრძობდა. თუმცა გაურკვეველი დარჩა, რა მოხდა იმ პირველ დღეს: ადგილობრივმა “აგენტებმა” აცნობეს, თუ აფრასიძის კეთილმოსურნეებმა “ივაჟკაცეს”, მაგრამ “შუა ვაჭრობისას” პოლკოვნიკი მილიციის თანამშრომლებმა დააკავეს და მილიციის განყოფილებაში ამოყო თავი. არც ისაა ცნობილი, თვითონ ევგენი აფრასიძემ “უჩალიჩა”, თუ მართლა “სვანმა ბიჭებმა” “იკისრეს”, მაგრამ რამდენიმე წუთში საბუთებიც დაუბრუნეს და ცემენტის კარგა მოზრდილი დაკვეთაც “მიიღო”. “უფროსმა” ჯაფარიძემ საკუთარ ხელქვეითებს ცემენტი

უზიდა, რაც საქმისათვის მეტად ხელსაყრელი გამოდგა, “მეგრელმა” “სპეკულანტმა გია ბიგვავამ” მოკლე ხანში ეცერის მთელი მოსახლეობა გაიცნო და აფრასიძის ოჯახთან ერთად ისინიც დაიძმაკაცა ბოლო მისვლაზე აფრასიძეს შეჰპირდა, შენ რომ გინდა, ისეთი ცემენტი და საღებავები მალე მექნება და ჩამოგიტანო.

ყოველი ნაბიჯი “ოპერატიულ თათბირზე” დეტალურად განხილვის საგანი იყო. შ.ს მინისტრის მოადგილის სანდრო კავსაძის ხელმძღვანელობით “აყვანის ოპერაციაც დაიგეგმა”. ვახტანგ ჯაფარიძე მოულოდნელად სამინისტროში გამოიძახეს, სადაც დახვდნენ: გივი ყვარელაშვილი, გრიშა შონია, მალხაზ ჯაფარიძე, თამაზ ოქროსცვარიძე, ნუგზარ დაბარგიშვილი და ომარ დვალიშვილი, რომლებმაც მიიღეს ბოლო დირექტივები, კონკრეტული დავალებები და ორი მანქანით -“რაფი” და “ნივით” “ოპერატიული ჯგუფის” წევრები, 10 ოპერატიული მუშაკი, ძირითადად ყოფილი სპორცმენები სამძებრო განყოფილების ძაღლით სვანეთისკენ გზას გაუდგნენ.

ეცერს რომ მიუახლოვდნენ, სანდრო კავსაძე და ოპერატიული ჯგუფის წევრები, ძაღლის თანხლებით, დახურულძარიან “სავაჭრო ცემენტით დატვირთულ” საბარგო ავტომანქანაში გადასახლდნენ და ამ ერთი მანქანით სისხამ დილით შევიდნენ დანიშნულების ადგილზე. “მოხუც მეგრელს” ოჯახის უფროსი ყოველთვის წინ ეგებებოდა და ოპერაციაც ამაზე იყო გათვლილი. მაგრამ ამჯერად ძალზე დაღვრემილი მასპინძელი ჩვეულების საწინააღმდეგოგ, რატომღაც

მანქანასთან ახლოს არ მივიდა, მოშორებით დადგა და ეჭვის თვალით დაიწყო ცქერა, რაც, როგორც შემდეგ გაირკვა, ცოლის "შეგონებების" შედეგი იყო. საინტერესოა, რომ აფრასიძეს ცოლი აფრთხილებდა თურმე, ამ კაცს ხელები ცემენტის გამყიდველისას არ უგავს და არც მეგრელი უნდა იყოსო.

ევგენი, - მიმართა ვახტანგმა "დამკვეთს", - მოგიტანე შეპირებული ცემენტი და საღებავი. ძალიან მეჩქარება და დროზე გადმოტვირთე. – გაჯიუტებული აფრასიძე გაუნძრევლად იდგა. საქმე აშკარად რთულდებოდა, რადგან ამასობაში სახლიდან მისი 16-ოდე წლის ვაჟი გამოვიდა და ავტომანქანის მიმართულებით წამოვიდა. თუ ის მანქანის კარს გააღებდა, ბუნებრივია, ძარაში მყოფი ოპერმუშაკები ბავშვის გაწირვას "ოპერაციის ჩაშლას" ამჯობინებდნენ, ხმაურზე მეზობლები გამოცვივდნენ და ოპერმუშაკებს აფრასიძე დაკავებულიც რომ ჰყოლოდათ, თანასოფლელები "ცოცხალი თავით" არ გამოატანდნენ. მოკლედ, სიტუაცია დაიძაბა და არავინ იცოდა, რა მოხდებოდა. იმ წამს მრჩევლად ვერავინ გამოადგებოდა და ყველაფერი სწორედ "ოპერატიულ მუშაკზე" – ვახტანგ ჯაფარიძის პროფესიონალიზმი და გონებაგამჭრიახობაზე იყო დამოკიდებული... და მიიღო ერთადერთი და სწორი გადაწყვეტილება: სანამ ბიჭი მანქანასთან ახლოს მივიდოდა, გვერდი აუარა, ევგენისკენ გაიჭრა, რომელიც წამიერი გახევებისგან ძაღლის წკმუტუნმა გამოაფხიზლა. ამის შესახებ შემდეგ ვახტან ჯაფარიძე ყვებოდა: "ყველაფერს მიხვდა,

ვეფხვივით შეხტა და წაისისინა: "ბიჭო, ძაღლები მომიყვანე?". მაგრამ მოტრიალება ვერ მოასწრეო, "მეგრელი სპეკულიანტი მოხუცი" რომლისთვის სრულიად შეუფერებული პოლკოვნიკი ვახტანგ ჯაფარიძე ჭიდაობის ილეთით "წელში შეუვარდა" აფრასიძეს, ჰაერში აიტაცა, ძლიერი მკლავები საიმედოდ ჩასჭიდა და

როგორც დაგეგმილი იყო, იყვირა: "ბიჭებო, გადმოდით". აფრასიძემ სხვა რომ ვერაფერი გააწყო, ვაჟიშვილს დაუძახა, "თოფი გამოიტანეო", მაგრამ, სანამ ის მამის ბრძანების შესასრულებლად შეტრიალდებოდა, გივი ყვარელაშვილმა დააკავა... შემდეგ არ მალავდნენ ბიჭები: "აფრასიძე ბოლომდე გონს რომ მოეგო, კარგა მუშტებიც გვითავაზა და მიგვფინ-მოგვფინა კიდეც, მაგრამ მოკლე ხანში უკვე მანქანის ძარაში გვყავდა ხელბორკილდადებული. ბიჭს დავუბარეთ, მამაშენს არაფერი მოუვა, არ ინერვიულოთ და ისევე სწრაფად დავტოვეთ იქაურობა, როგორც მოვედით".

"ოპერაცია იმდენად სწრაფად დასრულდა, რომ სოფელს კი არა, თვით ოჯახის სხვა წევრებსაც არაფერი გაუგიათ". –ჩაწერა ჯაფარიძემ "აყვანის" საბოლოო ოქმში.

აფრასიძე საკუთარი სიძის-დის ქმრის მკვლელობაში იყო ეჭვმიტანილი. მაგრამ საქმე ბოლომდე გარკვეული არ იყო, რადგან, ვარაუდების გარდა, არც მოწმე, არც ნივთმტკიცება არ არსებობდა. ცნობილი იყო მხოლოდ, რომ 1964 წელს, ასე 20-23 წლის ასაკში, ევგენი აფრასიძე თეიმურაზ პირველს-მეტყევე

ინჟინერს-საკუთარ სიძეს მიუვარდა, როცა უკრაინელ მუშებს ხელმძღვანელობდა კოდორის ტყეში, და დაემუქრა, ჩემს დას ნუ ჩაგრავ, წესიერად მოიქეცი, თორემ მოგკლავო. პირველმა არათუ არ მოუსმინა ცოლისძმას, "ცხვირმოუხოცავი ლაწირაკი" უწოდა და გადმოცემით, ერთი ვარიანტის თანახმად აფრასიძემ განსაკუთრებული "სისასტიკით გამორჩეული მკვლელობა" ჩაიდინა, დანით 17 ჭრილობა მიაყენა სიძეს. მეორე ვარიანტით, ორი ტყვია ესროლა და ორივე სასიკვდილო აღმოჩნდა. ასე იყო თუ ისე, ფაქტია: ისე მიიმალა, რომ მილიციის მიერ გულმოდგინედ "ძებნის" მიუხედავად, 16 წელი ვერ მოიხელთეს. ამასობაში, მოკლულის მამამ „სისხლის აღება" ევგენის ბიძაშვილზე გადაწყვიტა, მაგრამ მოქნეული დანით მხოლოდ მსუბუქად დაჭრა. დაჭრილმა იმავე დანით სიცოცხლეს გამოასალმა მოხუცი. ამ ამბის გაგონებაზე ევგენი აფრასიძის მამამ თავი მოიკლა.

მიუხედავად იმისა, რომ პროკურატურას ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ევგენი აფრასიძე მკვლელი იყო, რწმენის გამო, რა ღრმაც არ უნდა ყოფილიყო, ვერავის გაასამართლებდნენ, „იკერებოდა" „სისხლის სამართლის" საქმის ტომები და იკრიბებოდა ნივთმტკიცებულება ამ შემთხვევაში არც სამხილი ჰქონდათ და არც მოწმეები ჰყავდათ და დაკავებულ "ძებნილს" სიძის მკვლელობა ვერ დაუმტკიცდა. სასამართლოზე გაირკვა, რომ სიძე ევგენი აფრასიძეს კი არა, აწ უკვე გარდაცვლილ მამამისს მოუკლავს. ხოლო თავად "სისხლის აღების" წესისგან იცავდა ოჯახის

წევრებს და ამიტომ იმალებოდა და აფრასიძემ “იარაღის უკანონოდ ტარებისათვის” მისჯილი 3 წელი ციხეში მოიხადა. იქიდან გამოსული კი სიცოცხლის რისკის ფასად მის “დამკავებლებს”, მით უფრო ვახტანგ ჯაფარიძეს უზომო პატივს სცემდა. მაგრამ ევგენი აფრასიძე ისევ გახდა “ძებნილი”.

მისი “გააბრაგება” 1993 წელს მოხდა. მანამდე ევგენი აფრასიძე მძღოლად მუშაობდა, არავის არაფრით აწუხებდა, პირიქით, როგორც შეეძლო, ყველას ეხმარებოდა. აფხაზეთის ტრაგედიის დროს აფრასიძეს დევნილები გადმოჰყავდა და უკან დევნილებისათვის პროდუქტები მიჰქონდა. სოხუმიდან მისი დევნილი ბიძაშვილები შინ მიადგნენ საკუთარი “ნივით”, რომელიც აფრასიძეების ეზოდან “გაქრა”. ევგენი აფრასიძეს ისედაც დევნილი, უსახლკაროდ დარჩენილი ახლობლების მატერიალურ ზარალთან ერთად ისიც აღელვებდა, რომ ეს აკადრეს. მაგრამ მას სამართალდამცავებისათვის არ მიუმართავს, საკუთარი ძალებით იპოვა ქურდი, რომელთან შელაპარაკებაც მკვლელობით დასრულდა, მაგრამ დღემდე უცნობია, ვინ ჩაიდინა ის. მაგრამ ფაქრია, რომ “სისხლის აღების” რეალური შიში გამძაფრდა და ევგენი აფრასიძემ და მისმა უკვე მოზრდილმა ბიჭებმა “დაცვა” გაიძლიერეს. რაც, ბუნებრივია, სრულიად შეუფერებული იყო ოცდამეერთე საუკუნისათვის და მთავრობამ მათი ერთბაშად “აყვანის” კონპირირებული სპეცოპერაცია განახორციელა, რომელიც კომუნისტგების მიერ ჩატარებულისაგან განსხვავებით დიდი “ლოლიალობით”

არ გამოირჩეოდა და არც “უსისხლოდ” ჩატარებაზე ჰქონია პრეტენზია, რადგან “რქებით გატანის” პოლიტიკაზე იყო აგებული და დახვეწილი “ოპერატიული მუშაობით” ოპერაციის ჩატარება...

სვანეთის მკვიდრი გულისტკივილს არ მალავენ, მათი ვანდალურად აყვანის ფაქტს, მაგრამ იმასაც არ მალავენ, რომ ომეხი და გოჩა აფრასიძეები, -“არ იყვნენ წმინდა წყლის დამლევები”...

*მოამზადა დონი ფანჩულიძემ*

<<მეფეთა მეფე>>

(1073 (52) 6/02-1125 წწ.)

## დიდგორის ბრძოლიდან 1121 წ. (900 წელი) 2021 წელი 900 წელი გასულა!

*დავით აღმაშენებლის სიტყვა დიდგორის ბრძოლის წინ (1121 წ. 12 აგვისტო)*

„მეომარნო ქრისტესანო! თუ ღვთის სჯულის დასაცავად თავდადებით ვიბრძოლებთ, არამც თუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკსაც ადვილად დავამარცხებთ. და ერთს რასმე გირჩევთ, რაც ჩვენი პატიოსნებისა და სარგებლობისათვის კარგი იქნება. ჩვენ, ყველამ, ხელების ცისკენ აპყრობით, მლიერ ღმერთს აღთქმა მივცეთ, რომ მისი სიყვარულისათვის ამ ბრძოლის ველზე დავიღუპებით და არ გავიქცევით. და რათა არ შეგვეძლოს გაქცევა, კიდეც რომ მოვინდომოთ, ამ ხეობის შესავალი, რომლითაც შემოვსულვართ, ხეთა ხშირი ხორგებით შევკრათ და მტერს, როცა



მოგვიახლოვდება ჩვენზე იერიშის მოსატანად, მტკიცე გულით დაუნდობლად შევუტიოთ"!!



<<900 წელი>> დიდგორის ბრძოლის გამარჯვებიდან
2021 წლის 12 აგვისტო

ავტორისაგან: (დ.ფ.) 2015 წლის 12 აგვისტოს <<დიდგორის ბრძოლის>>, -„ძლევაი საკვირველის“ გამარჯვებასთან დაკავშირებით, სამთავრობო სტრუქტურებს უნდა გამოეცხადბინათ უქმე დღედ... აღნიშნულ საკითხზე, - ირანისა და თურქეთის დიპლომატმა-ელჩებმა საქართველოს ნოტა გამოუგზავნეს, არ შეცდეთ!, დავით აღმაშენებელი 100 000 სელჩუკებთან, 56 000 ქართველი მეომრით ბრძოლას ვერ მოიგებდაოო, არადა (ქართველი კი არა) სომეხი მათე ურჰაელის და ბერძენი გოტიე ისტორიკოს-მემატიანეები წერენ ყველაფერ სიმართლეს, ამ ბრძოლამ მარტო თბილისი კი არ გადაარჩინა, მთლიანად საქართველოს ბედი... (დ.ფ.)

...„ახალმა ქართველებმა“ რა გავაკეთეთ?, - მოგახსენებთ!, - დავით აღმაშენებლის ძეგლი ცენტრიდან გავიტანეთ და დავაყენეთ მთავარ საავტომობილო მაგისტრალზე ე.წ. „ავტოინსპექტორივით“, ყოფილი „პლეხანოვის“, შემდეგ დავით აღმაშენებლის გამზირის 20 %-ი გადავკეტეთ, (რომელიც ე.წ. „კომუნისტებსაც“ არ უკადრებიათ) მის ადგილზე გავხსენით „კაფე-ბარები“, რომელიც ჩავაბარეთ, - ირანელებს და თურქებს, სადაც ჩვენი ქალიშვილი გოგონები, რომლებსაც ჩვილი ბავშვები ხელში უნდა ეჭიროთ და აკვნის რწევაში უნდა აღამებდნენ და ათენებდნენ, მობრძანებულ და ჩამობრძანებულ ტურისტებს „პოდნოსებით“ და მოკლე კაბებით უმასპინძლდებიან... იქ შესვლა როგორ რეჟიმშია?!, - მოგახსენებთ! საღამოს „გენოფონდი“, - ქალიშვილი გოგონებისთვისაა „მწვანე ანთებული“, ბიჭებს კი არ უშვებენ... ჩემმა თანამებრძოლმა, ომის ვეტერანმა ჩოხოსნებმა ერთი პერიოდი მოილხინეს იქ, ახალ გახსნილ რესტორანში, - „ახალგაზრდა ქსოვრელების“ მუსიკის თანხლებით... ჩვენი სასიქადულო მეფეთა-მეფე დავით აღმაშენებელი მტრებს „შალახოთი“ კი არ ხვდებოდა, - „საბრძოლო ჰიმნით“. თუ დეტალურად შევაფასებთ მეტად მნიშვნელოვან ომს საქართველოს ისტორიაში ერთხელ კიდევ დავეყრდნოთ უცხო ქვეყნის მემატიანეებს: სომეხი ისტორიკოსი მათე ურჰაელის გადმოცემით, მაჰმადიანთა ლიდერების ლაშქრის რიცხვი 560 000 აღწევდა. ანტიოქის სამთავროს კანცლერი გოტიე ასახელებს

6000-ს. არაბი ისტორიკოსის იბნ ალ-ასირის თხზულების არაბულ დედანში მხოლოდ „ათასი“ წერია, მაგრამ რამდენი ათასი აღნიშნული არ არის. ზოგი მკვლევარი ამ ნაკლულ ტექსტს 30 000 აღადგენს, ზოგი 300 000-ით.

სომეხ ისტორიკოსს სემბატ სპარაპეტის მონაცემებით, ამირა ილღაზს საქართველოში 150 ათასიანი ჯარით ულაშქრია, ხოლო ივანე ჯავახიშვილის ვარაუდით, მტრის ჯარი 300 000 მეომრისგან უნდა ყოფილიყო შემდგარი, ანუ წყაროების მიხედვით ირკვევა, რომ კოალიციური ლაშქრის რაოდენობა, სულ მცირე 30 000 იყო, მაქსიმუმი კი - შეიძლება ნახევარ მილიონზე მეტიც. ამ ორ რიცხვს შორის იმდენი დიდი სხვაობაა, რომ რეალური რაოდენობის დადგენა შეუძლებელი ხდება.

რამდენი იყო ჩვენი ჯარი და რამდენი მოწინააღმდეგის, სადაო საკითხია: შეიძლება ათჯერ და ოთხჯერ მეტი არ იყვნენ, მაგრამ შუა საუკუნეებში 10-15 ათასით მეტიც რომ ყოფილიყო, ესეც დიდ უპირატესობად მიიჩნეოდა.

ქართული ჯარი დაახლოებით 50-55 ათასი იქნებოდა, რაც შეეხება მუსლიმთა კოალიციურ ლაშქარს, ჩემი აზრით მაქსიმუმი რაც შეეძლო ილღაზ მაშინ გამოეყვანა 70-75 ათასი ადამიანი. აღსანიშნავია ასევე, რომ თურქ-სელჩუკების „მხედართმთავარ“ ილღაზს მოგებული ჰქონდა 300 ბრძოლა, 301-ე წააგო, ამ ბრძოლაში მიღებული ჭრილობებით მალევე გარდაიცვალა.

დავითს, როგორც სამხედრო სტრატეგის გენიალურობა ის იყო, რომ ილღაზი, საკმაოდ გამოცდილი სარდალი, რომელსაც მანამდე ჯვაროსნები ჰყავდა დამარცხებული, აიძულა ბრძოლა მიეღო იქ, სადაც ის თავის რიცხობრივ უპირატესობას ვერ გამოიყენებდა, - ამბობს ისტორიკოსი.

რა მოხდა „დიდგორის ბრძოლის“ შემდეგ?, აღმაშენებელმა შემოიერთა თბილისი, რომელიც 400 წლის განმავლობაში მტრის ხელში იყო. მისი გათავისუფლების მერე დავითმა დედაქალაქი ქუთაისიდან თბილისში გადმოიტანა.

მაგრამ ამით არ შემოიფარგლება „დიდგორის ბრძოლის“ მნიშვნელობა, დიდგორით ყველასათვის ცხადი გახდა, რომ აღმოსავლეთში ახალი, მძლავრი ქრისტიანული სახელმწიფო წარმოიქმნა. იერუსალიმის სამეფოს, ანტიოქის სამეფოს უკვე უჭირდა თურქ-სელჩუკებისათვის წინააღმდეგობის გაწევა, ამიტომ ქართველების გამარჯვება მათაც საერთო ქრისტიანულ გამარჯვებად აღიქვეს.

იმ პერიოდში მუსულმანებს ფაქტობრივად ორი ფრონტი ჰქონდათ, ერთი დასავლეთით - ჯვაროსნებთან და მეორე კავკასიაში. თუ სამხრეთ კავკასიაში ქართველები დამარცხდებოდნენ, ზურგს გაიმაგრებდნენ და ჯვაროსნული სახელმწიფოების წინააღმდეგ ბრძოლას გააგრძელებდნენ. მაგრამ ქართველების გამარჯვებით მათ ზურგში ისევ დარჩათ პრობლემები.

მ ი ხ ე ი ლ  ბ ა ხ ტ ა ძ ე: სამხედრო თუ პოლიტიკური თვალსაზრისით, არანაკლებ წარმატებული იყო შამქორის, ბასიანის ბრძოლები, ასევე ლაშქრობა ჩრდილოეთ ირანში, მაგრამ „დიდგორი“ ბოლომდე გამარჯვების სიმბოლოდ დარჩა, რადგან სწორედ დიდგორით დაასრულა დავითმა იმ ქვეყნის მშენებლობა, რომლის გარეშეც შემდეგ აღმოსავლეთში არაფერი არ კეთდებოდა...

*დონი ფანჩულიძე*

# <<ხელქვეითების დამფასებელი>>
# დავით ანდრიას - ძე ლოლაძე
## (9/IX – 1941წ. 9/01 – 2014 წ.)



დავით ლოლაძე

ძალოვანი სისტემის ვეტერანთა კავშირის რიგებს გამოაკლდა უმწიკვლო ადამიანი, სანიმუშო მეუღლე, მამა, პაპა, მეგობარი, შრომის, ომის, შეიარაღებული ძალების და ძალოვანი სტრუქტურების თადარიგის პოლიციის პოლკოვნიკი, - დავით ანდრეას - ძე ლოლაძე.

როდესაც მოსაგონებელ და გამოსამშვიდობებელი წერილის ტექსტს ვადგენდი, ვფიქრობდი რომელი დადებითი კუთხით მოგფერებოდით მე და ჩემი კოლეგები ყოფილო ჩვენო ხელმძღვანელო და უფროსო მეგობარო, როგორც შინაურულად მოგმართავდით, - „ანდრეევიჩ“-ს, თქვენი ცხოვრება ხომ უმწიკვლოდ ატარეთ მილიციიდან პოლიციიდან დაწყებული, სიცოცხლის ბოლომდე. თქვენი უანგარო მოღვაწეობა აისახებოდა თქვენს ეკონომიურ და მატერიალურ მდგომარეობაზე. თქვენ ხომ წინა პლანზე სინდისს და პატიოსნებას აყენებდით?, რომელიც სამაგალითოდ აისახებოდა ახალბედა თანამშრომლებზე. როგორ გეხალისებოდა და გულშემატკივრობდით ჩვენს სწავლა - განათლებას. ჭირში და ლხინში რამოდენიმე კილომეტრის გავლით, თანაგრძნობას გამოხატავდით, მაგალითს აძლევდით, რათა გაგეგრძელებინათ ქართული ტრადიციები. ნათქვამია იმ ქვეყნით წასულ პიროვნებაზე ან კარგი უნდა სთქვა ან საერთოდ აუგად არ მოიხსენიოო. „ანდრეევიჩ“, თქვენ ყოველთვის სიკეთის მთესველი იყავით როგორც სამომსახურეო ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხთან, ასევე ოჯახის წევრებთან და ახლობლებთან. დიდი ტრამვა განიცადეთ ქალიშვილის მეუღლის უდროოდ გარდაცვალების გამო, მაგრამ თქვენს მწუხარებას არავის



მარცხ: ნოდარ ციხელაშვილი, თემურაზ ჩიკვილაძე, დონი ფანჩულიძე, დავით ლოლაძე - მილიციის უფროსის მოადგილე საგანგებო მდგომარეობისდროს ბოლნისის რ. 1988წ

აგრძნობინებდით. კახური სიდინჯის ადამიანურმა გენმა და ძირძველ ავლაბარში დაბადებულსა და გაზრდილს ჩამოგიყალიბდათ ნამდვილი თბილისელი ინტელიგენტის იერსახე. ახალბედა თანამშრომლების აღმზრდელი და დამრიგებელი იყავით „ანდრეევიჩ“, ქართული სუფრის ტრადიციების გამტარებელი და ამღორძინებელი. „9 აპრილის“ მოვლენებთან დაკავშირებით რამოდენიმე აქტივისტს და სტუდენტ - ახალგაზრდობას „კალიდორი“ გაუხსენით და მთავრობის ეზოში თავშესაფარი მიეცით. ქვემო ქართლში ეროვნული შუღლის გამწვავების დროს, „სამაჩაბლოში“ და „აფხაზეთში“, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის საბრძოლო ოპერაციებში მონაწილე გარნიზონის პირად შემდგენლობასა და თქვენს ქვეშევრდომების წინაშე მაგალითის მიმცემი იყავით. ჩვენო ხელმძღვანელო და უფროსო მეგობარო, ვალმოხდილი დაგვტოვეთ, მიუხედავად ზამთრიანი დღეებისა, მოწმენდილ ცამ და მზიანმა ამინდმა გაგაცილად, ცხრა რიცხვში დაბადებულმა, ცხრა იანვარს მიგაბარეს ქართულ - საქართველოს მიწას, დაე ეს მიწა მსუბუქი ყოფილიყვეს მარადისობაში გადასული თქვენი სულისათვის.

„ანდრეევიჩ!“, - მე და ჩემი კოლეგები გემშვიდობებით იმ ლექსით, რომელსაც ერთეულები იმსახურებენ:

„დრონი არ უნდა გალიო უქმად,
უნდა იკმარო, ის რაც შენია,
ალალი, თორემ არამი ლუკმა
ქვეყნად არავის არ შერჩენია“.

*გაზეთ „თაობიდან-თაობამდე“*
*ომის, შეიარაღებული ძალების და ძალოვანი სტრუქტურების ვეტერანთა კავშირის სახელით, თადარიგში პოლიციის ვიცე პოლკოვნიკი - დონი ფანჩულიძე, 10 თებერვალი 2014 წ.*



გარდაიცვალა უმწიკვლო ადამიანი, სანიმუშო მეუღლე, მამა, პაპა, თადარიგში პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი

**დავით ანდროს ძე ლოლაძე**

დაკრძალვა 9 იანვარს, 14 სთ-ზე.

გამოსვენება ვაკის სამების ეკლესიიდან, ილ. ჭავჭავაძის გამზირი.

შრომის, ომის, შეიარაღებული ძალების და ძალოვანი სტრუქტურების ვეტერანთა სახელით დონი ფანჩულიძე

## დავით ანდრიას ძე ლოლაძე
## (9.IX.1941წ — 9.I-2014წ)



ძალოვანი სისტემის ვეტერანთა კავშირის რიგებს გამოაკლდა უმწიკვლო ადამიანი, სანიმუშო მეუღლე, მამა, პაპა, მეგობარი, შრომის, ომის, შეიარაღებული ძალების და ძალოვანი სტრუქტურების თადარიგის პოლიციის პოლკოვნიკი – დავით ანდრიას ძე ლოლაძე

როდესაც მოსაგონებელი და გამოსამშვიდობებელი წერილის ტექსტს ვადგენდი, ვფიქრობდი, რომელი დადებითი კუთხით მოგფერებოდით მე და ჩემი კოლეგები ყოფილო ჩვენო ხელმძღვანელო და უფროსო მეგობარო, როგორც შინაურულად მოგმართავდით „ანდრეევიჩ". თქვენი ცხოვრება ხომ უმწიკვლოდ ატარეთ მილიციიდან და პოლიციიდან დაწყებული, სიცოცხლის ბოლომდე. თქვენი უანგარო მოღვაწეობა აისახებოდა თქვენს ეკონომიურ და მატერიალურ მდგომარეობაზე. თქვენ ხომ წინა პლანზე სინდისს და პატიოსნებას აყენებდით? რომელიც სამაგალითოდ აისახებოდა ახალბედა თანამშრომლებზე. როგორ გეხალისებოდა და გულშემატკივრობდი ჩვენს სწავლა-განათლებას. ქარში და ლხინში რამდენიმე კილომეტრის გავლით, თანაგრძნობას გამოხატავდით, მაგალითს აძლევდით, რათა გაგვგრძელებინათ ქართული ტრადიციები. ნათქვამია იმქვეყნად წასულ პიროვნებაზე ან კარგი უნდა სთქვა, ან საერთოდ ავად არ უნდა მოიხსენიო. „ანდრეევიჩ", თქვენ ყოველთვის სიკეთის მთესველი იყავით, როგორც სამომსახურეო ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხთან, ასევე ოჯახის წევრებთან და ახლობლებთან. დიდი ტრავმა განიცადეთ, როდესაც ახალგაზრდა, ჯანსაღი, სიცოცხლით სავსე, პერსპექტიული სიძე გარდაგეცვალათ, მაგრამ თქვენს მწუხარებას არავის აგრძნობინებდით. კაცური სიდინჯის ადამიანურმა გენმა და ძირძველ აკლდამაში დაბადებულისა და გაზრდილის ჩამოგიყალიბდათ ნამდვილი თბილისელი ინტელიგენტის იერსახე. ახალბედა თანამშრომლების აღმზრდელი და დამრიგებელი იყავით ანდრეევიჩ, ქართული სუფრის ტრადიციების გამტარებელი და ამღორძინებელი. 9 აპრილის მოვლენებთან დაკავშირებით რამდენიმე აქტივისტს და სტუდენტ-ახალგაზრდობას კორიდორი გაუხსენით და მთავრობის ეზოში თავშესაფარი მიეცით. ქვემო ქართლში ეროვნული მოძრაობის გამწვავების დროს სამაჩაბლოში და აფხაზეთში, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის საბრძოლო ოპერაციებში მონაწილე გარნიზონის პირად შემადგენლობასა და თქვენი ქვემდებარეებისთვის მაგალითის მიმცემი იყავით. ჩვენო ხელმძღვანელო და უფროსო მეგობარო, ვალმოხდილი დაგტოვეთ, მიუხედავად ზამთრის დღეებისა, მოწმენდილმა ცამ და მზიანმა ამინდმა გაგაცილათ, ცხრა რიცხვში დაბადებული ცხრა იანვარს მიგაბარეთ ქართულ მიწას. დაე, ეს მიწა მსუბუქი ყოფილიყოს მარადისობაში გადასული თქვენი სულისათვის.

ანდრეევიჩ, – მე და ჩემი კოლეგები გემშვიდობებით იმ ლექსით, რომელსაც ეროვნულები იმახსოვრებენ: „დრონი არ უნდა გალიოთ უქმად, / უნდა იქმარო, ის რაც შენია, / ალალი, თორემ არამი ლუკმა/ ქვეყნად არავის არ შერჩენია".

*ომის, შეიარაღებული ძალების და ძალოვანი სტრუქტურების ვეტერანთა კავშირის სახელით, თადარიგში პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი დონი ფანჩულიძე 10 თებერვალი, 2014 წელი*

# ირაკლი ჯიქურაშვილი



ირაკლი ჯიქურაშვილი

საქართველოს, თბილისს, გვეტაძეებისა, ჯიქურაშვილების და ჩხაიძეების საგვარეულოს გამოაკლდა ერთ-ერთი სანიმუშო ქალაქელი, - ირაკლი ჯიქურაშვილი, რომელმაც თავისი შეგნებული ცხოვრება მიუძღვნა სამშობლოს აღმშენებლობას, წლების მანძილზე მოღვაწე-ობდა სხვადასხვა მაღალ თანამდებობებზე, რომლის უშუალო ხელმძღვანელობით მრავალ პერსპექტიულ დარგს ჩაეყარა საფუძველი.

ქართულ სუფრასთან, თანამედროვე მუსიკისა და სიმღერების შემსრულებელი, მოკრძალებული, თავმდაბალი, ყურადღებიანი, ახლობლებისა და სანათესაოს მოსიყვარულე.

(დ.ფ.) რა ბედნიერი ვიყავით მთელი სანათესაო ეს ფოტო თამაზ ჩხაიძის დაბადების დღესთან დაკავშირებით რომ გადავიღეთ, ყველა უკლებლივ ვესწრებოდით...

ვერაგულმა, თავს მოხვეულმა ავადმყოფობამ, „კორონა ვირუსმა“ სიცოცხლე 69 წლის ასაკში მოუსწრაფა. დავკარგეთ სანიმუშო ადამიანი, მეურნე, მეუღლე, ბაბუა და ნამდვილი თბილისელი ადამიანი!

ბატონო ირაკლი, სათანადო ქართული წესით ვერ დაგიტირეთ.... მარადისობაში გადაბრძანებულს სანთელ-საკმეველი არ მოგკლებოდეთ.

- „აქაც კარგი კაცი იყავ,
იქ ნათელი დაგდგომოდეს“

დონი ფანჩულიძე

# <<გახსენება>>
# ირაკლი ჯიქურაშვილი

„კოვიდმა“ კიდევ ერთი მეგობრის სიცოცხლე წაგვართვა, ირაკლი ჯიქურაშვილი გარდაიცვალა. ჩემი თაობის ხაშურელებისათვის ირაკლი იყო ერთგვარი სიმბოლო იმისა, თუ როგორ უნდა ყოფილიყო იმ დროს ახალგაზრდობა. გარეგნულად უზადოს განგებამ დიდი ნიჭიერებაც დააყოლა, რამაც ფრთები კიდევ უფრო მეტად გაშალა დიდებული მშობლების გარემოცვაში, ბატონი გიორგი და ქალბატონი თინა ჩვენი მშობლების თაობის გამორჩეული პედაგოგები ბრძანდებოდნენ და ორი ერთმანეთზე კარგი ვაჟი გაუზარდეს ქვეყანას. იყო სამოცდაათიანი - ოთხმოციანი წლები და მიუხედავად იგი იმდროინდელი იდეოლოგიისა იყო ქართული სულიერებისა და პატრიოტიზმის აღზევების წლები ირაკლის უკვე გამოევლო დიდი სკოლა, როცა ხაშურში რაიკომის მდივნად დაინიშნა. სრულიად ახალგაზრდა იყო, გამორჩეულად ტანადი და ლამაზი, დინჯი და წინდახედული, აი ასეთი, ჯერ ქართველი რომ იყო და მერე მოდიოდა თანამდებობა და მოვალეობები, თუმცა, იმ მოვალეობასაც ჩინებურად უხამებდა  მშობლიური ქალაქისადმი ზრუნვას და მის აღორძინებას. სწორედ მის დროს აშენდა ხაშურში „ზემო სერის“ უნიკალური საბავშვო რკინიგზა, რომლის ბადალი თბილისის შემდეგ საქართველოში არ მოიძებნება, 90-იანმა წლებმა რომ აღგავა პირისაგან მიწისა.

ყველას გვახსოვს, რომ იმხანად საბჭოთა ეკრანები დაიპყრო ფილმმა „რაიკომის მდივანი“, მთავარ როლს თემურ ჩხეიძე თამაშობდა. იმაზე პატრიოტული ფილმი ძნელად მოგვეპოვება ქართულ კინემატოგრაფიაში. ჩვენთვის, ხაშურელებისათვის ირაკლი

სწორედ ამ ფილმის მთავარი პერსონაჟი იყო, თავისი მოღვაწეობითა და მიზანდასახულობით.

თანამდებობები არ კლებია, მაგრამ ამასთანავე, არც ადამიანობა, არასოდეს გადასულა  მასში უკანა პლანზე, ხაშურში, მშობლიურ სახლში ჩამოსული, ჩვენს უნახავად არ წავიდოდა, ამოვიდოდა მუზეუმში, დავხვდებოდით და ვსაუბრობდით ძირითადად ხაშურსა და ხაშურელებზე. ის ხომ ბოლომდე ხაშურელი იყო, ხაშურელების ერთგვარი სახე, ნატრობდა, მოხუცებულობაში მშობლიურ სახლს დაბრუნებოდა, ეს მშობლიური სახლი კი ისევ  ისეთი პატარა, დღემდე, როგორც მის ბავშვობაში მას სათავისოდ არასოდეს უზრუნვია. ვერ აუხდება ნატვრა ჩვენს მეგობარს, ვეღარ ჩამოვა ხაშურში, ისევე როგორც, ჩვენ ვერ დავესწრებით მის დაკრძალვას. აქედან, მისი მშობლიური ქალაქიდან ვუთანაგრძნობთ მის არაჩვეულებრივ მეუღლეს, შვილებს, შვილიშვილებს საუბედუროდ, ეს ჩვენი სამწუხარო რეალობაა, მაგრამ მინდა იმედი ვიქონიო, რომ ხაშური არასოდეს დაივიწყებს თვის საუკეთესო შვილს.

*მურადი მთვარეულიძე*
*8.XII – 20წ. ქ. ხაშური*

(დ.ფ.) - ბატონო: ირაკლი!, თითქმის ერთი წელი გავიდა იმ საშინელმა ე.წ. პამდემიამ, რაც თქვენი თავი დაგვაცილა, უძლური გამოდგა მედიცინაც იმ მტერთან, რომლებმაც თქვენი თავი წაგვართვა. რა ბედნიერი იყავი ალბათ ეს ფოტო ჩვენს ახლობლის დაბადების საიუბილეო დღეზე გადაგიღეთ, პირველი (ქვისლების) გაცნობა, თქვენი სიდედრის, დამსახურებული ექიმის მეგი ჩხაიძე - გვეტაძის ბინაში მოხდა, როგორ თავმომწონედ მიუჯექი ფორტეპიანოს და იმ მომენტში შესანიშნავი მოლხენა გამოგვივიდა... სიკვდილშიც ბედმა

გიღალატა ყველა შენმა ახლობელმა და მეგობარმა თავი ვერ მოიყარა, შეზღუდულ რეჟიმში, მარადისობაში ყველამ ვერ გაგაცილათ... სანთელ სარკმეველი არ მოგაკლოს თქვენმა მეუღლემ, შვილებმა, შვილიშვილებმა, ახლობლებმა, სანათესავომ.

*დონი ფანჩულიძე*

*8/XII-22021 წელი.*



ირაკლი ჯიქურაშვილი
ხაშურის რაიონის კომპარტიის
პირველი მდივანი
1980 წლის 9 მაისი



თემურ სახოკია

### <<ორივე ხელით ამპუტირებული, ყველა სახეობაში გამარჯვებული>>

## თეიმურაზ სახოკია
## (5/05-1971 (49) 20/04-2020 წწ.)

<<გმირებს არ ივიწყებენ>>

2021 წლის 20 აპრილი ერთი წელი გავიდა, - „სამაჩაბლოში“ და „აფხაზეთის“ ომების მონაწილის, ვახტანგ გორგასლის ორდენის კავალერის, ორივე ხელით ამპუტირებულ, 1-ლი ჯგუფის ინვალიდ, აფხაზეთის მეომართა შერიგების საზოგადოების წევრ, - თეიმურაზ სახოკიას გარდაცვალებიდან.

ძმაო, - თემურ! 2020 წლის აპრილის თვეში საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებით და განსაკუთრებულად დაწესებულ შეზღუდვებთან, თანამებრძოლეებმა პატივი ვერ გეცით, რასაც პირადად იმსახურებდი, დღეს, - ჩოხოსანი ომის ვეტერანები შევიკრიბეთ თქვენს საფლავზე, სადაც განისვენებენ, - 1991, 92, 93 წლებში დაღუპული მეომრები, რომლებიც იბრძოდნენ, - <<საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის>> მიწისათვის, რომელ მიწას მუქთად ურიგებენ ჩვენს ისტორიულ მტრებს...

ჩემო თანამებრძოლო, - „ჯიგარო ადამიანო“ - თემო! გამოცემულ წიგნში შევიტანე შენი ტრაგიკული ცხოვრებისეული ბიოგრაფია, რომელი ბიოგრაფიის მეორე გამოსაცემ წიგნშიც ავღნიშნავ...

იძინე მშვიდად, ილოცე იქედან, რათა გამწარებულმა შავ სამოსში შემოსილმა დედამ სანთელსარკმეველი არ მოგაკლოს და ის ცრემლი, რაც საქართველოსა და ქართველი ერის წინაშე იმსახურებთ.

თანამებრძოლები:

ზაირა მიქატაძე, მამუკა ჭანუყვაძე, გურამ დამენია, დონი ფანჩულიძე, ზაზა მირაქიშვილი

„საბურთალოს ძმათა სასაფლაო“ / 20/IV – 2021 წელი.




დედა - ლუბა სახოკია, შვილის საფლავზე



მარცხნიდან: გურამ ალავიძე - ავღანეთისა და სხვა ომების მონაწილეთა დახმარების საერთაშორისო ფონდის პრეზიდენტი; თეიმურაზ სახოკია - სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ომის მონაწილე, ვახტანგ გორგასლის ორდენის კავალერი, ორივე ხელის ამპუტირებული, I ჯგუფის ინვალიდი, აფხაზეთის მეომართა შერიგების საზოგადოების წევრი; დონი ფანჩულიძე - სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ომის მონაწილე, თადარიგში პოლიციის ვ/პოლკოვნიკი. გად. 26.05.2015წ. „თავისუფლების მოედანზე" საქართველოს დამოუკიდებლობის დღე.



მერაბ (ვირო) მინდიაშვილი

# მერაბი „ვირო“ მინდიაშვილი

**„სამაჩაბლო“ 1989 – 1991 წლის ომის გმირი მერაბ მინდიაშვილი - მეტსახელად, - „ვირო“. (14.01.1957 (34) 18.03.1991 წწ.)**

ქართველ ხალხს მრავალო საგმირო ამბავი მოუსმენია მერაბზე. იგი აქტიურად მონაწილეობდა რუსი და ოსი სამხედროების წინააღმდეგ გამართულ თავდაცვით ბრძოლებში. უბრალო ქემერტელი ბიჭი, შიშის თავზარს ცემდა ოსებს და სასტიკად უსწორდებოდა ყოველ უსამართლოებაზე მათ. მის მოსაკლავად დიდი ფულადი ჯილდო ჰქონდათ დაწესებული, მის სიკვდილის შემდეგ ფეირვერკებიც კი გაისროლეს სიხარულისაგან.

1991 წლის 18 მარტს ერედვის გზაზე, წვერიახოში, ოსებმა ჩასაფრება მოუწყვეს, რის შემდეგ ტყვედ აიყვანეს, ხეზე მიაბეს და ცოცხლად დაწვეს. ქართველი გმირი არ მოდრეკილა, ცეცხლმოკიდებული „შავლეგოს“ მღეროდა.

(დ.ფ.) ავტორისაგან: 1991 წლის 18 მარტს თბილისის მილიციის გარნიზონში გამოცხადდა განგაში, საბრძოლო ტექნიკით (რომელიც გამოყოფილი იყო თითო ერთეული ყველა დანაყოფში) და ავტომატებით გავეშურეთ „სამაჩაბლოში“ სოფელ მეღვრიკისში გადასასვლელთან რუსმა ე.წ. „სამშვიდობოებმა“ გზა გადაკეტეს, ჩვენი ჯგუფის ხელმძღვანელი ალექსანდრე „ალეკო“ ჟვანია უძლური გახდა გაგვერღვია რუსი ჯარისკაგების მიერ აღმართული დაბრკოლება...

## საქართველოში ქართველები არა კვდებიან...

*მერაბ მინდიაშვილს და მის მეგობრებს*

სამაჩაბლოში ენძელები გაფითრებულან
და ხეობიდან სისხლისფერი უბერავს ქარი...
სამაჩაბლოში, მაჩაბლების დარგულ მუხასთან,
ღონემიხდილი ღრიალებს ხარი.
სამაჩაბლოში მონასტრები გასხვისებულა
და იკორთიდან გაბზარული ჟღრიალებს ზარი:
სამაჩაბლოში ქართველები გახიზნებულან,
დაჟანგებულა დავითის ხმალი!
სამაჩაბლოში, მაჩაბლების დარგულ მუხასთან,
სიკვდილმისჯილის მწუხარებით ღრიალებს ღამე: -
სამაჩაბლოში ქართველები დანაცრებულან,
ჭია-მატლები უნგრევენ კარებს!
ო, საქართველოვ, მახვილია გზა გადარჩენის,
რისი სიმშვიდემ რისი ძმობა, რისი დუმილი?!
ვაზის ფესვიდან მოვრვლინეთ კაცობრიობას
და ვაზის ცრემლის დაგვყვა წუხილი.
ო, საქართველოვ მახვილია გზა სიყვარულის,
შემოიქსოვე უძლეველი ჯაჭვის პერანგი!
ო, საქართველოვ, აზობოქრდი, გადაქართველდი,
ჩამოიბერტყე კალთებიდან მტერი ვერაგი!
სამაჩაბლოში ენძელები გაფითრებულან,
გარინდებულან ქართველები საქართველოში...
საქართველოში ქართველები არა კვდებიან,
იბადებიან ქართველები საქართველოში!

*პოეტი: თ ი ნ ა თ ი ნ   მ ღ ვ დ ლ ი ა შ ვ ი ლ ი (1991 წ.)*

...1991 წლის 18 მარტს , რუსეთის ე.წ. „სამშვიდობო ნაწილებმა“ გზა გადაგვიკეტეს თბილისის მილიციის გარნიზონის თანამშრომლებს, არ გაგვატარეს, რათა მივსულიყავით შემთხვევის ადგილზე.




ოსმა სეპარატისტებმა, ერედვის გზაზე დააკავეს, მერაბ „ვირო" მინდიაშვილი, მიაბეს ხეზე და ისე დაწვეს.
ფოტოზე: თბილისის გარნიზონის მილიცია, „ბლოკირებულია" რუსი სამშვიდობოების მიერ.
დონი ფანჩულიძის ფოტოარქივიდან.

# იური გალდავა

(20/08-1944 (76) 27/09-2020 წწ.)



იური გალდავა

იური გალდავა დაიბადა 1950 წელს, შეიარაღებული ძალების ვეტერან და ინვალიდ ოფიცერთა კავშირის თავჯდომარე, შეიარაღებული ძალების სამედიცინო ნაწილის ვიცე პოლკოვნიკი, ჟურნალისტი, ექიმი, გამომგონებელი, სპორტსმენი - ეს იმ პროფესიათა არასრული ჩამონათვალია, რომელსაც იური გალდავა სიცოცხლეში ფლობდა. ღირსეული პატრიოტი ადამიანი 70 წლის ასაკში გარდაიცვალა, მისი გახსენება მეგობრებს ცრემლების გარეშე უჭირთ. საქართველოს სამხედრო - სამედიცინო აკადემიის, სამედიცინო სამსახურის გვარდიის პოლკოვნიკი. იური გალდავას თავდადებულს უწოდებს და იხსენებენ თუ როგორ გადაარჩინა ასეულობით ადამიანის სიცოცხლე აფხაზეთის ომში.

მრავალმხრივი ნიჭისა და უშრეტი ენერგიის მქონე ადამიანად მოიხსენიებს იური გალდავას ვეტერანთა დეპარტამენტის თანამშრომელი სოსო კობეშავიძე იმ პრეპარატზე გვესაუბრა, რომელიც იური გალდავამ ომში სამედიცინო სამსახურის გაწევის დროს მიღებული გამოცდილებით შექმნა. გვერდითი მოვლენების არ მქონე და მძლავრი ანტისეპტიკურ პრეპარატებს ისრაელში დააკვირდნენ, რის შემდეგაც დადგინდა, რომ მის მიერ გამოგონილი წამლები ონკოლოგიის დაავადებებსაც თრგუნავს.

მეცნიერსა და დიდ შემოქმედს უწოდებს ვიცე პოლკოვნიკს „პატრიოტთა ალიანსი“ სამგორის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი. გურამ ნიკოლეიშვილის განცხადებით, პატრიოტული სულისკვეთებით, განმსჭვალული იური გალდავა. ქალიშვილთან

მარიამ გალდავასთან ერთად აქტიურად ეწეოდა სამხედრო სამსახურის პოპულარიზაციას. გარდა ამისა, მისი თაოსნობით შეიქმნა ქართული ხალხური სიმღერის ანსამბლი „მშვიდობა“ სადაც ყოფილი სამხედრო მოსამსახურეები მღეროდნენ.

(დ.ფ.) ავტორისგან: 2019 წლის 27 სექტემბერია, დილის 10 საათზე შევიკრიბეთ „აფხაზეთის“ ომის მონაწილეები გმირთა მოედანზე „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და ერთიანობისათვის დაღუპული გმირების მემორიალთან, ბატონ იური გალდავას ვთხოვე მის ანსამბლ - „მშვიდობის“ წევრებთან ფოტო გადამეღო, თანაც ვთქვი, შემდეგ გამოსაცემ წიგნზე ვმუშაობ, მინდა ისტორიამ შეინახოს თქვენთან გადაღებული ფოტოთქო.

ბატონო - იური! ვერ წარმოვიდგენდი თუ აღნიშნული ფოტო მოხვდებოდა იმ წიგნში, რომელიც მივუძღვენი იმ სამარადისოზაში გადაზრძანებულ ადამიანებს, რომლებიც სამშობლოს წინაშე დიდებას იმსახურებდნენ (დ.ფ.)

დონი ფანჩულიძე


მამა-შვილი
მარიამ და იური გალდავები

## იური გალდავას მარადიული ხსოვნა!

*ძვირფასო მამა!*

*(იური გალდავას)*

ბავშვობიდან მე მახსოვს შენი ძლიერი და ამავე დროს მზრუნველი ხელი, რომლებიც შისისა და აღფრთოვანებისაგან აყვირებულს ამაგდებდი ხოლმე ჰაერში... მე ყოველთვის ვიცოდი, რომ შენ დამიჭერდი.

შენ იყავი ყველაზე მომთმენი და ყურადღებიანი ყველა ჩემს მასწავლებელს შორის. შენ პირველმა მასწავლე ამ სამყაროს შეცნობა და შეყვარება. შენ ყოველთის იცოდი როგორ უნდა გეზრუნა ჩემზე. გახსოვს ჩემი პირველი სექტემბერი? შენ იყავი ისეთი ამაყი და საყვარლად სასაცილო, თითქოს შენ მიდიოდი პირველ კლასში და არა მე. შენ ყოველთვის გიხაროდა ჩემი წარმატებები. აკეთებდი ყველაფერს იმისათვის, რომ მე შენით მეამაყა და მე ვამაყობ შენით.

შენ მე მასწავლე არა მხოლოდ ჩემი, არამედ სხვების ცხოვრების დაფასებაც და პატივისცემაც. შენი გაკვეთილები სამუდამოდ დარჩება ჩემს მეხსიერებაში. მე ყველაფერი მახსოვს მამა. ჩემი მამა, ჩემი მამიკო... შენ ყოველთვის გესმოდა ჩემი, შენ ყოველთვის მხარს მიჭერდი რაც არ უნდა მომხდარიყო, შენ იყავი ჩემი ყველაზე საიმედო დასაყრდენი, ჩემი მფარველი ანგელოზი, ჩემი ციხესიმაგრე...

თითოეულ ადამიანს სჭირდება მამა. მამა და არა სიტყვა და იცი, თუ მე შემეკითებიან, ვინ არის საუკეთესო მამა მსოფლიოში, მე ვუპასუხებ, რომ შენ ხარ, საუკეთესო, ჩემი მამა, ჩემი მამიკო...

მიყვარხარ ძალიან და მენატრები...

*მარიამ გალდავა*




მარცხნიდან: ანსამბლ „მშვიდობა“-ს ხელმძღვანელი იური გალდავა გადაღებულია გმირთა მოედანზე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულ მეომართა მემორიალთან

## ეძღვნება თამთა ლიპარტელიანის ხსოვნას
## „სწორება ევროპისაკენ !!!...“
## (7/01-1988 (23) 22/07-2011 წწ.)


თამთა ლიპარტელიანი

2011 წლის 22 ივლისს 32 წლის ბრეივიკმა ოსლოს სამთავრობო კვარტალში ააფეთქა ბომბი, რომელიც ავტომობილში იყო დამონტაჟებული და რადიომოწყობილობით იმართებოდა. დაიღუპა 8 კაცი, 92 დაშავდა. აფეთქებიდან საათნახევარში კუნძულ უტოიაზე პოლიციის ფორმაში გადაცმულმა, შეიჭრა და 69 კაცი გამოასალმა სიცოცხლეს. დახვრეტის ან სამუდამო პატიმრობის სანაცვლოდ 21 წლით პატიმრობა მიუსაჯეს. გავიდა თითქმის ხუთი წელი, ალბათ ძალიან მალე მისი საქმე გადაისინჯება და სასჯელი მინიმუმამდე შეუმცირდება. ბრეივიკი მუდმივად, პირობების გაუმჯობესებას მოითხოვს. ის ზევრისთვის შესაშურ ფუფუნებაში ცხოვრობს. ამჟამად ციხეში იხდის სასჯელს. საკანი სამი აპარტამენტისაგან შედგება; საძინებელი, კაბინეტი - სადაც მისთვის ხელმისაწვდომია ტელევიზორი, ინტერნეტი, წიგნები, ტრენაჟორებით აღჭურვილი სავარჯიშო ოთახი. ამასთან ერთად პერიოდულად საკვებზე პრეტენზიებს გამოთქვამს, ყავა ცხელი მოაქვთ (გაცივებას ან შეგრილებას არ ელოდება), კარაქი ცხიმიანიაო, ხედებზე და პანორამაზე და ინტერნეტ სიჩქარეზე...

პატიმრობის პერიოდში ჩააბარებინეს ოსლოს უნივერსიტეტში პოლიტოლოგიის (დიპლომატიურ) ფალულტეტზე და უკვე დაამთავრა. ხოლო ჩვენი ქართველი, ბრწყინვალე სტუდენტი თამთა ლიპარტელიანი 77-ე დახვრეტილთა სიობრივ მონაცემებს მიამატა...

(დ.ფ.) ...შესაძლებელია სულ მალე დიპლომატიური მისიით ვიხილოთ საქართველოში.

დონი ფანჩულიძე.

## „სწორება ევროპისაკენ!!!“ "უცხოეთის ამბები"



*თამთა ლიპარტელიანი*

2011 წლის 22 ივლისს 32 წლის ბრეივიკმა ოსლოს სამთავრობო კვარტალში ააფეთქა ბომბი, რომელიც ავტომობილში იყო დამონტაჟებული და რადიომოწყობილობით იმართებოდა. დაიღუპა 8 კაცი, 92 დაშავდა. აფეთქებიდან საათნახევარშიკუნძულ უტოიაზე პოლიციის ფორმაში გადაცმულმა, შეიჭრა და 69 კაცი გამოასალმა სიცოცხლეს. დახვრეტის ან მუდმივი პატიმრობის სანაცვლოდ 21 წლით პატიმრობა მიუსაჯეს. გავიდა თითქმის ხუთი წელი, ალბათ ძალიან მალე მისი საქმე გადაისინჯება და სასჯელი მინიმუმამდე შეუმცირდება. ბრეივიკი მუდმივად, პირობების გაუმჯობესებას მოითხოვს. ის ზევრისთვის შესაშურ ფუფუნებაში ცხოვრობს. ამჟამად შიენის ციხეში იხდის სასჯელს. საკანი სამი აპარტამენტისგან შედგება, საძინებელი, კაბინეტი - სადაც მისთვის ხელმისაწვდომია ტელევიზორი, ინტერნეტი, წიგნები, ტრენაჟორებით აღჭურვილი სავარჯიშო ოთახი. ამასთან ერთად პერიოდულად საკვებზე პრეტენზიებს გამოთქვამს, ყავა ცხელი მოაქვთო (გაციებას ან შეგრილებას არ ელოდება), კარაქი ცხიმიანიაო, ხედებზე და პანორამაზე და ინტერნეტსიჩქარეზე პრეტენზიებს გამოთქვამს... პატიმრობის პერიოდში ჩააბარებინეს ოსლოს



*ბრეივიკი*

უნივერსიტეტში პოლიტოლოგიის (დიპლომატიურ) ფაკულტეტზე და უკვე დაამთავრა. ხოლო ჩვენი ქართველი, ბრწყინვალე პერსპექტიული სტუდენტი თამთა ლიპარტელიანი 77-ე დახვრეტილთა სიობრივ მონაცემებს მიამატა...

დონი ფანჩულიძე!!!



ავტორისაგან: (დ.ფ.) მეგობრებო, სანამ აღნიშნულ წიგნს გამოვცემდი )1/01-2022 წ.) მისი ადვოკატი ამზადებს მასალებს, რათა „ევროპელების სტრელოკმა“ ციხე დროულად დატოვოს...

<<სამშობლოს გულშემატკივარი>>

**1930 წლის 16 ივნისს, ოტია იოსელიანი დაიბადა, როგორც თავად ყვებოდა, ხის სახლის კედელზე ნახა მამის მიერ ამოტვიფრული წარწერა „დაიბადა ბიჭი!“**

## ოტია იოსელიანი

**(16/07-1930 (81) 14/07-2011 წწ.)**



ოტია იოსელიანი

...მზეს საქმესთან უნდა დახვდე! საქმემდე თუ მზემ მიგასწრო, ვეღარაფერს გააკეთებ და ესეიგი დრო დაკარგე. $10^{00}$ საათზე მწვანე ჩაის ვსვამ. დანაყრებული კაცის გაკეთებული საქმე არ არსებობს! ასე რომ იყოს, მაშინ ლუარსაბს უნდა დაეწერა „ვეფხისტყაოსანი“.

ყველაფერს მშივრები აშენებდნენ. შაქარს არ ვხმარობ, აკრძალული მაქვს, რადგან თეთრი სიკვდილია. თაფლს ვიღებ, ოღონდ ნამდვილს. ფუტკარი ჩვენ გვყავს, ერთი კოვზი თაფლი და ერთი ჭიქა ჩაი კაცს მთელი დღე გეყოფა. $10^{00}$ საათზე ჩაის ვსვამ და $4^{00}$ საათამდე ვმუშობ. საქმესთან მისვლა ძნელია, თორემ მერე თვითონ წაგიღებს იგი. დილაობით თავს ვატყუებ - გავალ და ორი მეტრას დავბარავ - მეთქი და ბოლოს ათ მეტრზე ავდივარ, რადგან იგი უკან აღარ მიშვებს. ეს მხოლოდ ჩემი ჩვევა კი არაა, ყველა ქართველ კაცს ჰქონდა. პუტინია თუ რასპუტინი, ვეთანხმები, რომ ქართველები გამოყაროს აქეთ! სახლში დაეტიე და შენს გაჭირვებას შენვე მოუარე, კი არ გამოკეტო სახლის კარი! რომ მიადექი ვინცხას სამათხოვროდ. ჩამოიარეთ სოფლებში მაგ ფოტოაპარატით და გადაიღეთ ის ცარიელი სახლები, ბნელ ფანჯრებიდან რომ სიკვდილი იხედება. უნდა შექმნა და გექნება! წადი და ითევზავე, ხე დარგე... ფულიც რომ გქონდეს, იფიქრე




წყალტუბოს ოტია იოსელიანის სახელობის N1
საჯარო სკოლის დირექტორი ფაქიზო-ფატი ფანჩულიძე

ილიასავით - დღეს მე ვის რა ვარგო. „ბედნიერი ერი“ დიდი ასოებით უნდა დავბეჭდოთ და ყველა სახლის კარზე გავაკრათ. მე მაქვს ილიაზე ლექსი, სადაც მიწერია, შენ დროს ერი მართლა ბედნიერი იყო, დღეს უნდა ნახო, რა დღეში ვართ მეთქი. ძეგლებს კი არ ვუდგამთ გამოჩენილ ადამიანებს, დადგმულს ვიპარავთ, ვყიდით და მერე იმით რესტორანში ვქეიფობთ. იმიტომ რომ გაყიდო, ტრაქტორი იყიდო და მოხნა, კიდევ ხო, მაგრამ... თბილისში ერთ ღამეს რაც რესტორანში იხარჯება, მთელ ხელოვნებას შექმნის. მეორე ღამისასაც თუ დაუმატებ მეცნიერებას. მინდა, ერთი ლუარსაბის და მეორე დარეჯანის ორდენი ჩამოვაყალიბო. მერე ნახეთ როგორი ორდენოსნები გვეყოლება! ჩაი მაინც მოიყვანეთ იმდენი, რომ სხვა ქვეყნიდან არ ვიყიდოთ! კაცი არ იხედება სოფლის მეურნეობისაკენ. იმ ადგილებზე აღარც ჩაია, აღარც ყანა. ვუცდით, შავ პურს ვინ გვიწყალობებს...

ოტია იოსელიანი

## რატომ უთხრა უარი ოტია იოსელიანმა შევარდნაძეს ღირსების ორდენზე

*ია აბულაშვილი*

„ამ მდუღარეგადასხმულ ჩემს ბიოგრაფიაში ვერც ერთი ნათელი დღე ვერ გამოვძებნე, რაც არ იყო, რას გამოძებნი. ყურმოკრული მაქვს, თითქოს ჰემინგუეის უთქვამს - „მწერლის აკადემია უბედური ბავშვობაა“ ჩინებურად მაქვს დამთავრებული ეს აკადემია“ - უთქვამს ერთხელ ოტია იოსელიანს.

მართალია სამხატვრო აკადემია ვერ დაამთავრა და მისაღებ გამოცდაზე ქართულ ლიტერატურაში ჩაიჭრა, მაგრამ სოფელში დაბრუნებულს, სხვისთვის კი არა, საკუთარი თავისთვის რომ

დაემტკიცებინა, ქართული სხვაზე ნაკლებად არც მან იცოდა, მოთხრობების წერა დაიწყო.

მისი ნაწერების პირველ შემფასებელს კი უთქვამთ „ძალიან რომ მოინდომოს, საზავშვო მწერლად იქნებ გამოდგესო“ მაგრამ მოხდა ის, რომ ოტია იოსელიანის სამწერლო ასპარეზზე გამოჩენას დიდი გამოხმაურება მოჰყვა, ნოველას - ნოველა, რომანს - რომანი, აღიარებას აღიარება, სულ მალე ამ ყველაფერს დაემატა დრამატურგია და სცენარისტი ოტია იოსელიანი.

**არ გეწყინოს, მარა უარი უნდა გაკადრო მაგ ორდენზე, როდის იყო ჟეტონებს და ჩინ - ტემლაკებს აგროვებდა ოტია იოსელიანი**

მას სიცოცხლის ბოლომდე არ დაუტოვებია თავისი მშობლიური კუთხე იმერეთი. ცხოვრობდა თავისივე ხელით აგებულ ლამაზ ოდა სახლში, სადაც იმართებოდა ლიტერატურული საღამოები და მისი ხელითვე გაკეთებულ ბუხართან თავს იყრიდნენ სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული მწერლები და ქვეყნის ჭირ-ვარამზე საუბრობდნენ.

ცნობისათვის, დღეს ოტია იოსელიანის მშობლიურ კუთხეში გახსნილია მისი სახელობის საკვირაო სკოლა, რომლის ხელმძღვანელიც გახლავთ მწერლის ვაჟი დაჩი იოსელიანი. როგორც მან „რეზონანს“ განუცხადა, სკოლაში ტარდება მეცადინეობები მხატვრულ კითხვასა და თეატრალურ ხელოვნებაში. ასწავლიან ლიტერატურის ისტორიას, მხარეთმცოდნეობას. კვირაში ერთხელ მოსწავლეებს საშუალება აქვთ ნახონ ფილმები. დაჩი იოსელიანის თქმით, სკოლას დიდ დახმარებას უწევს კულტურის სამინისტრო და მისი მესვეურები.

„დაკარგულ სამოთხეში“ რომ იმერელი აზნაურის კონჭიალა ჭიშკარია, ისეთი ხის ჭიშკარი აქვს ოტია იოსელიანს. სახლი დარეჯანის სასახლის მსგავსი, მოხვეულა აივნიანი შენობა ეზოს სიღრმეში დგას“, -

ასე იხსენებს მწერალი რეზო მიშველაძე „რეზონანსთან“ ოტია იოსელიანის ოდას იმერეთში და დიდ მწერალთან გატარებულ ერთ საღამოს.

რეზო მიშველაძე: კიბის თავზე უშველებელი რუხნაცრისფერი ნაგაზი გადმოდგა, ერთხანს მიყურა, ბოლო დაძახებაზე აივნის კარი გაიღო, წელში შესაშურად გამართული სვანურქუდიანი მასპინძელი გამოვიდა, განუყრელი მუნდშტუკით ხელში, ჭიშკრისკენ არ გამოქცეულა.

ოტია იოსელიანი: რომელი ხარ?

რეზო ვარ მიშველაძე.

ო.ი. მერე რას უყურებ მაქანა, ვერ ამოხვალ ზეით.

რ.ე. ძაღლი? ძაღლის მეშინია.

ო.ი. მიდი ბოხოია ამოუძეხი სტუმარს. წამოდი, წამოდი თამამად. ნუ გეშინია, მაინცდამაინც გინდა მეც დავსველდე, ხომ ხედავ, რა თავსხმაა. რავა ფიქრობ, საეჭვოდ გავხვდი მე შენს ამოსვლას ამ კიბეზე? ან ამნაირ ძაღლს გავაჩერებ სახლში, სტუმარს რომ შეუღრენს? ბოხოიამ იცის თავისი საქმე, ბარე ორ კაცს ჯობია, რომ იცოდე ჭკუით.

შემეგება, გადამეხვია.

ო.ი.: კიდო კაი, რომ მოაგენი შენ სახლს. სულ ვიცი შენი გეოგრაფია, როის იყავი ქუთაისში, როის ბათუმში, გაჩვენებენ ტელევიზიით და ვიტყვი: ე, სადაცაა გამეივლის - თქვა. გაგიგონია?!

რ.მ. უზარმაზარ შუშაბანდ - დარბაზში ორი გრძელი მაგიდა დგას, ერთზე მოწნულ გობებზე დახვავებული ხურმა, ვაშლი, მსხალი, შექიშმისებული ადესა და ქლიავის ჩირია, მეორეზე ქაღალდები და წიგნებია უწესრიგოდ გაშლილი ტხუთმეტიოდე წუთში აგიზგიზებულ ბუხართან თაფლით, კვახით, ყვითელი ჭადით გადასარევი ყველ - ნადუღით, ჩურჩხელებით, ლალისფერი ღვინით გაწყობილ ტაბლას ვუზივართ და ვმუსაიფობთ:

- რ.მ: მაგ გაუფრთხილებელ სტუმრობაზე ერთ ახალ ქუთაისურ ანეგდოტს გეტყვი.

- ო.ი: ჰო? რომელია, თუმცა რომც გამეგონა, ანეკდოტებს მაინცდამაინც ვერ ვიმახსოვრებ. ერთში ვარ დაკვირვებული, ბევრი ქუთაისური ანეკდოტი თბილისიდან ჩამოდის ქუთაისში, იქანა ხომ არ იგონებთ?

- რ.მ.: ...შუაღამე გადასულია, კარზე ბრახუნი ისმის, უშუქობა, უფულობით გაწამებული ქუთაისელი ლოგინიდან დგება და კარისკენ მიდის: რომელი ხარ? - ქურდები ვართ! - მასპინძელი კარს უღებს: - აგაშენათ ღმერთმა, მე სტუმრები მეგონეთ?

ოტიას სიცილი, ბუხრის გვერდზე დაკიდებული თამბაქოს ფოთლებს არხევს, მერე სწრაფად მოიწყინა, მუნდშტუკს მიმწვარი სიგარეტი გამოუცვალა და თქვა

ო.ი.: რაც ამ ანეკდოტშია, მეტი თავის მოჭრა არ უნდა ქვეყანას. გენიოსია ვინც მაგი თქვა, მარა შენ რას შობი, შენ სად მიდიხარ, იმერეთო, სტუმარი რომ თავს გერჩივნა. ქურდი ჯობია, აბა რაი. მიივლ - მეივლის და რო ვერაფერს ნახავს წასაღებს, ქე წავა თავის გზაზე. სტუმარი? პერანგი უნდა გაყიდო და პატივი სცე, მარა, პერანგიც რომ არ შეგარჩინეს?

არ გეგონოს, რომ შენს შესახედავად ვეწევი ამ იაფასიან თუთუნს და ვიწამლავ თავს. არ მაქვს მეტის საშუალება, გჯერა შენ? მე. ოტია იოსელიანს, ათი წელიწადია წიგნი არ გამომიცია. წიგნის ბეჭდვაში ფული შენ უნდა გადეიხადო და შენ გაყიდო მერეო. ხელიდან რომ გართმევდნენ, ვინ მამაძაღლი. ამევიღლიავებდი და ჩამევივლიდი, მარა დღეს ოღონდ წიგნს ნუ დაანახვებ კაცს და მოკალი თუ გინდა. არ გეგონოს ვწუწუნებდე, ჩემს თავზე ლაპარაკი არაა. ეს ქვეყანაზე ლაპარაკია.

საყიდლად დააქცის და დაანელეს ქვეყანა.

საზღვარგარეთულ დახმარებაზე, ერთხელ ვთქვი იმისა არ იყოს, სანამ უნდა იყო გრანტის იმედზე, დასავლეთის გადმოგდებულ ძვალზე შეჩერებული. შეიძლება  მათხოვრად იქცეს და ეამაყებოდეს თავისი მათხოვრობა?დახმარებას ვინც იძლევა, ისაა კაცი, თვარა ვინც ღებულობს მათხოვარია.

გეიყიდა ქვეყანა, მარანი რავა გაყიდე, მიწას რავა ყიდი, შენ რომ მთავრობაში ხარ, შე კაი კაცო, საქართველოს ტაოც ჰქონდა, სოჭიც, აფხაზეთიც, სამაჩაბლოც, ლორეც  და საინგილოც.  ვყეფთ მე და შენ, მარა ვინაა გამგონე, სქელი ყურის აპკი აქვს ხალხს და მთავრობას. უნდა უჩიჩინო და შეიძლება მაშინაც ვერ გააგებიო. კაია პარლამენტში რომ ხარ, მარა ქე მეცოდები, რო იცოდე.

რ.მ.: პარლამენტში, თუარა ჩემს ჭკუაზე დადის. ოთხი წელიწადია ვზღავი - ქართველს, ქართველი რომელიმე საბუთში მაინც ჩაუწეროთ-მეთქი. არაო, მიმტკიცებენ, ნუ გავახსენებთ ჩვენს სტუმრებს, რომ ჩვენ ქართველები ვართ. რომ ეს ქვეყანა ქართველებისააო. ხომ ნახე, რავა წამომეჭიმა ერთი უმწიფარი პარლამენტარი.

ო.ი. ვერ მოდევი ერთი კისერში? პრეზიდენტი რას ამბობს?

რ.მ. სამჯერ შევხვდი ამ საკითხზე, მარა გარკვევით ვერაფერს ამბობს, ხან აქეთაა, ხან იქით.

ო.ი. რა ჰქნას მაგანაც, ჩემი არ იყოს, დროული კაცია, და ხშირად ზედმეტ სიფრთხილეს იჩენს. ამას წინათ ჩემთან იყო. რაცხა ხმაური მემესმა. გადევიხედე, გავსებულია შუკა მანქანებით. ამოდის ამ ჩემს კიბეზე პრეზიდენტი, ა, რავარც შენ ამოხვედი ახლა. მიმიღებო? ქე მკითა სხვათა შორის - ...საქართველოში გმართებს ვუთხარი.

რა უყავი ჩემი აფხაზეთი და ჩემი სამაჩაბლო. ოტია იოსელიანთან რომ თავისუფლად ამოდიხარ, ეს გგონია  შენ პრეზიდენტობა? - თქვა?ისე უნდა მომკლა, რომ ვერ ჩევიდე ჩემს სახლში - ჩემს სოხუმში? ამოიხვნეშა. მართალი ხარ, მარა არაა ასე იოლი საქმეო. იოლი ჭადის გამოცხობაც არაა, ვუთხარი. სამი წელიწადი ვსწავლობდი ჭადის

გამოცხობას. შენ იცი, რომ მე დამნაშავედ ვარ გამოცხადებული და დღეს ხვალ უნდა დამიჭირონ. კაი ერთიო, იცინის.

სიცილი ქე უხდება სხვათაშორის. მართლა გეუბნები, ნუ იცინი, მე მწერალი ოტია იოსელიანი, ვარ პარტიზანი, პარტიზანობა ხალხის ნებაა. პარტიზანი რას აკეთებს იცი? შეახსენებს მტერს ხანდახან, რომ სხვის მიწაზე ცხოვრობს, არ ჩაიძინებს, არ მოასვენებს. შენ პრეზიდენტი წართმეულის დასაბრუნებლად ვერაფერს აკეთებ და ჩვენ რაცხას შევხოხდებით ჩვენს ტერიტორიაზე ხანდახან და ხეზე პატრიოტულ პლაკატს მივაკრავთ, იმასაც გვიშლი.

რ.მ.: რა გიპასუხა?

ო.ი. რა უნდა ეთქვა, ვერაფერი. კაი სიტყვა გაქვთ პოლიტიკოსებს მოგონილი „დაიბომბა“ მე ვუთხარი კი არ დაიბომბა, უნდა თქვა, რომ რუსმა დაბომბა, რუსი ქე ვიცი, რასაც იზამს, მარა შენ რატო მოუწერე ხელი არძინბას, რომ კოდორის ხეობაში ჯარს არ შეიყვან. რა ხათრი გაქვს არძინბასი ამნაირი? - ვუთხარი  დავანებოთ ახლა პოლიტიკას თავიო მითხრა, სტუმრად მოვედი შე კაცო, ნუ ამავსე საყვედურებითო.

აპა ვის ვუთხრა ე ჩვენი უბედურება, ხვალაც კი არ მეყოლები შენ აქანა, ამ ჩემს ბუხართან. კაი საქმეზე ვარ მოსული. ღირსების ორდენით დაგაჯილდოვეო, იღებს ჯიბიდან რაცხა წითელ კოლოფს. არ გეწყინოს მარა, უარი უნდა გაკადრო მაგ ორდენზე, როდის იყო ჟეტონებს და ჩინ -  ტემლაკებს აგროვებდა ოტია იოსელიანი. მაგის მოტანას ერთი კაი ბარი მოგეტანა მირჩევნოდა, ტარი გამიტყდა გუშინწინ.

- რ.მ.: დენზე ხომ არაფერი გითქვამს? მთელი თბილისი საბურავების კოცონშია გახვეული მონღოლების ბანაკი გეგონება.

ო.ი.: არ ვეტყოდი რავა ფიქრობ? დათხრილი მაქვს თვალები უშუქობით. მინისტრები ახლდნენ შევარდნაძეს. მარტო ხომ არ მოვიდოდა. მოდი აქ შენ ბიჭო, იმ პუტკუნა მინისტრს ვუთხარი, რა გვარია მირცხულავა. მეირბინა, რატომ არ არი ბიჭო დენი? არ ყოფნის,

ბატონო ქვეყანასო. უწინ თუ ყოფნიდათ, ახლა სად წავიდა. შენი მოსატყუებელი კბილი კაი ხანია ამევიძრე ბიძია.

ორი ჰესი იყო საქართველოში - რიონჰესი და ზაჰესი. ის საქართველოს ამარაგებდა, მეორე შინელს კერავდა ჯარისკაცებისათვის. კაი დედმამიშვილი იყავი და გეგეჩერებია რომელიმე თუნდაც ათი წუთით. კაი ჩიტსაც დაგაჭერინებდა სტალინი. გამოგიგზავნიდა კომისიას და დეიწყებდა რკვევას ვისი ბრალია დენი რომ გამეითიშა? რომელია კორუმპირებული აქანაო? ვუთხარი კორუფციას რად უნდა კომისია, კორუფციას უნდა პოლიცია.

მასხარათ აგდებაა ხალხის ეს ამდენი კომისიები, რომ ვიპარავ, მაშინ უნდა დამარტყა სახაზავი ხელზე, თვარა რომ მევიპარავ და კარგად დავაბინავე, მერე რომ მოდიხარ და მეკითხები, საიდან ეიშენე ეს სახლი, კორუმპირებული ხომ არ ხარ შენო? მეხუმრები, შე კაი კაცო? რომელი ქურდი გეტყვის, კი მევიპარე და დამიჭირეო.

კანონები და პრეზიდენტის რეზოლუციებიო არ სრულდება, თურმე ნახევარზე მეტი, ესაა სახელმწიფო?

რ.მ.: რა გვეშველება ოტია?

ო.ი. მე მეკითხები მაგას მთავრობის კაცი? ახლა კითხულობენ მაგას? რა გვეშველება და ქუდი მექუდემ უნდა შეკეროს. პირველ რიგში ხალხის ხარჯზე რომ დიდი ჯიბეები რომ დაიკერეს, იმგენს აადღლიზეთ ის დიდი ჯიბეები და მეორე რიგში - უზარმაზარი ფაბრიკა - ქარხნები რო კაპიკებში მიყიდეთ ქურდებს, წაართვით და სახელმწიფოს დაუქვემდებარეთ.

მერე ოტიამ მუშტუკი გააწყო, ვთქვით მთის და ბარის, რა, რატომ, რანაირად, როდის არ მიზეზით, სადამდე... ვსაუბრობთ და მეტი

არაფერი, ჩემო უბედური საქართველოვ.



ოტია იოსელიანი საქართველოს კათალიკოს პატრიარქ ილია II-სთან სტუმრობის დროს

## - ძევრელი ძმები -

(ნოველა)

***სამარადისო დიდება დიდ სამამულო ომში 1941–45 წლებში დაღუპულ ძევრელ ახალგაზრდობას, რომელთა ვაჟკაცობას, მამაცობას, თავდადებას მივუძღვენი მათ, ვინც ვალი მოიხადა, შინ აღარ დაბრუნებულან და საპატიო სახელი დატოვეს თანასოფლელებთან და უბანში.***

...ჯარი კი კვლავ მიდიოდა მომდევნო დღეებში. ცხენები მიაგორებდნენ ზარბაზნებს, ლაფეტეებზე დაწყობილ ტყვია - წამლის ყუთებს. თავით ფეხებამდე შეიარაღებულ ჯარისკაცებს დახვეული ფარაჯები ჰქონდათ მხარიღლივ გადაკიდებული. მძიმედ მოაბიჯებდნენ მოკირწყლულ გზაზე ცხენებთან, ზარბაზნებთან, აღალით დატვირთულ ფურგონებთან, ანთებულ, აბოლებულ სამზარეულოებთან ერთად.

ჭიშკრის სათავეზე შემომჯდარი გავყურებდი ქუჩაში მიმავალ ჯარს. თუ კი დაღლილი ჯარისკაცი გამიღიმებდა და ხელს დამიქნევდა, სიხარულით ჭიშკარის სათავეზე ვეღარ ვჩერდებოდი. ჯარის ჟრიამულზე, საგორავების ხრიალზე, ცხენის ჭიხვინზე, მოძრავი სამზარეულოს შიშინსა და ტკაცუნზე მქონდა ყური მიჩვეული. ეს ხმაური მავსებდა, მაჯადოებდა, რაღაცნაირ სიხარულს და იმედს მინერგავდა.

ერთ დღეს ჩემდაუნებურად ყურადღება მივაქციე განაპირა რიგის წვრილკისერა ჯარისკაცს, ყელმოღრეცილი რომ მისჩერებოდა ჩვენი სახლის უფანჯრო ჩარჩოებს. უკითხავად გამოეყო იგი მწყობრს და ისე მოულოდნელად შემოვარდა ეზოში, რომ ჭიშკრის სათავეზე შემომჯდარიც ვერ დამინახა, ზევით, აივნისკენ გაიქცა. გამიკვირდა,

ჭიშკრის დედოზე ჩამოცურდა უხმაუროდ, თუმცა ჯარისკაცმა მაინც ყური ცქვიტა, მოტრიალდა, გულღიად გამიღიმა შორიდან და ჩემსკენ გამოვარდა. მიცანიო, მკითხა სულმოუთქმენლად კი, როგორ არა - მეთქი, იმგვარადვე ვუპასუხე და რატომღაც ავღელდი. თითქოს შემეშინდა კიდეც. ვინ არის სახლშიო, დაინტერესდა. არავინ იყო ჩემს გარდა. დედას გადაეცი, მე რომ ვიყავი, ჩვენებს შეატყობინეო ძევრში ჩემი აქ ყოფნის ამბავი, ფრონტზე მივდივარ, ფაშისტები უნდა გადავჟუჟო, გამიღიმა, თავზე ხელი გადამისვა, იმწამსვე მოცოცხა, რაზმს წამოეწია, უხმაუროდ ჩადგა მწყობრში და წინ მიმავალ ჯარისკაცებს მოგვიანებით აუწყო ფეხი, ჯარმა მოსახვევში გაუხვია და წვრილკისერა, მომციმარი ბიჭიც მიიკარგა.

ვიცანი, როგორ ვერ ვიცანი ძევრელი ბიჭი, ბაბუას ძმისშვილი, ტყუპი ძმის ცალი კუკურა, თუ ბუჭუტა? რომელი იყო, ღმერთო, გამახსენე! ალბათ ბუჭუტა.

სახელი ბუჭუტა, როგორც ჩანდა, კუკურაზე უფრო მომწონდა და დედაჩემსაც ასე მოვახსენე, შენი ბიძაშვილი ბუჭუტა ვნახე-მეთქი, სად, როგორ, საიდან, შეუძლებელია.

- რატომ არის შეუძლებელი, მწყობრიდან გამოვარდა, დამელაპარაკა და გაიქცა...

იმავე დღესვე ნახა დედამ ბაზარში ვაშლის გამყიდველი ძევრელი გლეხი და სოფელში ამბავი გაატანა. მეორე საღამოს კი ბაბუას ძმა და დედაჩემის ბიცოლა ჩამოვიდნენ. მორჩილი ტანის სათვალიანი კაცი ჩოხა - ახალუხში იყო ძველებურად გამოწყობილი, ტანსრულ ქალს კი ფოფიალა კაბა ეცვა.

- რომელი იყო, შვილო, რომელი... კუკურა თუ ბუჭუტა? - ცრემლებს იმშრალებდა ქალი.

- აცადე ქალო, ბავშვს დაფიქრება! - ტუქსავდა ტანმორჩილი კაცი, აღელვებას რომ ფარავდა.

- ბუჭუტა, - ვთქვი მე გაუბედავად.

- შეიძლება კუკურა... და იქიდან დაიწყო ჩემი წამება, რომელი იყო გაიხსენე, გინდა თუ არა, ჩამაჟინდნენ.

- ბუჭუტა იყო, კუკურა არ ყოფილა, შეიძლება კუკურა იყო...

- იქნებ გაიხსენო, შვილო, კუკურა იყო თუ ბუჭუტა? - მევედრებოდა ქალი.

ეს რა დღეში ჩავარდი. ომის დაწყებიდან დღემდე ბუჭუტასაგან თურმე არაფერი სმენოდათ და ამიტომ უფრო იყვნენ დაეჭვებულნი. კუკურას კი შვიდი თვის წინ გამოუგზავნია წერილი ჩრდილოეთ კავკასიიდან. ძმაზე არაფერს იწერებოდა. მშობლებს შვილები კი, ისე, როგორც სკოლაში, ისე როგორც სოფელში, კიდევ ერთ ნაწილში, ერთ ჭერქვეშ ეგულებოდათ.

მეორე ძმა რატომ ვერ დაინახაო, იქნება იგი მწყობრში დარჩა, იქნებ დაგინახა, მაგრამ შენ თვალი ვერ მოჰკარიო. შეიძლება - თქვა, ყველაფერზე თანახმა ვიყავი უკვე. რა თქვა, რა დაგიბარა, ბუჭუტა თუ იყო, კუკურა სად არისო, ხომ გეტყოდაო და თუ კუკური იყო, ბუჭუტას ამბავს გაგაგებინებდაო.

...ვერაფრის თქმა ვერ მოასწრო... - ვამტკიცებდი შეცბუნებული და დაბნეული. - გამოვარდა მწყობრიდან, ფრონტზე მოვდივარ, ჩემებს გააგებინეო და წავიდა..

უკვე ჩემი თავისაც აღარ მსჯეროდა. ვტყუოდი, მეგონა, სხვა ვნახე ალბათ და არა ერთ-ერთი ძევრელი ძმათაგანი - ვფიქრობდი საქციელწამხდარი.

მეორე წელიწადს დედაჩემის ბიძამ და ბიცოლამ ფოტოსურათი ჩამოიტანეს.

ფრონტზე წასვლის წინ გადაეღოთ სურათი ძმებს. დააკვირდი, რომელი იყო. ერთიც და მეორეც გაჭრილი ვაშლის ნაწილებს განასხვავებდი ერთმანეთისაგან და იმათ ვერა. ორივე რომ არ ყოფილა,

ნამდვილად მახსოვდა. იყო ერთი, მეორე ნაწილი, მთელის ნახევარი. შეიძლება ის მეორე იყო პირველი, ანდა პირველი - მეორე. სახელების მეტი არაფერი იცვლებოდა თითქოს, მაგრამ მშობლებისათვის ისინი მაინც ცალ - ცალკე არსებობდნენ. შვილების დარდი და სატკივარი ნაწილ - ნაწილ დაჰქონდათ.

იმ შეწუხებული, გატანჯული ხალხის დანახვა აღარ შემეძლო, მაგრამ შეხვედრებს, შეკითხვებს და თხოვნა - მუდარას ვეღარ ვარიდებდი. იქამდე მივედი, რომ არც ერთი არ მინახავს - მეთქი, კინაღამ განვაცხადე.

დამთავრდა ომი. ძევრელი ძმები აღარ დაბრუნებულან, რომელი იყო კუკური და ბუჭუტა, კითხულობდნენ მშობლები მაინც. თვითონ ძლივს ანსხვავებდნენ ერთმანეთისაგან თავიანთ შვილებს და ჩემგან რას ითხოვდნენ?

ორივენი იყვნენ - მეთქი, უნდა მეთქვა, ცხადია, - მაგრამ გვიანღა იყო დრო მიდიოდა. იმის მოგონებანი ფერმკრთალდებოდა, ტკივილები შუშდებოდა თანდათან, მშობლები კი ტყუპ ძმებს ელოდნენ, ბერდებოდნენ, თვალთ სინათლეს კარგავდნენ და მაინც გზას გაჰყურებდნენ. უშედეგოდ და უიმედოდ უცდიდნენ შვილებს. ამ მოლოდინში დაიხოცნენ ერთმანეთის მიყოლებით და ძევრელი ძმების ამბავიც დასრულდა.

მწერალი: რ ე ვ ა ზ ჭ ე ი შ ვ ი ლ ი



















# ყაფლან (გუგულა) დომენტის-ძე ფანჩულიძე

## 21XII-1918 წ. (100) 21XII-2018 წ.

ყაფლან დომენტის-ძე ფანჩულიძე დავიბადე 1918 წლის 21 დეკემბერს თერჯოლის (ჩხარის) რაიონ სოფელ ძევრში, მრავალშვილიან ოჯახში. ჯერ კიდევ შვიდი წლის ვიყავი, მამა რომ გარდამეცვალა. სწავლა და განათლების მიღება მიჭირდებოდა რეპრესიების ქვეშ, დედას და ჩვენ ოჯახს - "შავსიელებით" მოგვიხსენიებდნენ, რადგან კოლმეურნეობაში გვიან გავწევრიანდით... რა მიზეზითაც სწავლა გავაგრძელე ქუთაისის მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლის ღამის ცვლაში. შესაბამისად ვსწავლობდი ქუთაისის აეროკლუბში. 1939 წლიდან სწავლა გავაგრძელე თბილისის საავიაციო სასწავლებელში. 1941 წლის მაისის თვეში გამიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში. ერთ თვეში ომი დაიწყო, გამანაწილეს ვოლგოგრადის (სტალინგრადის) მხარის, ვოლგისა და დონის მიმდებარედ განთავსებულ საავიაციო სამხედრო ნაწილში, რომელიც ნახევრად საველე მდგომარეობაში იყო. საავიაციო გაფრენის შემდეგ, აეროდრომის ასაფრენ-დასაფრენი ბილიკები დაბომბილი გვხვდებოდა... გერმანელმა ფაშისტებმა 1942 წლის 23 აგვისტოდან მასიურად დაიწყეს ქალაქის მისადგომების დაბომბვა. 1942 წლის სექტემბრის თვეში, ერთ-ერთი გაფრენის დროს, კატაპულტირების შემდეგ მოვხვდი პარტიზანების შენაერთში. სანამ ნაწილში გამოვცხადდებოდი მათთან ერთად მომიხდა ბრძოლის გაგრძელება. პაერიდან მორიგი დაბომბვის შედეგად დავიჭერი და მივიღე "კანტუზია". მომათავსეს ბაქოს სამხედრო ჰოსპიტალში, სადაც სამედიცინო კომისიამ, ბრძოლის უუნაროდ ჩამთვალა. ოჯახის წევრების დახმარებით ჩამომიყვანეს ქალაქ ქუთაისში, სამხედრო ჰოსპიტალში. 1943 წლის დასაწყისში, რა დროსაც გერმანელმა ფაშისტებმა გამანადგურებელი დარტყმა მიიღეს ჩვენი არმიის შეტევით. გენერალ პავლიუსის ასიათასობით შეიარაღებული ნაწილები ტყვედ ჩავარდნენ. აქედან დაიწყო გერმანელი ძლევამოსილი არმიის უკან დახევა. . . გამოჯანმრთელების შემდეგ 1945-50 წლებში მუშაობას ვიწყებ ტყიბულის შახტაში, ამფეთქებლად, ხოლო 1950-57 წლებში ძევრულჰესის მშენებლობაზე ამფეთქებელთა ბრიგადის ხელმძღვანელად. 1957 წლიდან იგივე თანამდებობაზე ვაგრძელებ მუშაობას გეოლოგიურ საძიებო სამმართველოში. 1962 წლის თებერვლის თვეში თანამებრძოლებმა მიმიწვიეს სტალინგრადში 20 წლის იუბილის აღსანიშნავად.

ა მ ხ ა ნ ა გ ე ბ ო!

ერთხელ კიდევ გილოცავთ დიდ სამამულო ომის გამარჯვებიდან მე-18 წლისთავს. ასეთი საშინელება, რაც ქართველმა ხალხმა განიცადა ჩვენს მეგობარ ერთმორწმუნე რუსი ეროვნების ხალხთან ერთად აღარ განმეორებულიყოს. მადლობთ ყურადღებისათვის.

9 მაისი 1963 წელი
თერჯოლა, სოფელი ძევრი
გამარჯვების დღისადმი დაკავშირებულ საზეიმო შეკრებაზე

P.S. 1964 წლის აგვისტოს თვეში საწარმოო ტრამვის შედეგად ორივე თვალით დაბრმავდა და მარცხენა თითების ამპუტაცია ჩაუტარდა. 1980 წლის 21 სექტემბერს (16 წლ. უსინათლო) გარდაიცვალა, დაჯილდოებული იყო II-III ხარისხის "დიდების ორდენით", "სტალინგრადის დაცვისთვის" და რამოდენიმე საიუბილეო მედლებით. დაკრძალულია "ჩხარი-ოქონას" საგვარეულო სასაფლაოზე.













ყაფლან დომენტის-ძე ფანჩულიძე
21,12,1918 წ. - 21,09,1980 წ.
იბრძოდა ქ. სტალინგრადში



ზოია დომენტის ასული ფანჩულიძე
სამედიცინო სამსახურის კაპიტანი
1942 წ. აფხაზეთი ქ. სოხუმი, სამხედრო ჰოსპიტალი



ნინოსი ილარიონის ძე პატარიძე
1918-1945 წელი. (შინმოუსვლელი)
დიდი სამამულო ომიდან



გრიშა ილარიონის ძე პატარიძე
1913-1945 (შინმოუსვლელი)
დიდი სამამულო ომიდან



ალექსანდრე ილარიონის ძე პატარიძე
1915-1945 (შინმოუსვლელი) დიდი
სამამულო ომიდან.



გიორგი ,,ჟორა ლუკას-ძე პატარიძე
იბრძოდა ქერჩში უკრაინასა და ბელორუსიის
ფრონტზე 1918-2010



დანიელ კონსტანტინეს ძე ფანჩულიძე
1915-1945წ დიდი სამამულო ომიდან
(შინმოუსვლელი)



**დავით ლუკას ძე პატარიძე**
იბრძოდა ბელორუსია, უკრაინა, ქერჩი.
1915 - 1945წ დიდი სამამულო ომიდან
შინმოუსვლელი

# <<საბრძოლო მოკვლევა>>

ТЕРЖОЛЬСКИЙ
РАЙОННЫЙ
ВОЕННЫЙ КОМИССАРИАТ
Грузинской ССР
Часть 1-ая
13 апреля 1957 г.
№ 130/

НАЧАЛЬНИКУ ОТДЕЛА ПО ПЕРСОНАЛЬНОМУ УЧЕТУ
ПОТЕРЬ СЕРЖАНТОВ И СОЛДАТ СОВ.АРМИИ
г. Москва.

Тержольский райвоенкомат просит проверить в списках погибших или пропавших на фронте Великой Отечественной войны рядового ПАТАРИДЗЕ Давида Лукича 1918г.р. уроженца с.Даеври Тержольского района,ГССР,призванного в ряды Сов.Армии Тержольским РВК ГССР в 1941г. В последнее время службу проходил по адресу:Украинская ССР,г.Львов,войсковая часть 7314, связь прервалась с родителями в Марте м-це 1942г., розыскивает отец:ПАТАРИДЗЕ Лука Романозович проживающий в с.Даеври,Тержольского района ГССР.

Рядового РИЖАМАДЗЕ Павла Платоновича 1922г.р. призванного в СА Тержольским РВК ГССР 1941г. уроженец с.Тузи, Тержольского района ГССР, в последнее время службу проходил в г.Сталинград, - связь прервалась с декабря м-ца 1941г. розыскивает мать - РИЖАМАДЗЕ Галина Нестеровна проживающая в с.Тузи - Тержольского района.

Одновременно прошу если в списках пропавших и погибших не значатся ,принять пропавшими без вести -ПАТАРИДЗЕ Давида Лукича с Марта-1942г. а РИЖАМАДЗЕ Павла Платоновича с Декабря-1941г. и извещения по ф.4-а выслать для назначения пенсии их родителям.

ТЕРЖОЛЬСКИЙ РАЙВОЕНКОМ
КАПИТАН: /НЕБИЕРИДЗЕ/
НАЧ.ХОЗ.ФИН.ДОВ.
СЛУЖ.СОВ.АРМИИ /БЕРУАШВИЛИ/

19 АПР 1957

«запасной чула» в деревне и отправить ее в Тбилиси и с помощью фотошопа
С 1964 года до Сталинградского воина «Сталинград» был доставлен на кладбище соседей-друзей вместе с судьбой друг друга ...
Судьба моих друзей вместе с судьбой каждого из них выпила их памятный тост, и я думал об этом до самого сердца. Я внес бы какой-то вклад в своих соседей, которые боролись с юношеской судьбой - «Великой Отечественной войной», для Патаридзе, ни один из трех братьев не ушел, двое близнецов, один из парней-близнецов. Что касается Даниэля Панчулидзе, жена одного месяца покинула фундамент, и смерть ждала меня ... Извините меня !!!, - д о н т я н т л я о р е.

Фамилия Патаридзе
Имя Нилос
Отчество Илларионович

# <<საბრძოლო მოკვლევა>>

Дата рождения/Возраст _._.1911
Место рождения Грузинская ССР
Дата пленения 15.10.1942
Лагерь шталаг VI K (326)
Лагерный номер 12282
Судьба Погиб в плену
Воинское звание
красноармеец|рядовой
Дата смерти 29.12.1942
Первичное место захоронения
Форелльκруг/Зенне
Название источника донесения
ЦАМО
https://obd-memorial.ru/html/info.htm?id=300165900

Фамилия Патаридзе
Имя Нилос
Отчество Илларионович
Дата рождения/Возраст _._.1911
Дата смерти 29.12.1942
Страна захоронения ФРГ
Регион захоронения Земля Северный Рейн-Вестфалия

Место захоронения
административный округ Гютерсло, г. Шлосс Хольте-Штукенброк, 33758, ул. Зеннер Штрассе
https://obd-memorial.ru/html/info.htm?id=1151386702

https://stalag326.livejournal.com/
https://sites.google.com/site/stalag326/kniga-pamati

**ОБД Мемориал**
obd-memorial.ru

nasol.spasiba

საუბრის დასასრული

## << საბრძოლო მოკვლევა>>

## პატარიძე ნინოსი ილარიონის ძე

**დაბადებული:** 1911 წელს

**მცხ:** საქართველო, თერჯოლა (ჩხარი) სოფელი ძევრი

**ჩავარდა ტყვედ:** 15.10.1942 წ.

**ლაგერი:** შტალაგ VIK326, ლაგერის N12282

**გარდაიცვალა:** 29.12.1942 წ. (ორ თვეში)

**დაკრძალულია:** გერმანიის ფედერალიულ რესპუბლიკაში, ფორელლკრუგ/ზენნე, წყაროს დასახელება „ЦАМО“.

დაკრძალულია მემორიალზე <<ფრგ>>, ზემლია სევერნი

**დაკრძალვის ადგილი:** გუტერსლოს ადმინისტრაციული მხარე, ქ. შლოსე ხოლტე-შტუკენბროკ, 33758, ზენნერ შტრასეს ქუჩა.

## პატარიძე დავით ლუკას ძე

**დაბადებული:** 1918 წელს

**მცხოვრები:** თერჯოლის (ჩხარის) რაიონი, სოფელი ძევრი

**გაწვეული იქნა:** „დიდ სამამულო ომში“ 1941 წელს

**ბოლოს მსახურობდა:** უკრაინა, ქალაქი ლვოვი

**სამხედრო ნაწილი:** 7314

**მშობლებთან კავშირი**: შეწყდა 1942 წლის მარტის თვეში.

**ეძებდა:** მამა - ლუკა რომანოზის ძე პატარიძე

...1941 წლის 22 ივნისს დილის ოთხ საათზე ფაშისტურმა გერმანიამ ომის გამოუცხადებლად, მუხანათურად დაესხა თავს

საბჭოთა კავშირს და ფართო ფრონტით, ბარენციის ზღვიდან შავ ზღვამდე გააჩაღა სისხლისმღვრელი  ბრძოლები. ჩვენს ქვეყანაზე ეს გაუგონარი თავდასხმა  მოხდა, მიუხედავად იმისა, რომ სსრ კავშირსა და გერმანიას შორის არსებობდა თავდაუსხმელობის ხელშეკრულება და საბჭოთა მთავრობა მთელი კეთილსინდისიერებით ასრულებდა ამ ხელშეკრულების ყველა პირობას, ისინი ფიქრობდნენ უმოკლეს დროში გაანადგურებდნენ წითელ არმიას და ურალამდე, დაზამთრებამდე გამარჯვებით დაემთავრებინათ ომი, რომლის ზრახვები საფრთხეს უქმნიდა მთელს პროგრესულ კაცობრიობას. რასიზმით გაბოროტებული ჰიტლერი მოვიდა კავკასიამდე, გაიჭრა ვოლგისპირეთისაკენ, ბლოკადაში მოაწყვდია ლენინგრადი, დაემუქრა მოსკოვს, ქვეყანას მომაკვდინებელი საფრთხე მოელოდა. 1942 წლის 29 ივნისს მიიღეს დადგენილება, მობილიზაციის გრანდიოზული გეგმა, 30 ივნისს შეიქმნა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი იოსებ ბესარიონის - ძე სტალინის თავმჯდომარეობით. 1941 წლის 23 ივნისს რადიოთი გამოვიდა სტალინი, რომელმაც ჩამოაყალიბა მტრისაგან გამიზნული ზრახვები, გაანალიზა ბრძოლის სტრატეგია და ტაქტიკა, ბოლო სიტყვაში ხალხს მოუწოდა:  „ჩვენი საქმე სამართლიანია, - ჩვენ გავიმარჯვებთ!!!“.

...მიღებული იქნა რა მხედველობაში მოსახლეობის საშიშროება, პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებით გატარდა ძირითადი ღონისძიებები, დივიზიები და კორპუსები გადაადგილეს საზღვრებთან.

1941 წლის 6 მაისს საბჭოთა კავშირის უმაღლესმა საბჭომ პრეზიდიუმის ბრძანებით, ომის დაწყებამდე იოსებ ბესარიონის - ძე სტალინი საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებით საბჭოთა კავშირის კომისართა საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა.

საბჭოთა ხალხმა ეს ამბავი მიიღო, როგორც მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში ქვეყნის გაძლიერებისათვის გარდაუვალი აუცილებლობა.

1942 წლის 21 ივნისს  შაბათ დღეს ჩვეულებრივი რიტმით მიდიოდა ცხოვრება საბჭოთა კავშირის ქვეყნებში...

...იაკობ ჩადაევის მოგონებები: - ოცდაორ ივნისს დილაადრიანად სტალინს გაკვრით დერეფანში მოვკარი თვალი, ეტყობოდა, ძალიან დაღლილი  და უძინარი იყო. ძალიან მოწყენილი ჩანდა. ნაყვავილარ სახეზე ლოყები ჩასცვივნოდა. გვერდით რომ ჩამიარა, მისალმებაზე მხოლოდ ხელი ასწია ოდნავ.

ომი დაიწყო, მაგრამ კრემლში ბევრმა თანამშრომელმა ეს მხოლოდ მოგვიანებით შეიტყო. უპირველეს ყოვლისა, ვოზნესენსკისთან შევედი, ვინაიდან, როგორც საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართან თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, მას მიჰყავდა, უფრო სწორად, ის უძღვებოდა სახალხო კომისართა საბჭოს საქმეს, მასთან რომ შევდი, ვოზნესენსკი, რომელიც სამხედრო მეთაურს ელაპარაკებოდა ტელეფონით.

- დამირეკეთ ერთი საათის შემდეგ, თქვა მან და ყურმილი დადო.

მართალია, ძალიან დაძაბული და შუბლშეკრული იყო, მაგრამ საკმაოდ თავდაჯერებული ჩანდა. სახეში მიყურებდა, რაღაცაზე ფიქრობდა, ცდილობდა, არ შეტყობოდა წუხილი და ბოლოს შეფარული უკმაყოფილებით წარმოსთქვა:

- აი ხედავ, როგორ თავხედურად მოიქცა ჰიტლერი?

- ფაფხურა, ხმაურის ამტეხი, ბეღურა, კაცს არ ეშინია! -ვთქვი რიხიანად. ამ დროს კაბინეტში შემოვიდა ო.ს. ზემლიაჩკა, ორივეს მოგვესალმა, თავი შეწუხებულმა გააქნია და თქვა:

- მაინც ასე ვერაგულად მოიქცა ნიკოლაი ალექსანდროვიჩ!

- დიახ, ძალიან ძლიერად და ძალიან მოულოდნელად დაგვატყდა, შენიშნა ვოზნესენსკიმ.

- შემოვედი, რომ მეკითხა, როგორი მდგომარეობაა საზღვარზე?

- გუშინ გვიან ღამით დასავლეთი ფრონტიდან შეტყობინებები შემოვიდა.

- გერმანელები განლაგებებიდან მოტორების გაძლერებული ხმაური ისმისო - გვატყობინებდნენ.

დასავლეთ ოლქის შტაბის უფროსი - გენერალი კიმოვსკის პირველი სამხედრო პატაკი დილის სამ საათსა და ოცდახუთ წუთზე იქნა მიღებული. იგი სტალინს მოახსენებდა, რომ მტრის თვითმფრინავები ბელორუსიის ქალაქებს ბომბავდნენ. მალე კიევის ოლქის შტაბის უფროსი - გენერალი პურკაევის პატაკიც შემოვიდა, რომელმაც შეგვატყობინა, რომ იბომბებოდა უკრაინის ქალაქებიც. და ბოლოს, ბალტიისპირეთის ოლქის სარდლის გენერალ კუზნეცოვის პატაკით ცნობილი გახდა, რომ მტრის ავიაციამ კაუნასსა და ბალტიისპირეთის სხვა ქლაქებზეც მიიტანა თავდასხმა....

... ასე ჩაერთო საბჭოთა კავშირი და მასში შემავალი ქვეყნები მოულოდნელ, მუხანათურ ომში, სადაც მონაწილეობა მიიღო თერჯოლის რაიონის (ჩხარის) სოფელ ძევრის, - („ფურღულების“) ერთ-ერთ უბნის ახალგაზრდა ბიჭებმი:

1. ყაფლან (გუგული) დომენტის - ძე ფანცულიძემ - ქ. სტალინგრადი, მფრინავი,

2. ნოე სევასტის -ძე ფანჩულიძემ - ქერჩი, ტუაფსე, უკრაინა, ფეხისა და ხელის თითების ამპუტირება

3. მიხეილ ივანეს - ძე ფანჩულიძემ - ქერჩი, უკრაინა, ხელის, ამპუტირება

4. ასტიონ ივანეს - ძე ფანჩულიძემ - ქერჩიიდან გერმანიამდე

5. დანიელ კონსტანტინეს - ძე ფანჩულიძემ (შინმოუსვლელი) ერთი თვის მოყვანილი მეუღლე დარჩა

6. ალექსანდრე ილარიონის - ძე პატარიძემ (შინმოუსვლელი)

7. ნინოსი ილარიონის - ძე პატარიძემ (შინმოუსვლელი)

8. გრიგოლი ილარიონის - ძე პატარიძემ (შინმოუსვლელი)

9. ზოია დომენტის - ასული ფანჩულიძემ ქ. სოხუმის, ქ. სოჭის სამხედრო ჰოსპიტალი

10. გიორგი ლუკას - ძე პატარიძემ (ირანთან საზღვარს იცავდა)

11. დავით ლუკას -ძე პატარიძემ (შინმოუსვლელი)

12. სიმონ ერმილეს - ძე ფანჩულიძემ (შინმოუსვლელი)

13. შალვა დომენტის - ძე ფანჩულიძემ (ირანთან საზღვრებს იცავდა)

14. მამია ოლიფანტეს - ძე აბულაძემ (ქერჩი ნოვოროსიისკი) სტალინის ბრძანებით განთავისუფლდა, როგორც გამომგონებელი...

(დ.ფ.) დიდი სამამულო ომიდან შინ აღარ დაბრუნებულან ძმები: ალექსანდრე ნინოსი და გრიგოლი პატარიძეები, მამა სიცოცხლეში იყო დაინტერესებული თავისი მეზობლებისა და მეგობრების, განსაკუთრებით ნინოსი პატარიძის ბედით... მე ეს ნატვრა მას სამწუხაროდ გარდაცვალების შემდეგ ავუხდინე. რაც შეეხება დანარჩენ ძმებს, გრიგოლის ოჯახი არ შეუქმნია, ხოლო ალექსანდრეს დარჩა ორი წლის ტყუპი ბიჭები: ზაური და იური პატარიძეები.



ვასილ ჩუიკოვი

# ვასილ ჩუიკოვი

(12.02.1900 (82) 18.03.1982 წწ.)

<<შტურმის გენერალი>>

... საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობამ ჩუიკოვი გაგზავნა სტალინგრადში, რომლის დაცვაც ნებისმიერ ფასად უნდა მოეხდინა. იმ დროისათვის ის უკვე იყო გენერალ-ლეიტენანტის წოდებით, რომელსაც ჰქონდა კოლოსალური სამხედრო გამოცდილება.

ვასილ ივანიჩის არმია ცნობილი გახდა სტალინგრადის ექვსთვიანი მამაცური დაცვით. მისმა ჯარებმა, რომლებიც ნაცისტებს ჩამოუვარდებოდნენ, - ჯარისაცების, ტანკების და თვითმფრინავების რაოდენობით, დიდი ზიანი მიაყენა მტერს. გაანადგურეს 20 000 ნაცისტი და მრავალი სამხედრო ტექნიკა.

სტალინგრადის ბრძოლა ერთ-ერთი უდიდესია კაცობრიობის ისტორიაში. თუ შევაფასებთ ბრძოლის დროს, გარდაიცვალა მილიონი საბჭოთა ჯარისკაცი, მილიონნახევარი გერმანელი ჯარისკაცი...

ბრძოლის შედეგიდან გამომდინარე ჩუიკოვს მეტსახელად შეარქვეს, - „გენერალი შტურმი“. იგი იყო შეტევითი ტაქტიკის იდეის ავტორი. მისი რაზმები შედგებოდა ათობით სპეციალისტებისაგან. 1940-1942 წლებში ჩუიკოვი ჩინეთში იმყოფებოდა, როგორც ჩინეთის არმიის მრჩეველი და მეთაური „ჩიანგ კაი-შეკში“...

1942 წლის 12 ივლისს სტალინგრადის ფრონტი შეიქმნა, ხოლო 17 ივლისს დაიწყო პირველი შეტევა ქალაქზე, გენერალ ფონ ვაიხნის მეთაურობით. გერმანელებიდან 250 000 ჯარისკაცი მონაწილეობდა, ხოლო სტალინგრადის დაცვას 187 000 ჯარისკაცი იცავდა, გენერალ მორდოვის ხელმძღვანელობით მდინარე ვოლგისა და დონის შესართავთან.

...14 ოქტომბერს სტალინგრადში გადაიყვანეს მთელი საჰაერო ძალები. სტალინმა შეიმუშავა ოპერაცია სახელწოდებით „კრანუს“, რომელიც ითვალისწინებდა პაულიუსის მეექვსე არმიის ალყაში მოქცევას, მის ორად გახლეჩას და სათითაოდ ნაწილების განადგურებას.

ოპერაცია დაიწყო 19 ნოემბერს, 23 ნოემბერს უკვე ალყაში მოექცა, მაგრამ ფრონტის ხაზი სტაბილური გახდა.

ოპერაცია „რგოლი“ დაიწყო 27 დეკემბერს, სტალინის და ჟუკოვის შემუშავებული გეგმით, რის შედეგად ტყვედ ჩავარდა ფედ-მარშალი პაულიუსი მთელი თავისი შტაბით, 90 000 მებრძოლით, მათ შორის 24 გენერალი იყო.

10 იანვარს დაიწყო სსრ კავშირის ჯარების შეტევა და 26 იანვარს მეექვსე არმიის „ა“ დაჯგუფება ორ ნაწილად იქნა გახლეჩილი. მისი სამხრეთ ნაწილი განადგურებული იქნა. ქალაქის დაცვას მეთაურობდა ვასილ ჩუიკოვი.

**ავტორისაგან:** (დ.ფ.) უშუალოდ ვასილ ჩუიკოვის ბრძანებით, ყაფლან დომენტის ძე ფანჩულიძეს დავალებების პირნათლად შესრულებაში მიენიჭა მეორედ, მეორე ხარისხის „დიდების ორდენი“.

## მამის: ყაფლან ფანჩულიძის თანაკურსელები და თანამებრძოლები



თამარ მელაშვილი
ბომბდამშენის მფრინავი
პილოტი



ვახტანგ ინასარიძე
ბომბდამშენის მფრინავი
პილოტი



დავით ჯაბიძე
ბომბდამშენის მფრინავი
პილოტი



ლევან თოდიძე
ბომბდამშენის მფრინავი
პილოტი

# <<ფოტო არქივიდან>>



ყაფლან (გუგული) ფანჩულიძე
ბომბდამშენის მფრინავი
პილოტი



სამხედრო მფრინავთა პოლკი; -
მარცხნიდან: ყაფლან ფანჩულიძე,
იგორ სიდოროვი, სერგო ივანოვი
ქ. სტალინგრადი, 1942 წელი

ბომბდამშენის მფრინავი პილოტები

ბომბდამშენის მფრინავი
პილოტი

ვანო ხუმარაშვილი
გურჯაანიდან

ბომბდამშენის მფრინავი
პილოტი

ედვარდ ტურაზელიძე
ქუთაისიდან

<<ფოტო არქივიდან>>



ყაფლან ფანჩულიძე თანასოფლელებთან
ზესტაფონის რაიონი, სოფელ არგვეთის აეროდრომი
1939 წელი

<<ზუგდიდიდან რაიხსტაგამდე>>

## დიდება გმირებს
## მელიტონ ქანთარია
(5/10/1920 (74) 5/01/1994 წწ.)


მელიტონ ქანთარია

მელიტონ ვარლამის-ძე ქანთარია დაიბადა 1920 წლის 5 ოქტომბერს ზუგდიდის რ-ნი დაბა ჯვარში, გლეხის ოჯახში, 1940 წლამდე მუშაობდა კოლმეურნეობაში. როდესაც საბჭოთა არმიაში გაიწვიეს, მეორე მსოფლიო ომის პერიოდში მსახურობდა 756-ე მსროლელთა ბატალიონში პირველ ბელორუსიის ფრონტზე. სერჟანტ მიხეილ ეგოროვთან ერთად აღმართა „სსრ კავშირის წითელი დროშა“ დაცემულ რაიხსტაგის თავზე ბერლინის ბრძოლის დროს 1945 წლის 30 აპრილს.

1946 წლიდან, დემობილიზაციის შემდეგ სოხუმში ცხოვრობდა. აფხაზეთში კონფლიქტის პერიოდში, იძულებული იქნა სახლი დაეტოვებინა 1993 წლის სექტემბრის თვეში, ოჯახთან ერთად მოსკოვში გადავიდა, სადაც ორ თვეში გარდაიცვალა.


რაიხსტაგის თავზე აღმართული საბჭოთა კავშირის დროშა მ. ქანთარია და მ. ეგოროვი

...ერთ-ერთი შეტაკების დროს მელიტონ ქანთარია მძიმდ დაიჭრა, გამოჯანმრთელების შემდეგ სამჯერ

დაჭრილი 776-ე მსროლელთა პოლკში მამაცი მზვერავი კვლავ ფრონტის წინა ხაზზეა. 1993 წლის 26 დეკემბერს ქ. მოსკოვში გარდაცვლილი მელიტონ ქანთარიას ნეშტი გადმოასვენეს საქართველოში და 1994 წლის 5 იანვარს დაკრძალულ იქნა ჯვარის მესამე საჯარო სკოლის ეზოში, გამარჯვებული ჯარისკაცი ძმების გვერდით, სკოლას მისი სახელი აქვს მინიჭებული.



მელიტონ ქანთარიას შვილიშვილი და ციალა ქანთარია-ოჩიგავას „აფხაზეთში“ დაღუპული შვილის საფლავი

მელიტონ ქანთარიას შვილიშვილი, ქალიშვილ ციალა ქანთარია-ოჩიგავას შვილი დაბადებული 1971 წლის 27 დეკემბერს ქ. ტყვარჩელში თამაზ გიორგის - ძე ოჩიგავა 1992-93 წლებში რიგითი მებრძოლი 241-ე ბატალიონიდან, 1993 წლის 21 თებერვალს ბრძოლის ველზე აფხაზეთში ქ. ტყვარჩელი, სოფელ ბესლახუბას მიმართულებით დაიღუპა.




მელიტონ ქანთარიას ბიუსტი კიკვიძის ბაღში

...თამაზ ოჩიგავას ბაბუა მელიტონ ქანთარია დაჭრილი, რომელიც რეაბილიტაციას შინ გადიოდა, ყანაში იყო, როდესაც ომში გაწვევის ხელახალი უწყება მიუვიდა. თოხი მიწაში ჩაასო, ქუდი მოიხადა, თოხის ტარზე ჩამოაცვა და ხმამაღლა თქვა, ან მკვდარი დავბრუნდები, ან ჰიტლერის თავს ჩამოვიტანო. დროშის აღმართვა რაიხსტაგზე, ჰიტლერისთვის თავის მოკვეთას ნიშნავდა მართლაც.

გავიდა ხანი, ლეგენდარული გმირის შვილიშვილი, 21 წლის თამაზ ოჩიგავა, საქართველოს ერთიანობის დაცვას შეეწირა აფხაზეთში, ხოლო ბაბუა, ფაშიზმზე გამარჯვების სიმბოლო დევნილობაში გარდაიცვალა...

გმირების შვილი და დედა, - ციალა ქანთარია - ოჩიგავა საზღვარგარეთაა გადახვეწილი „საარსებოს“ მოსაპოვებლად. (დ.ფ.)



მელიტონ ქანთარიას შვილი
ციალა ქანთარია-ოჩიგავა და დონი ფანჩულიძე

# უცნობი ჯარისკაცის ისტორია, რომელიც ვაკის პარკში განისვენებს:

## „22 წლის ბიჭი, მის სახელ-გვარს რა დამავიწყებს, შვილო...“


უცნობი ჯარისკაცის მემორიალი ვაკის პარკში

მეორე მსოფლიო ომმა 400 ათსამდე ქართველი ვაჟკაცი იმსხვერპლა, მილიონობით ადამიანის ახალგაზრდობა, ბავშვობა და ბედნიერების წლები შეიწირა. ეს ომი იმხელა ადამინურ ტრაგედიას იტევს, შეუძლებელია ამ თარიღს გულგრილად ჩაუარო...

საქართველოში მეორე მსოფლიო ომის მსხვერპლთა მოსაგონებლად უცნობი ჯარისკაცის საფლავი შემოგვრჩა. მისი ადგილსალყოფელი ყველამ იცის და მის სიახლოვეს ყოველდღიურად უამრავი ადამიანი ტრიალებს. თუმცა, ცოტამ თუ იცის, საიდან მოხვდა მისი ნეშტი ვაკის პარკში, რატომ ერთი და არა სხვა განისვენებს ამ ადგილას, მართლა ქართველია თუ არა და ვინ ჩამოასვენა იგი საქართველოში?

ამის შესხებ წლების წინ აწ გარდაცვლილმა პოლკოვნიკმა, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანმა ივანე ჩოხელმა გაზეთ „კვირის პანორამასთან“ ინტერვიუში ისაუბრა. გთავაზობთ სტატიის შემოკლებულ ვერსიას.

ივანე ჩოხელი:

„დიდი სამამულო ომის დასრულების წლისთავზე 1975 წელს საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა რომ თხუთმეტივე მოძმე რესპუბლიკაში უცნობი ჯარისკაცის მემორიალური საფლავები

შექმნილიყო. ამ ბრძანების განხორციელება საქართველოში თბილისის მაშინდელი საბჭოს თავმჯდომარეს შოთა ბუხრაშვილს დაევალა.

თავდაპირველად ამ საქმეს ბევრმა სამხედრო მოსამსახურემ მოჰკიდა ხელი, თუმცა, საბოლოოდ დარჩა მხოლოდ ხუთი ადამიანი, ვინც დათანხმდა ამ მისიის შესრულებას. ესენი იყვნენ: გენერალი ჯანჯღავა, გენერალი ყურაშვილი, გენერალი თავართქილაძე, პოლკოვნიკი ჩოხელი და პოლკოვნიკი ქანთარია.

ეს ურთულესი მისია იყო, უნდა გვეპოვა 30 წლის წინ დაღუპული ქართველი ჯარისკაცის ცხედედარი და საქართველოში ჩამოგვესვენებინა. დაღუპული ჯარისკაცის ნეშტის მოძიება ძნელი არ იყო, მაგრამ დავალების მიხედვით, აუცილებლად ქართველი უნდა ყოფილიყო. წარმოიდგინეთ, რის მიხედვით, უნდა დაგვედგინა ცხედრის ეროვნება. ეს არც არვის აინტერესებდა, ბრძანება აუცილებლად უნდა შესრულებულიყო და 9 მაისის თბილისში მეორე მსოფლიო ომში დაღუპული ქართველი ჯარისკაცის ცხედარი უნდა ჩამოგვესვენებინა: დავალების მიღებისას ქალაქის საბჭოში ფიცი დავდეთ, რომ ჩვენი მისიის დეტალები და მით უმეტეს, აღმოჩენილი ქართველი ჯარისკაცის ვინაობა არასოდეს გამჟღავნდებოდა. ვინაიდან ყველაზე მეტი ქართველი ქერჩში დაიღუპა. მისიის შესასრულებლად ქერჩში ჩავედით. ჩასვლისთანავე ადგილობრივი სამხედროების დახმარებით შევუდექით საქმეს. გადავთხარეთ უამრავი სამარხი. ვეძებდით და რისი იმედი გვქონდა, არ ვიცი...

უამრავი ნეშტი კი ვიპოვეთ. ქალებისაა და მამაკაცების ცხედრებს ადვილად ვარჩევდით ერთმანეთისაგან, მაგრამ როგორ უნდა დაგვედგინა ჩვენ მიერ ნაპოვნი ძვლები, ნამდვილად ქართველს ეკუთვნოდა თუ არა... მაშინ წარმოუდგენლად გვეჩვენებოდა, მაგრამ საქმე სხვანაირად შემოტრიალდა. საერთოდ ომის წესი გახლდათ ასეთი, რომ თითოეულ ჯარისკაცს შარვლის ქამარში ჩაკერებული

ჰქონდა ტყვიის მასრა. მასში ინახებოდა ქაღალდი, სადაც ჯარისკაცის, - სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი იყო მითითებული. როდესაც ჯარისკაცი ომში ან ჰოსპიტალში გარდაიცვლებოდა, ამ მასრას იღებდნენ და მასზე მოცემული ინფორმაციის საფუძველზე ატყობინებდნენ ოჯახს მეომრის გარდაცვალებას.

დიდი ხნის უიმედო ძიების შემდეგ სწორედ ასეთ მასრას მივადექით. ყურაშვილმა დამიძახა „ვანო მგონი გადავრჩითო"... მისკენ რომ შევტრიალდი, ხელში მასრა ეჭირა, რომელიც ახალგათხრილ საფლავიდან ამოიღო. „თუ ძმა ხარ ნახეო," - დაამტა და მასრა გადმომცა. დავითხოვე ყველა დამხმარე მუშა და როდესაც ხუთნი დავრჩით, მასრა გავხსენით. ქართველი აღმოჩნდა...

შიგ ჩადებულ პატარა ფურცელზე სახელი, გვარი, დაბადების წელი და მისამართი იყო მითითებული... მის სახელ და გვარს რა დამავიწყებს, შვილო, მაგრამ ვერ გავთქვამ ამ საიდუმლოებას. იმ ხუთი ადამიანიდან მხოლოდ მე ვარ ცოცხალი და ეს საიდუმლო მიწაში უნდა ჩავიტანო. მაშინ მივხვდი, ჩვენ რატომ გამოგვიშვეს ამ მისიის შესასრულებლად. ეტყობა მასრის ამოღება გამორჩა და ეს ადამიანი დღესაც უგზოუკვლოდ დაკარგულად ითვლება მისი ოჯახისათვის... მისი ძვლები ჩვენი ხელით ამოვალაგეთ. წითელი დროშისმაგვარი ზეწარი გადავაფარეთ, ქერჩის განაპირა ეკლესიის მაგვარ შენობაში დავასვენეთ და საქართველოში დავბრუნდით.

ბატონ ბუხრაშვილს ვაცნობეთ, რომ ქართველი ჯარისკაცი მოვძებნეთ და ახლა მხოლოდ მისი ტრანსპორტირების საკითხი იყო მოსაგავარებელი.

ენაჭარტალა მამაკაცები ამ საქმეში არ გამოდგებოდნენ, ჩემმა გარდაცვლილმა მეგობრებმა ეს საიდუმლო საფლავში ჩაიტანეს და მეც ასე მოვიქცევი... ამ ჯარისკაცის სახელი და გვარი სამუდამოდ უცნობი უნდა დარჩეს, რათა ყველა ოჯახს, რომელსაც ვინმე დაკარგული ჰყავს

ფრონტზე, ეს ჯარისკაცი თავისი მიცვალებული ეგონოს. მე ბოლო ვარ და საიდუმლოს საფლავში ჩავიტან. ფიცი მაქვს დადებული, აი ამას რომ თვალწინ მიკლავდნენ (ბატონმა ივანემ ჭოჭინაში მოთამაშე წლინახევრის შვილთაშვილისკენ მიგვახედა), მაინც ვერ ვიტყვი, არ შემიძლია.

ერთადერთი, რაც შემიძლია გითხრათ, დასავლეთ საქართველოდანაა შვილო, ახალგაზრდა და 22-23 წლის ბიჭია... ამის მეტს ვერაფერს გეტყვით, ისედაც ძალიან ბევრი გითხარით. ის ჯავშანტრანსპორტიორში ჩავასვენეთ და ისე წამოვასვენეთ. როდესაც საქართველოში შემოვედით, გზადაგზა გაშლილი სუფრები გვხვდებოდა, ხალხი გვეგებებოდა, ტიროდა... როდესაც ზუგდიდში ჩამოვედით, სამი მტირალი შაოსანი ქალი მოგვეგება, თურმე ერთ მათგანს სამი შვილი უგზოუკვლოდ დაკარგვოდა ომში, მეორეს-ორი, მესამეს კი ტყუპი ძმები აღარ დაბრუნებოდნენ ფრონტიდან. ამოვიდნენ ბეტეერში და კუბოს გადაეხვივნენ... მე მოხევე კაცი ვარ და ემოციების გამოხატვა ჩემთვის უცხო იყო, მაგრამ ეს ქალები ისე საბრალოდ ტიროდნენ, მეც კი მეტკინა გული და ავტირდი... ქალები კუბოს ვერ მოვაცილეთ, თბილისამდე გამოგვყვნენ...

მოამზადა: დონი ფანჩულიძემ

„დიდი სამამულო ომის გმირზე“ ერთი კიდევ ვანდალური აქტი... რომლის წინააღმდეგაც ოჯახი უძლური აღმოჩნდა...

## კონსტანტინე ლესელიძე

(15/10.1903 (41) 21/02.1944 წწ.)

... ახალგაზრდებო!,“ – „სწორება წინ, გმირობისათვის!!!“



კონსტანტინე ლესელიძე

...ლესელიძის ქუჩისათვის კონსტანტინე აფხაზის სახელი ეწოდება. კოტე აფხაზი დიდი ქართველი იყო და მისი სახელობის ქუჩა დიახაც, უნდა იყოს, მაგრამ ვიღაც შტერს იმ საკრებულოში უნდა სცოდნოდა, რომ საბჭოთა კავშირის გმირობის მიუხედავად, გენერალი ლესელიძე მაინც ღირსეული ქართველი იყო და ამ წოდებას რუსები ქართველებს ტყუილად არ ჩუქნიდნენ, ეს კაცი ერთ - ერთი იშვიათი გენერალთაგანი იყო, ვინც შტაბიდან კი არა, სანგრიდან მეთაურობდა ბრძოლას და ჯარისკაცების გვერდით იბრძოდა. ასე დაიღუპა იმავე ომში და იმავე წელს მისი ძმა, პოლკოვნიკი ვიქტორ ლესელიძეც და იმასაც სიკვდილის შემდეგ მიანიჭეს გმირობა. ეს უნიკალური შემთხვევაა, იმ ომის ისტორიაში.

...ასე რომ, იქნებ დავუბრუნოთ თბილისის ამ ლამაზ ქუჩას არა რუსეთის გმირი, არამედ II მსოფლიო ომის გმირის, მამაცი ქართველი გენერლის სახელი... სხვათა შორის, ლესელიძეების მამა, ნასაკირალის ცნობილი ბრძოლის - რუსების წინააღმდეგ მოწყობილი აჯანყების მონაწილე იყო.

ისტორია ისწავლეთ, ხელისუფალნო ყველა დროისა, გამოგადგებათ!.

რობიზონ პაპიძე: იურისტი, ომის ვეტერანი, ვეტერანების დამცველი.

ბატონო დონი, თავის დროზე მე მოვამზადე ადმინისტრაციული სარჩელი, საკრებულოს იმ გადაწყვეტილების გასაუქმებლად, რომლითაც ლესელიძის ქუჩას კოტე აფხაზის ქუჩა უწოდეს.

პირველი ინსტანციის სასამართლომ დააკმაყოფილა ჩვენი სარჩელი და დაავალა საკრებულოს დაებრუნებინა იმ ქუჩისათვის ლესელიძის სახელწოდება.

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, პირადად სააკაშვილის მითითებით დაიბარეს ა(ა)იპ ვეტერანთა ცენტრალური კავშირის გამგეობის თავმჯდომარე და დაავალეს გამოეტანა სარჩელი სასამართლოდან, რის სანაცვლოდ გლდანის რაიონის ერთ-ერთ უსახელო ქუჩას მიანიჭეს ლესელიძის სახელწოდება. საყურადღებოა, რომ ის მოსამართლე, რომელმაც დააკმაყოფილა ჩვენი სარჩელი და რომელიც ჯანმრთელობას არ უჩიოდა მოულოდნელად გარდაიცვალა!!!...

(დ.ფ.) ბატონო რობიზონ, რატომ მთლიანად ომის ვეტერანები არ ჩართეთ?! - ახლა ეშველება რამე?

(რ.პ.) ვეტერანებიც ჩავრთე, სავსე იყო დარბაზი და ვინც დარბაზში ვერ შემოვიდა, გარედან ადევნებდა თვალს სასამართლო პროცესს. რაც შეეხება „ეშველება რამე?!“-ს რა თქმა უნდა ეშველება, რისთვისაც საჭიროა ვეტერანთა აქტივობა, ხელისუფალთა პოლიტიკური ნება ან საგარეო პოლიტიკური კურსის შეცვლა...

(დ.ფ.) როდესაც 2005 წლის 23 დეკემბერს პარლამენტის დეპუტატებმა (პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე) საქ.

პრეზიდენტის 1995 წლის 17 ოქტომბრის, №812 კანონი შეცვალეს, - ომის ვეტერანებს ყველა შეღავათები მოუხსნეს, ერთ-ერთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ ომის მონაწილეები გამოგვიყენა თავიანთი მიზნებისათვის, ჯერ ბლოკირება მოახდინეთ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, შემდეგ პარლამენტის საკანონმდებლო ორგანოს... რომ შეეჩერებინათ ომის ვეტერანების აქტიურობა, გამოუყვეს გლდანის რაიონში ავტოსადგომების პარკინგები... აი, როგორ ისარგებლეს ომის ვეტერანებით ზოგიერთებმა...

დონი ფანჩულიძე

<<„ნაციონალების“ მსხვერპლი>>

## სულხან მოლაშვილი

(19/11-1969 (47) 29/07-2016 წწ.)

...საქართველომ და ქართველმა ხალხმა, სიმართლისათვის ერთ-ერთი მებრძოლი დაკარგა სულხან მოლაშვილის სახით. ბატონო თამაზ და ბატონო თორნიკე, - ვიზიარებ თქვენს ღრმა მწუხარებას. ბატონო თამაზ, თქვენ „გმირი შვილი“ აღუზარდეთ საქართველოს!!!

დ ო ნ ი   ფ ა ნ ჩ უ ლ ი ძ ე




სულხან მოლაშვილი, საქ. კონტროლის პალატის თავმჯდომარე



მარცხნიდან: დონი ფანჩულიძე, თამაზ მოლაშვილი (უცნობი), სულხან მოლაშვილი. გად. აგვისტო, 1985წ. კურორტი უწერა, სანატორიუმი „ფაზისი“.



სულხან მოლაშვილი. 2004. სასამართლოს წინაშე

...„ჩვენ ყველას მივცემთ საშუალებას, რომ სამართალი მოძებნოს ამ ქვეყანაში“.

ბიძინა ივანიშვილი (პრემიერმინისტრი, 2012წლის 10 თებერვალი).

...სამართლის ძებნაში, სულხან მოლაშვილი 47 წლის ასაკში გარდაიცვალა... რატომ არ გამოიძია ივანიშვილის ხელისუფლებამ სულხან მოლაშვილის საქმე?

„...მიუხედავად იმისა, რომ ამ ხელისუფლებამ ამ ტიპის დანაშაული არ ჩაუდენია, თანამონაწილე ხდება დანაშაულის, რადგან დანაშაულის გამოძიების საბოტირება თითქმის ისეთივე დანაშაულია, როგორც წამება“.

ექსპერტი: გ ი ა ხ უ ხ ა შ ვ ი ლ ი (გაზ. „ალია“, 73 30/VI-2016წ.)



თამაზ მოლაშვილი (სულხან მოლაშვილის მამა)

....სულხანმა რამდენჯერმე პროკურატურას მიმართა, ამდენხანს რას იძიებთო? ერთი პერიოდი ხელიც კი ჩაიქნია, მაგრამ ჩემი განადგურება სააკაშვილს როგორ შევარჩინოო – თავის თავზე ბრაზდებოდა. ახლა სულ არ მაინტერესებს, გამოძიება დასრულდება, ვინმე დაისჯება თუ რას იზამენ – შვილი აღარ მყავს!

თამაზ მოლაშვილი
(სულხან მოლაშვილი მამა)
გაზ. „ასავალ-დასავალი“
II/17-VII.2016წ. №28

# ... 2003 წლიდან 2012 წლამდე 320 000 ქართველს ღირსება შეულახა

## „ახალი ქართველების“ მაგალითის მიმცემი



აი, ამ „მხედართმთავარმა“
შეცვალა თქვენი ქუჩა
კოტე აფხაზით
ბატონო გენერალო!

მაგალითის მიმცემო! ბატონო სააკაშვილო, როგორ აღვზარდოთ ახალგაზრდობა „პატრიოტული“ გრძნობითა და შემართებით?! თქვენი შემყურე, ან თქვენი დანიშნული 22 ლარით, რომელიც გადმოუგდეთ „სამაჩაბლოსა“ და „აფხაზეთის“ ომის მონაწილე ვეტერანებს, რომელიც დაამტკიცეთ 2005 წლის დეკემბრის საპარლამენტო სხდომაზე. პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე.





...ამ ე.წ. „სამაჩაბლოს“ ომის მხედართმთავარმა, - დავით აღმაშენებლის ძეგლი აიღო და ვანდალურად დიღმის საავტომობილო გზაზე გადაიტანა მშრომელი ხალხის დაუკითხავად (დ.ფ.)



კაპიტანი
ზურაბ თურას ძე
არაბიძე

# ზურაბ არაბიძე
## (29/05-1962 (58) 2020 წწ.)

*„იქნებ სჯობდა სიკვდილი,*
*წაგებულ ომიდან შინ დაბრუნებას,*
*მოსაგონარ სადღეგრძელოს*
*მაინც იტყოდნენ რიხიანად!“*

*ზურაბ არაბიძე*

მეგობრებო!, ეს სიტყვები ზურაბ არაბიძისაა, რომელიც გულიდან ამოიღო და დაგვიტოვა თანამებრძოლებს....

2018 წლის ფარგლებში საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა ქალაქ ქუთაისში, რომელსაც უცხოელ დიპლომატებთან ერთად იმერეთის რეგიონის მუნიციპალიტეტის მერები, საკრებულოს თავმჯდომარეები, მათი მოადგილეები ესწრებოდნენ: მთავარი თემა იყო, საქართველოში, - „ნატოს ურთიერთობა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პერსპექტივები“, სადაც მიზნობრივად დაუსახეს ზემოთ აღნიშნულ ხელმძღვანელობას ომის ვეტერანებისა და მათი ოჯახების მიმართ. ისიც გაარკვიეს და დაადგინეს, რომ მთავრობას, ჯერ - ჯერობით არ ეცალათ ამ ხალხისთვის და არც იციან, თუ რა ჩართულობას გულისხმობდა მითითებული მუნიციპალიტეტი იმ დროს...



ზურაბ არაბიძე

ზურაბ არაბიძე, თერჯოლის რაიონი, სოფელ რუფოთში დაიბადა 1962 წლის 29 მაისს, მეორე ჯგუფის ინვალიდი, პენსიონერი... 1993 წლის ივლისის თვეში ტერიტორიული მთლიანობისათვის, აფხაზ სეპარატისტებთან წინააღმდეგ ბრძოლა,

ქალაქ ქუთაისის პოლიციის გარნიზონის  თანამშრომლებთან ერთად მოუხდა, სოხუმის რაიონი, სოფელ შრომაში. რუსეთის მხრიდან დესანტის გადმოსხმის დროს. მას გვერდში დაეღუპნენ თანაბრძოლები, - ბაჩუკი ფხაკაძე, წყალტუბო, ფარცხანაყანებიდან სამარადისო დიდება მათ!, ამის შემდეგ თვითონ იჭრება მძიმედ,- მუცლის, ხერხემლისა და ზურგის არეში.

= ჯემალ სირბილაძე = („აფხაზეთის ომის მემატიანე“)

ზურაბ არაბიძე ჩემს თვალწინ დაიჭრა სოფელ შრომაში. ერთ დღესაც შტაბიდან გამოვდიოდი, უცებ გაისმა სროლის ხმა, ზურა წაბორძიკდა, მარჯვენა ხელი შევაშველე, მარცხენათი კი ფოტოაპარატი ამოვიღე და სურათი გადავუღე. ასე დავაფიქსირე ზურას დაჭრის მომენტი. ერთი თვის შემდეგ თბილისში, პოლიციის სამმართველოში შევხვდი. თავი გავახსენე და ფოტოს გადაღების ამბავი დაწვრილებით გამოვკითხე - ტყვია რომ გავარდნილა, თურმე ჭურვის ნამსხვრევები რომ ამოუღიათ, ფეხზე მაინც ვერ დამდგარა, გაუსინჯიათ და მაშინ უპოვიათ ხერხემალთან ტყვია.



ფოტოზე: კაპიტანი ზურაბ არაბიძე  დაჭრის მომენტში
აფხაზეთი, სოხუმის რაიონი, სოფ. შრომა

მაშინდელი ჭრილობა თავსი მთელი ცხოვრების მანძილზე ახსენებდა...

ღმერთმა ეს კაცი იმდენხანს გვაჩუქა, დაოჯახდა, მეუღლე შორენა მახათაძეა, შვილები, - ლაშა, თავდაცვის აკადემიის III-ე კურსის კურსანტია, გიორგიმ საშუალო განათლება მიიღო, ემზადება უმაღლეს სასწავლებელში მისაღებ გამოცდებისათვის. ოჯახური მეურნეობის მოწესრიგების შემდეგ აპირებდა ერთობლივად გაგვეკეთებინა საბრძოლო ეპიზოდების გამოფენის გაკეთება და ეს სურვილი თან წაიღო...

ჩემს თანამებრძოლ - ზურაბ არაბიძეს ვხვდებოდი როგორც თერჯოლის რაიონში, ასევე თბილისში სხვადასხვ მასიურ ღონისძიებებზე, რომლებთან ურთიერთობიდან ვამჩნევდი რეაბილიტაციის პერიოდში არავითარ დახმარებას არ ღებულობდა. დახმარებას ვინ დაეძებდა, რაც შეღავათები გვქონდა „ნაციონალების ხანაში“, 2005 წლის პარლამენტის დადგენილებით, თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე, ისიც გაგვიუქმეს.

ცხოვრება გრძელდება



მამა-შვილი
ზურაბ და ლაშა არაბიძეები

გარდაცვალებამდე მიღებული ჭრილობების გამო დასჭირდა ორი გადაუდებელი ოპერაცია, რაზედაც ვეტერანთა სახელმწიფო სამსახურმა, ოპერაცია დაუფინანსა, რაიონის გამგეობამაც ერთჯერადი დახმარება ჩაურიცხა.

2005 წლიდან ირიცხებოდა შ/ს სამინისტროს პენსიონერთა კატეგორიაში. არავის გახსენებია, ვინ იყო, ან რა დამსახურება ჰქონდა ქვეყნის სასიკეთოდ.



ზურაბ არაბიძე სტუმრად თანამებრძოლ
დონი ფანჩულიძესთან სამუშაო ოთახში







2022 წლის 29 მაისს ზურაბ არაბიძეს <<**60 წელი**>> შეუსრულდებოდა
ფოტოზე თანამებრძოლები: ზაირა მიქატაძე და დონი ფანჩულიძე







შვილები: გიორგი და ლაშა არაბიძეები
გმირი მამის საფლავზე დროშის აღმართვის დროს






ზურაბ არაბიძის საგვარეულო საფლავი
თერჯოლის რაიონი სოფ. რუფოთი
დროშის აღმართვა თანამებრძოლის დონი ფანჩულიძის მიერ

მისთვის აფხაზეთში წასვლა არავის დაუძალებია, უბრალოდ სხვანაირად არ შეეძლო. მან ადამიანური ვალი პირნათლად მოიხადა. ის როგორც სხვები, ძალიან განიცდიდა, რომ წაგებული ომის ვეტერანი იყო...

ზურაბ არაბიძის ბრძოლის ეპიზოდების ფოტოსურათები ქალაქ ქუთაისის საბრძოლო დიდების მუზეუმშია გამოფენილი. მას 25 წლის შემდეგ 12 ივლისს, საუკუნის მეოთხედის გასვლის შემდეგ ამოუღეს ყუმბარიდან გასროლილი ფრაგმენტები, რაც მსოფლიოში აკრძალული იარაღიდან იყო დაჭრილი, რამაც მოუსწრაფა მის ავადმყოფობას. ეს ფრაგმენტები, - „ასკოლკები“ ინახება ქუთაისის საბრძოლო დიდების მუზეუმში.

სამწუხაროდ იმ ავადსახსენებელ პერიოდს, რომლებმაც „ნაციონალებად“ დაგვამახსოვრებინეს თავი, ადამიანები და ომის ვეტერანები, ქვეყნისა და ჩინოვნიკებისათვის სხვა ფასეულობებით ფასდებოდა... როცა ვსაუბრობ და მის არაადამიანურ ქმედებებში ვამხელ, გასაგებია, მაგრამ როცა შენ შენი მოქალაქისათვის მზრუნველის მანტიას ირგებ და „ხელკეტისა“ და „რეზინის ტყვიებით“ მესაუბრები გმირთა მოედანზე, - „გმირების მემორიალთან“, ვფიქრობ, უფრო საგანგაშოა.

მეგობრებო! მოწვეულო დამსწრე საზოგადოებავ, დღეს 2022 წლის 29 მაისს ჩვენ თანამებრძოლს, რაიონისა და სოფლის საამაყო შვილს - ზურა არაბიძეს 60 წელი შეუსრულდებოდა. უფლება არ გვქონდა მე და ჩემს თანამებრძოლ ომის ვეტერანებს, მის საგვარეულო სასაფლაოზე არ აგვემართა, - „საქართველოს ეროვნული დროშა“, რომელსაც იმსახურებდა და იმსახურებს.

ჩემო ზურა!, ჩემი თხოვნა და თქვენი ოცნება, რომელიც საფლავში ჩაიყოლიეთ, საქართველოს პრემიერ მინისტრმა, - ირაკლი ღარიბაშვილმა, წლების მანძილზე „გაყინული“ 22-00 ლარიანი

სუბსიდია „გაალღო“, 2022 წლის იანვრის თვიდან ომის ვეტერანებს დაგვიფასა ის საშინელება, რაც თითოეულმა მათგანმა გადავიტანეთ, - „სამაჩაბლოსა“ და აფხაზეთში“, ეს კიდევ იმის მანიშნებელია, რომ საქართველოში სიტყვა „პატრიოტიზმმა“ თავისი ავტორიტეტი დაიმკვიდრა.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და ერთიანობისათვის დაღუპულ გმირ მეომრებს დავიწყება არ უწერიათ!

*დონი ფანჩულიძე*

*თერჯოლა, სოფ. რუფოთი*

*29/V- 2022 წელი.*

## გმირებს დავიწყება არ უწერიათ
## ავთანდილ (დავით) „ჩეჩენა“ ჩიხლაძე
## (12/06-1961 (60) 3/09-1921 წწ.)



დავით „ჩეჩენ“ ჩიხლაძე

„ამდენ ნაბრძოლს ეს ვერაგი როგორ მოგერია“ - კორონა ვირუსს აფხაზეთის ომის ვეტერანი, პოლკოვნიკი, სადესანტო - მოიერიშე ბატალიონის მეთაურის მოადგილე, საქართველოს ამპუტანტთა ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტი დავით (ავთანდილ) ჩიხლაძე ემსხვერპლა.

პოლკოვნიკის გარდაცვალებას სოციალურ ქსელში მისი მეგობრები, ვეტერანი სამხედროები ეხმაურებიან და წერენ, რომ ვიცე პოლკოვნიკი რამდენჯერმე ტყვიით სიკვდილს გადაურჩა, თუმცა ვირუსმა მას სიცოცხლე წაართვა.

„არ გცოდნია სიტყვის შესრულება მეგობარო... გუშინ შენი წერილი წავიკითხე, აფხაზეთში დაღუპულ შენს ძმებს სწერდი: „ჩეჩნურ ქუდს სოხუმში, შავ ზღვაში რომ მოვისვრი, აი მაშინ ამოვალ თქვენთანო...“ ამდენ ნაბრძოლს ეს ვერაგი როგორ მოგერია... სული გვეწვის შენს მეგობრებს დათო... დიდება შენ და შენისთანა ქართველებს“, - წერს სოციალურ ქსელში: შორენა სიხარულიძე.

ვეტერანებო დიდ ოჯახს კიდევ ერთი ღვაწლმოსილი წევრი, ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის თანამშრომელი, ავთანდილ (დავით) ჩიხლაძე გამოაკლდა.

„აფხაზეთისა“ და „სამაჩაბლოს“ ომების მონაწილე, საქართველოს ამპუტანტთა ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტი,

თადარიგის პოლკოვნიკი, „კორონა ვირუსით“ გამოწვეულმა გართულებებმა იმსხვერპლა, (სოციალურ ქსელში კომენტირებენ).

„აფხაზეთის ომის ვეტერანი, პოლკოვნიკი ავთანდილ (დათო - „ჩეჩენა“) ჩიხლაძე დაიბადა თბილისში 1961 წლის 12 ივნისს, 14 ჭრილობას გადაურჩა ეს ლომივით კაცი და აგერ „ კორონამ იმსხვერპლა... მაპატიეთ, რომ იქ დაწყევლილ... 93 დღის 18 ივნისს გადავრჩი, ხომ იცით „ჩემი ბრალი“ არ არის, რა ვქნა, ალბათ განგებისაგან, ზოგი თქვენგანი თითო ტყვიამ გაგაცივათ... სატანას 14-მა ვერა დამაკლო, 14 ჭრილობა ერთ დღეში... და ამ დროს თქვენს გვერდით არ ვწევარ! - ღმერთს და მის ძალას ვფიცავარ თუ არ მერჩიოს იმ ცხოვრებას, რა ცხოვრებითაც დღეს ვცხოვრობ...

ბედნიერი ხართ ჩემო ვასო, ჩემო გოჩა, ზაზა, კობა, თამაზ, დათო, ლევან... პაატა, კოტე... ბედნიერები ხართ ყველა ვინც ამ სიბინძურეს არ ხედავთ, რისთვისაც გვიომია თურმე, ბედნიერები ხართ კიდევ, იმიტომ რომ თქვენ ომწაგებული ბიჭები არ ხართ, როგორც ჩვენ ცოცხლები...

რას იზამ, ზოგი კი იტყვის ხოლმე, სულელები იყვნენ ვინც კვდებოდა აფხაზეთში, ტყუილა იკლავდნენ თავსო, მაგრამ გული არ დაგწყდეთ ძმებო, ვინც ამას ამბობს ისინი ხომ ყველა გრძნობას მოკლებული ხალხია. ეს მარტო „ჩვენი“ და „ჩვენნაირი“ ბიჭების ხვედრია. ვიცოდით ეს და ჩვენ ტყუილად არ ვიკლავდით თავს, „ჩვენნაირი“ ბიჭების ხვედრია სამშობლოს სიყვარული, მისი კეთილდღეობა, მისი სიკეთე  და თუ საჭირო იქნება მისი გულისთვის თავის გაწირვაც. ასე რომ მოდით, ერთად ვაპატიოთ იმ უვიცებს, ვინც სულელებს გვიწოდებდა ჩვენ ნაომარ ბიჭებს და თქვენც...“

## *კომენტარები ინტერნეტსივრციდან*

გუგული ელიზბარაშვილი: ამ ძვირფასი ადამიანის გულიდან წამოსულმა და არა უბრალოდ ნათქვამმა მონოლოგმა გული ისე ამიჩუყა, რომ ტირილი ვერ შევიკავე, ვერ მომიძებნია მის შესამკობად, სადიდებლად სიტყვები. ამ პატრიოტი, დაღუპული მებრძოლების ერთგული და გულით მატარებლის დიდება არ დავიწყება ყოფილიყოს დიდ სამამულო ომში დაღუპული მამის შვილი გუგული ელიზბარაშვილს ვუთანაგრძნობ.

თინა თინულია: როგორი, გულის ამაჩუყებელი სიტყვებია ნათქვამი დავითის მონოლოგში. ნანობდა, რომ ცოცხალი გადარჩა, იმ ავადმოსაგონარ და ამდენ ჭრილობას გადაურჩა და რაღა მაინცდამაინც „კორონას“ უნდა ემსხვერპლა ასეთი სულის და გულის ადამიანი? ზოგჯერ, როგორი ულმობელია ეს ცხოვრება. ძალიან დამწყვიტა გული, ნათელი არ მოაკლოს უფალმა ამ უძირფასეს ადამიანს, რომლემაც დიდი ტკივილი წაიღო როგორც მეგობრების, ისე სამშობლოსადმი სიყვარული. იხაროს მისმა დანატოვარმა მრავალჟამიერ!

ავთანდილ ჩიხლაძე: მაპატიეთ ვალმოხდილი პოლკოვნიკი „არწივებო“! (მონოლოგი აფხაზეთში დაღუპულ ბიჭებთან.)

„დღეს 18 ივლისია... მაპატიეთ ძმებო! მაპატიეთ იმიტომ, რომ - მე ცოცხალი ვარ და თქვენ საფლავებს ვერ დავივლი დღეს, ისე, როგორც ყოველ 18 ივლისს დავდიოდი... 94-ში, 95-ში, 96-ში...

მაპატიეთ, რომ თითო ჭიქას ვერ წაგიქცევთ სათითაოდ ყველა თქვენგანის საფლავებზე... ღმერთო რისთვისაც ჩვენი ძმები დაიღუპნენ ის დაგვესრულებიოს და მერე თუნდაც სული გაგვძრომია!... (დ, ფ.)

ავტორისაგან: (დ,ფ,) როდესაც ავღანეთისა და სხვა ომების მეომართა დახმარების საერთაშორისო ფონდის პრეზიდენტი გურამ ალავიძე და მე, პრესსამსახურის ხელმძღვანელი, 2019 წლის 29 სექტემბერს 20 წლიანი ანგარიშით გამოვედი ვეტერანთა სახელმწიფო სამსახურის სააქტო დარბაზში, დამთავრების დროს სამახსოვრო ფოტო გადავიღეთ და თან ხუმრობით მითხარი, თქვენს გამოსაცემ წიგნში ერთი გვერდი დაუთმეო... სამწუხაროდ გარდაცლილ ჩემს თანამებრძოლებზე გამოშვებულ წიგნში მოხვდით ჩემო, - „ჩეჩენ“! სამარადისო დიდება შენს ნათელ, უმწიკვლო სულს (დ. ფ.)




ავღანეთისა და სხვა ომების მეომართა დახმარების საერთაშორისო ფონდის პრეზიდენტ გურამ ალავიძის და პრესსამსახურის ხელმძღვანელის დონი ფანჩულიძის მიერ გაწეული მუშაობის ანგარიშის წარდგენა ვეტერანთა სახელმწიფო სამსახურის სააქტო დარბაზში
**ფოტოზე დავით ჩიხლაძე და დონი ფანჩულიძე 2019 წლის 29 ნოემბერი**

ავთანდილ (დავით) ჩიხლაძე 60 წლის გახდა, მას 5 სექტემბრს სამების საპატრიარქო ტაძრის ეზოში მდებარე, ელია თეზბითელის სახელობის ტაძრიდან გამოასვენეს და თბილისში, წმინდა ბარბარეს (ე.წ. „ზეემკის“) სასაფლაოზე სამხედრო პატივით დაკრძალეს.



თანამებრძოლები: მარცხნიდან არსენ ჩხოძუა,აფხაზეთის ომის მონაწილე,დავით ჯანცურია გვარდიის პოლკოვნიკი,ავღანეთის სამაჩაბლოს და აფხაზეთის ომის მონაწილე, გურამ ალავიძე ავღანეთის,სამაჩაბლოს და აფხაზეთის ომის მონაწილე, თემურ ქირია სერჟანტი,ავღანეთის სამაჩაბლოს,აფხაზეთის ერაყისა და ქუვეიტის ომის მონაწილე, ნინო ფოფხაძე უფროსი ლეიტენანტი აფხაზეთის ომის მონაწილე. დონი ფანჩულიძე სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ომის მონაწილე. გაღ:გმირთა მოედანზე მემორიალთან 27 სექტემბერი 2012 წელი ''სოხუმის დაცემის დღე''




მარცხნიდან დგანან: ლერი მანგიაშვილი, დავით ჩახმახაშვილი, გურამ ალავიძე, - მეომართა ფონდის პრეზიდენტი, რომა „პაპა“ დოდაშვილი, დომენტი (დონი) ფანჩულიძე, დავით მუხიგულაშვილი. სხედან მარცხნიდან: ოთარ ტუხაშვილი, ზვიად გოგია, ირაკლი კელენჯერიძე... გადაღებულია თბილისის ზღვაზე „ვეტერანთა პარკში“, 2014 წლის 17 ოქტომბერს ვეტერანების დღესთან დაკავშირებით.

## გმირი ძმები, -
## „ვაშლიჯვრის ძმათა სასაფლაოზე“

აფხაზეთის ომში დაღუპული ოთხი შვილის დედა ბელა ზალდასტანიშვილია.

როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო გმირი ხერხეულიძეების დედა, როდესაც მისი შვილები ბრძოლის ველზე, მის თვალწინ დაეცნენ?! ალბათ, როგორც ბელა ზალდასტანიშვილი იყო წმინდა სამების საკათედრო ტაძარში ოთხი უძვირფასესი ნეშტის ჭირისუფლად. აფხაზეთის ომში ერთბაშად დაკარგა შვილებივით გაზრდილი ტყუპი ძმა და ორიც საკუთარი ვაჟი.

ძმები, ბიძების კვალს გაჰყვნენ და ქვეყნის ეროვნული უშიშროების სამსახურში ჩადგნენ, არ უფიქრია, მუდმივ საფრთხესთან პირისპირ მყოფ შვილებსა და ძმებს ძალიან ნაადრევად, გმირულად თუ მოუწევდათ მამულიშვილური ვალის მოხდა მაშინაც, უკანასკნელად რომ გააცილა, არ დაეჭვებულა, რომ ის დღე ბოლო იყო, მერე კი წარმოდგენილი ტკივილისა, დაკარგული გვამების ძებნის ხანა დაიწყო, ტყუპი ბიძები 28 წლის, მათი დისშვილები 24, 23 წლის ასაკში დაიღუპნენ. 1993 წლის 22 სექტემბერს უშიშროების სამინისტროს თანამშრომლები თემურ და ზურაბ ზალდასტანიშვილები და ვასიკო და ნუკრი წიკლაურები სოხუმში სახელმწიფო მეთაურის, ედუარდ შევარდნაძის გამოსაყვან ოპერაციაში მონაწილეობისათვის მიემგზავრებოდნენ. მათი თვითმფრინავი ბაბუშერას აეროპორტში დაჯდომისასააფეთქეს. ქალბატონი ბელა ზალდასტანიშვილი უგზო-უკვალოდ დაკარგულთა მოკვლევა - მოძიების კომისიის თავჯდომარის სტატუსით სხვის შვილებთან, ძმებთან, მამებთან, ქმრებთან ერთად ეძებდა საკუთარ შვილებსა და ძმებს.

<<გმირი დედა>>




მარცხნიდან: დონი ფანჩულიძე, ბელა ზალდასტანიშვილი, გურამ დამენია
„ვაშლიჯვრის ძმათა სასაფლაოზე“

...2014 წლის გაზაფხულზე ბაბუშერას სასაფლაოზე ძმათა სამარხის ექსჰუმაცია ჩატარდა. 2014 წლის 4 დეკემბერს წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტმა დევნილთა და განსახლების სამინისტროს 4 - ნეშთის იდენთიფიკაციის შესახებ ექსპერტიზის დასკვნა წარუდგინა და გაირკვა, რომ ოთხივე ნეშტი ერთ ოჯახს ეკუთვნოდა...

თემურ და ზურაბ ზალდასტანიშვილები ვასიკო და ნუკრი წიკლაურები დაკრძალულნი არიან, „ვაშლიჯვრის ძმათა სასაფლაოზე“.

დონი ფანჩულიძე



ნიკოლოზ წიკლაური - 4/04-1962 წ. (31) 22/09-1993 წ.
ვასილ წიკლაური: 4/04-1962 წ. (31) 22/09-1993 წ.
თემური ზალდასტანიშვილი: 2/03-1968 (25) 22/09-1993 წ.
ზურაბი ზალდასტანიშვილი: 22/10-1969 (24) 22/09-1993 წ.



ჟიული შარტავა

„ეროვნული გმირი“

ჟიული შარტავა

(7/03-1948 (45) 27/09-1993 წწ.)

„...ბოლომდე ვიბრძოლებთ, ვიდრე შეგვიძლია და თუ სიკვდილი გვიწერია, არც ეს უნდა იყოს დიდი ტრაგედია. ისეთი ბიჭები იხოცებიან, რომ ძნელია ამის შემყურემ სიცოცხლეზე იფიქრო. რას იზამ, ბედისწერას ვერ გაექცევი“.

ჟიული შარტავა, 1993 წელი, 27 სექტმბერი

ქ. სოხუმი

(დ.ფ.) სამშობლოზე შეყვარებულ „ეროვნულ გმირს“ ამ სიტყვების შემდეგ რამოდენიმე საათში დახვრიტავენ აფხაზი ექსტრემისტები....

„...მე ისეთი დამოუკიდებელი საქართველოს მომხრე ვარ, სადაც პიროვნების სრული თავისუფლება იქნება და ამასთანავე იქნება წესრიგი, იზეიმებს კანონი, მომხრე ვარ ისეთი საქართველოსი, რომელსაც ექნება საკუთარი ძლიერი ეკონომიკა და აღმავალი სულიერი სფეროები, საკუთარი თავდაცვისუნარიანობა, საგარეო - პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობები, მტკიცე და საიმედო საზღვრები, უზრუნველყოფილი ტერიტორიული მთლიანობა: საქართველოში, რომელსაც კარგი დამოკიდებულება ექნება მეზობლებთან, დანარჩენ მსოფლიოსთან, საიმედო მოკავშირეები ეყოლება. საქართველოსი, სადაც იქნება მაღალი პოლიტიკური კულტურა. ჭეშმარიტი ტოლერანტობა და ჭეშმარიტი დემოკრატია: ისეთი საქართველოს მომხრე ვარ, რომლის ბედ-იღბალი არ იქნება ან ნაკლებად იქნება დამოკიდებული ნებისმიერ კავშირზე... ცხოვრება გრძელდება! რადგან სამშობლოსათვის ბრძოლას ყოველთვის აქვს

აზრი. ყველაზე მეტად განვიცდი... ვიცი, რას ნიშნავს, როცა სამშობლოს უჭირს... ვიცი, რას ნიშნავს, როცა ქვეყნის შიგნით ერთიანობა არ არის.

ვიცი უთავო მეთაურობის ამბავი... ვიცი, როგორ მივდიოდი აფხაზეთის ომისკენ... ვიცი, რატომ ვერ გავერთიანდით, როცა დაპირისპირების დროსაც კი ვიცოდით, რომ ორივე მხარეს საქართველო იყო!

ვიცი, ჩვენი თაობის ამბებიც... მათ, ჩემსავით ატკინეს გული. ახალგაზრდობაში „დიდობა“ არ აღირსეს და დიდობაში „ახალგაზრდობა“! ყველაფერი მაინც დალაგდება... გამოცდილებას, აზროვნებას, წლებს და კაცობას ფასი მაინც დაედება!

*ჟიული შარტავა*




ჟიული შარტავას ბიუსტი
,,გმირთა მოედანზე‘‘



ჟიული შარტავა პირადი დაცვის თანამშრომელთან ერთად
აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს შენობის წინ
27 სექტემბერი 1993 წ. ქ. სოხუმი

„სახალხო დეპუტატი“

თამაზ მეჭიაური

(1/12-1954 (67) 15/02-2022 წწ.)

*პოლიტიკოს თამაზ მეჭიაურს დღეს უამრავი ადამიანი ემშვიდობება თბილი მოგონებებით*

(პოეტი - ტარიელ ხარხელაური)



თამაზ მეჭიაური

სხვანაირად დადიოდა წუთისოფელში, სახეზე იარა ისე ამშვენებდა, როგორც ღიმილი. სიარული უხდებოდა, ქეიფი უხდებოდა, ამბობს პოეტი ტარიელ ხალხელაური, რომელსაც თამაზ მეჭიაურთან 40-წლიანი მეგობრობა აკავშირებდა.

თამაზ მეჭიაური ხალხთან უშუალო ურთიერთობით გამოირჩეოდა. ამის გამოხატულება იყო მისი ქეიფების სერიები მანქანების „კაპოტზე“ ამაზე თავადაც იუმორით წერდა ხოლმე და ფოტოებსაც აქვეყნებდა. „ეს უკვე მეექვსე კაპოტი, მალე მეშვიდეც იქნება“, - წერდა თამაზ მეჭიაური. „ნამდვილი ვაჟკაცები სწორედ ასე იქცევიან“, - უწერდნენ კომენტარებში.

თიანეთის მერობის დროს თამაზ მეჭიაურის ოპონენტი დეპუტატი ზაქარია ქუცნაშვილი იყო და თიანეთში მომხდარი ერთ-ერთი მსვლელობის დროს ის სწორედ „კაპოტზე“ ქეიფებს გადაწვდა.

დანაშაული ჩადენილია სიმთვრალეში, რაც ჩემთვის საგანგაშოა. როცა მე ჩამოვდიოდი და საჯაროდ ვაკრიტიკებდი საჯარო სივრცეში ალკოჰოლური თრობის საწინააღმდეგო კამპანიას და ბევრი იუმორითაც ხვდებოდა ამას, რომ კაპოტზე ქეიფის პროპაგანდირება, ეს ჩვეულებრივი ამბავია, სახუმარო ამბავია და არასერიოზული ამბავი, მე მგონი, ყველა დარწმუნდება, სამწუხაროდ, რა მძიმე შედეგები

გამოიღო ამ მავნე ზეგავლენის ცხოვრების პროპაგანდირებამ. როცა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი კაპოტზე ქეიფით საჯაროდ დემონსტრირებას და მავნე ზეგავლენას ახდენს საზოგადოებაზე და ყველამ იცის, რომ ჯიბით ატარებს კონიაკს, როცა სამუშაო კაბინეტში წიგნის ნაცვლად სავსეა ალკოჰოლური სასმელებით. ეს არის მავნე ზეგავლენის პირდაპირი პროპაგანდირება - აცხადებდა ქუცნაშვილი.

ავტორისაგან: (დ.ფ. ) ბატონო თამაზ!

წინაპრებიდან მოდის, დრო ყველაფრის მკურნალიაო, ასი წელიც რომ გავიდეს წარსულის დადებითი და უარყოფითი გმირების ნამოქმედარი არ იკარგება... არ შეეძლო ეს ბოლო კომენტარი ჩემს წიგნში არ აღმენიშნა, თქვენ იყავით ვაჟკაცი, მეგობრობის, პრინციპულობის ეტალონი, რომელსაც გიყვარდა თქვენი ქვეყანა, განსაკუთრებით თქვენი მშობლიური თიანეთი, საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხე, სადაც დაიბადე და აღიზარდე. ადამიანი, რომელმაც, სარწმუნოების და ტრადიციების დაცვის გამო ლიბერალისტებმა ჰომოფობად შეგრაცხეს.

მსუბუქი ყოფილიყოს თქვენს გულზე, თიანეთი, სოფელი ჟებოტას საგვარეულო მიწა.

*„ ინტერნეტსივრციდან“*

მეგობრებო!

გვემშვიდობება - „ რჩეულთა რჩეული“, გამორჩეული პიროვნება: თამაზ მეჭიაური, რომელმაც მხოლოდ მარტო ჩემი გული კი არ მოინადირა, რომლის ბიოგრაფიას ჩემს გამოსაცემ წიგნში შევიტანე) მისი ვაჟკაცური ხასიათი და გული გადააფარა დედასამშობლოს. სამი ათეული წელი სახელმწიფო მოხელე, საკანონმდებლო ორგანოში, პარლამენტარი, ვერ „მოისყიდეს“, ვერ „გადაბალეს“ უპირველეს ყოვლისა სამშობლო უყვარდა, მისი თავმდაბლობის გერბი და ემბლემა ეს იყო, როდესაც ავტომანქანის „კაპოტზე“ დედას პურს გატეხდა, წნილს მიაყოლებდა, ჭიქით, საქართველოს - სამშობლოს



თამაზ მეჭიაური ჩოხოსნებთან ერთად დიდგორობაზე
<<900 წლისთავთან>> დაკავშირებით, 2021 წლის 12 აგვისტო



თამაზ მეჭიაური ომის ვეტერანებთან ერთად
„გამარჯვების პარკში“, 2019 წლის 9 მაისი

სადღეგრძელოს შესვამდა და გვერდში უბოროტო, ალალ ხალხს ამოიყენებდა... საქართველოში დაგეგმილი, ყველა მასიურ ღონისძიებებზე, თვალსაჩინო ადგილზე გამოჩნდებოდა, მის გარშემო იკრიბებოდნენ მისი გულშემატკივრები და იმედის მომცემი გამოხედვით გვაიმედებდა, მის სახეზე ე.წ. „შრამიც“ კი მიღიმოდა...

(დ.ფ.): ბატონო თამაზ! ომის ვეტერანები და ჩოხოსნები, - „გამარჯვების პარკში“ და „დიდგორზე“ ვეღარ შეგხვდებით, ვეღარ გადავიღებთ სამახსოვრო ფოტოებს... პირველად რომ გაგიცანით დაახლოებამდე, ფორმიანმა ომის ვეტერანებმა გთხოვეთ, - „გამარჯვების პარკში“ ფოტოს გადაღება გვინდა თქვენთან ერთადქო! თქვენი თავმდაბლური პასუხი და ნება იყო, რომელიც რამოდენიმე წლის წინ ნათქვამი, ეხლაც ყურებში მესმის, - თუ მიკადრებთო!, აქ გამოამჟღავნეთ თქვენი თავმდაბლობა, რომელი თვმდაბლობით, პირდაპირი ლაპარაკით, შეუპოვრობით, არაანგარებითი თანაცხოვრებით, არა მარტო თიანეთისა და სოფელ ჟებოტას შეაყვარე თავი, არამედ მთელ თბილისსა და საქართველოს, რომელიც ჯერჯერობით, - ფეისბუქზე, ინტერნეტსივრცეში გამოხატავენ კომენტარებით თქვენი გულშემატკივრები. თქვენზე იმ მწუხარებას, რაც გამოწვეულია თქვენი მოულოდნელმა გარდაცვალებამ, თავს მოხვეულმა, - „უხილავმა მტერმა“.

იძინე მშვიდად, ილოცე თქვენი მოხუცებული დედის სიცოცხლის გახანგრძლივებისათვის, სანთელ-სარკმეველი და დიდება არ მოგკლებოდეთ რჩეულთა - რჩეულო ბატონო: თამაზ!

*დონი ფანჩულიძე*



თამაზ მეჭიაური და
ტარიელ ხარხელაური

*ინტერნეტსივრციდან*

ჩემო თამაზ! ჩემო მეგობარო! ვიდრე ცოცხალი ვარ სხვა დროში და სხვანაირად შენთვის დაბადების დღის მოლოცვა გამიჭირდება... უხდებოდი სოფელს, მაგრამ სოფელმა ვერ მოგიხდინა... უხდებოდი სამეგობროს, უხდებოდი შენს ქვეყანას, ყველაზე დიდსა და ყველაზე წმინდას, როგორც კარგ ყმას შეჰფერის, გყავდა მტერი, მაგრამ შენი უზარმაზარი კაცობით არავის მტრობა არ შეეძლო... დადიოდი წუთისოფელში, ამ ბინდისფერ წუთისოფელში, სიყვარული და სითბო დაგქონდა. გყავდა და გყავს დიდი სამეგობრო. დიდი კაცების სამეგობროშიც დიდი ხარ და განსხვავებული. ახლაც ვერ გავრკვეულვარ რა ძალა გქონდა, რა მადლს ასხივებდი, რომ შენ ირგვლივ მყოფთ შენით ამხნევებდი, შენით ამზიანებდი... ან კი რა გასაკვირია, შენს ნაბიჯსაც და შენ ღიმილსაც სხვა შნო და ლაზათი ჰქონდა, სხვანაირად გვავსებდა, სხვანაირად გვეიმედებოდი... ვწერ ამ სტრიქონებს, გულში ჩაგუბებულ ცრემლებს გარეთ გამოტანის საშუალებას არ ვაძლევ, რადგან არ მინდა შენი დაბადების დღისთვის ცრემლი მისველებდეს სტრიქონებს, ასეთი სტრიქონები შენნაირი კაცების სულს სილაღეს დააკლებენ, თუმცა, დაკვირვებული თვალისთვის სილაღე შენი გარეგნული ხასიათი იყო, თორემ გულში შენი სამშობლოს ტკივილი, გაუგონარი ღალატის ტკივილი მუდმივად სახლობდა... მეტის გაგრძელებას ვეღარ შევძლებ... უბრალოდ, როგორც გჩვევია - ლომო, როგორ ხარ?... ჩვენი უღალატო სამეგობროს სახელით გილოცავ დაბადების დღეს...

*ტ ა რ ი ე ლ   ხ ა რ ხ ე ლ ა უ რ ი*

*ინტერნეტ სივრციდან*

*<<...დააკლდა ოჯახს, დააკლდა ნათესაობას, დააკლდა საძმოს, დააკლდა ჟებოტას, დააკლდა თიანეთს, დააკლდა სრულიად საქართველოს, სამარადისო დიდება და არ დავიწყება მშრომელი ხალხის საყვარელო ადამიანო...>>*

*დონი ფანჩულიძე*

*<<გენაცვალე ტარიელ! ყველაზე სათქმელი თქვი შენებურად! ვერ ამოვდივარ საფლავზე მაღალი სიცხით ვწევარ! აქედან გილოცავ ძმობილო!!!>>*

*ემზარ კვიციანი*

*<<დიდი კაცი, კაცი, რომელიც დააკლდა ყველას, ვინც მას იცნობდა, ბატონმა ტარიელმა საოცარი, გულწრფელი და მისგან დამსახურებული სიტყვებით მიულოცა დაბადების დღე იმიერში, ვუერთდები ამ მილოცვას, გილოცავთ ბატონო თამაზ.>>*

*ლენა კაპანაძე*

*<<დიდი კაცისგან, დიდი მეგობრის გახსენება, ბატონო ტარიელ, მადლობა ამ კაცობისათვის, კიდევ უფრო მიძლიერდება შეგნება და შეგრძნება იმის, რომ ზეცაში ამაღლებულ მეგობარს (და არამარტო მეგობარს) მის საფლავსა და სახელს უფრო მეტი გაფრთხილება სჭირდება, ვიდრე ამქვეყნიურს.>>*

*სულიკო ანთაძე*

*<< იქ განისვენონ, სადაც მართალნი განისვენებენ>>*

*ანნა ბალანწარაშვილი*


სიმონიკა სხირტლაძე

## სიმონიკა სხირტლაძე

**1912-(62) 1974 წ.**

*„ქეიფი სიკვდილის მოგერიებაა,*
*მაცალეთ ეს ბრძოლა რა!“*

*„დილით ბავშვებს ასწავლიდა ჭკუას,*
*საღამოს უფროსებს“*

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი 1936 წელს. 1937 წლიდან დაიწყო პედაგოგიური მოღვაწეობა, ასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას, თბილისის სამხატვრო აკადემიაში, ქორეგრაფიულ სასწავლებელში და სხვადასხვა საშუალო სკოლებში, 1940 წლიდან დაიწყო ლიტერატურული მოღვაწეობა, რესპუბლიკურ ჟურნალ - გაზეთებში, („ლიტერატურული საქართველო“, „მნათობი“, „სახალხო განათლება“, „დროშა“ „დილა“ , „პიონერი“, „საბჭოთა ხელოვნება“ და სხვა...

სისტემატურად აქვეყნებდა ქართული მწერლობის ისტორიიდან (ი. ჭავჭავაძის ა. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, სულხან - საბა ორბელიანი, ვაჟა - ფშაველა, გ. ტაბიძე მ. ქიქოძე... თბილისში არის სიმონ სხირტლაძის ქუჩა. საზოგადო მოღვაწე.

## „თამადების თამადა“

წუთისოფელი რა ყოფილა არც არაფერი... სიმონიკა სხირტლაძე

მისი პირით მზე ლაპარაკობდა. სიმონიკა სხირტლაძე, - იაპონელებს ქართველების დღეგრძელობის ფენომენი გამოუკვლევიათ და უთქვამთ, ქართველები ღვინოს ისე არ დალევენ, ღმერთი რომ არ ახსენონ, არ დაილოცონ და მათი დღეგრძელობის საიდუმლოც

სწორედ ამაშიაო. სიმონ სხირტლაძე სწორედ ამ დალოცვილის მეფე ყოფილა. იმ სუფრაზე, სადაც სიმონიკა იყო, ავი სიტყვის თქმას ვერ ბედავდაო. „თამადების უსტაბაში" სადღეგრძელოს თქმის უფლებას, თურმე, ყველას აძლევდა. ერთ-ორჯერ ისეც მომხდარა, რომ თანამეინახენი სიმონიკას მჭერმეტყველებაში გასჯიბრებიან, მაგრამ ბრძოლა დიდხანს არ გაგრძელებულა და მეტოქეებს სიმონიკას ძარღვიან ქართულის უპირატესობა უღიარებიათ.

სიმონიკა სხირტლაძე მხოლოდ ლხინის კი არა, ჭირის სუფრის თამადობაც ეხერხებოდა თურმე, ძველები იხსენებდნენ, მისი ნათამადევი ჭირის სუფრა მართლაც მიცვალებულის გაპატიოსნება იყო. „სამოთხემდე ფანარი არ დასჭირდებაო", - ასე სვამდა, თურმე, ხანსიშესული მიცვალებულის შესანდობარის, ახალგაზრდას კი უკვდავების".

*„გიყვარდეს შენი სამშობლო,*
*როგორც ნათელი მთვარისა,*
*თუ ბედმა წამოგაჩოქა*
*იმედი გქონდეს ხვალისა.*

*გიყვარდეს შენი სახლ-კარი,*
*წინაპართ სულის სავანე,*
*ღმერთო, ნუ მოშლი ძველ ფუძეს*
*მამა-პაპათა სავანეს".*

*სიმონ სხირტლაძე*

(დ.ფ.) ვამაყობ და მეამაყება, რომ სიმონიკა სხირტლაძე და ბიძაჩემი ტერენტი ფანჩულიძე მეგობრები იყვნენ. სიმონიკას გარეულ კურდღელზე ნადირობა ყვარებია, რომელიც ხშირი სტუმარი იყო ქ. ბოლნისში ბიძაჩემის ოჯახში. 1967 წელს სიმონიკა სხირტლაძემ ასე შესვა სამგლოვიარო სუფრასთან ბიძაჩემის

ხსოვნის სადღეგრძელო „დღეიდან ვემშვიდობები მეგობარს, და უცვლელ პარტნიორს, რომელიც ყველას ჭირისუფალი იყო“.



ლერი ხომასურიძე

## „ჩემი მეგობარი, - თავმჯდომარე“ ეძღვნება ლერი ხომასურიძის მარადიულ ხსოვნას

**(23/XI-1936 წ. - 6/V-2018 წ.)**

„დიდუბის რაიონის და მირცხულავას ქუჩის სამმოს „83 წლის“ ასაკში გამოაკლდა ერთ-ერთი ღირსეული ადამიანი, დამსა-ხურებული ბანკირ-ეკონომისტი, საცხოვრებელი კორპუსის ამხანაგობა, - „სანაპირო“-ს თავმჯდომარე, მეუღლე, მამა, ბაბუა, კაცობის ეტალონი, - ლერი შალვას-ძე ხომასურიძე.

ლერი ხომასურიძე იმ თაობას ეკუთვნოდა, რომლის ბავშვობის პერიოდში ეტაპობრივად გაიარა კოლექტივიზაციამ და ავად მოსაგონარმა ეგრეთ წოდებული „37 წელმა“.

საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობებზე. ბოლოს დიდუბის რაიონის (პირველი მაისის) სახელობის რაიონის ბანკის მმართველად.

მიუხედავად წლოვანებისა ბატონი ლერი, - დიდთან დიდი იყო და პატარასთან პატარა. შეხვედრისას მოგიკითხავდა, არავის დატოვებდა უყურადღებოდ. საცხოვრებელი კორპუსის მოვლა - პატრონობისათვის ზემდგომ ორგანოებში ვის არ შეაწუხებდა, რათა მიეღწია მცირე დაფინანსებისთვისაც კი, რომელიც წაადგებოდა მხოლოდ მის ირგვლივ მცხოვრებ მობინადრეებს. თითოეული მათგანის „მაჯისცემას“ აკონტროლებდა, როგორ ვრწყავდით და ვუვლიდით საცხოვრებელი კორპუსის წინ განთავსებულ სკვერს.

რამდენი რამის გახსენება შეგვიძლია ჩემო უფროსო გულიდან ამოღებული სიტყვებით მეგობარო, - შალვოვიჩ!, სახელითა და მამის სახელით „სამმო“ აღარ მოგმართავდა და მხოლოდ გეფერებოდა

„თავმჯდომარის“ სახელით და ამით გამოვხატავდით თქვენდამი პატივისცემას და სიყვარულს.



ლეური ხომასურიძე და დონი ფანჩულიძე
დიდუბის რაიონის გამგეობის სააქტო დარბაზში



„მირცხულავას ქუჩის საძმო“
მარცხ: ლეური ხომასურიძე, დონი ფანჩულიძე,
თემურ კეკუა

ჩემო უფროსო მეგობარო, - ლერი! ამ ბოლო მოფერებას გულიდან ამოღებული სიტყვებით გიხსენებთ, როდესაც თქვენს „სასთუმალთან“ მოვედი, იმდენი უცნობი ადამიანი დავინახე, ცრემლი გამიშრა... იმავე დღეს დიდუბის რაიონის გამგებელმა ქალბატონმა, ირმა ზავრადაშვილმა და მისმა მომსახურე პერსონალმა, ლალი ჭელიძემ, გივი ჩხარტიშვილმა, ნატო დარჯანიამ, ირმა ოთინაშვილმა, გულთან მიიტანეს თქვენი „უმწიკლოდ“ განვლილი ცხოვრება, ეკონომიურად მხარში ამოუდგა თქვენს ოჯახს...

ხანგრძლივი, მძიმე ავადმყოფობის მიუხედავად, ზაფხულს ელოდებოდი, ცდილობდი კიდევ ახალი სასარგებლო საქმით დაგემახსოვრებინათ თავი თქვენი მეზობლებისათვის, რის გაკეთებაც ვერ მოასწარით. მიუხედავად წლოვანებისა, მთელ ქალაქს შემოივლიდი, ვის არ ნახულობდი (უანგაროდ) რათა თქვენზე დაკისრებული მოვალეობა და ნდობა მობინადრეებთან შეგესრულებინათ.

ჩემო უფროსო მეგობარო, ბატონო ლერი, თითქმის 22 წლის განმავლობაში ბევრი მოგონება დამიგროვდა, რომელსაც თაბახზე დაუწერავად მოგიგონებ...

ზაფხული დადგა, ვიღა დამხვდება სკვერში? ჩვენ „საძმოს“ ნელ-ნელა გამოაკლდა, - ზაურ „სიყვარულოვიჩი“ ულუმბელაშვილი, გივი მიქუტაძე, ლევან მაჩიტაძე, ბიჭიკო აღდგომელაშვილი, მიშა გაბოძე, ჰამლეტ ყურაშვილი, შოთა მესხელი, ჯემალ (უფროსი) ქავთარაძე, ბადრი ბეგალიშვილი, შოთა მესხელი, რეზო ცქიტიშვილი, გიორგი ნაცვლიშვილი, ალექსანდრე დავითაშვილი, ოთარ მეტონიძე, ვიტალი ხინგავა, ვახტანგ გეგელია, ბესარიონ გოცირიძე, ჰამლეტ ბერიშვილი...

იძინე მშვიდად, მსუბუქი ყოფილიყოს თქვენს გულზე დაყრილი საქართველოს მიწა, რომლის მიწის შენარჩუნებისათვის დღედაღამ არ გეძინა მის მომავალზე ფიქრით.

თქვენი მეზობლების სახელით: დონი ფანჩულიძე.




„ლერი ხომასურიძის საძმო“-დან გარდაცვლილებს სამარადისო ხსოვნა



ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი ლერი ხომასურიძე, დონი ფანჩულიძე და ტარიელ ალავიძე

*ვუძღვნი - „სამაჩაბლოსა“ და „აფხაზეთში“ მეომარ ბიჭების „ჯარისკაცის მამებს“*

## მოხუცი ცოტნე

...წინა ხაზზე სიჩუმე იდგა. ეს იმას ნიშნავდა, რომ მებრძოლებს შეეძლოთ ცოტათი მოდუნებულიყვნენ და გამოსულიყვნენ სანგრებიდან ძვლების გასამართავად. უცებ საიდანღაც მოისმა დამახასიათებელი ფაჩუნი, ნათელი იყო, რომ მოწინააღმდეგემ შეამჩნია ჩვენს სანგრებთან არეულობა და ამ მიზეზით ისროლა ნაღმსატყორცნი. გაისმა საშინელი გრუხუნი. ნაღმის ნატეხებმა გადატეხა უზარმაზარი ხე, რომელიც სანგართან ახლოს იზრდებოდა. ჩვენ ბუნებრივია ჩავცვივდით სანგრებში, ცოტა ამოვისუნთქეთ, დავითვალეთ ხალხი, ყველა ცოცხალი იყო. ეს უკვე კარგი იყო. ვიღცამ ტანსაცმელი გაიხადა და სხეულის დათვალიერება დაიწყო. ეტყობა ნატეხი მოხვდა ვიგრძენი, რომ მეც ყველაფერი არ მქონდა წესრიგში, - სისხლი წვეთავდა ზურგიდან. მედძმა იქვე იყო, რომელმაც დამიმუშავა ჭრილობა და ამაზეც მადლობელი ვიყავი. გავიდა ორი დღე. განაკაწრი ვითომ არაფერს არც წარმოადგენდა, მაგრამ ისე მტკიოდა, რომ ზურგს ვერ ვხრიდი. უარესი კი ის იყო რომ დაჩირქება დაიწყო ამ განაკაწრში ე.ი. ჭრილობაში ინფექცია შეიჭრა, ამიტომ გამიშვეს ოჩამჩირეში. ამ ქალაქში ექიმებმა ძირფესვიანად მომხედეს, განაკაწრი აღმოჩნდა ღრმა ჭრილობა და საჭირო იყო მისი გაკერვა, რასაც უდღეური მედძმა ვერ მოახერხებდა. ნაკაწრის გარდა მქონდა დავალებები მეთაურისაგან და თანამებრძოლებისაგან. ექიმებმა გაკერეს ჭრილობა. შემიხვიეს და მხოლოდ ამ პროცედურის შემდეგ გავემართე შტაბის მიმართულებით, მიმიღო შტაბის უფროსმა, მას გადავეცი მეთაურის დავალება. მან მომისმინა და გამაგზავნა დაზვერვის განყოფილების უფროსის დაქვემდებარებაში. მე გადავეცი

პაკეტი დოკუმენტებით დაზვერვის განყოფილების უფროსს და გამოვედი ქუჩაში.

შტაბი წარმოადგენდა ჭიანჭველების სახლს. ერთნი ჩქარობდნენ დავალების შესასრულებლად. მეორენი მირბოდნენ თათბირზე, მესამენი - კიდევ სადღაც. ჩემთვის არავის ეცალა. ამიტომ დავჯექი შტაბის წინ გრძელ სკამზე და დავიწყე ლოდინი. მალე ზღურბლზე გამოჩნდა დაზვერვის განყოფილების უფროსი და დამიძახა:

- აი, ჩემი ბინის გასაღები და მოეწყვე, პირველი სადარბაზო, მეორე სართული,

ამის გარდა კომენდატთან იქნები მომარაგებაზე. მე მადლობა მოვუხადე ჩემს კეთილისმყოფელს და გავემართე, რათა თავი მომეწესრიგებინა, დაზვერვის განყოფილების უფროსი, თავისი პროფესიის სპეციფიკის გამო, ხშირად არ იყო ადგილზე. ის ხან მტრის ზურგში იყო, ხან ადგილს სწავლობდა, ხან შტაბში შეიხედავდა. მთელი ბინა ჩემს განკარგულებაში აღმოჩნდა, აბრა გამვლელებს ატყობინებდა, რომ ადრე აქ მდებარეობდა კაფე მხოლოდ მშვიდობიან პერიოდში, ეხლა კი იქ განლაგებულიყვნენ სამხედროები, „სასადილოა" - გავიფიქრე და არც შემცდარვარ. აქ იკვებებოდნენ ბატალიონის და შტაბის სამხედრო მოსამსახურეები.

დილით გავემართე შტაბისაკენ, კომენდატმა გადაათვალიერა ჩემი სამივლინო მოწმობა და ქაღალდის ფურცელზე ჩაინიშნა მხოლოს მისთვის გასაგები ჩანაწერი.

- მე დაგაყენებ ჩვენს კმაყოფაზე განწესდები მოპირდაპირე მხარეს განლაგებულ

სასადილოში, - თქვა მან, - აი ამ ქაღალდს მისცემ სასადილოს ხელმძღვანელს.

მე მადლობა გადავუხადე კომენდატს ყურადღებისათვის, ავიღე ქაღალდი და გავემართე სასადილოსაკენ. საუზმის დრო იყო, წინ და უკან სამხედროები დადიოდნენ, სასადილოს წინ იდგა მოხუცი.

„ალბათ ვიღაცას ელოდება“, - უნებურად გავიფიქრე. როცა ახლოს მივედი, გავოცდი ისეთი საცოდავი შეხედულება ჰქონდა: გრძელი, მხრებამდე, ჩამოშლილი ჭაღარა, ერთმანეთზე ჭუჭყით დაწებებული დიდი ხნის დაუბანელი თმები, შარვალი სხვადასხვა ნაკერებით იყო აჭრელებული. სანახაობა იყო საკმაოდ საცოდავი და უბადრუკი, მაგრამ მასში იყო რაღაც ისეთი, რამაც მაიძულა გავჩერებულიყავი და ყურადღება მისთვის მიმექცია.

- ვის ეძებ ბაბუა? - დავინტერესდი. მან შემომხედა საწყალი თვალებით და უკბილო პირით ჩაიდუდუნა.

- შვილს და შვილიშვილს ვეძებ!

ჩვენს ირგვლივ ხალხი დადიოდა, ყოველი მათგანი დაკავებული იყო თავისი საქმით, სხვისთვის არ ეცალა. მოხუცმა იგრძნო თანაგრძნობა და ჩემსკენ გამოიწია. იმდენად გამხდარი იყო, რომ კანი პერგამენტივით ჰქონდა გადაჭიმული ძვლებზე და უფრო ეგვიპტურ მუმიას ჰგავდა, ვიდრე ცოცხალ ადამიანს. (ჩვენ ძალიან ხშირად გვერდს ვუვლით გაუბედურებულ ადამიანებს, რომლებიც ჩაკეტილები არიან თავიანთ ნაჭუჭში და ვერ ვამჩნევთ მათ მძიმე მდგომარეობას) მოხუცი შევათვალიერე, ჩანდა, რომ მშიერი იყო.

- ბაბუა, ვერ გამიწევ კომპანიას?! - ვკითხე და თავი ავიქნიე სასადილოს მიმართულებით, - გულს ნუ დამწყვიტავ და უარი არ მითხრა.

ჩვენ შევედით სასადილოში, მოვძებნეთ თავისუფალი მაგიდა და მოხერხებულად მოწყობილებმა დავიწყეთ ცდა თუ როდის მოგვემსახურებოდნენ. რამოდენიმე წუთში კრეისერის ცურვით მოლივლივდა ოფიციანტი ქალი და მოლოდინით გაირინდა.

- როგორც ინტუიცია მკარნახობს, თქვენს დაწესებულაბაში ფულით არ კვებავენ, - ვთქვი მე და მივაწოდე ქალს კომენდატის მოცემული ქაღალდი. მან ქაღალდი ხელში დაატრიალა:

- აქ მხოლოდ ერთი ადამიანის კმაყოფაა, - თქვა მან ისეთი ტონით, რომ მივხვდი შეპასუხებას მიუჩვეველი იყო.

- თუ შეიძლება მე გადავიხდი, მხოლოდ დააპურეთ ჩემი სტუმარი - ვთქვი და იმედით შევხედე კრეისერს.

- ფულით არ ვკვებავთ, - მიპასუხა მან.

- მაშინ, მე მომიტანეთ, გეთაყვა ჩაი, დანარჩენი კი - ბაბუას!

რამოდენიმე წუთში ქალმა მოიტანა პოდნოსით ცხელი ბრინჯის ფაფა, პური, კარაქი და ჩაი. მოხუცმა აიღო პური, შევნიშნე, თუ როგორ უკანკალებდა ხელები - „ან გამოფიტვისგან, ან სიბერისაგან".

გემრიელად მივირთვით, უფრო სწორად ჭამა ბაბუამ და მე კი ჩაით დავკმაყოფილდი, რომელის გემოთი მაგონებდა მოხარშულ თივას. მოხუცი დიდხანს დუმდა.

- მადლობა, შვილო, -ჩილუღლუღა ბოლოს,

საუზმის შემდეგ გავედით ქუჩაში. მოხუცმა კიდევ ერთხელ გულიანად გადამიხადა მადლობა გამასპინძლებისათვის და სადღაც აჩქარებით გაემართა.

-წავალ, ჩემებს მოვძებნი, - თქვა და წავიდა გზატკეცილის მიმართლებით,

- მოიცა! - მივაძახე მას -ფული გაქვს?! ჩანდა, რომ ბაბუას ფული არ გააჩნდა, მან ამაყად აწია თავის და ჯიბეში ჩაძვრა, აფათურა ხელი, ვერ ნახა ვერაფერი გახვრეტილი ორცხობილის გარდა და შეწუხებულმა შემომხედა. მე ფული მივაწოდე. მან მიპასუხა:

- როგორ გეკადრება შვილო! მთელი ქონებაა.

- აიღე ბაბუა, მე არაფერში მჭირდება. მან ხელების ქნევა დაიწყო, ვითომ აბეზარ ბუზს იშორებსო, მაგრამ, ჩემი დაჟინებული თხოვნის შემდეგ, დამითმო და ფული აიღო. ამაყი იყო მოხუცი, ეტყობოდა ძალიან ძნელი იყო მისთვის ხელის გაშვერა და მოწყალების მიღება.

ჩვენ დავშორდით ერთმანეთს როგორც კეთილი მეგობრები. მე წავედი ჩემით. ის კი თავისი გზით, ჩემს თავს ვსაყვედურობდი, რომ სახელი არ მიკითხავს.

შევასრულე რა ჩემი ფრონტელი ამხანაგის დავალებები, გადავწყვიტე წავსულიყავი სტუმრად ძალიან სიმპათიურ ბებია კამასთან. ის გამაცნო ჩემმა ამხანაგმა, მეტსახელად „ბეთხოვენმა", სასტუმრო ოთხში სიგრილე იყო. ფარო ტახტზე ეწყო რბილი ბალიშები, წიგნები, რომელიც კედლის გასწვრივ მოეთავსებინათ. იატაკზე ეფინა მდიდრული ყვავილებით მოხატული სქელი ქაშმირის ხალიჩა. ოთახში შემოვიდა ქალი, რომელმაც მოგვართვა ლანგრით დაორთქლილი ყინულიანი კომპოტი.

გვიან საღამომდე ვისაუბრეთ ყველაფერზე, რაც შეიძლება აწუხებდეს ადამიანს ფრონტის წინა ხაზზე, საღამოს შეიკრიბა მთელი ოჯახი. აქ ყველაფერი სითბოს აფრქვევდა, იგრძნობოდა თუ როგორი პატივისცემით ეპყრობოდნენ ოჯახის წევრები ბებია კამას. მალე სუფრასთან დაგვპატიჟეს. ასაკოვანი რუსი ქალი გამუდმებით ემსახურებოდა სტუმრებს. მაგიდა ტყდებოდა პურმარილისაგან, რომელზეც ყველაფერი იყო: სხვადასხვა სახის მურაბა, ალადი, თაფლი. მე ვტკბებოდი ასაკოვანი ქალის ცქერით, რომელიც დედობრივ სილამაზეს და სითბოს გამოხატავდა. წარმოადგენდა საოცარი რუსული ნახატის პერსონაჟს, იყო დიდებული, კეთილი ქალი თავისი ლანგარით და მასზე მოთავსებული ცხელი ჩაიდანით. მაგიდის მოწყობილობა საკმაოდ იშვიათი იყო. აქ ეწყო ძველებური ჭურჭელი, ცოტათი უხეში, მაგრამ დაფასებული რუსული ფაიფური. ასევე ჩაის ჭიქები, ვერცხლის კოვზები, ხოლო ასეთი საოცარი მურაბა არასოდეს მენახა.

ჩემმა გაოცებამ ქალში ღიმილი გამოიწვია. მან მომაწოდა სახლში დამზადებული მარმელადი და მკითხა:

- ვერ წარმომიდგენია ვიყიდო მარმელადი და მურაბა მაღაზიაში, რადგან ის სავსეა საღებავით და ათასგვარი ქიმიით, გემოც სულ სხვა აქვს. რა სასიამოვნოა შავი მოცხარის ან სხვა კენკრის შეგროვება პირდაპირ ბუჩქებიდან ბაღში, შემდეგ მურაბის მოხარშვა. ქილებში ჩასხმა, ეტიკეტების დაწებება, შემდეგ ფაქიზად სარდაფში დალაგება, ხოლო ზამთარში, როცა თოვლჭყაპი, ქარიანი და ყინვიანი ამინდებია, პურზე წასმული ჯემი ან მურაბა, თუ თვალებს დავხუჭავ, ზაფხულში დაგაბრუნებს - თქვა ღიმილით ქალმა.

მართლაც, ეს იყო ენით აღუწერელი სიამოვნება. მივირთმევდი მარმელადს და ვგრძნობდი თაფლს, მოცვის, მოცხარის და კიდევ რაღაც უცნობ არომატს. ასე მგონია, რომ ეს იმ ხელების სუნს წარმოადგენდა, რომელმაც ეს საოცრება მოამზადა.

მოგვიანებით მე მადლობა გადავუხადე სტუმართ-მოყვარე მასპინძლებს და შინისკენ გავემართე. მალე მივაღწიე სახლს და წამოვწექი, მაგრამ ვერ დავიძინე, ამიტომ ჩავედი ქვემოთ სკვერში და დავჯექი ერთ გრძელ სკამზე. ზღვიდან უბერავდა ნაზი ნიავი და გალობდა ღამის მომღერალი ჩიტი. მოულოდნელად, ზურგს უკან ვიღაცამ გაიშრიალა, მოვბრუნდი - მეზობელ სკამზე იწვა გაზეთებში შეხვეული ჩემი ახალი ნაცნობი. დაუძახე. ის შეშინებული წამოხტა, ყურება დამიწყო, ფარნის შუქზე მიცნო და უკბილო პირით გამიღიმა - „აი, თურმე რატომ ვერ ვიძინებდი“ - გავიფიქრე გაოცებულმა.

- ღია ცის ქვეშ აპირებ დაძინებას ბაბუ? დავინტერესდი მე.
- რა დროს ძილია, სოხუმში მოვდივარ. - ჩაიბურტყუნა მან.

დილით მეც ვაპირებდი სოხუმში დაბრუნებას, ამიტომ შევთავაზე ბაბუას ჩემთან ღამის გათევა, ხოლო დილას თანამგზავრი მანქანით ერთად ჩავიდოდით დანიშნულების ადგილას. მოხუცი დაეთანხმა ჩემს მოსაზრებას. ერთად ავედით მეორე სართულზე ბინაში მე სწრაფად გავიქეცი ეზოში, სადაც ჭა მეგულებოდა. ამოვიღე ორი ვედრო

წყალი, მოხუცი დავიბანე, მან თავი წესრიგში მოიყვანა, შემდეგ დაჯდა დივანზე და ჩათვლიმა.

ზურგჩანთაში არყით სავსე „ბაკლაშკა“ მქონდა შენახული, ასევე მეგულებოდა ორი საქონლის ხორცის კონსერვი, მეზობლებს გამოვართვი პურის ნაჭერი, გავშალე მაგიდა და გავაღვიძე ბაბუა. ის დიდხანს, დაბნეულად - აფახურებდა თვალებს, ეტყობა ვერ გარკვეულიყო ძილბურანში, თუ სად იმყოფებოდა. მოხუცი მივიპატიჟე მაგიდასთან და შევთავაზე თამადობა. ბაბუა აღმოჩნდა ძალიან მხიარული ადამიანი. მისგან გავიგე, რომ წარმოშობით სამეგრელოდან იყო და ამ მხარეში შემთხვევით არ იმყოფებოდა. ის ეძებდა ფრონტზე წასულ შვილს და შვილიშვილს.

ერთი პერიოდი მათგან პერიოდულად მოდიოდა წერილები, მაგრამ ბოლო რამოდენიმე თვე არავითარი შეტყობინება არ მოსულა. რძალმა და მეუღლემ არ მისცეს მოსვენება მოხუცს თვიანთი მოთქმა გოდებით თითქოს ის იყო დამნაშავე, რომ კაცები ფრონტზე წავიდნენ თავიანთი მიწა - წყლის დასაცავად. ჩაიქნია ბაბუამ ხელი - რაც იქნება, იქნებაო და წავიდა შვილის და შვილიშვილის საძებნელად.

ჩვენ დავლიეთ კიდევ ორიოდე ჭიქა და მხოლოდ ამის შემდეგ მოვიფიქრე ბაბუასთვის სახელი მეკითხა:

- ცოტნე! - მიპასუხა მოხუცმა და ისე გაოცდა თითქოს ასი წელი ვიცნობდით ერთმანეთს და მხოლოდ ეხლა დავინტერესდი მისი სახელით. მან სევდიანად ჩამხედა თვალებში.

- შეიძლება ცოცხლები არც კი არიან! მე დავამშვიდე ბაბუა, დავაიმედე, რომ ყველაფერი მოგვარდებოდა, რომ საომარი პერიოდი იყო. საველე ფოსტა ცუდად მუშაობდა და რომ მისი შვილი და შვილიშვილი, აუცილებლად მოიძებნებოდნენ. ჩემი მხარდაჭერით, გახარებულმა ბაბუამ თავისი მძიმე ცხოვრების შესახებ მოყვა.

1930 წლის ადრეული გაზაფხულზე ცოტნე დემობილიზებული იქნა მუშურ - გლეხური წითელი არმიიდან. ის ბრუნდებოდა სახლში

და მშვენიერ ხასიათზე იყო, ფიქრობდა სასიამოვნო შეხვედრაზე ოჯახთან, მეგობრებთან, საცოლესთან, რომელიც ალბათ მოუთმენლად ელოდა. ბოლოს, გამოჩნდა მისი მოგზაურობის საბოლოო მიზანი - ზუგდიდი. მატარებელი ბაქანზე გაჩერდა, ცოტნე ვაგონიდან პირველი გადმოხტა, დაბნეულად მიიხედ- მოიხედა იმ იმედით, რომ ვინმე ნაცნობს ნახავდა. უცნაური ის იყო, რომ არავინ არ შეხვდა, მან კი შეტყობინება გააგზავნა, რომ სახლში ბრუნდებოდა. ცოტნემ გაიარა ათამდე კოლომეტრი და საღამოს მიუახლოვდა მამისეულ სახლს. ფანჯრები ჩაბნელებული დახვდა. ძაღლიც კი არ ჰყეფდა. მან საჩქაროდ გააღო ჭიშკარი და ხელი ჰკრა კარებს

- ტუზიკა! ტუზიკა! - დაუძახა ძაღლს, მაგრამ ჩამი - ჩუმი არ ისმოდა. რადგან კარები

ჩაკეტილი იყო. შეძვრა ფანჯარაში, გაჰკრა ასანთს და გაქვავდა, სახლში საშინელი არეულობა იყო, გატეხილი ჭურჭელი იატაკზე ეყარა, არც ერთი სულიერი არსება არსად არ ჩანდა. ცოტნე იმწამსვე გავარდა მეზობელთან.

- რა ხდება? სად არიან მშობლები? - ჰკითხა მან მეზობელს.
- ციმბირში გადაასახლეს, - უპასუხა მეზობელმა და მწუხარედ თავი დახარა.
- როგორ თუ ციმბირში, სამოქალაქო ომში მამა ბუდიონის ცხენოსან არმიაში

იბრძოდა. პოლკის მეთაურამდე მივიდა. საბჭოთა ხელისუფლებას იცავდა, თეთრგვარდიელებს ებრძოდა, რაღაც სისულელეა, უაზრობაა. ეხლა ღამეს გავათევ და დილით წავალ ქალაქში, იქ მომეხმარებიან, გაარკვევენ, გაიგებენ.

- ჯობია არ წახვიდე, - ურჩია მეზობელმა, ხოლო ბაბუა ტრისტანმა პირდაპირ უთხრა:
- სასწრაფოდ გაიქეცი აქედან, შენც არ წაგიყვანონო!

- ნუთუ ეს ყველაფერი სიმართლეა, როგორ გავიქცე მშობლიურ სოფლიდან? ბოროტმოქმედი ხომ არ ვარ?

გაარკვია თუ არა რა მიმართულებით წაიყვანეს მისი ოჯახი, გადაწყვიტა მათ მოსაძებნად წასულიყო. მეზობლებმა დიდი რისკის ფასად შეუგროვეს ცოტაოდენი საკვები და ფული, ხოლო ბაბუა ტრისტანმა მოუთხრო ახალგაზრდა კაცს მისი ოჯახის ტრაგედია.

სოფელში დაიწყეს კოლმეურნეობის შექმნა. შეადგინეს კულაკების სია, ცოტნეს მამას კი ჰყავდა ცხენი, ძროხა, ორი თხა, ამიტომ მოხვდა ამ სიაში

- ძმებო! ყვიროდა ჭოლა - ეს ცხენი თვით ბუდიონმა მაჩუქა ძმებო, სოფლელებო, ნუ დამღუპავთ, მე ხომ საბჭოების ბრძანებას ვასრულებდი. მითხრეს იბრძოლე, ვიბრძოდი საბჭოთა ხელისუფლებისათვის, სისხლი დავღვარე, მითხრეს თესე ვთესავდი. როგორ არ ცდილობდა ჭოლა, მაინც ჩაწერეს კულაკების სიაში და მთელი ოჯახი ციმბირში გაასახლეს. ქართველები მგზავრობდნენ აქოთებულ საძროხეებში, ყველა ერთად შეყარეს ვაგონებში. იდარდეს, იდარდეს საცოდავებმა, მაგრამ თავს იქით ძალა არ იყო, ცხოვრება კი გრძელდებოდა. საძროხეთში ჩატეხეს იატაკი, შემოღობეს, ჩამოფარებული ზეწრებით, როგორღაც ტუალეტი გამოიყვანეს, მაგრამ ამას კავკასიელი ქალები ეწინააღმ

დეგებოდნენ, ვერ შეძლეს ასეთ პირობებში საჭიროების მოლევა, ზოგიერთი გზაზე დაიღუპა და გაურკვეველია, თუ რომელ სადგურზე გაუთხარეს მათ საფლავი.

სადგურზე ცოტნემ გაიგო, რომ გადასახლებული ქართველებით დატვირთული მატარებელი წავიდა ნოვოსიბირსკის მიმართულებით. დიდხანს იმგზავრა, წითელარმიელს დოკუმენტები წესრიგში ჰქონდა. გზაში შემოწმება იყო ხშირი და საბედნიეროდ არცერთი შემმოწმებელი არ დაინტერესებულა მოგზაური წითელ - არმიელით, ამაზეც მადლობელი დარჩა. მართლს ამბობს ხალხი - ენა კიევამდე ჩაგიყვანსო.

როგორც იქნა ნახა ცოტნემ თავისი ნათესავები, ნოვოსიბირსკის ახლოს მდებარე პატარა ქალაქში. საშინელი სანახავი იყო ეს გაუბედურებული ხალხი. ღია ცის ქვეშ თავი მოიყარეს უსახლკარო ოჯახებმა, რომელშიც ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან იყვნენ გამორეკილები.

დაცვა, როგორც ასეთი არ იყო, არც იყო საჭირო - ირგვლივ იყო ასობით კილომეტრიანი გზები, უკიდეგანო ველი. საკვები თითქმის არავის არ ჰქონდა. უბედური ხალხი შიმშილისაგან სივდებოდა და ამ დროს მოხუც ჭოლას გონება გაუნათდა:

- შვილო, უნდა გავიქცეთ! დოკუმენტები წესრიგში გაქვს? შეიძლება რამე გვეშველოს?

- სად გავიქცეთ? რუსეთში? დისკუსია მიდიოდა - იფიქრეს იკამათეს თუ სად შეიძლებოდა გამგზავრება. დადიოდა ხმები, რომ მათ მიერეკებოდნენ ტაიგაში, სადაც ყველას ბოლო მოეღებოდა, თუ შიმშილით არ დაიღუპებოდნენ ცინგა მოკლავდათ ან ქინქლა გააწამებდათ.

მაშინ ქართველებმა გადაწყვიტეს ყაზახეთში გაქცევა. გაცვალეს. უკანასკვნელი ტანსაცმელი პურზე, ქონზე და გაემართნენ სამხრეთისკენ. სამხრეთში სითბო მაინც იყო, ხოლო სადაც სითბოა, ცხოვრებაც უფრო იოლია. დიდხანს მგზავრობდნენ ისინი ე.წ. სამხრეთისაკენ იმგზავრეს მატარებლით, სატვირთო მატარებელში მათ გარდა იყო რამოდენიმე ყაზახი, რომლებმაც იცოდნენ რამოდენიმე რუსული სიტყვა - გამარჯობა, მადლობა, კარგად. ყაზახებმა ქართველები მიიყვანეს თავიანთ სოფელში. სოფლელები ცივად შეხვდნენ სტუმრებს, მაგრამ მალე კულაკებსა და ქართველ ოჯახს შორის ურთიერთობა ძირფესვიანად შეიცვალა. ცოტნე და მისი მამა აღმოჩნდნენ მშვენიერი ხელოსნები. მათ გაარემონტეს ურმები და სოფლელების საჭირო ნივთები, ააშენეს მშვენიერი ფიცრული ბინა, გააჩინეს ცხვარი, ორიოდე წელში მათ მეურნეობაში უკვე იყო ძროხა და ცხენი. ცხენი მართლაც დაუძლურებული იყო, მაგრამ სულ არარაობას

მაინც სჯობდა. დაამუშავეს მიწა, ხოლო როცა აიღეს პირველი მოსავალი, ოჯახში აუწერელლი სიხარული გამეფდა. მოკლედ კარგად მოეწყვნენ, გამდიდრდნენ, გაიჭირვეს და ააშენეს კარგი სახლი.

- კბილის ტკივილი და შური ძნელი დასამალია, კბილის ტკივილისა სოფლელებს ვერ შევატყვე, მაგრამ შური და უკიდეგანო ბოროტება მათ სახეებზე კი აისახა, - გააგრძელა თხრობა ჩემმა მოსაუბრემ. - უბედურება იმ მხრიდან მოვიდა, საიდანაც არ მოველოდით.

ერთხელ გვიან ღამით სოფელს გარს შემოერტყა შინსახკომის ჯარი. გაირკვა, რომ კულაკების სია საიდუმლოდ შეადგინეს და პირველი ამ სიაში აღმოჩნდა ქართველების ოჯახი. ჯარისკაცებმა სახლებიდან გამოყარეს მოხუცები და ახალგაზრდები ქვედა საცვლების ამარა. სიცივისაგან აკანკალებული, საცოდავი ხალხი კარაბინის ლულის ქვეშ იდგა. ამოიკითხეს გაკულაკებას დაქვემდებარებულთა სია და ისინი ცალკე დააყენეს. კიდევ ერთხელ გადახედეს სიას და გამოიძახეს ჭოლა.

- როგორც გამოუსწორებელი კულაკი,,, - წაიკითხა განაჩენი ჩინით უფროსმა... უბედური წაიყვანეს შენობის უკან. ცოტნე მიხვდა რა ელოდა ეხლა მამამისს. ის მივიდა უფროსს ბადრაგთან და შეეცადა აეხსნა თუ ვინ იყო ის და მამამისი. გვერდით ცრემლებს იწმენდდა ჭოლას ცოლი. უფროსმა სახეში მოწნევით გაარტყა ხელი ცოტნეს. ის მოცელილივით ჩავარდა გამდინარე არხში და გონება დაკარგა.

- უყურე, კულაკის ძაღლიშვილს! თავის მართლებასაც კი ბედავს! - დაიღრიალა მაღალმა ჭორფლიანმა კაცმა.

სოფლის გარეთ სროლები ცოტნეს არ გაუგონია, როცა გრძნობაზე მოვიდა, პირველი რაც დაინახა ის იყო, რომ მისი სახლი იწვოდა, ხოლო ოჯახი დედასთან ერთად გარეკეს გაურკვეველი მიმართულებით. ცოტნე ცხარე ცრემელებით ატირდა და წალასლასდა სოფლის გარეთ, სადაც იწვა მისი ძლიერი მშრომელი, ხელგაშლილი მამა. მან მიაბარა

მშობლის ნეშთი მიწას და წავიდა გაურკვევვილი მიმართულებით. გზაში მათხოვრობდა, მოჯამაგირეობდა სოფლებში, ეძინა ხან იქ, ხან აქ. ერთხელ დააპატიმრეს და გაასამართლეს მათხოვრობისა და მუქთახორობისათვის. მან გამოიარა ვორკუტის ბანაკები, სადაც მას სამწუხაროდ მოუხდა ყოფნა. დაპატიმრებული ხალხი მის ირგვლივვ ბუზებივით იხოცებოდა. ცოტნეს გაუმართლა, ის გადაარჩინა ომმა. პარადოქსია, მაგრამ ეს მართლაც ასე მოხდა. ის ჩაეწერა მოხალისედ საჯარიმო ბატალიონში. შეტევაზე მიდიოდნენ ძველმანებით (ჩექმები წესით არმიაში ჯერ არ იყო შეტანილი), კარაბინი იყო ერთი ცალი, ხუთ მეომარზე პირველსავე შეტევაზე ცოტნე მძიმედ დაიჭრა. გადაყვანილი იქნა ზურგში და ჰოსპიტალიდან გამოწერის შემდეგ ცნეს ბრძოლაში უვარგისად. დიდი ფიქრის შემდეგ გადაწყვიტა დაბრუნებულიყო სოფელში, მიმოიხედა, სოფელს თითქოს გრიგალმა გადაურბინა, თითქოს მთლიანად ამოწყდა. ომმა მოცელა თითქმის ყველა შრომის უნარიანი კაცი, დარჩნენ მოხუცები, ხეიბრები და მცირეწლოვანები... გადაწყვიტა დაეწყო კოლმეურნეობაში, რომლის გამო ამდენი ტანჯვა - წამება გამოიარა...

ცოტნე ბეჯითად შრომობდა. რა თქმა უნდა, ძალიან უჭირდა მაგრამ თავს ზევით ძალა არ იყო.

გავიდა დრო, მას მოეწონა ერთი ახალგაზრდა სოფლელი გოგო, დაოჯახდა. მალე ბავშვები ეყოლა. ვერც კი შენიშნა თუ როგორ გაიზარდნენ შვილები და წამოვიდნენ შვილიშვილები. გაიმართა წელში, ცხოვრობდა და ხარობდა, მაგრამ დაიწყო ეს დაწყევლილი ომი. ხომ ცხოვრობდნენ ამდენი წელი მეგობრულად, შრომობდნენ გვერდიგვერდ: სომხები, ბერძნები, აფხაზები, ოსები, რუსები და ეხლა რა მოხდა? მეზობელი მეზობელს კლავს, ძმა ძმაზე მიდის! - გრგვინავდა მოხუცი. მე ვერაფრით ვერ შევეწინააღმდეგე, რადგან არ მქონდა არგუმენტი, ბრძენი კაცი იყო ცოტნე და ამიტომაც სწორად მსჯელობდა,

- მომისმინე, რა გითხრა, - მომმართა ბაბუამ - სიტყვა „კულაკი“ კომუნისტებს არ მოუგონიათ. ამ სიტყვას იყენებდნენ მეფის დროს. კომუნისტებმა ის დაამახინჯეს, კულაკი გლეხს ნიშნავს. კულაკი არის საზრიანი, ენერგიული, წიგნიერი გლეხი. ის ცვლის ნედლეულზე ცივილიზებულ პროდუქტს: არაყს, ჩითს, პეჩენიას, ნავთს და ა.შ. სოფელი უდავოდ ღატაკია, აქვს გადაუხდელი ვალები, ხოლო კულაკი იშენებს ქვის სახლს რკინის სახურავით, აქვს ჩორთით მოარული ცხენი. არ შეიძლება ვთქვათ, რომ სოფელს არ სჭირდება ცივილიზებული პროდუქტი, მაგრამ ყველაფერი ეს უჯდება ნამდვილ ფასზე სამჯერ უფრო ძვირი, ხოლო კომუნისტებმა კულაკი უწოდეს მშრომელ გლეხს და გაანადგურეს.

ჩვენ კიდევ დიდხანს ვსაუბრობდით, არაყი მთლიანად დავლიეთ და შემდეგ წავედით დასასვენებლად.

დილით ადრე ცოტნემ გამაღვიძა. ჩვენ სწრაფად ჩავიცვით და გავედით გზაზე. დიდი ცდა არ დაგვჭირვებია, რადგან მალე გამოჩნდა თანამგზავრი მანქანა. ჩავედით სოხუმში, თბილად გამოვემშვიდობეთ ერთმანეთს, ჩამოვართვით ერთმანეთს ხელი, ვუსურვეთ წარმატება, ბედნიერება და ჯანმრთელობა...

თამაზ ჯიბლაძე და მის დაქვემდებარებაში მყოფი სამედიცინო სამსახური პირველ დახმარებას უწევდნენ დაჭრილებს, ჩვენ არ ვამოწმებდით მაიმუნების საშენის ტერიტორიას. შევიხედე მტრის სანგარში და გავხევდი. სანგარში იდგა მტრის ჯარისკაცი. მუცელში მას შეჭრილი ჰქონდა ხანჯლის ტარი. ხანჯალმა ის სანგარს მიამაგრა. ხანჯალი იყო ნადავლი, გერმანული სისტემის „მაუზერის“ შაშხანის გვერდით იწვა ნაცნობი სვანი, ის იყო ჯერ კიდევ ცოცხალი, სისხლისგან იცლებოდა.

- ჯიბლაძე! - ვიყვირე მე, რაც ძალი და ღონე მქონდა - ექიმი აქეთ.

მე მივხვდი, თუ როგორი ტრაგედია გათამაშდა: სვანმა შეტევის დროს ისკუპა სანგარში, მას მტრის ჯარისკაცმა დაუმიზნა ავტომატი.

სვანმა დროულად დააჭირა დააჭირა ხელი გამშვებს. ჯარისკაცმა ჩანთიდან ამოიღო სავსე ტყვიის საცავი და შეეცადა ჩაესო ავტომატის ჭრილში. სვანმა უყოყმანოდ გამოგლიჯა მაუზერის ხანჯალი და ჩაარჭო მტერს. ამ დროს მას მოხვდა ბრმა ტყვია. ჩვენს მხარეს მორბოდნენ მედიკები ჯიბლაძე დაეშვა მუხლებზე და შეეცადა სვანის პულსის გასინჯვას, ბოლოს ის ადგა, მუხლებიდან პესოკი მოიშორა და მოგვახსენა: არეულად ეყარნენ ჩვენი და მტრის მოკლული ჯარისკაცების სხეულები. ის ხიშტი, რომელიც სვანს ეკუთვნოდა მე წამოვიღე, რათა როგორც რელიქვია დამებრუნებინა დაღუპულის ნათესავებისათვის, მაგრამ ეს მოხდებოდა მოგვიანებით, მანამდე კი ჩვენს დასახვედრად სოფელ ცაგერიდან მოემართებოდა სამედიცინო უაზიკი „ტაბლეტი“. - აი, მანქანა მოახლოვდა, მძღოლმა გააჩერა გზისპირას.

- შეჩერდი, ეი შენ!..., - დაიყვირა დასუსტებული ხმით რომელიღაც ჯარისკაცმა, - გზისპირი შეიძლება დანაღმული იყოს. მისი ხმა დაფარა ძლიერი აფეთქების ხმამ. ჰაერში მიფრინავდა ბორბლები და გაგლეჯილი რკინის ნატეხები. შემთხვევის ადგილისაკენ გამოიქცნენ ჯარისკაცები და სამედიცინო პერსონალი. ომი, ომია და მსხვერპლი გარდაუვალი იყო. დასახმარებლად მოსულ ხალხს თვალწინ გადაეშალათ სამწუხარო სანახაობა: გაგლეჯილი რკინა, დამწვარი ნაჭრები და სისხლიანი ხორცის ნაგლეჯები ერთმანეთში არეულიყო, საშინელი სანახაობა რაც ვიხილე მესიზმრებოდა კოშმარულ სიზმრებში, ცხადდებოდა ცხადში.

ეხლა, როცა შემოწმების ჯგუფი შევადგინეთ გამოცდილი ჯარისკაცებით, შეიძლებოდა ოპერაციას შევდგომოდით. ჩვენ შევამოწმეთ მაიმუნების სანაშენის მიმდებარე ტერიტორია. ხელში მეჭირა რა გამზადებული ავტომატი, შევედი მარტო ერთ-ერთ სახლში და გავშეშდი: ჩემი ნაცნობი მოხუცი იჯდა მაგიდასთან შუბლში მიჭედილი ტყვიით. ვერ გავიგე, ნახა თუ არა მან შვილი და

შვილიშვილი. იმედი იყო ცოცხლები იქნებოდნენ. გულდასაწყვეტი იყო მხოლოდ, რომ ვიღაც ნაძირალას ტყვიამ მოუსწრაფა სიცოცხლე დაუცველ ადამიანს. ნათელში იყოს შენი სული, მოხუცო ცოტნე.

*დონი ფანჩულიძის წიგნიდან:*
*<<დაზვერვის ოფიცერი - „გიურზა“>>*

## „სიმართლისათვის კალმით ნაბრძოლი“



## ნოდარ დუმბაძე

მე ხუთჯერ გარდავიცვალე უკვე
და ხუთჯერ მოვბრუნდი ამ ქვეყანაზე...

პირველად მე გარდავიცვალე შიშით
და ავდექი სიმარტოვეში...

მეორედ მე გარდავიცვალე სიმარტოვეში
და ავდექი თვალთმაქცობაში...

მესამედ მე გარდავიცვალე თვალთმაქცობაში
და ავდექი უდარდელობაში...

მეოთხედ მე გარდავიცვალე უდარდელობაში
და ავდექი სიძულვილში...

მეხუთედ მე გარდავიცვალე სიძულვილით
და ავდექი სიყვარულში...

## „სამშობლო“

- დუმბაძე, ადექი და მიპასუხე, რა არის სამშობლო? - ამაყენა ქართულის მასწავლებელმა.
- სამშობლო... სამშობლო ადგილია, სადაც დავიბადე და... - კიდევ? - ჩამეკითხა მასწავლებელი, ძალიან დიდხანს ვიფიქრე, - დაჯექი დუმბაძე, - მითხრა მასწავლებელმა პასუხი რომ აღარ ვაღირსე.
- არ დამიწეროთ, მასწავლებელო ორი, ვიცი და ვერ ვამბობ, - შევეხვეწე მე და ტირილი დავიწყე.

* * *

დაახლოებით ოცდახუთი - ოცდაათი წელი გავიდა მას შემდეგ. საზღვრის წინა ხაზზე ვიდექი მე და ჩემი ხელქვეითი ჯარისკაცი. სულ პატარა ღელე და ხიდი გვყოფდა მოპირდაპირე ქვეყნიდან.

- აი, შენ კარაბინით რომ დგახარ აქ და ამხელა ქვეყანას რომ დარაჯობ, რა შეგრძნება გაქვს, რას ფიქრობ, ან თუ იცი საერთოდ, რა არის სამშობლო? - ვკითხე უცებ ჯარისკაცს, - ოღონდ, თუ კაცი ხარ, არ გამცე დაშტამპული, მაღალფარდოვანი, გაცვეთილი და ყალბი პასუხი, გულწრფელად თქვი ის, რასაც ფიქრობ! - ვთხოვე მე, მან დიდხანს უყურა გაღმა ნაპირს, მერე მომიბრუნდა და ხმადაბლა მითხრა:
- რა ბედნიერებაა ამხანაგო ლეიტენანტო, მე და თქვენ რომ ამ ხიდს გამოღმა დავიბადეთ.

* * *

სამშობლო ხაჭაპური როდია, რომ გულიდან მარტო ყველი გამოჩიჩქნო, ჭამო და ქერქი გადაყარო. სამშობლო ისაა, თავის ყველიან, ქერქიან, ნახშირიან, მტვრიანად რომ შეჭამ და მოინელებ.

* * *

იქნებ ვაზია სამშობლო? აბა, დააკვრიდი, თუ დაბლარია, დაჩოქილმა უნდა დაჰკრიფო, თუ მაღლარია - ცაში ხელაპყრობილმა. ორთავე საოცრად ჰგავს ლოცვას, ლოცვა კი არაფერს ისე არ უხდება, როგორც სამშობლოს.

* * *

– რა არის სამშობლო? - ვაჩერებ ქუჩაში გამვლელს.
– მე მეკითხებით? - მეუბნება განცვიფრებული გამვლელი.
– დიახ, თქვენ, იქნებ არ იცით?
– როგორ არ ვიცი, მაგრამ ასე უცებ დაუფიქრებლად ქუჩაში...
– დიახ, ასე უცბად დაუფიქრებლად, ქუჩაში...
– ასე უცბად, დაუფიქრებლად და ქუჩაში სამშობლოსათვის სიკვდილი შეიძლება, მაგრამ იმის თქმა, თუ რა არის სამშობლო არ შეიძლება, ბატონო, - მიპასუხებს და ჩქარი ნაბიჯით მცილდება.

* * *

კიდევ რა არის სამშობლო?

თვითმფრინავიდან რომ გადმოხედავ, კავკასიონის უზარმაზარ თეთრ ფაფარს რომ დაინახავ და ყელში ბურთი გაგეჩხირება - ეს არის სამშობლო.

* * *

კიდევ?

კიდევ: ძაღლი, კატა, ხბო, წიწილა, ურემი, ნაჯახი, მიწა - ხელში რომ აიღებ და ძირს დაყრა გენანება, ის მიწა... თბილისის პატარა უბანში, დილიდან საღამომდე რომ ვერ გახვალ ქუჩაში ბოლომდე, იმდენი მეგობარი შემხვდება, მომიკითხავს და მოგეალერსება.
კიდევ  რა - სოფელი, სადაც ცოლს ვერ შეირთავ, რადგან ყველა გოგო შენი დობილია და საპატარძლოს საპოვნელად იძულებული ხარ სხვა სოფელში წახვიდე.

* * *

როგორც ჩანს, სამშობლო ყველაფერი ისაა, ურომლისოდაც სიცოცხლე არ შემიძლია.

* * *

– იქნებ, შენ მაინც მითხრა, რა არის სამშობლო? - ვეკითხები ჩემს მარადიულ ბებიას.
– მაგი რომ ვიცოდე, მაშინ რა მიჭირს, ნენა... სამშობლო, ალბათ სიცოცხლეა და ამიტომ მიდის ყველა კაცი ამ ქვეყნიდან სიცოცხლით გაუმაძღარი, - მპასუხობს იგი.

*ნ ო დ ა რ   დ უ მ ბ ა ძ ე*

მე ახლა ვცხოვრობ უზომო, განუსაზღვრელი სიყვარულით და ვიცი, რომ სიყვარულით გარდავიცვლები...
და ეს იქნება ჩემი უკანასკნელი გარდაცვალება, მე არაფერში აღარ აღვსდგები, მე დავრჩები მარადიულ სიყვარულში, ამიტომ ჩემთვის აღარ აქვს მნიშვნელობა როდის მოვკვდები...
მე აღარ მეშინია სიკვდილის...

*„მარადისობის კანონი“*

*„ყველაზე საშინელი გრძნობაა, როდესაც გენატრება ის, ვინც ცოცხალი აღარ არის...“*

*დონი ფანჩულიძე*

## <<სამშობლოს სიყვარული>>

= ავტორისაგან: (დ.ფ.) 1991 წლის პირველ იანვარს, პოლიციის შენაერთები დაახლოებით 300 კაცი შევიდა „სამაჩაბლოში“ ქალაქ ცხინვალში, - კონსტიტუციური უსაფრთხოებისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვისათვის. 5 - იანვარს ჩემთვის ცნობილი გახდა აღნიშნული ღონისძიება, საღამოს კი ტელევიზიით გამოაცხადეს, სამტრედიის პოლიციის თანამშრომელი კოპალეიშვილი, რომელიც ჩემთან მილიციის სკოლაში სწავლობდა „სნაიპერის“ ტყვიამ იმსხვერპლა. მეორე დღეს შევწყვიტე 25-დღიანი საგზური, ხუთ დღეში მკურნალობა მე და ჩემმა მეუღლემ, კურორტ წყალტუბო, სანატორიუმ, - „აიაში“ და 10 იანვარს ჩემს დაბადების დღეს გამოვცხადდი პოლიციის განყოფილებაში დილის $9^{\underline{00}}$ საათზე... სამ საათში უკვე ქალაქ ცხინვალის საოლქო კომიტეტის შენობაში აღმოვჩნდი. 20 კაცთან ერთად პირველი ნაკადის შესაცვლელად... 18 იანვარს სარამოს $18^{\underline{00}}$ საათზე, ჩემი საგუშაგოდან ასი მეტრის დაცილებით ე.წ. „ძველ ხიდზე“ ტანკსაწინააღმდეგო ნაღმდე აფეთქებული იქნა „მოსკვიჩი“, რომელშიც ისხდნენ პოლიციის თანამშრომლები, - დოლიძე, ქირია, ჭიპაშვილი... რამოდენიმე წუთის შემდეგ რადიოკავშირის საშუალებით შეგვკრიბა საერთო ჯგუფი ხელმძღვანელმა, გენერალმა გივი კვანტალიანმა, რომლის მითითებით ხიდის მიმდებარე ტერიტორიის ქვეშ, მდინარე ლიახვის სანაპიროზე გვაძებნინა ქირიას დანაწევრებული სხეულის ნარჩენები. გაყინულმა და დათოვლილმა მდინარის უბემ ვერ გაუძლო ოცდახუთ კილოგრამიან ტყვიაგაუმტარ ჟილეტს, ჩაფხუტს და წელამდე ჩავარდი მდინარეში, რომელმაც დილამდე, ათგრადუსიან ყინვაში შევიშრე ტყეში... ეს ყველაფერი რაც ჩემს თავს ხდებოდა, ჯერ „სამაჩაბლოში“ და შემდეგ „აფხაზეთის“ ტერიტორიაზე, ნაკარნახები იყო, - „სამშობლოს სიყვარულით“.

დ ო ნ ი   ფ ა ნ ჩ უ ლ ი ძ ე

წიგნიდან: „პოლიციელის ასავალ-დასავალი“

=წარსულის ფიქრებთან შემობრუნება=



*„ვინც ილხენს ახლა, -*
*უფრო ცოდოა,*
*ვიდრე ის ბევრი, -*
*ახლა ვინც ტირის...*

*ამგვარში, - დღეს რომ*
*საქართველოა, -*
*არც სიცოცხლე ღირს*
*და არც სიკვდილი“*

* * *

ღმერთმა მოგვიწყო გამოცდა!
მრავალს უწია ცოდვამ:
ვინ რა ყოფილა – გამოჩდა!
კაცი აღმოჩდა ცოტა!

ღმერთმა მოგვიწყო გამოცდა!
ცოდვის კითხვაა.... ჰოდა!
ყველა ისეთი აღმოჩდა,
რა წარმოდგენაც მქონდა!

ღმერთმა მოგვიწყო გამოცდა!
მივხვდით, ბრძანდება ვინ ვინ!...
ღმერთი! – თვით ღმერთი გაოცდა!
ამდენი დ ა მ პ ლ ი ს ხილვით!

*მუხრან მაჭავარიანი*



ვლადიმერ დოლიძე

## „პლეხანოველები“

### (<<ტელესივრციდან>> ნიკო ლეკიშვილის სტუდიაში მიწვევის დროს)

*"დღეს, რანაირი, მეგობარო, დროა, ხო იცი?! –*
*დრო არ გეგონოს პაწკასი და ვახტანგ ჭყოიძის!..*
*მოკვდა ვერაზე შავგულიძის დგომა დოინჯით,*
*გავლა - გამოვლა ვალიკოსი მოკვდა დოლიძის*
*და ჯოხით ხელში სიარული მელიტონიჩის.*
*დღეს, რანაირი, მეგობარო, დროა, ხო იცი?!"*

*ლექსი: მუხრან მაჭავარიანის*

***ნიკო ლეკიშვილი*** *(ყოფილი პრემიერ მინისტრი და ქალაქის მერი): აი, ეს ვინც ჩამოვთვალე ყველა იყვნენ ზოგი ქუთაისიდან, ზოგი რაჭიდან, ზესტაფონიდან და ასე შემდეგ. ჩვენ ერთი რამ უნდა ვიცოდეთ, რომ თბილისი არის ის ფენომენი, რომელიც ფაქტიურად ამ ხალხის შექმნილია.*

## ვლადიმერ დოლიძე

(15/01.1915 (69) 1986 წწ.)

ვლადიმერ თედორეს ძე დოლიძე დაიბადა 1915 წელს 15 იანვარს, ჩოხატაურის რაიონ სოფელ დაბლაციხეში. როგორც წარჩინებული მოწაფე 8 კლასის შემდგომ ჩაირიცხა ჩოხატაურში გორაბერეჟოულის სოფლის მეურნეობის ტექნიკუმში, რომლის წარჩინებით დამთავრების შემდგომ 1934 წელს ირიცხება საქართველოს სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტში როგორც გამორჩეული და წარმატებული სტუდენტი. აირჩიეს ინსტიტუტის გაერთიანებული პროფკავშირის თავმჯდომარედ და ინსტიტუტის სტუდკავშირის ერთ-ერთ ხელმძღვანელად საიდანაც კომკავშირისა და პარტიის მობილიზაციით როგორც გამორჩეული სტუდენტი და კურსდამთავრებული 1939 წელს

გაიგზავნა სახელმწიფო სამსახურში ჯერ მშობლიურ ჩოხატაურის რაიონის „ენკავედეს“ (მაშინდელი სახ. უშიშროების) ხელმძღვანელად ბრძოლა დეზერტირობასა და სამამულო ომის ამრიდებელ ელემენტებთან, განსაკუთრებით ძნელი აღმოჩნდა ისეთ რთულ და გახმაურებულ პიროვნებასთან, როგორიც გახლდათ ასლან ბარამიძე და მისი მიმდევრები, თუმცა ეს ბრძოლა სახელმწიფო სტრუქტურების სასარგებლოდ გადაწყდა, რაც მაშინდელი ხელმძღვანელის დამსახურება გახლდათ. ამის შემდგომ ვლადიმერ დოლიძე უფრო მსხვილი მახარაძის რაიონის „ენკავედეს“ ხელმძღვანელად ინიშნება. შეუმჩნეველი მისი მუშაობა არც აქ არ დარჩენილა და 1949 წელს ის უკვე ქუთაისის რაიონისა და ქ. ქუთაისის უშიშროების ხელმძღვანელია. სწორედ ამ წლებში ქუთაისის კომკავშირს თავკაცობდა ედუარდ შევარდნაძე და ვლადიმერ დოლიძის რეკომენდაციით კომ. პარტ. წევრობის კანდიდატი კომუნისტური პარტიის წევრი გახდა. შემდგომ წლებში ვლადიმერ დოლიძე გადმოჰყავთ თბილისში და ინიშნება ქ. თბილისის მაშინდელი სტალინის რაიონის უშიშროების ხელმძღვანელად, საიდანაც ის უშიშროების სამინისტროს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კადრების სამმართველოს ხელმძღვანელად და გადაყავთ პოლკოვნიკის რანგში. მან დაასრულა უშიშროების სისტემაში მუშაობა ჯანმრთელობის პრობლემების გამო. (ძალიან რთული და ქარტეხილებით ურთულესი პერიოდში იმსახურა) თუმცა მისი არაერთი მეგობარი და კოლეგა განაგრძობდა უშიშროების სისტემაში მოღვაწეობას: გივი ჯორბენაძე, წყაროველი, კაციტაძე, კ. ხვიტია, გივი ბარამიძე, იგი ყოველთვის გულშემატკივრობდა თავის დარგს და თავის კოლეგებს. სიცოცხლის ბოლომდე ყოველ შაბათ-კვირას დაუვიწყარი იყო მისი შეხვედრები ვეტერანებთან: ილუშა ურუშაძე, კაპანაძე, ირაკლი ნიბლაძე, ალექსი ღუდუშაური, კირილე გვასალია, ჭყონია, ლევიშვილი, სიხარულიძე, ლეონიძე, პაიჭაძე. მეგობრობდა არჩილ კერესელიძესთან, რევაზ თაბუკაშვილთან, სიკო და ვლადიმერ დოლიძესთან, მის ამაგს არ

ივიწყებდნენ ნინო ჟვანია, კოტე დაუშვილი, პროფესორი გვიშიანი, სანიკიძე.

ვლადიმერ დოლიძე გარდაიცვალა 1986 წელს 69 წლის ასაკში, დაკრძალულია მუხათგვერდის პანთეონში. დაჯილდოვებულია წითელი ვარსკვლავისა და შრომის წითელი დროშის ორდენებით, ასევე სხვა სახელმწიფო ჯილდოებით.

საინტერესოა - როდესაც ვლადიმერ დოლიძე ჩოხატაურში დაინიშნა სწორედ მაშინ მისი უფროსი ძმა დავითი დოლიძე მოხალისედ წავიდა მეორე მსოფლიო ომში და ქერჩში დაიღუპა.

მეორე ძმა მეთოდი დოლიძე რუსთავის კოლონიის ხელმძღვანელი იყო. წესიერების განსახიერება. სპეციალობით ინჟინერ - მშენებელი.

ვლადიმერ დოლიძეს ყავდა უფროსი და თამარ დოლიძე მასწავლებელი. შემდგომ სკოლის ხელმძღვანელი, ბიოლოგი, რომლის ოჯახი ცხოვრობს სოფელ ლიხაურში - ოზურგეთში (დღესაც).

უმცროსი და სონია ჩოხატაურის რაიონის სტომატოლოგი - ექიმი აწ გარდაცვლილი მთელი რაიონის თვალი და საყვარელი პიროვნება. ხშირად იგონებენ დაბლაციხესა და ბუკისციხეში.

შვილი - მალხაზ დოლიძე - ტექ. მეც. დოქტორი, პროფესორი, კვების მრეწველობაში პირველი ღირსების ორდენოსანი, საქართველოს პურპროდუქტების ასოციაციის ხელმძღვანელი, საქართველოს ტექ, უნივერსიტეტი აგრარული დეპარტამენტის ხელმძღვანელი, თბილისის №4 პურის ქარხნის დირექტორი, მრავალი სატელევიზიო და რადიო გადაცემის წამყვანი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ექსპერტი კვების მრეწველობის დარგში. 50 წელზე მეტია მუშაობს პურპროდუქტების სისტემაში.

(დ.ფ.): როდესაც ვლადიმერ დოლიძე უშიშროების სისტემიდან ტადარიგში გავიდა, მუსაობა გააგრძელა დიდუბის (პირველი მაისის) რაიაღმასკომში საბინაო ხაზით, მისი და ბატონი ნიკო ლეკიშვილის დამსახურებაა ძალოვანი სისტემის თანამშრომლები დროულად უზრუნველყოფილი იყვნენ საბინაო პირობებით.

მოამზადა - დონი ფანჩულიძემ

# მოწინავე ქართველების ჯერ კიდევ უცნობი ბიოგრაფია

ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი



ილია და აკაკი

ილია ჭავჭავაძე ორჯერ არ აირჩიეს თბილისის საქალაქო საბჭოში. მისთვის თბილისელმა ამომრჩეველმა 80 მანდატიდან ერთიც ვერ გაიმეტა.

ივანე ჯავახიშვილი კენჭს იყრიდა დამოუკიდებელი საქართველოს პირველ არჩევნებში, მაგრამ ქართველებმა ის არ აირჩიეს.

აკაკი წერეთელი არჩევნებში მონაწილეობდა და კენჭს იყრიდა მშობლიურ საჩხერეში. მან არჩევნები წააგო მეღვინე ხუსკივაძესთან, რომელმაც ამომრჩევლებს ღვინო უფასოდ დაურიგა.

ავტორისაგან: (დ. ფ.) როდესაც საქართველოში 2020 წლის 20 ოქტომბერს საპარლამენტო არჩევნები გაიმართა, ამომრჩეველთა ხმების განაწილების რამოდენიმე მაგალითს ავღწერ:

„გირჩი“-ს ლიდერი: ზურაბ ჯაფარიძე (გასიევი), რომლის საპროგრამო დევიზია: წვევანდელების შეზღუდვა სავალდებულო სამხედრო სამსახურში, ნარკოტიკული ნივთიერებების ლეგალიზაცია, მათი (ანაშა, კანაპლია, მარიხუანა) კულტივაცია, გასაბერი ეკლესიების პროპაგანდა, აღვირახსნილი ცხოვრების მწვანე შუქის გამნათებელი და..., - 3%-ნტი ხმის შეგროვება, ოთხი კაცი პარლამენტში, ტელევიზიის გახსნა...

2021 წლის ოქტომბრის თვეში საპარლამენტო არჩევნების მიმდინარეობისას ომის ვეტერანებმა ამომრჩევლებიდან -0,5 % მიიღეს, ამ შედეგით პარლამენტში, საკანონმდებლო ორგანოში ვერცერთი წარმომადგენელი ვერ მოხვდა.

... აკაკი წერეთელი: -„ფურთხის ღირსი ხარ შენ, საქართველო!!!“ ეს სიტყვები აკაკი წერეთელს ეკუთვნის ილია ჭავჭავაძის დაკრძალვაზე სამგლოვიარო პროცესის დროს, 1907 წელს.

„სტალინის სიკვდილით მსოფლიოში დასრულდა ლომების ეპოქა და დაიწყო ვირთხების ეპოქა!... პოლიტიკა საინტერესო აღარ არის. უფრო ზუსტად კი, ის საერთოდ შეჩერდა და ადგილი დაუთმო ბეღლის ვირთხების ურთიერთგარიგებებს!!!

ანტონი იდენი

დიდი ბრიტანეთის პრემიერ მინისტრი

1955-1957 წლებში

<<თქვა ეს სიტყვები და გადადგა...>>

ბატონი, - ანტონი იდენი, საგარეო საქმეთა მინისტრის რანგში 1943 წლის თეირანის კონფერენციაზე ესწრებოდა ჩერჩილის შემდეგ ინგლისის მხრიდან (დ.ფ.)

## „დიდი ბელადის“ მიღწევები!
## იოსებ ბესარიონის-ძე ჯუღაშვილი
## <<ს ტ ა ლ ი ნ ი>>

1991 წელს, საბჭოთა ამერიკულ სიმპოზიუმზე, როდესაც, კაპიტალიზმის მომხრე „დემოკრატებმა“, დაიწყეს ჭიკჭიკი - „იაპონურ ეკონომიკურ სასწაულზე“, ერთ-ერთმა იაპონელმა მილიარდერმა - ხეროსი ტერავამ, ასეთი რამე თქვა: „თქვენ არ ლაპარაკობთ ძირითადზე - საბჭოურ წამყვან როლზე - მსოფლიოში 1939 წელს, თქვენ, რუსები - ჭკვიანები იყავით, ხოლო ჩვენ - იაპონელები - სულელები. 1945 წელს თქვენ გახდით - უფრო ჭკვიანები, ჩვენ ჯერ კიდევ სულელები ვიყავით, ხოლო 1955 წელს, ჩვენ დავჭკვიანდით, თქვენ კი - ხუთი წლის ბავშვებად იქეცით. მთელი ჩვენი ეკონომიკური სისტემა, პრაქტიკულად - სტალინის ეკონომიკიდან არის გადმოღებული, მხოლოდ და მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ჩვენთან კაპიტალიზმია, - კერძო მწარმოებლები. ჩვენ ზრდის - 15%-ზე

მეტისთვის - არასდროს არ მიგვიღწევია, სტალინმა კი საზოგადოებრივი საკუთრების პირობებში, წარმოების ხარჯზე მიაღწია - 35%. ყველა ჩვენს უდიდეს ფირმაში, გამოფენილია - სტალინის პერიოდის ლოზუნგები“-ო.

სტალინის მმართველობის პერიოდის - 30 წლის მანძილზე, საბჭოეთი გადაიქცა - მსოფლიო მასშტაბის უმძლავრეს სამხედრო - ინდუსტრიულ სახელმწიფოდ. მეფის რუსეთის - ღარიბი და გაუნათლებელი მოსახლეობა, გადაიქცნენ - მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე განათლებულ ერებად. მუშათა და გლეხთა - პოლიტიკური და ეკონომიკური განათლება 50-იანი წლების დასაწყისში, უსწრებდა იმ დროის - ნებისმიერი განვითარებული ქვეყნების მუშათა და გლეხთა განათლების დონეს. საბჭოთა კავშირის მოსახლეობის რიცხვი, გაიზარდა 42 000 000 ადამიანით. სტალინის დროს აშენდა - 1500-ზე მეტი უმსხვილესი - ინდუსტრიული ობიექტი, მათ შორის: დნეპროჰესი, ურალმაში, „ხტზ“, „მაზი“, „ზისი“, ქარხნები - მაგნიტაგორსკი, ჩელიაბინსკი, ნორილსკში, სტალინგრადი.

დემოკრატიის ბოლო 30 წლის განმავლობაში არ აშენებულა ასეთი მასშტაბის არც ერთი საწარმო. უკვე 1947 წელს, საწარმოო პოტენციალი, საბოლოოდ იყო აღდგენილი, ხოლო 1950 წელს, იგი 2,5-ჯერ გაიზარდა ომამდელ - 1940 წელთან შედარებით. ომის დროს დაზარალებულმა, ვერცერთმა ქვეყანამ, ამ დროისათვის ვერ მიაღწია თუნდაც - ომამდელ დონეს, მიუხედავად - მძლავრი ფინანსური „დახმარებისა“ - ამერიკის მხრიდან. ფასები, კვების ძირითად პროდუქტებზე, ომის შემდგომი წლის განმავლობაში, საბჭოთა კავშირში 2-ჯერ შემცირდა, იმ დროს, როცა უმსხვილეს კაპიტალისტურ ქვეყნებში, ეს ფასები გაიზარდა, ხოლო ზოგიერთში 2-ჯერ და მეტჯერ, ეს მეტყველებს ქვეყნის გრანდიოზულ წარმატებებზე, რომელშიც სულ რაღაც 5 წლის წინანდელ, „სამამულო ომი“ იყო დასასრული -

კაცობრიობის ისტორიაში, ამხელა ქვეყანა, რომელიც ამ ომის შედეგად, ყველაზე მეტად დაზარალდა...

კაპიტალიზმის სპეციალისტებმა, 1945 წელს გააკეთეს ოფიციალური პროგნოზი; რომ საბჭოთა კავშირის მეურნეობა 1940 წლის დონეზე გასვლას შეძლებს მხოლოდ 1965 წელს - ისიც იმ შემთხვევაში, თუ აიღებს ჩვენგან სესხებსო, სტალინმა ამას 1949 წელს, ყოველგვარი სესხებისა და კრედიტების გარეშე მიაღწია. 1947 წელს, საბჭოტა კავშირმა, ომის შემდეგ - პირველმა ჩვენი პლანეტის ქვეყნებს შორის, გააუქმა ბარათების სისტემა. ხოლო 1948 წლიდან ყოველ წელს - 1954 წლამდე ამცირებდა ფასებს - კვების პროდუქტებზე და ფართო მოხმარების საქონელზე.

ბავშვთა სიკვდილიანობა 1950 წელს 2-ჯერ შემცირდა, 1940 წელთან შედარებით. ექიმების რაოდენობა 1,5-ჯერ გაიზარდა და სამეცნიერო დაწესებულებების რაოდენობა 40%-ით გაიზარდა. უმაღლეს სასწავლებლების სტუდენტთა რიცხვი გაიზარდა 50 %-ით. მაღაზიებში უხვად იყო სხვადასხვა სახის სამრეწველო და საკვები პროდუქტები. არ არსებობდა ცნება - დეფიციტი. გასტრონომებში პროდუქტების არჩევანი გაცილებით ფართო იყო, ვიდრე თანამედროვე „სუპერმარკეტებში“. მხოლოდამხოლოდ საბჭოთა წარმოების. სამომხმარებლო საქონლისა და კვების პროდუქტების ხარისხი და მრავალფეროვნება თანამედროვე პროდუქტებზე გაცილებით მაღალი იყო. როგორც კი მოდაში, ახალი ტენდენციები გამოჩნდებოდა-ხოლმე, ისინი მომენტალურად შეისწავლებოდა, და სადღაც ორი თვის შემდეგ, მოდური საქონელი მრავლად იფინებოდა მაღაზიების თაროებზე.

მუშების ხელფასი 1953 წელს მერყეობდა 800-დან 3500 მანეთამდე, და უფრო ზევით. მაღაროების და მეტალურგების ხელფასი - 8000 მანეთამდე აღწევდა. ახალგაზრდა ინჟინერ-სპეციალისტები - 1300 მანეთამდე იღებდნენ. სკკპ - რაიკომის მდივნის ხელფასი 1500

მანეთი იყო, ხოლო პროფესორების და აკადემიკოსების ხელფასი - 10 000 მანეთზე მეტი. ამ სიუხვისა და სიმდიდრის მიღწევა, შესაძლებელი გახდა 6.000.000-იანი ყველაზე თანამედროვე იარაღით აღჭურვილი მსოფლიოში საუკეთესო რეგულარული არმიის შენახვის მიუხედავად... 1946 წლიდან, დაიწყო მუშაობა - ატომურ იარაღზე და ენერგეტიკაზე, სარაკეტო ტექნიკაზე, ტექნოლოგიური პროცესების ავტომატიზაციაზე, უახლესი გამოთვლითი ტექნიკისა და ელექტრონიკის დანერგვაზე, კოსმოსურ ფრენებზე, ქვეყნის გაზიფიკაციაზე და საყოფაცხოვრებო ტექნიკაზე.

მსოფლიოში - პირველი ატომური ელექტროსადგური საბჭოთა კავშირში ექსპლოატაციაში შევიდა ერთი წლით ადრე, ვიდრე ინგლისში და ორი წლით ადრე, ვიდრე ამერიკაში. მხოლოდ საბჭოეთში იყო შექმნილი - ატომური ყინულმჭრელი ხომალდები. მხოლოდ ერთ ხუთწლედში 1946 წლიდან, 1950 წლის ჩათვლით მსოფლიოს უდიდეს კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან სასტიკი სამხედრო - პოლიტიკური დაპირისპირების პირობებში, და აბსოლუტურად ყოველგვარი დახმარების გარეშე, გადაიჭრა სამი სოციალურ-ეკონომიკური საკითხი:

1. სახალხო მეურნეობის აღდგენა;
2. უზრუნველყოფილი იქნა მოსახლეობის ცხოვრების დონის - განსაკუთრებულად მყარი ზრდა;
3. მოხდა, ეკონომიკური გარღვევა უდიდესი იმედიანი მომავლისკენ... და ახლაც კი, - ჩვენ ვარსებობთ მხოლოდ და მხოლოდ - სტალინის მემკვიდრეობის ხარჯზე; მეცნიერებაში, მრეწველობაში და პრაქტიკულად ცხოვრების ყველა სფეროში.

ამერიკის პრეზიდენტობის კანდიდატი - სტივენსონი, ასეთ შეფასებას აკეთებდა: „თუ წარმოების ზრდის ტემპი - სტალინის რუსეთში, შენარჩუნებული იქნება 1970 წლისთვის, რუსული

წარმოების მოცულობა 4-ჯერ მეტი იქნება, ვიდრე ამერიკულისო“... და ეს ის ამერიკაა, რომელსაც ომი არ უნახია საკუთარ მიწაზე... ჟურნალ, - „ნეიშენალ ბიზნესს“- ის 1953 წლის სექტემბრის ნომერში, ჰელბერტ ჰარისის სტატიაში - „რუსები გვეწევიან“ საგანგაშოდ იყო ჩამოყალიბებული, რომ: „ეკონომიკური სიმძლავრის ზრდის ტემპები უსწრებს - ნებისმიერ ქვეყანას. ამჟამად საბჭოეთში ეკონომიკური ზრდის ტემპი 3-ჯერ მეტია, ვიდრე ამერიკაშიო“...

არასდროს თავის ისტორიაში, ამხელა ვეებერთელა ტერიტორიას, როგორც სტალინის შექმნილი საბჭოეთი იყო, არ განუცდია ასეთი ლეგენდარული ცვლილებები, როგოც სტალინის ეპოქაში...

სტალინური სამყარო ბოღმისგან დადუმებული, გამუდმებით თვალს ადევნებდა სტალინურ სასწაულებს. ახლა სრულდება - „ეშმაკის ამოცანა“, - მეტი აღარსდროს არ დაუშვას სახელმწიფო ხელისუფლების სადავეებთან ადამიანები, რომლებიც თავიანთი შინაგანი ძალით, ზნეობრივი თვისებებით, სტრატეგიული აზროვნებით, ორგანიზატორული თვისებებით, სტრატეგიული აზროვნებით, ორგანიზატორული თვისებებით და პატრიოტიზმით - სტალინის მსგავსნი იქნებიან. მაგრამ - სტალინის წინააღმდეგ აღვირახსნილი პროპაგანდის ორგანიზატორებს, არ მოუტანა გამარჯვება გარდაცვლილ სტალინზეც კი.

ავტორისაგან: (დ.ფ.) როდესაც საკითხი დგება „დიდი ბელადის“, - იოსებ ბესარიონის-ძე ჯუღაშვილი - სტალინის კრიტიკაზე და მისი წარსულის ლანძღვაზე, აზრი მიჩნდება, იმის რომ, ასეთი გაუნათლებელი როგორა ვართ (რომელმაც უკვე კულმინაციას მიაღწია 1990 წლიდან...). ქართველები, რომ ამ ბუმბერაზ ადამიანის მიღწევებსა და წარმატებებს იგნორირებას უკეთებენ, ჯერ კიდევ (უკაცრავად)

ცხვირმოუხოცავი გოგო-ბიჭები, რომლებიც ჯერ კიდევ მშობლების კისერზე არიან ჩამოკიდებულები, ან ფინანსდებიან ჩვენი „ისტორიული მტრებისაგან“... მსოფლიომ აღიარა ამ განუმეორებელი ფენომენ ადამიანის, - განათლება, სტრატეგია და ტაქტიკა, ჩვენ კი, - „ახალი ქართველები“ ლანძღვა-გინებას არ იშურებენ ადამიანზე, რომელმაც, - „ფაშიზმი“ გაანადგურა, უკუაგდო შემოსული სამშობლოს დამპყრობლები და თავიანთ „ბუნაგში“ გაქცეულები ამოხოცა...

მსოფლიოში ერთ-ერთი განვითარებული სახელმწიფო, როგორიცაა ჩინეთი, დღესაც სტალინის თეზისების, ცოდნისა და გამოცდილების დევიზით მიაღწიეს წარმატებებს, რომლებიც ამ ცოდნას ისევ ჩვენს ქვეყანაში ნერგავენ, თუ გინდ უბრალოდ რომ ავიღოთ და მაგალითად მოგიყვანოთ, მათი ღვაწლი საქართველოში, დასავლეთ-აღმოსავლეთ ტრანს მაგისტრალის მშენებლობაზე გამოჩნდა...

დონი ფანჩულიძე

## უმადური ქართველების სახელმძღვანელოდ

(დ.ფ.) სულ მაინტერესებდა ნუთუ ამ ადამიანს არაფერი გაუკეთებია საქართველოსათვის და მივაგენი ფაქტებს, რომლის ნახვაც ნებისმიერს შეუძლია არქივში.

მცირე მონოლოგი მათთვის, ვისაც სტალინის ხსენებაზე, 1937 წლისა და ტაო-კლარჯეთის გარდა, არაფერი ახსენდებათ (ტაო-კლარჯეთი ბრიტანეთის დახმარებით დარჩა თურქეთის შემადგენლობაში).

* * *

1917 წელს აღდგენილი საქართველოს ავტოკეფალია არ სცნო რუსეთის ეკლესიის სინოდმა. ასე გაგრძელდა 1943 წლამდე. 1943 წელს კი სწორედ სტალინის ბრძანებით საქართველოს ავტოკეფალია აღადგინა.

* * *

საფრანგეთში მენშევიკების მიერ გატანილი ქართული საგანძური მანამდე არ დაუბრუნეს საქართველოს, სანამ ხმა სტალინამდე არ მივიდა. ქართული განძი (რაც მისგან დარჩა) სამშობლოს 1945 წლის 11 აპრილს სტალინის ძალისხმევით დაუბრუნდა.

* * *

1933-1934 წლებში სრულიად საბჭოთა კავშირში აბორტი და ჰომოსექსუალიზმი კანონით აიკრძალა. დღევანდელი გადმოსახედიდან იმედია, ხვდებით, ეს რას ნიშნავს...

* * *

სტალინის ბრძანებით გადაიღეს ეროვნული კინომატოგრაფიის ერთ-ერთი შედევრი „გიორგი სააკაძე“, გადაღების დამთავრების-თანავე (1943 წელი) ფილმის ასლები სტალინმა თეირანის კონფერენციაზე პირადად დაურიგა შეხვედრის მონაწილეებს. ფილმზე 7 000 000 მანეთი დაიხარჯა, 2 წელიწადში 40 000 000 ადამიანმა ნახა.

* * *

სტალინის ბრძანებით აშენდა რუსთავი, რომელიც 1948 წლიდან უკვე ქალაქად იხსნება.

*  *  *

სტალინის მმართველობის პერიოდში ჭიათურაში ყველაზე მეტი საბაგირო გზა იყო გაყვანილი (სტალინის ბარელიეფები, საბაგიროებზე დღესაცაა შემორჩენილი).

*  *  *

სტალინის ბრძანებით აიგო და გაკეთდა რიონჰესი (1927 წელს), ზაჰესი (1927 წელს), აწჰესი, რომელიც აჭარაში მდებარეობს (1941 წელს), „თბილისის ზღვა“ (1947 წელს), სამგორის წყალსაცავი სისტემა (1947-51 წლებში). მუშთაიდის ბაღში საბავშვო რკინიგზა (1935 წელს)...

*  *  *

1935 წელს სტალინის ბრძანებით ითარგმნა მრავალ ენაზე „ვეფხისტყაოსანი“, როდესაც ბელადს შალვა ნუცუბიძის მიერ რუსულად ნათარგმნი პოემა არ მოეწონა, თვითონ შეიტანა კორექტირები, კერძოდ, 1402-ე სტროფი სტალინმა გადათარგმნა.

*  *  *

როდესაც ფაშისტური ორგანიზაციის ერთ-ერთმა მონაწილემ აღიარა და დაადასტურა გამოძიების ხელთ არსებული ყველა მასალა ივანე ჯავახიშვილის ფაშისტური საქმიანობის შესახებ, დიდი ქართველი მეცნიერი შემთხვევით გადაურჩა სიკვდილით დასჯას - ჯავახიშვილი ამბობდა: იოსებ სტალინს აცნობეს და ბელადმა კრემლიდან თითი დაიქნია - ქართველებს მაგის ტოლი მეცნიერი სხვა ვინ გყავთო?! ასე გადაურჩა ცნობილი ისტორიკოსი დაღუპვას.

*  *  *

როდესაც პენტაგონმა, ამერიკის პრეზიდენტის ჰარი ტრუმენის დავალებით, მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, ცივი ომის პირობებში შეიმუშავა საბჭოეთის 20 ქალაქზე ატომური თავდასხმის სტრატეგიული გეგმა, სამიზნეში ამოღებულ ქალაქებიდან ერთ-ერთი თბილისი იყო, გეგმის შესახებ სტალინს აცნობეს, მან საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი კანდიდ ჩარკვიანი დაიბარა და უბრძანა, რაც შეიძლება სწრაფად გაეყვანათ ქალაქში მეტროპოლიტენი. მეტრო არ არის მხოლოდ სატრანსპორტო საშუალება, იგი ომის შემთხვევაში თავდაცვის შეუცვლელი საშუალებაა - ბრძანა სტალინმა.

1951 წელს თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლობა დაიწყო.

*** * ***

ყველას შეუძლია წაიკითხოს აკაკი მგელაძის მემუარები, როგორ არ დააცადა სტალინმა ჰიტლერს ოპერაცია „ედელვაისი"-ს განხორციელება, რომელიც კავკასიონის დაპყრობას გულისხმობდა. დიდი სამამულო ომის პერიოდში ჰიტლერის უშუალო ბრძანებით, იალბუზის დაპყრობა და კავკასიონის გადალახვა 49-ე მსროლელ კორპუს დაევალა, გენერალ რუდოლფ კონდრატის მეთაურობით.

პირველი დარტყმა უნდა განხორციელებულიყო საქართველოს სამხედრო გზით, თბილისზე, მეორე - ქუთაისზე, ხოლო მესამე დარტყმა ითვალისწინებდა კავკასიონის დასავლეთ უღელტეხილის გადალახვას და სოხუმზე გასვლას.

კრელმში, მაგიდასთან სულ ხუთი კაცი იჯდა, ხუთი კაცი, რომლებზეც იყო დამოკიდებული არა მხოლოდ საბჭოთა კავშირის არამედ კაცობრიობის შეცვლა, - სტალინი, მოლოტოვი, ბერია, ვოროშილოვი, მალენკოვი.

„მდგომარეობა კავკასიაში სერიოზულია, თითქმის კატასტროფული, ეს შორს მიმავალი პოლიტიკა და იდეოლოგიაა, მათ სურთ, დაარწმუნონ თურქეთი, რომ კავკასია დაპყრობილია, მათ სურთ ჩვენს საზღვრებთან მომდგარი მილიონიანი თურქული არმია საქართველოში შემოიჭრას და დაიკავოს ამიერკავკასია, შევინარჩუნებთ თუ არა კავკასიონს, ამას ომის მიმდინარეობა დაგვანახებს. კავკასიონის უღელტეხილების დაცვას უშუალოდ თქვენ უხელმძღვანელებთ ამხანაგო ლავრენტი. კავკასიონის დაკარგვა მოსკოვის აღების ტოლფასია, შეგიძლიათ თუ არა, დაიცვა კავკასიონი და შენი ქვეყანა? სვანეთის უღელტეხილების და კერძოდ, ბეჩოს გადასასვლელების დაცვა თქვენი უპირველესი დავალებაა“. - წარმოთქვა სტალინმა.

- მზად ვარ, მოვკვდე სამშობლოსათვის, დავიცვა მისი ღირსება და დამოუკიდებლობა!, - უპასუხა ბერიამ. - უნდა მოკვდნენ გერმანელები და არა თქვენ, - ღიმილით შეუსწორა სტალინმა.

კავკასიისათვის გადამწყვეტი ბრძოლა ჰიტლერმა 1942 წლის 23 ივლისს დაიწყო. ძალიან მძიმე დღეების შემდეგ, ქართულმა დანაყოფებმა შეძლეს ამ ბრძოლაში გამარჯვება, ეს სტალინური გენიის ნაყოფია, რომელიც მსოფლიო ომების ისტორიაშია შესული, როგორც ომის კლასიკური ნიმუში, და არასოდეს დაკარგავს მნიშვნელობას.

რაც შეეხება ტაო-კლარჯეთის საკითხს, მხოლოდ გეტყვით, რომ ტაო-კლარჯეთის დაკარგვა ლენინის მეთაურობით ბოლშევიკური რუსეთის მთავრობისა და თურქეთის მთავრობას შორის ქართული ტერიტორიების გადანაწილების შედეგია, რომელიც გაფორმდა 1921 წლის 13 ოქტომბერს „ყარსის ხელშეკრულებით“.

ვინმე იმის მტკიცებას თუ დაიწყებს, რომ სტალინს შეეძლო წინ აღსდგომოდა ლენინის ხელისუფლებას, აღნიშნული ტერიტორიების შესანარჩუნებლად, ეს დიდი უმეცრება იქნება. თვითონ ლენინი

ერიდებოდა თურქეთთან მდგომარეობის დაძაბვას, რადგან თურქეთის უკან ინგლისი იდგა და, დიდი ვარაუდით, ბათუმის შემოერთებაც წითელი არმიის მიერ უკვე დამარცხებულ ქართულ ჯარს და მის მეთაურს გენერალ მაზნიაშვილს იმიტომ დაავალეს ინგლისელთა პროტესტის შემთხვევაში ეს მოვლენა ძველი ქართული მთავრობისა და მისი ჯარის თვითნებობისათვის დაებრალებინათ.

*** * ***

სტალინმა დიდ სამამულო ომში, გამარჯვების წინა პერიოდში ჩაიფიქრა საქართველოსა და სომხეთისათვის თურქეთის მიერ მიტაცებული მიწების დაბრუნება. ამის გამო თურქეთთან სამხედრო კონფლიქტის შემთხვევაში სტალინმა ფრონტის ზურგში თურქი მოსახლეობის არსებობა მიზანშეუწონლად ჩათვალა და ასპინძისა და ახალციხის სოფლებიდან შუა აზიაში გადაასახლა, მაგრამ ყველაფერი სხვაგვარად წარიმართა.

ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტები დოკუმენტურად დადასტურებულია, შეგიძლიათ არქივსა და მუზეუმებში შეამოწმოთ. სტალინის დონის პოლიტიკოსი ქართველებს არ გვყოლია. ეს იყო ადამიანი, რომელმაც 30 წლის განმავლობაში ნახევარი მსოფლიო თავის ნებასურვილზე ატარა. მას თვალებში შესციცინებდნენ ისეთი ლიდერები, როგორებიც იყვნენ, - ჩერჩილი, რუზველტი, მაო-ძედუნი.

ავტორისაგან: (დ.ფ.) - როდესაც პირსისხლიანმა, ლოთმა და ავანტიურისტმა, - ნიკიტა ხრუშჩოვმა იოსებ სტალინი „კულტად“ გამოაცხადა, მთელ საკავშირო სისტემაში გააუქმა მისი სახელობის ყველა ღირსშესანიშნავი ადგილები, აიღო ძეგლები და ბიუსტები. გააუქმა მისი სახელობის გამზირები და ქუჩები. მხოლოდ 1956 წელს ქალაქ გორში, ხალხის პროტესტის საფუძველზე მხოლოდ მის სამშობლოში დატოვა ერთადერთი ძეგლი...

2008-2009 წლებში ჩვენმა „ტვინნაღრძობმა ახალმა ქართველებმა“, აღნიშნული ძეგლი ღამის საათებში მოიპარეს და სანაგვეზე გადააგდეს, რომელსაც დღემდე აღნიშნული ადგილი არ შეუცვლია...

ხოლო საქართველოს მასშტაბით მრავლად გვაქვს; მაიაკოვსკის, ოთხი პუშკინის, ლერმონტოვის, გრიბოედოვის, კაჩინსკის, ალიევის, რეიგანის ძეგლები, ცოცხალი ბუშის ქუჩა და ალიევის სახელობის სანაპირო...

<<ვასილ პავლეს-ძე მჟავანაძეზე და მის საქმიანობაზეც ზედმეტია საუბარი. მაპატიეთ ამ საქართველოს ბედზე და მომავალზე მოფიქრალ ადამიანთან, რომ მოვიგონებ, - მეფეთა მეფეს დავით აღმაშენებელს, მაგრამ სათქმელი უნდა ითქვას!, - 2021 წლის 12 აგვისტოს „დიდგორობა“ აღვნიშნეთ <<900 წლის>> იუბილესთან ერთად ისევ დიდგორზე, მაგრამ, როგორც ასეთი საკანონმდებლო ორგანომ - პარლამენტმა არ მიიღო კანონი, ეს ისტორიული დღე გამოცხადებულიყო „უქმე დღედ“!, - „ჩაილურის წყალი დალია“...

ავი ენები იმასაც ამბობენ, არ სურთ გაამწვავონ ურთიერთობა მეზობელ ქვეყნებთან, - ირანთან და თურქეთთანნო, არადა ისტორიკოს-მემატიანეები წერენ, - სომეხი მათეოსიანი და ბერძენი - გოკიე, სრულ ვერსიებზე წერენ, - მის უძლეველ გამარჯვებაზე.

რაც შეეხება ძირითად აზრს ამ ომის მნიშვნელობისა, ამავე წიგნის ერთ-ერთ გვერდზე გაეცნობით.

# განუმეორებელი ფენომენი იოსებ სტალინი

## გთავაზობთ რვა უნიკალურ მომენტს ბელადის ცხოვრებიდან

1. აშშ-ს პრესა იუწყება, რომ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინმა არაერთხელ მიიღო წლის ადამინის წოდება. პირველად 30-იან წლებში, როდესაც ევროპის თანაბარუფლებიანი ბრძოლა დაიწყო გერმანიის წინააღმდეგ. მეორედ, 40-იან წლების დასაწყისში, ბრძოლისათვის, რომელიც ცნობილი გახდა, როგორც გარდამტეხი დიდი სამამულო ომის დროს  - სტალინგრადის ბრძოლა, რის შემდეგ საბჭოთა ჯარისკაცების უკან დახევა თავდასხმად გადაიქცა.

2. ისრაელში უფიციალურად არის დაწესებული სტალინის ხსოვნის დღე - 5 მარტი ითვლება, რომ საბჭოთა კავშირის მეთაურმა ხელი შეუწყო ამ სახელმწიფოს წარმოქმნას, „რომელიც დღემდე დამოუკიდებელია. თუმცა, მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ომის დროს ლიდერს ნამდვილად სჭირდებოდა აღმოსავლეთი ქვეყნების ყველა შესაძლო მხარდაჭერა.

3. სტალინი ახლად არჩეულ თანამდებობაზე კონფორტულად არ გრძნობდა თავს. იგი არ იყო მიჩვეული მის მიმართ დამოუკიდებლობას, როგორც დიდი ადამინაისადმი. იგი ყველას პატივისცემით ეკიდებოდა.

4. იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი ატარებდა პირად იარაღს „Z.62 მმ“ პისტოლეტს 18 ტყვიასთან ერთად.

5. სტალინის ტანსაცმელი გამოირჩეოდა ორიგინალობით, ყოველთვის თან დაჰქონდა საყვარელი ჩუსტები. სტალინი მხოლოდ იმას იცვავდა, რაც მოწონდა. ის ყოველთვის თან ატარებდა საყვარელ ნივთებს როგორც სამსახურში, ისე შეხვედრებზე. საყვარელი ნივთები

ფრონტზეც კი წაიღო. ამერიკის ლიდერის, რუზველტისაგან განსხვავებით, ის ფესაცმელს არ იცმევდა, ჩექმები ერჩია.

6. სტალინის ახლო გარემოცვა მეტყველებს იმაზე, რომ იგი ხელოვნების გულშემატკივარი იყო. ამასთან, იგი არასდროს ამჟღავნებდა სენტიმენტალობას საზოგადოებაში. ლიდერი თითქმის არასდროს საუბრობდა შემოქმედებაზე, მაგრამ მისმა ამხანაგებმა არნიშნეს, რომ სახელმწიფოს მეთაური დადიოდა თეატრებში, პატივს სცემდა მსახიობებს და მომღერლებს. ეს ფაქტი რიგითი მოქალაქეებისაგან საიდუმლოდ იყო დაცული. ითვლებოდა, რომ ამ კავშირებს შეიძლება მისი კომპრომეტირება მოეხდინა.

7. სტალინს უყვარდა ხუმრობა. უამრავი ადამიანი აღნიშნავდა მისი ხუმრობების გადაჭარბებულ სიმძიმეს. მისი იუმორის ობიექტი საშინელ დღეში ვარდებოდა. გერმანელებს შიში იპყრობდა და ცივ ოფლს ასხავდა. ამბობდნენ, რომ როდესაც სახელმწიფოს მეთაური ხუმრობდა თავის გამოსვლებში, მთელი აუდიტორია შიშით იყინებოდა.

8. სტალინს მარცხენა ფეხი აწუხებდა დაბადებიდან. სუსტი ფეხის ფაქტი დაფიქსირებულია ციხის დოკუმენტებში იოსებ ბესარიონის - ძის პატიმრობის დროს. ხელისუფლებაში მოსვლამდე სტალინი კოჭლობდა. სახელმწიფო მეთაურად მოსვლის შემდეგ, მან შეძლო დაემალა თავისი ნაკლი, შეძლო გაეკონტროლებინა სიარული, რომელიც ნელი და თავდაჯერებული გახდა.

ავტორისაგან: (დ.ფ.) იოსებ ბესარიონის - ძე ჯუღაშვილს (სტალინს) ბავშვობისას „ფაეტონი“ დაეჯახა, სიკვდილს გადაურჩა, როგორც დედით კეკე გელაძე სიტყვიერი საუბრის დროს აღნიშნავდა...

# სტალინის საბედისწერო შეცდომა...

(21/12-1897 (56) 5/03-1953 წწ.)



იოსებ სტალინი
პირადი დაცვის უფროსთან გენერალ
ნიკოლაი ვლასიკთან ერთად

გენერალ-ლეიტენანტი ნიკოლაი ვლასიკი ეროვნებით ბელორუსი, 25 წელი სტალინის პირადი დაცვის უფროსი იყო, ის ბელადს ყველგან დაჰყვებოდა და იცავდა: სახლში, აგარაკზე, სამსახურში, უცხოეთში მგზავრობისას.

სტალინისათვის ვლასიკი ყველაზე ერთგული და სანდო ადამიანი იყო, მეუღლის დაღუპვის მერე სტალინის შვილების აღზრდის და მეთვალყურეობის მოვალეობა ვლასიკს დააკისრეს და სხვათაშორის ამას საკმაოდ კარგად ასრულებდა.

1952 წელს სტალინის მტრებმა ბოლოსდაბოლოს შეძლეს მისთვის ვლასიკი ჩამოეშორებინათ აბსურდული შეთითხნილი ბრალდებით, ვლასიკი სამსახურიდან გაათავისუფლეს და ურალში გადაიყვანეს ციხის უფროსად.

ვლასიკის დაცვის გარეშე ბელადმა მხოლოდ ერთი წელი იცოცხლა.

*მოამზადა: დონი ფანჩულიძე*



ნიკიტა ხრუშჩოვი
გაეროს გენერალური ასამბლეა
1960 წლის 12 აგვისტო

## ზოგი რამ და მნიშვნელოვანი, დღევანდელ უვიც ქართველებზე!

აისბერგებს გლობალური დათბობის შემთხვევაში - წყლად გადაქცევა ელის. სტალინის თავზე ვერასოდეს გადაივლის ტალღა, რადგან თვითონ ეს ტალღაა იგი. სტალინურმა ეპოქამ ბრწყინვალების საშუალება მისცა: მუსხელიშვილს, ბერიტაშვილს, ვეკუას, უზნაძეს, კუპრაძეს, ხარაძეს, დურმიშიძეს, ჩიქობავას, შანიძეს, კეკელიძეს, ჩუბინაშვილს, ჯანელიძეს, ჯავახიშვილს, ზურაბიშვილს, დავითაშვილს, ნათიშვილს... ქართულ ლექსსა და პროზას იცნობდნენ არა მხოლოდ დედამიწის ერთ მეექვსედზე, არამედ მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, სადაც წერა კითხვა იცოდნენ ადამიანებმა. გალაქტიონის, ტიციანის, ლეო ქიაჩელის, გოგლა ლეონიძის, იოსებ გრიშაშვილის, სიმონ ჩიქოვანის, კონსტანტინე გამსახურდიას, ლევან გოთუას, ირაკლი აბაშიძის, დავით კლდიაშვილის, იოსებ ნონეშვილის, ნიკო ლორთქიფანიძის, დემნა შენგელაიასა და სხვათა ნაწარმოებები - ქართული სულის მიმართ ნაჩუქარი საშუალება, რაც სტალინის ეპოქაში შეიმოსა - დიდი შარავანდედით. თუ ჩამოთვლილ ნიჭიერ ადამიანებს ვინმე აკლია, ეს იმ ბრმა ცხოველების დამნახავთა კისერზეა, ვინც ასეთ აზრებს წერს წარსულზე. სტალინის დროინდელი მოსახლეობის მქონე რესპუბლიკა, 14 მილიარდი მანეთის ღირებულების პროდუქციას აწარმოებდა. მანეთის ღირებულება კი გაცილებით აღემატებოდა იმჟამინდელი ამერიკული დოლარის მსყიდველობით უნარიანობას.

პირჯვრის გადაწერისთვის ჯვარს აცვავდნენ, ხვრეტდნენ, ასახლებდნენო - ამბობენ დღეს ბრმები. ამ წინადადების პასუხად ერთი ამბავი უნდა გითხრათ: საქართველოს ცენტრალური კომიტეტის მდივანმა - პეტრე შარიამ - რომელსაც პოეტობაზეც ჰქონდა პრეტენზია,

სხვადასხვა გარემოებიდან გამომდინარე, რელიგიურ თემაზე დაწერა პოემა - „ცხონება სულისა“ - რომელიც იმ ქვეყნიურ ცხოვრებას ეხებოდა. მოშურნეებმა, დასტამბული პოემის ერთი ეგზემპლარი გაუგზავნეს სტალინს, რომელიც რა თქმა უნდა ნაწარმოებს გულდასმით გაეცნო. იმის გამო, რომ შარია ცენტრალურ კომიტეტში იდეოლოგიას განაგებდა, სტალინმა რჩევა მისცა საქართველოს ცენტრალურ კომიტეტს, შარიასათვის მოენახათ შესაფერისი თანამდებობა და ის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორად გადაიყვანეს. არ არსებობს სტალინის ხელმოწერილი დეკრეტი, რომელშიც ადგილობრივ ხელისუფლებებს ავალებს, ყველგან გახსნან დაწყებითი სკოლები - ადგილობრივ ენებზე, რათა რაც შეიძლება სწრაფად მოხდეს - უცოდინარობის ლიკვიდაცია. სოჭში, სადაც სტალინი ისვენებდა, კრემლმა დირექტივა გაავრცელა, რომ მოკავშირე რესპუბლიკების, ოლქებისა და მხარეების მთავრობებისათვის - მხოლოდ რუსულ ენაზე გაეგზავნათ წერილობით პარტიული მასალები. ეს დირექტივა სტალინმა სოჭში მიღებულ ფოსტაში აღმოაჩინა, რის გამოც მოლოტოვს გაუგზავნა სასწრაფო შიფროგრამა, რომელშიც კატეგორიულად აფრთხილებდა, რომ მიღებული დირექტივა ანტისახელმწიფოებრივია და დისკრიმინაციულიო. სტალინმა თქვა: „საბჭოთა კავშირი არ არის რუსეთის სახელმწიფო და ვალდებულება არ აქვს მასში შემავალ ხალხებს, დაემორჩილოს ერთი ერის ნებას და სურვილებს...

...ამერიკის დაზვერვის არქივებში წერია, რომ აბსოლუტური ძალაუფლება სტალინმა მიიღო მხოლოდ 1941 წლის 15 ივლისიდან, რადგან პასუხისმგებლობას ომის წარმართვაზე ჰიტლერისგან შეშინებული პოლიტბიუროს ამხანაგები გაურბოდნენ. სტალინმა ომიც დაასრულა. მთელ პლანეტას ფაშისტური ჭირიც მოაშორა და მერე დაიწყო მთავარი... საბჭოთა ეკონომიკა სტალინის ერთპიროვნული

მმართველობის პერიოდში იმდენად სწრაფად იზრდებოდა, რომ მთელი კაპიტალისტური მასონური სისტემა შოკში იყო. საბჭოთა კავშირში მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდამ 1946-1950 წლებში 25,8% შეადგინა, მაშინ როდესაც არანაირი საგარეო ვალი არ აუღია სტალინს. ხოლო კაპიტალისტური სამყაროდან ყველაზე დიდი ზრდა დასავლეთ გერმანიას ჰქონდა 2,55%, მაშინ როდესაც გერმანიამ ა.შ.შ.-სგან დახმარების და ვალის სახით რამოდენიმე ათეული მილიარდი დოლარი მიიღო... ასევე ამერიკელი დაზვერვის მოხსენებაში ეწერა, რომ საბჭოეთში ქვეყნის ეკონომიკის ზრდით მიღწეული სიკეთის 98%-ზე მეტი უბრალო რიგით მოქალაქეებზე ნაწილდებოდა, რომლებიც საბჭოთა სახელმწიფოსაგან უსასყიდლოდ იღებდნენ საცხოვრებელ ბინებს, სამედიცინო მომსახურეობას და განათლებას. ეს მაშინ როდესაც კაპიტალისტურ ქვეყნებში, ქვეყნის ეკონომიკის ზრდის სიკეთის 88% მდიდარი მოსახლეობის 1,2%-ზე ნაწილდებოდა. ეს ყველაფერი დაიწერა იაპონურ გაზეთებშიც, სადაც ეკონომიკის მართვის და აღდგენის მაგალითს სტალინური ეკონომიკის კოპირებაში ხედავდნენ!

(დ.ფ.) ავტორისაგან: - 2017 წელი, - „ნახევარი საუკუნე“ შესრულდა, - „ძევრულჰესის“ ექსპლუატაციაში გაშვებიდან. იუბილარმა ჰიდროელექტროსადგურმა ქვეყანას მისცა <<6 - მილიარდ 800 მილიონ კვ.ტ. საათი ელექტროენერგია.>>

(დ.ფ.) საბედნიეროდ საიუბილეო წელთან დაკავშირებით გამოიცა წიგნი, თუ როგორ მიმდინარეობდა ეტაპობრივად უნიკალური ჰესის მშენებლობა, წიგნში განთავსებულია „ფოტო-სესია“ იმ კატეგორიის ადამიანებისა, რომლებიც აღნიშნული უნიკალური შენობა-ნაგებობების მშენებლობის მიმდინარეობისას ან დაბადებულნი არ იყვნენ, ზოგი ბაგა-ბაღში იზრდებოდნენ...

რესტავრაცია ნახევარი საუკუნის გასვლის შემდეგ



მარცხნიდან: გივი სოფრომაძე, ჯუმბერ მეფარიძე, ტარიელ დიაკონიძე, ივლონ ზარნაძე (ჰესის დირექტორი), თამაზ იაკობიშვილი (შპს "რევერსის" დამფუძნებელი), დავით მესხი (სააქციო საზოგადოების თავმჯდომარე), ირაკლი დოლიძე (შპს "რევერსის" მთ. ინჟინერი), მურმან ფანჩულიძე (შ.პ.ს "რევერსის სამუშაოთა მწარმოებელი).



„ძევრულჰესის" მშენებლობა 1950-1957 წწ.

<<წინა ხედი>>




<<უკანა ხედი>>




ძევრულჰესის საავტომობილო გზა

1950 წ.

ჯერ კიდევ ე.წ. „საბჭოთა კავშირს" 1941-45 წლის „დიდი სამამულო" ომის შედეგად ჭრილობები მოშუშებული არ ჰქონდათ, - „დიდი ბელადის" პოლიტიკამ და ეკონომიკურმა სტრატეგიამ ჩემს სოფლამდეც (თერჯოლის (ჩხარის) სოფელ ძევრამდეც) მოაღწია. 1948-50 წლებში ჯერ დამთავრდა საცხოვრებელი ბინების, და დამხმარე ნაგებობების მშენებლობა, ხოლო 1950 წლიდან 1957 წლამდე მიმდინარეობდა ამ უნიკალური, ისტორიული ჰესის მშენებლობა, ადგილობრივ მუშა-მოსამსახურეებთან ერთად, რუსეთიდან ჩამოყვანილი იქნა 3000-მდე დამხამრე ძალა, მათ შორის 100-ჩინეთის რესპუბლიკიდან უმაღლესი კვალიფიკაციის ინჟინრები... როგორც მოგეხსენებათ ამ „ქვაბულში", რომელსაც უწოდებენ: - „იმერეთის ვარძიას", საცალფეხო, მისასვლელი გზა მხოლოდ ბუნებრივი გამოქვაბულით მდინარის პირას მიუყვებოდა, მიმდინარე მშენებლობამ მოითხოვა, გაეჭრათ მდინარემდე ჩამომავალი ფერდობი, რათა შესულიყო საავტომობილო გზა, რომლის პირველი, - „ბარის დამრტყმელი ჩემი მამა" ყაფლან (გუგული) ფანჩულიძე გახლდათ, რომელიც მთელი შვიდი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა „ამფეთქებელთა ბრიგადას", რომლის დაფასება, ჯერ კიდევ „დიდი სამამულო" ომის დროს დაფასდა სტალინგრადის ომის დროს, სადაც 20 წლის ბიჭს, 1941 წელს, - „საავიაციო სამხედრო ნაწილში" მოუწია, 22 წლის, მფრინავი პილოტი" სამი საბრძოლო მედლით: „დიდების, - II და III ხარისხის) ორდენით და მედლით, - „სტალინგრადის დაცვისათვის", კონტუზირებულმა, შვიდი წლის, ტიტანური შრომის შემდეგ, - საბჭოთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის მიერ დაჯილდოებული იყო, - <<საპატიო სიგელით>> მოსკოვში მიწვევით...



ძევრულჰესის ამფეთქებელთა ბრიგადის
ბრიგადირი ყაფლან ფანჩულიძე
და თანაშემწე ვასილ ივანოვი
1950 წლის იანვარი



ყაფლან ფანჩულიძე
საწარმოო ტრამვის შედეგი -
- თექვსმეტწლიანი უსინათლობა

1957 წლიდან სოფელი ძევრი, რაიონში შემავალ სოფლებთან შედარებით, - „ინდუსტრიულ დასახლებას“ წარმოადგენდა, თავისი შემავალი წარმოება-დაწესებულებით: ჰიდროელექტროსადგური, გეოლოგიურ წიაღისეული სიმდიდრეების საძიებო სამმართველოს, რაიონი ავტობაზა, 300 კაცზე, „ინვალიდთა და მოხუცებულთა სახლ-ინტერნატით“, ფსიქიატრიული საავადმყოფო 150 პაციენტზე გათვლილი, სამხედრო ნაწილი 120 ჯარისკაცზე გათვლილი ყაზარმა, რომლებიც 1960 წლიდან 1967 წლამდე აშენებდნენ სოფელ ახალთერჯოლაში მიწისქვეშა „სამხედრო ქალაქსა“ და რაკეტულ ბაზას... სამი სკოლა, ერთი რვაწლიანი, მეორე რუსული სკოლა, ჩამოსული მოსამსახურე პერსონალის ბავშვებისათვის, ბაგა-ბაღი, საერთო აბანო, სასაუზმეები, მაღაზიები, სამკერვალო ატელიები, საპარიკმახეროები, საბჭო, კოლმეურნეობა, - „სოციალისტური სოფელი“ და ის ადამიანები, რომელთა გულში და სულში სიბოროტე არ იბუდებდა. მეზობლის ან თემში გარდაცვლილის დასატირებლად და ბოლო „მხედრული“ ვალის მოსახდელად მთელი სოფელი მიდიოდა (ახალგაზრდების საყურადღებოდ) მდინარე ძევრულა მათ მწუხარებას არ ყოფთა... მეზობელს ერთი წელი ვგლოვობდით, ჭირი და ლხინის გაზიარება ეს ტრადიცია იყო წინაპრებიდან გადმოცემული...

მომავალო თაობა! გაუფრთხილდით წინაპრების ისტორიას, ის ყველას წილხვედრია!

*დონი ფანჩულიძე*

# „დედა, სამშობლო გვეძახის!“









ადამიანებო! იყავით ფრთხილად! გზა გადაუღობეთ ძმათამკვლელ ომის გამჩაღებლებს!!! გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტურ საქართველოს!!!

...ახალგაზრდებო! თქვენს თავზე სატანა დაფრინავს!... ფრთხილად!..

დონი ფანჩულიძე
ქ. გორი, 22/VI-2016წ.





















გაიღვიძე “პაპა!“,–
საქართველო იღუპება,
ჭილყვაავები შემოესივნენ !!!

## „თვალსაზრისი“

გამარჯობა, - პაპა!!!, კითხვა აღარც მინდა მანდ როგორ იქნები სულძაღლი ნიკიტა ხრუშჩოვის შემდეგ, ბოროტმა სიძულვილის გამო კრემლის მავზოლეუმიდან გამოგასვენა, ცუდმა მოქმედებამ თქვენს მიმართ, კარგად შეგიტრიალდათ, ქრისტიანული წესით მაინც დაიკრძალეთ და „მიწიდან მოსული, მიწად იქეც.“ რაც შეეხება ვალოდიას, ლენინს, ღმერთმა მიწა არ გაიმეტა იმდენი ცოდვები დაუგროვდა.

- რატომ დავაგვიანე თქვენთან საუბარი?!

- ინტერნეტ სივრცეში, ალბათ დაგაინტერესებს - „ფეისბუქზე“ რამდენჯერ დავდევი ტექსტი, იმდენი დაბლოკეს და წაშალეს „ნაციონალების“ დაქირავებულმა „ჰაკერებმა?’’ რამდენიმე მომხდარი ამბების მოყოლა დამიგროვდა, - პაპა!, ეს ჩვენი ამერიკის ელჩი ქალბატონი, კელი დეგნარი რომ მობრძანდა საქართველოში, ორი თვე დამუნჯებული იყო წინა მორბედი ელჩებთან შედარებით, მანამ ორი წელი დანიშნული არ იყო, აი, მაფიამ რომ მოისროლა ტრამპი, და „ცისფერების მაფიამ“ აირჩია ამერიკის პრეზიდენტად ჯო ბაიდენი, აი მის შემდეგ გამიცოცხლდა ეს ჩვენი „სტუმარი“ და დაგვიწყო ქართველებს ჭკუის სწავლება რამდენი კოვზი შაქარი ჩავყაროთ ჩაისა და ყავაში... ეს რომ გაუვიდა, ამის შემდეგ უკვე ოჯახურ ტრადიციებშიც შემოიჭრა, - ქალი ქალთან დაწვესო და კაცი კაცთანო! რაც პარადები იყო ე.წ. „კომუნისტების დროს, - შვიდი ნოემბერი და პირველი მაისიო“, ჯარი თქვენ არ გყავს და მშრომელი ხალხიო. ჰოდა, ქე გავებით მახეში 2021 წლის 5 ივლისს, უნდა ჩატარებულიყო საკანონმდებლო ორგანო, - პარლამენტთა, „გეიაღლუმი“ ...ქართველები რა ქართველებია, ჰოდა კი მიპერტყა ეს „ცისფერები“ თავის დამცავ ჟურნალისტებთან ერთად, სამწუხაროდ ორმოცდაათი ჟურნალისტი

ცემეს, მათ შორის ლექსო ლაშქარავა, ღმერთმა აცხონოს და გაანათლოს ტელეოპერატორი, რამოდენიმე დღის შემდეგ გარდაიცვალა. ავი ენები იმასაც ამბობენ ნარკოტიკები მიიღო მეგობართან ერთად, „დოზიროვკა“ ვერ განსაზღვრაო... ჯერჯერობით საბოლოო დასკვნაც არ არის, ჩემი ყოფილი კოლეგა, ძველი მეგობარი, დამოუკიდებელი ექსპერტი ალექსანდრე „ალეკო გეჯაძე იკვლევს... სანამ შემეკითხებოდე რა ხდება ამ დაქცეულ წუთისოფელში, მე თვითონ გიპასუხებთ! თქვენი ჩაკეტილი საზღვრები მივხსენ- მოვხსენით, და მივანგრიე ვინ გადის და ვინ შემოდის კონტროლი მოიშალა, ჯერ სასარგებლო ევროპიდან არ შემოსულა და არ შემოგვიტანია. „შიდსისა“ და „კორონავირუსის“ გარდა ამ დანგრეულ გაპარტახებულ ეკონომიკას ეს უნდოდა?! განათლება მიწასთან გავასწორეთ, ჯერ „სანტექნიკოსის“ ლომაია განათლების მინისტრად რომ დავნიშნეთ, სკოლებიდან გამოვყარეთ ხატები და ჯვრები, შევიყვანეთ, - „მოზვერა - მოზვერა“ ჯანავიკები ე.წ. „მანდატურები ამ ბავშვებს ჟანდარმერებად დავუყენეთ ეს „მუსკულიანი“ ფორმიანი მანდატურები, არადა სამი ათეული წელი ძალოვნებში გავატარე, აქედან სამი წელი დარგობრივად არასრულწლოვანთა ინსპექტორი ვიყავი, 12-ინსპექტორიდან ყველაზე რთული უბანი ჩამაბარეს 80-იან წლებში, - „დინამო“ სტადიონის და „მუშტაიდის“ მიმდებარე ტერიტორიები, მასში შემავალი სკოლები სპორტული და შრომის სასწავლო კომბინატებთან ერთად, საშუალო სკოლა - 5, სამედიცინო სასწავლებელ - 1, საცირკო სასწავლებელ - 1, შრომის-საწარმოო კომბინატი - 1, რამოდენიმე სპორტდარბაზი, ვერ სწავლობდნენ, ამ პანდემიის გამო საშუალო სკოლები, უნივერსიტეტები და ინსტიტუტები ჩავკეტეთ, ე.წ „ონლაინ რეჟიმში“ გადაგვიყვანეს, სკოლებში მასწავლებლები კონტროლქვეშ ვერ ასწავლიან, სახლში ონლაინი?! ერთი დისციპლინა ეს იყო მერხზე მოწესრიგებული ჯდომა, 45 წუთიან რეჟიმში ბავშვის ჩაყენება.

მასწავლებლის დარიგება, ეხლა?! მოგახსენებთ!, ზოგს ინტერნეტსივრცე არა აქვს, მეზობლის ბავშვებთან ერთად უყურებს, მშობლები, დედ-მამა დასაქმებულია, ზოგი გადახვეწილია საზღვარგარეთ ლუკმა - პურის საძებნელად, დავუტოვეთ მომავალი თაობა და გენოფონდი ბებია - ბაბუას, კი მოგეხსენებათ ადრეული, თითქოსდა იუმორით ნათქვამი, - „ბებია - ბაბუებსა და შვილიშვილებს ერთი ჭკუა აქვთო“. ჰოდა კი მივდივართ ამ რეჟიმში, მსოფლიოში პირველ ადგილზე ვიყავით უმაღლეს სასწავლებელებითა და მისი დამთავრებულ სტუდენტებით, რომელსაც დღეს სკოლებში ბავშვებს არ ასწავლიან ან ცნობილ პროფესორ - აკადემიკოსებს, რომლებიც სააკაშვილმა და „ნაცშპანამ“ ე.წ. „ჩარეცხილების ნუსხაში“ შეიტანეს, - მუსხელიშვილი, ხარაძე, ვეკუა, როინ მეტრეველი... გურამ შარაძე კი ქუჩაში დახვრიტეს. ეხ პაპა!, პაპა! შობადომაც იკლო. X – XI საუკუნეში, როცა ბავშვებსა და მომავალ თაობას, - „სექსის საგანს“ არ ასწავლიდნენ 12 000 000 მილიონი ვიყავით ქართველი ერი, კი იცი როგორ სტრატეგიული განედზე ვიმყოფებოდით და ვიმყოფებით გარშემო მუსლიმანური ქვეყნებით ვართ და ვიყავით შემოფარგლული, ეხლა რომ გავიძახით ჩვენი, - „ისტორიული მეზობლები“ არიან ირანი და თურქეთიო, XVIII-ე საუკუნეში 500 000 ნახევარ მილიონამდე ჩამოვიდა ქართველი ერი, ფიზიკურად ვნადგურდებოდით, ჩვენი დამცავი აღარავინ იყო, ვინ? ირანი დაგიცავდა?! 400 000 ათასი ქართველი კახეთიდან 1 500 კოლიმეტრზე წაასხა ფეხით და ფერეიდანში და ჩაასახლა შაჰ - აბასმა ჩვენმა გონიერმა წინაპრებმა ერთმორწმუნე ერს რუსეთს მიაშურა, რათა დაეცვათ ქართველი ერი ბოლომდე განადგურებას, ეს მოხდა 1801 წელს, მიუხედავად მათგან დაწესებული რეპრესიებისა, არც ისინი აღმოჩნდნენ, - „მამა - მარჩენლებიც“, კი ავედით 7 000 000 მილიონამდე. თქვენი აღორძინებული „კავიანი




**Каплан Доментович Панчулидзе -**
**от однополчанина летчиков с 2 февраля 1942г.**
**Через 20 лет после разгрома Фашисткой**
**Германии в Сталинграде.**

**Город Сталинград**
**20.02.1962 г.**

- რუსეთი“, რომლებიც თქვენ და ლავრენტი ბერიამ, - „ატომურ ენერგიამდე მიიყვანეთ, ჩვენ ეკონომიკაზეც გადმოდიოდა. კი გლანძღავენ, - პაპა!, მაგრამ თქვენ, - „ხალხის ბელადი“ იყავით, რომელსაც სიკვდილის შემდეგ შვილებს სახელმწიფო - მთავრობის ბინა, გაცვეთილი ჩექმები და გახუნებული მუნდირი დაუტოვეთ, განვითარებულ სახელმწიფოსთან ერთად, რომელ თეზისებზე ეხლაც სარგებლობს ჩინეთის სახელმწიფო, რომელიც ტოლს არ უდებს ზოგიერთ ზესახელმწიფოებს.

- პაპა! ის დრო აღარ არის მშრომელი ხალხი, განსაკუთრებული სიყვარულით „დიდი სამამულო ომის“ მებრძოლები, „ზა როდინუ, ზა სტალინუ!!!“ ფეხით მისდიეს მამაჩემთან ერთად „გერმანელ ფაშისტებს“, მაგრამ ამ ბოლო დროს ისე წაიყვანეს საქმე „სულმაღლი“ ნიკიტადან, მათი სარჩენი არ გავხდით?! კიდევაც მეეჭვება ომი თქვენ მოიგეთ თუ ჰიტლერმა?!... ეხ პაპა! თითქმის 70 - წელია ვანგრევთ, ვყიდით, ჩარხები დავშალეთ, თურქეთში გავზიდეთ, იქედან ხელის ურიკები შემოგვაქვს... ავტოქარხანა ქუთაისში აღარ ფუნქციონიერებს?! რას ამბობო პაპა! ჩინელებს მივყიდეთ, შიგნით არ გვახედებენ, ერთი იქ მომუშავე სპეციალისტს შევხვდი, რა მითხრა იცი?! შეიძლება ჩვენს საწინააღმდეგო შეიარაღებასაც ამზადებენ, პატრონი არ ყავსო, ეხ ბერია! ბერია! ლავრენტი!, ცოტა ხანს გაგაღვიძა შენ და პაპას, რამდენ ვარხალალოს აღმოაჩენდით...

- ჩემო პაპა! ქუთაისის ავტოქარხანა სატრაქტორო ქარხანა, ლიტაფონის ქარხანა, ქე სადღაა. „აფხაზეთისა“ და „ოსეთის“ ტერიტორიებივით დავკარგეთ, რომელსაც თქვენ გაბრალიან, ავტონომიები რათ უნდოდა, ბომბი ჩადო და ისე დაგვიტოვაო, არა და ჩვენი საბჭოური დევიზი იყო, „პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით !!!“, აი ამ დევიზით ვცხოვრობდიოთ 15-ვე მოკავშირე რესპუბლიკა, - მომიტეხე მჭადი, მოგიტეხავ ყველსო“... ხო

„საჭამანდზე“ გამახსენდა,, პოლიტბიუროს დადგენილებას რომ გაეცანი და შესწორება მიეცი, ხალხს პურს ნუ გაუძვირებთ, სხვა ფუფუნების საგნები გაუძვირეთო, ხოდა დღეს პურმა ფასი მოიმატა (17/07-21 წ), ავი ენები საუბრობენ, აბა რა გეგონათ, წყალი, შუქი, გაზი და ჰაერი რომ გააძვირეთ,პურის ფასი არ მოიმატებდაოო?!, ჰოდა ქე ვართ ასე, ამ დღეში. 80-იანი წლებია, პირველი მაისის პარადზე ვარ, რუსთაველზე, ოპერის წინ ფორმით, პარადი წამი - წამზე უნდა დაიწყოს, მოვიდა ხელკავიანი მოხუცი კაცი სუმკით, შვილო გამზირის მეორე მხარეს გადამიყვანეო, გავუკეთე ხელკავი და ხუთ წუთში იმდენი რამ მომიყვა მკერდზე ჩამოკიდებულმა ორდენებითა და მედლებით გავსებულმა, ჭაღარათმიანმა ბერიკაცმა. ერთი ბროშურა არ მეყოფოდა ყოველ პირველ მაისს და შვიდ ნოემბერს, თქვენზე მითხრა პაპა! პირველად მოხმარების საგნებს, ნივთებსა და სურსათს აიაფებდაო. ერთ ჭკუასუსტს რომ მოვუყევი, მაი ძამა თავის ავტორიტეტს მაღლა წევდაო, ხოდა გაბედონ ეხლა XXI-ე საუკუნეში, და გააიაფონ მაი პროდუქტები, შენც არ მომიკვდე, 2006 წლიდან რომ მოვიდნენ, „ნაციონალების მთავრობაში, ერთი ოთახიანი ბინები, რომელთა საბაზრო ღირებულება, - 3,000 ათასი ამერიკული დოლარი იყო, ერთ დღეში მიხეილ სააკაშვილმა და მათმა გუნდმა 50 000 ამერიკულ დოლარამდე აიყვანეს, აბა სამშენებლო ბიზნესში წილებში როგორ ჩაჯდებოდნენ?! ხომ პაპა! პურთან გამახსენდა, 30-იან წლებში რომ გაბრალებენ ხალხი მშიერი დახოცა და ტელეეკრანებიდან სიკვდილამდე მისულ ხალხს აჩვენებდნენ თქვენი მოძულეები, გაბრაზებულმა, გაბოროტებულმა ე.წ. „კულაკებმა“ და „შავსიელებმა“, რომლებმაც უარი განაცხადეს „კოლმეურნეობაში“ შესვლაზე, მთელი უკრაინის პურის ყანები გადაწყვეს, რომელიც ეს წამოწყება ნელ - ნელა ყველა რესპუბლიკაში მოედო... ამ ვანდალურ, დივერსიულ აქტს არ ასწავლიან და გაბოროტებულმა მომავალმა თობამ პაპა!, თქვენი ძეგლი

გორიდან გაიტანეს ღამით, ქურდულად და დღემდე სანაგვეზეა, ეს ვანდალური აქტი 1956 წელს პირსისხლიანმა ხრუშჩოვმა ვერ აკადრა გორელებს, ხოლო დღეს აკადრეს, - „ახალ თაობას“... სამაგიეროდ გვაქვს ცოცხალი ბუშის ქუჩა, მაიაკოვსკის ოთხი ძეგლი, პუშკინის, ლერმონტოვის, - „პირველი ღამის“ სიძის გრიბოედოვის ძეგლი „ქორწინების სასახლესთან მტკვრის სანაპიროზე... 2021 წლის 12 აგვისტოს სრულდება <<900 წელი>> იმ „ძლევაი საკვირველი“ სადაც „დიდმა მეფემ“ დავით აღმაშენებლმა 56000 ათასი მებრძოლით დაუპირისპირდა 100 000 ათს ირანისა და თურქეთის ოსმალ დამპყრობლებს, - „დიდგორზე“’ და კუდით ქვა ასროლინა... რაზედაც აღნიშნული აქვს მემატიანე ისტორიკოსებს, ქართველებს კი არა, სომეხ მათეოსიანს და ბერძენ გოკიეს, ეს ყველაფერი მოვლენამ, რომელმა ბრძოლამაც გააერთიანა ქართველი ერი, წამოაყენა ფეხზე და ფიზიკურ განადგურებას გადაურჩა. დღევანდელი პოზიციით თუ ვისაუბრებთ 2015 წელს საკანონმდებლო ორგანომ დასვა საკითხი „12-აგვისტო“ უქმე დღედ გამოცხადებულიყო და აგვეღნიშნა „დიდგორობა“ სათანადოდ, როგორც ეს ქართველ ერს შეეფერება, მაგრამ (სააკაშვილის სიტყვებს დავესესხები) ნურას უკაცრავად! ირანისა და თურქეთის ელჩებმა ნოტა გამოუგზავნეს ჩვენს მთავრობას, თუ მეზობლობა გსურს ჩვენთან, მაი საქმე არ გაბედოთ, როდის იყო 56 000 ათასი მებრძოლს დავით აღმაშენებლი 100 000 ათას ოსმალს მოუგებდაო, არა და სომეხი და ბერძენი ისტორიკოს - მემატიანენი აღნიშნავენ, იმას კი არ ლაპარაკობენ ჩვენი წინაპრები თქვენს მიწაწყალზე საომრად რატომ შემოვიჭერითო, მაგრამ ჩვენ სად გვაქვს ის, - „ერთი ადგილი“, ამდენს რომ ვაბედინებთ. ამ თემას მინდა დავუკავშირო პაპა! „დავით გარეჯი“ ეს ქრისტიანულ - მართლმადიდებელი ადგილი, რომელიც საუკუნეებს ითვლის, რომლის დასაცავადაც სტუდენტ-ახალგაზდობას 80-იან წლებში ბევრჯერ ვახლდი, რომლებიც ღიად უპირისპირდებოდნენ

იმდროინდელი „ამიერკავკასიის გაერთი-ანებულ საჯარისო ნაწილებს და მათ ხელმძღანელობას აღეკვეთათ მანევრები და მძიმე არტილერიის სროლები მიმდებარე ტერიტორიაზე, რომელიც აზიანებდა ფრესკებსა და მთლიანად ისტორიულ ნაგებობებს, სად იყვნენ იმ დროს ეს ჩვენი „ისტორიული მეზობლები“ აზერები?!, ხოდა პაპა!“ ფუკასავით აგვაცალეს, - „მეგობარმა აზერბაიჯანელებმა. ეს ხდებოდა 2021 წლის იანვრის თვის დასაწყისში, თავსმოხვეული პანდემიის გამო „კორონავირუსის“ დიაგნოზით გერმანულ ჰოსპიტალში“ ვმკურნალობდი 39 გრადუსიან სიცხით, როდესაც ინტერნეტ სივრცით „ფეისბუქზე“ ინგა გრიგოლიას გადაცემას ვუყურებდი, სადაც მიწვეული ყავდა „დავით გარეჯის“ და სამშობლოს გამყიდველები ივერი მელაშვილი სტუდიაში, სავარძელი რომ არ შეხვდა, ქალბატონმა ინგამ თავის სკამი დაუთმო და სინანულით დაუმატა ბატონო ივერი ეს რა დაგვემართა ჟურნალისტებსო იატაკზე კინაღამ დაგსვითო, არა და სად უნდა დაესვა ზესტაფონელი, - „კოტე ბიძია“ გაცემდა პასუხს... მეორე დღეს ეს ჩემი ყოფილი - „ცელქი ბიჭი“ არ მიიპატიჟა, - პაატა ცაავა (მამა პეტრე) სტუდიაში, ალანძღინა და ალანძღინა უწმინდესი და უნეტარესი, ქართველების მწყერთმთვარი, - ილია II, აი მაშინ ვეღარ მოვითმინე ამ სიცხიანმა - პატრიოტმა, ჩემს ფეისბუქ გვერდზე დავწერე „შენზე მისჯილ ტყვიას“ გავიმეტებდი-თქო... დედა! როგორი კორიანტელი ატეხა, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართა, სიკვდილით მემუქრება ეს „კორონიანიო“ არა და ორ მოსაუბრეს შორის, შუაში არ გამივლია, ქართულ ტრადიციებზე აღზრდილსა და გაზრდილს.

პაპა! ორჯონიკიძეს აბრალებენ თქვენთან ერთად „ჰერეთის“ კახი, ლუხი, ზაქათალის, ბელაქანის იჯარით გადაცემაზე აზერბაიჯანის რესპუბლიკისათვის 100 წლით, სადაც ქართულ სარწმუნოებასთან ერთად, სკოლებში დედაენის სწავლება ამოღებულია, ქართველ

ბავშვებს ჩვენს ისტორიულ სახელებს არ არქმევენ, 2021 წელში 100 წელი სრულდება, დაბრუნება კი არა და „ვირის თავფეხი“... აი ანალოგიებს წავაწყდით.ე.წ. რიონის ხეობაში, „ნამანხჰესის“ მშენებლობაზე, რომელიც იჯარით 100 წლით გადაცემულია ჩვენს ისტორიულ მეზობელ თურქეთზე, სადაც ჯერჯერობით მათი მუშახელია დასაქმებული. აქ „შავი კატა“ მარხია, მე მგონი ხვამლის მთას უმიზნებენ, ჯერ ჯერობით სკოლები, ბაგა - ბაღები, „მეჩეთები“ საცხოვრებელი კორპუსები არ აუშენებიათ, მაგრამ ამასაც შეძლებენ ჩვენს 3 00 000 მილიონიან, გვარგადაკეთებულ საქართველოში, სადაც ექსპორტს, ინპორტმა გაასწრო, როგორც პირველადი მოხმარების საგნებით, ასევე მოსახლეობის გადინებით. მიდიან ჩვენი მომავალი გენოფონდი, გოგო-ბიჭები, გვრჩებიან, მაჭარაშვილები, სამადაშვილები, მაჭუტაძეები, „გირჩი - ჯაფარიძე, მეგრელიშვილი, იაგო ხვიჩია და ძმანი მისნი... ვაა, საკანონმდებლო ორგანო გამახსენდა, პარლამენტი, ყველგან ხომ ცხვირი შეყვენ და, - „სუნი აუდინეს“ განათლებიდან, სარწმუნოებიდან, დარჩენილ საკანონმდებლო ორგანოემდეც მიაღწიონ და შეძვრენ. 2020 წლის 21 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში, - „გირჩ - ფოთოლ - ჯაფარიძეს“ უწერენ - 3%-ს, ხოლო ომის ვეტერანებს, - 0,5%-ს ის იმას ნიშნავს, რომ „გირჩმა“ ოთხი კაცი გაიყვანა, მებრძოლმა, ომის ვეტერანებმა, -„ხვიშთი “... ექვსი თვე გაუშვი - გამოუშვის რეჟიმში გვაცხოვრეს „ნაციონალებმა“ და ზოგიერთმა ხუთკაციანმა პარტიებმა არ შევალთ პარლამენტშიო „გირჩმა“ მაგალითი აჩვენა, ჯერ პარლამენტის ფოიეში „ჩაცუცქული“ ელოდებოდნენ სხდომის დაწყებას იაგო ხვიჩია და ვახტანგ მეგრელიშვილი მოკლე შარვლებითა და წინდებზე „მარიხუანის“ ფოთლების ემბლემით, შევიდნენ თუ არა, ბავშვის სათამაშო პისტოლეტებით, წყლის შესხმა და წუმპაობა არ დაუწყეს ერთმანეთს პაპა!, კიდევ კარგი ზაფხულია და თბილა, რომ დაცივებულიყვნენ, ვინ

მიიღებდა კანონებს, - „კაცი კაცთან“ და „ქალი ქალთან“, სავალდებულო სამსახური ჯარში ქართველი კაცისათვის მიუღებელია, საერთოდ „პატრიოტიზმი“ ეს ცნება ამოსაღებიაო, მამათმავლებმა და დედათმავლებმა უნდა ჩაატარონ აღლუმი რუსთაველის გამზირზე, უნდა ავჩეხოთ ვაზი, პურის ყანები, სიმინდი...უნდა გავაშენოთ, - „მარიხუანა, კანაპლია, ჰაშიში“...რომელიც წინ წაწევს საქართველოს ეკონომიურადო. პაპა!, ბებია ბაბუების საფლავს თუ მიაგნონ მე ვიყო უკანასკვნელი, ჩემს თავზე ვიღებ თქვენს დედის საფლავს, - „მამადავითზე“ არ მიაგნეს?! ხოდა უნდა ამოვთხაროთ, უღირსი შვილი აღუზრდიათ. არა და პაპა! მთელი თქვენი ცხოვრება „დიდ სამშობლოს მიუძღვენით, ოჯახი და შვილები მეორე პლანზე დააყენეთ, ტრაგიკული ბედი შეგვხდათ მთელი თქვენი ცხოვრების მანძილზე, ორი მეუღლე, არცერთი თქვენს გვერდით არ განისვენებს, იაშას ტყვედ ჩავარდნის შემდეგ ცალ ხელმა პარალიზება მიიღო, ქალიშვილი სვეტლანა ამერიკაში განისვენებს, ვასილი შუააზიაში. როდესაც დარწმუნდნენ 1953 წლის 5 მარტს გარდაიცვალე და სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ გქონდათ, მაშინ გაბედა თქვენს სასთუმალთან სულელმა ნიკიტა ხრუშჩოვმა მოსვლა, რომ დაინახა კისერზე ჩამოკიდული ჯვარი, ცინიკურად პოლიტბიუროს წევრებს გადახედა და დასძინა, - აი, თქვენი „მარქსისტიო“, რაც შეეხება შავ მაისურს სულელ ნიკიტა რას მიხვდებოდა, ეს იაშას სიკვდილის შემდეგ სიმბოლურად გეცვათ, ამით თქვენი შვილის ტრაგედიამ გარგუნათ. რომ შემოგთავაზეს იაშას გაცვლა ფერდმარშალ პავლიუსზე, მოკლედ უპასუხეთ,“ – „მე რიგით ჯარისკაცს ფედმარშალზე არ ვცვლიო!“, რაც შეეხება ნიკიტას გადამტერებას, ანალოგიური მოხდა მას და მის შვილს მიმართებაში, როდესაც გთხოვათ მისი ვაჟი დაგეხსნათ და გაგეცვალათ ტყვეებში,

კითხვა დაუსვით, - როგორ მთხოვ, როგორც მამა თუ როგორც სახელმწიფო მოხელეო, ჩერჩეტმა ნიკიტამ, - როგორც მამაო...

პაპა!, - 1990 წლიდან ვუარყვეთ „კომუნისტები და „კომუნისტური პარტია“, მეც ჩამომართვეს პარტბილეთი, ათი წელი 1980 წლიდან კომუნისტური პარტიის წევრი ვიყავი, თითქმის ათი წელი, უპარტიოს თუ რაიმე გადაცდომა ქონდა, მე მასთან შედარებით ორმაგად ვისჯებოდი. შენ კომუნისტი ხარ, არ შეგეფერებაო, ასე მპასუხობდნენ, ხომ დამაწერინეს პატაკი;, - „ვინაიდან და რადგანაც ძალოვან სისტემებში მიმდინარეობს დეპარტიზაცია და დეპოლიტიზაცია. გთხოვთ ჩემი მანდატი ჩაიბაროთ!“ აი ასე დავემშვიდობე იმ პარტიას, რომელმაც დისციპლინა და წესრიგი შემაყვარა. ქართველები შაჰ - აბასის შეფასებით ასეთი ხალხი ვართ, - „დედამიწის ზურგზე მცხოვრები მოსახლეობის ერიდან, ქართველები უნიჭიერესი, მოწესრიგებული, განათლებული, მებრძოლი და ამაყი ხალხია, მაგრამ ერთმანეთის მიმართ შურიანები, ალაჰს ვევედრები! მათ ერთი პირი და აზრი ნუ მისცემოდეთ, თორემ ისეთი ნიჭიერი ხალხია მთელი ქვეყნის ბატონ - პატრონი გახდებიანო!! - შაჰ-აბასი საქართველოსა და ქართველი ერის დაუძინებელი მტერი, ირანის გამაერთიანებელი და მმართველი, ბებიით ქართველი - შალიკაშვილი.

პაპა! ჩვენმა პატრიარქმა, - „ილია მეორემ გაგვაფრთხილა, ფრთხილად, - ქართველებო, ფრთხილად! უფსკრულთან ვართ მისულიო ზოგიერთმა ვიგინდარამ შენიშვნა მისცა, ეს როგორ გვაკადრა და გაგვაფრთხილაო, ჩვენი მშვიდობისათვის, ხოლო 2003 წლიდან „დასმულმა პრეზიდენტმა“ მიხეილ სააკაშვილმა, - „ყველანი ციხეში და მიწაშიო!, - ნულოვანი ტელერანტობაო! შედეგს არ იკითხავ? 2003 წლიდან, 2012 წლამდე 320 000 ათასი ადამიანი იქნა გასამართლებული, ახეული ბიზნესებითა და ქონებით, მოსვლისთთანავე „ნაციონალებმა“ შტურმით აიღეს გლდანში მდებარე

წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია, მათი სულიერი ლიდერი ბასილ მკალავიშვილი მრევლთან ერთდ დაატუსაღეს, ხოლო კარები მანქანის უკანა ძარით შეანგრიეს. თაბუკაშვილის ქუჩაზე თექვსმეტ-სართულიანი კორპუსი მიანგრიეს, მობინადრეები გამოყარეს, ზოგი ეტლზე მჯდომი და ზოგი საკაცეზე მწოლიარე. სასტუმრო შუშიანი იმ ადგილზე ვის ააშენებინეთ იცი?! ჩვენს ისტორიულ მტრებს... „აჭარის ლომი“, ასლან აბაშიძე, რომელიც კალთებგადაფარებული იცავდა ავტონომიას, „ნაციონალებმა“ და მისმა ლიდერმა გააძევა, გადახვეწა რუსეთში...“ ტრიბუნაზე შემდგარმა მიხეილ სააკაშვილმა „დაბნეულ ხალხს მოუწოდა, ბათუმი, აჭარა თვისუფალია, ასლან აბაშიძე გაძევებულია! გაუმარჯოს თავისუფალ აჭარას!!! ხოდა, - პაპა!, რა გააკეთა?! ერთ თვეში 27 000 ათას თურქს საქართველოს მოქალაქეობა „უფეშქაშა“ როგორც თბილისში დავით აღმაშენებლის (პლეხანოვის) გამზირი გადაკეტა, ასე მოიქცა, ბათუმში ქუთაისის ქუჩა თურქებმა დაიკავეს, კაფე - ბარები, სასტუმროები და „შენ დაუკარ“ რესტორნებით გაძეძგვეს. რამოდენიმე თვის წინ ბიჭებმა ქართულად იმღერეს, კინაღამ ცხვირპირი მიუნგრიეს. თბილისში პაპა! დავით აღმაშენებლის გამზირი „კომუნისტებსაც რომ არ უკადრებიათ ქართველი ერისათვის 20%-ნტი გადაკეტეს, გაძეძგეს სავაჭრო ობიექტებით, კაფე - ბარებით, რესტორნებით. დაშვება?! მოგახსენებთ, მხოლოდ ქართველი გოგონებით 16-დან - 20 წლამდე ასაკის... ჩვენი მთავრობა?! მოგახსენებთ პაპა! აქ ამერიკისა და ევროპის დიქტატზე ვართ, რამდენი კოვზი შაქარი ჩავყაროთ ჩაიში და ყავაში ვეკითხებოდით, აბა ზედმეტი რომ მოგვივიდეს „დიაბეტი გვინდა?! 2012 წელს „ოცნება“ რომ მოვიდა ხელისუფლებაში, „კოჰაბიტაციურ ქორწინებით დამთავრდა, ოკეანეგაღმელებმა თითი დაგვიქნიეს; ზურაბ ჟვანიას, ზურაბ შარაძეს, გია კრიალაშვილს, შავაძეს, თეთრაძის, მოლაშვილის, გია თელიას, ვაზაგაშვილის, გამყრელიძის რობაქიძის... 320 000 ათასი

გაუბედურებული ქართველები „ჯალათებს“ ხელი არ დააკაროთო! ხოდა პაპა! ეს დავით აღმაშენებლის გამზირი ხომ გაანახევრეს „სამაჩაბლოსავით“, მოკიდეს ხელი ამ დავით აღმაშენებლის ძეგლსა და დიღმის ტრასაზე „ავტოინსპექტორსავით“ წამოჭიმეს, ხოლო მისგან რამოდენიმე მეტრში „კამოს ველოსიპედის“ მაკეტი დაამონტაჟეს, „პესკებზე“ რესტორნები მიანგრიეს და პირველმა პირმა „კნეინა დარეჯანიანის“ სიყვარულის ნიშნად „ორი ლულა ქაბაბის“ სიმბოლო შუშიან უსახური შენობა წამოწოლილ მდგომარეობაში ააშენეს. მობილურიდან <<8>> ციფრი ამოიღეს და „ნაციონალების საპატივცემულოდ <<5>> -ით შეცვალეს.

არ მითხრა ეხლა იუსტიციის სახლში რა ხდებაო, საჯარო რეესტრს რომ უძახიან, მიხვალთ N8-ე სივრცეში, სულ უცხოელების რიგებია, სასტუმროებში მოწყობაზე?! არა პაპა! უცხოელები ბინებს და ახლად აშენებულ კორპუსებს ყიდულობენ! უკვე 300 000 ათას ირანელს შევაძენინე კერძო საკუთრება და მიწები (მიწა დაეყარათ კანონების მომწესრიგებლებს...) შაჰ-აბასს ვერ ვაჯობეთ, მან 400 000 ქართველი 1 500 კილომეტრით ფეხით ჩაიყვანა „ფერეიდანში“, აქ კი თითმფრინავით მოფრინავენ...

მთავრობაში პარლამენტში „ძველი კომუნისტების“ შვილი-შვილები არიან, რომლებმაც საბჭოურ სიმბოლიკებზე დაიწყეს ნადირობა, ბატონ „პადოშამ“ სირბილი და დევნა დაუწყო 100 წლის „დიდი სამამულო ომის „ მონაწილეებს, რომლებმაც ფეხით მისდიეს ფაშისტებს და თავისივე ბუნაგში ამოხოცეს, მკერდიდან მოიხსენით მედლები და ორდენებიო...

ეხლა არ შემეკითხო ეკონომიკა თუ ვითრდებაო?! ეკონომიკის მინისტრმა სვანეთში ერთი დაინახა, ჯიბიდან “ზღუჯა ფული“ ამოიღო, აღარაფერი გიჭირს ქართველებსო, რაც შეეხება სოფლის მეურნეობის

მინისტრს, კოსტრომიდან, - „დედალი და მამალი“ ძროხები ჩამოყავს, მე მგონი $15^{00}$ ლარიანი ყველი $5^{00}$ ლარამდე ჩამოიწევს...

დღეს 18/07-21 წ. პარლამენტში მოხსენებით უნდა გამოსულიყო შინაგან საქმეთა მინისტრი გომელაური, გავიდა პარლამენტში ტრიბუნასთან, მიეჭრნენ ე.წ. ოპოზიცია “ნაციონალების“ ბანდა, რომლებიც ამ „კოჰაბიტაციამ“ ქე დატოვა გარეთ, 2020 წლის 21 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში 27%-ნტით კვლავ პარლამენტში, სავარძლებში დასხდნენ, მაგრამ შენც არ მომიკდე - რამდენიმე თვის შემდეგ დათანხმდნენ, შევიდნენ, მარა რათ გინდა, ყველა საკითხს ბოიკოტის რეჟიმში ბლოკავენ, დღესაც მინისტრი გომელაური ტრიბუნასთან ლექსო ლაშქარავას პლაკატების რკალში მოაქციეს, რატომ ვერ უზრუნველყო ჟურნალისტების დაცვაო, „ცისფერები რომ მოიწვიეს აღლუმის ჩასატარებლად, ამ საკითხზე ჯერ არ არის ბაასი. ეს ბოკუჩავა მაგრად აქტიურობს, ჯაფა წყალში არ ჩაყრილა, პარლამენტში გაიზარდა, ხუთი მანდატური ძლივს აკავებდა, არა და გურია-სამეგრელოში ჩაის პლანტაციები გავერანდა და გადახმა, სარეველები მოედო... ზოგმა პარლამენტარმა „შრომის წიგნაკები“ საკანონმდებლო ორგანოში შეავსო.

ჩემო მკითხველო ალბათ გადაგღალეთ, მარა ამ ჩვენი შეხლა - შემოხლით, შემოთესლებული უცხო ტომი რომ სარგებლობს, ხოლო ჩვენი წარჩინებული ადამიანები ზოგი სახლში დასვეს „ერთ ადგილას“ აფხანინებენ,. ზოგმა თავს უშველა საქართველოდან გადაიხვეწნენ ლუკმა - პურის საძებნელად, ჩვენ კი ისეთ რეჟიმში ვცხოვრობთ პაპა! გონება და აზროვნება „კუჭზე გადის“... პაპა, თვალსაზრისს თუ შევაჯამებთ ე.წ. „დასავლეთთან 30 წლიანი ურთიერთობების“ შედეგებს მივიღეთ: 1. დაკარგული ტერიტორიები; 2. დევნილები საკუთარ ქვეყანაში; 3. დემოგრაფიული კატასტროფა; 4. დაცლილი სოფლები; 5. დაკარგული ანაზრები; 6. განადგურებული ეკონომიკა; 7.

განადგურებული ჯანდაცვა; 8. განადგურებული განათლება; 9. განადგურებული მეცნიერება; 10. განადგურებული საზღვაო და საჰაერო მეურნეობა; 11. მიწასთან გასწორებული სოფლის მეურნეობა (ლობიოს 98% იმპორტირებულია); 12. მორალისა და ღირსების შელახვა; 13. ოჯახისა და ტრადიციების ფეხქვეშ გათელვა. 14. ბრძოლა ეკლესიის წინააღმდეგ; 15. უპერსპექტივობა და სრული ნიჰილიზმი...

და კიდევ საქართველოში 5,5 მლნ-დან 2 მლნ საქართველოს მოქალაქე ემიგრირებულია, ეს ემიგრაციაში მყოფი 2 მლნ რიცხობრივად მაქსიმალურად რომ შევამციროთ, ზრუნავს და მატერიალურად უზრუნველყოფს საქართველოში მყოფ 2 000 000 მოქალაქეს 1 500 000-დან 400 000 ოფიციალურად დარეგისტრირებული ნარკომანია, ამდენივე ლოთი, და უკაცრავად მსუბუქი ყოფაქცევის „სხეულით მოვაჭრე“ – 40 000 იპოთეკით დაზარალებულია, 50 000 ბავშვი შიმშილობს, ნახევარმილიონამდე სოციალურად დაუცველია! დღეის სტატისტიკით თბილისში 43000 ქუჩის მაწანწალა ძაღლებია, ბათუმში - 3950, ქუთაისში - 2500. ცენტრალურ გამზირებზე და საზოგადოების თავშეყრის ადგილებში ხალხი ქვებითა და ხელკეტებით იგერიებენ, - კითხვა, საქართველოს მოქლაქეთა რომელ ნაწილზე ფიქრობს ე.წ. თითოეული მათგანი? ჩემი პასუხია: - მხოლოდ საკუთარ ოჯახებზე და სამშობლოზე ფიქრი ზედმეტია.

დროებით პაპა! მომავალ არჩევნებამდე.

*დონი ფანჩულიძე*

# 1989 წლის 9 აპრილი

სამსახურის უფროსი ინსპექტორი თანამდებობაზე ვიმყოფებოდი, ძირითადი ფუნქცია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და უზრუნველყოფა შედიოდა. ოცდაათ-ოცდაათი მილიციის თანამშრომლები დიდუბის (იმ დროინდელი პირველი მაისის რაიონიდან) ერთმანეთს ვენაცვლებოდით და წესრიგს ვიცავდით „მთავრობის სახლის“ წინ კიბეებზე მოშიმშილეების მიმდებარე ტერიტორიაზე. ხელმძღვანელი აწ გარდაცვლილი დავით ლოლაძე. საერთო ხელმძღვანელი ჯიმი სხირტლაძე იყო.

მოშიმშილეები ძირითადად სტუდენტი - ახალგაზრდობა და მუშა მოსამსახურე მონაწილეობდა მათი ძირითადი მოთხოვნები იყო, - ჩატარებულიყო რეფერენდუმი და საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები.

მობილიზებული იქნა „საბჭოთა ჯარი“, რომლებიც დაბანაკებულნი იყვნენ განთავსებულ სამხედრო ნაწილებში. 8 აპრილს დილის $12^{00}$ საათი იქნებოდა იმ დროინდელ ლენინის, ამჟამად „თავისუფლების მოედნისკენ“ დაიძრა სამი ერთეული რუსების ტანკი, დაეჯახნენ სახ. ავტოინსპეციის მანქანებს, რომლებსაც უსაფრთხოების მიზნით გადაკეტილი ჰქონდათ რუსთაველის გამზირი. გადაუარეს მათ და გააგრძელეს გზა იმდროინდელი ლენინის მოედნისაკენ.

ეს გადაცემული იქნა მოსახლეობისათვის ტელევიზიის საშუალებით და უკვე რაიონებიდან იწყეს ხალხის მასებმა ჩამოსვლა.

მომიტინგეებსა და მოშიმშილეებთან „მთავრობის სახლის“ წინ ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ლიდერები -ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, ირაკლი წერეთელი, გია ჭანტურია, ირინა სარიშვილი და სხვა აქტივისტები...

დღის $16^{00}$ საათზე უკვე გამოაცხადეს, რომ იტყვიან ე.წ. „მშრალი შიმშილობა“. კიბეებიდან სასწრაფო დახმარების ექიმებს ჩამოყავდათ ის მოშიმშილეები, რომლებსაც უწევდათ მაღალი ტემპერატურა და გადაჰყავდათ სასწრაფო დახმარების მანქანებით საავადმყოფოებში. ექიმებს ხელმძღვანელობდა იმდროინდელი ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი.

საღამოს უკვე $21^{00}$ საათზე „მთავრობის სახლის“ ეზოში შემოიყვანეს „ფერგანიდან“ ჩამოყვანილი სპეცნაწილები, ხოლო შიგნით შენობაში მობილიზებული იყვნენ თბილისის საარტილერიო სასწავლებლის კურსანტები, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღებით.

$03^{00}$ საათია, 9 აპრილი თენდება. იმ დროინდელმა სამთავრობო სტრუქტურის ხელმძღანელობამ მოიყვანეს უწმინდესი, „ილია - II“, რომლებმაც მთავრობის სახლის წინ მოშიმშილეებსა და მათ ლიდერებს მოუწოდა დაშლილიყვნენ, რათა მოსალოდნელი იყო რეალური საფრთხე... ის ხვდებოდა, რომ რუსები გამოიყენებდნენ სპეცნაწილებს მიტინგისა და მოშიმშილეების დასაშლელად, ...ჩემო სულიერო შვილებო! დავიშალოთ და გადავინაცვლოთ „სიონში“ და იქ ვილოცოთ“ - არ, არ დავიშლებით, სიტყვა გვაქვს მიცემული! ერთხმად შეჰყვირეს მონაწილეებმა...

ღამის $4^{00}$ საათზე უსინათლო მომღერალი ქალბატონი ლელა ვეფხვაძის სიმღერის თანხლებით დაიძრნენ სპეცნაწილები იმდროინდელ ლენინის მოედნიდან და ყოვლად გაუფრთხილებლად ტანკების თანხლებით დაიწყეს მომიტინგეების დარბევა, - დუბინკებით, ნიჩბებით, „ჩერიომუხებით“ და გაუშვეს მომწამლავი გაზი. ნახევარ საათში უკვე მთავრობის სახლის მიმდებარე ტერიტორია გათავისუფლებული იქნა დარჩენილი იყო მხოლოდ ლებები,

პოლიეთილენის გადასაფარებლები, ფეხსაცმელები და ქალის ჩანთები...

მოსწავლე - სტუდენტების გადასარჩენად აქტიურობდნენ მილიციის პოლკოვნიკები, - დავით ლოლაძე და ჯიმი სხირტლაძე, რომლებმაც მთავრობის სახლის ეზოში უფლება მისცა შევარდნილიყვნენს დარბევის დროს ბავშვები.

დილის $6^{00}$ საათზე ბრძანება გაიცა გადაგვენაცვლებინა საავადმყოფოებში და პროზექტურაში, სადაც ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ დაიღუპნენ „საქართველოს დამოუკიდებლობისათვის“ მებრძოლი 21 ადამიანი.

დომენტი (დონი) ფანჩულიძე

„9“ აპრილი 2018 წელი ქ. თბილისი.





**დაგვიბრუნეთ**
**“9 აპრილის“**
**მუზეუმი თავის**
**კუთვნილ**
**ფართში!**





# 1989 წლის 9 აპრილის მოვლენები











ტელევიზია „თრიალეთი"   12 აპრილი, 2016 წ.





# „კიდევაც დაიზრდებიან"!



(„ამჟამად დაიზრდებიან?!... კი?)





2016 წლის 1 ივლისს ღია ცის ქვეშ „მარაბდობა" გაიმართა. „მარაბდის" ომში 1625 წლის 1 ივლისს 10.000 მეომართან ერთად იბრძოდნენ: 9-ძმა ხერხეულიძეები, 9-მაჩაბელი და 7-ჩოლოყაშვილი. თითოეული მათგანი ეკლესიამ წმინდანად შერაცხა.

საზეიმო სხდომაზე მონაწილეობა მიიღო ჩოლოყაშვილის სახელობის საქართველოს ჩოხოსან რაინდთა დასმა და „მარაბდობა" აღადგინა, გამოვიდნენ, - პოეტები, მეცნიერები, მსახიობები, რეჟისორები. ნაჩვენები იქნა ქართული მხატვრული ფილმი „გიორგი სააკაძე".

აღნიშნული ღონისძიების ძირითადი ორგანიზატორი იყო, - საქართველოზე და ქართველი ერის მომავალზე გულანთებული მეომრები.

ძვირფასო თანამემამულენო! საქართველოს მთლიანობისათვის და შენარჩუნებისათვის, მებრძოლ წამებულ რაინდებს, დავიწყება არ უწერიათ!!! განვამტკიცოთ, - „ენა, მამული, სარწმუნოება!!!" გავიზარდოთ და აღვიზარდოთ პატრიოტებად!!! - ზოგჯერ თქმა სჯობს უთქმელობას, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების (ხალხური). ...პრესის, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის მესვეურებს, ჟურნალისტებს!!! - „იმედს", „რუსთავი 2"-ს, „I-არხს", გაიხსენეთ და გაახსენეთ ქართველ ახალგაზრდობას და მომავალ თაობას, - „მარაბდის" ბრძოლის თავდადებული გმირები! რუსთაველის გამზირზე „ცისფერს" უკან აედევნებით, ტელევიზიაში მიიპატიჟებთ, რეკლამას გაუკეთებთ მომავალი თაობისათვის... მესამე დღეს 3 ივლისს ამერიკის დამოუკიდებლობის დღე მოგვილოცა ამერიკის ელჩმა იან კელიმ ტელევიზიიდან, ჩატარდა საზეიმო კონცერტი, ინფორმირებული იქნა საქართველოს ტელევიზიის ყველა არხიდან. აღნიშნული ღონისძიების მონაწილე ქართველები სიხარულს ვეღარ მალავდნენ, მიუხედავად წვიმიანი ამინდისა... აბა თქვენ იცით მამულიშვილებო!

დონი ფანჩულიძე - შრომის, ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანი, თადარიგში პოლიციის ვიცე პოლკოვნიკი






















# პროფესიული კურიოზები

## ძალოვნები ხუმრობენ

## ლონი ფანჩულიძე



ქ. თბილისი

2010

**შემდგენელნი:** დონი ფანჩულიძე
დიტო გოგობერიშვილი

**რედაქტორი:** ანჟელა საკაძე

**მხატვარ-კარიკატურისტი:** დაჯი გვარამაძე

დაიბეჭდა გამომცემლობა „სააჩვი“
თევდორე მღვდლის ქუჩა №57

# ჩვეულებრივი მოგონებები

დავიბადე და გავჩნდი ჩვეულებრივი ბავშვი, რომელმაც ცხოვრების გზა განვლო იმერეთის მხარეში, თერჯოლის (ყოფილი ჩხარის) რაიონი სოფ. ძევრში.. ყრმობის წლები გავიარე ისეთი ოჯახის გარემოცვაში, სადაც იკრიბებოდნენ რაიონის ცნობილი ინტელიგენციის წარმომადგენლები, ხოლო მამის მხრიდან ის პირები, რომლებიც იმ დროისათვის წარმოადგენდნენ „კოლორიტებს" თავიანთი ზნე-ჩვეულებით, ბუნებრივი სიმდიდრით, რაც გამოიხატებოდა სიტყვა-პასუხით, გარეგნული იერსახით, ფიზიკური შეძლებით და ის ყველა კეთილი ბუნებით დაჯილდოებული ხალხი, რომლებიც ჯერ კიდევ შემორჩნენ ჩემს მეხსიერებაში.... აღნიშნულ პირებთან ურთიერთობაში ჩამომიყალიბდა ჩემი აზროვნება, კაცთმოყვარეობა, მეგობრების სიყვარული, გარდაცვლილების მოგონება და მათ სულებთან ალერსი... და რაც მთავარია, იუმორი, რომლის გარეშე ცხოვრებას აზრი არა აქვს...

აღნიშნული წიგნის გამოშვების შემდეგ მომზადებული მაქვს ჩემი რაიონისა და სოფლის მცხოვრებლებზე „კურიოზები", მაგრამ მათ შესახებ აღნიშნულ წიგნში შეგნებულად არ გაგაცნობთ, რადგან ძირითადად შევეხები იმ მილიციისა და პოლიციის თანამშრომლებს, რომლებმაც მუშაობის პერიოდში ბუნებრივად გამოავლინეს უნებლიე მოქმედებები, რამაც დაბადა იუმორი „კურიოზებით".

მინდა აღვნიშნო, რომ აღნიშნული თანამშრომლების უმრავლესობა ჩვენს რიგებში აღარ არიან, ხსოვნა და არდავიწყება მათ სულებს, კაცურ კაცობითა და ვაჟკაცობით განვლეს თავიანთი ცხოვრების გზა, რომელთა მაგალითებზე აღვიზარდეთ ახალგაზრდა მილიციისა და პოლიციის თანამშრომლები, სამარადისო დიდება მათ და ერთხელ კიდევ ვუსამძიმრებ მათი ოჯახის წევრებს,

მეუღლეებს, შვილებს, შვილიშვილებსა და ახლობლებს. ვიმედოვნებ, რომ ჩემი მათდამი მოგონებებით მინდა დავარწმუნო მათ მიმართ სიყვარული, მათ მეუღლეებს და ოჯახის წევრებს ვანუგეშო და ერთხელ კიდევ დავარწმუნო, რომ მე ვმუშაობდი კოლეგებთან, რომელთა მაგალითით, აღმზრდელობითი საუბრებით და მამაშვილური ურთიერთობით ბევრი რამე შევიძინე, რომელსაც ეტაპობრივად გადავცემდი მომავალ თაობებს.



## შესავალი



მილიციის ცხოვრება არა-მარტო ხიფათებითა და მო-ულოდნელობებითაა აღსავ-სე, არამედ კურიოზებითაც. ზოგჯერ კომიკური, ზოგჯერ ტრაგიკული. თითოეულში პოლიციელის ცხოვრებაა, მეგობრების სიყვარული, სი-ხარული და იუმორისტული წარსული.

...ადამიანს ხუთი გრძნობა აქვს, რომელთა გარეშე ცხო-ვრება და განვითარება არ ძა-ლუძს, მაგრამ განვითარების პროცესში, კაცობრიობამ მე-ექვსე გრძნობაც შეიძინა. მის გარეშე პირველი ხუთი შეიძლება ჩაქრეს, მისი დახმარებით კი ადამიანებს შეუძლიათ ყველაფერს განეშორონ და ამ დროის სითბო და გულითადობა შეინარჩუნონ. ეს იუმორის გრძნობა გახლავთ.

...არსებობს მეშვიდე გრძნობაც, რომლის გარეშე ყველა და-ნარჩენის არსებობა შეუძლებელია, რომელიც მათ საფუძვლად უდევს — ეს სიყვარულია. დაე, ყველას გვიყვარდეს ერთმანეთი...

გთავაზობთ რამდენიმე კურიოზს, ჩემი განვლილი მუშაობის დროს, რაც ხდებოდა ჩემს ირგვლივ და ჩემს გვერდით, მომუშავე მილიციისა და პოლიციის თანამშრომლებთან.

ღონი ფანჩულიძე
ომისა და შეიარაღებული ძალების
ვეტერანი თადარიგში პოლიციის
ვიცე პოლკოვნიკი



## დინამოს სტადიონის დარაჯი

ახალ გახსნილია „დინამოს“ სტადიონი, ახლოვდება მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე პირველი მაისი, მილიციის განყოფილება გადაყვანილი იქნა ყაზარმულ მდგომარეობაზე, ღამის საათებში მოწმდება განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტები, შემოვლის დროს, მრავალჯერ გაფრთხილებულ მორიგეს მიუღია სპირტიანი სასმელი და უგრძნობლად სძინავს, გაჯავრებულ მილიციის თანამშრომლებს მორიგე-ყარაული თავისი საწოლით გაგვყავს „დინამოს“ სტადიონის მოედნის ცენტრში და დავტოვეთ გამოფხიზლებამდე. დილით რიჟრაჟზე, გამოფხიზლებულ მორიგეს დროულად გამოვუჩნდით, დაგვიანების შემთხვევაში ფსიქიკური აშლილობა დაემართებოდა...




## ქურდები მილიციაში

„ლოჟნი“ გამოძახების შემდეგ, თთქოსდა საცხოვრებელ ბინაში ქურდები იმყოფებოდნენ, რომლის ინსცენირება მოაწყვეს ბოროტმოქმედებმა, სწრაფად დაბრუნებულ თანამშრომლებს, მილიციის განყოფილების ერთ-ერთ სართულზე უცბად ვხვდებით ორ შეიარაღებულ პიროვნებას, რომლებსაც გაქურდული ჰქონდათ გამომძიებლის სამუშაო ოთახი, საიდანაც მოპარული ჰქონდათ ქურდებიდან ამოღებული ნაქურდალი ნივთმტკიცება, ღამის საათებში უყურადღებობის გამო ცდილობდნენ მიმალვას, მოხდა მათი განიარაღება და დაკავება. ბოროტმოქმედებს ციხე შიგნიდან არ გავატეხნეთ...




## „დინამო თბილისი“-„ზარია ვოროშილოვგრადი“

1978 წ.

„დინამოს“ სტადიონზე მსაჯის არაობიექტური გადაწყვეტილებისას (1978წ.) სტადონზე დაიწყო მასობრივი არეულობა, ხალხის მასა გადავიდა ფეხბურთელების სათამაშო მოედანზე, სცემდნენ როგორც მილიციის თანამშრომლებს, ასევე იმათაც, ვინც მათ წესრიგზე მიუთითებდა, მათ დასაწყნარებლად ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ედუარდ შევარდნაძეც კი გავიდა სტადიონზე. წვავდნენ და ამტვრევდნენ ხელში რაც კი მოჰყვებოდათ, მათი გალიზიანების თავიდან აცილების მიზნით, ხელმძღვანელ პირებთან ერთად შევედი იქვე ადმინისტრაციულ შენობაში, შესასვლელში განთავსებულ „ცეცხლსაქრობ“ სტენდიდან ავიღე თავის

დაცვის მიზნით ავიღე რამოდენიმე მუჭი პესოკი-ქვიშა და ჩა-ვიყარე ფორმის ჯიბეში. ოთახში შესვლისას ცალ ხელში მო-მარჯვებული მქონდა ქვიშა, რომელიც მილიციის უფროსს არ გამოჰპარვია, ისედაც აღელვებული ხელით მწვდა იდაყვში და ყვირილით მომმართა, ხომ გითხარით სტადონზე იარაღი არ წამოიღოთ, როდესაც მუჭით ქვიშა დავანახვე იქვე თავ-შეყრილ თანამშრომლებში მხიარულება შევიტანე, რამაც ნე-რვიულობასა და დაძაბულობას სიხალისე შემატა...




## საგანგაშო გამოძახება

სასურსათო მაღაზიაში ბოროტმოქმედის შეღწევისას საგანგაშო სიგნალზე მილიციის მორიგეს ადგილზე მისვლისას ახალგაზრდა ქურდი გაექცა, დაედევნა, მაგრამ როდესაც შედეგს ვერ მიაღწია, გაჯავრებულმა მოიხადა ფორმის ქუდი და ზურგის არეში მოარტყა, დამფრთხალმა ქურდმა ძირს ჩაიმუხლა და ყვირილით მიმართავდა: -„ნუ მცემო!“, მოხერხებულმა მილიცის თანამშრომელმა, რომელსაც სიმსუქნე ხელს უშლიდა სირბილში, საზრიანობის შედეგად ქურდი ადგილზე დააკავა.

## სამორიგეო ნაწილში

კავშირგაბმულობის უფროსი ინსპექტორი „ალექსი“ ხის კიბის საშუალებით რამოდენიმე მეტრის სიმაღლით ასული ასწორებდა სატელეფონო გამანაწილებლის ყუთს, სადაც თავმოყრილი იყო სატელეფონო ხაზები, გარკვეული მუშაობის შემდეგ დაღლილმა თავი ველარ დაიმაგრა, გადმოვარდა და დაენარცხა იატაკს, მის ყვირილზე გამოეღვიძა იქვე წამოწოლილ „რაჟდენიჩს, რომელიც „ნაბახუსევი“ ნელ-ნელა გამოდიოდა „პახმელიაზე“ და ფხიზლდებოდა, ცალი თვალი გაახილა, გახედა „ალექსის“ და ემუდარებოდა ხელახლა გადმომხტარიყო, კარგად ვერ დაგინახეო, ხოლო ალექსი რამოდენიმე თანამშრომლის დახმარებით ნელ-ნელა დგებოდა და „რაჟდენიჩის“ ხუმრობისა და იუმორის შემდეგ ტკივილებს ველარ გრძნობდა...






## წვრილმანი ხულიგანი და მილიციელი

წინასწარი დაკავების საკანში შესულ დამლაგებელ „ლეზის“ დასუფთავების დროს დილის საათებში გამოეპარა წვრილმან ხულიგნობისათვის გასასამართლებელი პიროვნება, რომელიც გაიქცა პლეხანოვის გამზირით „დინამოს“ სტადიონისკენ, გამოედევნა მორიგის თანაშემწე ტანმორჩილი, ფიზიკურად სუსტი აღნაგობის „არჩილი“, რომელსაც დახმარების აღმოსაჩენად გასულ თანამშრომელს სულ სხვა სურათი დახვდა, უკვე დაკავებული მოსდევდა „არჩილს“, რომელსაც მომარჯვებული ჰქონდა ჯიბის დანა და იგერიებდა მილიციის თანამშრომელს, არჩილი გვიან მიხვდა, რომ დაკავებული ბოლომდე არ შეემოწმებინა წინა დღით დაკავებისას, რომელიც ბედად თანამშრომლებმა იხსნეს...

# რაჟდენიჩი ქალების გარემოცვაში

„კომუნისტური რეჟიმის“ გადალოცვის შემდეგ იწყება არეულობა ქალაქში, რის გამოც საჭირო იყო მილიციის თანამშრომლების მოულოდნელი გამოძახება საცხოვრებელი ბინებიდან „სასწავლო განგაშისათვის“, რადგან საჭიროებდა მონაცემების გადახალისებას ექსტრემალურად ვართმევდი და ვიწერდი საცხოვრებელი ბინების მისამართებსა და ელსმენის ნომრებს. რადგან შტაბის უფროსს „რაჟდენიჩს“ სამორიგეო ნაწილში მივაგენი, „ნაბახუსევს“ ჩასძინებოდა, ნახევრად გამოღვიძებულს გამოვკითხე მონაცემები, რომელმაც თავისი იუმორული ქვენაგრძნობით დაიწყო: „ვარაზისხევი“ (ე.ი. კეკელიძის ქუჩა), „აჩკო“ (ე.ი. ოცდამეერთე კორპუსი), ხოლო როდესაც სადარბაზო და სართული შევეკითხე, როგორც კახელმა კაცმა გაბრაზებით შემომყვირა „შე ვერანა!“ ამოიხედე მაღლივ კორპუსთან და აივანზე რომ დაინახავ ქალების „ოთხნიფხავსა“ და ერთი კაცის „ტრუსიკს“ ჩემი ბინა იქნება!!!, გვიან მიხვდი, რომ „რაჟდენიჩს“ სამი ქალიშვილი ჰყავდა, სამივე გაუთხოვარი, რაზედაც დაჩაგრულად გრძნობდა თავს და ნახევრად ხუმრობით მოიხსენიებდა...





## წესრიგის დამცველები

როგორც მოგეხსენებათ ე.წ. „კომუნისტების“ დროს ყოველ გაზაფხულზე დაწყებისთანავე პირველ რიცხვში იხსნებოდა სკვერები, ბაღები და გაზონები, სადაც მათ გახსნას ესწრებოდნენ ცენტრალური კომიტეტის წევრები, პარტიისა და ქალაქკომის მდივნები, ქალაქის ინტელიგენცია, რა მიზეზითაც მილიციის თანამშრომლები ვმონაწილეობდით ღონისძიების დაწყებიდან რამოდენიმე საათით ადრე. ვიმყოფებოდი რა „მუშტაიდის ბაღში“ (ადრინდელი სერგო ორჯონკიძის სახ.) ერთ-ერთ ჩვენ შორის მყოფ ჩვენთან შედარებით წოდებით და ხნოვანებით უფროსი ასაკის დარბაისელ თანამშრომელს „პოლიკარპოვიჩს“ შევეკითხეთ, შეძლებდა თუ არა ჩვენ წინ განთავსებულ „კარუსელ-ბოჭკაში“ ტრიუკების გაკეთებას,

რასაც ახალგაზრდა ბიჭები ჩვენ წინ აკეთებდნენ და ერთმანეთს ენაცვლებოდნენ, ერთი ჩაილაპარაკა „პოლიკარპოვიჩმა“ ბევრ ახალგაზრდას კიდევ ვაჯობებ მოქნილობაშიო, შეხტა აღნიშნულ „ბოჭკაში“, რამოდენიმე წამის გასვლის შემდეგ თავი ველარ შეიკავა და წაიქცა ინერციით ბოჭკა ითრევდა ქვემოდან ზემოთ, ისტერიული სიცილისა და მხიარულების შემდეგ დავიხსენით „პოლიკარპოვიჩი“, დავუწყეთ განმენდა და ტანსაცმლის გასუფთავება. იქ შემყურე ქალბატონმა და ერთ-ერთმა მამაკაცმა სიცილის გამო ბუნებრივი მოთხოვნილებაც ველარ შეიკავეს. ამის შემდეგ „სტუმრებიც“ მშვიდობიანად გავაცილეთ, რაც შეეხება მომხდარი კურიოზის შესახებ, „პოლიკარპოვიჩმა“ იქვე განთავსებულ რესტორანში „თევზი მტკვარზე“ პურმარილი იკისრა საიდუმლოების შენახვისათვის, მაგრამ მილიციის სამორიგეო ნაწილში მომხდარ ფაქტზე უკვე მსჯელობდნენ...




## ახალი წლის მილოცვა

მილიციის გაყოფილებაში მსახურობდნენ მოსაზღვრე უბნის ინსპექტორები, ორივე მილიციის მაიორი, ორივე უბნის უფროსი ინსპექტორი, ორივეს მიმაგრებული ჰქონდათ „პრესტიჟული“ უბნები, მაგრამ მეგობრობისა, კოლეგიალობისა და თანამშრომლობისა ერთმანეთს ვერ ეწყობოდნენ, ყოველთვის სახუმარო „შტუკას“ უკეთებდნენ ერთმანეთს. „მოწინავე უბნის ინპექტორის“ შესახებ ყველა მილიციის რაიგანყოფილების თვალსაჩინო ადგილზე იყვნენ სურათებითა და მოკლე ბიოგრაფიით გამოკრულები, რაც მომზადებული იყო იმდროინდელ „საქინფორმიდან“. ერთს რომ გამოწერდნენ გაზეთში, მეორე კვირას მეორეზე იყო მოწინავე სტატია მიღწევებითა და წარმატებებით.

ახალი წლის ღამეს ზუსტად თორმეტ საათზე განაწყენებულმა ერთ-ერთმა „ოპოზიციონერმა“ ერთს გაუგზავნა სახანძრო მანქანა, მეორეს სასწრაფო დახმარების მანქანა, რის გამოც ორივე მათგანი ერთმანეთზე დაეჭვდა, როდესაც ერთმა-მეორეს მიულოცა ახალი წელი, - შესჩივლა, რა მელოცება, ზუსტად თორმეტი საათი რომ შესრულდა სახანძრო დამაყენეს თავზე თავის „სირენებითო“, მაშინ კი მიხვდნენ, რომ მათ შორის კიდევ მესამე პიროვნება აღმოჩნდა ახალი ხუმრობის მომგონი, რაც შეეხება ერთმანეთზე ეჭვიანობას, გამორიცხეს...

# მოულოდნელი შეხვედრა

ვიმყოფებოდი რა შემოვლაზე მეტრო „დიდუბის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, შორიდან დავინახე, რომ საპატიმრო ადგილიდან დაბრუნებული-განთავისუფლებული პირი (ბუნტური) ჩემს დანახვაზე სწრაფად წამოვიდა ჩემკენ, რომლის მოსაგერიელებლად მოვიმარჯვე ცეცხლსასროლი იარაღი, მაგრამ მოხდა სასწაული, აღნიშნულ პიროვნებას მოუმზადებია ყვავილები ჩემთვის გადმოსაცემად. მოვიდა, მეამბორა, ყვავილები გადმომცა, მადლობა გადამიხადა, რომ ორჯერ ნაპატივები მქონდა მის მიერ ჩადენილი დანაშაული (ხულიგნობა) ხოლო მესამე ფაქტზე „მსუბუქ ფორმებში“ გავუშვი პატმრობაში. (რამოდენიმე წელში აღნიშნული პიროვნება გახდა ბიზნესმენი, ყავს ცოლშვილი, შექმნა ოჯახი)...






## დამფრთხალი რუსი პოლკოვნიკები

ერთ დროს თბილისში მასიურად შემოვიდა ხუმრობა „ატაიდი“, ახალბედა მილიციის თანამშრომლები „არიფ კლიენტებს“ რეალიზაციას ვუკეთებდით. თათბირის დაწყებამდე განყოფილების წინ შეკრებილმა თანამშრომლებმა მოვილაპარაკეთ, პლეხანოვზე მომავალ ერთ-ერთ პიროვნებისათვის ეს ხუმრობა ჩაგვეტარებინა. პირველი სართულის შესასვლელ სადარბაზოდან გამოვარდა ჩვენი თანამშრომელი, დაბალი, მსუქანი აღნაგობის (იური ირემაძე) ფეხი წამოჰკრა კიბის საფეხურს, ჰაერში გაფრენილმა დაიყვირა „ატაიდი“!!, თან მუცლით ასვალტზე დავარდა, მოახლოვებულმა სამმა

„სამხედრო პოლკოვნიკმა“, იქვე საარტილერიო სასწავლე-
ბლის ლექტორებმა, მომხდარი სიტუაციის გარკვევამდე შიშისაგან დაუვარდათ დიპლომატ-ჩემოდნები, გაიქცნენ უკან და რამოდენიმე მეტრის გარბენის შემდეგ შემობრუნებულები არკვევდნენ საქმის ვითარებას... ჩვენი მხიარულება ხანმოკლე აღმოჩნდა, ჩვენს ნამოქმედარს უკვე ხელმძღვანელობა მსჯელობდა პარტიის რაიკომის წარმომადგენლებთან ერთად, ხოლო შემდგომში იუმორით მოიგონებდნენ...

# მოულოდნელი საჩუქარი

კონსტიტუციური უსაფრთხოებისა და საქართველოს მთლიანობისათვის მილიციის გარნიზონის პირადი შემადგენლობა შეყვანლი იქნა ქ. ცხინვალში, სადაც დღისა და ღამის საათებში ვიცავდით საზოგადოებრიც წესრიგს ქუჩებსა და ადმინისტრაციულ შენობებში. ჩვენი განყოფილება განთავსებული იყო ქალაქის საქალაქო აღმასკომის ძველ შენობაში, ერთი ჯგუფი რომ პოსტებზე და საგუშაგოებზე იყო, მეორე ჯგუფი ისვენებდა, რაც შეეხება განვლილ ოპერატიულ მდგომარეობას, ვახსენებდით საერთო ჯგუფის ხელმძღვანელს გენერალ „გივი შალვოვიჩს“, რომელიც ყოველ შეკრებაზე გვაფრთხილებდა, რომ გამბედაობა და სულისკვეთება მიგვეტანა თითოეულ თანამშრომლამდე, რათა მეტი პასუხისმგებლობით მოპყრობოდნენ მიცემული დავალებების შესრულებას. ხოლო შეკრებიდან დაბრუნებისას ყველას აინტერესებდა როდის გასცემდნენ ბრძანებას სახლებში წასულიყვნენ ან ხელმძღვანელობიდან რა ახალი ინფორმაცია იყო... ერთ-ერთი შეკრების დამთავრების შემდეგ, გადავეცი ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება, რომ „მოწინავე მებრძოლებზე“ გამოყოფილია ხუთ-ხუთი ცალი მსუბუქი ავტომანქანა „ვაზ.2106“-ის სისტემის “ჟიგულიმეთქი“, მოითხოვენ შევადგინოთ სიობრივი მონაცემები მოწინავე თანამშრომლებზე, მხოლოდ იმ პირობით, ვისაც კუთვნილი არა ყავს ტრანსპორტი, მათზე გაიცემამეთქი. ჩემი სიტყვის დამთავრებისთანავე წამოიშალნენ ზოგი საწოლიდან, ზოგი პრესას ეცნობოდა და ასე შემდეგ, მომიქციეს წრეში, როგორც მე, ასევე ჩემი მხარდამჭერები „ვანიჩკა“ და „ნოდარი“, არა მე მეკუთვნის, არა - მეო, ზოგმაც თავი იმართლა, ჩემი მანქანა ჩემს სიდედრზეა გაფორმებული, ზოგმა სიმამრზე, ზოგმაც ცოლისდის სახელზე, მას ეკუთვნისო, რადგან მათი მსჯელობა ხანგრძლივად გაგრძელდა და „კონსესუს“ ვერ მიაღწიეს, მათ რიგებს გამოეყო უბნის ინსპექტორი „კუკარაჩა“, რომელმაც გამოიტანა აზრიანი გადაწყვეტილება, გაეყიდათ ხუთივე




მანქანა, შემოსავალი თანხა გაგვენაწლებინა ყველა მონაწილე მილიციის თანამშრომელზე, მათი აზრიანი გადაწყვეტილება მოახსენეს  მილიციის უფროსს, ჯგუფის ხელმძღვანელს, ბატონ „ანზორ დავიდოვიჩს“, მაშინ მიხვდნენ, რომ დონის, ნოდარისა და ვანოს მიერ მოფიქრებული „შტუკა“ ხუმრობა იყო, რაზედაც დროებით მოგვიწია აღნიშნული შენობის დატოვება, მათ დაწყნარებამდე...




## ალო ერევანია?!

სამორიგეო ნაწილში ელსმენით რეკავს ღამის საათებში სამმართველოს უფროსის მოადგილე, მილიციის პოლკოვნიკი „დამეანე ნიკალაევიჩი“, სამორიგეო ნაწილია?!, -დიახ ბატონო!, ვინ ბრძანდებით?!, -მძღოლ-მილიციელი ზემდეგი ხაჩატუროვი ვარ, მორიგე ვინ არის და სად ბრძანდება?! – ჯანჯუღაზოვია ამხანაგო პოლკოვნიკო, მორიგე გამომძიებელ არუთინოვს ელაპარაკება, - გისმენთ პასუხისმგებელი მორიგე ჯანჯუღაზოვი, - უფროსებიდან ვინ არის ადგილზე?, - ჯგუფის ხელმძღვანელი „ობეხეესის უფროსი“ კნადიანია ბატონო, უპასუხა მორიგემ... ეხლავე შეგაერთებთ შიგა ტელეფონით, ... – მგონი ერევანში მოვხვდი, ელსმენის გათიშვამდე ჩაილაპარაკა „დამეანე ნიკოლაევიჩმა“ და გინებით გათიშა ელსმენი...



## შემთხვევის ადგილი კურიოზებით

სამორიგეო ნაწილში შემოსული ელსმენის შეტყობინების თანახმად დილის 7 საათზე მე და სისხლის სამართლის სამძებროს უფროსი ინსპექტორი „ჩიგოლა“ გავედით ზუგდიდის ქუჩა 3-ში ე.წ. „სამხედროების კორპუსში“, სადაც სადარბაზოს წინ დაგვხვდნენ შეკრებილი მეზობლები, როგორც შემდგომში გახდა ცნობილი, ბოროტმოქმედებს ავტომანქანა „ჟიგულისათვის“ დაუხსნიათ სამი საბურავი თავისი დისკებით, მეოთხის მოხსნა ვეღარ მოუსწრიათ, მე ჩვეულებრივ დავიწყე ფოტოგრაფირება, ხოლო „ჩიგოლა“ მანქანიდან ანაბეჭდებს იღებდა. მანქანის მფლობელმა, სპორტულ პიჟამოებში ჩაცმულმა რუსი ეროვნების მამაკაცმა დაჟინებით მოითხოვა მოგვეყვანა სამძებრო ძაღლი კინელოგთან ერთად, რადგან

აღნიშნული სამსახური ქალაქგარეთ იყო განთავსებული და ძაღლის მოთავსებაც მანქანაში არც ისე სასიამოვნო იყო, გადავწყვიტეთ იქვე ახლოს აკაკი წერეთლის გამზირზე განთავსებულ არასაუწყებო დაცვიდან მოგვეყვანა ძაღლი მომვლელთან ერთად. მოყვანისთანავე ძაღლის მომვლელმა „ჩან კაიშმა" თავი მოიწონა და ბრძანება გასცა ძაღლს „ემოქმედა", ძაღლმა მანქანასთან მისვლისთანავე ფეხი ასწია და დარჩენილ საბურავს მიაშარდა, რასაც იქ შეკრებილი გულშემატკივრების სიცილი მოჰყვა, ხოლო სამძებროს ინსპექტორმა „ჩიგოლამ" რომელიც გართული იყო „დაზარალებულის" ცოლშვილთან არშიყობაში, რომლის „სიმპატიურობისა" და „ჯენლტმენობით" მოხიბლულები სიცილ-კისკისებდნენ, მანქანის პატრონმა ერთი იღრიალა „უვას ვსე ნახ....იო"!!, აღარავის მიმართ პრეტენზია არ მაქვს, მხოლოდ მომცილდით აქედანო, ...შემდგომში გახდა ცნობილი, რომ სპორტულ ფორმაში რუსი ეროვნების მამაკაცი სამხედრო გენერალი ყოფილა...



## კურიოზები „ჩუნჩო“-ს თანხლებით

სამორიგეო ნაწილში შეტყობინების საფუძველზე მორიგე ოპერატიულ ჯგუფთან ერთად გავედით საცხოვრებელ ბინაში ქურდობის ფაქტზე, სადაც იატაკზე მიმობნეული იყო ოჯახის კუთვნილი ნივთები, სამკაულები და ანტიკვარები, რომლებიც სიბნელის გამო, ბოროტმოქმედებს მთლიანად წაღება ველარ მოუსწრიათ. მორიგე გამომძიებლის მითითებით ვახდენდი საინტერესო მიზნობრივ ფოტოგრაფირებას, ხოლო დანარჩენი ოპერმუშაკები დაკავებული იყვნენ ანაბეჭდებისა და ახსნა-განმარტებების ჩამორთმევით, მხოლოდ ერთ-ერთი ჩვენგანი, „ჩუნჩო“, რომელიც სტაჟირებას გადიოდა დასაქმებული არ იყო, თავისუფლად მოძრაობდა, რაც არ გამოპარვია ოჯახის უფროს ქალბატონს, რომელიც საეჭვოდ უყურებოდა ვინმეს ხელმრუდობით არ აელო რაიმე ნივთი. ჩვენი ყურადღება მიიპყრო იმ ქალბატონის ყვირილმა, რომელიც ბრძანების კილოთი მოუწოდებდა „ჩუნჩოს“ გაეხსნა მუჭი, რომელიც არ ნებდებოდა ჩვენს ჩარევამდე, როდესაც ხელი გახსნა აღმოჩნდა მუჭში ჩამალული ჩურჩხელა, რათა სხვებს არ შეემჩნიათ ჩუმად მიირთმევდა, მისმა გულუბრყვილო მოქმედებამ მხიარულება შემოიტანა როგორც დაზარალებულის ოჯახში, ასევე მილიციის თანამშრომლებში...



## მონადირე პარაზიტოლოგიის ინსტიტუტში

სანებართვო სისტემის ინსპექტორს „შეშას“ მონკავშირის წევრმა ყველა საჭირო საბუთები წარუდგინა სანადირო თოფის შესაძენად, რადგან თოფის შემძენი „პატივისცემაზე“ და „ძღვენზე“ აზრზე ვერ მოდიოდა, “შეშამ“ დამატებითი ცნობა მოსთხოვა წარმოედგინა პარაზიტოლოგიის ინსტიტუტიდან. როდესაც ცნობილ დასტაქარ თენგიზ ჩირგაძესთან („ციფერი მთები ანუ ტიანშანის“ ფილმში მთავარი როლის შემსრულებელი) მივიდა მონადირე და მოითხოვა ცნობა, მთავარი ექიმი თავის მეგობარს, მილიციის უფროსს ალექსანდრე კუნელაურს დაუკავშირდა საქმის ვითარების გასარკვევად, რის შემდეგ მილიციის უფროსმა „შეშას“– სთხოვა განე-

მარტა საქმის ვითარება, „შეშამ“ დაუფიქრებლად უპასუხა უფროსს, ფრინველზე თოფის დამიზნებისას სწორნაწლავში ქავილა ჭია არ გამოგვეპაროს, უნებლიედ არ შემოტრიალდესო, რის შემდეგ „შეშამ“ საყვედური მიიღო, მაგრამ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ იუმორით მოიგონებდნენ...



## გიგლას ქორწილი კურიოზებით

70-იანი წლებია, რიგით მილიციელ „გიგილოს“ შეუყვარდა სტუდენტი გოგონა, რადგან ორივეს ერთმანეთის სიმპათია გაუჩნდათ, სასიდედრო და სასიმამრო უარზე დადგნენ, და-აპირეს სასიძოს სამსახურის შემოწმება. „გიგილომ“ ერთ-ერთ განყოფილების უფროსს (სისხლის სამართლის სამძებროს უფროსს (ჟორა) გიორგი სიხარულიძე) გაანდო თავისი ზრახ-ვები, თავის სამუშაო ოთახზე ნებართვა მისცა დროებით დაემაგრებინა აზრა და მის ადგილზე დაამაგრა თავისი მო-ნაცემები, რის შემდეგ „მოყვრების“ წინ წარსდგა ახალი კაბი-ნეტითა და თანამშრომლებით, დარწმუნებულმა გოგოს

მშობლებმა თანხმობა გამოუცხადეს „გიგილოს“, სანიმუშო ქორწილიც გადაუხადეს, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ „გიგილო“ მოტოციკლით და რიგითი ფორმით რომ მიადგა „მოყვრებს“, გვიან მიხვდნენ „მილიციელის მოხერხებულობას“. სულ მალე გიგილომ უმაღლესი განათლება მიიღო, დააწინაურეს და უფროსის დახმარებით ერთ-ერთი ბედნერი ოჯახი შექმნა, მართალია, საყვედური მიიღო ზემდგომი ხელმძღვანელობისაგან, მაგრამ ბედნიერად თვლიდა თავს...




## დუშელი წვრილმანი ხულიგანი

იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც წვრილმან ხულიგნობაზე პიროვნებას ოქმს შევუდგენდით, ვიტოვებდით პირად საბუთს ან ვადგენდით მის ზუსტ მონაცემებს და ხელწერილით ვუშვებდით შინ, რადგან შაბათ-კვირას სასამართლო ისვენებდა. ორშაბათ დილით ჩემს სამუშაო ოთახის ფანჯარასთან მალვიძებს ბატკნის ხმა, დუშელ „ხულიგანს" ჯარიმის თანხა ველარ უშოვია და მის მაგივრად ბატკანი მომიყვანა. ამის შემდეგ მისი ჯარიმა მე გადავიხადე, რაც შეეხება „ჩაქაფულს" ერთად მივირთვით და ვიქეიფეთ...

## დუშელი ძებნილი

ერთ-ერთი მომხდარი დანაშაულის ფაქტზე იძებნებოდა მესამე პიროვნება.

ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების გატარების შედეგად დადგენილი იქნა, რომ ე.წ. ძებნილი ცხოვრობდა დუშეთში და იმალებოდა ნათესავის ბინაში, რომლის აღწერილობა ჩვენთვის უცნობი იყო. როდესაც ვუახლოვდებოდით საეჭვო დასახლებას, უეცრად, სახლის კუთხეში შემოგვხვდა ჩვენთვის უცნობი ახალგაზრდა, რომელმაც დაიყვირა: - „დონი!!!“ რის საფუძველზე დავედევნეთ და დავაკავეთ. ობიექტური მოკვლევისა და გამოძიების შედეგად ჩვენ მიერ ძებნილი სასამართლოს მიერ გათავისუფლებული იქნა, ხოლო მისი დაკავების გამო მშობლების მადლობა დავიმსახურეთ, ჩვენ რომ დროზე არ დაგვეკავებინა, დღესაც ძებნილი იქნებოდა.....






## პროკურორის დაკავება

პლეხანოვის გამზირი დაყოფილი იყო ექვს საგუშაგოდ, სადაც ერთ-ერთ საგუშაგოზე მორიგეობას ასრულებდა ახლად მიღებული რიგითი მილიციელი, ზედმეტ სახელად შერქმეული „ყარამანი“ რომელსაც დავალებული ჰქონდა ფეხით მოსიარულენი მხოლოდ გამოყოფილ ადგილზე გადასულიყვნენ, უფლება არ ჰქონდათ გადაეკვეთათ ე. წ. „ღერძულა ხაზი“. მან შეამჩნია, რომ „ღერძულა ხაზი“ გადაკვეთა საშუალო ასაკის მამაკაცმა, რომელსაც ე.წ. „წივილას“ მიცემით გააფრთხილა, მაგრამ მან რეაგირება არ გააკეთა, არც კი დამორჩილებია, განმეორებით ერსა და იმავე ადგილზე

გადმოსვლისას მილიციელმა „ყარამანიმ“ კიდევ განმეორებით გააფრთხილა, როდესაც გადავიდა მეორე მხარეს, მიეპარა „ყარამანი“ სწვდა ხელში, გადაუგრიხა მკლავი და იქვე გათავისუფლებულ მილიციის სამორიგეოში წარადგინა, შესვლისთანავე იქ მსხდომი მილიციის თანამშრომლები სწრაფად წამოცვივდნენ ადგილებიდან და მხედრული სალმით წარსდგნენ ე.წ. „დაკავებულის“ წინაშე, გაურკვეველ მდგომარეობაში მყოფი „ყარამანი“ გვიან მიხვდა, რომ დაკავებული ყავდა რაიონის პროკურორი...




## ხელყუმბარიანი დამნაშავე

ოპერატიული ჯგუფის ხელმძღვანელი ვარ, გაშვებულია ჯგუფები სამოქმედო ტერიტორიაზე, ჯერ კიდევ ქუჩებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში დათარეშობდნენ თვითმარქვია „გვარდიელები" და „მხედრიონელები", რადიოკავშირით ერთ-ერთი უბნის ინსპექტორი დახმარებას ითხოვდა ხოშარაულის ქუჩიდან, სადაც ნასვამ მდგომარეობაში მყოფ მამაკაცს, რომელსაც სისტემატიური სპირტიანი სასმელის მიღებისაგან „თეთრი ცხელება" დამართნია, ბინის კარები შიგნიდან ჩაუკეტავს და ცოლ-შვილი ქუჩაში გამოუყრია, იმუქრებოდა სახლის გადაწვითა და აფეთქებით. რამდე-

ნიმე ხნის შემდეგ კვლავ ითხოვდა აღნიშნული თანამშრომე-ლი დამატებითი ძალები დაგვეხმარებინა, რის შემდეგ რაიგან-ყოფილების ხელმძღვანელობასთან ერთად მივედით ადგი-ლზე, ბინა იყო „ბარაკული ტიპის“, ეზოში გაშვებული იყო მოზრდილი ძაღლი, რომლის იზოლირება მოვახერხეთ მისი ცოლ-შვილის დახმარებით, რაც შეეხებოდა სახლში შეღწევას, ჯერ ვერ ვახერხებდით, რადგან სახლიდან ხმამაღლა გაიძა-ხოდა, რომ ხელში ჰქონდა გახსნილი „ხელყუმბარა-ლიმონკა“ და „ბენზნიანი ბოთლი“. საჭიროებდა მეტ ოპერატიულობასა და წინდახედულობას. რის შემდეგ შევძელი ავსულიყავი სახურავის „სხვენზე“ იქ მიყუდებული ხის კიბის დახმარებით. ერთ-ერთ ღიად დარჩენილი სარკმლიდან დავინახე, რომ ნახ-ევრად მძინარე, საწოლზე წამოწოლილი ყვიროდა და გაიძახ-ოდა: „ხელთ მაქვს გახსნილი „ლიმონკა“, მეორე ხელში „ბენ-ზინიანი ბოთლიო“, რომელიც მცდარი აღმოჩნდა, შევაღწიე ბინაში, რის შემდეგ შეშინებული წამოხტა საწოლიდან, ორივე ხელი მაღლა აწია და ხმამაღლა ყვირილი დაიწყო, დასახმარე-ბლად იხმობდა მილიციის თანამშრომლებს, ხოლო იქ შეკრე-ბილი მეზობლები, ახლობლები და მილიციის თანამშრომლე-ბი მხიარულად ტოვებდნენ ე.წ. „შემთხვევის ადგილს“....

## „თავჩიტასა“ და „ცუციკას“ თავგადასავალი“

ერთ-ერთი ოპერატიული ჯგუფის ხელმძღვანელი ვარ, მორიგეობა მიწევდა გრაფიკით ყოველ მესამე დღეს, ჩემს ჯგუფში მორიგეობდნენ პასუხისმგებელი მორიგე „თავჩიტა“ და მისი თანაშემწე „ცუციკა“, ღამის საათებში, როდესაც შემოვლით ჯგუფებს ვუშვებდი, ხოლო მე სამუშაო ოთახში ვისვენებდი, ინფორმაცია მივიღე, რომ მორიგე და მისი თანაშემწე პერიოდულად ახერხებდნენ შენობიდან გასვლას თავიანთ „გულისწორებთან“ მოსანახულებლად. მათი მორიგი „გასტროლების“ აღკვეთის მიზნით გასაშლელი საწოლი მოვათავსე გასასვლელ კარებთან გაკონტროლების მიზნით, ჩაძინების მომენტში დრო იხელთეს, „თავჩიტამ“ მოხერხებულად მიაღწია თავის საწადელს, გვიან მივხვდი, რომ ახალგაზრდების საღმა მოსაზრებამ გაიმარჯვა, მე კი ფილტვების ანთება დავიმსახურე...






## დაგვიანებული შეხვედრა

ელსმენის შეტყობინების გასვლის საფუძველზე, მეტრო „დიდუბის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, ამჟამად ავტოსადგურ „ოკრიბასთან“, მოუწესრიგებელ ხევში დამხვდა შიშველ მდგომარეობაში, სხეულის მძიმე ხარისხის დაზიანებით ახალგაზრდა მამაკაცი, რომელიც რამოდენიმე დღის გასვლის შემდეგ საავადმყოფოს რეამინაციაში გარდაიცვალა. შემთხვევის ადგილზე დათვალიერებისას აღმოჩნდა ექვმიტანილი პიროვნების საბუთი, რომლის შემდეგ დადგენილი პიროვნება ჩემ მიერ გახდა ძებნილი. რამოდენიმე წლის გასვლის შემდეგ ტაქსისტთან კონფლიქტურ სიტუაციაში ჩარევის შემდეგ დაკავებული პიროვნებიდან აღმოჩნდა ჩემ მიერ თხუთმეტი წლის ძებნილი, რომელსაც წლების განმავლობაში ვერ პოულობდნენ. – ამას ჰქვია „სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო“...

## არჩილ ივანიჩის კანონმორჩილება

მზადებოდა „ეროვნული მოძრაობა“, პირადი შემადგენლობა გადაყვანილი იქნა ყაზარმულ მდგომარეობაზე, შვებულებები და ბიულეტინები შეჩერებული იყო, გასული თანამშრომლები გამოჰყავდათ განყოფილებებში, ე.ი. დღე-ღამის განმავლობაში ვიმყოფებოდით სამუშაო ოთახებში, მორიგეობით ვმონაწილეობდით მიტინგებზე საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად. რაც შეეხება თავდაცვის იარაღებს, თან გვქონდა: ფარები, ხელკეტები და ჩაფხუტები, რომელსაც ვათავსებდით ჩვენთვის გამოყოფილ სამგზავრო ავტობუსებში. ღონისძიებების დამთავრების შემდეგ ვაბრუნებდით სამორიგეო ნაწილში, სადაც მორიგის თანაშემწე „არჩილ ივანიჩი“



ალაგებდა ერთ-ერთ ოთახში. მორიგე მიღების დროს, მისი დალაგების მომენტში სიმაღლიდან გადმოვარდნილმა „ივანიჩმა“ ხელი მოიტეხა, რა მიზეზითაც რამოდენიმე დღე იმყოფებოდა ავადმყოფობის ფურცელზე. გარკვეული მკურნალობის შემდეგ განსაზღვრულ დროს გადააცილა, რის გამოც, როგორც განყოფილების „სახალხო კონტროლის“ თავმჯდომარეს, დამავალეს მისთვის  მიმართ ჩამომერთვა ახსნა-განმარტება მოკვლევის მიზნით. რადგან „ივანიჩი კანონმორჩილი“ იყო და სხვა თანამშრომლებთან შედარებით დისციპლინირებული, თავდაჯერების მიზნით მიმიყვანა ადგილზე და გაიმეორა „აღნიშნული პროცედურა“, რა დროსაც თავი კვლავ ვერ შეიკავა და აღნიშნული ხელი მეორედ დაიზიანა, რის შემდეგ მე და „ივანიჩი“ მოვხვდით შტაბის უფროსთან და მილიციის უფროსთან ახსნა-განმარტებების  ჩამორთმევისა და გაკიცხვისათვის...



## „პარმენიჩის“-„სირანუშა“

რაიგანყოფილებაში ჩატარებული იქნა „სასწავლო განგაში“ შინაგან საქმეთა სამმართველოს ხელმძღვანელობის მიერ, იქნებოდა ღამის 3 საათი, გამოცხადდა მოულოდნელი შემოწმება, პირადი შემადგენლობის შინიდან გამოძახების , რადგან აღნიშნული ღონისძიების შედეგი ჯამდებოდა დროის ფაქტორით, საჭირო იყო სწრაფად, რამოდენიმე ტელეფონით მომხდარიყო მათი გამოძახება. ერთ-ერთი თანამშრომლის გამოძახება მე მხვდა წილად, რომელიც გამოირჩეოდა სხვა თანამშრომლებისგან შედარებით ე. წ. „კაპრიზობით“, ელსმენი აიღო მისმა მეუღლემ, რომლის პასუხი იყო: სძინავს!!, - ისვენებს!!, მე მას სწრაფად ავუხსენი, რომ გაეღვიძებინა და გადაეცა მისთვის ჩვენი ტერმინოლოგიით: სამორიგეოში „სირენაა“ -მეთქი, რის შემდეგ გავაგრძელე სხვა თანამშრომლების გამოძახება.

გაღვიძებისთანავე მეუღლეს ეჭვიანობის ნიადაგზე დაუწყია ჩხუბი, თუ რომელი „სირანუშა“ ელოდებოდა მას სამორიგეო ნაწილში, ხოლო მეორე დღეს სამსახურში მოსული „პარმენიჩი“ კითხულობდა, ვინ გამოიწვია მათი „ოჯახური კონფლიქტი“. ამის შემდეგ მან მეუღლისა და ხელმძღვანელობის საყვედური დაიმსახურა....




## უმუშევარი ლენინი

80-იანი წლებია, მილიციის განყოფილებაში ტარდება „ერთ-თვიური“ უმუშევრობისა და საპასპორტო რეჟიმის დამრღვევ პირების გამოსავლინებლად. ოპერატიულ თათბირზე დავალე-ბებისა და მითითებების შესასრულებლად ყველა უბნის ინ-სპექტორი გავიდა თავიაანთ სამოქმედო უბნებსა და ზონებ-ში. ხოლო უბნის ინსპექტორებს „უშოსა“ და „კუკარაჩას“ სამ-სახურებრივი მიზეზით მოუწიათ გასვლა „ზაჰესის დასახლე-ბაში“, სადაც ერთ-ერთი მასპინძელი გაუმასპინძლდა მათ. ქუჩაში გამოსულებმა შეატყვეს, რომ სამუშაო დრო გამო-პარვიათ, ხოლო ნამუშევარი დღის განმავლობაში უნდა მი-ეტანათ „გიგო უფროსთან“. „შეზარხოშებულებმა“ -„უშომ“ გადახედა იქვე განთავისუფლებულ ლენინის ძეგლს, „კუკა-

რაჩას“ გადაულაპარაკა, ამაზე მეტი უმუშევარი ვინ უნდა იყოსო?!, მოუფიქრებლად შეუდგინა უმუშევრობის ოქმი შემდეგი მონაცემებით:-ულიანოვი ვლადიმერ ილიას ძე, „კუკარაჩაც“ ვალში არ დარჩა, მან საპასპორტო რეჟიმის დარღვევისათვის შეუდგინა ოქმი ლენინს, რომელიც მათ ხელმძღვანელს „გიგოს“ გაატარებინეს ე.წ. „ზონარგაყრილ წიგნში“, რაც შეეხება „კუკარაჩამ“ იოლად ჩამოწერა მასალები, რაც შეეხება „უშომ“ სამუშაოდან ცნობა ვერ წარმოადგინა, რის გამოც „ლენინი“ უმუშევარი დატოვა...

## ყრუ-მუნჯების ჩხუბი

სამორიგეო ნაწილში ელსმენის შეტყობინების საფუძველზე გასულ მილიციის თანამშრომლებს მითითებულ ადგილზე სიმშვიდე და სიწყნარე დახვდათ, ღამისა და კოკისპირული წვიმის მიზეზით დეტალურად მიმდებარე ტერიტორია გადამოწმებული ვერ იქნა. განმეორებით მიღებული ელსმენის შეტყობინებით, სადაც უკვე მოქალაქე მუქარით გადმოსცემდა, ადგილზე მისულებს, გაზონების მოპირდაპირე მხარეს აღმოაჩინეს ნასვამ მდგომარეობაში მყოფი ყრუ-მუნჯების ჩხუბი, რომლებიც სიბნელისა და სიწყნარის გამო კიდევ დიდხანს იჩხუბებდნენ, რომ არა საცხოვრებელი კორპუსის მობინადრეების ოპერატიული ჩარევისა...



## „სოსოია“ ყრუმუნჯების ჩხუბში“

ელსმენის შეტყობინების საფუძველზე გავედით ვახუშტი ბაგრატიონისა და დიდუბის ქუჩების გადაკვეთაზე, სადაც რამოდენიმე მამაკაცი ერთმანეთს ეჩხუბებოდნენ, როდესაც ადგილზე მისულებმა ჩხუბის მიზეზებს გავერკვიეთ, მოჩხუბრები ყრუმუნჯები აღმოჩნდნენ, რაც შეეხება გამშველებელს ჩვენი თანამშრომელი „სოსოია“ ჩარეულა. როდესაც მასალების მოკვლევა დავიწყეთ, დავიქირავეთ მუნჯების თარჯიმანი, რაც შეეხება „სოსოიას“ ახსნა-განმარტებებს წერილობით მივიღეთ, რადგან „სოსოიაც“ დროებით დდამუნჯებული იყო მათგან კარგი „ლაზათიანი“ მუჭის მოხვედრის მიზეზით...



## „ცხვედოსა“ და „გოგლიკოს“ გასტროლები



მილიციის განყოფილებაში რეორგანიზაციის შედეგად ქეიფის მოტრფიალეები „ცხვედო“ და „გოგლიკო“ გადაყვანილნი იქნენ არაოპერატიულ-ცვლიან სამსახურში. თავისუფალ დროს არცერთი აღარ აცდენდა, ერთ-ერთი გასვლითი ქეიფი გადაწყვიტეს ქალაქ რუსთავში, კერძოდ „გოგლიკოს“ მეგობართან, რომელიც იმ დროისათვის მუშაობდა რუსთავის „ხორცკომბინატის“ დირექტორად. მისვლისთანავე მასპინძელმა ჯერ ქალაქის პრესტიჟულ რესტორანში აქეიფა სტუმრები, შემდეგ სახლში მიიპატიჟა, გამომშვიდობებისას უმაღლესი ხარისხის ხორცეულობა, ძეხვი „ასორტიმენტი“ ჩაულაგა საბარგულში და თავმომწონედ გამოაცილა „დაუპატიჟებელი“ სტუმრები. „გოგლიკოს“ ახლად შეძენილი „მოსკვიჩით“ გამოეშურნენ თბილისისაკენ. „ცხვედო ვერ ისვენებდა, გზადაგზა გოგლიკოს ეკითხებოდა თუ საიდან ჰქონდა ამდენი შესაძლებლობა მის მეგობარს, თან კამათის დროს დაუმატა „მთლიანად პატიოსანი კაცი არ უნდა იყოსო“ „რაცხა-საცხაო“. ამ სიტყვების გაგონებაზე გოგლიკომ რული ვეღარ დაიმორჩილა, დაეჯახა მათ წინ მიმავალ ახალთახალ მანქანას, რის შემდეგ ორთავე მანქანა გოგლიკოს გასაკეთებელი შეიქმნა, ...რაც შეეხება „საბუტილნიკები“ რამოდენიმე ხანს გაბუტულები იყვნენ შემდგომ გასტროლებამდე...



## ნარკომანი და მილიციელი

ოპერატიული მორიგე ვარ, ღამის საათებში წინასწარი დაკავების საკნიდან შემომესმა კვნესისა და გოდების ხმა, სწრაფად მივედი, რა დროსაც ნარკომანს ვენები გადაეხსნა, - სისხლის გარკვეული რაოდენობა დაეკარგა, საჭიროებდა სწრაფ სამედიცინო ჩარევას, რის შემდეგაც სამორიგეო ნაწილის მანქანით მიყვანილი იქნა იქვე „კამოს“ ქუჩაზე განთავსებულ მე-2 საავადმყოფოში. რადგან ერთნაირი ჯგუფის სისხლი აღმოგვაჩნდა, მორიგე ქირურგმა გადაწყვიტა ჩემი 400 გრამი სისხლი გადასხმოდა. გონზე მოსვლისას აუხსნეს რომ მილიციამ გადაგარჩინა, დროულად რომ სისხლი არ გადაესხათ და თან თავიაანთი, ცოცხალი აღარ იქნებოდიო, ამის გაგონებაზე „ჩემი პაციენტი“ ხელახლა აპირებდა ვენების გადაჭრას, რადგან მილიციელის სისხლი „დამნაშავე სამყაროს“ წევრობაზე პრობლემებს შეუქმნიდა...

# „გოგლიკოს“ მაიორობის მიღება

(კურიოზების თანხლებით)

„გოგლიკომ“ მილიციის მაიორობის მხედრული წოდების მიღებასთან დაკავშირებით გადაწყვიტა ხელმძღვანელობასთან და თანამშრომლებთან ერთად ბუნებაში, კერძოდ „ახატანში“ აღენიშნა. ნაქეიფარმა მილიციის უფროსმა გამომშვიდობებისას ჯერ „გოგლიკო“ გადაკოცნა, ერთხელ კიდევ მიულოცა წოდების მიღება, შემდეგ მის გვერდში მდგომ „ცხვედოსაც“, რომელსაც ყოველდღე ეკამათებოდა, მან უფროსის მძღოლს მიუბრუნდა და ამაყად უპასუხა, ეს კოცნა რაღაცას უნდა ნიშნავდესო?, მეორე დღეს სამსახურებრივი მოვალეობის გულგრილობისათვის მილიციის უფროსმა „ცხვედოს“ სასტიკი საყვედური გამოუცხადა...





## ბოროტმოქმედი თეთრი ლაბადით

სამსახურის ინსპექტორმა „შეშა“-მ საზოგადოებრივი წესრიგი რომ დაამყარა რაიონის ტერიტორიაზე, გადაწყვიტა ოპერატიულ სამსახურში გადასულიყო, ერთ-ერთი მისი პირველი საქმეც გაიჩარხა, იკვლევდა ყაჩაღობის ფაქტს, სადაც ერთ-ერთ თანამონაწილეს ეცვა თეთრი (პლაში) ლაბადა, რომელიც მისი სიტყვიერი განმარტებით ახალი შეძენილი ჰქონდა დაბა სურამში ხელზე გამყიდველ „მოშესთან“. „შეშა“ დაეჭვდა ესეც ნაყაჩაღარი ხომ არ აქვსო, გადასამოწმებლად ეახლა „მოშეს“ სურამში, მისვლისას მოშემ დაინახა, შეფუთული და დაპლომბილი ფუთა, რადგან იმ პერიოდებში იკრძალებოდა და ისჯებოდა სისხლის სამართლის კანონით ხელზე ვაჭრობა ე.წ. „სპეკულაციად“, „მოშეს“ შეეშინდა, რის გამოც „შეშამ“ „მოშეს“ საყვედურის კილოთი უთხრა შენთან ნაყიდი

ლაბადით ყაჩაღობაა ჩადენილიო. მოშემ დაიწყო თავის მართლება, დაგენაცვლე მხოლოდ „ცენტრს“ არ გააგებინოთო, იგულისხმა ზემდგომი ორგანო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, ჯერ სადილით გაუმასპინძლდა, გამოცილებისას დაასაჩუქრა, გამოაცილა დაბა სურამიდან, უსურვა წარმატებები სამსახურებრივ საქმიანობაში, ამის შემდეგ „შეშამ“ შეიძინა მსუბუქი ავტომანქანა. ასე დაიწყო „შეშამ“ თავისი საქმიანობა სამძებრო სამსახურში...

# შენი თავი მიათვალე??!!

ეროვნული მოძრაობა ძალაში შედიოდა, კომუნისტურ წყობილებას ნელ-ნელა ყავლი გასდიოდა, რაიონისა და ქალაქის მასშტაბით იმატა სხვადასხვა კატეგორიის დანაშაულებმა, რის გამოც ხელმძღვანელობა სისტემატიურად ატარებდა „პიკეტირებას“ და შემოვლითი ხასიათის ღონისძიებებს სამოქმედო უბნებში. სამსახურის უფროსი ინსპექტორის თანამდებობაზე ვარ, ძირითადი ფუნქციაა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და ზედამხედველობა მაკისრია, მორიგი, „პიკეტირებისას“, რომელიც ტარდებოდა ღამის საათებში ვახუშტი ბაგრატიონის სახ. ხიდის გადმოსასვლელთან, მომაგრებული მყავდა გარნიზონის სხვადასხვა სამსახურის თანამშრომლები, დაახლოებით სამოც თანამშრომლამდე. რადგან მო-



გეხსენებათ ორ-ორი გასასვლელ-შემოსასვლელით შემოიფარგლებოდა ავტოტრანსპორტის სავალი გზით, მილიციის თანამშრომლებს სიბნელის გამო ყველას ვერ ვაკონტროლებდი, რა მიზეზითაც, ჩემი ერთ-ერთი თანამშრომელი (ჩემი ნათლიმამა „რაჯი“) განაწყენებულმა „ეროვნული მოძრაობის“ ერთ-ერთმა წევრმა, თავის მანქანაში თანამოაზრეების დახმარებით ჩაისვა და მიიყვანა ე.წ. მაშინდელ „იმელის“ შენობაში, თავიაანთ დროებით შტაბში კი ჩაუწერიათ ვიდეოჩანაწერი ტელევიზიისათვის, რატო მიაყენეს მას შეურაცხყოფა ე.წ. „პაკეტის“ მონაწილეებმა... ხოლო აღნიშნულ ჩანაწერს ღამის კურიერში ისმენდა მილიციის უფროსი თავის სამუშაო ოთახში „ანზორდავიდოვიჩი“... ჯერ  უფროსი დაიბნა, რადგან მისი თანამშრომელი საზოგადოებრივ წესრიგს იცავდა „პიკეტზე“, გაოგნებულმა და აღელვებულმა რადიოკავშირით დამიკავშირდა სასწრაფოდ გამეკეთებინა თანამშრომლების აღრიცხვა, როდესაც ვუპასუხე ყველა ადგილზეა თქო, გაბრაზებულმა მიპასუხა: -„შენი თავი თუ მიათვალეო??!!“. შევატყვე საქმე მთლად კარგად არ იყო, განმეორებით შეკითხვაზე მიპასუხა ზემოთ მომხდარი ამბავი ტელევიზიით გადმოსცეს და ისიც მითხრა შენი მეგობარი უკვე „ოპერატიიულ შედეგებს“ გადმოსცემს საქართველოს ტელევიზიიდანო...



## „კამოს", „სერგოსა" და „ლენინის" დასასრული

„ეროვნული მოძრაობა" ძლიერდებოდა, ხოლო კომუნისტური წყობილებას მომხრეები ეცლებოდა.აქტიურობდნენ ძალები, რომლებიც ცდილობდნენ ძველი გადმონაშთები გაენადგურებინათ, სამორიგეო ნაწილში გახშირდა სატელეფონო შეტყობინება-გამოძახებები, კერძოდ, „კამოს" ბიუსტს თავს ხერხით აძრობენო, „სერგო ორჯონიკიძის " ძეგლს ხელი და ცხვირი მოამტვრიესო, „ლენინის" ბიუსტი გადმოაგდესო. რის შემდეგ გავდიოდით ოპერატიული ჯგუფი შემთხვევის ადგილებში, გამოძახება „ლოჟნი"აღმოჩნდებოდა ხოლმე. პერიოდულად ვახდენდით პატრულირებას მათ დასაცავად. დილის საათებში გადამოწმებისას უკვე სერგო ორჯონიკიძის ძეგლს ხელი და ცხვირი მომტვრეული ჰქონდა, კამოს თავი მოძრობილი, ხოლო ლენინის ბიუსტი გადმოყირავებული დაგხვდა. დაიწყო მილიციის თანამშრომლების დასჯის საკითხის განხილვა, მათ იღბალზე ახლანდელ „თავისუფლების მოედანზე" ხალხის მასამ „ლენინის" ძეგლი თავდაყირა გადმოაგდო, რამაც გადაარჩინა რამოდენიმე თანამშრომელი დასჯას...

# ძმის მკვლელი




მილიციის სამორიგეო ნაწილში შემოვიდა შეტყობინება, რომ ავტოსადგურ „დიდუბეში“ უეცრივ გარდაიცვალა ახალგაზრდა მამაკაცი. მისვლისთანავე შემოწმებული იქნა მიმდებარე ტერიტორია, გამოკითხული იქნა მგზავრები და მომსახურე პერსონალი, რადგან მამაკაცის გვამი ქუჩაში იყო, საჭიროებდა გამოგვეძახებინა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტ-კრიმინალისტი, პროკურატურის გამომძიებელი, პროზექტურის სპეცმანქანა, რომლის ორგანიზაცია ოპერატიულად მოვაგვარე. დაახლოებით ორი სამი საათის გასვლის შემდეგ გადაწყვეტილება მივიღეთ უცნობი მამაკაცის გვამი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზაზე გადაგვეტანა და შემდგომში დამედგინა მისი ვინაობა...

გადაწყვეტილების მიღებიდან რამოდენიმე წუთში გვამს მოუახლოვდა მამაკაცი, რომელმაც გაგვიცხადა, რომ გარდაცვლილი ჩემი ძმაა, მე თანახმა არ ვარ გაიკვეთოს ჩემი ძმა, არავის მიმართ პრეტენზია არ გამაჩნიაო, დაგვიწერა ხელწერილი, მისმა იქ მომუშავე თანამშრომლებმა აუკრიფეს დახმარების ფული, გამოუყვეს ტრანსპორტი რაიონში გადასასვენებლად, რამოდენიმე ხნის გასვლის  შემდეგ შეიკრიბნენ გარდაცვლილის ოჯახის წევრები, მოხდა სასწაული: -ერთ-ერთმა ქალბატონმა კატეგორიულად განაცხადა ეს ჩემი მაზლი არ არისო!!!, თავის მეუღლესაც კარგად „შეუკურთხა“ შენ ძმას ვერ ცნობო?!, ნამდვილად დაზუსტების შემდეგ განმეორებით შევკრიბე ზემოთ დასახელებული „ოპერატიულ-სამძებრო“ ჯგუფი და დილით გარდაცვლილი გვამი ძლივს, საღამოს საათებამდე გადავიყვანე სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზაზე, ხოლო შემდგომში ტელევიზიის დახმარებით დავადგინე გარდაცვლილი პიროვნება...

# ყარამანი და სტომატოლოგი



სამოცდაათიანი წლებია, პლეხანოვის გამზირზე საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად ვმორიგეობდით ორი პროვინციელი, მე და ასევე რიგითი „ყარამანი“, გამოუცდელი იყო. ბევრ რამეს მე მეკითხებოდა, რადგან მეტრო „მარჯანიშვილთან“ ჩემს საგუშაგოზე გამოცხადდა მოტოციკლეტით „ყარამანი“, რომელსაც კბილი ასტკივებია, მთხოვა დროებით დამეტოვებინა საგუშაგო და გავყოლოდი იქვე მილიციის წინ განთავსებულ კბილის სტომატოლოგიურ პოლიკნინიკაში. მივედით რა ექიმთან, ყარამანი მოათავსა სკამზე, სთხოვა გაეღო პირი, გაღებისთანავე ყარამანიმ პირიც გააღო და დააყოლა „ა ა ა!!“, ექიმი ჩემსკენ შემოტრიალდა და ყარამანის სანაქებოდ მიპასუხა: აი პირი გავაღებინე და თუგინდ კრესლო ჩაიდგი შიგ

და იმუშავეო, ამის თქმაზე ისეთი მხიარულება წარმოიშვა, უკვე ზედმეტად ვგრძნობდი თავს და თანაც საგუშაგო მქონ-და მიტოვებული. გასინჯვის შემდეგ ექიმმა ყარამანის დაავა-ლა კბილისათვის პირველ სართულზე სურათი გადაეღო რე-დგენის და მის შემდეგ განმეორებით მისულიყო. ყარამანი გამ-ოვიდა პოლიკნინიკის შესასვლელთან განთავსებულ ფოტო-ატელიეში, გადაიღო სურათი სამი-ოთხზე და სწრაფად აუტანა ექიმს, წარმოიდგინეთ რა მხიარულება დაემატებოდა ისედაც გამხიარულებულ ექიმს, ამის შემდეგ ყოველთვის ვაფრთხ-ილებდი უჩემოდ საქმეზე არ წასულიყო, რადგან ყოველთვის მისი მოქმედება კურიოზებით მთავრდებოდა...

- ყარამანიმ პარკეტის ხელოსანს შესჩივლა, ახლად მიღებულ ბინაში, სადაც ძველი ანტიკვარული მუხის პარკეტი დახვდა დაგებული ჭუჭყიანიაო, ვერ მო-იფიქრა „ციკლოვკა“ გაეკეთებინა, ხელოსანმა დაარი-გა გადაეღება იატაკი, თანაც მუქ წითელ ფერებში... ამის შემდეგ ყარამანი ყოველთვის უფროსებს ეკით-ხებოდა საქმის მოგვარებას...

# მძღოლი და მილიციის უფროსი



განყოფილების მილიციის უფროსს ბედი არ წყალობდა, ყოველ თვე ახალ-ახალ მძღოლებს იცვლიდა, რადგან თავისზე მიმაგრებული მანქანა სურდა ყოველთვის მოწესრიგებული ყოლოდა. ახლად დანიშნულმა მძღოლ-მილიციელმა უფროსს სთხოვა მანქანა მიეყვანა პროფილაქტიკაში და ე.წ. „კაპიტალკა" ჩაეტარებინათ. რამდენიმე დღის გასვლის  შემდეგ ახლად შეკეთებული მანქანით უფროსსა და მის მძღოლს მოუხდათ ცუდ რელიეფზე სიარული, როდესაც მძღოლმა შეანელა, უფროსი შეეკითხა თუ რატომ შეანელა, მძღოლმა რომ უპასუხა უფროსო: - სიჩქარეა შესაცვლელიო, გაჯავრებულმა უფროსმა მძღოლს გასაღები წაართვა, და ყვირილით მიმართა  თუ  სიჩქარე შესაცვლელი იყო რატომ პროფილაქტიკაში რომ გყავდა მაშინ არ შეაცვლევინეო, მძღოლი დადარდიანდა, რადგან უფროსს მანქანის შესახებ არაფერი გაეგებოდა...

# მოხერხებული პასუხისმგებელი მორიგე

(დიალოგი)

70-იანი წლებია, თბილისის პირველი მაისის რაიონის მილიციის პასუხისმგებელი მორიგე (დიდი ქართველი, თბლისის კოლორიტი, ცნობილი თამადა, შემდგომში მილიციის მაიორი) რობერტი ალექსანდრეს ძე ახალკაცს სამი სისხლის სამართლის დანაშაული მოუხდა ღამის საათებში, რაზედაც განიცდიდა დილით მოსულ მილიციის უფროსისათვის როგორ მოეხსენებინა...

... გამოცხადდა თუ არა უფროსი განყოფლებაში, სამორიგეო ნაწილის წინ დაუწყო მოხსენება: ჩემი მორიგეობის დროს ღამის საათებში „დეზერტირების“ ბაზრის ტერიტორიიდან გატაცებული იქნა ა/მ „ჟიგული“, როდესაც უფროსმა გზა გააგრძელა და ავიდა კიბეებზე რამოდენიმე საფეხურით, წამოეწია და დამატებით მოახსენა, რომ გამთენიისას მობინადრე დააყაჩაღეს, ხოლო რაც შეეხება მესამე დანაშაულს უცნობი მამაკაცის გვამის შესახებ შიგა ელსმენით მოახსენა თან თავისი იუმორის გრძნობით აუხსნა, რომ მას ნელ-ნელა შეაპარარადგან გულით ავადმყოფს გართულება არ მოსვლოდა...






## ფეხბურთელი და მორიგე

70-იანი წლებია, სამორიგეო ნაწილში სხვა მოჩხუბრებთან ერთად მოიყვანეს „ნორჩი დინამოელი“ ვოვა გუცაევი, რადგან  მილიცის თანამშრომლები უნდა გარკვეულიყვნენ საქმის ვითარებაში, რადგან მოჩხუბრებიდან რამოდენიმე პირი გადაყვანილი იქნა საავადმყოფოში, ფეხბურთელი – ვოვა გუცაევი დროებით გააჩერეს სამორიგეო ნაწილში, თავს იმართლებდა შემთხვევით გავიარე მოჩხუბრები ჩემი ახლობლები არ ყოფილანო...

... გაჯავრებულმა მორიგემ ჯერ ხმამაღლა შეჰყვირა, შემდეგ იუმორის გრძნობით უპასუხა:  მოატყუა ერთი ფეხბურთელი, მოატყუა მეორე, მოატყუა მესამე... მე ვერაფერს მომატყუებს ბიძია მაიორი რობერტი ვარ ახალკაციო, გავერკვევი სიტუაციაში და დროულად გაგიშვებო... ასეც ხდებოდა მილიციაში...

# კომენდანტის საათი

ის პერიოდებია, როდესაც საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია უნიათო ქართველებმა მოუსავლეთში გავისტუმრეთ, ძალაუფლება დროებით მთავრობას გადაეცა, საზოგადოებრივ წესრიგს პოლიციასთან ერთად „იცავენ“ „მხედრიონი“ და „გვარდია“, არეულობამ დაიმკვიდრა სამეგრელოს რეგიონშიც, კერძოდ მარტვილის რაიონში, განაწყენებული „ზვიადისტები“ წვავენ ყველა ადმინისტრაციულ შენობებს, გამოცხადდა საგანგაშო მდგომარეობა ე.წ. „კომენდატის საათი“. ერთ-ერთი პოლიციის საგუშაგოსთან დღის საათებში მივიდნენ ორი ადგილობრივი მკვიდრი, საქმე რომ გაეკეთებინათ, კომენდატის საათის დამთავრებამდე გაეტარებინათ, რათა ჩამდგარიყვნენ პურის რიგებში ქარხანაში, - „ძღვენით“ გაუმასპინძლდნენ რა საგუშაგოს



მორიგეს „პეტკას“, შუა ქეიფში უთანხმდებიან და აგვარებენ საქმეს „პეტკას“ მორიგეობაზე თავისუფლად გაივლიდნენ. შემდეგ მორიგეობაზე „პეტკას“ დაავიწყდა, რადგან მოლაპარაკება ნასვამმა გადაწყვიტა. გამთენიისას „პეტკას“ საგუშაგოს დაუახლოვდნენ ორი მარტვილის რაიონის მკვიდრი, „პეტკამ“ ჯერ გამაფრთხილებელი სიტყვებით მიმართა „დაუპატიჟებელ სტუმრებს“, როდესაც არ დაემორჩილნენ გაისროლა ჰაერში, როდესაც ფარნით დაუახლოვდა ორივე „მასპინძელი“ წვიმისაგან დაგუბებულ გუბეში იწვნენ, გვიან მიხვდა „პეტკა, რომ შეცდომა დაუშვა ახლად გაცნობილები უკვე გაწუმპული ამოიყვანა ისედაც ცივი წყლიდან...



## პატიმრის ვალები

მილიციის უფროსის სამუშაო ოთახიდან ისმის ყვირილი, პერიოდულად ჩემს სახელს იძახის, რადგან დროულად მასთან შევსულიყავი, ჩემი სამუაო ოთახი მის  გვერდით იყო განთავსებული, სწრაფად შევედი მასთან, მის წინ იდგა ახალგაზრდა ქალბატონი, რომელიც მას უმტკიცებდა და უხსნიდა, რომ განყოფილებიდან მისულ პატიმარს ღამის საათებში აეღო არაყი, მისაყოლებელი, ხოლო ვალები უნდა გაესტუმრებინა დილის საათებში მასთან მისულ ოჯახის წევრებს, - სავაჭრო ჯიხურში. გადაბარებამდე ... მილიციის უფროსმა დაუყოვნებლივ მომთხოვა გავრკვეოდი საქმის ვითარებას  და მომეხსენებინა,

... როგორც ჩემთვის გახდა ცნობილი ჩვენს პასუხისმგებელ მორიგეს „კოტიკოს“ რომელიც სასმელების მიმართ არც ისე

მწყრალად იყო განწყობილი, სასმელები შემოკლებია თავის „საბუტილნიკ“ დაკავებულთან ერთად, ღამის საათებში მისულა მასთან ერთად იქვე განთავსებულ სავაჭრო ჯიხურში და სასმელებთან ერთად მისაყოლებელიც აუღიათ, რომლის ანგარიში დილის საათებში დაკავებულის ოჯახის წევრებს უნდა გადაეხადათ.

რადგან დაკავებული პატიმარი წინასწარ დაკავების იზოლატორში იქნა გადაყვანილი, ხოლო მორიგე „კოსტია“ შინ ისვენებდა ისედაც გადატვირთული სამუშაო გრაფიკით დავალიანება აღარც გახსენებიათ, მკითხველიც მიხვდება თუ რა ბედი ეწეოდა პასუხისმგებელ მორიგე „კოსტიას“.



## დამფრთხალი გუდამაყრელი

90-იანი წლებია, არეულობამ დაისადგურა საქართველოში რაც დაეტყო როგორც სამოქალაქო პირებს, ასევე ძალოვან სტრუქტურებში მომუშავე პერსონალს... ხულიგნობისათვის სამორიგეო ნაწილში წარმოდგენილი იქნა ფიზიკურად ძლიერი, ორმეტრიანი, არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი წარმოშობით „გუდამაყრელი“ რამოდენიმე მილიციელის დახმარებით შეყვანილი და მოთავსებული იქნა წინასწარი დაკავების საკანში, რის შემდეგ დაიწყო გინება, მსხვრევა და ცდილობდა რკინის ცხაურიანი კარების გამომტვრევას. განყოფილებაში შემოვიდა თანამშრომელი არაფხიზელ მდგომარეობაში, რომელმაც ხელმძღვანელობის მკაცრი შენიშვნა მიიღო, უბრძანეს ჩაებარებინა მასზედ მიმაგრებული ავტომატური იარაღი, გაბრაზებული შევიდა თუ არა სამორიგეო ნაწილში, შესვლისთანავე „გუდამაყრელმა“ შეაგინა დედის მისამართით, მოიხსნა იარაღი, დაუმიზნა საკანში მყოფ „გუდამაყრელს“ და ავტომატური გასროლით რამოდენიმე ტყვია გაისროლა, შეშინებულმა მორიგემ მკლავი გადაუტრიალა ნასვამ მდგომარ-

ეობაში მყოფ თანამშრომელს თან იხმო ახლო მყოფი თანამშრომლები მიხმარებოდნენ, ყვიროდა დაკავებული მომიკლესო, სწრაფად  შეიხედა კამერაში, მაგრამ პატიმარი ადგილზე აღარ იყო, როცა ჭერზე აიხედა, ფეხებით მიკროდა ჭერს, რაც შეეხება ტყვიებს „ხალასტოი“ აღმოჩნდა, ამის შემდეგ ჯერ ეხვეწებოდნენ, „გუდამაყრელს“ ჩამოსულიყო ქვემოთ,  შემდეგ კამერიდან გარეთ გამოყვანა უფრო გაგვიჭირდა, ვიდრე კამერაში მისი მოთავსება.

# მორიგე დამრიგებელი

სამორიგეო ნაწილში ახალბედა პოლიციის თანამშრომელს ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის ჩაბარების დროს შემოწმებისას იარაღი გაუვარდა, რომელმაც მშვიდობიანად ჩაიარა, ამის შემდეგ მიექრა გაჯავრებული პასუხისმგებელი მორიგე, რომელმაც აღელვებულმა და აჩქარებულმა მისცა მინიშნება თუ როგორ უნდა შეემოწმებინა აღნიშნული იარაღი, შემოწმებისას მასაც გაუვარდა ერთის მაგივრად სამჯერ მიყოლებით ავტომატურად... დაკავების საკნიდან ახალგაზრდა ბიჭმა ყვირილი დაიწყო ჩემი მეზობელი მე მოვკალი, სხვას ნუ აბრალებთ. ექვმიტანილი დაკავებული ჰყავდათ ორი დღე დანაშაულს არ აღიარებდა, პოლიციელისა და მორიგის შეცდომამ შედეგი გამოიღო...





## გოგიას მივიწყებული ფაქტი

70-იანი წლების დასაწყისში ჩვენს განყოფილებაში მუშაობა დაიწყო კახეთის ერთ-ერთი რეგიონიდან გადმოსულმა მილიციის თანამშრომელმა, რომელიც დაინიშნა უბნის ინსპექტორის თანამდებობაზე მის მიერ „ოპერატიულ ღონისძიების“ კრახით დამთავრების გამო ჯერ პასუხისგებაში აძლევდნენ, ხოლო შემდგომში დააქვეითეს. უბნის ინსპექტორ „გოგიასთან“ საჩივრით მივიდა სოფლის მცხოვრები პიროვნება, რომელმაც განუცხადა, რომ მეზობელი მემუქრება გაუპატიურებითო, გოგიამ რომ განცხადება წაიკითხა ბატონ მიხოს უთხრა ფაქტზე თუ ვერ წავასწარი პასუხისგებაში ვერ მივცემ მარტო მუქარისთვისაო. დათქვეს დრო, საათი, როდესაც მიხო გამოიწვევდა მეზობელს, გამოყვებოდა ვენახის პლანტაცი-

ებში, მათ დაადგებოდათ ფაქტზე გოგია და მის შემდეგ მისცემდა დამნაშავე მეზობელს პასუხსგებაში. როდესაც მეზობელი დაემუქრა, მიხო დათანხმდა, მივიდნენ დანიშნულ ადგილზე, ყველაფერი მიმდინარეობდა გოგიას დარიგების თანახმად, მაგრამ გოგია თავზე არ დადგომია. მიხომ ბევრი იყვირა „ფაქტია გოგიაო!!!“, მაგრამ გოგას არც კი მიუქცევია ყურადღება მიხოს გეგმებს, გოგიას დაავიწყდა, სხვა ღონისძიება უფრო არჩია გრძელი ყანწით მაგიდას თამადობდა. წარუმატებელი ღონისძიების შემდეგ მიხომ ეხლა გოგიას უჩივლა ზემდგომ ორგანოებში, შედეგს ვერ მიაღწია, მაგრამ გოგიას შელახული რეპუტაციის გამო სამსახურიდან დაითხოვეს... გოგიამ პრესტიჟულ ქალაქში და რაიონში განაგრძო მუშაობის გაგრძელება უბნის ინსპექტორის თანამდებობაზედ...

...გოგიას სამოქმედო უბნიდან ქალბატონმა საჩივრით მიმართა, ჩემს საცხოვრებელი კორპუსის მე-7 სართულზე მეზობლებს ქათმები ყავს, მამალი დილით ძილს მიფრთხობსო, ასევე გაშიფრა მომჩივანიც, მას კურდღლები ჰყოლია აივანზე მოშენებული. ამის შემდეგ გოგიამ მომჩივანსა და დამბეზღებელს დაავალა, როდესაც მის სამუშაო ოთახში სტუმრები ესტუმრებოდნენ, ერთი ჩამოუტანდა შემწვარ კურდღელს, ხოლო მეორე შემწვარ ქათამს... მაგრამ გოგიას ყოველთვის არ გაუვიდა თავის ზრახვები, საბოლოოდ რვა წლით მოუწია კვალიფიკაცია ციმბირის ერთ-ერთ დასახლებაში „ნიჟნიტაგილში“...




## ძროხა ებრაელი და ავტოსაგზაო შემთხვევა

პოლიციის სამორიგეო ნაწილში შემოვიდა ელსმენის შეტყობინება, რომ რაჭის ერთ-ერთ საავადმყოფოში მოთავსებული იქნა ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად სხეულის დაზიანებით ახალგაზრდა ებრაელი მამაკაცი. საავადმყოფოში მისულ გამომძიებელს შეკითხვებზე გაბრაზებულმა დაზარალებულმა „გაბრიელა ებრაელმა" პასუხები დაუწყო. – ამბროლაურიდან ონის ბაზრობაზე ამოვიდა ერთი მაღალი კაცი ტყის თხილის ცალფა გოზინაყს რომ გავსო, იყიდა ძროხა და მთხოვა ათ მანეთად ჩამეყვანა აბროლაურშიო, მეც  დავეთანხმე, შევიდა ეს კაცი მაღაზიაში, იყიდა ისეთი თოკი მანქანებს რომ საბუქსირედ აქვთო, მე ხელზე ჩამაფსკვნა ხუთჯერ, ძროხას კი ორჯეროო, მიმყავს ძროხა ამ ცხელ ასფალტზე, ემატა მზემ და არ იმატა იმ კაცის ოჯახმაო!!, ამოფრინდა ერთი „მოტორბზიკი აბეზარა" და რომ დააფრინდა ძროხას „სადილიხორზე", ძროხამ კუდი ასწია ანტენასავითო და რომ გააკვრევინა გლახა შოფერივით,  სამი ტელეფონის ანძა რომ წავაქციე თავით მახსოვსო, მდინარე რიონში ორჯერ რომ გამიყვანა-გამომიყვანა ესეც მახსოვს, მაგარამ ეს რანაირი ავტოსაგზაო ავარიაა ის არ მახსოვსო...

# რუბენას ზამთრაკები საავადმყოფოში

რაჭის ერთ-ერთ რაიონში ცხოვრობდა მარტოხელა რუბენი, რომელიც „დალაგებული არ იყო“, როგორც ზამთარი მოახლოვდებოდა, მიაკითხავდა საავადმყოფოს, განუცხადებდა, მანქანა დამეჯახა და გაზაფხულამდე თავი იოლად გამოჰქონდა. პოლიციაშიაც გადმოცემულ ელსმენის შეტყობინებასაც კი „ტაბუ ედებოდა“, რადგან იცოდნენ, რომ რუბენი გამოზამთრებას იწყებდა... განყოფილებაში შეუსრულებელ განცხადებებზე და ელსმენის შეტყობინებებზე ოპერატიულ თათბირზე ინფორმაცია გააკეთა განყოფილების უფროსის მოადგილემ და მოითხოვა თანამშრომლების დასჯა, რუბენის მანქანა დაეჯახა და მას ყურადღებას არ აქცევენო. უფროსმა გაკიცხა თანამშრომლები. მათაც არ დააყოვნეს, გავიდნენ რუბენასთან, დაარიგეს ჩვენებაში აღნიშნე, რომ პოლიციის უფროსის მოად-



გილე თავისი კუთვნილი მანქანით დაგეჯახაო ყვითელი ფერის „ჟიგულითო“. როგორც გონებაჩლუნგი, რუბენას ვინც კი შე-ეკითხებოდა, „პირველ ჩვენებას აწვებოდა“, როდესაც დამ-ბეზღებელმა მოადგილემ გაიგო, საავადმყოფოში ეახლა რუბე-ნას ინფორმაციის გადასამოწმებლად, სასწრაფოდ მობრუნდა პოლიციაში მე მაბრალებს ავტოსაგზაო შემთხვევასო... მთელი ზამთარი უზიდავდა უფროსის მოადგილე „პერედაჩებს“ რომ გადაეთქვა აბსურდული ბრალდება...



## ქუთაისელი სპეცრაზმის ლეგენდა

რაჭის ერთ-ერთ სოფელში ახალგაზრდა მამაკაცი ფსიქიურად შეიშალა, ტანით პატარამ მაინც შეძლო ორი ადამიანის მოკვლა, ხოლო ორი, დანით დაჭრა. რაჭის პოლიციამ ძლივს შეძლო დაკავება და კამერაში მოთავსება. საჭიროებდა ქალაქ ქუთაისის ციხეში გადაყვანას და მოთავსებას, რაზედაც ზემდგომმა ორგანოებმა დაავალეს ქუთაისის „სპეცჯგუფს“ პატიმრის გადაყვანა. მივიდნენ რა რვაკაციანი ჯგუფი, მათმა ხელმძღვანელმა შეიხედა საკანში, რომ დაინახა პატარა აღნაგობის მამაკაცი, რაჭველ პოლიციელებს სიცილით მიმართა, ამის გულისათვის როგორ გამოგვიძახეთო?!, როდესაც დაიწყეს დაკავებულის გამოყვანა, სათითაოდ ისროდა სპეცოპერაციის მონაწილეებს საკნიდან. აპირებდნენ რა პატიმრის გარეშე გაბრუნებას „ქუთაისის სპეცრაზმელები“, ისევ რაჭველმა პოლიციელებმა იმარჯვეს, რომელთა დახმარებით პატიმარის ეტაპირება მოხდა...



## პროფესორ წერეთლის თავგადასავალი

პოლიციის განყოფილების უფროსის  ბრძანებით, რომელმაც აგვიხსნა რომ მეზობლების გაუთავებელი ელსმენით დარეკვისა ფსიქიურად დაავადებული წერეთელი არ აძლევთ ნორმალურ ძილსა და მოსვენებასო, ითხოვენ მოვათავსოთ გლდანის ფსიქიატრიულ საავადმყოფოშიო... აღნიშნულ საცხოვრებელ კორპუსთან მისვლისას შევეკითხეთ იქ მოთამაშე ბავშვებს თუ სად ცხოვრობდა წერეთელი, ბავშვების მითითების თანახმად ავედით კორპუსის მე-3 სართულზე მარჯვნივ სამ ოთახიან ბინაში, კარებთან ღილაკით გამოვიძახეთ „წერეთელი“, კარების გაღებისთანავე გადავეცით უფროსის თხოვნა, რომ გამოცხადებულიყო მასთან, ტანსაცმლის ჩაცმაც აღარ ვაცალეთ, გამოვიყვანეთ ჩვეულებრივ პიჟამოთი, ჩავსვით მან-

ქანაში და მივიყვანეთ გლდანში მდებარე ფსიქიატრიულ საა-ვადმყოფოში, მორიგე ექიმის გასაუბრებისას „წერეთელმა“ უპასუხა, რომ პროფესორია და ეწევა ნორმალურ ცხოვრებას, მორიგე ექიმმა სიტყვის თქმა აღარ დაასრულებინა, აქ ვინც მოყავთ ყველა გაიძახის პროფესორი და აკადემიკოსი ვარო, გამოიძახა მორიგე სანიტარი და მოათავსეს სტაციონალურ მკურნალობისათვის პალატაში. წამკითხველიც მიხვდება თუ რა დღეში აღმოვჩნდებოდით, რომ აღნიშნულ სადარბაზოში ცხოვრობდნენ ორი წერეთელი, - ერთი პროფესორი და მეორე ფსიქიურად დაავადებული „წერეთელი“...




## „ბელიე ნოჩი“

ჯერ კიდევ არეულობაა საქართველოში, ქუჩებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში არაფორმალურ ბანდფორმირებებთან ერთად გამოჩნდნენ ფსიქიურად დაავადებული პირები, რომლებიც ჩადიოდნენ სხვადასხვა მართწესრიგის დარღვევებს, რა მიზეზითაც ერთ-ერთი დაავადებული დაკავებული ყავდათ პოლიციის განყოფილებაში და აიძულებდნენ გაშვების საფასურად ემღერა გაუჩერებლივ „ბელიე ნოჩი“ რომელსაც ყოველ ხუთ წუთში წამოიმღერებდა თვითნებურად... რადგან იმ პერიოდებში სასწრაფო დახმარების მანქანები და სპეცმანქანები არ ფუნქციონირებდა, გადაწყვეტილება მივიღეთ „ფსიქიურად დაავადებული გიჟი“ საავადმყოფოში გადაგვეყვანა პურის საზიდი დახურული მანქანით, მძღოლთან დავსვით ოფიცერი, ხოლო „გიჟთან“ ერთად ძარაზე ორი

რიგითი პოლიციელი. მოულოდნელი დამუხრუჭების შედეგად, დაკავებული ხელიდან დაუსხლტათ, ხელით წვდა იქვე იატაკზე დაგდებულ რკინის ნაჭერს, იძულებით იატაკზე დააწვინა ორთავე მილიციის თანამშრომლები და გლდანის ფსიქიატრიულ საავადმყოფომდე გაუჩერებლივ ორთავეს ამღერებდა „ბელიე ნოჩი“, რის შემდეგ ხუმრობით მოიხსენიებდნენ გიჟებიც „აბაროტს“ გვილებენო.



# „ხელოვანი და მილიციელი"

70-იანი წლებია. ახალი დაწყებული მაქვს მუშაობა მილიციის სისტემაში, რიგითი სერჟანტის წოდებით. „დინამოს" სტადიონის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით ფეხბურთის მმატჩები იმართებოდა „ლოკომოტივის" სტადიონზე, სადაც თამაშის დაწყებისთანავე ბრძანების მიხედვით იკეტებოდა მაყურებელთა ტრიბუნებზე შემოსასვლელი კარებები. დაკეტილ ცხაურიან კარებიდან ისმის დაგვიანებული „გულშემატკივრის" ხმა, რომელსაც ყურადღებას არ ვაქცევდი, სანამ მაყურებელთა შენიშვნა არ მივიღე. კარების გაღებისთანავე ჩემს წინ წარსდგა მაღალი აღნაგობის სიმპატიური მამაკაცი, — მსახიობი ვახტანგ ნინუა, ჩემთვის გამოყოფილ ადგილზე მოვათავსე, „დინამომაც" აღნიშნულ თამაშზე გვასიამოვნა, რის შემდეგ რამოდენიმე გულშემატკივართან ერთად და მსახიობ ვახტანგ ნინუასთან ერთად იქვე განთავსებულ რესტორან „ბუდაპეშტში" მოვილხინეთ, ერევნის „არარატთან" გამარჯვების აღსანიშნავად. გადაღებული იქნა მოკლემეტრაჟიანი კომედიური ფილმი „გასეირნება თბილისში" სადაც მიწვეული ვიყავი მასიურ როლში.

# „პირველი ნათლობა"

70-იანი წლებია. რიგითი პოლიციელი ვარ, ახალბედა თანამშრომელი. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე ახლად აშენებულ მრავალსართულიან საცხოვრებელ ბინებში გახშირდა ქურდობა, მიმამაგრეს უბნის ინსპექტორ ამირან „ბაბუ" შარაშენიძესთან, განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობდით დილის 10:00საათიდან 14:00 საათამდე. დილის საათებია ერთ-ერთი კორპუსის სადარბაზოდან გამოვიდა ორი ახალგაზრდა ბიჭი ჩემოდნებით. შევატყვეთ საეჭვოდ გამოიყურებოდნენ, დავუყვირე გაჩერებულიყვნენ, დავედევნე, უკან მომდევს „ბაბუ", ჩაურბინე კორპუსთან მამაკაცს, რომელმაც ნახევრად ხუმრობით დამიყვირა: — ბიძია, თავს ნუ მოაკვლევინებო", ჩემგან



შორს დაყარეს ჩემოდნები და გაიქცნენ, ერთ-ერთი გახსნილი ჩემოდ-ნიდან გადმოცვივდა დიდი ზომის ხრუსტალის ვაზები, რომელიც იმ დროისათვის მოდაში იყო, ყველა ოჯახს უნდა ჰქონოდა. დავბრუნდი თუ არა უკან კორპუსებისაკენ, ჩემოდნებით მივუახლოვდი თუ არა აღნიშნულ მამაკაცს, აღმოჩნდა მსახიობი დოდო აბაშიძე, რომელსაც მეზობლისა და მეგობრის ბინა რამოდენიმე დღით ჩაუბარებია. რის შემდეგ პურმარილი იკისრა მე და „ბაბუს", რადგან არნიშნული „კუ-რიოზი" საიდუმლოდ შეგვენახა დრო გადიოდა ასეთ ვითარებაში გავ-იცანი „დიდი ქართველი" მსახიობი დოდო აბაშიძე, ვახტანგ ნინუა, მიხეილ მესხი, ომარ ტივაძე, გოგი ცაბაძე, ეროსი მანჯგალაძე.



# „ჭაუის დარიგება“

80-იანი წლებია, ვიმყოფები ერთ-ერთი ლხინის სუფრაზე, სადაც იმყოფებოდა დიდი ქართველი, შესანიშნავი კომპოზიტორი გიორგი „გოგი“ ცაბაძე. შეისვა მორიგი სადღეგრძელო, კერძოდ, პირადად ჩემი, ბატონმა გოგიმ რომ გაიგო პოლიციის თანამშრომელი ვიყავი, დღეგრძელობასთან ერთად დამარიგა: — შვილო, ბიძიკო, თანამდებობას, ფულს და მომხვეჭელობას არ გაეფუჭებინეო. აღნიშნულმა სადღეგრძელომ და დარიგებამ უფრო სტიმული მისცა ჩემს ისედაც მცირე ეკონომიურ შემოსავალსა და მდგომარეობას. მიუხედავად ერთ-ერთი პიროვნების „ერთი ლიმონის“ შემოთავაზებისა, როდესაც ქირით ვცხოვრობდი და სამოთახიანი ბინის შეძენა შემეძლო: თქვენი დარიგება შევასრულე „დიდო მაესტრო“, აღნიშნული პიროვნება ჩემი სამუშაო ოთახიდან გავაძევე.ღმერთმა ნათელში ამყოფოს თქვენი მარადისობაში გადასული სული.

# „მეთაფლე და პოლიციელები"

სამოქმედო ტერიტორიაზე ღამის საათებში შემოვლაზე მე და თემურ შაბაშვილმა აკ. წერეთლის გამზირზე „კოკა-კოლასთან" ერთ-ერთ შუქნიშანზე დავინახეთ ავტომანქანა „ჟიგული", რომელიც შუა გზაზე იდგა და არ მოძრაობდა, მისვლისას დავინახეთ ნასვამ მდგომარეობაში მყოფ მძღოლს წითელ ნიშანზე გაუჩერებია თან ჩასძინებია. შევაღვიძეთ და ვთხოვეთ უსაფრთხოდ მივიყვანდით სახლამდე. ჩვენი დამოკიდებულება მის მიმართ მოეწონა, გთხოვა მიგვეტანა დიდი ზომის მინის ქილები, პატივსაცემად დაგვასაჩუქრებდა თაფლით. სანამ ქილებს მოვნახავდით და დავბრუნდებოდით, ნახევრად გამოფხიზლებულმა მინის ქილები ეუცხოვა, ახადა მანქანას საბარგული და დიდტევადობის ალუმინის კასრიდან ამოგვიღო თითო-თითო კილოგრამი თაფლი „პატივსაცემად" . . . ზრდილობიან პოლიციის თანამშრომლებისათვის არც ის ერთი კილოგრამი თაფლი არ უნდა მოეცა, რადგან ნასვამ მდგომარეობაში მყოფი მთლიანად გვასაჩუქრებდა ალუმინის კასრით. . . .



# „მოულოდნელი ხანძარი"

80-იანი წლებია, ჩემი ყოფილი უფროსი, შესანიშნავი პიროვნება, იუმორისა და „კაცობის ეტალონი" თენგიზ ჯიაძე, რომელიც მუშაობდა ნაძალადევის რაიონში, მილიციის წინ ჯდება თუ არა მანქანაში და აპირებს სამმართველოში ოპერატიულ თათბირზე გამგზავრებას, მოულოდნელად ჩაუქროლეს რამოდენიმე სახანძრო მანქანამ თავისი სპეციფიკური სირენებით, რაზედაც მოულოდნელობისაგან შეეშინდა, გაჯავრებულმა მიაძახა: — დამწვარხარ ბოლომდეო!!!... ნაკვერჩხალიც არ დარჩენილაო!!!. დაიძრა თუ არა მანქანა, სამორიგეო ნაწილიდან გამოვარდა მორიგის თანაშემწე, — „ემელიანოვიჩ!!", — „ემელიანოვიჩ!!, სახლიდან დაგირეკეს თქვენი სახლი იწვისო!!!, მეხანძრეები ვერ აქრობენო!!!...





# „მშრალი კანონი"

80-იანი წლებია საქართველოში. სამსახურის უფროსი ინსპექტორის თანამდებობაზე ვარ. დარგობრივად ერთ-ერთი ფუნქცია: — „ლოთობა და ალკოგოლიზმის“ — წინააღმდეგ ბრძოლა და კორდინაციაა.

მილიციის რაიგანყოფილებაში შემოვიდა შეტყობინება ერთ-ერთი განაწყენებული პირისაგან, რომ ორგანიზაციის ხელმძღვანელი შესვენებაზე თავის სამუშაო ოთახში, თავის თანამშრომლებთან ერთად ქეიფობს და შინაგანაწესს არღვევს!!!...

ხელმძღვანელობის მითითებით მათ მიერ შერჩეულ სამ თანამშრომელთან ერთად მითითებულ ადგილზე გამოვცხადდი. შევედი თუ არა ორგანიზაციაში, კაბინეტში ფეხზე დგას „ნამდვილი ქართველი, ვაჟკაცური იერსახის მამაკაცი, სვამს მომსახურე კოლექტივის სადღეგრძელოს. არ შეიმჩნია ფორმიანი მილიციის თანამშრომლების „მოულოდნელი სტუმრობა“. დაამთავრა თავისი წარმოთქმული სადღეგრძელო, თავის კარადიდან გამოიღო ოთხი საინი და ჭიქა მიუმატა მაგიდას და „დაუპატიჟებელ სტუმრებს“ შემოგვთავაზა,

— „კაცობისა და ადამიანობის“ სადღეგრძელო, რომელი სადღეგრძელოც ჩვენს მისვლამდე წინ შეუსვამს. ოპერატიულად შევავლე მის კაბინეტს თვალი, რომლის ერთ კუთხეში „დიდი ბელადის“ — სტალინის სურათი ეკიდა, ხოლო შესასვლელ კარებში ჩამსხვრეული სარკმლიდან მერცხალს შეუღწევია და ბუდე ჰქონდა გაკეთებული.

მასთან საუბარმა ჩემთან ერთად მყოფ სამივე თანამშრომელს „კაცობისაკენ უბიძგა გზა...

ნეტავ კიდევ მოევლინება ისეთი „ქართველები, — საქართველოს?“

# ს ა რ ჩ ე ვ ი

მილიციის ისტორიის ნარკვევებზე .......................................................................... 14
შ ე ს ა ვ ა ლ ი........................................................................................................ 33
საქართველოს მილიცია და პოლიცია გარდამავალ პერიოდში......................... 35
თანამებრძოლები და ომის ვეტერანები მადლობას გიხდით ბატონო პრემიერო ჩვენზე დაწესებული, - „გაყინული შეღავათების" გალღობისათვის!.. ............. 62
ვალერი ფანჩულიძე .......................................................................................... 66
შალვა ღამბაშიძის მარადიულ ხსოვნას.............................................................. 69
ლეგენდარული ფეხბურთელი სსრკ სპორტის ოსტატი.................................... 71
გოჩა გავაშელი .................................................................................................... 71
დავით გიორგის-ძე ბოჭორიშვილი ..................................................................... 73
ჯონდო იაკობის-ძე ნემსიწვერიძე ....................................................................... 74
აკაკი ინაძის მარადიული ხსოვნა!........................................................................ 78
ოთარ დიომიდეს ძე ბერიშვილი.......................................................................... 79
ჯუმბერ პარმენის - ძე ბაბუაძე............................................................................. 81
ბესარიონ გრიგოლის - ძე ჭუმბურიძე.................................................................. 82
ამირან ალექსანდრეს - ძე შარაშენიძე.................................................................. 83
ქრისტეფორე ივანეს - ძე ნინიაშვილი ................................................................. 85
„კარგი სიტყვა, - კარგ ადამიანებზე - ქრისტეფორე ივანეს-ძე ნინიაშვილი დაბადების დღეს გილოცავთ........................................................................... 101
„როგორ მოხვდა „ძიუდო"- ს შემობრძანება ს.ს.რ. კავშირში და საქართველოში ................................................................................................................... 105
„ცოტა რამ საბრძოლო სამბო"-ს შესახებ.............................................................. 111
ტარიელ ალექსანდრეს - ძე კვაშალის მარადიულ ხსოვნას............................. 115
ავთანდილ (აჩიკო) ივანეს-ძე არველაძე ............................................................ 120
მიხეილ (მიშკა) რევაზის-ძე ცხვედაძის ............................................................. 124
ნათელ, მარადიულ ხსოვნას მეგობრებისაგან...................................................... 124
ერთეულები იბადებიან: თამაზ ამირანის - ძე ნაჭყებია..................................... 134
უშანგი რაჟდენის - ძე ზურაშვილი....................................................................... 138
„რაჟდენიჩი" ქალების გარემოცვაში .................................................................. 142
სამორიგეო ნაწილში............................................................................................ 143
ნიკოლოზ (ნუგზარ) გაბრიჩიძის მარადიულ ხსოვნას...................................... 146
„საქმე ის არის"...................................................................................................... 153
მევლუდი ლევანის - ძე ახალკაცი........................................................................ 154
ნოდარ მაკალათია ............................................................................................... 155

ავთანდილი ალექსანდრეს-ძე აზირაშვილი ... 158
არჩილ ილარიონის-ძე ჩომახიძე ... 163
2017 წლის 14 ივლისი ... 166
თენგიზ ცქიტიშვილის დაბადების დღეა ... 166
პეტრე საღარეიშვილი ... 168
მამია ცნობილაძე ... 170
ჯემალ ვლადიმერის ძე ლანჩავა ... 172
„სამაჩაბლოში“ ომი დაიწყო!!! ... 176
რობერტ ახალკაცი ... 182
რამაზ ალექსანდრეს-ძე შუშანაშვილი ... 187
ომარ მეშველიანი ... 190
თამაზ სულაბერიძე ... 195
ანზორ მღებრიშვილი ... 199
გია გულუა ... 201
ომარ შალვას-ძე სამხარაძე ... 208
თეიმურაზ ნამიჭეიშვილი ... 209
მოგონებები... მოგონებები ... 210
ფრიდონ გაბრიელის-ძე კაციტაძის ... 217
მარადიულ ხსოვნას ... 217
ზაურ ნიკოლოზის-ძე ნამგალაძე ... 219
<<მეორე სამშობლო საქართველო>> ... 223
ვიქტორია არკადის ასული კირვალიძე ... 223
დასაფასებელი რეჟისორი „მოკრძალებულ სასაფლაოზე“ ... 224
ნანა ბიძინას ასული მჭედლიძე ... 224
თენგიზ სუბელიანის მარადიული ხსოვნა ... 230
ბერძული კაკო პოლიკარპეს-ძე ... 234
დავით ვასილის-ძე წიქარიძე ... 237
გურამ ქარქაშაძე ... 238
ამას ქართველი თუ გეტყვის ... 238
თამარ დახუნდარიძე ... 242
მანუელ ლავრენტის ძე ბარბაქაძე ... 247
პოლიციის მაიორ მადონა გაფრინდაშვილის მარადიულ ხსოვნას ... 250
თეიმურაზ ჩუბინიძე ... 255
დავით მუხიგული ... 259
„ისევ, ისევ, ბრძოლა გველის“! ... 267

ჯონი ბელაშვილი ... 269
რაულ (გოგა) ჩხენკელი ... 270
ჯიმშერ „ჯიმი“ დიმიტრის - ძე მაისურაძე ... 274
აბაქარ მაგამედოვი ... 300
<<ქართველი დედის აღზრდილი>> ... 302
ნოდარ ნიკოლოზის ძე გურგენიძე ... 304
<< აფხაზეთში ომის დაწყების პირველი მსხვერპლი>> ... 307
ეძღვნება პაატა ნათენაძის ... 307
მარადიულ ხსოვნას ... 307
ომარ ფურცელაძე ... 311
დავით შალვას - ძე გოგეშვილი ... 328
შოთა გოგოლაძე ... 330
(ეძღვნება ჯუმბერ ჭაღიაშვილის ხსოვნას) ... 331
ვასილ მჟავანაძე ... 333
„ასეთი იყო ჩემი საქართველო“ ... 345
ედვარდ ამბროსის - ძე შევარდნაძე ... 350
25/01-1928 (86) 7/07/2014 წწ. ... 350
ანტონ კეზევაძე გახსენება ... 352
<< საბედისწერო დღე>> ... 356
სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა აღსრულებულია! ... 356
„რეზონანსული ოპერაცია“ ... 360
ლეჩხუმელი „შერლოკ ჰოლმსი“ ... 363
გულიკო გიორგის-ძე ნაჭყებია ... 367
ზაურ დიომიდეს ძე სახუაძე ... 369
<<ქართველი დედის აღზრდილი>> ... 378
რაფაელ ჩიმიშკიანი ... 378
ვასილ (ვასო) ვერულაშვილი ... 381
ჯემალ ფიცხელაური ... 384
ჯიმი ვასილის - ძე სხირტლაძის მარადიულ ხსოვნას ... 394
ვახტანგ ჯაფარიძე ... 407
<<მეფეთა მეფე>> ... 420
დიდგორის ბრძოლიდან 1121 წ. (900 წელი) 2021 წელი 900 წელი გასულა! .. 420
<<ხელქვეითების დამფასებელი>> ... 425
დავით ანდრიას - ძე ლოლაძე ... 425
ირაკლი ჯიქურაშვილი ... 429

<<ორივე ხელით  ამპუტირებული, ყველა სახეობაში გამარჯვებული>>....... 433
თეიმურაზ სახოკია ........................................................................................ 433
მერაბი „ვირო“ მინდიაშვილი ........................................................................ 436
იური გალდავა .............................................................................................. 439
ეძღვნება თამთა ლიპარტელიანის ხსოვნას.................................................... 443
ოტია იოსელიანი .......................................................................................... 445
რატომ უთხრა უარი ოტია იოსელიანმა შევარდნაძეს ღირსების ორდენზე.. 447
- ძევრელი ძმები - ........................................................................................ 455
<< საბრძოლო მოკვლევა>> ........................................................................... 465
პატარიძე ნინოსი ილარიონის ძე .................................................................. 465
პატარიძე დავით ლუკას ძე ........................................................................... 465
დიდება გმირებს .......................................................................................... 475
მელიტონ ქანთარია ...................................................................................... 475
უცნობი  ჯარისკაცის ისტორია........................................................................ 479
კონსტანტინე ლესელიძე ............................................................................... 483
სულხან მოლაშვილი..................................................................................... 486
ზურაბ არაბიძე ............................................................................................. 489
გმირი ძმები, - .............................................................................................. 504
„ვაშლიჯვრის ძმათა სასაფლაოზე“................................................................. 504
სიმონიკა სხირტლაძე.................................................................................... 517
„ჩემი მეგობარი, - თავმჯდომარე“ ეძღვნება ლერი ხომასურიძის მარადიულ ხსოვნას ................................................................................................... 519
მოხუცი ცოტნე............................................................................................... 523
ნოდარ დუმბაძე ............................................................................................ 538
<<სამშობლოს სიყვარული>>......................................................................... 543
„პლეხანოველები“ ......................................................................................... 545
„დიდი ბელადის“ მიღწევები!.......................................................................... 551
იოსებ ბესარიონის-ძე ჯუღაშვილი................................................................... 551
<<ს ტ ა ლ ი ნ ი>> ................................................................................... 551
განუმეორებელი ფენომენი იოსებ სტალინი ................................................... 563